

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

შრომები XV-XVI

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

XV-XVI

შრომები



ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

ექვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და
ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის,
ილია II დაბადების 85 და აღსაყდრების 40 წლისთავს

*Dedicated to the 85th Birthday Anniversary and 40th Enthronement
Anniversary of His Holiness and Beatitude, Catholicos-Patriarch of
All Georgia, the Archbishop of Mtskheta-Tbilisi and Metropolitan
Bishop of Bichvinta and Tskhum-Abkhazia, Ilia II
Tskhum-Abkhazian Academy of Sciences*

Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

PROCEEDINGS

XV-XVI

Publishing House “Meridiani”

Tbilisi, 2018

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

შ რ ო მ ე ბ ი

XV-XVI

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი, 2018

მთავარი რედაქტორი ოთარ ჟორდანია

რედაქტორები: თემურ ჩილაჩავა, მერი გაბედავა, ნონა (ნაზი) უშვერიძე

პასუხისმგებელი მდივანი: ირმა ზაქარაია

სარედაქციო საბჭო

მარია კორნელია ბარლიბა, რუმინეთი (კულტუროლოგია), ბადრი გოგია, საფრანგეთი (ისტორია), ტანია კაპიკი, საბერძნეთი (ტურიზმი), ანზორ მიქაია, აშშ (ქიმია), ჰენრიკ პაპროცკი, პოლონეთი (თეოლოგია), ლიუბოვ სოლოვიოვა, რუსეთი (ეთნოლოგია), დავით ყოლბაია, პოლონეთი (ისტორია), მარია კონიუშკევიჩი, ბელორუსი (ფილოლოგია).

სარედაქციო კოლეგია

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), ზოია ადამია, დიანა ალანია, ეკატერინე ბაკარაძე, მერი გაბედავა, ნუგზარ ებანოიძე, ეკა ვარდოშვილი, ანზორ თოთაძე, გურჩა კვარაცხელია, მედეა კვარაცხელია, პაატა კოლუაშვილი, მაია მარლანია, ანტონინა მსხილაძე, ნოდარ ნათაძე, ქეთევან პავლიაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, ნონა (ნაზი) უშვერიძე, გულნარა ქარჩავა, მალხაზ ღვინჯილია, მანანა შელია, ვაჟა შენგელია, თემურ ჩილაჩავა, ნოდარ ჩხარტიშვილი, გივი ცინცაძე, მარატ ციციქიშვილი, მინედა ჭანტურია, ნოდარ ჭითანავა, მარინა ჯაიანი, ლილიანა ჯანაშია, ლევან ჯინჯიხაძე, ჯემალ ჯინჯიხაძე.

Editor-in-Chief: Otar Zhordania

Editors: Temur Chilachava, Meri Gabedava, Nona (Nazi) Ushveridze

Executive Secretarie: Irma Zakaraia

EDITORIAL COUNCIL

Maria Cornelia Barliba, Romania (Culture Studies), Badri Gogia, France (History), Tania Kapiki, Greece (Tourism), David Kolbaia, Poland (History), Anzor Mikaia, USA (Chemistry), Henrik Paprotsky, Poland (Theology), Lubov Soloviova, Russia (Ethnology), Sergi Volkov, Ukraine (Chemistry), Maria Koniushkevich, Belarus (Philology).

EDITORIAL BOARD

Metropolitan Daniel (Datuashvili) of Chiatura and Sachkhere Eparchy, Zoia Adamia, Diana Alania, Ekaterine Bakaradze, Meri Gabedava, Mineda Chanturia, Temur Chilachava, Nodar Chitanava, Nodar Chkhartishvili, Nugzar Ebanoidze, Malkhaz Ghvindjilia, Marina Jaiani, Liliana Janashia, Jemal Jinjikhadze, Levan Jinjikhadze, Gulnara Karchava, Gucha Kvaratskhelia, Medea Kvaratskhelia, Paata Koghuashvili, Maia Marghania, Antonina Mskhiladze, Nodar Natadze, Ketevan Pavliashvili, Avtandil Silagadze, Manana Shelia, Vazha Shengelia, Anzor Totadze, Givi Tsintsadze, Marat Tsitskishvili, Nona (Nazi) Ushveridze, Eka Vardoshvili.

მისამართი: ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემია, 0186, საქართველო, თბილისი,
მ. თამარაშვილის ქ., 15ა.

Address: Tskhum-Abkhazian Academy of
Sciences, 15a T amarashvili st. 0186, Tbilisi,
Georgia.

www .taas.ge; tskhumabkhazianacademy@gmail.com; T el. 2 18 39 42

© ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

© Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

კრებული დაიბეჭდა აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსებით.

This Volume of the Proceedings was Published under the framework of Supporting Programme for Scientists from Abkhazia.

ISSN 2233-3363

უკ (UDC) 908(479.224)
ც-998



მეუფე დანიელი (დათუაშვილი)

უნაიდესი და უნეტარესი ილია II – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის საჭეთმკურნალო

2017 წელი განსაკუთრებული იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში. გასულ წელს ჩვენი ეკლესია და სრულიად საქართველო საზეიმოდ აღნიშნავდა 3 დიდ თარიღს – საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთი საუკუნის მანძილზე შეჩერებული 15-საუკუნოვანი ავტოკეფალური მმართველობის აღდგენიდან 100 წლისთავს; უნაიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლისთავს.

საეკლესიო თუ საერო დღესასწაულები ჩვენდამი ღვთის გამორჩეული მოწყალების აღმნიშვნელი თარიღებია. ასეთ დღეებში ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ღვთისადმი მადლიერების აღვლენა ანუ მონიჭებული სიკეთის ადექვატური შეფასება, მისი საჯარო აღიარება და სიტყვით თუ საქმით შესაბამისი დიდებისმეტყველება გვმართებს. ღვთის მიერ გამოვლენილი სიყვარულის სწორად აღქმა და შეფასება, პირველ რიგში, გვჭირდება ჩვენ, ადამიანებს. მადლიერების განცდა აღამაღლებს და განამტკიცებს ჩვენს სარწმუნოებას, ხოლო უმადურება უმძიმეს ტვირთად აწვება ჩვენს სულებს და გაუსაძლის ხდის ღვთის მიერ მოცემული ჯვრის მტვირთველობას.

ადამიანთა მადლიერებით უფალიც ხარობს, უპირველესად, ჩვენ მიერ მიღებული დიდი სულიერი სარგებლობის გამო. დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები მუდამ უფლის ქება-დიდებას, ჩვენ შორის გამოვლენილი მისი საქმეების აღნუსხვასა და მათ საჯაროდ მოფენას მოგვიწოდებენ.

წელს ჩვენს მიერ აღსანიშნავი თარიღები დაკავშირებულია XX-XXI საუკუნეებში ღვთის მიერ საქართველოს ეკლესიისათვის მონიჭებულ განუზომელ წყალობასთან.

ამ თარიღებს ერთი საერთო ნიშანი აერთიანებს, სამივე თარიღი ჩვენი უძველესი ქრისტიანი ერის უახლეს ისტორიაში განადგურების პირას მიყვანილი ეკლესიის სასწაულებრივი აღდგენის ამბავს ასახავს.

ვინ წარმოიდგენდა, რომ XIX საუკუნეში საქართველოს ეკლესიაში განვითარებული უმძიმესი მოვლენების შემდეგ ჩვენი სამღვდლოება და მრევლი იპოვიდა ძალას, ებრძოლა საპატრიარქო საყდრის დამოუკიდებლობისათვის და მიეღწია გამარჯვებისათვის.

მხოლოდ ღვთის სასწაულით შეიძლება აიხსნას ერთი საუკუნის მანძილზე საქართველოს ეკლესიაში შეჩერებული ავტოკეფალური მმართველობის აღდგენა 1917 წლის 25 მარტს (ახ. სტ.)

ოთხი წლის შემდეგ, თითქოსდა ამ გამარჯვებით განზილებულმა ღვთის წინააღმდეგომმა ძალამ შური იძიაო, ჩვენს ეკლესიას კიდევ უფრო მძიმე განსაცდელი დაატყდა თავს. ეს იყო ჩვენი ქვეყნის დამპყრობელი ათეისტური სახელმწიფოს დაუფარავი სურვილი ეკლესიის სრული განადგურებისა.

XX საუკუნის 20-30-ანი წლები განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეკლესიისადმი სისასტიკითა და დაუნდობლობით. ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, ფიზიკურად ანადგურებდნენ ღვთისმსახურებასა და მრევლის ნევრებს, ფეხქვეშ თელავდნენ სინმინდევებსა და ქრისტიანულ ფასეულობებს.

ამ წლებში წყდებოდა ჩვენი ერის მომავლის ბედი. ისმოდა კითხვა – შეძლებდა თუ არა ქართველი ერი, თუნდაც სულ რამდენიმე ათეულ ოჯახში, რწმენის შეურყვნელად დაცვას, რომ მომავალი თაობებისათვის გადაეცათ ჭეშმარიტი ეკლესიის ტრადიცია.

მადლობა ღმერთს, მიუხედავად ერის უმრავლესობაში რწმენის დაკნინებისა, აღმოჩნდნენ ისეთი ღვთის რჩეული ოჯახები და გვარები, რომელთაც ერთგულად დაიცვეს საღმრთო სწავლება და წესი ქრისტიანული ცხოვრებისა. მათ შორის უდიდესი მისია აღასრულა ხევისა და სრულიად საქართველოს მცველმა ლუდუშაურ-შიოლაშვილების ისტორიულმა გვარმა. მათ საქართველოს განადგურების პირას მიყვანილი ეკლესიის აღმადგინებელი და აღმაშენებელი კათოლიკოს-პატრიარქი აღუზარდეს.

მისი უწმიდესობის დაბადების 85 წელი – ეს არის თარიღი, რომელშიც, ერთი მხრივ, ვლინდება საღმრთო განგებულების მთელი იდუმალეობა და სიდიადე. საოცარია იმის წარმოდგენა, რომ მაშინ, როდესაც ჩვენი სულიერი განადგურების საკითხი იდგა, უფალი ამზადებდა პიროვნებას, რომელსაც უნდა აღედგინა და კვლავ დიდებით შეემოსა საქართველოს ეკლესია; მეორე მხრივ, ეს თარიღი წარმოაჩენს საქართველოს მართლმადიდებელი ერის რჩეული შვილების, პირველ რიგში კი გიორგი და ნატალია შიოლაშვილების ოჯახის ღვთისადმი თავდადებული მსახურებისათვის მზადყოფნას.

ფაქტიურად, პატრიარქის დაბადების 85 წელი – ეს არის უკანასკნელი 100 წლის მანძილზე საქართველოში თაობათა შორის სარწმუნოებრივი ჯაჭვის უწყვეტობის აღმნიშვნელი თარიღი. სწორედ ამ უწყვეტობის წყალობით გადარჩა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა, ანუ იდენტობა. ეს თარიღი არის მოსახსნებელი დღე იმ ოჯახებისა და პიროვნებებისა, რომელთაც უხმაუროდ და დაფარულად აღასრულეს თავისი ქრისტიანული და მამულიშვილური ვალი, ვინ აღმსარებლობით და ვინ მონამეობრივი აღსასრულით.

და ბოლოს, მისი უწმიდესობის აღსაყრდების 40 წელი ჭეშმარიტად არის გვირგვინი საიუბილეო ზეიმისა. უპირველესად, ეს არის კიდევ ერთი სასწაული საქართველოს ეკლესიის სიცოცხლისუნარიანობისა; მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის პირობებში ღვთის მსახურთა და მრევლის უკიდურესი დევნისა და დისკრიმინაციისა, ყოველგვარი ლოგი-

კის საპირისპიროდ, ჩვენ თვალწინ განვითარდა პროცესი სარწმუნოებრივი ცხოვრების მართლაც რომ საკვირველი ხელახალი დაბადებისა, აღორძინებისა და განვრცობისა.

რა ვითარებაში იყო საქართველოს ეკლესია 40 წლის წინ?

ეს იყო განადგურების პირას მიყვანილი საპატრიარქო ინსტიტუცია და სულიერად უკიდურესად დაუძღურებული სამწყსო.

1977 წელს საქართველოს ეკლესიაში იყო 6 მღვდელმთავარი, ორმოცდაათამდე სასულიერო პირი და ამდენივე მოქმედი ტაძარი. საზოგადოების უმეტესობა გაუცხოებული იყო ეკლესიისადმი და იყო დიდი ზნეობრივი რეგრესი.

აი, ასეთი უმძიმესი მემკვიდრეობა ჩაიბარა საქართველოს ეკლესიამ 40 წლის წინ. ამას კიდევ დაემატა ეროვნული მოძრაობის მღელვარე 80-იანი წლები, ხოლო სახლემწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არანაკლებ რთული გარდამავალი პერიოდი – ორი სამოქალაქო და ორი სამამულო ომი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, არაჯანსაღი ინფორმაციული და ფსიქოლოგიური კლიმატი, არასტაბილური ოჯახური და სამსახურეობრივი პირობები, სოფლების დაცლა, მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება, დევნილობა და ლტოლვილობა.

და ბოლოს, ამ წლების მანძილზე ეკლესიის წინააღმდეგ ხილული თუ უხილავი ბრძოლა არათუ მცირდებოდა, არამედ ყოველწლიურად ძლიერდებოდა. როცა ვფიქრობდით, რომ თავი დავაღწიეთ ათეისტურ ძალმომრეობას, აღმოვჩნდით მსოფლმხედველობრივი სეკულარიზმის წნეხის ქვეშ. თანამედროვე მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში მართლმადიდებლობა აღიქმება დემოკრატიისა და პროგრესის შემაფერხებელ ძალად. ამის გამო წარსულში ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა ფიზიკური დევნა შეიცვალა მათ მიმართ უმძიმესი მორალური დისკრედიტაციის ფორმებით.

ბიბლიური წინასწარმეტყველების მიხედვით, ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ იქნება ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა და ბოლო ჟამს კულმინაციას მიაღწევს. რაც უფრო ძლიერდება ეკლესია, მით უფრო იზრდება მასთან დაპირისპირება. ჩვენი ეკლესიის მიმართ ეს დაპირისპირება ყოველწლიურად იზრდებოდა. 2017 საიუბილეო წელს ამ ბრძოლამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. ეს სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი სულ უფრო და უფრო იზრდება მსოფლიო მასშტაბით. ამგვარი დაპირისპირების პირობებში არა თუ მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ არსებულის შენარჩუნებაც კი არ იყო ადვილი.

ამ 40 წლის მანძილზე ეკლესიაში განვითარებული ძირითადი მიმართულებების ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, რომ მიმდინარეობს არამართო არსებული პრობლემების დაძლევა, არამედ ის ეპოქალური ცვლილებები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ელოდა ჩვენი ერი. ყოველი სასიკეთო ნაბიჯი ითხოვდა გიგანტურ ძალისხმევასა და თავის სრულ უარყოფას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ისმენს უფალი ჩვენს ლოცვას

და აღასრულებს სასწაულს.

ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის მსგავსად, ეს 40 წელი არის ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური მონობიდან ერთდროული განთავისუფლების ჟამი, ერის აღთქმულ ქვეყანაში, ანუ გაბრწყინებულ ივერიაში შესვლისა და დამკვიდრებისათვის მზადების ჟამი.

ეს თარიღი არ არის მხოლოდ პატრიარქის პიროვნული ღვაწლის აღნიშვნისა და დაფასებისადმი მიძღვნილი დღესასწაული. ეს არის სრულიად საქართველოს სულიერი აღდგომის ზეიმი; ერის მიერ საღმრთო დანიშნულების კვლავ გახსენების და მისი აღსრულებისათვის მზადყოფნის ზეიმი.

სამივე სადღესასწაულო თარიღი ერთსა და იმავე ჭეშმარიტებაზე მეტყველებს: ჩვენთვის ღვთისგან მონიჭებულ განუზომელ მონყალებაზე და უფლის შენეებით ეკლესიისა და მამულის გადარჩენისათვის უთანასწორო ბრძოლაში ერის თავდადებულ შვილთა გამარჯვებაზე.

ამგვარი მაგალითების გახსენება და გაანალიზება ახალი ძალებით აღავსებს ქვეყანას. ღვთისადმი მადლიერება და ღირსეული მამულიშვილების ღვაწლის დაფასება არის საწინდარი ჩვენი ერის რწმენაში განმტკიცებისა და სულიერი ამაღლებისა.

მადლიერება ღვთისა და ეკლესიისადმი ასევე უნდა გამოიხატოს ღირსეული საქმეების აღსრულებით. ჩვენ ყოველ მოქმედებაში უნდა იგრძნობოდეს, რომ ეს იუბილე არის ჟამი გარდატეხისა, ჟამი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის ახალი ეტაპის დადგომისა.

ეს ზეიმი საერთო-სახალხო ხასიათისა უნდა იყოს. ვახერხებთ კი ამ ისტორიული მოვლენების ადექვატურ აღქმას, მის ობიექტურ შეფასებას და უმნიშვნელოვანესი საიუბილეო თარიღების საყოველთაო აღნიშვნას?

სამწუხაროდ, წლის დასაწყისში ეკლესიასთან დაკავშირებულმა მღელვარე მოვლენებმა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ხელი შეუშალა, სრულიად გაეთავისებინა საიუბილეო დღეების მნიშვნელობა; თუმცა ეკლესიური სწავლების მიხედვით, უფალს ძალუძს ნებისმიერი ბოროტება სასიკეთოდ მოაქციოს, თუ ჩვენ უდრტვინველად დავითმენტ განსაცდელს და სასოებით დაველოდებით მის დასრულებას. ასეთ შემთხვევაში საბოლოო შედეგი აუცილებლად სასარგებლო იქნება როგორც ცალკეული პიროვნებისათვის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის.

ღვთის ნყალობით, ჩვენი ზეციური მფარველების მეოხებითა და წინაპართა ლოცვით, საქართველოს ეკლესიის ღვთისმსახურებმა და მრევლმა, ქვეყნის ხელისუფლებამ და სრულიად საქართველოს მოსახლეობამ ჩვენი სულიერი მამის წინამძღოლობით შევძელით შეგვენარჩუნებინა მშვიდობა და ერთობა.

ის უკეთური მცდელობა, რომელსაც შეეძლო ჩვენი საერთო-სახალხო ზეიმის გაუფასურება, თავად აღმოჩნდა საუკეთესო საშუალება საზოგადოებაში არსებული ერთსულოვნების გამოვლენისა და დადასტურებისა.

მოულოდნელმა განსაცდელმა არა მარტო დაგვანახა პატრიარქის გარშემო გაერთიანებული წმინდა სინოდის მღვდელმთავართა, ეკლესიის ღვთისმსახურთა და მრევლის ერთიანობა, არამედ კიდევ უფრო განამტ-

კიცა იგი.

იგივე პროცესებს ვხედავთ ქვეყნის ხელისუფლებასა და მოსახლეობის უმრავლესობაში. წელს, პირველად ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საქართველოს ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ქვეყანას – ივერიას გააჩნია თავისი ისტორიული განვითარების სრულიად უნიკალური და თვითმყოფადი გზა.

ჩვენი იდენტობის უმთავრესი საფუძველი ქრისტიანობაა და მასთან ერის დაბრუნება არის შედეგი უმძიმესი 40 წლის მანძილზე პატრიარქის თავგანწირული ღვაწლისა. მისი უწმიდესობისადმი მადლიერების საერთო-სახალხო გამოხატულება იყო წლის დასაწყისში გერმანიაში სამკურნალოდ მყოფი პატრიარქისათვის აღვლენილი ერის საყოველთაო ლოცვა. ამ ლოცვამ სასწაული მოახდინა. ურთულესი და ფრიად სახიფათო ოპერაცია საუკეთესო შედეგით დამთავრდა.

საიუბილეო წელს ინდოეთში წარმატებით დაგვირგვინდა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მოძიება. ინდოეთიდან ჩვენი მნათობის წმინდა ნაწილების ჩამობრძანება და მათი მადლის მოფენა საქართველოში არის კიდევ ერთი ნიშანი ღვთის მიერ ჩვენი პატრიარქისა და ერის კურთხევისა და ეკლესიის მონამეობრივ ღვაწლში განმტკიცებისა.

უფალმა წელს არც ღვთისმშობლის მადლი დაგვაკლო – მაისის თვიდან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, საქართველოს ეპარქიებში მოგზაურობა დაიწყო ანყურისა და ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატების ზუსტმა ასლებმა. ამ ხატების სახით უხილავად თავად ღვთისმშობელი დაბრძანდება საქართველოში და ლოცავს თავის წილხვედრ ქვეყანას. ყოველ რაიონში ხატები ჩერდებიან თითო კვირით. ეს არის საუკეთესო საშუალება საიუბილეო თარიღების აღნიშვნაში სრულიად საქართველოს მოსახლეობის ჩართვისა; ხატების მოგზაურობა დასრულდება 2018 წლის ბოლოსათვის.

საქართველოს მიერ განვლილი უკანსკნელი 40 წელი არის უწყვეტი ჯაჭვი ხილული თუ უხილავი ბოროტი ძალების მიერ ჩვენი ერის ჯვარცმისა. ყოველ წელს ჯვარცმა სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა, მაგრამ პატრიარქის მიერ ერისათვის გაღებული უფრო და უფრო მეტი მსხვერპლის წყალობით ეს გოლგოთა ჩვენი ქვეყნისთვის აღდგომით მთავრდებოდა.

მე-40 საიუბილეო წელს მისმა უწმიდესობამ ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ჯვარცმა გაირა და მასთან ერთად სრულიად საქართველომ. უწმიდესის წყალობით ეს ჯვარცმაც საქართველოს აღდგომით დამთავრდა.

შარშან მარიაობისა და ღვთისმშობლობის დღესასწაულებზე მისმა უწმიდესობამ განახლებული შემართებით კვლავ შეგვახსენა თავისი მონოდება – ქართველნო, ერთად ღვთისაკენ.

დადგა ჟამი, როდესაც ეკლესიის თითოეულმა წევრმა სრულად უნდა გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა ღვთისა და მამულის წინაშე და შეუდგეს მის აღსრულებას. სწორედ ამ ჟამისთვის გვამზადებდა უფალი,

პატრიარქის წინამძღოლობით 40 წლის მანძილზე.

უმძიმესი საშინაო თუ საგარეო გამოწვევების პირობებში ჩვენი ერი უნდა გაერთიანდეს როგორც სულიერ, ასევე ხორციელ ღვანლში. არც ლოცვას აქვს ფასი შრომის გარეშე, და არც შრომას – ლოცვის გარეშე. მხოლოდ სინერგიით. ანუ ღვთაებრივი და ადამიანური ძალების გაერთიანებით, შევძლებთ ჩვენი ცხოვრების საჭირობო პრობლემების მოგვარებას.

მისი უწმიდესობა მოგვიწოდებს სამშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე შევიკრიბოთ ტაძრებში, აღვავლინოთ ღვთისადმი სამადლობელი ლოცვა, მოვიფიქროთ და დავგეგმოთ საღვთისმსახურო, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და ეკონომიკური პროექტები და ერთობლივად შევუდგეთ მათ თანმიმდევრულ განხორციელებას.

პატრიარქის საგანგებო ლოცვა-კურთხევის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებლებმა უნდა მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება, ჩვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებაზე და შევუდგეთ მიზნობრივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

ნებისმიერი საქმის დაწყების წინ უნდა მივიღოთ კურთხევა ღვთისაგან. მუდამ უნდა გვახსოვდეს შოთა რუსთაველის უკვდავი სიტყვები – „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნება“.

უპირველესად, უნდა დავენაფოთ სიცოცხლის წყაროს – საეკლესიო ღვთისმსახურებას, რომელიც არის „უძღურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი“.

ასევე საქმის კეთილად წარმართვისათვის უნდა შეგვეძლოს კეთილისა და ბოროტის გარჩევა და ჩვენი ცხოვრების წესის საღმრთო სწავლებაზე დაფუძნება. უფლის მადლთან და სწავლებასთან მთელი არსებით ზიარება ნიშნავს ღვთის სიყვარულის მცნების აღსრულებას.

გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი – ეს არის პირველი და უმთავრესი მცნება.

მეორე მცნება, მსგავსი პირველისა, არის გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.

ჩვენი ცხოვრება ვერ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, თუ ჩვენ მხოლოდ საკუთარი სრულყოფით დავკმაყოფილდებით. საკუთარი პიროვნების წრთობასთან ერთად ჩვენ გვმართებს ზრუნვა მოყვასზე. ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მცნებების აღსრულების გზაზე მდგომ პიროვნებას ყველა საქმეში ხელი მოემართება და მუდამ გამარჯვებული და ბედნიერი იქნება.

სამუშაოს ძებნაში დღეს ქვეყნის მოსახლეობის მესამედმა დატოვა სამშობლო, იცლება სოფლები, ინგრევა ოჯახები, ეცემა პროფესიონალური დონე.

პატრიარქი მოგვიწოდებს, ქვეყნის უმთავრესი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვას შევუდგეთ ერთობლივი ძალისხმევით. მდიდარი ქრისტიანული კულტურის მქონე ქართული საზოგადოება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით. „ქუდზე კაცის“ ტრადიციამ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე. ჩვენ ვმად-

ლობთ საქართველოს მთავრობას მოსახლეობაზე ზრუნვისათვის, მაგრამ არ შეიძლება მთელი პასუხისმგებლობის მხოლოდ ხელისუფლებაზე დაკისრება. ჩვენს წინაშე არსებული სირთულეების დაძლევა შეუძლებელი იქნება საზოგადოების ერთსულოვნების გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ცხოვრების წესის ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაფუძნებით.

უფალი ბრძანებს: „ხოლო თქვენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე 6, 33).

პატრიარქის საგანგებო ლოცვა-კურთხევის აღსრულება ახალი ძალით დამუხტავს ჩვენს ერს და ხელს შეუწყობს მის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

საქართველოს ეკლესიის ყველა მოქმედ ტაძარში მრევლმა მოძღვრების კურთხევითა და ზედამხედველობით საღვთისმსახურო, საგანმანათლებლო და საქველმოქმედო პროექტებთან ერთად უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ ასევე ეკონომიკური პროექტებიც.

მცირე ეკონომიკური პროექტების მიზანი არ არის ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობის დონის გაუმჯობესება. მათი მიზანია ქართველმა კაცმა ქართულ მიწა-წყალზე შეძლოს საკუთარი ოჯახის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა, უსაქმურობისა და უმოქმედობის დაძლევა, პროფესიული დონის ამაღლება, ქვეყნის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების პროცესში წვლილის შეტანა. ყოველივე ეს განუმტკიცებს მას საკუთარი ძალებისადმი რწმენას, აღუდგენს ღირსების შეგრძნებას და აღარ იქნება იძულებული დატოვის სამშობლო.

შესაძლებელია თავიდან წავანყდეთ სხვადასხვა წინააღმდეგობას, მაგრამ სულით არ უნდა დავეცეთ, უკან არ უნდა დავიხიოთ და ღვთის შეწევნით ჩვენი ძალისხმევა აუცილებლად გამოიღებს კეთილ ნაყოფს.

უფალი ბრძანებს: „ითხოვდით, და მოგეცეს თქვენ; ეძიებდით, და ჰპოოთ; ირეკდით, და განგელოს თქვენ“ (მათე 7,7).

წლების მანძილზე მისმა უწმიდესობამ შეუძლებელი შეძლო ჩვენი ერის ფერისცვალებისათვის და კვლავაც თავდაუზოგავად ტვირთულობს უმძიმეს ჯვარს; მაგრამ თუ მის გარშემო მთელი ერი არ დავირაზმეთ, შეუძლებელი იქნება საქართველოს მართლმადიდებელთა სულიერი ამაღლება და ქვეყნის გაბრწყინება.

დღეს ქართველი ერი გამთლიანებული და მშვიდობიანი ქვეყნის მიჯნაზე ვდგავართ და გადამწყვეტი ნაბიჯი უნდა გადავდგათ.

ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ ჩვენი სულიერი მამის საგანგებო ლოცვა-კურთხევის აღსრულებას.

„უფალმა ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმა აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით“.

ამინ!

Bishop Daniel (Datuashvili)

HIS HOLINESS AND BEATITUDE ILIA II – THE SHEPHERD OF
GEORGIAN APOSTOLIC AUTOCEPHALOUS ORTHODOX CHURCH

Summary

In this paper we discuss affairs of Catholicos-Patriarch of All Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II in the process of revival and development of the Apostolic Orthodox Church of Georgia.

Our nation has been waiting for long time for the epochal changes that took place in the past 40 years.

ოთარ ჟორდანია

**განათლებისა და მეცნიერების დიდი მოჭირნახული
(უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II დაბადების 85
და აღსაყდრების 40 წლისთავის გამო)**

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობა დაიწყო ათეიზმის და ტოტალიტარიზმის მძვინვარების ხანაში, როდესაც ყველაფერი კეთებოდა ეკლესიის ავტორიტეტის დასაკნინებლად, ღვთისმსახურებსა და მრველს შორის უნდობლობის დასათესად. უწმინდესის მიერ გატარებულმა რეფორმებმა დიდი ავტორიტეტი მოუპოვა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, აამალა მისი როლი ქვეყნის ცხოვრებაში და ათასობით ადამიანი შემოაბრუნა ეკლესიისკენ. პატრიარქის დაუღალავი შრომის შედეგად არამარტო აღდგა ძველი ეკლესია-მონასტრები, არამედ აშენდა ასობით ახალი ტაძარი და ეკლესია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ქართული საეკლესიო ცენტრების შექმნა ევროპასა და ამერიკაში. დღეს 7 ექსარქია არსებობს დასავლეთ ევროპაში, ამერიკის ორივე კონტინენტსა და ავსტრალიაში. პატრიარქის მოღვაწეობის შედეგები იმდენად შთამბეჭდავია, რომ ის ერმა დიდი ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის საქმეების გამგრძელებლად აღიარა.

პატრიარქი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს საერთაშორისო ასპარეზზე. მან შეძლო საბოლოოდ დაესრულებინა მრავალსაუკუნოვანი დავა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების შესახებ. მრავალწლოვანი და მრავალნაწინაგოვანია პატრიარქის მოღვაწეობა, რომელიც მოიცავს საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ ასპექტს. ამჟამად ყურადღება მინდა შევაჩერო პატრიარქის მოღვაწეობაზე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნა განათლების მწყობრი სისტემა, რომელიც მოიცავს როგორც სასულიერო, ასევე საერო განათლების ყველა საფეხურს.

საბჭოთა საქართველოში, როგორც ცნობილია, მხოლოდ ერთი სასულიერო სემინარია არსებობდა, რომელიც 1965 წ. გაიხსნა მცხეთის სამოძღვრო კურსების ბაზაზე. 1963-1972 წწ. უწმინდესი და უნეტარესი იყო სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი ჯერ შემოქმედელი ეპისკოპოსის, ხოლო შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ხარისხებში. აღსანიშნავია, რომ ახლადგახსნილი სემინარიის პირველ კურსზე ჩაირიცხა მხოლოდ 4 სტუდენტი, ხოლო მომდევნო წლებში თითო კურსზე ირიცხებოდა არაუმეტეს 10 სტუდენტისა.

ამ პირობებშიც კი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1977 წლიდან ხელისუფლების წინაშე ასაბუთებდა სასულიერო აკადემიის გახსნის აუცილებლობას. უწმინდესისა და უნეტარესის მრავალწლიანი ძალისხ-

მევის შედეგად, 1988 წ. 14 ოქტომბერს დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია, რომელიც წარმოადგენს სასწავლო და სამეცნიერო საღვთისმეტყველო ცენტრს. აკადემიაში სწავლა სამსაფეხურია (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები თეოლოგიაში, ქრისტიანულ ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში, ქრისტიანულ ხელოვნებათმცოდნეობაში, საეკლესიო არქიტექტურაში, ხატწერაში, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციაში.

აკადემიის სასწავლო პროცესის გამართვაში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაძლიერებაში, სასწავლებლის სტრუქტურის დახვეწასა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაში დიდი წვლილი შეიტანეს სასწავლებლის ხელმძღვანელებმა (რექტორებმა), ცნობილმა საეკლესიო მოღვაწეებმა, სახელდობრ, მიტროპოლიტებმა ზოსიმემ (შიოშვილი), იოანემ (გამრეკელი), აბრაამმა (გარმელია), თეოდორემ (ჭუაძე), პროტოპრესვიტერმა გიორგიმ (ზვიადაძე).

2005-2009 წწ. თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას უძღვებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1993 წ. აკადემიის წიაღში ჩამოყალიბდა საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, ხოლო 2006 წელს შეიქმნა 3 სტრუქტურული ერთეული, სახელდობრ: დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი, საეკლესიო გალობისა და სიმღერის უმაღლესი სასწავლებელი, წმიდა თამარ მეფის სახელობის მოწყალების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი. ეს უკანასკნელი მოგვიანებით სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა.

თბილისის სასულიერო აკადემიამ და სემინარიამ ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. იგი მიმზიდველი გახდა ახალგაზრდებისთვის. ამაზე უცილობლად მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც: თუ 1988 წელს თბილისის სასულიერო აკადემიაში მხოლოდ 44 სტუდენტი სწავლობდა, დღეს მათი რიცხვი 1000-ს აღემატება.

1995 წელს უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით დაარსდა გელათის სასულიერო აკადემია-სემინარია, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სკოლის დიდი ტრადიციების აღდგენა-გაგრძელებას. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელი თავის ქადაგებებში ხაზს უსვამს მეცნიერული ცოდნისა და რწმენის ურთიერთკავშირის განმტკიცებას. ამ იდეის ხორცშესხმის საუკეთესო მაგალითია გელათის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენა (1995 წ.), რომელიც წარმატებით იკვლევს თეოლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ქრისტიანული ხელოვნების, საქართველოს ისტორიის საკვანძო და აქტუალურ საკითხებს. გელათის მეცნიერებათა აკადემია აღიარებულია ევროპის უძველეს აკადემიად. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ იგი თავის უშუალო წინამორბედად გამოაცხადა.

ქართული სასულიერო განათლების განვითარება დიდად იყო დამოკიდებული სასულიერო სასწავლებელთა ქსელის გაფართოებაზე.

ამ მიზნით, საქართველოს საპატრიარქოში დიდი მუშაობა ჩატარდა. სასულიერო სემინარიები გაიხსნა ახალციხეში (წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის), ბათუმში (წმ. იოანე ღმრთისმეტყველის სახელობის), გრემსა (წმ. აბიბოს ნეკრესელის სახელობის) და ცაგერში (წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელობის), ფოთში (გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის).

ინტენსიურად ვითარდებოდა საშუალო განათლების სისტემა. 25 ეპარქიაში გახსნილია სხვადასხვა ტიპის 52 სასწავლებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. მათ შორის, სხვადასხვა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი: 20 გიმნაზია, 24 სკოლა, 8 საბავშვო ბაგა-ბაღი და ა.შ.

საპატრიარქო დიდ ყურადღებას უთმობს პროფესიული განათლების დაწესებულებების განვითარებას. გაიხსნა 4 პროფესიული და სახელობო სასწავლებლები, სადაც ახალგაზრდები ეუფლებიან სახალხო მეურნეობისთვის საჭირო პროფესიებს.

საგანმანათლებლო კერები დაარსდა არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ არსებულ ექსარქიებში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, დასავლეთ ევროპის ექსარქიაში მოქმედებს 11 სამრევლო სკოლა, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია გახსნილი. ამ სასწავლებლებში ბავშვები ეუფლებიან ქართულ ენას, ეცნობიან საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, საქართველოს საპატრიარქოს აღმშენებლობითი საქმიანობა საუნივერსიტეტო განათლების მიმართულებით. ამ მხრივ მიღწეულია შთამბეჭდავი წარმატებები. დღეისათვის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან გახსნილია 4 უნივერსიტეტი.

2008 წელს საფუძველი ჩაეყარა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს. თავდაპირველად უნივერსიტეტში გაიხსნა დოქტორანტურის განყოფილება 2 მიმართულებით: ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამებით, ხოლო 2010 წლიდან სრულად ამოქმედდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურები. უნივერსიტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოა და პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს. უნივერსიტეტი მოკლე დროში გახდა მძლავრი ეროვნულ-საგანმანათლებლო კერა, რომელმაც მიიზიდა ახალგაზრდების დიდი ნაკადი. აქ განათლებას ეუფლება 1500 სტუდენტი.

2015 წელს საქართველოს საპატრიარქოსთან ჩამოყალიბდა წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი. მის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. უნივერსიტეტი, ძირითადად, სამედიცინო მიმართულებისაა და ამზადებს ამ დარგის სამივე საფეხურის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს.

წმ. ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი დაარსდა 2008 წელს შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიჭაურში (აჭარა). მას განსაკუთრებული ადგილი უკავია საუნივერსიტეტო სივრცეში. იგი ფუნ-

ქციონირებს მაღალმთიან აჭარაში. უნივერსიტეტი ამზადებს კადრებს ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, სამართლისმცოდნეობასა და აგრარულ მეცნიერებებში. ამჟამად უნივერსიტეტში მიმდინარეობს სამზადისი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. უნივერსიტეტი აჭარის მოსახლეობაში სარგებლობს დიდი ავტორიტეტით. საქართველოს საპატრიარქო და პირადად კათოლიკოს-პატრიარქი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ სასწავლებლის სტუდენტებისადმი, სადაც 900-მდე სტუდენტი უზრუნველყოფილია სამჯერადი უფასო კვებით.

2012 წელს „ფაზისის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აკადემიის“ რეორგანიზაციის შედეგად დაარსდა ახალი საქართველოს უნივერსიტეტი. სასწავლებელი საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს ახორციელებს თეოლოგიისა და ქრისტიანული ფილოსოფიის მიმართულებით.

დასახელებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გავლილი აქვთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დამოკიდებულებას აფხაზეთის განათლებისა და მეცნიერებისადმი. მისი უწმინდესობა, როგორც ცნობილია, 11 წლის მანძილზე იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი (1967-1977 წწ.). აფხაზეთში მოღვაწეობის დროს მან მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ადგილობრივ მოსახლეობასთან, საგანმანათლებლო და კულტურულ დაწესებულებებთან. სოხუმის დაცემის შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს სოხუმის უნივერსიტეტის მუშაობას. 1997 წლის მარტში თსუ სოხუმის ფილიალმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, პირველმა აღნიშნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 80 წლისთავი. ამ ღირსესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, მისი უწმინდესობა ეწვია თსუ სოხუმის ფილიალს და ადგილზე გაეცნო სასწავლებლის საქმიანობას. 2009 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია II სოხუმის უნივერსიტეტი საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდოთი – წმ. გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. სოხუმის უნივერსიტეტი იყო პირველი სასწავლებელი, რომელსაც ეს მაღალი ჯილდო ერგო.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 2006 წელს შეიქმნა აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია ქართული და აფხაზეთი კულტურების პოპულარიზაციის მიმართულებით. ამისთვის ცენტრის პირველი ხელმძღვანელი ქალბატონი სვეტლანა ქეცბა წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვდა.

ორიოდე სიტყვით შევჩერდები ერთ ფაქტზე. 2010 წლის 20 მაისს, მაშინდელი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დანიელის შუამდგომლობით, კათოლიკოს-პატრიარქმა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების ლოცვა-კურთხევა გასცა. მომდევნო წლის იან-

ვარში აკადემიამ გაიარა რეგისტრაცია და დაიწყო საქმიანობა. მან თავის გარშემო გააერთიანა მეცნიერები აფხაზეთიდან და საქართველოს წამყვანი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებიდან. აკადემიაში ფუნქციონირებს 10 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მათ შორის, რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი. ამ უკანასკნელმა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რელიგიით დაინტერესებული სტუდენტებისათვის გამოსცა 2 დამხმარე სახელმძღვანელო. გამოსაცემად მომზადდა რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის „ნარკვევები კატაკომბური ეკლესიის ისტორიიდან“ და „იესო ქრისტე ისტორიულ დოკუმენტებში“. რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ რელიგიური კვლევების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები იკვლევენ საქართველოს ეკლესიის ისტორიას და თავიანთი კვლევის შედეგებს წარადგენენ საერთაშორისო კონფერენციებზე.

ზემოთ მოტანილი მასალა, ნათლად მეტყველებს, თუ რა დიდი სამუშაოები ჩაატარა საქართველოს საპატრიარქომ, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ქართული განათლებისა და მეცნიერების გასავითარებლად. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკანასკნელი 700 წლის განმავლობაში, განათლებისა და მეცნიერების დარგში ასეთი მასშტაბის ღონიძიებები ქართულ სამოციქულო ეკლესიას არ განუხორციელებია.

წყაროები:

1. Higher education institutions, students and professors (mes.gov.ge).
2. Gelati Theological Academy and Seminary of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church (<http://gelati.edu.ge/>).
3. Giorgi Mtatsmindeli Higher School of Church Singing (<https://www.facebook.com/galobisuniversiteti/>).
4. Tbilisi Theological Academy and Seminary of the Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church (<http://tsas.ge/ge/>).
5. Educational institutions of the Patriarchate of Georgia (<http://www.orthodoxy.ge/tsnobarebi/saganmanatleblo.htm>).

Otar Zhordania

GREAT PROTECTOR OF EDUCATION AND SCIENCE

(85th Birthday of the Catholicos-Patriarch of All Georgia, His Holiness and
Beatitude Ilia II, and 40th anniversary of the Enthronement)

Summary

The paper shows great merit of Catholicos Patriarch of Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II in the development of Georgian education and science. It has been suggested that under the leadership of his holiness, over the last 40 years, more institutions, universities and scientific centers have been opened in the heart of the Orthodox Church than previous 700 years.

რელიგიათმცოდნეობა
RELIGION STUDIES

ავთანდილ წერეთელი

რომის ეპისკოპოსის ძალაუფლების მოპოვება-გაზრდის
მიზეზები და შედეგები IV-V საუკუნეებში

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგი-
ათმცოდნეობის ინსტიტუტმა*

რომის ეკლესიას, აღმოსავლეთის ეკლესიებისგან განსხვავებით, დასავლეთში გაძლიერების ხელსაყრელი პირობები ჰქონდა. მისი უფლებების დასავლეთში გაძლიერება – გავლენის განვრცობას, აღმოსავლეთში სამმა ძირითადმა ფაქტორმა შეუწყო ხელი:

- 1) რომი იყო მსოფლიო იმპერიის დედაქალაქი;
- 2) იდეა იმის შესახებ, რომ რომი იყო თავნი მოციქულთაღის (პეტრე და პავლე) მოღვაწეობის და აღსრულების (განსვენების) ქალაქი;
- 3) თეორია მოციქულ პეტრეს პრიმატობაზე ეკლესიაში, რომელიც რომის ეპისკოპოსმა მემკვიდრეობით მიიღო (Pavliashvili, 2010: 237).

განვიხილოთ თითოეული ფაქტორი ცალ-ცალკე:

1) რომი იყო იმპერიის დედაქალაქი და მისმა ეკლესიამ პატივით დაიკავა განსაკუთრებული მდგომარეობა და არა ძალაუფლებით. ამაზე ნათლად მეტყველებს IV მსოფლიო კრების 28-ე კანონი, სადაც ნათქვამია, რომ მამებმა უპირატესობა ძველი რომის საყდარს მიანიჭეს – „სამეუფოობისათვის ქალაქისა“ (Bradjuli, 2000:26) ასევე, ნიკოდიმ მილაში¹ მიერ მეექვსე მსოფლიო კრების 36-ე კანონის განმარტებით, მსოფლიო ეკლესიაში დადგინდა პირველი საყდრების წესრიგი: რომი, კონსტანტინოპოლი, ალექსანდრია, ანტიოქია, იერუსალიმი. ამ კათედრების ეპისკოპოსები სრულიად თანასწორნი არიან ძალაუფლების მხრივ, ხოლო რაც შეეხება პატივს, მათ შორის ამ ჩამონათვალის მიმდევრობით დადგინდა ნორმა-პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ თავად მოციქულებიც და საუკუნეების განმავლობაში, მათი მემკვიდრეები. პრინციპი მდგომარეობდა შემდეგში – ეკლესიური რეგიონების განსაზღვრა შეესაბამებოდა პოლიტიკურ დაყოფას და ამავე ნიშნით, ესა თუ ის კათედრა განისაზღვრებოდა შესაბამისად ქალაქის სახელმწიფო მნიშვნელობით, რომელშიც ეს საყდრები მდებარეობდნენ (Milash, 2004: 2200). თავის მხრივ, რომის პაპსაც მემკვიდრეობით გადაეცემოდა ძველი რომის საიმ-

¹ ნიკოდიმ მილაში (1845-1915) – სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი, დაღმარება-ისტრიის ეპისკოპოსი (ხორვატიის ტერიტორია). კანონისტი და საეკლესიო ისტორიკოსი.

პერატორო პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობა; კერძოდ, პაპი ცხოვრობდა მსოფლიოს დედაქალაქში, მსოფლიოს ცენტრში; რომის იმპერატორები ისტორიულად ასევე იყვნენ წარმართული რელიგიის უმაღლესი სასულიერო წარმომადგენლები. ყოველივე ზემოაღნიშნული მემკვიდრეობით გადაეცა რომის საეპისკოპოსოს.

2) ქრისტიანულ სამყაროში ცნობილია თავნი მოციქულთაწინის ღვან-ლი ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების საქმეში, რის გამოც ისინი მოციქულთა თავების სახელით შევიდნენ ქრისტიანობის ისტორიაში. წმინდა პეტრე მოციქული იყო მაცხოვრის ერთ-ერთი თორმეტ მონაფეთაგანი. იგი თავისი ბუნებით გამოირჩეოდა მოციქულებს შორის, როგორც მხურვალედ მორწმუნე; ისტორიულად გამოხატავდა მოციქულების სათქმელს, როდესაც მაცხოვარი მათ რაიმე შეკითხვით მიმართავდა. მაცხოვრის ძე ღვთისად პირველი აღიარება პეტრეს უკავშირდება, რის გამოც მიიღო სახელი პეტრე. მაცხოვრის ჯვარცმისა და ამაღლების შემდეგ, იგი გამოირჩეოდა ინიციატივებით და იღებდა მონაწილეობას, როგორც იყო მაგალითად, იუდა მოციქულის ნაცვლად სხვა მოციქულის არჩევა 12 მოციქულის რიგის შესავსებად (Schaff, 2002: 161-162). რომის ეკლესიის გადმოცემით, პეტრე მოციქული რომში მოღვაწეობდა, სადაც დაარსა ეკლესია. მის ირგვლივ ორი ვერსიაა: პირველი-კათოლიკური სწავლება, რომ თავად იყო რომის პირველი ეპისკოპოსი (Gergey, 1996: 19), ხოლო მეორე, როგორც ისტორიიდან ჩანს, რომ მან თავად აკურთხა რომის ეპისკოპოსი.

პავლე მოციქულს ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული. იგი მოსეს სჯულის ზედმინევიანით მცოდნე და მიმდევარი ყოფილა; რაბინთა სკოლაში ის გამორჩეული იყო. ამავე დროს, მას ჰქონდა მიღებული რომაულ-ბერძნული განათლებაც, რომლებსაც ისევე ბრწყინვალედ ფლობდა, როგორც ებრაულს, რაც ნათლად სჩანს მისი ეპისტოლეებიდან. ამრიგად, მასში იყო თავმოყრილი ანტიკური სამყაროს სამი დიდი კულტურა – ებრაული, რომაული, ბერძნული. იგი იყო მდევნელი და სასტიკი მტერი ქრისტიანობისა. სულ ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო მთავარდიაკონი სტეფანეს წამებაში, მაგრამ უფალი ქრისტიანთა ამ სასტიკ მდევნელში რჩეულ ჭურჭელს ხედავდა, რომელიც სულიწმიდის მადლით უნდა ავსებულიყო; და აი, ერთხელ, როცა იგი იერუსალიმიდან დამასკოში მიდიოდა, ქრისტიანების შესაპყრობად, მას უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა. ამ ხილვის შედეგად იგი რადიკალურად შეიცვალა, მონათლა და ქრისტეს დაუძინებელი მტრიდან სახარების უშიშარ მქადაგებლად იქცა. იგი პირდაპირ ქრისტესგან იქნა მონოღებული მოციქულად. პავლე მოციქულს განსაკუთრებული ღვანლი წარმართების მოქცევაში მიუძღვის; ცნობილია მისი რამდენიმე მოგზაურობა წარმართთა ქალაქებში. იგი აღესრულა რომში, არა ჯვარზე გაკვრით, რადგან პავლე მოციქულს რომის მოქალაქის წოდება ჰქონდა, ხოლო რომის მოქალაქის ჯვარზე გაკვრა რომაული კანონით აკრძალული იყო – მას თავი მოჰკვეთეს (Schaff, 2002: 181-206). აქედან მოყოლებული ქალაქი რომი, როგორც თავმოციქულთა პეტრესა და პავლეს ქადაგებისა და მონამეო-

ბრივი აღსასრულის ადგილი, ქრისტიანთა შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა.

ბუნებრივია, რომ რომისთვის ეს პატივი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და ამით სარგებლობდა კიდევ, რაც რომის იმპერიის დედაქალაქს ეს პატივი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენდა.

3) პაპის პრიმატის თეორია ეფუძნება გადმოცემას, რომ თავად მაცხოვარმა – იესო ქრისტემ დაადგინა პეტრე მოციქული ეკლესიაში და მთელს დედამიწაზე მის ერთადერთ, განსაკუთრებულ წარმომადგენლად მოციქულთა შორის. პეტრე მოციქული იყო თავი მოციქულთა არა მხოლოდ პატივით, არამედ ის უნდა ყოფილიყო ეკლესიის ხილული საფუძველი; ჰქონოდა უმაღლესი ძალაუფლება გახსნისა და შეკვრის;¹ ყოფილიყო ადამიანების მებადური; დაემწყოს ქრისტეს ცხვრები; განემტკიცებინა ძმები რწმენაში (Volkonsky, 1933: 38). უფალმა დაადგინა ის თავისი ეკლესიის კლდედ, და დაავალა მორწმუნეთა მწყემსვა, თუმც, ეს მისია ყველა მოციქულს ევალებოდა; დასავლეთის სწავლების მიხედვით კი, ეს ყოველივე მხოლოდ პეტრე მოციქულს ეხებოდა და მხოლოდ რომის ეპისკოპოსს მიესადაგებოდა (Meyendorf, 2006: 71). ეს დამოკიდებულება დასავლეთმა აიღო სახარებიდან, რომელიც ზემოთ უკვე აღნიშნა; და, რადგანაც მათი გარდამოცემის მიხედვით, რომის ეკლესია იყო დაფუძნებული პეტრე და პავლე მოციქულების მიერ, აქედან გამომდინარე, ქრისტიანული სწავლება სრულად და წმინდად მხოლოდ რომში იყო შემორჩენილი. ისევე, როგორც პეტრე მოციქული, პირველი მოციქულთა შორის და, როგორც ქრისტეს მონაცვლე დედამიწაზე, ასევე რომის პაპიც მიიჩნეოდა, როგორც ყველა ეპისკოპოსის თავი და, ისიც თავს პეტრეს მემკვიდრედ მოიაზრებდა (Maksimov, 2014: 12).

რომის ეპისკოპოსის ძალაუფლების გაზრდის საკითხში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისტორიულმა მოვლენებმაც. IV საუკუნეში, პაპების ძალაუფლებრივი მდგომარეობა იწყებს ცვალებადობას რომის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. პოლიტიკური ცენტრის ცვლილებამ და იმპერიის ორ ნაწილად – დასავლეთისა და აღმოსავლეთის რეგიონებად გაყოფამ, გამოიწვია ის, რომ რომში პაპი დარჩა ერთადერთი უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელი; მართალია, რომმა შეწყვიტა ძველი მსოფლიოს ცენტრის ფუნქცია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ მკაფიოდ არ აღიქმებოდა, თუმც ინტუიციურად პაპები გრძნობდნენ, რომ იმპერიის ცენტრის ცვლილება გამოიწვევდა პროვინციაში არსებული ეკლესიების ურთიერთმიმართების ორიენტირის ცვლილებასაც, ამიტომ საჭირო იყო სხვა პრეროგატივები, რომლებიც ნაკლებ

¹ ეფუძნება სახარებას: „და მიგცე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათაჲსანი; რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჰსნა ქვეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე, 16:18). სადაც კლიტენი აღნიშნავებ ძალაუფლებას, რომელიც ეკუთვნის ქრისტეს. იგი აძლევს პეტრეს. იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ პეტრემ ამ ქვეყანაზე მიიღო სასუფევლის გასაღები, რომლის ძალითაც შეუძლია ცათა სასუფევლის კარების გაღება, ცოდვების მიტევა „გახსნა და შეკვრა“ (Volkonskiy, 1933: 47-48).

იქნებოდა დამოკიდებული ისტორიულ ცვლილებებზე (Bolotov, 2006: 274). კონსტანტინე დიდის შეწირულობებისა და სამართლებრივი პრივილეგიების შედეგად, რომის ეკლესიის ხელთ აღმოაჩნდა დიდი სიმდიდრე და ძალაუფლება (Lozinsky, 1986: 26).

V საუკუნეში, პაპების სახელმწიფოს დამცველის რანგში ამაღლება, რომის იმპერატორების ავტორიტეტის დაცემის პარალელურად მიმდინარეობდა. პაპი ინოკენტი I (401-417 წწ.) გმირი ხდება – 401 წელს ვესტგოთების პირველი მეფე ალარიხი I (395-410 წწ.) იჭრება იტალიაში და უახლოვდება რომს. გამოჩენილი ქრისტიანი პოეტი პრუდენცი¹ ხოტბას ასხავდა პაპს რომის გადარჩენისთვის. სიცილიის სანაპიროსთან ამოვარდნილმა ქარიშხალმა გაანადგურა ალარიხის გემები და ჯარის ნაწილი. ამ მოვლენამ კიდევ უფრო გააბუნდოვანა ლეგენდები პაპ ინოკენტიზე. სარგებლობდა რა ამით, პაპი ინოკენტი I აფართოვებდა თავის ძალაუფლებას პროვინციებზე. მსგავსი დიდება მოიპოვა პაპმა ლევ I-მაც (440-461 წწ.). გავრცელებული საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ის თითქოს გაემგზავრა ელჩად მტრის ბანაკში მას შემდეგ, რაც ატილამ 452 წელს გადაწვა ვენეცია და ლიგურია. მან დიდი ძღვენის მეშვეობით დაარწმუნა იგი იტალიიდან წასვლაში; მოგვიანებით, 455 წელს კი, როგორც მოხერხებულმა დიპლომატმა შეძლო რომის გადარჩენა დიდი გამოსასყიდის ფასად ვანდალების მეფის გეიზერიხისგან (390-477 წწ.). იგი მხოლოდ 14 დღიანი ქალაქის ნგრევით შემოიფარგლა, ხოლო მოსახლეობას სიცოცხლე შეუნარჩუნა; ეკლესიები გადაწვა, ხოლო ქალაქის მთავარი ტაძრის გაძარცვა კი არ დაუშვა. პაპი ლევ I დიდის სახელი განდიდდა დასავლეთ იმპერიაში. პაპობის გაძლიერებისთვის მან ვალენტინიანე III-ეს გამოაცემინა დეკრეტი, რომ პაპის სამსჯავროს დამორჩილებოდნენ ეპისკოპოსები და პაპის გადაწყვეტილებებს მიენიჭა კანონის ძალა. ეს დრო მსხვილი მინათმფლობელების რომიდან ბიზანტიაში დიდი მიგრაციის პერიოდი. მიტოვებული მამულები ძირითადად რომის პაპის მფლობელობაში გადადიოდა. ასე იზრდებოდა პაპის პოლიტიკურ პრესტიჟთან ერთად მისი მატერიალური სიკეთის ბაზაც (Lozinsky, 1986: 29-31).

476 წელს დაეცა დასავლეთ რომის იმპერია და მთელი ძალაუფლება როგორც სახელისუფლო, ისე სასულიერო რომის პაპს დაექვემდებარა. პაპობის ძალაუფლებამ განსაზღვრა ბარბაროსების წარმართობიდან და არიანელობიდან კათოლიკეებად მოქცევა.

დასავლეთში, ეკლესია, მას შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა, როდესაც ფრანკთა მეფემ ხლოდვიგ I-მა (481-511 წწ.) იმ მიზნით, რომ გალიის ქრისტიანული მოსახლეობა დაეყოლიებინა ფრანკთა დიდი სამეფოს შესაქმნელად, მიიღო ქრისტიანობა რომის ეკლესიის ტრადიციით და თავი გამოაცხადა ქრისტიანობის დამცველად. იგი ეკლესიის მაღალ წარმო-

¹ პრუდენცი – ლათ. Aurelius Prudentius Clemens (348-405), რომაელი პოეტი. დაბადებული უნდა იყოს ქრისტიანად. სავრაუდოდ, წარმოშობით ესპანელი. დაბადების ადგილი უცნობია (The Catholic Encyclopedia, vol.12, 1911: 517).

მადგენლებს უხვად ასაჩუქრებდა მიწებით. ასე მტკიცდებოდა კავშირი საკურთხეველსა და სამეფო ტახტს შორის ხალხის მასების დასამორჩილებლად (Lozinsky, 1986: 31).

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ რომის ეპისკოპოსი ქრისტიანულ სამყაროს მოევლინა როგორც სასულიერო, ისე საერო ძალაუფლების მქონე პირად, ანუ დასავლეთ იმპერიის ერთპიროვნულ მმართველად. როგორც ცნობილია, საერო და პოლიტიკური მმართველობა ემყარება ძალაუფლებას, ამიტომაც ნებისთ თუ უნებლიეთ, ამ ფაქტმა გამოიწვია რომის ეპისკოპოსის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის გარკვეული ზრდა. რომის პაპებმა როგორც პოლიტიკურმა ლიდერებმა და ბრწყინვალე დიპლომატებმა არაერთგზის დაიცვეს რომი განადგურებისაგან, რამაც მათ სახელს შესძინა კიდევ უფრო დიდი გავლენა, პატივი და ავტორიტეტი. ზემოაღნიშნულმა, რომის სასულიერო იერარქიის საერო ხელისუფლებასთან კავშირის სახასიათო ფორმა ჩამოაყალიბა, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა აღმოსავლეთის ეკლესიის საერო ხელისუფლებასთან კავშირისაგან.

აღმოსავლეთში, კონსტანტინე დიდმა საფუძველი ჩაუყარა ე.წ. ცეზაროპაპიზმს¹ და მოქმედებდა ვიდრე იუსტინიანემდე.² კონსტანტინე დიდმა უარი განაცხადა დაეკავებინა ეკლესიის მიმართ პირველად მინიჭებული დამოკიდებულება, კერძოდ, საეკლესიო ნეიტრალიტეტი და ხშირად აძლევდა თავს უფლებას ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში – „ჯერ არ იყო გამხდარი ეკლესიის შვილი, რომ ის იქცეოდა არა მარტო როგორც ეკლესიის მფარველი, არამედ მმართველიც“. (Bolotov, 2006:51-52) დასავლეთში კი, სრულიად განსხვავებული ფორმაა ე.წ. პაპოცეზარიზმი, ანუ, პაპიზმის თეოკრატიული მმართველობა, ეკლესიის გაბატონებული მდგომარეობა სასულიერო და საერო საქმეებზე (Pavliashvili, 2010: 306).

ქრისტიანობის ისტორიკოსი, პროფ. ევ. ტრუბეცკოი აღნიშნავს: „აღმოსავლეთში საერო ხელისუფლება სათანადოდ ძლიერი იყო, საერო და სასულიერო ხელისუფლების შერწყმაში პრიორიტეტული უფლება საერო ხელისუფლებას ჰქონდა. მან ეკლესიის ფუნქციის უზურპაცია მოახდინა. განსხვავებული ვითარება შეიქმნა დასავლეთში. აქ IV-V საუკუნეების მან-

¹ საერო ხელისუფლების გაბატონებული მდგომარეობა სასულიერო ხელისუფლებაზე.

² იმპერიის აღმოსავლეთში, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის სწორ ნორმად მიჩნეული იყო იმპერატორ იუსტინიანე დიდის (527-565) კანონმდებლობა, რომელიც, როგორც აღინიშნა, ქრისტიანობის ისტორიაში ცნობილია იუსტინიანეს კოდექსის მე-6 ნოველაში, სადაც აღნიშნულია რომ ღმერთმა კაცობრიობას მომადლა ორი უდიდესი სიკეთე – სამღვდელოება და მეფობა. ორივე ერთი და იგივე წყაროდან მომდინარეობს და ემსახურება კაცობრივი ცხოვრების შემკობას. ამიტომ სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა სამღვდელოების კეთილდრეობაზე ზრუნვა, რომელიც, თავის მხრივ, მას ემსახურება ღვთის წინაშე საზოგადოების კეთილდღეობაზე ლოცვით (Pavliashvili, 2010: 309).

ძილზე, დასავლეთს იმპერიის დაცემამდე, ერთის მხრივ, მიმდინარეობდა საერო ხელისუფლების თანდათანობითი დამცრობის პროცესი და მეორეს მხრივ, ეპისკოპოსის ინსტიტუტის სწრაფი აღზევება. აქ სასულიერო ხელისუფლება გაბატონდა საერო სფეროზე და თვით იმპერატორიც კი დაიქვემდებარა“ (Pavliashvili, 2010: 306-307). ეკლესიის ისტორიკოსი მ. პოსნოვი ამ სხვაობას შემდეგნაირად ხსნის – „მიზეზი საძიებელია ელინი და ლათინი ნაციების ეთნიკურ მახასიათებლებში. ბერძენ ხალხს არ აღმოაჩნდა მმართველობის ბუნებრივი ნიჭი. თავისი აღორძინების პერიოდში, მან ვერ მოახერხა თავისი რესპუბლიკებისგან ერთიანი ძლიერი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება. ბერძენების ინტელექტი სრულად წარიმართა დოგმატური აზროვნების განვითარების მიმართულებით. თავისუფლების მოყვარული ბერძენები რომის უღელქვემ აღმოჩნდნენ, რომლისგანაც განთავისუფლებას ვერ ახერხებდნენ. ბერძნულმა ქრისტიანულმა სამყარომ საუკუნოვანი ჩაგვრის შემდეგ, ადვილად აულო ალლო ქრისტიან ხელისუფალთან ურთიერთობის საჭიროებას. ბერძენების ხასიათში არ იყო სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეთა, რამეთუ სრულ ნდობას უცხადებდა ღვთივმოსავ ხელისუფალს და ეკლესიის თავისუფლებისთვის მას შემდეგ დაინყო ბრძოლა, როდესაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა დოგმატიკის ხელყოფა, მისი შევიწროება. თუ ბერძენისათვის დამახასიათებელი იყო ფილოსოფიური აზროვნება, რომაელებისათვის იურიდიული აზროვნება იყო სახასიათო ნიშანი. ეს უკანასკნელნი დაჯილდოებულნი იყვნენ ადმინისტრაციულ-ოგანიზატორული ნიჭით, რისი წყალობით შეიმუშავეს მტკიცე სისტემა და დაამყარეს ქვეყანაში სანიმუშო წესრიგი. რომში პიროვნებას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა და ის სახალხო გმირის სტატუსს ვერ უტოლდებოდა, როგორც ეს საბერძნეთში იყო მიღებული. რომის კონსულები უბრალო მოხელეები იყვნენ. რომში ნიჭიერ პიროვნებას უფლება არ ჰქონდა დაპირისპირებოდა ქვეყანაში დანერგილ მტკიცე სამართლებრივ ნორმას. აღნიშნულის გამო, რომაელი ქრისტიანისაგან მოსალოდნელი იყო ეკლესიის თავისუფლებისთვის სისტემური ხასიათის შეურიგებელი ბრძოლა ხელისუფლებასთან“ (Pavliashvili, 2010: 307).

IV-V საუკუნეებში რომის ეპისკოპოსების მიერ გამოვლენილმა ძალაუფლებისთვის ბრძოლამ თანდათანობით მძიმე და შეუფერებელი ფორმები მიიღო. რომის ეპისკოპოსმა ქალაქ რომის, როგორც მთელი დასავლეთის ცენტრად მოვლინებით შეძლო დიდი პოლიტიკური-რელიგიური ძალაუფლებრივი ავტორიტეტის, მატერიალური დოვლათის მოხვეჭა, რამაც გამოიწვია მისი ძალაუფლებრივი დანინაურება. აღნიშნულს, ხელი შეუწყო მისმა, როგორც იმპერიის ყოფილი დედაქალაქის ისტორიულმა მნიშვნელობამ და რელიგიურმა, კერძოდ, მოციქულთა თავნის საფლავის არსებობამ; ასევე, პაპების დაულალავმა შრომამ თავიანთი უპირატესობის დასამტკიცებლად. მათმა ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია მძიმე შედეგები, რაც აისახა პირველ რიგში დასავლეთის სულიერ ცხოვრებაზე, კერძოდ, ის, რომ რომის, როგორც იმპერიის ცენტრის სტატუსის დაკარგვით გამოწვეული დანაკლისი უნდა შევსებულიყო თე-

ოლოგიური არგუმენტებით რამაც, როგორც ვნახეთ გამოიწვია რწმენის მხრივ დასავლეთის და აღმოსავლეთის ქრისტიანების გაუცხოება.

ყველა თანამედროვე ისტორიკოსი თანხმდება იმაში, რომ განხეთქილება რომსა და კონსტანტინოპოლს, ქრისტიანობის ორ ცენტრს შორის ადრეულ შუასაუკუნეებში არ შეიძლება დაუკავშირდეს კონკრეტულ ერთ თარიღს, ან მოვლენას. ეს იყო უფრო თანდათანობითი განსხვავება, „გაუცხოება“, რომელიც დაიწყო საღვთისმეტყველო დაძაბულობით მსოფლიო კრებების პერიოდში და განსხვავებული საეკლესიო მმართველობის ფორმის განვითარებით (Meyendorf, 2006: 68).

რომის ეპისკოპოსის ასეთმა პოლიტიკამ, სწრაფვამ ძალაუფლების მოპოვებისკენ, ზოგადად ეკლესიას და საერო ხელისუფლებას მძიმე და სავალალო შედეგები მოუტანა როგორც დასავლეთს, ისე ბიზანტიის იმპერიას და სრულიად საქრისტიანოს.

ზემოაღნიშნული მოვლენების ასეთმა განვითარებამ, ორ ქრისტიანულ სამყაროს შორის გააჩინა ბზარი, ეტაპობრივად გამოიწვია მათი გაუცხოება და ურთიერთდაპირისპირება, მაგალითად, პაპი ნიკოლოზ პირველისა (858-867) და წმინდა პატრიარქი ფოტიოსის კონფლიქტი, რომელიც 150 წლის შემდეგ განხეთქილებით, ე.წ. „დიდი სქიზმით“ დასრულდა (1054 წ.).

გამწვავდა ორ ქრისტიანულ სამყაროს შორის პოლიტიკური დაპირისპირებაც, რაც გამოვლინდა ჯვაროსნული ლაშქრობით კონსტანტინოპოლში; ამ უკანასკნელის დასუსტებამ კი, საბოლოოდ 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის დაცემა გამოიწვია.

მძიმე შედეგები აისახა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქრისტიანოზე, რადგან აღმოსავლეთთან კავშირის განწყვეტამ და მასთან მეტოქეობამ, დასავლეთს მართლმადიდებლური რწმენიდან გადაახვევინა; თუ ბიზანტიამ ფიზიკური არსებობა შეწყვიტა, დასავლეთმა მართალია ფიზიკური არსებობა შეინარჩუნა და განაგრძო, მაგრამ სულიერად დაზარალდა.

ლიტერატურა:

1. Bolotov, 2006-Bolotov B. Lekcii Po Istorii Drevnei Cerkvi, T. III, C-Peterburg, 2006.
2. Bradjuli, 2000-Bradjuli I. Romauli Katolicizmi, Tbilisi, 2000.
3. Gergey, 1996- Gergey E. Istoria Papstva, Moskva, 1996.
4. Volkonsky, 1933-Volkonsky A. Katolichestvo, Paris, 1933.
5. Zadvorny, 1995-Zadvorny B. Istoria Rimskix Pap, T. I, Moskva, 1995.
6. Lozinsky, 1986-Lozinsky C. Istoria Papstva, Moskva, 1986.
7. Maksimov, 2014-Maksimov G. Chem Pravaslavie Otlichaetsa ot Monofizitstva, Katolicizma i Protenstantizma? Moskva, 2014.
8. Meyendorf, 2006-Meyendorf I. Rim, Konstantinopol, Moskva, Moskva, 2006.

9. Milash, 2004-Milash N. Pravila Sviatoy Pravoslavnoy Cerkvy s Tolokovaniami, Moskva, 2004
10. Pavliashvili, 2010-Pavliashvili K. Qristianobis Istorია, Tbilisi, 2010.
11. Schaff, 2002- Schaff P. History of the Christian Church, Vol. I, New York, 2002.
12. Pheidas, 2002-Pheidas B. Ekklesiastiki Istorია A, Athinai, 2002.

Avtandil Tsereteli

THE CAUSES AND CONSEQUENCES OF THE ROMAN BISHOP'S GAINING AND INCREASING AUTHORITY IN THE IV-V CENTURIES

*Presented by Institute of Religious Studies at Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Summary

The paper deals with the issues of the causes and consequences of the Roman bishop's gaining and increasing authority in the IV-V centuries. It has been demonstrated how and in what ways the enormous power turned out in his hands. Almost completely abandoned by the emperor, the West retains its existence through the care and protection of the Pope. After falling the Western empire bishops of Rome were given great authority and power and the seat of the old Roman Empire. The enormous wealth and authority of the Church led to the fact that the Roman Church desired to recognize himself supreme authority over all the churches not only with honor but with power. Therefore the new center of the Empire resolutely opposed against the Cathedral of Constantinople. This conflict led Byzantium to exhaustion, and then contributed to its fall. But Rome in order to reinforce forced its superiority to introduce false teachings into the Christian doctrine.

The bishop of Rome was able to gain a great political-religious power, material wealth for the city of Rome, as the whole western center.

მედეა ბენდელიანი

ეკლესიებისა და სამოციქულოების ამოქმედების საკითხი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში

მეორე მსოფლიო ომის წლებში, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო მხარდამჭერ ძალასთან ერთად, ესაჭიროებოდა ერთგული დასაყრდენი, რომელიც დაეხმარებოდა მას გარეშე აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერთ-ერთ ასეთ გარანტიად საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესია მიიჩნია. სწორედ ეკლესიის დახმარებით უნდა მომხდარიყო მოსახლეობის სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებში მოქცევა; საბჭოთა წყობის ავტორიტეტის ამაღლება; ანტიფაშისტური იდეოლოგიის წარმართვა; მსოფლიოს პოლიტიკური ნდობის მოპოვება და ა.შ. აღნიშნულის გამო, საბჭოთა ხელისუფლება, წინა წლებისგან განსხვავებით, რადიკალურად ცვლის საეკლესიო პოლიტიკას.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთავრობა არ უცხადებს აბსოლუტურ ნდობას ეკლესიას და მასზე განსხვავებული მეთოდებით აგრძელებს ზედამხედველობას.

საბჭოთა ხელისუფლების ეკლესიასთან ერთიანობა, რეგიონალური ეკლესიებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებაში ვლინდება. მთავრობამ დააარსა ისეთი სასულიერო ორგანო, რომელიც კურირებას გაუწევდა ეროვნულ ეკლესიებს, დაუქვემდებარებდა მათ ცენტრს-რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომლის ერთგულების მოპოვებისთვის თავდაუზოგავად იღვწოდა საერო ხელისუფლება. ასეთი მეთოდით სახელმწიფო ხელისუფლებას მუდმივ მეთვალყურეობაში ჰყავდა რესპუბლიკის ეკლესიები. მათ რიცხვში აღმოჩნდა ქართული ეკლესიაც. აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის 1943 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკლესიის საქმეთა გამო, ცალკე საბჭოს დაარსებაზე (Suicsa, f.1879, a. 1, s.1). ამ შემთხვევაშიც აშკარად ჩანდა პარტიის ფრთხილი პოლიტიკა ეკლესიისადმი, რაც მთელი სისრულით ეროვნულ ეკლესიასთან მიმართებაში გამოვლინდა. სახელმწიფო ხელისუფლება ცდილობდა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოლოდა რესპუბლიკის ეკლესიები და საჭიროების შემთხვევაში სათანადო, საგანგებო ზომებიც კი მიეღო. სწორედ ამის გამო, რუსულ ეკლესიასთან არსებულ საბჭოს იურისდიქცია მთელი კავშირის მასშტაბით გავრცელდა. მას, როგორც კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ორგანიზაციას, დაექვემდებარა მთელი კავშირის მართლმადიდებლური ეკლესიები. მათ რიცხვში აღმოჩნდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიაც. რესპუბლიკების მოსახლეობისა და ეროვნული ეკლესიების თვალის ახვევის მიზნით, რუსეთის რიგ რეგიონში მასიური სახე მიეცა 20-30-იან წლებში დახურულ ეკლესია-მონასტრების ამოქმედებით სამუშაოებს.

მართალია, ასეთი სახის ღონისძიებანი ნაკლებ ეხებოდა ეროვნულ, მათ შორის ქართულ ეკლესიებსაც, მაგრამ საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მრევლში ამ მიმართულებით ერთობ გაცხოველდა საქმიანობა. საქართველოს სამრევლოთა კრებულებმა მასიურად მოითხოვა ეკლესიათა გახსნის უფლება (Suicsa, f.1879, a. 1, s.1). არსებული ვითარება გაამაგრა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წ. 1 დეკემბრის დადგენილებამ „მართლმადიდებლური ეკლესიებისა და სამლოცველო სახლების შესახებ“.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენდა:

1. აიკრძალოს დახურვა დადგენილი წესით რეგისტრირებული მართლმადიდებელი ეკლესიებისა, რომლებიც ყოფილ საეკლესიო შენობებში მოქმედებდნენ, და იმ სამლოცველო სახლებისა, რომლებიც მორწმუნეთა მიერ იჯარით აღებულ სადგომებში არიან მოთავსებული, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებადართულად;
2. ნება დაერთოს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივ საბჭოებს, საოლქო და სამხარეო აღმასკომებს, საჭიროების შემთხვევაში გაათავისუფლონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობები (სკოლები, კლუბები, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებანი და სხვა), რომლებიც გერმანელთა ოკუპაციის პერიოდში გამოყენებული იყო ეკლესიებად და სამლოცველო სახლებად, ამასთან მისცენ საეკლესიო საზოგადოებებს დრო, რაც საჭიროა იმისთვის, რომ მოძებნონ სხვა შენობები იჯარისუფლებით. ასეთ შემთხვევაში, როცა აღნიშნული სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოთავსებული იყვნენ ყოფილ საეკლესიო შენობებში, ხოლო ოკუპაციის პერიოდში ეს შენობები რელიგიურმა საზოგადოებებმა დაიკავეს, ამ შენობების გათავისუფლების საკითხი უნდა გადაიჭრას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან შეთანხმებით;
3. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს, როცა მორწმუნეთა მნიშვნელოვანი ჯგუფებისგან მიღებული იქნება შუამდგომლობა მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნის შესახებ, თუ რაიონში ან ქალაქში არ მოიპოვება მოქმედი ეკლესიები ანდა მოქმედი ეკლესია განმცხადებელთა საცხოვრებელი ადგილიდან მნიშვნელოვან მანძილზე მდებარეობს – დააკმაყოფილოს ეს შუამდგომლობა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 ნოემბრის №1325 დადგენილებით გათვალისწინებული წესით. პირველ რიგში დააკმაყოფილებული უნდა იქნას მორწმუნეთა შუამდგომლობანი იმ ეკლესიების გახსნის შესახებ, რომელთა მიმართაც არ ყოფილა გამოტანილი დადგენილებანი მათი დახ-

ურვის შესახებ და საეკლესიო შენობები თავისუფალია და მათი გადაკეთება არ მომხდარა.

4. აიკრძალოს საეკლესიო შენობების გადაკეთება სხვა მიზნებისთვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებადაურთველად;
5. დაწესდეს, რომ საეკლესიო შენობების დანგრევა ან აღება დაიშვება საოლქო (სამხარეო) აღმასკომის, ან რესპუბლიკის სახკომსაბჭოს განკარგულებით განსაკუთრებულ შემთხვევაში (თუ შექმნილია მისი ჩამონგრევის საფრთხე და სხვ.), უკეთუ ამის შესახებ შედგენილია აქტი და არსებობს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის დასკვნა;
6. დაწესდეს, რომ ახალი სამლოცველო შენობების მშენებლობა დაიშვება ცალკეულ შემთხვევაში მორწმუნეთა ძალებითა და სახსრებით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს ნებართვით (Sutsa, f. 600, a. 2, s. 581).

ყურადღებას შევაჩერებთ დადგენილების მესამე პუნქტზე, რომელიც ითვალისწინებდა მორწმუნეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მართლმადიდებელი ეკლესიისა და სამლოცველო სახლების გახსნის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1943 წლის 28 ნოემბრის №325 დადგენილებით გათვალისწინებული წესით (Suitsa 1165, a.1, s. 23).

მოცემული დოკუმენტით აშკარა ხდება საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა ყველა პუნქტით ქართული ეკლესიის საშინაო საქმეები რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ჩარევის გარეშე არ წყდება. რუსეთის სასულიერო ხელისუფლებაში ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმებითა და ნებართვით წინასწარ ხდებოდა საქართველოს საპატრიარქოს ყველა ეკლესია-მონასტრის ისტორიული წარსულის შესწავლა-გაცნობა და იმ შემთხვევაში, თუ მათი სასულიერო კრებული საერო ხელისუფლების ნდობას დაიმსახურებდა, რუსული მართლმადიდებელური ეკლესიის საბჭოს გადაწყვეტილებით აღნიშნულ ეკლესიათა ამოქმედებისთვის მზადება იწყებოდა.

საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობა სწორად აღიქვამდა ხელისუფლების მიზნებს და მიუხედავად ამ შეფარვითი პოლიტიკისა, ყოველნაირად ცდილობდა ზემოაღნიშნული დოკუმენტის თავის სასარგებლოდ რეალიზებას, რადგანაც ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის საფუძველზე საქართველოს საკათალიკოსოს საშუალება ეძლეოდა მორწმუნეთა თხოვნები ეკლესიების გახსნისა და მასში ღვთისმსახურების ამოქმედების შესახებ გადაეგზავნა საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარისთვის დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ ასეთი რთული ბიუროკრატიული გზებით საქართველოს საეკლესიო საქმეთა მოგვარების ნებართვა ეძლევა სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკლესიის საბჭოს საქართველოს მაშინდელ რწმუნებულს, კ. ი. ქადაგიშვილს.

მოუხედავად მთავრობის საგანგებო დადგენილებისა, ქართული სამღვდელთა და მორწმუნე საზოგადოების დიდი ძალისხმევით, საქართველოს ეკლესია-მონასტრების ამოქმედების საკითხი უკიდურესად ჭიანჭურდებოდა, რაც ბუნებრივია, მრევლის უკმაყოფილებას იწვევდა. ხელისუფლების გადაწყვეტილების არაადროულად აღსრულებას მრავალი სერიოზული მიზეზი ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნა და სახელმწიფო სახსრების თავდაცვის ფონდში გადასროლა. მთავრობას უჭირდა საეკლესიო საქმისთვის სახსრების გამოყოფა. ამავდროულად, საბჭოთა წყობილების ინტერესებში არ შედიოდა რეგიონალური ეკლესიის გაძლიერება, რაც ეროვნული ინტერესების გაღვივების მომასწავებელი იქნებოდა. საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად ვლინდებოდა საქართველოს ხელისუფლების საქმიანობაშიც, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, დროულად გადაჭრილიყო ეკლესია-მონასტრების უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა, საქართველოში საპროცედურო საკითხების განხილვას აჭინაურებდა.

საქართველოს მრევლი ხედავდა რუსული ეკლესიის პრივილეგიებს და ამის მიზეზს ადგილობრივი ორგანოების ბიუროკრატიულ-შოვინისტური მიზნებით ხსნიდა. სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული მორწმუნეთა მიმართევი ადგილობრივი ორგანოებისადმი, სადაც სამართლიანობის აღდგენას ითხოვდნენ. თუმცა მთავრობის არაერთგზისმა რეპრესიამ მოსახლეობა იმდენად დააშინა, რომ მისი დიდი ნაწილი ფარულად ეწეოდა ეკლესიურ ცხოვრებას და პრეტენზიების გამოთქმისაგან თავს იკავებდა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და უნეტარესი კალისტრატე იტყობინებოდა, რომ ქართული ეკლესიის უფლებამოსილების აღდგენის სურვილს მორწმუნეთა ნაწილი მხოლოდ მასთან საუბრებში გამოხატავდა. დაშინებულ მოსახლეობაში ანტირელიგიური ორგანოების წარმომადგენლები შიშის ზარს სცემდნენ, ხმებს ავრცელებდნენ, რომ რეპრესიებში მოხვდებოდნენ ისინიც, ვინც საეკლესიო საქმისთვის სახსარებს გაიღებდა. აღნიშნულ საქმეში ჩართული იყო სასულიერო ფენის ის ნაწილიც, რომელიც ხელისუფლების სასარგებლოდ საქმიანობდა და მის აგენტურას წამოადგენდა (Suitsa, f. 1879, a. 1, s. 1).

კათალიკოს-პატრიარქი მთავრობისაგან მოითხოვდა ეკლესიის ავტორიტეტის შემლახველთა ქმედებების ალაგმვას; საეკლესიო სამსახურის კანონიერი გზით ჩატარების განახლებას; მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობით დადგენილი ქრისტიანული წესების აღსრულებას.

ეკლესიების გახსნის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით სოხუმში, გუდაუთასა და ბათუმში იდგა. აღნიშნულ მოვლენას სერიოზული პოლიტიკური მიზანი გააჩნდა. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ამ რეგიონის მოსახლეობის ჭრელი ეროვნული და სარწმუნოებრივი ფაქტორი. აფხაზეთისა და აჭარის რეგიონები, როგორც უძველესი ქართული მიწა-წყალი, ცარისტული რუსეთის პოლიტიკური მიზნების

განხორციელების შესანიშნავი საშუალება იყო. რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის წყალობით, ამ ადგილებში მრავლად სახლობდა არაქართველი მოსახლეობა, რაც შესანიშნავ საბაზს წარმოადგენდა ამ ტერიტორიული დაქუცმაცებისათვის. ხელისუფლების პოლიტიკა არ ითვალისწინებდა ქართული ეკლესიის იურისდიქციაში აფხაზეთ-აჭარის მოქცევას და შესაფერის დროს ელოდა ამ რეგიონების ქართული ეკლესიისგან ჩამოსაცილებლად, აქ ქართული ეროვნული იდეოლოგიის აღმოსაფხვრელად, რაც სამომავლოდ საქართველოსდანი მათ ტერიტორიულ მონყვეტას უზრუნველყოფდა.

საქართველოს ეკლესიამ ამ შემთხვევაშიც სწორად აულო ალო საბჭოურ პოლიტიკურ მიზნებს და ცენტრის წინაშე გადაჭრით დააყენა საკითხი. საქართველოს ეკლესიის მესვეურნი მრევლის განცხადებებში მოყვანილ არგუმენტებზე დაყრდნობით აცხადებდნენ, რომ რუსეთის ეპარქიებში მასიურად მიმდინარეობდა ეკლესიების გახსნა (მაგ., სოჭში), ხოლო გამორჩევით, გუდაუთასა და სოხუმში – არა. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელისუფლებას უწინასწარმეტყველებდა სახელმწიფოებრივად საშიშ სამომავლო შედეგებს: „თუ აფხაზეთის მოსახლეობამ ეკლესიურად რუსეთისკენ გაიწია, ვაითუ მან პოლიტიკურადაც (ტერიტორიულადაც) იქეთკენ გაიწიოს“ (Suitsa f.1879, a.1, s. 2).

ასეთი გაფრთხილებით, სასულიერო ხელისუფლება ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესიისთვის ცნობილი იყო პარტიის სამომავლო გეგმები და მოუწოდებდა მას გონივრული პოლიტიკისკენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ეკლესია დროისა და ვითარების შესაბამისად მოქმედებდა, აულო რა ალო სამამულო ომის პერიოდის საბჭოურ პოლიტიკას ეკლესიისადმი, მისი მესვეურები ლავირების მეთოდით ცდილობდნენ ეროვნული ეკლესიის გადარჩენას, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედნენ წინ და ეტაპობრივად ცდილობდნენ ხელისუფლებისაგან საეკლესიო მოთხოვნილებათა დაკმაოფილების ნებართვის მიღებას. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა იყო საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნის ნებართვა, რომელსაც ეროვნულ-იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნდა და რომელიც მკაცრად იდევნებოდა 20-30-იან წლებში, კერძოდ, კათალიკოს-პატრიარქი მთავრობისგან ითხოვდა ეროვნული და რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის ნებართვას. კათალიკოს-პატრიარქი ალუთქვამდა მთავრობას, რომ „თუ ხელისუფლება ერთჯერად წირვა-ლოცვაზე დათანხმდებოდა, მის მიერ ამა თუ იმ ტაძარში გაგზავნილი მოძღვარი დღესასწაულისა და კვირა დღის გარდა წირვა-ლოცვას მხოლოდ საღამოს საათებში, სასოფლო-სამეურნეო მუშაობის შემდეგ ჩაატარებდა (Suitsa, f.1879, a. 1, s. 2).

ქართული ეკლესიისა და მისი მრევლის მეცადინეობა – შეენარჩუნებინათ ეროვნული ეკლესია – უშედეგოდ არ ჩაუვლია. ხელისუფლებამ გაითვალისწინა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამსახურება XX საუკუნის 40-იან წლებში და 1944 წ. 1 ივნისის მონაცემებით, საქართველოში უკვე ფუნქციონირებდა 26 ეკლესია. მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ხელისუფლებამ ანტისაეკლესიო პოლიტიკური კურსიდან გადაუხვიდა.

საბჭოთა ხელისუფლება არ დაუშვებდა ქართული ეკლესიის უფლებათა გაფართოებას, პირიქით, ტაქტიკური სვლებით ცდილობდა მის დასუსტებას, ცენტრზე-რუსულ მართლმადილებლურ ეკლესიაზე – დაქვემდებარებას, რათა მისი მართვა და გაკონტროლება გაადვილდებოდა. ამით იყო განპირობებული, რომ XXსაუკუნის 40-იანი წლების საეკლესიო რეფორმაციისათვის დასახული მთავრობის ღონისძიებანი ხელოვნურად ფერხდებოდა.

წყარო:

1. SUITSA (Sakartvelos uakhlesi istoriis tsentraluri sakhelmtsipo arqivi), fondi 1879, aghttsera 1, saqme 1.
2. SUITSA, fondi 1879, aghtsera1, saqme 2.
3. SUITSA, fondi 1165, aghtsera 1, saqme 23.
4. SUITSA, fondi 600, aghtsera. 2, saqme 581.

Medea Bendeliani

ISSUE OF SETTING IN MOTION OF CHURCHES AND PRAYER
HOUSES IN GEORGIA AFTER WORLD WAR II

Summary

Under the Second World War, the Soviet government really needed a church, which would support and pursue its policy and could also serve for strengthening of economic sustainability; and the church for sure could bear such role. Thus, for Soviet government it became crucial to change the attitude towards the Church and use the latter for directing the national interests of the parish to the common interests of great Soviet Union and to strengthen its political authority among parish. The Soviet government aimed at gaining confidence of people to make them devotedly serve the future goals of the party. The Soviet government had a compromise policy towards religion during that period as the church was considered as an integral part of the state policy.

On December 1, 1944 the Council of People's Commissars of the USSR adopted a resolution – regarding Orthodox churches and prayer houses; the resolution prohibited the closing of the Orthodox churches and prayer houses registered according to the state procedures accommodated in the facilities, rented by believers. At the same time the resolution envisaged consideration of the applications received by the believers regarding setting in motion of closed churches and if it would not be dangerous for the Soviet power, to allow the clergy and the parish hold services.

The above-mentioned policy, under the World War II, was serving the Soviet government's aim to earn people's favour what appeared to be quite successful.

ეთერ ბოკელავაძე

ფრაგმენტი საქართველოს და იერუსალიმის ეკლესიათა ურთიერთობების ისტორიიდან XX საუკუნის 70-80-იან წლებში (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხისათვის)

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიო-ათმცოდნეობის ინსტიტუტმა

საქართველოსა და იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობები სათავეს ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ეპოქაში იღებს. საერთო სარწმუნოებრივმა ტრადიციებმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან ქრისტეს ორი მოციქულის (წმინდა იაკობისა და ანდრია პირველწოდებულის) საყდარი. ადრეშუასაუკუნეებიდანვე, ქართველი ბერები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ წმინდა მიწაზე სამონასტრო ცხოვრების განვითარებაში, რაც ქართული საეკლესიო-კულტურული სავანეების დაარსებასაც გულისხმობდა.

ქართველ და იერუსალიმის საეკლესიო მოღვაწეთა ურთიერთობები, გარდამავალი ინტენსივობით მრავალი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. თუმცა, რთული საერთაშორისო თუ შიდაპოლიტიკური ვითარების გამო, დროთა განმავლობაში, ქართველთა პოზიციები წმინდა მიწაზე შესუსტდა. XIX საუკუნიდან კი საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლის, ხოლო მოგვიანებით, ქვეყანაში არსებული საბჭოთა რეჟიმის პირობებში, იერუსალიმის ეკლესიასთან ურთიერთობების აღდგენის ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ისტორიულად ცნობილია, რომ პალესტინასა და საქართველოს შორის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები სათავეს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ პერიოდში იღებს. მაცხოვრის განკაცებისა და მიწიერი მოღვაწეობის შემდეგ კი, პალესტინის და, კერძოდ, იერუსალიმის მიწამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართველი ერისთვის. იერუსალიმი, საუკუნეების განმავლობაში, წარმოადგენდა ქართველი გვირგვინოსნებისა და სასულიერო პირების განსაკუთრებული ყურადღების საგანს, რასაც თავისი საეკლესიო და პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. წმინდა მიწა, როგორც მაცხოვრის მიწიერი ცხოვრებისა და ჯვარცმის ადგილი, განსაკუთრებულ სიწმინდეს წარმოადგენდა ქრისტიანული სამყაროს წევრ თითქმის ყველა ერისა თუ სახელმწიფოსთვის. მასზე გარკვეული პოლიტიკური თუ კულტურული გავლენა კი სახელმწიფოს ძლიერ პოლიტიკურ პოზიციებს უსვამდა ხაზს. წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობამ ინტენსიური სახე მიიღო ქართული მონასტრების დაარსების შემდეგ, რომელთაგან, თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა შესწავლილი

ჯვრის მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები, ამიტომ, მოცემულ ნაშრომში მისი ისტორიის განხილვაზე აღარ შევჩერდებით. ჩვენთვის საყურადღებოა ის კულტურული და პოლიტიკური ფუნქცია, რაც ამ ქართულ სავანეს ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში და ეკონომიკური საფუძვლები, რომელმაც იგი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში მოაქცია.

დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის ცნობით, ჯვრის მონასტერს პირველი ადგილი ეკავა იმ 19 მონასტერს შორის, რომელიც ქართველებმა დააარსეს პალესტინის ტერიტორიაზე. ჯვრის მონასტრის მნიშვნელობას ზრდიდა ის გარემოებაც, რომ იგი, გარდა სასულიერო კერისა, წარმოადგენდა ასევე შემოქმედებისა და მწიგნობრობის, ადგილობრივი და ქართული ქრისტიანული კულტურის მონაპოვართა ურთიერთგაზიარებისა და გაცვლის ცენტრს, რომელიც იმავდროულად, მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც პალესტინა – საქართველოს, ისე იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული დიპლომატიის დასაყრდენს წმინდა მინაზე, სწორედ ჯვრის მონასტერი წარმოადგენდა. ამით იყო განპირობებული ქართველ მეფეთა საგანგებო ზრუნვა (როგორც მატერიალური, ისე უფლებრივი მდგომარეობის კუთხით) მონასტერზე. თუმცა, ერთიანი ქართული სამეფოს დაშლისა და მახლობელ აღმოსავლეთში არსებული რთული ვითარების ფონზე, ქართველთა მხრიდან ნელ-ნელა შესუსტდა მონასტრისადმი დახმარება. პალესტინის ოსმალთა ხელში გადასვლის (1516 წ.) შემდეგ, ჯვრის მონასტრისა და ზოგადად, ქრისტიანული ტაძრების მდგომარეობა იერუსალიმში ძალზე გართულდა. ოსმალთა მხრიდან მართლმადიდებლურ სალოცავებზე დაწესებულმა მძიმე გადასახადებმა განაპირობა ის, რომ ქართული ტაძრების ნაწილი კათოლიკეების, ნაწილი კი – ბერძნების ხელში გადავიდა. არსებული ვითარება აისახა ჯვრის მონასტერზეც. ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაყოფილი საქართველოს მეფე-მთავრები (ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს) XVI-XVII საუკუნეებში შეძლებისდაგვარად აქტიურ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ წმინდა მინის ქართულ სასულიერო და კულტურულ ცენტრებს. თუმცა, XVII საუკუნის 80-იანი წლებისთვის ჯვრის მონასტრის ორგანიზაციული კავშირი საქართველოსთან სუსტდება და ფინანსური დახმარებაც იკლებს.

საყურადღებოა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის 1681 წლის ვიზიტი საქართველოში. როგორც მეფე არჩილ II-სადმი პატრიარქის მიერ გაგზავნილი ეპისტოლედან (1682 წლის 23 სექტემბერს) ირკვევა, ქართულმა მხარემ იერუსალიმის ქართულ სინმინდეთა დახმარებისთვის არაფერი დაზოგა და თავისი ვალდებულება პირნათლად შეასრულა (Mamistvalisvili, 2008: 126) საქართველოდან აღებული შესანიშნავი და საფასით, პატრიარქმა დოსითეოსმა 1685 წელს ჯვრის მონასტერი დაიხსნა. ყურადღებას იქცევს ხსენებული პატრიარქის მიერ 1686 წლის აპრილში მოსკოვის პატრიარქ იოაკიმისადმი გაგზავნილი წერილი: „იერუსალიმში ივერთა მონასტრები დავალიანებული იყო 94 000 ეფიმიკით. უკვე 30

ნელია, რაც მათ მონასტრები მიატოვეს და გაიქცნენ. არ შეგვეძლო, დაგვეშვა, რომ ლათინებსა და სომხებს გამოესყიდათ მევალებებისაგან ის მონასტრები. გასულ წელს მივედით იერუსალიმში შესანიშნავებით, ქართველებმაც მოგვცეს, ზოგიერთი ვალიც ავიღეთ და მთელი ვალი გადავიხადეთ და გავათავისუფლეთ მათი მონასტრები...” (Mamistvalishvili, 2008: 126). მკვლევარ ელდარ მამისტვალიშვილის შეფასებით, იერუსალიმის პატრიარქის მიერ მოსკოვის პატრიარქისათვის საქმის რეალური ვითარების დამალვას და ქართველთა მხოლოდ მცირე წვლილის მოხსენიებას მონასტრების გაათავისუფლების საქმეში, თავისი მიზანი ჰქონდა: იმ დროისათვის, რუსეთის, როგორც ძლიერი მართლმადიდებლური სახელმწიფოს მხარდაჭერას, იერუსალიმის საპატრიარქოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. იერუსალიმის პატრიარქი ცდილობდა შეექმნა საერთაშორისო აზრი, რომელიც მომავალში, საპატრიარქოს საკუთრებაში ქართული მონასტრების გადასვლას გაამართლებდა. ქართული მონასტრების ვალებიდან გაათავისუფლებისთანავე, იერუსალიმის საპატრიარქომ, პატრიარქ დოსითეოსის მეთაურობით, ისინი, მაშინვე თავის სისტემას დაუქვემდებარა (Mamistvalishvili, 2008: 126-127). აღნიშნული ფაქტი დაედო საფუძვლად მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ქართული საგანის იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს იურისდიქციაში გადასვლას და სწორედ ხსენებული ფაქტი წარმოადგენს თანამედროვე ეტაპზეც იერუსალიმის საპატრიარქოს ოფიციალური პოზიციის არგუმენტს ჯვრის მონასტერზე საკუთარი უფლებების დაცვის საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, XIX საუკუნიდან საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლის, ხოლო მოგვიანებით, ქვეყანაში არსებული საბჭოთა რეჟიმის პირობებში, იერუსალიმის ეკლესიასთან ცოცხალი ურთიერთობები შეწყდა. ურთიერთობების აღდგენას აფერხებდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო ასპარეზზე არსებული ვითარება და ისრაელისა და საქართველოს სხვადასხვა, ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკთა სისტემაში არსებობა. ორ უძველეს სამოციქულო ეკლესიას შორის ისტორიული ურთიერთობების აღდგენაზე მუშაობის დაწყება მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში გახდა შესაძლებელი, რაც უმთავრესად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სახელთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია ის, რომ XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოსა და იერუსალიმის საპატრიარქოებს შორის ურთიერთობები ძირითადად ეპისტოლარულ ხასიათს ატარებდა და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ოფიციალური წერილებით შემოიფარგლებოდა. 80-იანი წლების დასაწყისიდან კი, მისი უწმინდესობის, ილია II-ის ძალისხმევით, ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ცვლილებებს ხელს უწყობდა 80-იან წლებში სსრკ-ში დანერგული „გარდაქმნის“ (ე.წ. „პერესტროიკა“), პოლიტიკა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკის ტრანსფორმაციასაც გულისხმობდა. მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ტოლერანტულმა დამოკიდებ-

ულებამ საქართველოს საპატრიარქოს საშუალება მისცა, ქმედითი ნაბიჯები გადაედგა მსოფლიოს ქრისტიანულ ეკლესიებთან დაახლოებისკენ. საქართველოს ეკლესია აქტიურად შეუდგა იერუსალიმის ეკლესიასთან რეალური ურთიერთობების აღდგენას. დაისახა საეკლესიო თუ დიპლომატიურ საკითხებში თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები, რაც ორმხრივი ვიზიტებითა და ცოცხალი, მჭიდრო კავშირით იყო შესაძლებელი. მოცემულ პერიოდში, საქართველოსა და იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოთა ურთიერთობების ძირითად, საკვანძო საკითხს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი და მასზე ქართველთა ისტორიული უფლებების აღდგენა წარმოადგენდა. ჩვენც, ყურადღებას სწორედ აღნიშნულ საკითხზე ვამახვილებთ.

1980 წლის 30 მაისიდან – 5 ივნისამდე, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის ბენედიქტე I-ის მიწვევით, იერუსალიმს ეწვია საქართველოს პატრიარქი ილია II. საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის ვიზიტს იერუსალიმში, ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან 200 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც წმინდა მიწაზე საქართველოს პატრიარქს ფეხი არ დაუდგამს. 1 ივნისს, მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში საღმრთო-სადღესასწაულო წირვის აღსრულების დროს წარმოთქმულ სიტყვაში, მისი უწმინდესობა ილია II მიმართა იერუსალიმის პატრიარქს: „ჩვენი ჩამოსვლის მიზანი, თქვენო უნეტარესობავ, არის ის, რომ აღდგეს ის ძველი ტრადიციული ურთიერთობა, რაც გაგვაჩნდა ადრე. წარსულში, ჩვენი ქვეყნების ავბედობამ შეწყვიტა ეს ძმური ურთიერთობა და დღეს კი, ვფიქრობ, დადგა დრო, როცა იერუსალიმის ეკლესიამ უნდა შეასრულოს ის დიდი მისია, რაც ეკუთვნის დედაეკლესიას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ორივე მხრიდან: თქვენი უნეტარესობისაგან და ჩვენგან იქნება მიღებული ყოველგვარი ზომა, რომ ურთიერთკავშირი გაძლიერდეს. ეს სჭირდება ორივე მხარეს“ (Jvari Vazisa, 1980 : 10).

31 მაისს, ისრაელის რელიგიის მინისტრთან, ისრაელ აპელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, მინისტრის კითხვაზე, ფიქრობდა თუ არა, საქართველოს ეკლესია ჯვრის მონასტერში ქართველი ბერების მოღვაწეობის განახლებაზე და ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხის აღძვრაზე, საქართველოს პატრიარქმა უპასუხა: „დიახ, ჯვრის მონასტერი ჭეშმარიტად ქართული მონასტერია, ქართველთა მიერ აშენებული. აქ, საუკუნეთა მანძილზე მოღვაწეობდა მრავალი ქართველი და მათ შორის, გენიალური შოთა რუსთაველი. ჩვენი სურვილია, ეს ტრადიცია გაგრძელდეს... მე ვფიქრობ, რომ უნეტარეს ბენედიქტე I-თან მოლაპარაკების შედეგად, ჩვენ მივალწევთ ამას“ (STSA, fondi 1880, aghtsera №1, saqme 384, f. 21).

ვიზიტის ფარგლებში, ისრაელის რელიგიის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე, ისრაელის კულტურის სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა ლიპელმა, საქართველოს პატრიარქთან საუბრისას, გამოთქვა სინანული, რომ ქართველები აღარ მოღვაწეობდნენ ჯვრის მონასტერში და აღნიშნა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებდა, რათა ქართველები ისევ

დაბრუნებოდნენ იერუსალიმის ქართულ ჯვრის მონასტერს. აღნიშნულ საკითხში, პატრიარქს თანადგომა გამოუცხადეს ისრაელში მცხოვრებმა ქართველმა ებრაელებმაც, რომელთაც მის უწმინდესობას აღუთქვეს ყოველგვარი დახმარება ქართული ეკლესიის მიერ ჯვრის მონასტრის დაბრუნების საქმეში (Jvari Vazisa, 1980 : 11).

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის პირველი ვიზიტი წმინდა მინაზე წარმატებული და იმედის მომცემი აღმოჩნდა. დაისახა ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები და ისტორიული ურთიერთობის აღდგენა-განახლების ორმხრივი სურვილი. თუმცა, მალე, იერუსალიმის ეკლესიის საჭეთმპყრობელი ბენედიქტე I გარდაიცვალა და იგი უწმინდესმა დიოდოროს I-მა შეცვალა საპატრიარქო ტახტზე. ქართულმა მხარემ ჯვრის მონასტერში ქართველი ბერების დაბრუნების საკითხი ახალი პატრიარქის წინაშეც დააყენა. უკვე, 1981 წლის 12 მაისს, პატრიარქ დიოდოროსისადმი გაგზავნილ წერილში, საქართველოს პატრიარქი წერდა: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი უნეტარესობის პატრიარქობაში აღდგება ტრადიციული კავშირი ჩვენ შორის და ჩვენი ბერები ძველებურად იმოღვაწეებენ წმინდა მინაზე“ (Sruliadsakartvelos...I, 2016: 246)

1981 წლის 17-20 სექტემბერს კი, მისი უწმინდესობის ილია II-ის მონვევით, იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროს I საქართველოს ეწვია. ვიზიტის მიზანი ამჯერადაც მრავალსაუკუნოვანი ისტორიული კონტაქტების აღდგენა და მათი შემდგომი განმტკიცება იყო.

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, ოფიციალურ თუ დარბაზობის დროს გამართულ დიალოგებში, იერუსალიმის ახალ პატრიარქსაც ახსენებდა ჯვრის მონასტრის, იერუსალიმისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ურთიერთობის ისტორიას. ისტორიულ წყაროთა დამოწმებით (მათ შორის, იერუსალიმელ პატრიარქთა ჩანაწერებით), მიუთითებდა წმინდა მინაზე ქართველთა უფლებების შესახებ და გამოთქვამდა იმედს, რომ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოც გადადგამდა შემხვედრ ნაბიჯებს ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად. უნეტარეს დიოდოროსისადმი წარმოთქმულ სიტყვაში, საქართველოს პატრიარქი იმონებდა იერუსალიმის პატრიარქის, დოსითეოზის 1706 წლის სიგელს: „ჯვარის მონასტერი, (როგორც ქართველთ კუთვნილება), უნდა გადაეცეს ქართველებს, რათა იყვნენ მას შინა წამდვილი და სრულუფლებიანი პატრონი ქრისტეს მოყვარე ივერიელნი; როცა ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა ილუმენი, მაშინ მან მიიღოს თავის გამგეობაში ყველა მონასტერი, როგორც ეს იყო ადრე“ (Mamistvalishvili, 2008: 228). 1987 წლის 5 ოქტომბერს, იერუსალიმის პატრიარქის მინვევით, წმინდა მინას კვლავ ესტუმრა ქართული ეკლესიის დელეგაცია. ვიზიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებდა, ვინაიდან, სწორედ ამ ვიზიტის ფარგლებში, 1987 წლის 8 ოქტომბერს, ჯვრის მონასტერში საქართველოს პატრიარქის მიერ ქართულ ენაზე აღევლინა პარაკლისი (Jvari Vazisa, 1987: 32)

ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა იერუსალიმში ყოფნის დროს, კიდევ ერთხელ იქნა დასმული ჯვრის მონასტერში ქართველ-

თა მოღვაწეობის საკითხი. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმელი პატრიარქები, მონასტრის ქართველთა საკუთრებაში დაბრუნების საკითხზე, დიდი ხნის განმავლობაში იკავებდნენ თავს ოფიციალური კომენტარის გაკეთებისგან. რაც შეეხება მონასტერში ქართველი ბერების მოღვაწეობას, მხოლოდ მიმდინარე ვიზიტის დროს, 1987 წლის 13 ოქტომბერს, პატრიარქმა დიოდოროსმა, იმედი გამოთქვა, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა (Jvari Vazisa, 1987: 35)

საქართველოს პატრიარქმა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საქმეში დახმარებისთვის მიმართა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს შიმონ პერესს და ისრაელის პრემიერ-მინისტრს იცჰაკ შამირს. მათდამი გაგზავნილ წერილში პატრიარქი ხაზს უსვამდა ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვან ძმურ ურთიერთობას და აღნიშნავდა, რომ იმ ვითარების ფონზე, როდესაც გარკვეული პოლიტიკური მიზეზების გამო, ჭირდა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, ჯვრის მონასტრის შექმნა მათ შორის დამაკავშირებელი ხიდის ფუნქციის შესრულება. უწმინდესი ითხოვდა ისრაელის ხელისუფლების დახმარებას ჯვრის მონასტრზე საქართველოს საპატრიარქოს უფლებების აღდგენაში (Sruliadsakartvelos...II, 2016: 55). ისრაელის სახელმწიფოს ოფიციალურ პირებს ჯვრის მონასტრის საკითხის გადაწყვეტა ქართველთა სასარგებლოდ, შესაძლებლად მიაჩნდათ, თუ მისადმი დაინტერესებას ოფიციალურად დაადასტურებდა საბჭოთა მთავრობაც. ქართველ პატრიარქს, აღნიშნულ საკითხში დახმარება აღუთქვა ისრაელის პრეზიდენტმა ხაიმ ჰერცოგმა და რელიგიის საქმეთა მინისტრმა – ზებულონ ჰამერმა.

როგორც საქართველოს პატრიარქის ილია II-ის მიერ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის სახელზე გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, ქართველთა სასულიერო ცენტრის აღდგენას წმინდა მიწაზე მხარს უჭერდა რუსეთის ეკლესიის პალესტინის წარმომადგენლობაც. ისინი აღუთქვამდნენ პატრიარქს, რომ იზრუნებდნენ ამ საქმის დადებითად გადაწყვეტისთვის, თუ სათანადო ორგანოების მითითებით, ჯვრის მონასტრის საკითხი მათ კომპეტენციაში შემავალ მოსაგვარებელ საკითხთა რიცხვში შევიდოდა (Sruliadsakartvelos... II, 2016: 57-58)

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარმა მთელი ძალისხმევა საბჭოთა ხელისუფლების დახმარების მოპოვებისაკენ მიმართა. მან საგანგებო წერილებით მიმართა საბჭოთა კავშირის იმუამინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს ელუარდ შევარდნაძეს; საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ოთარ ჩერქეზიას; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ზურაბ ჩხეიძეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმდივანს ჯუმბერ პატიაშვილს. პატრიარქი, შესაბამისი სამთავრობო უწყებების მეშვეობით, საბჭოთა ხელისუფლებას დახმარებას სთხოვდა ჯვრის მონასტრის დაბრუნების ისტორიულ საქმეში (Sruliadsakartvelos...II, 2016: 58). თუმცა, მიუხედავად მისი დიდი ძალისხმევისა, პატრიარქის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ვფიქრობთ, აღნიშნულს განაპირობებდა ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი: 1) მოცემული პერიოდისთვის არსებული საერთაშორისო ვითარება და „ცივი ომის“ პერიოდის დაძაბული ურთიერთობები დასავლურ და აღმოსავლურ ბანაკებს შორის. ისრაელისთვის, მიუხედავად ებრაელთა და ქართველთა შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობისა, მოცემული პერიოდისათვის, საქართველოს, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკუთრებაში მყოფი სასულიერო და დიპლომატიური ცენტრის არსებობა საკუთარ მიწაზე, ყოვლად დაუშვებელი იყო და 2) ისრაელის ტერიტორიაზე არსებული იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, რომელიც ჯვრის მონასტერს საკუთარი ძალისხმევითა და საფასით გამოსყიდულ საკუთრებად თვლიდა (თუ გავითვალისწინებთ XVIII-XIX სს. შექმნილ ბერძნულ წყაროებს, რომლებიც ჯვრის მონასტერს დაარსებიდანვე ბერძნულ მონასტერად აცხადებდა), ბუნებრივია, ვერ დაუშვებდა მასზე საქართველოს საპატრიარქოს უფლებების აღდგენას. მიუხედავად ისრაელის ხელისუფლების მხრიდან საჯაროდ დეკლარირებული მხარდაჭერისა და იერუსალიმის საპატრიარქოს თანამშრომლობითი პოზიციისა, ჯვრის მონასტრის საკითხი დღემდე გადაუწყვეტელი რჩება.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Ierusalimis Jvris monastery da skhva kartuli savaneebi tsminda mitsaze, Tbilisi, 2006.
2. Jur. Jvari Vazisa, Tbilisi, 1980, #1.
3. Jur. Jvari Vazisa, Tbilisi, 1987, #2
4. Mamistvalishvili E. Sakartvelo-Ierusalimis urtiertobis istoriidan (XVI-XVIII ss.), Tbilisi, 2008.
5. Sruliad Sakartvelos Katolikos-Patriarki Ilia II, natsili I (1932-1985), Tbilisi, 2016.
6. Sruliad Sakartvelos Katolikos-Patriarki Ilia II (1986-1995), Tbilisi, 2016.
7. Saqartvelos tsentraluri saistorio arqivi (STSA), fondi 1880, aghtsera #1, saqme 384.
8. <http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/jvris-monasteri/jvris-monasteri>.

Eter Bokelavadze

ONE FRAGMENT FROM THE HISTORY OF THE RELATIONS
BETWEEN ORTHODOX CHURCHES OF GEORGIA AND
JERUSALEM IN THE 70-80s OF XX CENTURY
(The issue of return of Jerusalem's Jvari Monastery)

Presented by Institute of Religion Studies at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The relations between Orthodox Churches of Georgia and Jerusalem start in the early Christian era. The common faith traditions have connected closely Christ's twodisciples' (St. Jacob and Andrew the First) churches to each other. In Early Middle Ages Georgian monks played an important role in the development of monastic life on the holy land which meant establishing the Georgian ecclesiastical and cultural habitats.

It should be noted that the relations between Georgians and the church pilgrims of Jerusalem have continued for many centuries. However, due to the difficult international or internal political situation, the positions of Georgians had been weakened. Since the XIX century, the Church of Georgia has been subordinated to the Russian Church, and later, in the conditions of the Soviet regime in the country, all attempts to restore relations with the Church of Jerusalem ended in vain.

ეკა სილაგაძე

რელიგიური ორგანიზაციები და რელიგიური ვითარება ოკუპირებულ აფხაზეთში

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგი-
ათმცოდნეობის ინსტიტუტმა*

დღევანდელი გადასახედიდან, სიტუაციისა და ზოგადად ვითარების გაანალიზების საფუძველზე, მცირე, მაგრამ ვფიქრობთ მაინც რეალურია, კონფლიქტის დასარეგულირებლად ოკუპირებულ აფხაზეთში – ეკლესიის ფაქტორის გამოყენება. განსაკუთრებით მაშინ, როცა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების დღის წესრიგში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მფლობელობაში არსებული „კანონიკური ტერიტორიების“ დარღვევას თითქმის ყველა დანარჩენი ავტოკეფალური სტატუსის მატარებელი ეკლესია ერიდება და საბედნიეროდ, ქართულ ეკლესიაში მთელი რიგი სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მსგავსად, მცდელობის მიუხედავად, ორხელისუფლებიანობა არ გვაქვს. ამიტომ, თანამედროვე ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული რელიგიური ორგანიზაციებისა და ზოგადად, რელიგიური ვითარების შესწავლა, ვფიქრობთ, მეტად აქტუალურია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ თვითგამოცხადებული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის სტატუსის მინიჭების მოთხოვნა და მცდელობა საკუთარი გავლენის მოპოვების მიზნით – ვატიკანის, რუსეთის და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების ინტერესებშია და ეს ყველაფერი ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის საეკლესიო საკითხს დღემდე გადაუჭრელს ხდის (Pavliashvili: 2016).

დე ფაქტო აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ, 1994 წლის 26 ნოემბერს მიღებული კონსტიტუცია, მათ მიერვე ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმით გამყარდა 1999 წლის 3 ოქტომბრის შედეგებით. ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე კანონში, სხვა ძირითად დებულებებს შორის, ადამიანთა უფლებების დეკლარირებაც მოხდა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად – ნებისმიერი მოქალაქის, განურჩევლად რწმენისა, რასისა თუ რელიგიური აღმსარებლობისა – თანასწორობას აღიარებს (Konstitutsia: 1994), თუმცა, „კანონი აფხაზეთის რესპუბლიკის სინდისის თავისუფლებასა და რელიგიურ გაერთიანებებზე“ უფრო მოგვიანებით, 2012 წელს, პრეზიდენტ ანჭვაბის ხელისუფლების მიერ იქნა გამოცემული (ძაკონ, 2012). ამ დრომდე, ამა თუ იმ რელიგიური ორგანიზაციებისა თუ სექტების გავრცელება და მოღვაწეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე სრულიად უკონტროლოდ მიმდინარეობდა; შედეგად, მრავალ აღმსარებლობასთან ერთად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელდა და დღემდე არსებობას განაგრძობს:

1) სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქია სამღვდელოების ძველი თაობის წარ-

მომადგენლის – ბესარიონ აპლიას მწყემსმთავრობითა და მოსკოვის საპატრიარქოს პატრონაჟით, (ორგანიზაციამ კანონის მიღებისთანავე გაიარა რეგისტრაცია – ე. ს.)

2) ე. ნ. „აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიტო“, რომლის საკათედრო ტახტი ახალი ათონის სიმონ კანანელის ტაძარია ახალი თაობის წარმომადგენლის, დოროთე დბარისა და ანდრია ამპარის ხელმძღვანელობით (პავლაიშვილი, 2016), (მათი ოფიციალური ვებ გვერდია: <https://anyha.org/>). მისივე ხელდასმით, სოცქსელში – „იუთუბი“ დევს ფილმი «История Христианства в Абхазии», რომელიც, საქართველოს ისტორიის გაყალბების უპრეცედენტო მაგალითია;

3) ისლამი, რომლის პოზიციები მნიშვნელოვნად შემცირდა მუჰაჯირობის ნიადაგზე, თუმცა 1992-1993 წლების ომის შემდგომ, დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა 1999 წელს მუსლიმთა სასულიერო გაერთიანების შექმნას თეიმურაზ დზიბას მეთაურობით; შედეგად, 2012 წლისთვის, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არც ერთი მეჩეთი არ იყო, სამაგიეროდ ფუნქციონირებდა ორი სამლოცველო სახლი სოხუმსა და გუდაუთაში, რომელიც 200-250 მართლმორწმუნე მუსლიმს აერთიანებდა. აფხაზეთის მუსლიმები სუნიტები არიან. რაც შეეხება მათ ეთნიკურ შემადგენლობას, მათგან აფხაზი 25 %-ია, სხვა დანარჩენი- ჩრდილო-კავკასიის ხალხები, თათრები, ბაშკირები, შუა აზიელები და თურქები არიან, რომლებიც აფხაზეთში დროებით სახლობენ.

4) კათოლიკეები – კათოლიკური ეკლესია სოხუმში 1908 წელს აშენდა, რომელიც 1937 წელს სახელმწიფო დანესებულებად გადაკეთდა და მხოლოდ, 1992-1993 წლების ომის შემდგომ დაუბრუნდა შენობა კათოლიკურ ერთობას. აქვე, ყოველკვირეული წირვისას ქ. სოჭიდან ჩამოდის ო. იაცეკი და ეწევა ღვთისმსახურებას ადგილობრივ მოსახლეობაში, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 1000 კაცია. ცნობილი ხდება, რომ 1996 წელს კათოლიკურ ეკლესიასთან გაიხსნა საკვირაო სკოლა მრევლის შვილებისთვის.

5) პროტესტანტები აფხაზეთში, ძირითადად, ესტონელების სახით არიან წარმოდგენილები. აქ არსებობს წმინდა იოანეს სახელობის ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესია, რომელიც, თავის მხრივ, ჩრდილო კავკასიის ეპისკოპოსის, ჰანს კიბერლინის ეპარქიას ექვემდებარება. ეკლესია 1913 წელს აშენებულია და უღმერთობის პერიოდში გაუქმებულია. ის ხელმეორედ ეკურთხა 2002 წლის 8 დეკემბერს. პროტესტანტების მრევლი მცირერიცხოვანია და ამ დროისთვის 50 კაცს არ აღემატება.

6) იუდაიზმი – ებრაული თემი უმეტესად ქართველი ებრაელებით იყო წარმოდგენილი, რომელთა უმრავლესობამ ომის დროს ქვეყანა დატოვა და ამჟამად მათი მცირე ნაწილი აფხაზეთის ტერიტორიაზე ასაკით უფროსი მოსახლეობითაა წარმოდგენილი.

აფხაზეთის ტერიტორიაზე არიან ბაპტისტები, მეშვიდე დღის ადვენტისტები და იელოვას მოწმეები, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან (Eshba, 2012); არიან კრიშნაიდებიც, რომლებსაც ერთმორწმუნეები კრას-

ნოდარის მხარეში ჰყავთ. აფხაზეთის ომის დროს, ისინი ქართველებისა და აფხაზების ჰუმანიტარულ დახმარებას ახერხებდნენ და ქველმოქმედებდნენ, თუმცა 1995 წელს სოხუმში მათი სურსათის საცავი დაინვა, სამ დღეში კი მათი ლიდერი იგორ ქორთუა მოკლეს, რის შემდეგაც კრიშნაიდებს მოქმედების არეალი და შესაძლებლობა შეეზღუდათ.

რელიგიური ვითარების შესაფასებლად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს აფხაზეთში სავსე მკვლევარის, რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელის, ალექსანდრე კრილოვის ერთ-ერთი მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია 1997 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე სატანისტების სექტის არსებობა. მისი მოსაზრებით, „სრულყოფილი“ იურიდიული სტატუსის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ამ სექტას გასაქანი არ მიეცა, რადგან მოსახლეობამ მათი სამი წარმომადგენელი (ეთნიკურად ორი რუსი და უკრაინელი), რომლებმაც 13 წლის მოზარდის რიტუალური წამება მოახდინეს, მოსახლეობამ დაიჭირა და ცოცხლად დაწვა (krilov);

ერთადერთი რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც დღესდღეობით აკრძალულია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე „იელოვას მოწმეები“ არიან, რომელთა წინააღმდეგ შესაბამისი დადგენილება ჯერ კიდევ ვლადისლავ არძინბას დროს გამოიცა 1995 წელს. სექტის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები განპირობებულია მათივე მრწამსით, რომელიც აღმსარებელს ავალდებულებს არ მიიღოს მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. ეს კი აფხაზი სეპარატისტების აზრით, აფხაზეთის რესპუბლიკის არაღიარებას ნიშნავს და ჯერ კიდევ საქართველოსგან საფრთხის არსებობის ფონზე ნეგატიურად აისახება მათ სახელმწიფო უსაფრთხოებაზე. აფხაზურ სამეცნიერო წრეებში მიღებულია მოსაზრება, რომ „იელოვას მოწმეების“ საზოგადოებაში გავრცელება ომის შემდგომმა სტრესმა და სასოწარკვეთამ გამოიწვია. მათივე თქმით, „იელოვას მოწმეები“ ხელს უწყობდნენ ოჯახის წევრებს შორის დაპირისპირებასაც. აღნიშნული პრობლემა, რა თქმა უნდა, საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს უსაფრთხოებას. საგულისხმოა, რომ ამგვარი დამოკიდებულება „იელოვას მოწმეების“ მიმართ, მომდინარეობს რუსეთის ფედერაციის საერთო პოლიტიკიდანაც, რომელმაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ექსტრემისტულად გამოაცხადა სექტის მოღვაწეობა რუსეთის ტერიტორიაზე. აფხაზეთის რელიგიის საკითხთა კომისიის ყოფილი წარმომადგენლის, ახრა ბჟანიას ცნობით, რელიგიის კანონის მიღებისთანავე, სექტის წარმომადგენლები აფხაზეთს ესტუმრნენ მოსკოვიდან, რათა ორგანიზაცია დაერეგისტრირებინათ, თუმცა უარი მიიღეს, ვინაიდან იელოვას მოწმეების მენტალიტეტი არ მიესადაგებოდა აფხაზი ერის მენტალიტეტს, ხოლო მათი მოღვაწეობა მიმართულია რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობის წინააღმდეგ. დარეგისტრირებაზე უარის მიუხედავად, აფხაზეთის ტერიტორიაზე დღემდე მოღვაწეობს აღნიშნული სექტის წარმომადგენლობა და დე ფაქტო ხელისუფლებას მასთან ბრძოლა და წინააღმდეგობის გაწევა უწევს.

რელიგიის საკითხებისადმი განსაკუთრებულმა დამოკიდებულებ-

ბამ განაპირობა პრეზიდენტთან თანაარსებული რელიგიის საკითხების სტრუქტურული დანაყოფის შექმნა, რომელსაც უნდა დაერეგულირებინა რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისა და მოღვაწეობის საკითხი აფხაზეთის ტერიტორიაზე და, რომელსაც ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, რევაზ კაცია ხელმძღვანელობს. შედეგად, აფხაზეთის ტერიტორიაზე რეგისტრაცია გაიარა ექვსმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, მათ შორის: „აფხაზეთის წმინდა სამიტროპოლიტომ“, რელიგიურ-ისლამურმა ორგანიზაციამ – „აფხაზი მუსლიმების ერთიანი სულიერი გაერთიანება“, აფხაზეთის „ევანგელისტ-ქრისტიანთა ასოციაციაცია“, „ქ. გაგრის სომხური სამოციქულო ეკლესიის რელიგიურმა ორგანიზაციამ“, „ევანგელისტ-ბაპტისტ ქრისტიანთა ეკლესიამ“ და „აფხაზეთის მეშვიდე დღის ადვენტიტების ეკლესიამ“ (sputnik-abkhazia, 2000); რევაზ კაციას მოსაზრებითვე, მსოფლიო ხალხთა რელიგიების სწავლების დანერგვა სასკოლო პროგრამაშიც არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა.

1997 წლის შემოდგომაზე, კვლევის ფარგლებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე გაგრისა და გუდაუთის რაიონებში ჩატარდა გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა 15- დან 87-წლამდე ასაკის 1448 ადამიანმა მიიღო. კვლევის მიზანი აფხაზეთის მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების გარკვევა იყო. გამოკითხულთა 55 %-მა განაცხადა, რომ ისინი ქრისტიანები არიან, 17 % თავს მუსლიმებს უწოდებდა, 14, 6 %-მა განაცხადა, რომ ურწმუნო იყო, ხოლო 7,4 %-ს გაუჭირდა რელიგიური კუთვნილების განსაზღვრა. გამოკითხულთა მხოლოდ 3 % იყო გაცნობიერებული ათეისტი, ხოლო 2 %-მა თქვა, რომ ისინი წარმართები, ან ე.წ. აფხაზური რელიგიის“ მიმდევრები არიან (ჯრილოვ: 144);

ისტორიული თვალსაზრისით, რელიგიური ორგანიზაციების მრავალფეროვნება დღევანდელი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე დემოკრატიული განვითარების განაცხადის გარდა, გარკვეულწილად ასახავს რუსეთის საეკლესიო პოლიტიკასაც, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ხელს უწყობს აფხაზეთში ერთიანი და ძლიერი მართლმადიდებელი ეკლესიის არარსებობას. უფრო მეტიც, ათეული წლების მანძილზე არსებულმა პროპაგანდამ განაპირობა ის, რომ ავტონომიური ოლქი და ძირძველი ქართული მხარე დაკარგა საქართველომ. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ იმპერატორის დროინდელი გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი, პავლე სიტინი 1920 წლის 7 მაისის საბჭოეთი-საქართველოს მოლაპარაკების ხელმოწერის შემდგომ უკვე დემოკრატიული საქართველოს სამხედრო ატაშედ დაინიშნა. მისი ანგარიშები საქართველოს გასაბჭოებას წინ უსწრებდა, რომლებსაც იგი პირდაპირ РСР (Революционный военный совет республики)-ში გენერალ ლებედევს, ჩიჩერინს, საქართველოში კი კიროვს უგზავნიდა და აღნიშნავდა, რომ „ქართული შოვინიზმის დასასუსტებლად, ტერიტორიული და მატერიალური ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოს აფხაზეთს და სამეგრელოს ჩამოვაცილებდი და საერთოდაც – საქართველოს ავტონომიებად დაყოფით გავზრდიდით მის დამოკიდებულებას რუსეთზე და რუსეთის მფარველობას აღნიშნული პატარა ერების სიცოცხლისუნარიანობის ასა-

მალეებლადო“ (Sovetskaia: 1920); ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი პოსტსაბჭოთა რუსეთის მიერ გატარებული სეპარატისტული ძალების წახალისებაზე და შესაბამის პოლიტიკაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, მით უმეტეს, რომ აღნიშნული საკითხი ქრონოლოგიურად არაერთ ათეულ წელს მოიცავს, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ პოლიტიკის შედეგი და სეპარატისტული აფხაზეთის წრეებში მიღებული მოსაზრებანი, რომლებიც მუდმივად „ახსენებს“ აფხაზებს მიზეზებს, თუ რატომ არ მყარდება მართლმადიდებლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. მათი აზრით, აფხაზების უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ომამდე, ჯერ კიდევ 1989 წელს გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში, კათოლიკოს-პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ვიზიტისას მომხდარი ინციდენტი ადასტურებს, რომელიც მათივე მოსაზრებით პოლიტიკურ ხასიათს და გავლენის დემონსტრირებას ისახავდა მიზნად. მათი ვერსიით, კათოლიკოს-პატრიარქის ტვირთში აღმოჩენილი იარაღის გამო დაწყებული კონფლიქტის დროს, დაზარალდა მისი დაცვა და თავად პატრიარქი ისე, რომ სოფელ ლიხნის უძველეს ეკლესიამდე არც ჩასულა დელეგაცია (Krilov);

ამჟამად, ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე 23 მოქმედი მართლმადიდებელი ეკლესიაა, 107 არ მოქმედებს, ხოლო 14 ეკლესია რესტავრირდება. 1992-1993 წწ. აფხაზეთის ომის შედეგად, სეპარატისტების მიერ აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილებისთანავე, აფხაზებმა გეოგრაფიული სახელწოდებების შეცვლა დაიწყეს, მაგალითად, მდინარე კოდორს დაარქვეს – კუდრ, ლიძავას – ლძაა, მიუსერას – მისრა, გუდავას – გუდაა, პირველ ოტობაიას – ხაშტა, მეორე ოტობაიას – ბგოურა, ნაბაკევს – ბათაიგვარა, ჭუბურხიჯნს – ხიაცხრა და ა. შ. რაც თავისთავად, ისტორიულ-კულტურული მემსიერების მოშლას ისახავდა მიზნად (Khorava: 2016).

ლიტერატურა:

1. Konstitutsia Respubliki Abkhazia, 1994.
2. (<http://www.km-ra.org/index.php/ru/dokumenty/item/384-konstitutsiya-republiki-abkhaziya>).
3. O religiozni situatsii v Abxazii. Gaz. “Respublika Abkhaziya”, №103, vip. 2848;
4. Krilov A., Religioznie obshini sovremenoi Abxazii (<https://www.ca-c.org/journal/cac-06-1999/krylov.shtml>).
5. Katsia R. O religioznix sektakh v Abkhazii (<https://sputnik-abkhazia.ru/society/20150914/1015685863.html>).
6. Krilov A., Abkhazia: religioznaia situatsia v nepriznanom gosudarstve (<https://cyberleninka.ru/article/n/abhaziya-religioznaya-situatsiya-v-nepriznannom-gosudarstve>).
7. Khorava B., Apkhazetis istoriul-geografiuli mimokhilva. Sametsniro konperentsia – “Qartul-apkhazuri konflikti da misi dazlevis perspektivebi”

- (<http://patriarchate.ge/geo/afxazetis-istoriul-geografiuli-mimoxilva/>).
8. Pavliashvili K., Sametsniero konperentsia –”Kartul-apkhazuri konplikti da misi dazlevis perspektivebi”, Eegret Tsodebuli Apkhazetis eklesia-”troas ckheni” – saeklesio politikashi” , 2016 (<http://patriarchate.ge/geo/e-w-afxazetis-eklesia-troas/>).
 9. Sovetskaia voennaia razvedka v Gruzii v 1920-1921 godah (<https://pluto9999.livejournal.com/147446.html>).
 10. Zakon Respubliki Abkazia o svobode sovesti ი o religioznih obiediniah (<http://presidentofabkrazia.org/upload/iblock/>).

Eka Silagadze

RELIGIOUS ORGANIZATIONS AND RELIGIOUS SITUATION IN OCCUPIED ABKHAZIA

Presented by Religion Study Institute at Tskhum-Abkazian Academy of Sciences

Summary

Today, analyzing the situation in general, we think that it's worth trying to use a church factor for regulation of the conflict in occupied Abkhazia; the issue is especially urgent as autocephalous Orthodox Churches of the world try to avoid violation of “canonical territory” being in the ownership of Georgian Orthodox Church and fortunately, in Georgian church (like a number, other autocephalous churches) there is no dual power. Thus, study of religious organizations and religious situation existing in occupied Abkhazia is quite urgent especially with account to the fact that patriarchates of Vatican, Russia and Constantinople, aimed at spreading their influence, try to give an autocephaly to a self-declared church of Abkhazia and all these makes the problem of Abkhazian church to be unsolved up to the present.

ქეთევან პავლიაშვილი

ბავშვის სულიერ-ზნაობრივი წვრთნის ისტორიული გამოცდილება და აღზრდის თანამედროვე პრობლემები (ორთოდოქსალური ეკლესიის მაგალითზე)

გამოთქმას – „ოჯახი პატარა ეკლესია“ – ვხვდებით სახარებაში, კერძოდ, მოციქულ პავლეს ეპისტოლეებში, სადაც მოხსენიებული არიან ქრისტიანი ცოლ-ქმარი – აკილა და პრისკილე, რომელთა ოჯახს მოციქული იხსენიებს „საოჯახო ეკლესიად“ (პავლე, რომაელთადმი. 16,4). ეკლესიაზე საუბრისას სისტემატურად ვიყენებთ სიტყვებს „მამაოს“ და „სულიერ შვილს“, რომლებიც კავშირშია ოჯახურ ცხოვრებასთან. ასეთ შემთხვევაში, იბადება კითხვა: რა აახლოებს ერთმანეთთან ეკლესიასა და ოჯახის ცნებებს?

როგორც ცნობილია, ეკლესია არის გაერთიანება, ადამიანთა ერთობა ღმერთში. მოციქულ პავლეს სახარებაში ვკითხულობთ იესო ქრისტეს სიტყვებს: „იქ, სადაც ორი ან სამი ჩემი სახელით იკრიბება, მეც მათ შორის ვარ“ (მათე. 18, 20). გამომდინარე აქედან, ქრისტიანული ოჯახი „პატარა ეკლესიაა“, ანუ ურთიერთმოსიყვარულე ადამიანთა ერთობა, რომლებიც განმტკიცებულნი არიან ღვთისადმი რწმენით. ოჯახის შექმნა ღრმა რელიგიური მოვლენაა, რამეთუ ის სამყაროს პროექტიცაა და მის სრულ ახსნას სახარება იძლევა. ოჯახი ეწყობა ეკლესიის მსგავსად, რომლის თავი ქრისტეა, მრევლი კი მისი წევრი. გამომდინარე აქედან, ოჯახი ადამიანთა კავშირის ჰარმონიულ ადგილად აღიქმევა, როგორც „მცირე ეკლესია“. ქორწინებისა და ოჯახის შექმნის მიზანია მექორწინეთა მზადება ღვთის საუფლოში შესვლისათვის და, რაც მიმდინარეობს ოჯახის წევრების მიერ სიხარულის, მწუხარების ურთიერთგაზიარებით და ცხოვრების პრობლემების ერთობლივი დაძლევით (Zenkovski, 1992: 97).

საბჭოთა ეპოქაში, ათეიზმის იდეოლოგიის ბატონობის ხანაში, რელიგიურ ნიადაგზე ოჯახის ღირებულების გააზრება დაირღვა, შესაბამისად, ოჯახი აღიქმებოდა მხოლოდ მინიერი ურთიერთობების საზოგადოებრივ უჯრედად. ცნობილია, რომ ათეისტურ კონცეფციაში ოჯახი არ აღიქმება პიროვნების სრულყოფისა და ადამიანის გაღვთიურობის ინსტიტუტად, არამედ ის განიხილება მასების წარმოების ორგანიზაციულ ინსტრუმენტად. ასეთ იდეოლოგიაში ქალისა და მამაკაცის კავშირი სცილდება საკრალურ მნიშვნელობას და გადაინაცვლებს მხოლოდ მინიერი ურთიერთობების სფეროში. თანამედროვე საზოგადოების დიდ ნაწილს ამგვარად ესმის ქორწინებისა და ოჯახის მნიშვნელობა, როგორც ყოფის, შობადობის და შვილების აღზრდის ერთად-ერთი ორგანიზაცია.

მორწმუნე ადამიანისათვის საოჯახო თანაცხოვრების ყველა ეტაპს: ჯვრისწერას, ბავშვის დაბადებას, დაბრკოლებების დაძლევას, სიხარულს სულიერი დატვირთვა აქვს, რომლის გვირგვინად მორწმუნეს მიაჩნია

მინიერი ცხოვრებიდან ზეციურ სასუფეველში გადასაცვლება. თანამედროვე ეტაპზე, ოჯახის ასეთი აღქმა თითქმის დაიკარგა და შესაბამისად უამრავმა ნეგატიურმა ასპექტმა იჩინა თავი ოჯახური სიმტკიცის საწინააღმდეგოდ (Kalega, 1998: 11-13).

ქრისტიანული ოჯახის ყოველ წევრს ღრმად მნიშვნელოვანი როლი აკისრია ოჯახის შენარჩუნება-განვითარებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებული დატვირთვა აქვთ ცოლ-ქმარს, მშობლებს, როგორც ოჯახის შექმნის სათავეთ. ამ მხრივაც აქვს ბევრი საერთო ოჯახს ეკლესიასთან, მშობლებს კი სამღვდელეობასთან. მათ ერთნაირი პასუხისმგებლობა გააჩნიათ: ერთს – შვილებისა და ოჯახის წინაშე, მეორეს – ეკლესიისა და მრევლის წინაშე. მშობლები, სამღვდელეობის მსგავსად, პირველ რიგში მონოდებულნი არიან გახდნენ სანიმუშო მაგალითი რწმენისა და ქრისტიანული ცხოვრების დაცვის. ორთოდოქსალური საეკლესიო გაგებით დაუშვებელია ოჯახში ბავშვის ქრისტიანული აღზრდა, თუ მასში არ განხორციელდა „პატარა ეკლესიის“ ცხოვრების განცდის ჩამოყალიბება (Kulomzina, 2002:102).

საოჯახო ცხოვრების მძიმე პირობებშიც კი ოჯახი რჩება „პატარა ეკლესიად“ თუ მის წევრებში კვლავინდებურად სუფევს ლტოლვა ჭეშმარიტებისაკენ, სიკეთისაკენ, მშვიდობისა და სიყვარულისაკენ. სწორედ ამ პრინციპების დაცვის მიმართულებით უნდა იმუშაონ მშობლებმა ბავშვის ქრისტიანული წესით აღზრდის პროცესში. მშობელი მოვალეა, გაითვალისწინოს ის ცხოვრებისეული სირთულეები, რომელსაც ბავშვი აწყდება საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე და არ უნდა დაუშვას ბავშვის მიდრეკილება გარე სამყაროში არსებული მანკიერებისაკენ; საჭიროა მშობელმა მოზარდს უთანაგრძნოს გარე სირთულეებთან შეჯახებაში, რათა მსუბუქად გაუმკლავდეს თავის სირთულეებს და თავიდან აიცილოს კონფლიქტები. ამავდროულად, მშობელმა ბავშვში უნდა განავითაროს ის ასპექტები, რისიც მას უნდა სწამდეს და მომავალში ეყრდნობოდეს. საჭიროა მშობელი ბავშვს დაეხმაროს იმის გააზრებაში, რომ არა მუდმივად უნდა ილაპარაკოს სიკეთეზე, არამედ მარტივად თავად უნდა იყოს კეთილი; რომ, არა ქრისტესა და ჯვარ-ხატებზეა საუბარი წამყვანი, არამედ საჭიროა ამ ყველაფერზე ცოდნის გააზრებული მიღება, ქრისტიანული ზნეობით ცხოვრება.

ორთოდოქსალური საეკლესიო სწავლება ოჯახის „პატარა ეკლესიად“ გააზრებაში წამყვან მნიშვნელობას ანიჭებს ეკლესიის ნაციონალური ხასიათის ფაქტორს. ის მიიჩნევს, რომ „საოჯახო ეკლესია“ თავისი ხასიათით რწმენასა და რელიგიურ ღირებულებებს გარდაქმნის ყოველდღიურ ყოფად, რაც ინერგება საყოველთაო დღესასწაულებში, ქცევებში და სხვა ტრადიციული წესების დაცვაში; ამიტომ, საუკუნეების მანძილზე, ოჯახი ჩამოყალიბდა ქრისტიანული ზნეობრიობის, სულიერი ტრადიციებისა და ღირებულებების მემკვიდრედ, რომლებსაც სათავე დაუდეს ქრისტიანულ წინაპრებმა; ამიტომ არის, რომ ერთობ რთული და თითქმის წარმოუდგენელია ქრისტიანული, სიცოცხლისუნარიანი საგანძურის შექმნა ტრადიციების დაცვის გვერდის ავლით. ორთოდოქსალურ-ქრისტიანული

ოჯახი მონოდებულა შეითვისოს, განამტკიცოს და თაობებს გადასცეს სულიერი, ნაციონალური და წინაპართა ტრადიციები. ასეთი გზით, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ნაციონალურ-პატრიოტული და კულტურული გრძნობები მომავალ თაობებში. მოზარდისათვის ოჯახი არა მხოლოდ მშობლიური ადგილი გახდა, არამედ გაცნობიერებული სიყვარულისა და სულიერების კერა; ამიტომაც, სიტყვა „სამშობლო“ ბავშვის ცნობიერებაში ოჯახის ნიალიდან აღმოცენდა (Shneider, 2007: 17-19).

თანამედროვე პედაგოგიკის მეცნიერებაში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად დგას სქესობრივი აღზრდა. ტრადიციულ ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში, ეს საკითხი განიხილება, როგორც ქალისა და მამაკაცის უბინო ურთიერთობა. ორთოდოქსალური ქრისტიანობის სწავლების თანახმად, ბავშვის აღზრდა აგებული უნდა იყოს ოჯახში სულიერი ურთიერთობების გააზრების საფუძველზე, რომ სქესობრივი კავშირები დასაშვებია მხოლოდ ოჯახში, რომელიც მადლმოსილია უფლისაგან ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულებით. მართლმადიდებლურ ოჯახში საუკუნეების მანძილზე ბავშვს ასწავლიდნენ უბინობის დაცვას, როგორც გარანტს ოჯახის სამომავლო კეთილდღეობისათვის.

რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა რევოლუციების შემდგომმა წლებმა საოჯახო ცხოვრებაში შეიტანა თავისუფალი სქესობრივი კავშირებისაკენ მიდრეკილება, მაგრამ თანდათანობით, იმის გააზრებამ, რომ ოჯახი საზოგადოების საფუძველია, დღის წესრიგში დადგა ოჯახის განმტკიცებისათვის სათანადო რეფორმების გატარება; სახელმწიფო პოლიტიკაში სერიოზული ადგილი დაიკავა განათლებისა და სოციალური ცხოვრების მოდერნიზაციულმა პროცესებმა. ათეისტური იდეოლოგიის თანახმად, სქესთა შორის კავშირების დარეგულირება მხოლოდ ფსიქოლოგიურ საფუძველზე ხდებოდა, რაც გამოიხატა საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო კურსის – „ოჯახური ურთიერთობების ფსიქოლოგიის“ დანერგვაში. საგანი არ შეიცავდა სექსუალური აღზრდის საკითხებს და მოზარდს ამზადებდა ოჯახური ურთიერთობისათვის ფსიქოლოგიურ დონეზე, რასაც უნდა აღმოეფხვრა საოჯახო კონფლიქტები. მიუხედავად ამისა, საბჭოთა იდეოლოგია სქესობრივ კავშირებს კვლავინდებურად დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ ოჯახში. საბჭოურმა იდეოლოგიამ მოშალა ოჯახის სულიერი საფუძველი, დათრგუნა ღვთისადმი შიში და შესაბამისად, ხელი შეუწყო თავისუფალ სქესობრივ კავშირებს, რამაც გამოიწვია ოჯახების ხშირი ნგრევა, აბორტის შემთხვევების გახშირება და ა.შ. (Petrakova, 1997: 80).

თანამედროვე ფსიქოლოგიური მიდგომა სქესობრივი აღზრდისადმი ეფუძნება გაგებას, რომ სქესობრივი კავშირი ოჯახით არ იზღუდება და ის რეალურია ქორწინებაში შესვლამდე. ორთოდოქსალურ ეკლესიას კი მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში ოჯახზე საუბარიც კი დაუშვებელია და, რომ სწორედ ასეთმა გაგებამ მიიყვანა თანამედროვე ახალგაზრდობა ქრისტიანული ოჯახის უარყოფამდე.

ქრისტიანულ აღზრდაზე მსჯელობა წარმოუდგენელია შვილებისადმი მშობლების უანგარო სიყვარულის გარეშე. ოჯახის თითოეული წევრი

ბუნებრივად მოწოდებულია საკუთარი თავის ძიებისაკენ, რაც მის სიძლიერეს განაპირობებს. თავის მხრივ, ოჯახური ცხოვრების წესის სირთულე განაპირობებს მშობლის „მე“-ს ჩაგვრას ოჯახის მეორე წევრის საჭიროებისათვის. მშობელი ვერ გაექცევა შვილზე ზრუნვის განცდას: უძილო ღამეებით, ფიზიკური გადაღლით, შფოთით და ა.შ. ქრისტიანობა მშობელს ასწავლის, რომ ნებაყოფლობით თვითმსხვერპლად შეწირვას შვილისათვის ძალუძს ახალი, უკეთესი ადამიანის შექმნა. ასეთ დროს მშობელში ვითარდება სხვისი „მე“-ს შეცნობის ძლიერი სურვილი, რაც მას არკვევს შვილის მოთხოვნილებებში, მის ცხოვრებაზე შეხედულებებში, მის შესაძლებლობებში და ა.შ. ორთოდოქსალური ეკლესია მშობელს ასწავლის, რომ ის საჭიროებს სულიერ ხელმძღვანელობას შვილის აღზრდაში, მისი პიროვნებისადმი პატივისცემაში, ეხმარება მშობლის ეგოისტური გრძნობებისაგან განთავისუფლებაში (Menabdishvili, 2004: 67).

როგორც აღინიშნა, ოჯახი არის წინაპართა სულიერ-ზნეობრივი ტრადიციების მემკვიდრე; ოჯახი შვილს ამ ტრადიციებით ზრდის, ანუ აჰყავს ის ახალ, სულიერების ხარისხში, რაც პირდაპირ არის დამახასიათებელი ეკლესიური ოჯახისათვის. ასეთი გზით, ბავშვი საკუთარ თავში ამარცხებს მემკვიდრეობით მიღებულ ცოდვით მიდრეკილებებს. ეს კი არის ქრისტიანული აღზრდის ძირითადი მიზანი.

ორთოდოქსალური ეკლესია მიიჩნევს, რომ 7 წლის ასაკიდან ბავშვი პასუხისმგებელია თავის ქმედებებზე, ამიტომ ამ დროიდან არის საჭირო მასში ინერგებოდეს სულიერი სინმინდე, რაც ხდება ცოდვათა მონანიების, აღსარების თქმის უნარ-ჩვევების გამომუშავებით. ეკლესია თვლის, რომ აუცილებელია ბავშვს აუხსნათ სიკეთის, სათნოების, ბოროტების სანჯისის, ლოცვისა და ეკლესიაში სიარულის მნიშვნელობა.

სხვა ეთნოსთა ქრისტიანული ოჯახების მსგავსად, ძველ ქართულ ქრისტიანულ ოჯახშიც მარხვის დღეების დაცვა ტრადიცია იყო. დღესდღეობით, ამ ტრადიციის შესანარჩუნებლად ეკლესია საჭიროდ მიიჩნევს ოჯახმა ბავშვს აუხსნას მარხვის არსი, ნებაყოფლობით აკრძალულ დღეებში გარკვეული საკვებისაგან თავშეკავების ქრისტიანული მნიშვნელობა. საამისოდ კი აუცილებლობად თვლის ბავშვი ადრეული ასაკიდანვე მივაჩვიოთ ამ ქრისტიანულ უნარ-ჩვევას. ამ საქმეში კი ყველაზე მნიშვნელოვნად მოიაზრებს თავად მშობლის ეკლესიურობას. ქრისტიანი მშობლების მოვალეობად ეკლესია მიიჩნევს, რომ მშობელმა დაანახოს შვილს ჭეშმარიტი პრინციპების დაცვის უნარი (Shestun, 2007: 1012).

ორთოდოქსალური ქრისტიანული ოჯახის ცხოვრების რიტმი მთლიანად უკავშირდება მართლმადიდებლურ საეკლესიო კალენდარს, რითიც ოჯახი უახლოვდება საეკლესიო ცხოვრების წესს.

ოჯახური ცხოვრების ხილული გამოვლინებაა სახლი, სადაც ხდება ხორციელი და სულიერი ცხოვრების ერთობლიობა. მყუდრო ოჯახი „მცირე ეკლესიის“ სულიერ-ზნეობრივი ატმოსფეროა, რომელიც ადამიანს აძლევს სიმშვიდისა და დაცულობის შეგრძნების უნარს. ოჯახი და სახლი ბავშვისათვის სულიერი ციხე-სიმაგრეა, რომელიც მას იცავს გარსმყოფი სამყაროს აგრესიისაგან. გარე სამყაროდან ათვისებული ცოდნა ოჯახში

მშობლებმა უნდა გადაამონმონ, საჭიროების შემთხვევაში შეასწორონ. გარე ცოდნის სულიერ-ზნეობრივი შეფასება პირველ რიგში ეკლესიასთან თანამშრომლობით უნდა ხდებოდეს ოჯახში. ამავდროულად, მშობელი მოვალეა გონივრული ქმედებით, აღზრდის პროცესში გამოიყენოს სამყაროს ყველა დადებითი პრინციპი, მისკენ მიმართოს ბავშვის ყურადღება, განავითაროს მასში მაღალი კულტურა, ასწავლოს ანალიტიკური შეფასება, მისი შეფერება აწმყოს პროცესებთან (Shugaev, 2002: 98).

განათლება, როგორც ცხოვრებაზე აუცილებელი ცოდნის მიღება, ყოველი ადამიანის ამოცანაა. ღმერთმა ადამიანს აზროვნების, შეფასების და ანალიზის უნარი იმიტომ მისცა, რომ ადამიანმა დაძლიოს ცხოვრებისეული პრობლემები და სულიერ განვითარებას მიაღწიოს. დღეს, ადამიანები ხშირად აღნიშნავენ, რომ ტრადიციული საზოგადოებრივი ცხოვრების წესი სულ უფრო და უფრო ინგრევა, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ნგრევა არა ცოდნის მიღების შედეგად ხდება, არამედ თავად ადამიანის ნებით, როდესაც ცდილობს უკუაგდოს საკუთარი ტრადიციული სულიერ-ზნეობრივი ნორმები. ამ პროცესის შეჩერებისათვის არის მოწოდებული თანამედროვე ორთოდოქსალური ეკლესია თავისი თანამშრომლობით ოჯახთან და საამისოდ, ის აქტიურად იღვწის ოჯახის გაეკლესიურობისათვის.

ლიტერატურა:

1. Bekaia M., Tsuladze G., Gokadze Z., Meladze G., Ojakhis krizisi sakartveloshi da saojakho politikis printdipebi, Tbilisi, 1998.
2. Farsova V. Pravoslavnie semeinie tsennosti, Sotsiologicheskie issledovaniya, #1, Moskva, 1997.
3. Kalega G. Domashni tserkov, Moskva, 1998.
4. Kodua L. Kristianuli religiis zneobrivi punktisia, Tbilisi, 1995.
5. Kulomzina C. Nasha tserkov i nashi deti, Moskva, 2002.
6. Lestgaft P. Semeinie vospitanie rebionka i ego znachenie, Moskva, 1991.
7. Menabdishvili L. Meugleta urtiertdamokidebuleba qartul ojaxebshi. Demografiisa da sotsiologiis problemebi. Shromebis krebuli II, Tbilisi, 2004
8. Petrakova T. Dukhovnie osnovi npravstvennogo vospitasnia, Moskva, 1997.
9. Shestun G. Osnovi xristianskogo vospitania detei v semie, Moskva, 2007.
10. Shneider L. Semeynaya psikhologia, Ekaterinburg, 2007.
11. Shugaev II. Brak, semya, deti. Sankt-Peterburg, 2002.
12. Zamolotski E. Semya i shkola-sotsialnye partniori (Istoricheski aspect), Moskva, 2005.
13. Zenkovski V. O religioznom vospitanii v semie. Voprosi pravoslavnoy pedagogiki. Vip.1, Moskva, 1992.

Ketevan Pavliashvili

HISTORICAL EXPERIENCE OF CHILD'S SPIRITUAL-MORAL
TRAINING AND MODERN PROBLEMS OF UPBRINGING
(On the Example of Orthodox Church)

Summary

Education is a task of every human, as it is the only way to get knowledge about a life. The God granted a human with ability to think, evaluate and analyze everyday life, solve problems and achieve spiritual development. Today people often mention that traditional way of life is being destroyed daily, but please remember, that this process appears not as a result of education, but of people's own will, when they try to neglect spiritual and moral principles. Orthodox church have calling for stop this process by means of close relation with a family and for this actively strives for making a family more religious.

ენათმეცნიერება
LINGUISTICS

ჯემალ ჯინჯიხაძე

რამდენიმე ეტიმოლოგია¹
(ჩანახატები)

1. „აკა“.

მეგრული სიტყვა **აკა** 1-სათვის რიცხვითი სახელის ფუნქციას ასრულებს, ატარებს „ერთადერთის“ მნიშვნელობას.

მიღებულია აზრი (**ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე** და სხვ.), რომ ეს სიტყვა აფხაზური წარმოშობისაა; თანამედროვე აფხაზურში **აკი** არის რიცხვითი სახელი 1-სათვის.

ეს ასე არ უნდა იყოს.

იმ ფაქტს, რომ **აკა** აფხაზური წარმოშობისა არ არის, ცალსახად ადასტურებს თუნდაც შემდეგი ორი მონაცემი:

- **ი. ჯავახიშვილის**, აგრეთვე, **ა. სტარჩევსკისა** და სხვათა მოწმობით, მეთვრამეტე საუკუნეში ერთს აფხაზურად ერქვა **სეკე**, მანამდე კი ყოფილა **სა** და **ზა**. შდრ. *უბიხ. ზა* „ერთი“, *ადიღ. (ჩერქ.) ზეე, ზი* „ერთი“.
- მეთვრამეტე საუკუნისათვის დაფიქსირებულია აფხაზური რიცხვითი სახელები **ჟაბა** „ათი“, **ბჟასა** „თერთმეტი“ (ათ-ერთი), სადაც **სა** არის ერთი; მეცხრამეტე საუკუნისათვის – **ჟზვაბა** „ათი“, **ჟზვეყზა** „თერთმეტი“ (ათ-ერთი), სადაც **ზა** არის ერთი; თანამედროვე – **ჟაბა** „ათი“, **ჟეყზა** „თერთმეტი“ (ათ-ერთი), სადაც **ზა** არის ერთი.

ეს ორი მონაცემი ამკარად მეტყველებს იმაზე, რომ რიცხვითი სახელები 1-სათვის **სა** და **ზა** აფხაზური ენიდან გამოდევნილია მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგ, და გამოდევნა იგი სიტყვამ **აკი**, მაგრამ ერთ კომპონენტად შენარჩუნებულია ისინი რიცხვით სახელში 11-სათვის. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ერთგან **იური ზიცარი** შენიშნავს: *ბასკ. ამიკა* „11“ თავის მეორე ნაწილში შეიცავს „**ეკა**“-ს, ე. ი. ერთს.

მეგრულ და ქართულ ენებში ძირი **აკ** ერთის, ცალის მნიშვნელობით, ძალზე ფესვებგადგმულია ლექსიკაში. შდრ. *ქართ. კაკალი* (*იმერ., გურ. დიალექტი*), გამოთქმა *კაკალ* გულში, *მეგრ. კაკალი* „ცალი“, *მეგრ. კაკალუა* „დამარცვლა“, „დაფშვნა თითო-თითოდ“ – მეგრული სიტყვა **კითი** თანამედროვე ქართული ფორმისაა, მეგრულად იგი გამოითქმის და იწერება როგორც **კითი**, ასევეა **კილე** „მკლავი“. მაშასადამე, **აკა**, **აკი** უნდა იყოს დაკავშირებული, აგრეთვე, სიტყვასთან **კითი** „თითი“ (დიგიტალური). პარალელურად აქ გასათვალისწინებელია შემდეგი შესაძლებლობაც: **ნეკი, ნეკა** (თითი) – **ნე-აკა, ნე** მანარმოებელია; **ცალკე** – ცალ-

¹ იბეჭდება საკითხის დასმისა და პოლემიკური განხილვის მიზნით.

აკა. ამდენად, სიტყვა **აკა** საკუთრივ მეგრული წარმოშობისა უნდა იყოს და არა აფხაზურის. ამ აზრს ადასტურებს ისიც, რომ მეგრულ ენაში არსებობს ზმნისწინი **აკო** ერთის, მთლიანის მიმანიშნებელი მნიშვნელობით. შდრ. **აკო**შაყარუა „ერთად შეგროვება“, **აკო**ძინა „შეკრება“ (ერთ მთლიანობაში), **აკორ**ღვაფა, **აკოც**ლმა „ერთად შეკრებილობიდან, ერთობიდან, მთლიანობიდან დაშლა, გაფანტვა“, **აკოხვალამა** „შეხვედრა“ და სხვ. **აკოხვალამა** და **შეხვალამა** ერთი და იგივეა, მაგრამ **შეხვალამა** ზოგადია, ხოლო **აკოხვალამა** ხაზს უსვამს ერთად შეხვედრას, შეხვედრის შემდეგ ერთიანობას. საზოგადოდ, ზმნისწინი **აკო** მეგრულში თავისთავად მნიშვნელობის არმქონეა, მაგრამ ზმნასთან ერთად იგი ერთის, მთლიანის მნიშვნელობას იძენს. შდრ. ლაზ. **ეკო** „იმდენი“, **აკო** „ამდენი“.

ისიც გავითვალისწინოთ, რომ ქართულ და მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში არსებობს საბავშვო თამაში:

- ქართ. ანათითი, ბანათითი, რომელია შვანათითი?
- მეგრ. აკითი, ბაკითი, ნამუ რე შქაკითი?

ამგვარად, რიცხვითი სახელი **აკა** აფხაზურში შესულია გვიან და შესულია იგი მეგრული ენიდან. (1997 წ.).

2. „ქუჯი“.

როგორც ცნობილია, პირველი დიდი ქართველი ხელმწიფის, ქრისტესწინარე მეოთხე-მესამე საუკუნეთა მიჯნის საქართველოს დიადი მეფის – **ფარნავაზის** თანამოაზრემ და თანამებრძოლმა, ეგრისის ერისთავმა **ქუჯიმ** აღაშენა ქალაქი **ციხეგოჯი**. ეს სახელწოდება უდავოდ მოდის სიტყვებიდან: „ციხე ქუჯისა“.

ციხე ქუჯისა → **ციხექუჯი** → **ციხეგუჯი** → **ციხეგოჯი**.

ციხეგოჯი ნოქალაქევის ისტორიული სახელწოდებაა. ფრიად საყურადღებოა, ამასთან, ის ფაქტი, რომ ნოქალაქევის მეგრული ისტორიული სახელწოდებაა, აგრეთვე, **ჯიხანქეჯი** (მ. კვიციანი, მ. ძაძ.). შდრ. „... დაბანაკა ქალაქსა **ჯიხანქუჯისასა** (ხაზი ჩემია – **ჯ. ჯ.**), ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა, ...“ (ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში: „წამებაჲ და ლუანლი...“). ეს არის იგივე **ჯიხანქეჯი**. **ქეინჯი** მეგრული სიტყვაა და მისი მნიშვნელობაა: 1. ფსკერი, 2. ძირი, ფუძე, საძირკველი. ძირი არის **ჯინჯისა** და **ქეინჯის** საერთო მნიშვნელობა და ამ მნიშვნელობით ეს ორი სიტყვა ერთმანეთის სინონიმია. მეგრულად „**ჯინჯის** ათოდ“ და „**ქეინჯის** ათოდ“ ერთი და იგივეა, ქართულად ორივე ითარგმნება, როგორც: „ძირში ძევს“, ანუ „საფუძვლად ძევს“. ე. ი. „საყრდენია, მას ემყარება ყველა დანარჩენი“. მართალია, ეს ორი სიტყვა ერთმანეთის სინონიმია, მაგრამ ერთი გამონაკლისი არსებობს, ადამიანებთან მიმართებაში სხვანაირადაა. მეგრ. „ჩქინი **ჯინჯი** რე“ ნიშნავს: „ჩვენი ძირია, ჩვენ მისი შთამომავლები ვართ“, ხოლო „ჩქინი **ქეინჯი** რე“ ნიშნავს: „ჩვენი ქეინჯია“, „ჩვენი ფუძეკაცია“, „ჩვენი ძირიკაცია“, „ჩვენი დასაყრდენია“, „ჩვენი მამამთავარია“, „ჩვენი პირველი კაცია“, „ჩვენი მთავარი კაცია“, „ჩვენი მამალმერთია“. ამიტომ, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ **ქუჯი** სკვითური სახელია, ნასესხები ოსურის გზით, და ნიშ-

ნავს „დალლიკას“ მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ სახელი **ქუჯი** მოდის სიტყვიდან **ქვინჯი**: შდრ. ზემოთ ნახსენები **ჯიხანქვიჯი** და **ჯიხანქუჯი**. (2012 წ.).

3. „ჭაქვინჯი“, „ნაჩხურუ“.

ზუგდიდის რაიონში არის სოფელი **ჭაქვინჯი**. ეს სიტყვა მრავალგანაა ახსნილი შემდეგნაირად: **ჭა + ქვინჯი** – ჭის ფსკერი. **ჭა** მეგრულში იხსნება, როგორც **ინჭა** ⇒ **ინ-ჭა** ⇒ **ცინ ჭა** – „ცივი წყალი“. მაშასადამე, **ჭა** წყლის აღმნიშვნელი სიტყვაა. ამას ისიც ადასტურებს, რომ *მეგრ. ჭალე, ქართ. ჭალა* განიმარტება, როგორც წყლის პირი ნაყოფიერი (საბა), ვაკე ადგილი (ტყიანი ან უტყეო) მდინარის პირას. აქედან გვაქვს **ჭალენჯიხა**. შდრ. **ჭელენჯიხი** (ვახუშტი), ანუ **ნალენჯიხა**, რომლის მნიშვნელობაა: წყლისპირა ჯიხა, ჭალის ჯიხა, როგორც სიმონ ჯანაშია ვარაუდობს (არსებობს სხვა მოსაზრებებიც). შდრ. **ღალიჯიხა** მნიშვნელობით ღელესპირა ჯიხა (პ. ინგ.).

ჭა რომ წყლის აღმნიშვნელი სიტყვაა, ეს აშკარად დასტურდება სპეციალურ ლიტერატურაში. ცნობილია, რომ, მაგალითად, სიტყვებში: **აჭარა**, **ჭანეთი**, **ჭალა**, **ჭალანგარი** და სხვ. ძირეული მასალა **ჭ** წყალს უკავშირდება (ი. სიხ.). ჰიდრონიმ **ჭოროხის** ძირეული მორფემა **ჭორ** ქართული „წყალ“ სიტყვის ზანური შესატყვისია (გ. თოფ.). შდრ. **ჭარი**, **ჭოროფი** (*რაჭ. დაბალი*, ნოტიო, წყლიან-ბალახიანი ადგილი), **ჭოროფა** (*მეგრ. ხანგრძლივი წვიმები*), **ჭურულა** (*თუშ. ხევში მომდინარე პატარა წყალი*), **ჭოროხი** (მდინარისაგან შეყრილი ქვიშა – საბა), **ჭორომი** (მდინარის ფსკერზე ამალღებული ქვის მასივი, რომელიც ქმნის სწრაფ დინებას) და სხვ.

აქვე: **ნაჩხურუ** (< *მეგრ. ჭა + ჩხურუ* სიცივე) მდინარეა მარტვილის მუნიციპალიტეტში. მასში წყალი ძალიან ცივია, ხელსაც ვერ ჩაყოფ სულ მცირე ხნითაც კი, და ხეობიდან ზაფხულში მუდმივი სიგრილე მოაქვს, ზამთარში კი – სიცივე.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ **ჭაქვინჯის** ციხის შიგნით ყოფილა აკლდამა, სასაფლაო მიცვალებულთათვის ომიანობის დროს, როდესაც კაცის გვამის გარეთ გამოტანა არ შეიძლებოდა. ე. ი. ციხიდან გარეთ ვერავინ გამოდიოდა. ციხის შუა ადგილას იყო **ჭა**, რომელიც სიღრმით იქნებოდა **40** საჟენი. ციხიდან ჩრდილოეთისაკენ, საკმაო მოშორებით, ყოფილა მეორე ციხე, პატარა, მათ შორის საიდუმლო სავალით. როცა დიდ ციხეში მყოფთ ომიანობის დროს წყალი შემოეღებოდათ, დაფარული გზით მიდიოდნენ პატარა ციხეში და იქიდან მოჰქონდათ წყალი. ორივე ჭის წყალს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მეგრულში არსებობდა **ჯიხაქვინჯი** მთავარი ჯიხას მნიშვნელობით, სრულიად ადვილი საფიქრალია, რომ არსებულიყო **ჭაქვინჯი** მთავარი წყლის მნიშვნელობით. ამიტომ **ჭაქვინჯი** უნდა იყოს **ძირიჭა**, **პირველი ჭა**, **მთავარი ჭა**, **სასიცოცხლო ჭა**, **ძირწყალი**, **დედწყალი**, და არა **ჭის ფსკერი**. (2009 წ.).

4. „აფხაზა“, „აყვა“, „აყუჯისა“.

ცნობილია, რომ ძველ კოლხეთში, ისევე, როგორც იბერიაში და მრავალგან სხვაგან, ძლიერი იყო **ხარის კულტი**. სწორედ ამიტომ ხარის სხეულის ნაწილები უნდა დაქვემდებარებოდა განზოგადებას. ხარის ბექს მეგრულად ჰქვია **აფხა**, ხოლო ხარის ზურგის უკანა ნაწილს კუ-დუსუნამდე – **აყვა**. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ მეგრელებს თავიანთი მთიანეთისათვის (თანამედროვე საკენ-გენწვიმ-წებელდის ზოლი, გაგრისზემოთა სივრცის მიმართულებით, ყუბანისაკენ, სადაც მთიელური ტრადიციების ჩამოყალიბებისათვის შესანიშნავი პირობები არსებობდა) ეწოდებინათ **აფხა**, ამ მთიანეთის მკვიდრთათვის კი – **აფხაზა** (რადგანაც ეს მთიანეთი მართლაც იყო სამეგრელოს „აფხა“, სამეგრელოს „ბექი“), ხოლო იმ თავიანთი ქალაქისათვის, რომელიც მთების ბოლოში ზღვასთან მდებარეობდა და მთების კალთებზე იყო შეფენილი, დაერქმიათ **აყვა**. აქედან – სოხუმის ძველი მეგრული სახელწოდება **აყუჯისა**. (2016 წ.).

5. „დუჟინი“.

მსოფლიოს ყველა ეტიმოლოგიური ლექსიკონი ვარაუდობს (და-ზუსტებით ვერაფერს ამბობენ), რომ ეს სიტყვა ნასესხებია ფრანგულიდან *douzaine* ან იტალიურიდან *dozzina*, რომლებიც თავის დროზე წარმოშობილი არიან ლათინურიდან *duodecim* (*duo* – „ორი“ და *decim* – „ათი“). მაქს ფასმერი თავის ლექსიკონში არ გამორიცხავს, რომ იგი შეიძლება ძველი სლავური წარმოშობისაც იყოს, თუმცა, ამას ვერაფრით ასაბუთებს. ეს კატეგორიულად არ არის სწორი, რადგანაც **დუჟინი** ორი ექვსეულია და არა ორი ათეული ან ორი და ათი. განსხვავება ფრიად პრინციპულია, ექვსობითა და ათობითობა თვლის განვითარების ძირითადი გზებია, ერთმანეთის პარალელურად წარმოშობილი, მაგრამ ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული (იხ. ჩემი შრომები). **დუჟინის** წარმოშობას **ათეულის** ცნებასთან არავითარი საერთო არა აქვს, იგი წარმოშვა **ექვსობითმა** თვლამ, რომლის საფუძველია **ექვსამდე** მცირე თვლა, ზღვრით **6**, სადაც **ექვს** ზევით არის **ბევრი**. **დუჟინი** იმლება ორ სიტყვად: **დუ** (ლათ. ორი) და **ჟინი** (მეგრ. ზედა, ე. ი. თვლის ზედა რიცხვი, ზედა ზღვარი ანუ **ექვსი**). ლათინელებს შეეძლოთ ძველი კოლხური სამყაროდან ალთ სიტყვა **ჟინი**, რადგანაც იგი, როგორც თვლის ზღვარი, განეკუთვნება კოლხური კულტურის განვითარების უძველეს ისტორიულ შრეებს. ეს, ჩემს შრომებზე დაყრდნობით, პირველად შენიშნა ჩემმა მეგობარმა რომანოზ დანელიამ (2018 წ.).

6. „არაგვი“.

არაგვი აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეა, ყაზბეგშიც გადის, დუშეთშიცა და მცხეთაშიც. ბოლოს კი – მტკვარს ერთვის მცხეთასთან, სვეტიცხოველთან. მისი სიგრძე 112 კილომეტრია, აუზის ფართობი – **2724 კმ²**.

არაგვი მთელ ჰიდროსისტემას ქმნის და ამ სისტემაში შედის: მთიულეთის თეთრი არაგვი, გუდამაყრის შავი არაგვი, ხევსურეთის არაგვი

და ფშავის არაგვი.

როგორც ჩანს, ამ სისტემაში შემავალ ყველა მდინარეს, ძირითადად და შენაკადებსაც, **არაგვი** ჰქვია.

რატომ? საიდან მოვიდა ეს სახელწოდება?

ცნობილია, რომ მდინარე არაგვის სავარაუდო უცხოური სახელწოდებაა **პელორი**: მომდინარეობს ბერძნული ზმნისგან – **პელო** – „ვმოძრაობ, მივისწრაფვი“. მოიხსენიებს II-III საუკუნეების რომაელი ისტორიკოსი კასიუს დიონ კოქციანუსი, ძვ. წ. 65 წელს იბერიაში რომაელთა ლაშქრობასთან დაკავშირებით.

დავუშვათ, მართლა ასე ერქვა ძველად.

მაგრამ საიდან მოვიდა თანამედროვე სიტყვა **არაგვი**? – ესაა საინტერესო!

ედემ იზორია **არაგვის** წარმოშობას მეგრულ სიტყვა **რგულას** (ქართ. რგვა) უკავშირებს:

ორგუე > არგუე > არგვე > არაგვი.

არაგვის სახელწოდებას უკავშირებენ, აგრეთვე, მეგრულ სიტყვას **რაგვი** (ქართ. მახე). **რაგვის** საშუალებით თევზებს იჭერდნენ მდინარეში.

ეს ვარაუდები ნაკლებსარწმუნოდ მიმაჩნია!

ზურაბ ჭუმბურიძე აღნიშნავს: ფიქრობენ, რომ შესაძლოა, **არაგვი** ძველად საერთოდ „მდინარეს“ ნიშნავდა.

არაგვისგან არის მიღებული თევზის სახელწოდება **ორაგული**, რაც „არაგულს“, „არაგვის თევზს“ ნიშნავს (ზურაბ ჭუმბურიძე).

ეს – უფრო გვიანდელია!

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, სიტყვა **არაგვი** მოდის გამოთქმიდან „ხვეს **არა გვის**“ (წყალი).

არსებობს სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დამაჯერებელი.

გურამ ბედოშვილი თავის ლექსიკონში (ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2002) აღიარებს, რომ საკითხი ღიად რჩება.

ვფიქრობ, ეს საკითხი სულ მარტივად იხსნება:

არაგვი მეგრულად დაეჯახეს ნიშნავს, **არაგუ** – ეჯახებას.

მთიულეთის თეთრი არაგვი და გუდამაყრის შავი არაგვი ჯერ **ეჯახე-ბიან** ერთმანეთს, მერე ეხუტებიან ძმებივით და ასე მიდიან ჩახუტებულები, ბოლოს კი ერწყმიან ერთმანეთს და ფასანაურში ქმნიან არაგვს, – ამ საამაყო ქართულ მდინარეს. დანარჩენი ორი მდინარე შემდეგ ერთვის, უფრო ქვემო წელში, ფშავ-ხევსურეთის მიჯნაზე.

ლიტერატურა:

1. Jinjikhadze J. Msolfio enebshi tvlis magistraluri khazebis ganvitareba da rickhvit sakhelta tsarmoshobis sataveebi. Tbilisi, 2015.
2. JinjixaZe J. Fiqrebi. Tbilisi, 2016.

Jemal Jinjikhadze

SOME ETYMOLOGIES

Summary

Etymologic research of the following words: “Aka”, “Quji”, “Tsachkhuru”, “Aphaza”, “Akva”, “Akujikha”, “Duzhini” and “Aragvi” have been implemented in different linguistic works. Different proposals have been offered related to origin of these words, but we could not agree with them, because these considerations had not been argumentatively proved. In this paper our implication towards etymologies of these words are given as etymologic sketches. We think that our approach is correct, as our own attempt of reasoning is in line with the appropriate severity both in historical and linguistic context as well.

მაია მარლანია, მანანა შელია

ინგლისური ტოპონიმიური ეპონიმიების სემანტიკური ასპექტი

ინგლისური, როგორც მსოფლიო გლობალური ენა, მნიშვნელოვანი ფენომენია. ზოგადად, ენებთან დაკავშირებული ყველა ახალი ინიციატივა სწორედ ინგლისურთან ასოცირდება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ეს გამონკვეულია ინგლისური ენის მიმართ საკმაოდ გაზრდილი ინტერესით როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო მასშტაბით

საინტერესო და განსაკუთრებით შთამბეჭდავია ენაში იმ სიტყვების გამოჩენა, რომელთა წარმოშობა დაკავშირებულია ისტორიულ პიროვნებებთან, ცნობილ პოლიტიკოსებთან, მწერლებთან, მეცნიერებთან, მდიდარ ადამიანებთან, რომლებიც ქმნიდნენ და ცვლიდნენ ისტორიას, იყვნენ დაკავებული გამოგონებებითა და გეოგრაფიული აღმოჩენებით, წერდნენ ლიტერატურულ შედეგებს, მკურნალობდნენ ადამიანებს, მოგზაურობდნენ, ეწეოდნენ საქველმოქმედო საქმიანობას. მნიშვნელოვანი იყო და არის მათი ადგილი და როლი კონკრეტულ ეპოქასა და დროში. საზოგადოება მუდამ იყო ცნობილი პიროვნებების საქმიანობით დაინტერესებული, შესაბამისად, მათი სახელებიც სწრაფად ვრცელდებოდა.

როგორც ცნობილია, ადამიანების სახელებსა და გვარებს სწავლობს ონომასტიკა (იგივე – ონომატოლოგია), რომელიც ლექსიკოლოგიის განუყოფელი ნაწილია.

ონომასტიკა ნებისმიერი ტიპის საკუთარ სახელთა შემსწავლელი ფუნდამენტური მეცნიერებაა, რომელიც დასაბამიდან თანამედროვე ეპოქამდე დიაქრონულად ვითარდება სახელდებებთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ონომასტიკა ნომინირებათა „ისტორიული მემკვიდრეა“, რომელიც სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებას მნიშვნელოვან ლექსიკურ ბაზას უქმნის და აძლევს საჭირო განსაზღვრებებს (გურგენიძე, 2013:156).

ცნობილია, რომ ონომასტიკა სხვადასხვა დისციპლინათაშორისი კოგნიტიური ველია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს გეოგრაფიასთან, ისტორიასთან, რელიგიასთან, ეკონომიკასთან, ეთნოლოგიასა და სხვა დისციპლინებთან.

ტერმინ *ონომასტიკა*ს ორი მნიშვნელობა აქვს. პირველი – ის აღნიშნავს საკუთარი სახელების შესახებ კომპლექსურ მეცნიერებას; მეორე – თავად საკუთარ სახელებს ონიმებსაც უწოდებენ (სუპერენსკაია, 1975:5).

ონომასტიკის ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა საკუთარი სახელების ენობრივი თავისებურებების კვლევა, მათი ჩამოყალიბებისა და ცვლილებების შესწავლა და განსაზღვრა ამა თუ იმ ენობრივ სისტემაში.

ადამიანის საკუთარი სახელები ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. საკუთარ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა.

ნაშრომი ეძღვნება ინგლისურ ლექსიკურ ერთეულებს, ეპონიმებს, კერძოდ კი, ტოპონიმებს, რომლებიც გაანალიზებულია ლინგვისტურ-დესკრიპტიული, სემანტიკური ანალიზის მეთოდის საშუალებით, როგორც ლინგვისტურ, ასევე ექსტრალინგვისტურ ქრილში.

თანამედროვე ინგლისური ენა შეიცავს დიდი რაოდენობით ეპონიმს. ეპონიმები დროთა განმავლობაში წარმოიშვა კონკრეტული, რეალურად არსებული პიროვნებების სახელებისა და გვარებისგან, რომლებსაც შეუძლიათ გვიამბონ ხალხის ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე, მის ისტორიაზე; მათი დახმარებით შეიძლება თვალი ვადევნოთ დიდ ისტორიულ მოვლენებს, გეოგრაფიულ აღმოჩენებს, თანამედროვე მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

გეოგრაფიული სახელი ანუ ტოპონიმი, როგორც ონომასტიკის შემადგენელი ნაწილი, ნებისმიერი ენის ლექსიკური ფონდის თავისებურ ჯგუფს ქმნის და ის ინტერნაციონალური ლექსიკის კუთვნილებაა.

რაც შეეხება ეპონიმებს, რომლებიც წარმოშობილია საკუთარი სახელებისგან, ისინი არაერთი ლინგვისტის ინტერესს იწვევს. უამრავი მასალა, რომლებიც ეყრდნობა კვლევებს ეპონიმების შესახებ, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ეპონიმებმა არსებითი წვლილი შეიტანეს ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ეპონიმების კლასიფიკაციის ერთ-ერთ ჯგუფზე – ტოპონიმურ ეპონიმებზე, რომელიც განიხილავს საკუთარ სახელთა (ანთროპონიმთა) მაგალითებს. ტოპონიმური ეპონიმებიდან ყურადღებას შევაჩერებთ ძირითადად ასტიონიმებზე (ქალაქთა სახელები), ჰიდრონიმებზე (წყლების სახელწოდებანი), მათ შორის: ჰიდრორონიმებსა (კუნძულები) და ლიმონიმებზე (ტბები).

ინგლისის ტერიტორიაზე არსებული ზოგი ტოპონიმი ანგლოსაქსური და სკანდინავიური ელემენტებისაგან შექმნილი ჰიბრიდული წარმონაქმნია. მაგალითად, Grim (ვიკინგი პრინცი) შედის არა მარტო გეოგრაფიულ სახელში Grimsby, არამედ არის ქალაქ გრიმსტონის (Grimston) სახელწოდების შემადგენელი ნაწილი, სადაც -ton არის ინგლისური ელემენტი. მაგ.: Brighton, Coniston, Clacton, Everton, Broughton.

განვიხილოთ ტოპონიმური ეპონიმების მაგალითები:

ადელაიდა (ინგლ. Adelaide) ქალაქია ავსტრალიაში, სამხრეთ ავსტრალიის შტატის დედაქალაქი და მისი ყველაზე დიდი ქალაქი, რომელიც 1836 წლის 28 დეკემბერს დაარსდა. ქალაქს სახელი დაერქვა ბრიტანეთის მონარქ უილიამ IV-ის მეუღლის, დედოფალ ადელაიდის პატივსაცემად. სახელი ადელაიდას ფრანგული ვარიანტია Adelaide (ფრ. Adélaïde), ხოლო ძველგერმანიკული სახელი ადელჰეიდი (Adalheid, Adelheid, Adelheidis) შედგება ორი ძირისგან – Adal (კეთილშობილი, პატივსაცემი) და ჰეიდ (სახეობა, გვარი). მასასადამე, Adelheid ნიშნავს „კეთილშობილს, კეთილშობილურ წარმოშობას ან უბრალოდ კეთილშობილებას“. ამავე სახელწოდების ქალაქი მდებარეობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ატლანტა (ინგლ. Atlanta) აშშ-ის ქალაქია, ჯორჯიის შტატის უდიდესი ქალაქი და დედაქალაქი. იგი ფულტონის საგრაფოს ადმინისტრაცი-

ული ცენტრია. ქალაქს სახელი უწოდა ჯორჯიის რკინიგზის მთავარმა ინჟინერმა ჯ. ედგარ თომპსონმა, ყოფილი გუბერნატორის ვილსონ ლამპკინის ქალიშვილის სახელის პატივსაცემად.

ბალტიმორი (Baltimore) აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია, განლაგებული მერილენდის შტატის ჩრდილო-დასავლეთით. ის არის მერილენდის მნიშვნელოვანი კულტურულ-ინდუსტრიული ცენტრი და პორტი. ბალტიმორს თვლიან აშშ-ის ერთ-ერთ უძველეს ქალაქად, რომელიც XVII საუკუნეში დაარსდა. მას სახელი მერილენდის კოლონიის დამფუძნებლის, **ლორდ ბალტიმორის** პატივსაცემად დაერქვა 1729 წელს. Baltimore ირლანდიური *Baile an Ti Mhóir* -ის ანგლიზირებული ფორმაა, რომელიც „დიდი სახლის ქალაქს“ ნიშნავს – *Town of the Big House*.

ბრიზბენი (ინგლ. Brisbane) ქალაქია ავსტრალიაში, კუინზლენდის შტატის დედაქალაქი. თანამედროვე ბრიზბენის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ავსტრალიელი აბორიგენები. კუინზლენდის შტატი შეიქმნა 1859 წელს და ბრიზბენი, რომელმაც სახელი გენერალ **ტომას მაკდუგალ ბრიზბენის** პატივსაცემად მიიღო, გამოცხადდა მის დედაქალაქად.

გრეჰემსტაუნი (Grahamstown) (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) მდიდარი ისტორიის მქონე ქალაქია, რომელიც 200 წელს ითვლის. თავდაპირველად ის იყო პატარა სამხედრო ფორპოსტი, დაარსებული ლეიტენანტ-პოლკოვნიკ ჯონ გრეჰემის მიერ 1812 წელს.

დალასი (ინგლ. Dallas) სიდიდით მესამე ქალაქია ტეხასში ჰიუსტონის და სან-ანტონიოს შემდეგ და მეცხრე აშშ-ში. იგი ითვლება აშშ-ის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად, რომელიც 1841 წელს დაარსდა. ქალაქს სახელი დაერქვა **ჯორჯ მიფლინ დალასის**, ამერიკელი პოლიტიკოსისა და დიპლომატის, ფილადელფიის მერის პატივსაცემად.

ნელსონი (ინგლ. Nelson) ერთ-ერთი პატარა და უძველესი ქალაქია ახალ ზელანდიაში, ტასმანიის ყურეს აღმოსავლეთ სანაპიროზე. ის დაარსეს 1841 წელს ჩრდილოეთ კუნძულზე, რომელიც ატარებს ცნობილი ადმირალ **ნელსონის** სახელს. გრაფალგარის ბრძოლაში, 1805 წელს, ბრიტანელებმა ჰორაციო ნელსონის მეთაურობით დაამარცხეს ფრანგებისა და ესპანელების ფლოტი.

სიდნეი (ინგლ. Sydney) ავსტრალიის ყველაზე დიდი ქალაქია, რომელიც 1788 წელს არტურ ფილიპმა დააარსა. ის ავსტრალიაში ხელმძღვანელობდა პირველ ფლოტს. ქალაქი სიდნეი, ავსტრალიაში პირველი ევროპული კოლონიალური დასახლების ადგილი, ბრიტანეთის იმდროინდელი კოლონიების მინისტრის **ლორდ სიდნეის** სახელს ატარებს. ის ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო, საფინანსო და ეკონომიკური ცენტრია.

ტელფორდი (ინგლ. Telford), შრუზბერის აღმოსავლეთით და ბირმინგემის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქი, გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქია. ის ატარებს სამოქალაქო ინჟინრის **ტომას ტელფორდის** სახელს, რომელმაც თავის დროზე გზები გაიყვანა და რკინიგზა დააპროექტა.

ჰამილტონი (ინგლ. Hamilton) ინგლისურენოვანი ქალაქია კანადაში,

ონტარიოს შტატში. იგი დაარსდა 1846 წლის 9 ივნისს. ქალაქს სახელი პოლიტიკოს **ჯორჯ ჰამილტონის** პატივსაცემად დაერქვა.

Falkland Islands - Anthony Cary, 5th Viscount Falkland (British overseas territory) – ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები – არის არქიპელაგი ატლანტიის ოკეანეში, არგენტინის სანაპიროდან 483 კმ-ში. არქიპელაგი მოიცავს კუნძულ აღმოსავლეთ ფოლკლენდს, დასავლეთ ფოლკლენდს და 776 პატარა კუნძულს. ის დიდი ბრიტანეთის ზღვისიქითა ტერიტორიაა. კუნძულს სახელი დაერქვა შოტლანდიელი დიდგვაროვნისა და ინგლისელი პოლიტიკოსის **ენტონი ქერის ფოლკლენდის** მე-5 ვიკონტის პატივსაცემად.

კუკის კუნძულები (ინგლ. Cook Islands) – წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე კუნძულებია, რომლებიც თხუთმეტი პატარა კუნძულისგან შედგება. მას გამოჩენილი ინგლისელი მოგზაურის ჯეიმს კუკის სახელი დაერქვა. ჯეიმს კუკმა ეს კუნძულები 1773-1777 წლებში აღმოაჩინა.

ლეიქ ჯორჯი (Lake George) არის ტბა ნიუ-იორკის შტატში (აშშ). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტბა ჯეიმს ფენიმორ კუპერის რომანის „უკანასკნელი მოჰიკანის“ მოქმედების ადგილია. თუმცა ნაწარმოებში ტბა ნახსენებია როგორც the Horican („ჰორიკენი“), რადგანაც ავტორს არ სურდა ტბის ფრანგული სახელწოდების გამოყენება „Lac du Saint Sacrement“ (Lake of the Blessed Sacrament), ხოლო ინდიელთა სახელწოდება Andia-ta-roc-te ჩათვალა წარმოსათქმელად მეტად რთულად. ფრანკო-ინდიელთა ომის შედეგად ტბა ინგლისელების ხელში გადავიდა და მას დაერქვა ჯორჯი, დიდი ბრიტანეთის მეფის, გიორგ II-ის სახელი.

ტბა ვაშინგტონი (Lake Washington) მდებარეობს აშშ-ში, შტატ ვაშინგტონში, ქალაქ სიეტლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტბას ამერიკის პირველი პრეზიდენტის ვაშინგტონის სახელი ეწოდა 1854 წელს. მისი ინიციატორი მოსამართლე ტომას მერსერი იყო. ადრე, ტბას ადგილობრივ ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის დუვამიშის – Duwamish სახელი Xacuabჰ ერქვა და ნიშნავს „a small great-amount-of-water“.

ნაშრომში ინგლისური წარმოშობის ტოპონიმური ეპონიმები არ არის სრულად წარმოდგენილი, მათი რაოდენობა ბევრად მეტია. ეპონიმთა საკითხის შესწავლისა და ანალიზის პროცესში იმ დასკვნამდე მივედით, რომ საკუთარი სახელებისგან ნაწარმოები საზოგადო სახელები, უმეტეს შემთხვევაში, ყველასთვის ცნობილი ადამიანების სახელებს ატარებს. ისინი თავიანთი მნიშვნელობით შეიძლება ზოგად ლექსიკას მივაკუთვნოთ. ეპონიმები ძირითადი და მნიშვნელოვანია ტერმინოლოგიური ლექსიკისთვისაც. მათი კვლევა საინტერესოა არამარტო ლინგვისტური თვალსაზრისით. გარდა ამისა, შესწავლილი მასალა საშუალებას გვაძლევს გამოვაკლინოთ ინგლისურ ენაში არსებული ისტორიულ-კულტუროლოგიური კავშირები.

ლიტერატურა:

1. Amiranashvili Nana, Specialur terminta zogadi principebi da sityvattsar-moebis sakitkhebi tanamedrove samedicino terminologiashi, 2006, Tbilisi.
2. Gurgenidze Nino, Oikonimia rogorc toponimiis sakheoba da misi struqturul-semantikuri taviseburebani frangul da qartul enebshi filologiis doqtoris akademiuri khariskhis mosapoveblad tsarmodgenili disertacia. Batumi, 2013.
3. Superanskaya A. V. Obshchaya teoria imeni sobstvennogo. Nauka, Moskva, 1975.
4. The Cambridge Encyclopedia of the English Language. Cambridge: University Press, Cambridge. Douglas, D. 2000
5. The Merriam-Webster Dictionary Mass Market Paperback – Jul 20 2004.

Maia Marghania, Manana Shelia

SEMANTIC ASPECTS OF ENGLISH TOPONYMOUS EPONYMS

Summary

A great number of new words are created on the basis of proper names to denote discoveries and inventions whose origin is associated with real historical figures, writers, scientists and celebrities. In different fields eponyms are main source of vocabulary extension and they are important for the terminology vocabulary as well. The research of toponymous eponyms is interesting not only from linguistic but also historical, cross-cultural viewpoints.

The paper has revealed etymological, semantic and cognitive analysis of the English origin toponymous eponyms. A special focus has been made on the analysis of eponyms located in different places of English-speaking countries.

ლალი რატიანი

უკუმნიშვნელობის მარეალიზებული გერმანულენოვანი და უცხოური სიტყვამანარმოებელი ელემენტების რაობა

წარმოდგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხო ენების ინსტიტუტმა

ანტონიმიურ წყვილთა სემური შემადგენლობისა და სემანტიკური სტრუქტურის კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო მათი კლასიფიკაციის შემდეგი სახეობების გამოკვეთას:

1. ლექსიკონური (უზუალური, პირველადი) და კონტექსტუალური (მეორადი) ანტონიმია – ანტონიმიურ წყვილთა პარადიგმატიკური და სინტაგმატიკური თავისებურებების მიხედვით.

2. პირველი/მეორე რანგის ანტონიმია – დაპირისპირებულ წყვილთა სემანტიკურ სტრუქტურაში სემანტიკურ ვარიანტთა რელევანტურობისა და რიგითობის მიხედვით.

3. აბსოლუტური და ნაწილობრივი ანტონიმია – ანტონიმიურ წყვილთა სემანტიკური სტრუქტურის თანხვედრის მიხედვით.

4. შეზღუდული და შეუზღუდავი ანტონიმია – ანტონიმიურ წყვილთა შესიტყვევებში მონაწილეობის ხასიათის მიხედვით.

5. ერთი და მრავალგანზომილებიანი ანტონიმია – ანტონიმიურ წყვილთა სემანტიკური სტრუქტურების მოცულობის, განზომილების მიხედვით.

6. შუალობითი და უშუალო ანტონიმია – ანტონიმიურ წყვილთა ფორმალური მახასიათებლების მიხედვით.

წარმოდგენილი კლასიფიკაცია, ცალკეულ სახეობათა გათვალისწინება, უდავოდ მიზანშეწონილი იქნება ანტონიმიის მოვლენის ნებისმიერი ლექსიკურ-გრამატიკული კლასის ფარგლებში კვლევის პროცესში.

მოძიებული მასალის ანალიზის საფუძველზე მართებულად მივიჩნიეთ, გამოგვეყო შრომის კონკრეტულ ნაწილში ყველა ის სიტყვამანარმოებელი ელემენტი, ლექსიკურ-გრამატიკული კლასების მიხედვით, რომელიც ფიქსირებულია ლექსიკოგრაფიულ შრომებში და გამოიყენება ძირეული სიტყვის უკუმნიშვნელობის შესაქმნელად. წარმოდგენილი მონაცემები მიღებულია არსებულ, ოფიციალურად გამოქვეყნებულ შრომებზე დაყრდნობით:

სქემა 1.

ანტონიმიურ მიმართებათა მანარმოებელ ელემენტთა პროდუქტიულობა ლექსიკურ-გრამატიკული კლასების მიხედვით				
სიტყვამა- ნარმოებელი ელემენტები	ზედსარ- თავი სახელები	არსებითი სახელები	ზმნები	პროდუქტიულობა
a		1		სერიულად ხმარებული, პრეფიქსი
ab	46	39	126	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტიული
an	45	38	93	სერიულად ხმარებული, პრეფიქსი
anti	7	2		სერიულად ხმარებული სიხშირული პროდუქტიული პრეფიქსი
aus	39	26	94	მოცილებადი ნახევარპრეფიქსი პროდუქტიული სიხშირული
auf	17	17	101	მოცილებადი ნახევარპრეფიქსი პროდუქტიული სიხშირული
di		6		არასერიულად ხმარებული არასიხშირული მოუცილებადი პრეფიქსი
dis	9	6	1	არასერიულად ხმარებული არასიხშირული მოუცილებადი პრეფიქსი
de	21	5	8	სერიულად ხმარებული მოუცილებადი პრეფიქსი სიხშირული
des	5	2	1	სერიულად ხმარებული მოუცილებადი პრეფიქსი სიხშირული
ein	37	38	93	მოცილებადი ნახევარპრეფიქსი პროდუქტიული სიხშირული
ex	7	7	12	მოუცილებადი პრეფიქსი არასიხშირული
ent		1	74	სერიულად ხმარებული მოუც. პრეფ. პროდუქტიული

ნაშრომის მოცემულ მონაკვეთში აღწერილი საკვლევი ფენომენის მრავალმხრივი ანალიზი შესრულებულია მარტივი სტრუქტურის მქონე ზედსართავ სახელთა ლექსიკური ერთეულების მასალაზე, რომელთა ოპოზიციური მნიშვნელობების რეალიზაცია უშუალოდ, ყოველგვარი შუალობითი ელემენტის ჩართვით ხორციელდება. უშუალო ანტონიმის პარალელურად ენაში გამოიკვეთება დამატებით სპეციალური ენობრივი საშუალებებით შექმნილი დაპირისპირებულობის შემთხვევები. ოპოზიცია იქმნება მარტივ ფუძეზე უარყოფითი სიტყვამანარმოებელი ელემენტების დართვით, რომლებიც კლასიფიცირებულია ენაში სიტყვათა ლექსიკურ-გრამატიკული კლასების მიხედვით. ზედსართავი სახელის ფარგლებში ასეთ საშუალებებად ითვლება:

- **a-an** (ნასესხები ზედსართავი სახელების სიტყვამანარმოებელი ელემენტი, სერიულად ხმარებული, პრეფიქსი) - **alogisch - logisch, amoralisch - moralisch, anational - national, anorganisch - organisch**;

- **ab** - (ზედსართავი სახელების ნახევარპრეფიქსი, არაპროდუქტიული, არა სერიულად ხმარებული) **abnorm - norm, abhold - hold**;

- **anti,-ant** - ნასესხები ზედსართავი სახელების პრეფიქსი, პროდუქტიული, სერიულად ხმარებული). **antinational - national, antisozial - sozial**;

- **de, -des** - (ნასესხები ზედსართავი სახელების პრეფიქსი, არასერიულად ხმარებული (ლათ. ფრანგ) **dezentral - zentral, desinteressiert - interessiert**;

- **dis-** (ნასესხები ზედსართავი სახელის პრეფიქსი, არასერიულად ხმარებული) **isharmonisch-harmonisch, disproportioniert-proportioniert**;

- **frei-** (ზედსართავი სახელის ნახევარპრეფიქსი, პროდუქტიული) **alkoholfrei - alkoholhaltig, wasserfrei - wasservoll/los**;

- **süchtig** - (ზედსართავი სახელის რთული სუფიქსი, პროდუქტიული, სერიულად ხმარებული-მიღებული სუფიქსი **-ig-** ისა და არსებითი სახელების ნახევარპრეფიქსის **-sucht-** ის შერწყმით). **ichsüchtig - ichlos, selbstsüchtig - selbstlos**;

- **leer-voll** (ზედსართავი სახელის ნახევარპრეფიქსი, პროდუქტიული, სერიულად ხმარებული) **blutleer - blutvoll, -reich, inhaltsleer - inhaltsreich, -voll wasserleer - wasserreich, -voll**;

- **miss** - (ზედსართავი სახელის პრეფიქსი, პროდუქტიული, სერიულად ხმარებული). **missfarbig - farbig, missgünstig - günstig**;

- **nicht-** (რთული ზედსართავი სახელის პირველი სერიულად ხმარებული კომპონენტი) **nichtehelich - ehelich, nichtlineal - lineal**;

- **un** - (ზედსართავი სახელის პრეფიქსი, პროდუქტიული, სერიულად ხმარებული) **unabhängig - abhängig, unähnlich - ähnlich** (ზედსართავებისა და ადიექტივური მიმღობის ფუძეებში).

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სიტყვამანარმოებელი საშუალება უკლებლივ მიუთითებს ამოსავალი სიტყვის მნიშვნელობის უარყოფაზე, მის უკუმნიშვნელობაზე. ამ გზით შექმნილ ანტონიმებს ძირეული, უშუალო ანტონიმური ერთეულისაგან განსხვავებით, პირობითად ვუნოდებთ შუალობითს, რამეთუ ისინი სიტყვამანარმოებელი ელემენტების მეშვეობით

ნარმოიქმნება. გამოვყოფთ შუალობითი ანტონიმის ორ სახეობას:

როდესაც ანტონიმიური წყვილი იქმნება ამოსავალ სიტყვაზე უარყოფის მნიშვნელობის მქონე სიტყვამანარმოებელი ელემენტის დართვით - *logisch – alogisch, national – antinational*. ასეთ ანტონიმას პირობითად ვუნოდებთ ცალმხრივ შუალობით ანტონიმას. შუალობითი ანტონიმის მეორე სახეობას მივაკუთვნებთ ისეთ წყვილებს, რომლებიც დაპირისპირებას ქმნიან ანტონიმიური წყვილის არა ერთ რომელიმე, არამედ ორივე წევრზე ოპოზიციური მნიშვნელობის მქონე სიტყვამანარმოებელი ელემენტის დართვით, როგორცაა წინსართები: *miss-/wohl-, ab-/zu-, ab-/auf-, ab-/fest-, frei-/fest-, wohl-/un-, bolosarTebi:-los/-fest, -frei/-haltig, -haft/-los, -los/-reich* და სხვა, მაგალითად: *festbinden-freibinden, wohlbekannt-unbekannt, abspringen-aufspringen, freudelos-freudevoll, alkoholfrei-alkoholhaltig, mangelhaft-mangelfrei, hoffnungsreich-hoffnungslos* და ა.შ. ცალმხრივ შუალობით ანტონიმასთან მიმართებაში ამ სახის დაპირისპირებას ორმხრივი შუალობითი ანტონიმია შეიძლება ეწოდოს. ასეთი ანტონიმის ფარგლებში ერთი რომელიმე სიტყვამანარმოებელი ელემენტის მოქმედების რადიუსი არა ყველა შემთხვევაშია ერთნაირი. მაგ. სიტყვამანარმოებელი ერთეული *süchtig* მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში უპირისპირდება ოპოზიციურ *-los*-ს *.selbtsüchtig-selbstlos, ichsüchtig-ichlos, ehrsüchtig-ehrlös, zweifellsüchtig-zweifellos*. მაშინ, როდესაც *süchtig-* სუფიქსით ნანარმოები სიტყვები ანტონიმიურ მიმართებებს საერთოდ ვერ ამყარებენ სხვა ლექსიკურ ერთეულებთან, ე.ი. ის ამ სფეროში არაპროდუქტიულია. შეუძლებელი გახდა ისეთი სიტყვებისათვის ანტონიმების გამოძებნა, როგორცაა *klatschsüchtig, trunksüchtig, tittelsüchtig* და ა.შ. ასეთ ერთეულებზე ანტონიმიური მიმართებების რეალიზაციის საშუალებას იძლევა მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკის „nicht“- ის დართვა. მაგ: *habsüchtig-nicht habsüchtig, gewinnsüchtig-nicht gewinnsüchtig, opiumsüchtig-nicht opiumsüchtig, klatschsüchtig-nicht klatschsüchtig* და სხვ. აღსანიშნავია, რომ სიტყვაზე უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ერთეულის დართვით რიგ შემთხვევაში ხდება სიტყვის ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადაყვანა. მაგ: *Dienst-dienstfrei-dienstwidrig, Gesetz-gesetzwidrig, Seele-entseelt, Fehler-fehlerfrei* და სხვ. ამ გზით მიღებული დაპირისპირებულობა არ ჩაითვლება ანტონიმად, რამეთუ ანტონიმიურ წყვილად აღიარების არსებით საფუძველს წარმოადგენს ერთი საერთო მეტყველების ნაწილისადმი კუთვნილება. უნდა აღინიშნოს, რომ ზედსართავებში უშუალო ანტონიმია ქარბობს, რაც შეეხება შუალობითი ანტონიმის ის შექმნილია უმეტესწილად უცხოური აფიქსების მეშვეობით. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ანტონიმიურ წყვილებს არსებითად გერმანული წარმოშობის ენობრივი ერთეულები შეადგენენ.

ლექსიკური ერთეულების ოპოზიციურ მიმართებათა ამსახველ ერთგვარად განსახვავებულ სქემას გვთავაზობს მ.ვ.ზავიალოვა. სქემაში განზოგადოებულადაა წარმოდგენილი გერმანული ენის მასალაზე ანტონიმიური წყვილების როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა წევრის ფორმალური მარკერები ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე. სტრუქტურული თავი-

სებურებების საფუძველზე ავტორი გამოჰყოფს რვა სახეობას სხვადასხვა მეტყველების ნაწილებიდან მოდიებული ლექსიკური მასალის მოშველიებით: – ძირეული სიტყვები (*arm-reich*); ძირეული და სუფიქსალური სიტყვები (*schön-häßlich*); ძირეული და პრეფიქსალური სიტყვები (*Frieden-Unfrieden*); სუფიქსალური და პრეფიქსალური სიტყვები (*artig-unartig*); სუფიქსალური და პრეფიქსალური სიტყვები (*beschalten-besonnen*); სუფიქსალურ-პრეფიქსალური და პრეფიქსალური სიტყვები (*gebildet-ungebildet*); სუფიქსალური და რთული სიტყვები (*fehlerhaft-fehlerlos-fehlerfrei*); რთული სიტყვები (*reizlos-reizvoll*); აღწერილი სქემა მხოლოდ იმის წარმოდგენას ემსახურება, თუ როგორი სტრუქტურის მქონე სახელები შეიძლება დაპირისპირების გამოსახატავად იქნენ გამოყენებული.

სქემა 2.

სიტყვამანარმოებელი ელემენტები ზედსართავი სახელების ფარგლებში	
გერმანულენოვანი	
ab	არასერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი არაპროდუქტული
frei	ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
leer	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
miss	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
nicht	რთული ზედსართავი სახელების პირველი კომპონენტი სერიულად ხმარებული
süchtig	რთული ზედსართავი სახელების სერიულად ხმარებული სუფიქსი
un	სერიულად ხმარებული პროდუქტული პრეფიქსი
voll	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
უცხოური	
a-an	სერიულად ხმარებული პრეფიქსი
anti-ant	სერიულად ხმარებული პროდუქტიული პრეფიქსი
de-des	არასერიულად ხმარებული პრეფიქსი
dis	არასერიულად ხმარებული პრეფიქსი

აღვნიშნავთ, რომ ცალკეულ პირთა და საგანთა ანტონიმიური მიმართებების დადგენა და მათთვის ენობრივი გამოხატულების მიცემა საკმაოდ სუბიექტურ ელფერს ატარებს, რამეთუ ეს დასახელებები არ ეფუძნება ისეთ ობიექტურ ფენომენებს, როგორცაა პირთა მიერ წარ-

მოებული ქმედება ან პირთა თუ საგანთა ნიშან-თვისება. ანტონიმებში, როგორც ეს არაერთგზის იქნა აღნიშნული, ჩვენ გვესმის მოვლენათა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართებები და არა მათი ნაირსახეობა.

ანტონიმები ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთდაპირისპირებული უკუმოვლენებია, რითაც აიხსნება სულიერ და უსულო კონკრეტული საგნების აღმნიშვნელ არსებით სახელებში ანტონიმების გამოყოფის სიძნელე. ამაზე მეტყველებს ოფიციალურ წყაროებში მარტივ არსებით სახელთა ანტონიმიური წყვილების მცირერიცხოვნებაც. ლექსიკოგრაფიულ შრომებში მოცემული მასალის სტატისტიკური ანალიზის შედეგად შესაძლებელი გახდა კონკრეტული მონაცემების დადგენაც—ანტონიმიურ ლექსიკონში ფიქსირებულ სემანტიკურად ურთიერთდაპირისპირებულ ერთეულებიდან არსებით სახელთა ანტონიმიური წყვილები შეადგენენ მთელი მასალის 22% (ანალიზს არ დაუქვემდებარეთ სიტყვები, რომლებსაც არა ანტონიმიურ, არამედ კორელაციურ წყვილებად მივიჩნევთ). სიტყვათა მარაგის საერთო რაოდენობიდან არსებითი სახელები წარმოდგენილია მხოლოდ 1706 ერთეულით, -A ასოზე მოძიებულ 1061 ანტონიმიურ წყვილთა შორის 164 არსებითი სახელია, რომელთაგან მხოლოდ 13-წყვილი წარმოადგენს მარტივ არსებით სახელთა ქეშმარიტ დაპირისპირებას: ამით შემოიფარგლება ამ შემადგენლობის მქონე ქეშმარიტი ანტონიმების რიცხვი.

ენობრივი მასალის ანალიზი იმის გაცნხადების საშუალებას იძლევა, რომ ძირეულ არსებით სახელთა შორის აბსოლუტური ანტონიმიური მიმართებები საერთოდ იშვიათად რეალიზდება. აბსოლუტური დამთხვევა კი აღინიშნება თითქმის ყველა შემთხვევაში იმ წყვილებთან, რომელთა მარჯვენა წევრი წარმოდგენილია მარცხენა წევრის ფუძეზე უარყოფითი სემანტიკის მქონე სიტყვამანარმოებელი ელემენტის დართვით. *Geduld - Ungeduld; Stimmung - Missstimmung; Gunst - Abgunst; Klang - Widerklang; Weg - Abweg; Dienst - Gegendienst* და სხვ. მისთანანი. ამ ლექსიკური ერთეულების სემური ანალიზი და მათი სემანტიკური სტრუქტურის განხილვა სრულ შესაბამისობაშია ჩვენს მტკიცებასთან – ანტონიმიური წყვილის ცალკების სემური შემადგენლობა იდენტურია, სხვაობას იძლევა მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობის მქონე სიტყვამანარმოებელი ელემენტი. შეადარე:

– **Druck** = *Kraft, die auf eine Flaeche wirkt*; **Gegendruck**=*der Druck, der gegen einen Druck gerichtet ist.*

იდენტური შემთხვევები გვაქვს ქვემოთ დასახელებულ არსებით სახელებში:

– **Rede**=*Mündliche Darlegung von den Gedanken*; **Widerrede**=*Rede, die gegen muendliche Darlegung von Gedanken gerichtet ist.*

– **Ruhe** = *Zustand des Stisstandes*; **Unruhe**=*Zustand der staendiger Bewegung.*

– **Beachtung** = *auf j-n achten, j-m Aufmerksamkeit schenken*; **Nichtbeachtung**=*auf j-n nicht achten, j-m keine Aufmerksamkeit schenken.*

– **Christ** = *Anhänger und Bekenner des Christentums*; **Antichrist**=*Gegner*

Christi.

– *These* = *wissenschaftlich zu beweisende Behauptung*;

– *Antithese* = *Gegenbehauptung, wissenschaftlich nicht zu beweisende Behauptung.*

– *Kriegsdemonstration* = *Demonstration von den Kriegsanhaengern.*

– *Antikriegsdemonstration* = *Demonstration gegen den Krieg.*

ანტონიმიური მიმართებები არსებით სახელთა კლასში მყარდება ძირითადად ფუძეზე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე დერივაციული ელემენტების დართვით ან ზმნებისა და ზედსართავის სახელების ზუბსტანტივიზაციის გზით. რაც შეეხება კონვერსიის გზით ზმნისა და ზედსართავი სახელიდან წარმოქმნილ არსებით სახელებს, ამის ნიმუშად წარმოვადგენთ ანტონიმიურ წყვილებს, როგორცაა: *Ärger - Freude, Lust; Gewinn - Verlust; Alte - Junge*; ზემოთქმულიდან გამომდინარე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არსებით სახელთა კლასში ანტონიმიური დაპირისპირებები უმეტეს შემთხვევაში შუალობითია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს ვარაუდს იმის თაობაზე, რომ ანტონიმები, როგორც ურთიერთდაპირისპირებული, ურთიერთგამომრიცხავი და ურთიერთსაწინააღმდეგო მნიშვნელობის მარეალიზებელი ენობრივი ფენომენები, არ შეიძლება წარმოდგენილი იქნენ კონკრეტული სულიერი ან უსულიო საგნების აღმნიშვნელის სახით.

ამდენად, მარტივი სტრუქტურის მქონე კონკრეტული საგნების აღმნიშვნელი არსებითი სახელებისათვის უმეტეს შემთხვევაში საპირისპირო მნიშვნელობის გამომხატველი ლექსიკური ერთეულის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა, რაც მოწმობს ჩვენს მიერ არაერთგზის მოტანილი მტკიცების მართებულობას იმის თაობაზე, რომ რეალობაში გამორიცხულია კონკრეტული საგნის უკუვარიანტის, „უკუსაგნის“ არსებობა. ლექსიკურმა ერთეულებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ კონკრეტული შეფასებითი ხასიათი არ შეიძლება შექმნან ანტონიმიური წყვილი. (შეადარე–ბურთი-ნიგნი). ეს მტკიცება სრულ შესაბამისობაშია არებითი სახელის ზოგად-კატეგორიულ მნიშვნელობასთან – არსებითი სახელი გამოხატავს საგანს მისი ფართო გაგებით, საგნის სახით წარმოდგენილ ნიშან-თვისებას, მოქმედებას. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ანტონიმებად მიჩნეული არსებითი სახელები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გვევლინებიან ზმნებისა და ზედსართავებიდან ნაწარმოებ სიტყვებად. არსებით სახელთა წყვილებში დაპირისპირებულობა უმეტეს შემთხვევაში ხორციელდება სიტყვამანარმოებელი პრეფიქსებისა ან იშვიათად სუფიქსების მეშვეობით. მაგ: *die Biogenese-die Abiogenese; der Semit-der Antisemit; die Sepsis – die Antisepsis; die Kompensation – die Antikom-pensation; die Zentralisation – die Dezentralisation; der Argument – der Gegenargument; Schlaf-losigkeit; Hilfe-Hilflosigkeit* და ა. შ.

ანტონიმიურ ლექსიკონებში მოცემული მასალის მიხედვით განსახილველ ლექსიკურ-გრამატიკულ კლასში ოპოზიციურობის გამოხატულება ეკისრება, როგორც გერმანულენოვან, ისე უცხოურ სიტყვამანარმოებელ ელემენტებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანტონიმიური წყვილ-

ბის შექმნის თვალსაზრისით გერმანული აფიქსები-კერძოთ სუფიქსები ნაკლებად პროდუქტიულია. შრომებში, სადაც ანტონიმის ფენომენია განხილული ასახელებენ საპირისპირო სემანტიკის მანარმოებელ შემდეგ ნახევარპრეფიქსებს:

Ab-, Gegen-, Nicht-, Miss-, Un-, Wider-:

Ab - *der Geschmack*-*der Abgeschmack*; *der Weg*-*der Abweg*; *die Gunst*-*die Abgunst*;

Gegen - *der Beweis*- *der Gegenbeweis*; *der Druck* - *der Gegendruck*; *das Angebot* - *das Gegenangebot*; *die Absicht* - *die Gegenabsicht*;

Nicht - *die Achtung*-*die Nichtachtung*; *das Metal* - *das Nichtmetal*; *der Christ*-*der Nichtchrist*;

Miss - *die Achtung*-*die Missachtung*; *der Erfolg* - *der Misserfolg*; *die Billigung* -*die Missbilligung*;

Un - *der Dank* - *der Undank*; *die Gnade* - *die Ungnade*; *der Glaube*-*der Unglaube*; *die Lust* - *die Unlust*;

Wider - *der Christ* - *der Widerchrist*; *der Sinn* - *der Widersinn*; *das Wort* - *das Widerwort*; *die Rede* - *die Widerrede*; *der Spruch* - *der Widerspruch*;

ანტონიმური წყვილების შექმნას ემსახურება აგრეთვე შემდეგი უცხოური დერივაციული ელემენტები, რომლებიც ოპოზიციური მნიშვნელობის სიტყვებს ძირითადად უცხოური წარმოშობის ფუძეებზე დართვით ანარმოებენ:

-An- სიხშირული წინსართი: *der Logismus* - *der Alogismus*; *die Moralitaet* - *die Amoraliteat*; *der Alfabet* - *der Analfabet*; *die Aziditaet* - *die Anazideat*;

Anti-Ant - პროდუქტიული, სიხშირული პრეფიქსი: *die Koerper* - *der Antikoerper*; *der Faschist* - *der Antifaschist*; *die These* - *die Antithese*;

De-, Des-, სიხშირული წინსართი მხოლოდ ნასესხებ არსებით სახელებთან: *die Formation*-*die Deformation*; *die Montage*- *die Demontage*; *der Akkord* - *der Desakkord*;

Dis - არასიხშირული პრეფიქსი: *die Qualifikation* - *die Disqualifikation*;-*die Harmonie* *die Disharmonie*; *die Proportion* -*die Disproportion*;

In -, Il -, Ir -, Im - სიხშირული პრეფიქსები: *die Legalitaet*-*die Illegalitaet*; *der Materialismus*- *der Immaterialismus*; *die Aktivitaet* - *die Inaktivitaet*; *die Realitaet* - *die Irrealitaet*;

Konter - არასიხშირული სიტყვამანარმოებელი ელემენტი, იგი ერთვის, როგორც უცხოურ ისე გერმანულ ფუძეებს: *die Revolution* - *die Konterrevolution*; *der Admiral*-*der Konteradmiral*; *der Schlag* - *der Konterschlag*; *der Tanz*-*der Kontertanz*; *die Bande*-*die Konterbande*;

Kontra - სიხშირული, სუბპრეფიქსი: *die Diktion* - *die Kontradiktion*; *die Indikation* - *die Kontradiktion*.

Non- არასიხშირული პრეფიქსი, ერთვის ძირითადად უცხოური წარმოშობის აბსტრაქტულ სახელებს: *der Komfromist* - *der Nonkomfromist*; *die Valenz* - *die Nonvalenz*;

Re - სიხშირული პროდუქტიული პრეფიქსი: *die Emigration* - *die Reemigration*; *die Militarisation* - *die Remilitarisation*; *der Export* - *der Reexport*;

იდენტური ფუძეების მქონე სიტყვებში დაპირისპირებულობის სემანტიკის რეალიზაცია ხდება პოზიტიური სემანტიკის წინსართის ოპოზიციური წინსართებით შეცვლის გზით. ასეთებად გვევლინება:

Zu –Ab: Zusage – Absage; Zuneigung – Abneigung; Zunahme – Abnahme; Zufuhr – Abfuhr; Zugang – Abgang;

Ein – Aus: Eingabe – Ausgabe; Einfuhr – Ausfuhr; Einahrt – Ausfahrt;

Ab – Auf: Abstieg – Aufstieg; Abbau – Aufbau; Abgang – Aufgang;

Ab – Ei: Abmarsch – Einmarsch; Abzug – Einzug; Abtritt – Eintritt;

An- Ab: Anbruch – Abruch;; Anflug-Abflug;

Hin- Her: Hinflug – Herflug, Hinfahrt- Herfahrt ; Hinweg – Herweg;

Hinter- Vorder; Hinterrat –Vorderrat; Hinterseite –Vorderseite; Hinterbühne – Vorderbühne.

იდენტური ფუძეების მქონე რთულ ლექსემებში ანტონიმიური მითარტებები მყარდება პირველი კომპონენტის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ერთეულის შეცვლის გზით: **Weich – Dünn; Dick – Dünn; Dick –Fein; Ein –Viel; Hoch –Tief; Direkt –Fern** და სხვ. **Weichholz–Hartholz; Dickstoff–Dünnstoff; Direktstudium– Fernstudium; Einehe – Vielehe; Hochland – Tiefland; Dickdarm – Dünn darm;**

იდენტური დერივაციული მოდელის მიხედვით შექმნილ სიტყვებში ოპოზიციურობა თვით ფუძეების ანტონიმიურობით რეალიზდება: **Verdünnung – Verdichtung; Verehrung – Verachtung, Verbesserung – Verschlechterung; Verlängerung – Verkürzung;**

სქემა 3.

სიტყვამანარმოებელი ელემენტები არსებითი სახელების ფარგლებში	
გერმანულენოვანი	
ab	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
gegen	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
nicht	სერიულად ხმარებული რთული არსებითი სახელების პირველი კომპონენტი პროდუქტული
miss	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
un	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი პროდუქტული
wider	სერიულად ხმარებული პროდუქტული ნახევარპრეფიქსი
უცხოური	
a-an	სერიულად ხმარებული პრეფიქსი
anti-ant	სერიულად ხმარებულიპროდუქტიული პრეფიქსი, სიხშირული
de-des	სერიულად ხმარებული პროდუქტული პრეფიქსი სიხშირული
dis	არასიხირულად ხმარებული პრეფიქსი

in-,il-,ir-,im	სერიულად ხმარებული პრეფიქსი
kontra	არასერიულად ხმარებული არაპროდუქტული არასიხშირული პრეფიქსი
konter	არასერიულად ხმარებული პრეფიქსი არასიხშირული
non	არასერიულად ხმარებული პრეფიქსი
re	სერიულად ხმარებული პრეფიქსი

როგორც ზემოთ იქნა აღწერილი შუალობითი ანტონიმისას წინააღმდეგობრივი მიმართებების რეალიზაცია წარმოებს იდენტურ მარტივ ფუძეებზე უარყოფითი მნიშვნელობის მექონე გერმანული თუ უცხოური დერივაციული ელემენტების დართვით. ზმნებში ანტონიმის მანარმობელი გერმანული წინსართებიდან ერთმანეთს უპირისპირდება და სიტყვათა შორის ოპოზიციურ მიმართებებს ამყარებენ შემდეგი დერივაციული ელემენტები:

ab- ≠ be-, aus-, auf-, ein-, zu-, ver-, **ablehnen-bejahen, abbekommen-ausgeben, abdecken-aufdecken, abberufen-einsetzen, abflauen-zunehmen, abharten-verweichlichen.**

an- ≠ ab-, aus-, zurück-,los-,vorbei-,durch-,ver-, ent-, fort-,auf-, herunter-, be-, wider-,weg-:**anbauen-abreißen, andrehen-ausdrehen, anbieten-zurück-weisen, anbinden-losmachen, anhalten-vorbeifahren, anbrechen-durchbrechen, anordnen-verbieten, annähern-entfernen, anbringen-forttragen, ankommen-aufbrechen, anerkennen-herunterzetzen, anfangen-beenden, anschmiegen-widerstehen, antreten-wegtreten.**

aus-≠ ein-, an-, ver-, auf-, zurück-, ent-, zu-: **ausatmen-einatmen, ausdrehen- andrehen, ausgeben-bekommen, ausgraben-vergraben, aussterben-aufsterben, ausfahren-zurückfahren, ausleihen-entleihen, ausreden-zureden.**

auf-≠ ab-, ein-, zu- ver-, zurück-, nieder-, unter-, herab-, ent-: **aufbauen-abreißen, auftauchen-eintauchen, aufbinden-zubinden, aufbluehen-verbluehen, aufholen-zurueckbleiben, aufheben-niedersetzen, aufsteigen-untergehen, auf-fliegen-herabfliegen, aufholen-entholen.**

ein- ≠ aus-, ab-,auf-, ent-, ver-, heraus-: **einfahren-ausfahren, eingiessen-abgiessen, eintauchen-auftauchen, einfetten-entfetten, einbringen-verlieren, einsetzen- herausnehmen.**

entgegen ≠ ab-, aus-, nach-, zurück-, zu-, hin -:

entgegen-eilen-abweisen, entgegenkommen-ausweichen, entgegenstrecken-nachgeben,

entgegentreten-zurückweichen, entgegennehmen-zuwenden, entgegennehmen-hingeben.

zu ≠ auf-, ab-, aus-, ver-, ent-: **zumachen-aufmachen, zufließen-abfließen, ugiessen-ausgiessen, zunehmen-verringern, zukorken-entkorken.**

ent ≠ be-, er-,ver-, aus-, an-,ein-,ent-, zu-: **entstehen-bestehen, entmutigrn-entpflichten-verpflichten, entwerfen-ausfuehren, entspannen-anspannen,**

entlasten-einspannen, entzuecken-entsetzen, entsagen-sich zuwenden

ver ≠ be-, ge-, aus-, ein-, ver-, er-, auf-: *verabschieden-begrüßen, verbieten-genehmigen, verhellen-aussagen, vermehren-einschrenken, verraten-verheimlichen, vermindern-erweitern, verschwinden-auftreten.*

ლექსიკური ერთეულების ანტონიმიურ მიმართებათა რეალიზაცია ხდება აგრეთვე ე.წ. სიხშირული, პროდუქტული სიტყვამანარმოებელი ერთეულების ურთიერთჩანაცვლებით, რომლებიც წარმოქმნილი სიტყვების პირველ კომპონენტად გვევლინებიან. ასეთებია: hin ≠ her-; hinein ≠ hinaus-, hinunter ≠ hinauf-; heraus ≠ hinein/hinaus; herunter ≠ herauf-; hinab ≠ hinauf-; zusammen ≠ auseinander- *hinlegen-herlegen; hineinbringen-herausbringen; hinuntertragen-hinauftragen; herausbringen-hineinbringen, herunterkommen-heraufkommen; hinabfliessen- hinauffliessen; zusammenbleiben-auseinandergehen.* აქედან ზმნები პირველი კომპონენტით „*zusammen*“- ანტონიმიურ მიმართებს ავლენენ ასევე *aus-, auf-, ver-, zer-, ent-*, წინსართიან ზმნებთან: *zusammenfalten-ausspannen, zusammendrücken-aufbauschen, zusammennehmen-verzetteln; zusammensetzen-zerlegen; zusammenrollen- entrollen.*

აღწერილი შემთხვევების გარდა ანტონიმიური მიმართებები მყარდება ნაირფუძიან ზმნებზე ურთიერთსაპირისპირო სემანტიკის მარეალიზებელი წინსართების მეშვეობით. ასეთებია:

wider ≠ be-, ge-, er-, (ხშირად):

an-, nach-, zu-, (იშვიათად): *widerrufen-behaupten; widerstehen-gehorschen, widersetzen-ertragen, widerlegen-anerkennen, widerstehen-nachgeben, widersprechen-zustimmen.*

hinter ≠ vor-, voran-, er-, be-, ent-: *hintergehen-vorgehen, hintertreiben-vorantreiben, hinterlassen-erben, hinterlassen-beerben, hinterlassen-enterben.*

miss ≠ ver-, be-, an-, ge-: *misstrauen-vertrauen, misshandeln-behandeln, missbiligen-anerkennen, misslingen-gelingen,*

gegenüber≠nebenan-,seitwärts-,diesseits-: *gegenueberliegen-nebenanliegen, gegenüberstehen-seitwärtsstehen, gegenübersitzen-diesseitssitzen.*

უცხოური წინსართებიდან ანტონიმიური ზმნების ფარგლებში შედარებით ხშირად გვხვდება პროდუქტიული პრეფიქსი: *-re- reduzieren-sich vermehren, resignieren-durchhalten* პრეფიქსი: *-de- demontieren-aufbauen, demolieren-widerherstellen.* სიხშირული პრეფიქსები: *ir-, im-, in-, irren-korrigieren, immigrieren-emmigrieren, intergrieren-desintergrieren, inhaftieren-freilassen.* განსხვავებული სიხშირით *არასერიულად ხმარებული, არასიხშირული პრეფიქსები: -dis, di, ex - distanzieren-zurückbleiben, differieren-übereinstimmen, existieren-erhalten,* საერთოდ არ აღინიშნება ანტონიმიური მიმართებების გამოხატვა ისეთი ერთეულებით, როგორცაა: *konter, kontra, anti, il, a, non.* რაც შეეხება სუფიქსალურ წარმოებას, ის გერმანულ ანტონიმიურ წყვილებში არ გვხვდება. პრეფიქსების საშუალებით შექმნილ ანტონიმიურ წყვილებს შორის ფიქსირდება სტრუქტურული სხვაობა. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ანტონიმიური

წყვილების შემდეგი სახეობები: **წყვილები**, რომელთა ორივე წევრი წარმოდგენილია ერთი და იგივე ფუძით, ხოლო საპირისპირო მნიშვნელობის რეალიზაცია ხდება ორივე-მარჯვენა და მარცხენა ფუძეზე ანტონიმიური მნიშვნელობის პრეფიქსების დართვით: *auf-tauchen-eintauchen; auf-machen-zumachen; ein-liefern-ausliefern; auf-steigen-absteigen; auf-fliegen-herabfliegen, belasten-entlasten, wieder-gehen-emporgehen* და სხვ. **წყვილები**, რომელთა წევრები წარმოდგენილია იდენტური ფუძეებით, ოპოზიციურობის მნიშვნელობის რეალიზაცია კი ხდება წყვილის მხოლოდ ერთ წევრზე დართული პრეფიქსების მეშვეობით: *fär-ben-abfärben, neh-men-entnehmen, änder-n-abändern, billigen-missbilligen, glü-cken-missglücken, holen-entholen, keimen-entkeimen, dialogisieren-entdialogisieren, kleiden-entkleiden* და სხვ. **წყვილები**, რომელთა ორივე წევრი წარმოდგენილია ანტონიმიური ფუძეებით და ამავდროულად საპირისპირო მნიშვნელობის მქონე პრეფიქსებით: *auf-heben-niedersetzen, auf-wachen-einschlafen, auf-schneiden-zunähen, auf-setzen-abnehmen, niedersetzen-aufheben, aus-weilen, einschrenken, dialogisieren-entdialogisieren, kleiden-entkleiden* და სხვ. **წყვილები**, რომელთა ორივე წევრი წარმოდგენილია ანტონიმიური ფუძეებით და ამავდროულად საპირისპირო მნიშვნელობის მქონე პრეფიქსებით: *auf-heben-niedersetzen, auf-wachen-einschlafen, auf-schneiden-zunähen, auf-setzen-abnehmen, niedersetzen-aufheben, aus-weilen, einschrenken*.

სქემა 4.

სიტყვამანარმოებელი ელემენტები ზმნების ფარგლებში	
ერმანულენოვანი	
ent	სერიულად ხმარებული მოუცილებადი პრეფიქსი, პროდუქტული
entgegen	სერიულად ხმარებული ნახევარპრეფიქსი, სიხშირული, პროდუქტული
gegenüber	არასერიულად ხმარებული, ნახევარპრეფიქსი, არასიხშირული
wider	არასერიულად ხმარებული, არაპროდუქტული, ნახევარპრეფიქსი, არასიხშირული
უცხოური	
ex	არასიხშირულად ხმარებული, არასიხშირული, მოუცილებადი პრეფიქსი
de-, des-	სერიულად ხმარებული, მოუცილებადი პრეფიქსი, სიხშირული
dis-, di-	მოუცილებადი პრეფიქსი, არასიხშირული

ლიტერატურა:

1. Agricola Chr., Agricola Erh. Wörter und Gegenwörter. Antonyme der deutschen Sprache. Leipzig: Veb. Bibliographisches Institut, 1979;
2. Agricola Erh. Wörter und Wendungen. Leipzig: 1999;
3. Bünding D. Deutsches Wörterbuch. B., 1996;
4. Duden. Deutsches Universal Wörterbuch. A..Z. Dudenverlag Mannheim./Wien/Zürich, 1983;
5. Klappenbach R. Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Berlin: Akademie Verlag, 1970-1977;
6. Stepanova M. D. Slovar slovoobrazovatelnyh elementov. A-Z . Moskva, Russkiy yazik, 1979.
7. Wahrig G., Hermann U. Deutsches Wörterbuch. München; Mosaik Verlag, 1980;
8. Zayavlova V. M. Antonimy. Moskva, Visshaya shkola, 1969;

Lali Ratiani

THE ESSENCE OF GERMAN AND FOREIGN WORD-FORMATION
ELEMENTS OF REALIZING MEANING

*Presented by Institute of Foreign Language at Tskhum-Abkhazian Academy
of Sciences*

Summary

The realization of multilateral analysis of antonymic pairs according to the lexical and grammatical classes of words both on a simple structural lexical units and by including any direct elements, as well as, by opposition of additional special language means whilst the opposition will take place by joining negative word-formation elements on a simple root.

For reverse meaning formation of a native word we single out German and foreign language word-formation elements of nouns, adjectives and verbs within lexicographic works such as: used serial or non- serial, frequent and non-frequent, productive and non-productive prefixes, separable or non-separable semi-prefixes, separable compound words, frequent or productive components, first

productive components of serial used compound nouns.

All the elements /indirect or direct / point to negative meaning of a basic word, its reverse meaning. One-sided direct /e.g. logisch-alogisc/ and two-sided direct antonymy /festbinden-freibinden/ have been distinguished.

Antonymic pairs, formation of German affixes, particularly suffixes are less productive. The formation of antonymic pairs is supported by foreign derivational elements which mainly form oppositional meaning of words by adding foreign derived roots.

ნეოლოგიზმები, როგორც ახალი ცნებების
ბამოხატვის ერთ-ერთი საშუალება

თანამედროვე ენა ერთიანი და ხანგრძლივი ისტორიის მქონე სისტემაა, რომელიც განიცდის მუდმივ განვითარებას როგორც გრამატიკულ-ორთოგრაფიული, ისე ლექსიკურ-სტილისტური თვალსაზრისით. საზოგადოებაში ენა ვითარდება თავისი კანონებისა და წესების შესაბამისად, ამიტომ ენის განვითარება, მისი ახალი ლექსიკური ერთეულებით შევსება ამდიდრებს მის ლექსიკურ ფონდს. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნეოლოგიზმებს.

ამა თუ იმ ქვეყნის ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებები უშუალოდ მოქმედებს მისი ენის განვითარებაზე. ცნობილია, რომ ინგლისური ერთ-ერთი წამყვანი და პოპულარული ენაა მსოფლიოში, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა და ლიტერატურის განვითარებაში. მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროს განვითარებასთან და გამოგონებებთან დაკავშირებით იზრდება ახალი ლექსიკური ერთეულების რაოდენობა. ენის ლექსიკის განვითარებაში ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესად ითვლება ენის მუდმივი და ინტენსიური შევსება ახალი, ადრე უცნობი სატყვებით, რაც მუდმივად ხორციელდება ჩვენს გარემომცველ სამყაროში მომხდარი ცვლილებებისა და ენის მატარებელთა მოთხოვნების შესაბამისად (Crystal, 2003: 47).

ყოველწლიურად, სტატისტიკიდან გამომდინარე, ინგლისურ ენაში ფიქსირდება დაახლოებით 25000 სიტყვა.

ახალი სიტყვების გამოჩენა ენაში ხშირად დაკავშირებულია ახალი ასოციაციის წარმოქმნასთან. ენა, რომელიც ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას – კომუნიკაციის საშუალებას, ამკვიდრებს ახალ ცნებას სიტყვებითა და გამოთქმებით.

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება ახალი ლექსიკური ერთეულების, ნეოლოგიზმების პრობლემას თანამედროვე ინგლისურ ენაში. ლექსიკურ ერთეულების ანალიზის პროცესში მივმართეთ ეტიმოლოგიურ, სემანტიკურ და დესკრიპტიულ მეთოდს. ძირითადი ყურადღება გავამახვილეთ სამშენებლო და არქიტექტურის სფეროს ლექსიკურ ერთეულების განხილვაზე.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ნეოლოგიზმები სულ უფრო ხშირად ჩნდება ნებისმიერი ენის ლექსიკაში. მათი ენაში გამოჩენის მიზეზი არის ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკის დანერგვა.

ნეოლოგიზმები ეს ის სიტყვებია, რომლებიც წარმოადგენს ახალ ლექსიკურ ერთეულებს მოცემული პერიოდისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ მოხვდნენ აქტიურ ლექსიკურ ფონდში, ამიტომაც ისინი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობია.

ნეოლოგიზმი (ბერძნ. Neos – ახალი და logos – სიტყვა) ახლად გაჩენილი სიტყვები და გამოთქმებია.

ტერმინი „ნეოლოგიზმი“ პირველად გამოჩნდა 1755 წელს ფრანგულ ენაში – néologisme. 1880 წელს ის ნასესხები იყო ინგლისურ ენაში მნიშვნელობით „ახალი სიტყვების გამოყენება“, ინოვაციები ენაში, ასევე ახალი სიტყვა ან გამოთქმა. მეცნიერებისა და კულტურის გრანდიოზულ წარმატებებთან დაკავშირებით, ნეოლოგიზმები მტკიცედ იმკვიდრებდნენ და იმკვიდრებენ ადგილს ინგლისური ენის ლექსიკურ ფონდში.

ჯერ კიდევ, 1975 წელს აღენ რეიმ ივარაუდა ის, რომ „...ნეოლოგიზმებს აღიქვამენ როგორც სიტყვებს, რომელიც შემოსულია ენაში ან განსაზღვრულ პროფესინალურ სფეროში“ (Ray, 1995).

არსებობს ნეოლოგიზმის ცნების მრავალი განსაზღვრა ლინგვისტიკის მიერ. ო. ა. ახმანოვას „ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონში“ ნეოლოგიზმი განისაზღვრება როგორც „სიტყვა ან ფრაზა, რომელიც წარმოიშვა ახალი საგნის (ადრე ცნების) აღსანიშნად ან ახალი ცნების გამოსახატავად (Akhmanova, 96:78).

„ნეოლოგიზმები არის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოცემულ ენაში გაჩნდა არაუადრეს ბოლოათწლეულისა და მოლაპარაკეთა მიერ აღიქმება როგორც ახალი“ (Gamkrelidze...2003: 388). მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით, სესხების როლი მნიშვნელოვანია ნეოლოგიზაციის პროცესში. აკად. თ. გამყრელიძე აღნიშნავს: „ნეოლოგიზმებსა და ნასესხებ სიტყვათა შორის ურთიერთკავშირი იმდენად არსებობს, რამდენადაც ნეოლოგიზმების წარმოქმნა ექსტრალინგვისტური ფაქტორებით, ჩვეულებრივ, ახალი ობიექტების გაჩენით არის განპირობებული. ეს ერთეულები ენაში მოქმედი წესების მიხედვით იქმნება უკვე არსებული მორფემებისა და ლექსემების საფუძველზე ან შემოდის სესხების გზით“ (Gamkrelidze, 2003: 389).

როგორც ცნობილია, ენის ლექსიკური ფონდი მუდმივ ცვალებადობას განიცდის. ნეოლოგიზმები ენის განვითარებას განაპირობებს. ნეოლოგიზმი არის სიტყვა, რომელიც გამოხატავს ახალ ცნებას ან ლექსიკონის ახალ ერთეულს ან ახალ მნიშვნელობებს აძლევს არსებულ ლექსემებს (Collins, 1995).

როგორც ცნობილია ენაში მუდმივად ხდება მოდიფიცირება და ლექსიკის გამდიდრება, ლექსიკურ ერთეულთა წარმოშობის შესწავლა, ეტიმოლოგიური, სემანტიკური და მორფოლოგიური ანალიზი საინტერესო ინფორმაციას გვანვდის მათი სტრუქტურის შესახებ.

ადამიანი, რომელიც ქმნის ახალ სიტყვას, მიიღვების ინდივიდუალიზაციისა და ორიგინალობისაკენ. შემდეგ სიტყვა გადის სოციალიზაციის გარკვეულ სტადიას, რომლის დროსაც სიტყვა აღიქმება შუამავლების (მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და ა.შ.) მიერ და განავრცობენ მას მასებს შორის. სოციალიზაციის სტადიის პროცესში ენის მატარებელთა ფართო მასების მიერ ხდება სიტყვის გამოყენება.

ნეოლოგიზმების უმეტესი ნაწილი წარმოშობილია ადამიანის საქმი-

ანობის სოციალური, პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული სფეროებიდან. ამჟამად ნეოლოგიზმებს ძირითადად ვეცნობით როგორც მასმედიიდან, სპეციალური ლიტერატურიდან, ასევე გლობალური ქსელიდან – ინტერნეტიდან.

ნეოლოგიზმების გამოჩენა თანამედროვე ენაში ინვევს დიდ ინტერესს არა მარტო ლინგვისტებისთვის, არამედ ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისთვის.

მშენებლობისა და არქიტექტურის ტერმინოლოგია წარმოადგენს სპეციალიზირებულ ლექსიკურ სისტემას, რომელიც ყალიბდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მშენებლობა წარმოადგენდა ადამიანის შრომითი საქმიანობის ჩვეულებრივ სახედ. სამშენებლო საქმის განვითარებით შესაბამისად ვითარდებოდა ტერმინოსისტემა. ახალი მასალების, შრომის იარაღების, ტექნიკის გამოჩენასთან დაკავშირებით საჭირო იყო მათი ნომინაციის აუცილებლობა.

როგორც ცნობილია, მშენებლობა და არქიტექტურა წარმოადგენს სამყაროს მოდელირების სისტემას, ადამიანის შემოქმედებით ფორმას. ის უნივერსალურია, რომელიც აერთიანებს ძველსა და ახალს, რეალურს და არარეალურს, მატერიალურს და იდეალურს, მდგრადსა და ცვალებადს, მარტივს და რთულს, ის მოიცავს მრავალფეროვნებას, ტრადიციულ და არატრადიციულ ფორმებსა და კონსტრუქციებს. მშენებლობისა და არქიტექტურის მრავალი ფორმა გამოიხატება სიტყვებით, გამოთქმებით, ტერმინებით, ნეოლოგიზმებით. ყოველი არქიტექტურული ფორმა წარმოადგენს ახალ ენას, ახალ ლექსიკურ სისტემას.

ნაშრომზე მუშაობისას მოვიძიეთ და შევავსოვეთ როგორც წინა წლებში, ასევე ბოლო პერიოდში წარმოშობილი ნეოლოგიზმები, რომლებიც ეხება მშენებლობისა და არქიტექტურის სფეროს. ასე მაგალითად:

Archistar – a software framework to build distributed storage system on the basis of secure fragmentation and information dispersal. It is dedicated to the development of a secure distributed storage architecture for trustworthy cloud usage. მოცემული სიტყვა ენაში დამკვიდრდა, როგორც საოცარი არქიტექტურის ნიმუში და დაკავშირებულია ბილბაოში გუგენჰაიმის მუზეუმთან, როგორც განცვიფრების აღმნიშვნელი, ეფექტის მომხდენი ტერმინი. მუზეუმის ნაგებობამ არქიტექტურული სტილის თვალსაზრისით აღტაცება გამოიწვია. ის 1997 წელს გაიხსნა და მყისვე მოიხვეჭა მსოფლიოს ყველაზე წარმტაცი შენობის სახელი, რომელიც გადანყვეტილია [დეკონსტრუქტივიზმის](#) სტილში.

ბოლო რამდენიმე ათწლეულების ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა გავლენა მოახდინა არქიტექტურაზე, რომლის დროსაც საფუძველი ჩაეყარა ინოვაციურ პროცესს, სახელწოდებით „არქიტექტურის კომპიუტერიზაცია“. სინამდვილეში, ეს პროცესი შეიძლება ჩათვალოს როგორც ახალი, ისტორიული, მეცნიერული სინთეზი, მიღებული, განსაკუთრებით, ახალი სამშენებლო მასალების შეერთებით შესაბამის სამშენებლო ტიპებთან და მეთოდოლოგიებთან (მაღალი ტექნოლოგიების სახელწოდებით). ამჟამად ხდება ენის დიზაინის მეტამორფოზა, რომელიც გამოწვეუ-

ლია ინფორმაციული ტექნოლოგიებით (IT – information technology) და ავტომატიზირებული პროექტირების მეთოდებით CAD – computer-aided design.

ნიშანდობლივია აღინიშნოს ის, რომ გამოხატვის თავისუფლება ქმნის „არქიტექტურულ ობიექტებს“. მრავალი ასეთი „არქიტექტურული ობიექტი“ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, თავად სიტყვა „არქიტექტურა“ ანუ ტექნიკური / გონებრივი საქმიანობა მიზნად ისახავს ფიზიკური გარემოს შეცვლას ცხოვრებისეულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. ზოგიერთ მშენებლობა აღწევს არქიტექტურულ-სკულპტურულ ხელოვნების დონეს და სტრუქტურა ხდება კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს „არქიტექტურული დიზაინის“ ობიექტს.

ახალი არქიტექტურული ქმნილებები დაფუძნებულია, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალურ მხატვრულ შესაძლებლობებზე, ხელოვნების ნიჭზე (მაგალითად, სიდნეის ოპერის თეატრი, 1957-1973 და Guggenheim Museum Bilbao, რომლებიც, მეორეს მხრივ, განიხილება, როგორც დიდაქტიკური გადახრები.

Archinect – the most established online Architecture community. It also hosts thousands of individual, firm and architecture school profiles, reinforcing the mission to make architecture more connected. არქიტექტურის ეს ტერმინი ნიშნავს მთელი მსოფლიოს არქიტექტორთა კავშირს, ღიად მოაზროვნებს, რომლებიც ნერგავენ ახალ იდეებს.

ნეოლოგიზმების შექმნა ხდება სხვადასხვა სიტყვამანარმოებელი მექანიზმის საშუალებით: დერივაცია, უკუნარმოება, შეერთება, კონვერსია, ეპონიმები, აბრევაციები, ნასესხობანი, ონომატოპეა, რედუბლიკაცია, ოკაზიონალური სიტყვები, პორტმანტო და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვანარმოების პროცესები არა მხოლოდ ხარისხობრივ, არამედ რაოდენობრივ ცვლილებებს გულისხმობს. არსებობს სიტყვანარმოების კონკრეტული ჯგუფი, განსაკუთრებით შერწყმა – **ბლენდინგი** – blendings, **ანუ პორტმანტო** – portmanteau, რომელიც წარმოადგენს შემოკლების იმ ფორმას, რომლის დროსაც ხდება ახალი სიტყვის შექმნა ორი განსხვავებული სიტყვის ნაწილის გაერთიანებით ერთი სიტყვის საწყისი ნაწილისა და მეორის, ბოლო ნაწილის შეერთებით. ასეთ სახის შემოკლების მაგალითს წარმოადგენს სიტყვები: slanguage = slang + language, apartotel = apartment + hotel, ecotel = ecological + hotel, rotel = rotor + hotel, motel = motor + hotel და ა. შ

სიტყვა archinect თავისი სტრუქტურით წარმოადგენს სიტყვანარმოების ერთ-ერთ მსგავს ხერხს პორტმანტოს - portemanteau ანუ blending - სიტყვათა შერწყმას. სიტყვათა შერწყმის architecture + nect. მაგალითებად შეიძლება წარმოვადგინოთ ასევე სიტყვები: starchitect, advertecture, antecture, barkitecture, biotecture, blobitecture, ecotecture.

Neuromorphic Architecture – ეს ტერმინი შემოიღო კომპიუტერული მეცნიერების, ნეირომეცნიერებისა და ფსიქოლოგიის პროფესორმა მაიკლ არბიზმა. მან პირველად ფორმალურად შემოგვთავაზა ეს ტერმინი თავის ნაშრომში, რომელიც დაიბეჭდა 2012 წელს ჟურნალში Intelligent
82

Buildings International სათაურით “Brains, machines and buildings: towards a neuromorphic architecture” „ტვინი, მანქანები და შენობები ნეირომორფიკული არქიტექტურის“ მიმართ. მას საჭიროდ მიაჩნია კომპიუტერული სისტემების დამკვიდრება, რომელიც დაეფუძნება ნეირომეცნიერების აღმოჩენებს და შესაძლებელს გახდის მათ გამოყენების ინტელექტუალურ შენობებში. მომავალში მსგავსი შენობები გახდება ალქმადი, მოქმედი და ადაპტირებადი ერთეულები, რომლებიც დიდ გავლენას იქონიებს პროექტებზე.

Starchitect – architects whose celebrity and critical acclaim have transformed them into idols of the architecture world – მოცემული პორტმანტო, რომელიც შედგება star- და architect -ის კომპონენტებისგან აღნიშნავს იმ არქიტექტორებს, რომელთა ცნობილმა და კრიტიკულმა გამოხმაურებებმა აქცია ისინი კერპებად. ამ სიტყვის გამოყენება პრესაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა:

A decade later, the 30-something innovator has left his airy-artist-loft days behind for a decidedly more polished and refined living space in a sleek, starchitect-designed building alongside the Hudson River (Bevan, 2017).

The starriest of starchitects are on the shortlist to design London’s new Center for Music, a future home for the London Symphony Orchestra and the Guildhall School of Music and Drama (Roslyn, 2017).

Advertecture - advertising + architecture - large advertising painted on the walls of buildings – ადვერტექტურა – შენობის დეკორირება რეკლამის საშუალებით, შენობების კედლებზე რეკლამების განთავსება, აღნიშნება ტერმინით: „რეკლამოტექტურა“.

Anotecture – small scale, experimental architecture – ექსპერიმენტული არქიტექტურა - მცირე ზომის ექსპერიმენტული არქიტექტურა.

Take a look at 11 other examples of “nanotecture” – from the small, to the not-so- small (<http://www.bbc.co.uk/28March,2016>). Barkitecture – The architecture of doghouses created by Austin’s best and brightest architects, interior designers, and builders. ბაქიტექტურა – მოცემული სიტყვა სათავეს იღებს ინგლისური ზმნიდან – bark (ყეფა) – ძაღლებისთვის ჯიხურების მშენებლობა. Biotecture – provides innovative, flexible, modular green wall systems, offering a new level of sustainability in living walls. მცენარეების გამოყენება არქიტექტურის ელემენტებისთვის, „ბიოტექტურა“. ცოცხალი მცენარეები, როგორც შენობების დიზაინის განუყოფელი ნაწილი, ჰიდროპონიკური ბიოლოგიური სტრუქტურებისგან აგებული კედელი. მოცემული სიტყვა თავისი სტრუქტურით არის შერწყმა კომპონენტების bio - + architecture. bio- „ცოცხალი ორგანიზმი“ + სიტყვა architecture-ის შემოკლებული ფორმა.

Blobitecture (from blob architecture) - blobism and blobismus are terms for a movement in architecture in which buildings have an organic, amoeba-shaped, building form – ბლობიტექტურა – მიმართულება არქიტექტურაში, სადაც შენობები აქვს ორგანული, ამების ფორმის, შენობის ფორმა.

ტერმინი ‘blob architecture’ შემოიღო არქიტექტორმა გრეგ ლინ-

მა 1995 წელს. მალე მრვალმა არქიტექტორმა და ავეჯის დიზაინერმა დაიწყეს ექსპერიმენტი “blobby – უფორმო” კომპიუტერული ახალი და უჩვეულო ფორმების შესაქმნელად.

უფორმო შენობების კონსტრუქციები აგებულია სხვადასხვა ქვეყანაში: პოპ კულტურის მუზეუმი სიეტლში - Museum of Pop Culture - Seattle, ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმი - The Guggenheim Museum Bilbao, სელფრიჯის შენობა ედინბურგში, Selfridges Building - Birmingham, UK, მეტროპოლ პარაზოლი - სევილიაში, ესპანეთში - The Metropol Parasol - Seville, Spain, სეიჯ გეთსჰედი - ინგლისში, The Sage Gateshead - Gateshead, England, გოლდენ ტერასები ვარშავაში - Golden Terraces (Złote Tarasy) - Warsaw, Poland, სითი ჰოლი ლონდონში - City Hall - London, England, ბანკის შენობა ბერლინში - DZ Bank Building - Berlin, Germany და ა.შ.

Ecotecture < ecological architecture – the art and science of designing human systems that are integrated, functionally and aesthetically, with natural ecosystems – ეკოტექტურა – არქიტექტურული დიზაინი ანუ არქიტექტურის ტიპი, რომელიც დაფუძნებულია ეკოლოგიურ პრინციპებზე, მდგრადობასა და ბუნების დაცვაზე. ეს სიტყვა წარმოადგენს ერთ-ერთ სიტყვის შეკვეცის მაგალითს (სინოკოპს).

Furniture – ფურნიტექტურა – a part of the structure of a house or other building.

The property ... contains some fantastic examples of “furniture” – furniture that’s integrated into the architecture. Murphy has only four pieces of furniture because everything else – seating, beds, bookshelves, wardrobes – is part of the fabric. (The Telegraph, 27 February 2017).

2013 წლის ნეოლოგიზმების მაგალითს წარმოადგენს სიტყვა arthscraper – a pyramid-shaped multi-storey building which is constructed underground, with its ‘roof’ at ground level – პირამიდული ფორმის მინისკეშ აგებული შენობა.

2014 წელს გამოჩნდა სიტყვა plyscraper - a skyscraper made mainly from wood. ხისგან აგებული ცათამბჯენი.

The development of engineered timber could herald a new era of eco-friendly “plyscrapers”. Christchurch welcomed its first multistory timber structure this year, there are plans for Vancouver, and the talk is China could follow (www.theguardian.com 03 October 2014).

Catio - an enclosed area outside a house for pet cats. დახურული სივრცე სახლის გარეთ საყვარელი კატებისთვის. მოცემული სიტყვა არის ორი კომპონენტის შერწყმა: cat + patio.

What, cynics may ask, distinguishes a “catio” from a „screened-in porch”? They clearly haven’t seen the catwalks that wind around Dan Reeder’s Seattle house and yard ... with, as he wrote on his blog, „everything a cat could want in that place, including a catnip plant” (Washington Post, 31.08.2016).

Charette - an intense period of design activity. In fields of design such as architecture, landscape architecture, industrial design, interior design and graphic design, the term charette may refer to an intense period of work by one person or

a group of people prior to a deadline. შარეტი – ინტენსიური დიზაინის აქტივობის პერიოდი. სპეციალური არქიტექტურის დიზაინი – ბოლო კვირის დაძაბული მუშაობის შედეგად დასრულებული პროექტები. ამ სიტყვის ეტიმოლოგია წარმოშობილია ძველი ფრანგულიდან – Old French charrette (cart). შესაძლოა ამ სიტყვის წარმოშობა დაკავშირებულია არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტების მუშაობასთან, რომლებიც ამუშავებენ თავიანთი პროექტების ბოლო დეტალებს, სასწავლებლის ოთხთვალის საშუალებით მათი პროექტები წარედგინება თავიანთ პროფესორებს. ამასთან დაკავშირებით გამოჩნდა შემდეგი გამოთქმა: “I’m not going home for Thanksgiving because of charette”. – არ ვაპირებ შინ წასვლას მაღლიერების დღეზე ინტენსიური დიზაინის აქტივობის პერიოდის გამო.

Fab lab – a fabrication laboratory; a science laboratory equipped with the latest digital technology in order to facilitate the learning of all the STEM subjects - მოსამზადებელი სამეცნიერო ლაბორატორია, აღჭურვილი უახლესი ციფრული ტექნოლოგიით.

The “Fab Lab” equips students with an array of tools in a small-scale workshop setting that offers personal digital fabrication – a project-based learning method that will allow students to create “almost anything” (<http://ind.gmnews.com/> 08 October 2015).

High - rise – a tall building or structure – მრავალსართულიანი სახლი.

Iceberg basement - a part of a building consisting of several storeys built below ground level. – შენობის ნაწილი, რომელიც შედგება მიწის ქვეშ ჩაშენებული რამდენიმე სართულისგან.

Claridge’s, the luxury hotel, has submitted plans for a five-storey iceberg basement including a swimming pool, gym and wine store (The Telegraph, 07 September 2016).

Lane House - complex of low houses – დაბალი საცხოვრებელი კომპლექსი;

Micro condo – a very small apartment – ძალიან პატარა ბინა.

While the tiny house movement has been well documented, a bigger idea for smaller living space is on the rise: that of the micro-condo or tiny apartment (www.bbc.com 21 April 2015).

Multiplex - A building or a place where several activities occur in multiple units concurrently or different times; მულტიპლექსი – მრავალდარბაზიანი გასართობი კომპლექსი;

Nail house - a house that the owners refused to sell to a developer and that stands when the area around it is developed. სახლი, რომლის გაყიდვაზე მფლობელებმა უარი განუცხადეს დეველოპერს, მიუხედავად იმისა, რომ მის ირგვლივ რაიონი განვითარებულია.

One ‘nail house’ in Wenling, Zhejiang province, had a main road built around

¹ Geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo

² https://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_lithuania

it when the owner refused to move (www.dailymail.co.uk 08 June 2015).

Poor door – a separate entrance in a housing development for those living in less expensive apartments. – შენობის ცალკე შესასვლელი დაბალი შემოსავლების მქონე რეზიდენტებისთვის.

Sliver building – an extremely tall, narrow skyscraper – ულტრა მაღალი, ვიწრო ცათამბჯენი.

It seems that we are seeing more super-tall buildings, including those sliver buildings on fifty - seventh street in midtown (WNYC: Leonard Lopate Show (US culture and current affairs) 21 January 2016).

Twodio – a small apartment with one large room for sleeping and living in, a bathroom, and a kitchen that is shared with another apartment – პატარა ბინა ერთი დიდი მისაღები და საძინებელი ოთახით სხვა ბინასთან საზიარო აბაზანიტა და სამზარეულოთი.

You will have heard of studio apartments, but you might not have heard of the twodios. The contemporary-looking accommodation is set up like part flat, part university halls ... the residents get a private room and en-suite bathroom, no bills and a cleaner. The kitchen is shared between two (Metro, 02.05.2016).

Wellness Club - offers of a variety of restorative and rejuvenating workshops and private treatments including reiki, sound healing, meditation, health coaching, herbal facials, and more. გამაჯანსაღებელი კომპლექსი.

Wind confusion – Engineering and architectural techniques that prevent high winds from exerting excessive force on a tall building (The New York Times) – საინჟინრო და არქიტექტურული ტექნიკა, რომელიც ძლიერი ქარებისგან იცავს მაღალ შენობებს.

2017 წლის ნეოლოგიზმებად ითვლება სიტყვები gigamansion, sky pool და woonerf.

Gigamansion - a very large and expensive house – ძალიან დიდი და ძვირადღირებული სახლი.

Gigamansion is the term we must now use to describe the new breed of homes that are landing like alien motherships on the fragrant hills of Bel Air, Beverly Hills and Holmby Hills (The Times, 18 February 2017).

Sky pool - A swimming pool suspended in the air between two buildings – ორ შენობას შორის ჰაერში დაკიდული საცურაო აუზი.

The developers say the transparent ‘sky pool’ will be the first of its kind in the world, giving swimmers the ability to look 35 metres down to the world below, with only 20cm of glass between them and the outside world. [Cosmopolitan, 13 February 2017]

Woonerf – a road in which drivers, pedestrians, cyclists, and local residents share the same space, and where measures designed to slow traffic have been implemented – გზა, სადაც მძღოლები, ფეხით მოსიარულეები, ველოსიპედისტები და ადგილობრივი მაცხოვრებლები იზიარებენ ერთსა და იმავე სივრცეს, სადაც შემოღებულია წელი მოძრაობის წესები.

Woonerf originated in Holland as a term to describe areas where walking, cycling, playing, and socializing occurred between houses and traffic oriented streets.

Woonerfs have since been adapted to more commercialized settings in North America (www.urbansystems.ca, 11 January 2017).

ინგლისურ ენაში ნეოლოგიზმების გარკვეული რაოდენობა, განსაკუთრებით კი ზმნები კონვერსიის წყალობით წარმოიშობა. მაგალითად: to office – სხვადასხვა საოფისე ფუნქციის განხორციელება.; to architect – პროექტირება, კონსტრუირება; to rearchitect – არსებითი ცვლილებების შეტანა კონსტრუქციაში; to transition – ადგილის შეცვლა;

მაშასადამე, ენის ლექსიკა მუდმივად ექცევა გარე ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ და ყოველი ახალი სიტყვის გამოჩენა გავლენას ახდენს როგორც ენაზე, ასევე, საზოგადოების კულტურულ-ისტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და საქმიანობაზე. მოცემული პრობლემისადმი ინტერესის ზრდა განპირობებულია ნეოლოგიზმების მნიშვნელოვანი როლით, რომლებიც წარმოადგენს ენის განვითარების ერთ-ერთ ფაქტორს.

ლიტერატურა:

1. Akhmanova O. C. Slovar lingvisticheskikh terminov. Moskva, Sovetskaya entsiklopediya, 1996.
2. Architecture & Structures: Ethics in Free-Form Design (FFD) Massimo Majowiecki – I.U.A.V. (Venice, Italy)
3. Collins Cobuild English Dictionary (new edition). – The University of Birmingham, Harper Collins Publishers, 1995. – 1692 p.
4. Gamkrelidze T., Kiknadze Z., Shaduri I., Shengelia N. Teoriuli enatmecnierebis kursi. Tsu gamomcemloba. Tbilisi, 2003.
5. Crystal D. The Cambridge Encyclopaedia of Language. 2nd Ed. Cambridge University Press. 1977.
6. Ray A. Essays on Terminology / A. Ray. – Amsterdam: John Benjamins Publishing Company, 1995.
7. <https://travois.com/design-charette/>
8. <https://www.merriam-webster.com/words-at-play/famous-by-design-starchitect>
9. www.yourdictionary.com › Dictionary Definitions › advertecture
10. www.biotecture.uk.com
11. <https://en.wikipedia.org/wiki/Poor-door>
12. <https://en.wikipedia.org/wiki/Blobitecture>
13. www.ecotecture.com/about/what-is-eco.html

Manana Shelia, Sopiko Kuntelia

NEOLOGISMS AS ONE OF THE MEANS OF EXPRESSING
NEW CONCEPTS

Summary

The paper focuses on analysis of new lexical units, neologisms in the English language. New words are constantly entering the vocabulary with new concepts and technologies.

A neologism is a new word or new sense of a word. Over the last decades, neologisms are becoming more frequent in any language vocabulary. They reflect changes in various spheres of people's life.

We have analyzed architectural and engineering neologisms in etymological, semantic and descriptive aspects. Attention has been paid to the analysis of the specialized vocabulary in the sphere of the construction and architecture. The reason for their emergence in the English language is the introduction of new innovations of technologies and techniques.

ლიტერატურათმცოდნეობა
LITERATURE STUDIES

ნანი ლეონიძე

ვოლტერის დრამატურბია

XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული ლიტერატურის ყველა იდეური და მხატვრული მიმდინარეობა კონცეპტორებულია ვოლტერის შემოქმედებაში. ფრანგული განმანათლებლობის უფროსი თაობის მეთაური ვოლტერი სარგებლობდა დიდი საერთაშორისო გავლენითა და ავტორიტეტით. ბრწყინვალე ნიჭითა და მწერლური მრავალმხრივობით დაჯილდოებული ვოლტერი ერთდროულად პოეტიც იყო, დრამატურგიც, რომანისტიც, სატირიკოსიც, პუბლიცისტიც, ისტორიკოსიც და ფილოსოფოსიც. განმანათლებლურ მოძრაობას ხშირად „ვოლტერის საუკუნეს“ უწოდებენ.

ვოლტერი (ფრანსუა-მარი არუე – 1694-1778) პარიზში დაიბადა, ყოფილი ნოტარიუსის ოჯახში. განათლება ლუი დიდის იეზუიტურ კოლეჯში მიიღო. მოგვიანებით ვოლტერმა გააკრიტიკა სკოლა, რომელმაც მას არაფერი არ მისცა: „მე იმ ქვეყანასაც არ ვიცნობდი, სადაც დავიბადე, მე არ ვიცოდი ჩემი სამშობლოს არც ძირითადი კანონები და არც გაჭირვება. არც მათემატიკისა და არც ფილოსოფიისა გამეგება რამე. ვიცოდი მხოლოდ ლათინური და რალაც სისულელები“. ვოლტერი დიდ პატივს სცემდა თავის პედაგოგს პორეს, რომელმაც ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გაუღვივა მას თეატრის სიყვარული. ვოლტერი ლიტერატურულ კარიერას იწყებს პიესით „ოიდიპოსი“ („Oedip“) და ამთავრებს ასევე დრამატული ნაწარმოებით „ირენი“ (Irène), რომლის წარმოდგენაზე იმყოფებოდა სიკვდილის წინა დღეს. „ირენეს“ წარმოდგენაზე მაყურებელმა მქუხარე ოვაცია გაუმართა ავტორს, მსახიობებმა სცენაზე გამოიტანეს მისი ბიუსტი და დაფნის გვირგვინით შემკეს იგი. წარმოდგენის მეორე დღეს, 1778 წ. 30 მაისს, 84 წლის ასაკში, ვოლტერი გარდაიცვალა. მთავრობამ აკრძალა მისი დასაფლავება პარიზში. მისი ცხედარი დაკრძალეს სელიერის სააბატოში. 1791 წელს, რევოლუციის დღეებში, ვოლტერი დედაქალაქში გადმოასვენეს. კატაფალკაზე ეწერა: „მან ჩვენ თავისუფლებისთვის მოგვამზადა“. ვოლტერი განისვენებს პანთეონში, ხოლო ურნა მისი გულით, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. „გული ჩემი აქაა, სული კი ყველგან“, – აწერია ურნას. ვოლტერის ბიბლიოთეკა და ხელნაწერები ვოლტერის მემკვიდრისაგან ეკატერინე მეორემ იყიდა და ამჟამად ინახება სანქტ-პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

კოლეჯის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ვოლტერი მამის დაჟინებული მოთხოვნით სამართალს სწავლობდა, თუმცა ლიტერატურულ კარიერაზე ოცნებობდა. არისტოკრატ-ლიბერტინების წრეში ადრევე განმტკიცდა და გაძლიერდა ვოლტერის თავისუფალი აზროვნება და სკეპ-

ტიციზმი. მმართველი წრეებისადმი მისი დამოკიდებულება გამომჟღავნდა სატირულ ლექსებსა და ეპიგრამებში. ვოლტერმა რეგენცს, ფილიპე ორნეანელს „სისხლის აღმრევი და მომწამვლელი“ უწოდა. ამისთვის იგი ბასტილიაში ჩასვეს, სადაც იგი თითქმის ერთი წელი იჯდა (1717-1718). სწორედ ბასტილიაში დაწერა ტრაგედია „ოიდიპოსი“ და შეუდგა ეპოპეაზე „ანრიადაზე“ (La Henriade) მუშაობას. „ოიდიპოსის“ დადგმის შემდეგ, ვოლტერი კორნელისა და რასინის მემკვიდრედ აღიარეს. ფილიპე ორლენელმაც შეიცვალა დამოკიდებულება მის მიმართ, უბოძა ოქროს მედალი და ფულადი პენსია. ოცდაათი წლის ასაკში ვოლტერი უკვე საფრანგეთის პირველი პოეტი იყო.

1726 წელს შევალე დე როანთან მომხდარი უსიამოვნების გამო ისევ აპატიმრებენ. ბასტილიიდან გამოსვლის შემდეგ ვოლტერი ინგლისს მიემგზავრება, სადაც იგი ეცნობა ჯონ ლოკისა და ისააკ ნიუტონის თეორიებს და აქვეყნებს თავის ინგლისურ წერილებს. 1729 წელს ვოლტერი ბრუნდება საფრანგეთში, მაგრამ „ინგლისური წერილების“ გამოცემის გამო იძულებული ხდება თავის მეგობართან, მარკიზა დიუ შატელესთან პროვინციაში შეაფაროს თავი. აქვე იწყება მისი მიმონწერა პრუსიის მეფესთან, ფრიდრიხ II-სთან, რომელიც მას ბერლინში მიიპატიუებს. ვოლტერს სჯეროდა განათლებული მონარქის, სჯეროდა, რომ მეფე-ფილოსოფოსს (ასეთად მიაჩნდა მას ერთ დროს ფრიდრიხ II) შეუძლია გაატაროს საფუძვლიანი სოციალური ცვლილებები თავისი ერის საკეთილდღეოდ, თუმცა მალე დარწმუნდა, რომ ცდებოდა ფრიდრიხის პიროვნებაში. ვოლტერმა საჯაროდ დასცინა ბერლინის აკადემიის პრეზიდენტის სიბრიყვეს, სასაცილოდ გამოჩნდა თავად „განათლებული მონარქი“ ფრიდრიხ II. მეფე გამძვინვარდა თავისი კარის ფილოსოფოსის გამოსტომების გამო და ბრძანა ვოლტერის სახლის ფანჯრებთან საჯაროდ დაენჭათ მისი პამფლეტი „დოქტორ აკაკიას დიატრიბა“. ვოლტერმა მეფეს დაუბრუნა ყველაფერი, რაც კი მისგან მიიღო და სასწრაფოდ გაემგზავრა პრუსიიდან. ფრანკფურტში ფრიდრიხის პოლიციამ გაჩხრიკა ვოლტერი და ერთი თვით დააპატიმრა. ბოლოსდაბოლოს დამცირებულმა ფილოსოფოსმა გადააბიჯა პრუსიის საზღვარს. ასეთი გამოდგა ვოლტერის დაპირისპირება ამჟამად უცხოურ აბსოლუტიზმთან.

1759 წელს ვოლტერი საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვართან ახლოს ფერნეში აშენებს ციხე-სიმაგრეს და ეკლესიას და იქვე სახლდება. „ფერნეის პატრიარქი“ თავის სოფელს პატარა ინდუსტრიული წარმოების მოდელად აქცევს, სადაც საგრძნობლად აუმჯობესებს გლეხთა ცხოვრების პირობებს. ამ დროისთვის ვოლტერი იმდენად პოპულარულია, რომ პარიზში ძეგლსაც უდგამენ, რომლის გახსნას თავადვე ესწრება.

ვოლტერის ლიტერატურულ მოღვაწეობაში თეატრით გატაცებამ უდიდესი როლი ითამაშა. თეატრი იყო ვოლტერის მუდმივი ინტერესის საგანი სიჭაბუკის წლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე. სადაც არ უნდა ყოფილიყო სირეში, პარიზში, ბერლინში, ფერნეში, მუდმივად საშინაო

თეატრს აწყობდა, საკუთარი პიესების რეჟისორიც იყო და მსახიობიც. ვოლტერის დრამატურგიული ხელოვნება თითქმის 60 წელს მოიცავს. მან დაწერა განსხვავებული ჟანრის 52 პიესა, აქედან 27 ტრაგედია, ე.ი. გაცილებით მეტი, ვიდრე კორნელმა (21 ტრაგედია) და რასინმა (11 ტრაგედია).

ვოლტერი სწრაფად და ადვილად წერდა. მან თავისი საუკეთესო ტრაგედია „ზაირა“ (Zaïre) ოცდაშვიდ დღეში დაწერა. თუმცა თავის სწრაფად დაწერილ პიესებს კვლავ უბრუნდებოდა და ხშირად გადააკეთებდა ხოლმე. ვოლტერის ტრაგედიები არსებობდა პირველდანიებით, სცენური და ნაბეჭდი რედაქციით.

ვოლტერი დიდად აფასებდა და ითვალისწინებდა მეგობრების, მაცურებლის და მსახიობების აზრს. მსახიობებს უყვარდათ ვოლტერის ტრაგედიები მათი დიდი სცენურობის გამო. ვოლტერს დრამატურგიულ საქმიანობაში ძალიან ეხმარებოდა სცენის, სამსახიობო საიდუმლოებებისა და რეჟისორული ტექნიკის ცოდნა. სტილური თვალსაზრისით ვოლტერის ტრაგედიები ახლოს დგანან რასინის გვიანდელ ტრაგედიებთან.

ვოლტერის დრამატურგიული სისტემის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა კინოს ლირიულმა ტრაგედიამ, რომელიც მიუხედავად მისი ცალმხრივი გალანტური თემატიკისა, ვოლტერს მოწონდა. იგი კინოსგან სწავლობდა მხედველობითი ეფექტების გამოყენებას, აგრეთვე ემოციური, პათეტიკური სიუჟეტის აგებას, რომელიც მაცურებლის თვალწინ ვითარდებოდა.

ვოლტერი მიისწრაფოდა გარეგნული მოქმედებისა და თეატრალურობისკენ და მას შემოაქვს ფრანგულ თეატრში აქამდე გაუგონარი ეფექტები, როგორცაა ზარბაზნის გასროლა, ანდა აჩრდილების გამოჩენა. ეს ხერხი ვოლტერმა შექსპირისგან ისესხა. ვოლტერი ცდილობდა შეექმნა მაღალპათეტიური, ემოციური და ერთდროულად მხატვრული ტრაგედიები, რომლებიც, როგორც თვითონ ამბობდა, „დატანჯავდა მაცურებლის გულს!“

როგორც ჭეშმარიტი განმანათლებელი, ვოლტერი ტრაგედიას აღმზრდელობით ამოცანას უსახავდა. „მე ყოველთვის ვფიქრობდი, – წერდა იგი, – რომ ტრაგედია მხოლოდ ამაღელვებელი სანახაობა არ უნდა იყოს, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ადამიანს ძველი გმირების ვნებებთან და უბედურებასთან, თუკი ისინი ჩვენ არ გამოგვადგება რაიმეს სასწავლებლად“ („მუჰამედის“ წინასიტყვაობა). ამ პრინციპით ვოლტერი ტრაგედიას განმანათლებლური იდეების იარაღად იყენებდა და მასში შეჰქონდა პუბლიცისტური ნოტები. ვოლტერის დრამატურგიული მოღვაწეობის დასაწყისში სწორედ ეს განასხვავებდა მის ტრაგედიებს კარის კლასიციტების ტრაგედიებისგან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვოლტერის პირველი ტრაგედია „ოიდიპოსი“, რომელშიც მან ანტიკური სამყაროს ცნობილი ტრაგიკული ფაბულა დაამუშავა. ამ ტრაგედიის ნაბეჭდი გამოცემის წინასიტყვაობაში მან დაწვრილებით გააანალიზა სოფოკლეს „შეცდომები“ და „პრიმიტიულობა“ განმანათლებლური რაციონალიზმის თვალსაზრისით. ამ რაციონალიზმმა შთააგონა ვოლტერს უარი ეთქვა

სოფოკლეს მორჩილებაზე ბედისწერისადმი და დაუპირისპირა მას ადამიანური ღირსების იდეა და გონების რწმენა. ღმერთის სახელით მოქმედი ქურუმები ვოლტერმა წარმოგვიდგინა მატყუარებად და ინტრიგანებად, რომლებიც მოხერხებულად იყენებდნენ ხალხის ცრურწმენებსა და გაუნათლებლობას.

ვოლტერი ამავე დროს ამ პიესაში ხატავს განათლებული მონარქის სახეს, რომელსაც კარგად აქვს გააზრებული საკუთარი ვალდებულება ხალხის მიმართ. კორნელი აცხადებდა: „ხალხი ბედნიერია, როცა მეფისთვის კვდება“, ვოლტერი კი ოიდიპოსს ათქმევინებს: „მოკვდეს თავისი ქვეყნისთვის, აი ესაა მეფის ვალი“. ოიდიპოსისთვის უცხოა ლუი XIV-ის მსგავსად მონარქის პიროვნების გაღმერთება. იგი თვლის, რომ მეფეც შეიძლება შეცდეს, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი. ოიდიპოსის ტრაგედიის არსი, ვოლტერის აზრით, ის არის, რომ იგი უნებლიეთ თავისი ხალხის უბედურების მიზეზი გახდა.

კრიტიკული დამოკიდებულება თვითმპყრობელობისადმი, რომელიც უკვე შეიმჩნევა „ოიდიპოსში“, კიდევ უფრო ღრმავდება მის რომაულ ტრაგედიებში, რომელიც მან შექსპირის შესწავლის შემდეგ დაწერა, კერძოდ მისი „იულიუს ცეზარის“ გაცნობის შემდეგ, რომელიც ვოლტერს ძალიან უყვარდა და შემდგომში ფრანგულადაც თარგმნა (1762). პირველი რომაული ტრაგედიის „ბრუტოსი“ („Brutus“, 1731) წერა ვოლტერმა ინგლისში დაიწყო. მან „ბრუტოსში“ შეიტანა საფრანგეთში იქამდე უცნობი ხერხები, სცენაზე აჩვენა რომის სენატის შეკრება (I მოქმ.) და მოქმედების ადგილის მოულოდნელი შეცვლა უკანა სცენის გახსნის გზით (IV მოქმ. მე-5-ე გამოსვლა). ამ ფორმალურ სიახლეებზე უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი იდეური ტენდენციები. მთელი ტრაგედია გამსჭვალულია ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი სულით. კონსულის იუნიუს ბრუტოსის სახით ვოლტერმა შექმნა რესპუბლიკელის მონუმენტური სახე, რომლის დევიზია „ცხოვრება თავისუფლად და ხელმწიფის გარეშე“. იგი ებრძვის რომიდან გაძევებულ მეფეს ტარკვინიუსს და ეწინააღმდეგება მის ყოველგვარ ცდას, დაიბრუნოს დაკარგული ტახტი. ინგლისელი რევოლუციონერების მსგავსად, რომელთა სათავეში იდგა მილტონი, ვოლტერის ბრუტოსი ილაშქრებს სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობითი პრინციპის წინააღმდეგ და აცხადებს: „ვინც დაიბადა ფუფუნებაში, იშვიათადაა მისი ღირსი“. ეს იდეა აიტაცეს ფრანგმა განმანათლებლებმა. მათ რიცხვში იყო რუსო, რომელიც დიდად აფასებდა ვოლტერის რომაულ ტრაგედიებს.

დრამატურგიული აგებულების თვასაზრისით, „ბრუტოსი“ კორნელის ტრაგედიებს ჩამოგავს. ტრაგედიის მამოძრავებელ სიუჟეტურ მოტივად გვევლინება კორნელისეური კონფლიქტი პირად გრძნობებსა და სამოქალაქო მოვალეობასთან. ამ კონფლიქტს განიცდის ბრუტის შვილი ტიტო, რომელსაც ტარკვინიუსის ქალიშვილის სიყვარული სამშობლოს ღალატისკენ უბიძგებს და თავად ბრუტოსი, რომელიც სენატის გადაწყვეტილებით საყვარელი შვილის მსაჯულად გამოდის და სიკვდილს მიუსჯის მას. ვოლტერის ეს ტრაგედია დიდი პოპულარობით

სარგებლობდა რევოლუციის წლებში და XVIII საუკუნის იტალიელ დრამატურგს ალფიერის შთააგონა მისი საუცხოო ტრაგედიის „ბრუტოს უფროსის“ სიუჟეტი.

ვოლტერის მეორე რომაული ტრაგედია „ცეზარის სიკვდილი“ („La mort de César“, 1735) დაწერილია შექსპირის „იული ცეზარის“ პირველ აქტებში დამუშავებული სიუჟეტის მიხედვით. მისი გმირია მხურვალე რესპუბლიკელი და დესპოტიზმის მოძულე მეორე ბრუტოსი, პირველის შთამომავალი. ვოლტერთან იგი, შექსპირისგან განსხვავებით, ცეზარის უკანონო შვილია. დესპოტისა და რესპუბლიკელ-შეთქმულის ეს ნათესაური კავშირი კიდევ უფრო დაძაბულს ხდის ბრუტოსის ტრაგიკულ კონფლიქტს პირად გრძნობასა და სამოქალაქო მოვალეობას შორის. ვოლტერი „ცეზარის სიკვდილში“ იმეორებს „ბრუტოსის“ ძირითად მოტივს, მაგრამ აქ მამა და შვილი თითქოს როლებს ცვლიან: თუკი „ბრუტოსში“ რესპუბლიკელი მამა სასიკვდილოდ იმეტებდა მონარქისტ შვილს, „ცეზარის სიკვდილში“ რესპუბლიკელი შვილი კლავს მამას, რომელიც თავზე გვირგვინს იდგამს. ბრუტოსი დახატულია იდეალურ მოქალაქედ და ცეზარი ტყუილად როდი ამბობს „ცეზარი რომ არ ვიყო, ბრუტოსად ყოფნას ვისურვებდიო“. თუმცა ცეზარი ისე დადებითადაა დახატული, რომ თვით ბრუტოსიც ვერ უარყოფს მის მაღალ სულიერ თვისებებს. მონარქიულმა შეხედულებებმა ვოლტერს არ მისცეს შესაძლებლობა, რომ „ცეზარის სიკვდილი“ ნამდვილ რესპუბლიკურ ტრაგედიად ექცია. თუმცა „ცეზარის სიკვდილში“ მრავლადაა ბრუტოსის მიერ წარმოთქმული რესპუბლიკური ტირადები: „რა დიდებულია დაიღვაროს ტირანის სისხლზე შენი სისხლი“, ანდა კასიას: „ჭეშმარიტი რესპუბლიკელი თავის მამად და შვილად ცნობს მხოლოდ სიკეთეს, ღმერთს, კანონს და სამშობლოს“.

რომაული ტრაგედიების გარდა, ვოლტერმა შექსპირის გავლენით დაწერა თავისი პოპულარული ტრაგედია, „ზაირა“ („Zaïre“, 1732). ამ პიესის მოქმედება მიმდინარეობს სირიაში, ჯვაროსნული ლაშქრობის დროს. იერუსალიმის სულთანს ოროსმანს უყვარს ეროვნებით ფრანგი მშვენიერი მონა ქალი ზაირა და გადაწყვეტილი აქვს მისი ცოლად შერთვა. ამ დროს საფრანგეთიდან ტყვე ჯვაროსნების გამოსასყიდად ჩამოდის რაინდი ნერესტანი. სულთანი მზადაა ყველა ტყვე გაათავისუფლოს, სირიის ქრისტიანი მეფის ლუზინიანის გარდა, მაგრამ ზაირა სულთანს გადაწყვეტილებას შეაცვლევინებს. გაათავისუფლებული ლუზინიანი ზაირასა და ნერესტანში შეიცნობს თავის დაკარგულ შვილებს. ამ მომენტიდან პიესაში შედის ახალი მოტივი – ქრისტიანის რელიგიური ფანატიზმი. ზაირა თხოვს სულთანს მიიღოს ქრისტიანობა. ეს ფანატიზმი გვევლინება ფინალური კატასტროფის მიზეზად. თუმცა ეს უკანასკნელი მოტივირებულია ოროსმანის ეჭვიანობით. ოროსმანი ნერესტანში თავის მეტოქეს ხედავს. ოროსმანს ხელში ჩაუვარდება ნერესტანის წერილი, რომელშიც იგი ზაირას (თავის დას) თხოვს მეჩეთში შეხვედრას. ოროსმანი უჩუმრად გაჰყვება ზაირას და მეჩეთის წინ ჰკლავს მას. სიმართლის გაგების შემდეგ იგი ათავისუფლებს ქრისტიანებს და თვითონ ზაირას

ცხედართან იკლავს თავს.

ოროსმანის ეჭვიანობა ვოლტერმა შექსპირის „ოტელოდან“ ისესხა. თუკი შექსპირთან მთავარი გმირია ოტელო, ვოლტერთან მთავარი გმირი ზაირაა, რომელიც სულიერ ბრძოლას განიცდის და არამართო ეჭვიანობის, არამედ რელიგიური ფანატიზმის მსხვერპლია. აქ დასმული საკითხით, შეუძლია თუ არა ქალის სიყვარულისთვის უღალატოს თავის ხალხს და თავის რწმენას, ვოლტერი უფრო მეტად რასინს უახლოვდება, ვიდრე შექსპირს.

ოროსმანი, ვოლტერის ცდის მიუხედავად, ნაკლებად ტოვებს აღმოსავლეთის კაცის შთაბეჭდილებას. მას არ გააჩნია ოტელოს უშუალობა, რადგან ვნებების პაროქსიზმში იგი იცავს არისტოკრატიულ პირობითობას და წესიერებას. ვოლტერმა ოროსმანი დააჯილდოვა დადებითი თვისებებით და ამით ლესინგის „ნათან ბრძენამდე“ ბევრად ადრე გაუსვა ხაზი, რომ ადამიანის სიკეთე სულაც არ უკავშირდება აუცილებლად ქრისტიანობას.

„ზაირა“ წმინდა განმანათლებლური ტრაგედიაა, რომელსაც რეაქციული მწერლები თავს დაესხნენ. თუმცა „ზაირა“ მონონებით მიიღო ხალხმა. ტყუილად როდი უწოდა მას ჟან-ჟაკ რუსომ „მომხიბვლელი პიესა“.

„ზაირაში“ გამოვლენილი ანტიკლერიკალური ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა „ალზირაში“. მასში ასახულია ბრძოლა ქრისტიანობასა და კერპთაყვანისმცემლობას შორის პერუში, ესპანელების მიერ მისი დაპყრობის შემდეგ. ვოლტერს ინკები ესპანელებზე უფრო ჰუმანურად გამოჰყავს. ესპანელები ქრისტიანული რწმენის სახელით უამრავ ბოროტებას სჩადიან. პიესის დრამატული კონფლიქტი ვითარდება ლამაზი ალზირას ირგვლივ, რომელიც ადგილობრივი თავადის მონტეზის ქალიშვილია. ალზირა თავდაპირველად თავისუფლების მოყვარე ინკის ზამორის საცოლვე იყო, შემდეგ კი მიათხოვეს პერუს ბოროტ მმართველს გუსმანს. ზამორის დაბრუნება, რომელიც ყველას დალუპული ეგონა, ამწვავებს სიტუაციას. გუსმანი აპატიმრებს ზამორს, ზაირა კი ათავისუფლებს მას და ხანჯლით ჰკლავს გუსმანს. ალზირასა და ზამორს სიკვდილით დასჯა ელოდებოდა, მაგრამ მათ გადაარჩენს მომაკვდავი გუსმანის სულიერი გარდატეხა, რომელიც პატიობს თავის მკვლელს და თავის ადრინდელ ცხოვრებას მკაცრად აკრიტიკებს. მშვიდობიანი ფინალის მიუხედავად, ტრაგედია ანტიქრისტიანული ხასიათისაა, იგი გმობს ძალადობას და უსამართლობას და ნახევრადველურს აყენებს „ცივილიზებულ“ ესპანელ კოლონიზატორებზე მაღლა.

ვოლტერის ყველაზე ცნობილი ანტიკლერიკალური ტრაგედიაა „მუჰამედ წინასწარმეტყველი, ანუ ფანატიზმი“, ესაა რელიგიური ფანატიზმის მხილება, რაც ახასიათებს მატყუარად და დესპოტად გამოყვანილი მუსულმანური რელიგიის ფუძემდებელს. ესაა „ტარტიუფი იარალით ხელში“ (როგორც ვოლტერი წერდა ფრიდრიხ II-ს თავის წერილში). ვოლტერს ცენზურის გამო ხელს აძლევდა მიემართა მუჰამედის პიროვნებისათვის. ეს ხერხი მას აძლევდა საშუალებას დაემტკიცებინა, რომ პიესას არაფერი ჰქონდა საერთო ქრისტიანობასთან და ეძღვნებოდა „ცრუ და

ბარბაროსულ რელიგიას“. სწორედ ეს განაცხადა ვოლტერმა, როცა თავისი ტრაგედია მიუძღვნა პაპ ბენედიქტ XIV-ს, როგორც ჭეშმარიტი და სამართლიანი ღმერთის ნაცვალსა და მიმბაძველს. მიუხედავად იმისა, რომ პაპმა მიიღო ეს მიძღვნა და თავაზიანი წერილით უპასუხა ვოლტერს, სამღვდელოებამ შესანიშნავად ამოიცნო „მუჰამედის“ ჭეშმარიტი არსი. მათ ტრაგედია გამოაცხადეს ქრისტიანობის სისხლიან სატირად.

„მუჰამედს“ ვოლტერმა საფუძვლად დაუდო ის აზრი, რომ ყოველგვარი რელიგიის იდეურ წანამძღვრად გვევლინება ადამიანის გაბრიყვება და შეგნებული ტყუილი. ბრმა ნდობა, მორჩილება, კრიტიკული აზრის არქონა – აი, ეს არის რელიგიური გრძნობის წანამძღვარი. პატივმოყვარე მუჰამედი, რომელსაც ადამიანებზე ბატონობა სურს, ღვთის მიერ გამოგზავნილ მოციქულად ასაღებს თავს და ხალხს იმონებს რელიგიური ფანატიზმი. ის ომს უცხადებს გრძნობიერებას, ჰუმანიზმს, ადამიანურ ღირსებას. იგი ამხედრებს შვილებს მშობლების წინააღმდეგ. მისი დაუძინებელი მტრის ზოპირის შვილი საიდი კლავს მამას, რომელსაც არც იცნობს და შემდეგ თავადვე ილუპება მუჰამედის ხელით მონამლული. ფანატიზმის მეორე მსხვერპლია პალმირა, სეიდის და, მუჰამედის ვნების საგანი. პალმირა თავს იკლავს ძმის ცხედარზე, წყევლის ცრუ მოციქულს, რომელსაც „უნდა იმეფოს, რადგან სამყარო ტირანებისთვისაა შექმნილი“.

„მუჰამედი“ იყო ვოლტერის პირველი, ჭეშმარიტად მებრძოლი განმანათლებლური ტრაგედია. მისი დაწერით ვოლტერის კლასიციზმმა შეიძინა ახალი იდეოლოგიური მიმართულება. ის მთლიანად ემსახურებოდა რელიგიურ-პოლიტიკური ბრძოლის ამოცანებს. ამან მოამზადა შემდგომი გადასვლა იმ ბურჟუაზიულ-რევოლუციურ კლასიციზმზე, რომელმაც გამარჯვება იზეიმა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე და რევოლუციის წლებში.

რევოლუციურ კლასიციზმზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომი იყო ვოლტერის ნიჰილისტური ურთიერთობის შეცვლა ანტიკური მემკვიდრეობისადმი. „ორესტის“ წინასიტყვაობაში, რომელიც ვოლტერმა კრებილიონის „ელექტრას“ საპასუხოდ დაწერა, მის მიერ სოფოკლეს დამახინჯების გამო, ვოლტერმა დაუპირისპირა ფრანგული ტრაგედიის პირობითობას ანტიკური ტრაგიკოსების „ძვირფასი უბრალოება“ და მოუნოდა მათგან ესწავლათ ცხოვრებისეული სიმართლე და თავისი თავი სოფოკლეს მოსწავლედ გამოაცხადა. მართლაც, ანტიკურ მასალაზე დაყრდნობით შექმნა მან ერთ-ერთი თავისი პოპულარული ტრაგედია „მეროპი“, რომელსაც ტრაგიკული სიუჟეტის მთავარ მოტივად დედობრივი სიყვარული დაუდო.

ანტიკური თემატიკით გატაცებას ხელი არ შეუშლია ვოლტერისთვის „ტანკრედში“ (Tancrède, 1761) დაემუშავებინა ეროვნულ-ისტორიული ტრაგედიის ჟანრი, ასახა შუა საუკუნეების საფრანგეთის რაინდული თვისებები. ვოლტერმა „ტანკრედში“ შეიტანა მეტრული სიახლე, უარი თქვა ალექსანდრიული ლექსის ერთფეროვან, წყვილ რითმებზე. თავის მეორე, არანაკლებ ცნობილ ტრაგედიაში „ჩინელი ობოლი“, ვოლტერმა

ასახა თავის თანამედროვეთა გატაცება აღმოსავლური თემატიკით, პიესის სიუჟეტი ისესხა ჩინური ტრაგედიიდან „ობოლი ჩაიდან“, რომელიც ფრანგულ ენაზე თარგმნა პრემარმა. ამ ტრაგედიის ცენტრში მან დააყენა ქალის თავდადება ოჯახისადმი, მისი ბრძოლა უფლებებისათვის. ვოლტერის გატაცება ოჯახური თემატიკით აიხსნება იმით, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძალიან გავრცელდა ბურჟუაზიული დრამატურგიის ჟანრები – ცრემლიანი კომედია და მეშჩანური დრამა. ერთ მხრივ, ვოლტერი წინააღმდეგი იყო ცრემლიანი კომედიის, რომელიც მას არ მიაჩნდა კანონიერ ჟანრად. ამას ხსნიდა იმ ავტორთა სისუსტედ, რომელთაც არ შეეძლოთ შეექმნათ ნამდვილი კომედია ან ტრაგედია. მეორე მხრივ, თავად ვოლტერმა თავის დრამატურგიულ პრაქტიკაში გარკვეულად განიცადა ამ სიახლის გავლენა და შექმნა „შერეული ჟანრის“ (genre mixte) პიესები. ამ ჟანრში მისი პირველი კომედია იყო „უძლები შვილი“ (L'Enfant prodigue, 1736). მან თავის კომედიაში შეიტანა სენტიმენტალური, პათეტიური ელემენტი და პიესაში გაატარა აზრი, რომ ყველა ჟანრი ამართლებს თავის თავს, თუკი მაყურებელი მას არ უარყოფს. ვოლტერის ეს მსჯელობა თავდებოდა ცნობილი წინადადებით: „ყველა ჟანრი კარგია, მოსაწყენის გარდა“ (Tous les genres sont bons, hors le genre ennuyeux).

„შერეულ ჟანრში“ ვოლტერის ყველაზე მეტად წარმატებული ცდა იყო „ნანინა, ანუ დამარცხებული ცრურწმენა“ („Nanine ou le préjugé vaincu“, 1749), რომელიც რიჩარდსონის რომანის „პამელას“ გავლენით დაწერა. მან ქორწინების საკითხში ნოდებრივ ცრურწმენებს გამოუცხადა ომი და კეთილშობილურ წარმოშობაზე წინ დააყენა პირადი სიკეთე. ვოლტერმა აქ გამოიყვანა განათლებული ბარონი, რომელმაც ცოლად მოიყვანა კეთილი მსახური ქალი. თუმცა, ამგვარი მეზალეანსი ვოლტერმა დასაშვებად მიიჩნია გამონაკლისის სახით, რადგან ის სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხში ზომიერების ერთგული რჩებოდა. „ნანინა“ საინტერესოა იმითაც, რომ ვოლტერმა აქ ტრადიციული ალექსანდრიული ლექსი უფრო მსუბუქი ათმარცვლოვანი ლექსით შეცვალა.

ვოლტერი კიდევ უფრო მეტად დაშორდა კლასიციზმს პიესაში „შოტლანდიელი ქალი“ (L'Écossaise, 1760). პროზით დაწერილი ეს პიესა უახლოვდება მეშჩანური დრამის ჟანრს. ვოლტერმა „შოტლანდიელ ქალში“ დაამუშავა ინგლისში ემიგრირებული შოტლანდიელი ლორდის მონროზას ქალიშვილის ამაღლვებული ისტორია. პიესის გმირი ქალი მედგრად იტანს ლტოლვილობის სიმწარეს, პოულობს მამას და მისი ყოფილი მტრის ლორდ მერეის ვაჟს მიჰყვება ცოლად. ვოლტერმა პიესაში შეიყვანა დამსმენი და ინტრიგანი ფრელონის ეპიზოდური, კომიკური პერსონაჟი. ამ კარიკატურულმა პერსონაჟმა დიდი როლი ითამაშა პიესის წარმატებაში, მისი გავლენით იტალიელმა დრამატურგმა გოლდონიმ დაწერა თავისი ცნობილი კომედია „კაფე“.

ვოლტერი სიცოცხლის ბოლომდე ტრაგედიას ანიჭებდა უპირატესობას, თუმცა მეშჩანური დრამა მაინც დიდ გავლენას ახდენდა მის ტრაგედიებზე. ასე მაგალითად, მეშჩანური დრამის გავლენით ვოლტ-

ერი შეეცადა „სოკრატეში“ (Socrate, 1750) პროზაული ფორმით დაემუშავებინა ტრაგიკული სიუჟეტი, თუმცა რადგან ვოლტერი ტრაგედიაში პროზას დაუშვებლად თვლიდა, მან თავის „სოკრატეს“ ტრაგედია კი არა, უბრალოდ „დრამატული ნაწარმოები“ უწოდა და იგი ინგლისურიდან თარგმნილად გამოაცხადა და მის წინასიტყვაობაში ისევ იცავდა ერთ პიესაში „პათეტიკურის და კომიკურის“ ერთიანობას. აქ ვოლტერი გაუცნობიერებლად აყენებს დარტყმას კლასიციზმის სწავლებას ჟანრების შესახებ. ასეთივე ჰიბრიდული ჟანრის ნაწარმოებია „საული“ („Saul“ 1763), რომელშიც ვოლტერმა ისევე დაადაბლა ბიბლიური თემატიკა, როგორც „სოკრატეში“ ანტიკური თემატიკა. ეს ორი პიესა გამსჭვალულია მძაფრი ანტიკლერიკალური ტენდენციით. კერძოდ, „საული“ შეტანილია ბიბლიის კრიტიკისადმი მიძღვნილ პუბლიცისტურ ნაწერებში „ღმერთი და ადამიანები“ (1769), „ბოლოსდაბოლოს ახსნილი ბიბლია“ (1776), „ერთი ქრისტიანი ექვსი ებრაელის წინააღმდეგ“ (1776) და სხვა.

განათლებული მონარქის ქებას მიუძღვნა ვოლტერმა ტრაგედია „დონ პედრო“ („Don Pèdre“, 1775). დონ პედრო ებრძვის თავის ნახევარძმას ტრანსტამარს, რომელიც მისგან თხოულობს მმართველი წრეებისადმი მორჩილებას. მეფე დონ პედროს სძულს „ეს ფეოდალი ტირანები“, დიდებულები, ანარქიული სენატი. მიუხედავად იმისა, რომ ტრაგედიაში ასახულია დონ პედროს დაღუპვა, ვოლტერის სიმპათიები მთლიანად განათლებული აბსოლუტიზმის წარმომადგენლის მხარესაა.

ვოლტერის განმანათლებლური ტრაგედიის ჟანრმა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დიდი პოპულარობა მოიპოვა. ვოლტერს უამრავი მიმბაძველი გაუჩნდა, რომლებიც მათი ტრაგედიების შინაარსად იღებდნენ ბრძოლას დესპოტიზმთან, ფანატიზმთან და ცრურწმენასთან. ამ „ფილოსოფიური“ ტრაგედიების წარმომადგენლები იყვნენ ლებლანი, ლემიერი, ბაკიულარ დ'არნო, სოსენი და ლაგარპი.

საქართველოში ვოლტერის სახელი ცნობილი გახდა XVIII ს-ის დასასრულს. ხოლო საქართველო ნახსენებია ვოლტერის ისტორიულ ნაშრომში „ცდა ეროვნებათა ზნე-ჩვეულებებსა და სულზე“. საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები განხილულია ვოლტერისა და ეკატერინე II-ის რუსეთ-თურქეთის ომისდროინდელ მიმოწერაში.

ქართულ ენაზე ვოლტერის თხზულებათა მთარგმნელებს XIX ს-ის პირველ ნახევარში უფრო მეტად იზიდავდა მისი დრამატურგია, ხოლო ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან – პროზაული ნაწარმოებები. ვოლტერის შემოქმედებით დაინტერესდნენ განმანათლებლური იდეებით გატაცებული ბატონიშვილები – დავითი, იოანე და თეიმურაზი.

ვოლტერის ზოგიერთი ლექსი და პიესა თარგმნა ა.ჭავჭავაძემ (ყველაზე საინტერესო თარგმანია ტრაგედია „ალზირა“). ვოლტერზე დაწერილ ძველ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ზ. ჭიჭინაძის ვოლტერი (თბ., 1889).

ვოლტერის შემოქმედებისადმი ინტერესი არც XX საუკუნეში განელეულა. გამოქვეყნდა გ. სალუქვაძის მიერ თარგმნილი პიესა „ფანატიზმი“ (ბათუმი, 1971), რ. დოდაშვილისა და ნ. ქაღვიშვილის ნათარგმნი

ფილოსოფიური მოთხრობები (თბ, 1949, 1992) ნიგნს ერთვის გერონტი ქიქოძის ვრცელი სტატია, რომელშიც მიმოხილულია დიდი ფრანგი განმანათლებლის შემოქმედების გზა.

Nani Leonidze

WOLTAIRE'S DRAMATURGY

Summary

The paper is about the XVIII-th century famous writer, Woltaire's plays. As is known Woltaire was a versatile and prolific writer, producing works in almost every literary form, including plays, poems, novels, essays and historical and scientific works.

His famous plays such as „Oreste“, „Mahomet“, „Zaïre“, „La mort de César“, „L'enfant prodigue“ have been discussed in the present paper. It includes the histories of their writing and stage performances.

Лилиана Джанашия

ЖАНР ЭКЗИСТЕНЦИАЛЬНОЙ АНТИУТОПИИ В ЛИТЕРАТУРЕ ПОСТМОДЕРНИЗМА

Современная антиутопия постмодернизма как иерархическая полижанровая структура синтезирует не только элементы канонических и свободных жанровых форм, но и жанрово-стилистических клише массовой литературы. В художественной семантике антиутопии постмодернизма утопическая жанровая доминанта объединяет общую для утопического и экзистенциального сознания идею вечной тоски по недостижимому идеалу. Классический тезис экзистенциализма о сокрытости сущего (М. Хайдеггер) в литературной утопической традиции представлен художественной семантикой сокрытого землёй (водой) града, представленного в таких мифоутопических образах, как, например, Атлантида, Град Небесный и т.д. Жанровая доминанта экзистенциальной антиутопии связана с установками религиозно-утопического сознания миллениаристского типа и преимущественно представлена утопиями времени и вневременного порядка. Этиология утопического художественного видения в данной жанровой разновидности основана не только на рациональной условности вымысла или допущения, а и на «поэтике грёзы».

В художественном мире произведений Вик. Ерофеева «Карманный апокалипсис», «Болдинская осень», «Русская красавица», «Пять рек жизни», В. Пелевина «Жёлтая стрела», А. Зиновьева «Живи», В. Маканина «Лаз», Л. Улицкой «Путешествие в седьмую сторону света», Л. Петрушевской «Номер один, или В садах других возможностей» осуществлена деконструкция мифоутопических концептов и идеологем: о спасении мира красотой, христианском очищении через страдание, мессианизме, единении в Абсолюте. В современной русской экзистенциальной антиутопии отражена как этнонациональная специфика в понимании экзистенциальных проблем, выраженная в онтологическом отрицании Ничто и признании всемогущества Бога и Абсолюта (традиции Л. Шестова, С. Франка), так и европейская традиция, рассматривающая Ничто как начало, равноправное Абсолютному бытию (Ж.-П. Сартр, А. Камю, М. Хайдеггер). Поэтому эсхатологизм бытия и трагизм индивидуальной человеческой судьбы проявляются как в невозможности соединиться с Абсолютом (В. Пелевин, В. Маканин), так и в бессмысленности человеческого бунта против первооснов жизни, увеличивающего абсурдность мира (Вик. Ерофеев, Л. Петрушевская). Традиционные экзистенциальные метафоры-концепты «Чумы», «Абсурда», «Тошноты», «Тоски», «Страха и трепета» дополнены в них метафорами «Утраты», «Обречённости», «Страдания», «Жертвенности».

Современная экзистенциальная антиутопия имеет эскапистский

характер. Её герои спасаются бегством из мира, живущего по законам Распада и Хаоса в утопическое пространство. «Локус спасения» в произведениях Вик. Ерофеева, А. Зиновьева, Л. Улицкой, В. Маканина, Л. Петрушевской выражен через условно-метафорические образы Седьмой стороны света, Пятой реки жизни, Подземного града, Планеты, где живут души, Садов других возможностей, они коррелируют с традиционными утопическими сюжетами об Атлантиде, Китеже, Граде Небесном. Критическое осмысление утопической идеи в произведениях данной разновидности антиутопического жанра основано на деконструкции, рассеивании «твёрдых смыслов» логоцентрических структур средствами «эстетизированной чувственности» («поэтики грёзы», переосмысления мифологической условной образности, использования постмодернисткой игры). Децентрация субъекта в художественном мире экзистенциальной антиутопии эксплицирована через феномен психологической индетерминированности, которая выражается в отказе от реалистического письма. Вследствие этого возникает стилевой полиморфизм, представленный «сентиментальным реализмом» Улицкой, постмодернисткой поэтикой Ерофеева и Петрушевской, включениями «романтического реализма» в индивидуально-авторской манере Зиновьева. Герои изображены эскизно, они слабо индивидуализированы, не имеют портретов и биографий, их внутренний мир раскрывается не через психологические характеристики, а в непосредственных онтологических состояниях условно-метафорического или условно-символического сюжета. В отличие от героев западноевропейской экзистенциальной антиутопии (У. Голдинг, Р. Мёрль, М. Турнье), они нацелены на аскетическое служение возвышенным идеалам, их жертвенность свидетельствует об утопизме русской духовной жизни, религиозности русского экзистенциального сознания.

На примере судеб героев современной русской экзистенциальной антиутопии можно рассмотреть комплекс интенций религиозного утопизма, связанных с чаяниями тысячелетнего царства. Это, прежде всего, раскрывающее специфически христианскую парадигму внутренней жизни художественное осмысление идеи внутреннего апокалипсиса, которое вызвано осознанием невозможности создания праведного мира в связи с несовершенством и греховностью самого человека. Во-вторых, это напряженное переживание царящих на земле зла и страдания, вырастающих до неприятия всего мира, «погрязшего во тьме». В-третьих, особенно актуальная для русского культурного контекста мысль об обретении утопического рая тысячелетнего царства через страдания и муки Христовы. В рассматриваемых произведениях трагедия отчуждения личности от враждебного ей мира выражена в характерной для русской литературы форме исповеди. Интерпретация данной проблематики в современной русской экзистенциальной антиутопии во многом коррелирует с неосократической ветвью экзистенциальной философии (учение Г. Марселя), представители которой видели возможность существования идеальных форм вне земной

жизни.

Утопический дискурс в художественном целом экзистенциальной антиутопии раскрывается на уровне мифоутопического сюжетного кода, традиционных утопических мотивов и образов, которые реактуализируют память жанра. Мифологические сюжетные архетипы Творения, Вечного возвращения, Земли обетованной, Апокалипсиса и о Герое-избавителе погружаются в мир эстетики аномалий и выполняют функцию не гармонизации действительности, а усугубления разлада с ней, внутренне отделяя героя от враждебного ему мира, что приводит к доминированию трагикомического модуса изображения. На уровне архитектуральных отношений русская экзистенциальная антиутопия обнаруживает связь с утопической традицией платонизма и неоплатонизма, что проявляется в аллюзиях, реминисценциях на платоновские сюжеты и образы, стилизации прототекстов утопических произведений Платона. Утопический жанровый канон обогащается стратегиями постмодернистского письма, что отражает влияние на жанровую структуру экзистенциальной антиутопии демифологизации, символично-игровых форм, ризоматического письма. Децентрация дискурса осуществляется через использование трагической иронии и карнавализации повествовательного пространства на уровне словесно-речевой организации, использования фольклорных мотивов и образов, а также жанрово-стилистических канонов массовой литературы.

В развитии антиутопического жанрового мышления 1980-1990х гг. XX – начала XXI вв. намечена динамика от изображения апокалипсической проблематики к профетическим идеям. На основе деконструкции прежних аксиологических матриц предпринимаются попытки создать новое откровение (Вик. Ерофеев), провозглашаются максимы о необходимости веры человечества в новые идеалы (А. Зиновьев, Л. Улицкая), реактуализации общечеловеческих ценностей (В. Маканин, Л. Петрушевская). Современная экзистенциальная антиутопия раскрывает наметившуюся в русской литературе второй половины XX века тенденцию, указывающую на изменение отношения общественного сознания к утопизму. Известное изречение Н. Бердяева, ставшее эпиграфом к антиутопии О. Хаксли «О дивный новый мир», «...утопии оказались гораздо более осуществимыми, чем казалось раньше. И теперь стоит другой мучительный вопрос, как избежать окончательного их осуществления...» (Khakslı, 1990: 306), – сменяется в начале нового века апологией утопизма. Герои Вик. Ерофеева, А. Зиновьева, Л. Улицкой, В. Маканина, Л. Петрушевской акцентируют внимание на другом аспекте данной проблемы, формулируя вопрос «Как научиться жить с иллюзиями?» Истины, приходящие во внутривидениях – видениях – снах – грёзах формируют семантику утопического кода, который разрушается в антиутопическом жизненном пространстве героев. Художественный мир экзистенциальной антиутопии бегства создаёт трагический образ среды, в которой обесцениваются нравственные ценности. Однако эта выраженная в жанровом содержании идея вступает

в противоречие с продуцируемым тем же жанровым содержанием жизнеутверждающим пафосом, осознанием вечности и неизменности неограниченных мечтаний, устремлений и запросов человека, который не способен прожить в мире без идеалов. Финальные сцены об охваченном радостным чувством сне героини Улицкой, о протянувшем руку спасения герою Маканина добром человеке перекликаются со словами ерофеевского героя «без мечты не проживешь» и призывом «живи» из одноимённого романа А. Зиновьева. Этот вывод возвращает нас к проблеме дефиниции антиутопии, которая в таком контексте может быть выражена через конфликт в её художественном мире двух утопий. Её поэтика всегда тяготеет к вторичной художественной условности, расширяющей границы возможного с помощью авторской фантазии. В ситуации смены одних утопических представлений другими возникает вопрос о роли и значении антиутопии. Критический пафос утопии имплицитно революционен, но он всегда оказывается перед трагическим столкновением «между ясным утопическим видением того, что есть благо, и их же реформаторским вынужденным бременем реальных компромиссов и отступлений» (Laski, 1991: 178). Художественно-эстетический потенциал антиутопии в этой ситуации играет роль трансгрессивного перехода, поэтики возможного, открытого и незавершённого. Её условный мир характеризуется максимальным обобщением изображаемого, масштабностью и парадигматичностью подходов к осмыслению общественно-политических и культурных процессов современности, уникальной возможностью осознать значение индивидуального в контексте общечеловеческого.

Конфликт экзистенциальной антиутопии направлен на исследование механизма взаимоотношений человека и власти, его драматизм выражается в господстве над личностью государства, религии, смерти, обязанностей, обстоятельств, которые через страх ограничивают человеческую свободу и угнетают человеческую индивидуальность. В её художественном мире доминирует мифологическая условность. Экзистенциальная антиутопия не только изображает деконструкцию моделей индивидуальной и коллективной идентичности, неспособность отдельного индивида найти гармонию в отношениях с другими людьми и окружающим миром, но и раскрывает причины этой неосуществимости, потенции, связанные с противоречиями человеческого существования, «экзистенции», достигающей глубин самого «бытия». Экзистенциальное сознание, «выработавшее оригинальные принципы поэтики» (В. Заманская), обогатило жанр антиутопии изображением психологических экспериментов, нестандартными сюжетными ситуациями, познанием глубин человеческой души, что умножило эстетический потенциал антиутопического жанра.

Роль постмодернистской стилевой доминанты для развития жанра антиутопии рубежа XX-XXI вв. состоит в акцентировании таких генетических черт антиутопического художественного целого, как полижанризм, карнавальность и мифологизм в аспектах демифологизации

и ремифологизации. Художественное своеобразие современной русской антиутопии, в сравнении с европейской, состоит в ярко выраженной религиозности, исповедальности, бинарной этнокультурной природе.

Литература:

1. Epshteyn M. Postmodern v Russkoy literature: Uchebnoe posobie dlya vuzov. Moskva, 2005.
2. Groys B. Iskusstvo utopia. Khudozhestvenniy zhurla. Moskva, 2003.
3. Khakslі O. O divniy noviy mir // Angliyskaya antiutopia. Romany: Sbornik. Moskva, 1990.
4. Laski M. Ласки М. Утопия и революция // Утопия и утопическое мышление. - М.: 1991.
5. Nikolenko O. N., Kopache E. Sovremennaya Russkaya antiutopya: traditsii i novatorstvo. Poltava. 2006.

ლილიანა ჯანაშია

**ეგზისტენციალური ანტიუტოპიის ჟანრი
კოსტომოდრენისტულ ლიტერატურაში**

რეზიუმე

ის ფაქტი, რომ XX საუკუნის დასასრულის მწერლები ხშირად მიმართავენ ანტიუტოპიას და ნათელყოფენ მის ჟანრობრივ და მხატვრულ პოტენციალს, იმის ნიშანია, რომ ჟანრი მოქნილია და აქვს განვითარებისა და ტრასფორმაციის შესაძლებლობა. თანამედროვე ანტიუტოპიებში თხრობის სუბიექტურობა ნაწარმოების შინაარსობრივ ბირთვად გადაქცეული. ტრადიციული ანტიუტოპიისაგან განსხვავებით, ავტორები ახლებურად სვამენ აქცენტებს გარე სამყაროსთან გმირის უერთიერთობებში. საუკუნის დასასრულის ანტიუტოპიებში გმირის ყოფიერება თავდაპირველად თვითსაკმარისია, მისი სამყარო სახელმწიფოს უპირისპირდება არა როგორც საპირისპირო, არამედ ხარისხობრივად განსხვავებული. გმირის სივრცე განკერძოებულია გარე სამყაროსაგან და ეს სივრცობრივი განკერძოებულობა ესთეტიკური ხასიათისაა.

Liliana Janashia

GENRE OF EXISTENTIAL DYSTOPIA IN POSTMODERNIST LITERATURE

Summary

The fact that writers of the late 20th century often apply dystopia and expose its genre and artistic potential makes it clear that the genre is flexible and able to develop and be transformed. In modern dystopias, the subjectivity of narration becomes the notional nucleus of the works. The authors place accents in the relations between the heroes and the surrounding world in a new way, different from traditional anti-Utopias. In the dystopias of the late 20th century, the existence of the heroes is all-sufficient. Their universes are opposed to the State not as contrary to it, but different in quality. The heroes' spaces are isolated from the surrounding world and the isolation of the spaces is of the aesthetic nature.

On the basis of folklore and literary utopian tradition analysis the author reveals literary topics that is closely related to utopian genre contents, semantic and structural elements to express utopian artistic consciousness on various levels (motives, symbols, archetypical complexes, traditional plots and images) and their role in "genre memory" of modern literature anti-Utopia being stored. Genre matrix, genre canon, artistic peculiarities of the category "utopian" have been described. Intersection mechanism has been disclosed as the framework to fulfill utopia "genre contents overcoming" as the object of critical reflection in the structure of dystopian artistic integrity. The author develops the concept of anti-Utopian genre contents in postmodern literature, where aesthetic and psychoanalytical aspects of the phenomenon above being focused both on the level of artistic consciousness of the epoch and on the author's individual outlook.

Types of utopian consciousness being actualized in modern Russian culture make it possible to suggest genre typology of modern Russian literary dystopia. The structures of its politicized, millenary and technicized types to form genre diversities of social, existential and science fiction dystopia have been described. Transformations of genre canon have been considered on the basis of genre stipulating and genre forming factors, framed from integral learning experience of analogous genre functions in up-to-date hermeneutic research. The dynamics of modern Russian dystopia genres of XX-XXI centuries reflects the development of transition period: from distopia at the end of XX century up to the growing number of utopia and dystopia diversities in the first decades of the XXI century.

მედია კვარაცხელია

„ღაპაცალოთ ბავშვებს ბავშვობა“ ვასილ გულეურის საბავშვო პოეზია

ქართული საყმაწვილო, საბავშვო ფოლკლორის სათავე საუკუნეების მიღმა იკარგება. ბავშვი ხომ ბედნიერებისა და სიხარულის წყაროა, დიდი მიზანი და მომავლის იმედი, ამიტომაც იგი მუდმივად იყო, არის და იქნება ადამიანთა ზრუნვის უმთავრესი მიზანი. მომავალი თაობის სწორად აღზრდასა და ფორმირებაზე, პიროვნებად ჩამოყალიბებაზე დამოკიდებული ქვეყნის მომავალიც. სწორად ბავშვების დიდი სიყვარულით იშვა ჩვენი ერის წიაღში მოზარდებისთვის განკუთვნილი ღრმად ემოციური, მომხიბვლელი ჰანგები, მხატვრული აზროვნების დიდებული ნიმუშები, რომელთაც აღმზრდელობითი ფუნქციაც ეკისრებოდათ.

ქართული საბავშვო მწერლობა, პოეზია, ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილია. მას, ძველი მწერლობიდან მოყოლებული, ასაზრდოებდა და დღესაც ასაზრდოებს მდიდარი და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ხალხური შემოქმედება. ეს კანონზომიერია, რადგან ბავშვის ხასიათი, ფსიქიკა ყველაზე უკეთ ეწყობა ზღაპრულ, უჩვეულო, განსაკუთრებულ ამბებსა და სიუჟეტებს.

საბავშვო ლიტერატურის წინ წამოწევისა და განვითარებაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს XIX საუკუნის 60-იანელებმა, რომელთაც კარგად იცოდნენ მისი მნიშვნელობა და თავადაც არაერთი ბრწყინვალე ნაწარმოები უძღვნეს ბევშვებს. საყმაწვილო ლიტერატურის დამოუკიდებელ მიმართულებად ჩამოყალიბება კი დიდი ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დამსახურებაა. მათ დაწყებულ საქმეს ღრმად გაგრძელებლები გამოუჩინდნენ შემდგომი თაობების შემოქმედთა შორის, რომელთაც მრავალფეროვანი, ღირებული ლექსები თუ მოთხრობები უსახსოვრეს პატარებს. მათ შემოქმედებაზე არაერთგზის დაწერილა და თქმულა. მათ შესანიშნავ ნაწარმოებებზე იზრდებოდნენ, იზრდებიან და კვლავაც გაიზრდებიან ჩვენი ბავშვები. ამიტომაც მათზე არ შევჩერდები.

საინტერესოა, რა ვითარებაა დღეს, XXI საუკუნეში საქართველოში საბავშვო ლიტერატურის მიმართულებით.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა ქართველი ავტორები მშვენიერ ნაწარმოებებს ქმნიან ფენტეზის ჟანრში, რომელიც წარსულში ასეთი პოპულარობით არ სარგებლობდა, მაგრამ ეს უფროსი ასაკის ბავშვებისთვისაა. ბავშვის აღზრდა და ფორმირება კი თითქმის დაბადებიდან იწყება და, ამდენად, სკოლამდელი ასაკისა და დაწყებითი კლასებისათვის წერა უფრო რთულია, განსაკუთრებულ ნიჭს, ალღოსა და დაკვირვებას მოითხოვს; მოსაძებნია ე.წ. ოქროს შუალედი, რათა საბავშვო ლექსები თუ მოთხრობები არც პირდაპირი შეგონებებით იყოს გადატვირთული და არც არაფრისმთქმელი სიტყვების ნაზავი. ბავშვებისთვის მწერალი შინა-

განად ალბათ ცოტათი მაინც უნდა იყოს „ბავშვი“, რომ ეს ბუნებრივად შეძლოს – შეძლოს, დააინტერესოს პატარები, ფორმისა თუ შინაარსის ერთობლიობით აღძრას მათში სასიამოვნო ემოცია, ამავე დროს მისცეს გარკვეული ინფორმაცია, ცოდნა გარემომცველ სამყაროზე, დაანახოს, რა არის კარგი და რა – ცუდი, რაც საბოლოოდ მათ სულიერ წვრთნას ემსახურება და საბავშვო ლიტერატურის დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა.

დღეს წიგნების ბაზარს თუ გადავხედავთ, იგი საკმაოდ გაჯერებულია საბავშვო ლიტერატურით, როგორც ორიგინალურით, ასევე თარგმანით, პოლიგრაფიულად თითქმის ყველა თვალისმომჭრელად გამოიყურება ფერადოვნებითა და დასურათებით, მაგრამ მხატვრული ღირებულებითა და შინაარსით ყველა როდია ფასეული (ვერც იქნება).

თავისუფალი ბაზარი ყველანაირ პროდუქციას იტანს, მაგრამ, საბედნიეროდ, საქართველოში არიან ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედნი, რომლებიც პატარებისთვის ბრწყინვალე ლექსებს წერენ.

ერთ-ერთი მათგანია ვასილ გულეური, პროფესიით არქიტექტორი, საბავშვო პოეტი, მთარგმნელი, მრავალი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული.

მისი ერთ-ერთი საბავშვო კრებულის რედაქტორი ანა ჭაბაშვილი წერს: „ვასო გულეური გახლდათ ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი დღევანდელი საბავშვო ლიტერატურისა.“

როდესაც მან პირველად წიგნი მომიტანა და ფიქრობდა, გამოეცა, აღტაცებული დავრჩი. ეს არის არაჩვეულებრივი გულით დაწერილი, იუმორით, რაც აუცილებელია საბავშვო მწერლობისთვის“ (Didebistvis..., 2013).

ვასილ გულეურის საბავშვო ლექსები ისეთი ლალი, უშუალო და გულწრფელია, ერთი სულის მოთქმით იკითხება. სამართლიანად აღნიშნავს გიორგი ლობჯანიძე (რადიო „თავისუფლების“ ბიბლიოთეკა): „ის სხარტად, ლაკონურად წერს, გულლიად, ყოველგვარი გადაპრანჭვის გარეშე, მაგრამ უამრავ ისეთ პრობლემას წამოჭრის, რაც არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ დიდებსაც დააინტერესებს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვასო გულეური წერს ვასო გულეურისთვის, ოღონდ მაშინ, როდესაც ის პატარა ბიჭი იყო“ (Didebistvis..., 2013).

თავად ავტორი იმავე ინტერვიუში ამბობს, რომ პატარებისთვის ლექსების წერა შვილებმა შთააგონა, იმდენად ახალი და განსხვავებული განცდა იყო: „ვიფიქრე, ხომ არ ჯობდა, ისეთი ლექსები დამეწერა, რომლებიც გაახალისებდა“ (Didebistvis..., 2013).

ამ ერთ ფრაზაში ჩანს მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. პატარებისთვის უნდა იწერებოდეს სახალისო, მხიარული მომცრო ლექსები, რადგან მათ დიდხანს ყურადღების კონცენტრაცია უჭირთ. გზა წიგნის სიყვარულისაკენ სწორედ ასეთ ლექსებზე გადის, რათა ბავშვები გაახალისოს, აღძრას მათში სასიამოვნო ემოციები, ჩაუნერგოს სიკეთისა და სიყვარულის გრძნობა, გაუღვიძოს სილამაზის, მშვენიერების აღქმის უნარი, ასე თამამ-თამამით შეაყვაროს

პოეზია, ნიგნი, ამავე დროს მისცეს გარკვეული ცოდნა გარემომცველ სამყაროზე, ასწავლოს ავისა და კარგის გარჩევა და ამ გზით ხელი შეეწყოს მათ ცნობიერებაში საუკეთესო თვისებების ფორმირებას.

ვასილ გულეურის შემოქმედება მეტად ნაყოფიერია. მისი საბავშვო ლექსების კრებულები 2007 წლიდან ინტენსიურად გამოიცემა სხვადასხვა გამომცემლობის მიერ. ესენია: „მელაკუდას მაღაზია“ (2007), „ჩიტის მოტანილი ამბები“ (2008), „საბავშვო ლექსები“ (2009), „ხუთი ამბავი ლექსად“ (2009), „ზოოპარკი“ (2011), „დაბრუნებული ბგერები“ (2012), „ნადვის ხის მოსართავი“ (2012), „ციცქნა ციკოს ცისქვეშეთი“ (2013), „თოვლის გუნდა ცირკში“ (2015), „თოვლის შვილიშვილი“ (2015), „თოვლის გუნდა მეგობრებს დაეძებს“ (2015), „მხიარული ლექსები“ (2016), „ჩხუბი სამზარეულოში“ (2017), „გრაფიკული ლექსები“ (2017).

მრავალფეროვანია მათი თემატიკა და პერსონაჟთა სამყარო. რასაკვირველია, უხვადაა ტრადიციულ, სტერეოტიპულ თემებზე დანერგილი ლექსები, მაგრამ მათი სიუჟეტი ახლებურია; თემა ძველია, მაგრამ ამბავი ახალია, ავტორის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი. მაგალითად, ბრძენი ბუ (ნაცნობი თემა), რომელიც იმიტომაცა ბრძენი, რომ ბეჯითია, მთელი დღე ფულუროში ზის და წიგნებს კითხულობს, ღამით კი ვარსკვლავებს უყურებს და ალბათ ოცნებობს, იგი ამავე დროს კეთილიცაა და მასთან რჩევისთვის მისულს არასდროს ისტუმრებს უარით. ამ ორტაეპიანი ლექსით – „ბუ“ ბავშვის ცნობიერებაში ჩნდება ოთხი მეტად ფასეული ღირებულების განცდა – სიბრძნე, შრომისმოყვარეობა, სიკეთე, მშვენიერებით ტკბობა (ოცნება). აი, მაგალითად, ლექსი „სახლი“, რომელშიც ჩამოთვლილია, რომელი ცხოველის „სახლს“ რა ჰქვია – ბუნაგი, ფულურო, სორო, ბაკანი თუ ნიჟარა, ჩიტისას კი – ბუდე. ამ ლამაზი, ლაკონიური რიტმული ლექსის მოსმენისას ბავშვის მეხსიერებაში ძალდაუტანებლად ილექება საჭირო ინფორმაცია, ცოდნა და ისიც, რომ ყველას თავისი სახლი უყვარს და რომ საქმით დაღლილს „გელოდება შენი კერა, გელოდება შენი სახლი“. პატარა ლუკას მამამ საქართველოს რუკა მიუტანა და მასზე გამოსახული ფერების მნიშვნელობა აუხსნა, ლექსის („ლუკას რუკა“) დასასრული კი ასეთია: „რუკაზეც კი ლამაზია ეს პატარა საქართველო“ (Guleuri, 2014).

ყველა ლექსზე, რა თქმა უნდა, ვერ შევჩერდებით, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მათ აერთიანებს საერთო კონცეფცია – ამ ერთი შეხედვით მარტივ პატარა ლექსებში დევს დიდი აზრი, სერიოზული სათქმელი, პატარების გონებრივი და სულიერი წვრთნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია, რასაც უნდა ემსახუროდეს საბავშვო ლიტერატურა.

დრო იცვლება და მის კვალდაკვალ მხატვრულ ლიტერატურაშიც (მათ შორის საბავშვოშიც) შემოდის ახალი თემები და მოთხოვნები. ვასილ გულეურსაც უხვად შემოაქვს თავის ლექსებში ახალი თემები და სახეები. ასეთებია ლექსი „ტელეფონი“, „პინგვინები“, რომლებიც როგორც უდაბნოში მოხვედრილან და ბჭობენ, როგორ შეცვალონ იქაურობა სათავისოდ, თოვლის გამოწერას კი ინტერნეტით აპირებენ და

კიდევ სხვა მრავალი.

ამ ლექსებში არა პირდაპირი მომბაზრებელი შეგონებებით, არამედ ირიბად, პერსონაჟთა საქციელის მეშვეობით, ბუნებრივად, შექებულია ადამიანის საუკეთესო თვისებები და დაგმობილია ცუდი – სიზარმაცე, ენატანიობა, სხვისი ჩაგვრა, მკვეხარობა, ბუტიაობა, ქიშპობა, კინკლაობა და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ხალხური ზღაპრის – „რწყილი და ჭიანჭველა“ გულეურისეული ვარიანტი – „ჭიანჭველა და რწყილი“. თავიდან მოქმედება ხალხურის მსგავსად ვითარდება: დაძმობილებული ჭიანჭველა და რწყილი გაუდგნენ გზას, მდინარეზე ხიდი დახვდათ და გადახტომის გარეშე, მშვიდობიანად გადავიდნენ მეორე ნაპირზე. იქ კი რწყილმა უცაბედად ქვას წამოჰკრა ფეხი და მეოთხე ფეხი მოიტეხა. ჭიანჭველა არც კი დაფიქრებულა, მოიკიდა ზურგზე მასზე 3-ჯერ მძიმე მეგობარი და გასწია, რათა დროზე უშველოს. ასე ჭაპანწყვეტით მიმავალს გზაზე ხან ხოჭო შემოხვდა, ხან კალია, ხან კოლო და სამივემ ძმობილის მიტოვება ურჩია, შენს თავს უშველე, მაგისტანას კიდევ ნახავო. ჭიანჭველა კი შეუვალა, მტკიცეა მისი ერთგულება: „თუ ერთმანეთს არ გავწირავთ, ორივენი გადავრჩებით“, რასაც ამყარებს ავტორის რეფრენი გზაზე შემხვედრებთან ჭიანჭველას დიალოგის შემდეგ „როცა არის გასაჭირში, მაშინ უნდა ძმობილს შველა“ (Guleuri, 2008).

უშველა კიდევ. დალოცვილმა ფუტკარმა დაუნანებლად მისცა უებარი მალამო და მეგობარი მუდამ გვერდით გყავდესო, ურჩია“ (Guleuri, 2008).

ვასილ გულეური ერთგან წერს: „ბავშვობაში ხშირად მიფიქრია, რატომ მთავრდებოდა ზღაპრების უმეტესობა ასე: „ჭირი – იქა, ლხინი – აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა...“ რამდენიმე წლის წინ იდეა გამიჩნდა, ცნობილი ხალხური ზღაპრის – „რწყილი და ჭიანჭველას“ ახალი ვერსია დამეწერა. ამ ზღაპარში ისიც მიტოვებდა უკამარისობის განცდას, რომ დახმარების სანაცვლოდ ყველა რაღაცას ითხოვდა. ამიტომ ჩემს ვერსიაში ყველაფერი შევატრიალე, ბოლოს კი ჩემი ბავშვობისდროინდელი საფიქრალიც გადავჭერი და ზღაპარი ასე დავამთავრე: „ლხინი იქაც, ლხინი – აქაც, სულ სიკეთით დამიბერდით“ (Didebistvis..., 2013).

მართლაც რომ მშვენიერი მიგნებაა. ჩემი აზრით, ასეთ დასასრულში „იქაც“ და „აქაც“ ჩვენი სამყარო იგულისხმება: ლხინი – იქაც – თქვენთანაც და ლხინი აქაც – ჩვენთანაც. ლხინიც ალბათ მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ – რაც მეტი სიკეთე, სიყვარული, კეთილგანწყობა – ლხინი იქნება ირგვლივ, მით უფრო უკან დაიხვეს ბოროტება. ხალხური ზღაპრების დაბოლოება „ჭირი იქა“; „ქატო იქა“ კი ალბათ იმ ზღაპარულ სამყაროს გულისხმობს, სადაც მხოლოდ ბოროტი მეფეები, საზარელი დევები, კუდიანი ჯადოქრები, ავი დედინაცვლები, სამიში გველეშაპები სახლობენ და კარგად ახსნის შემთხვევაში ამას ბავშვიც გაიგებს.

ვასილ გულეურის საბავშვო ლექსები შესანიშნავი საჩუქარია პატარებისთვის, მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად, დიდი

მათი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. რაოდენ დასანანია, რომ მხოლოდ პოლიტიკურ შოუებსა და ვითომ გასართობ უგემოვნო უხამს შოუებს გამოკიდებულ ტელესივრცესა და, ზოგადად, მედიაში ნაკლებად არის (ან საერთოდ არ არის) ანალიტიკური გადაცემები ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, მათ შორის საბავშვო ლიტერატურაზე; არ ხდება ქართველი ავტორების წარმოჩენა და პოპულარიზაცია; ფაქტობრივად, არც კრიტიკა არსებობს. მხოლოდ ინტერსივრცეში თუ წააწყდები მსგავს ინფორმაციას და ისიც ხშირად მწირია. არც პერიოდული პრესით არიან განებივრებული ჩვენი ბავშვები, მცირე ტირაჟით გამომავალი თითო-ოროლა საბავშვო ჟურნალი ამინდს ვერ ჰქმნის.

არადა, აუცილებელია ამაზე საქვეყნოდ საუბარი, სანამ ჩვენი წარსულში წიგნიერი ერი უნიგნურ მასად არ ქცეულა, რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, ამკარაა, გზა წიგნის სიყვარულისკენ, წიგნიერებისკენ, ცოდნისკენ კი თითქმის ბავშვის დაბადებიდან იწყება. თანაც იწყება მომცრო მხიარული ლექსებით და არა პატარებისთვის გაუგებარი, მოსაბეზრეელი, თუნდაც საუკეთესო, უზარმაზარი ლექსების ძალდატანებით დაზუთხვით და მერე ამით თავმოწონებით.

ვასილ გულეური წერს და მართებულადაც: „იქნებ დავაცადოთ ბავშვებს ბავშვობა; იქნებ ვუკითხოთ საბავშვო ლექსები და ზღაპრები; იქნებ ვიხალისოთ მათთან ერთად და თამაშ-თამაშით წიგნის სიყვარული ვასწავლოთ, ეს პოეზია კი (სადიდო მ.კ.) იმ დროისთვის დავტოვოთ, როცა გაიზრდებიან“ (Guleuri, 2018).

ეს სიმართლეა – უნდა დავაცადოთ ბავშვებს ბავშვობა!

ლიტერატურა:

1. Guleuri V., Zooparki, Tbilisi, 2011.
2. Guleuri V., Dabrunebuli bgerebi, Tbilisi, 2012.
3. Guleuri V., Tovlis gunda cirkshi, Tbilisi, 2015.
4. Guleuri V. Ckhubi samzareuloshi, Tbilisi, 2017a.
5. Guleuri V. Grafikuli leqsebi, Tbilisi, 2017b.
6. Guleuri V. armuri (nisli mtata zeda), 2008(<http://armuri.georgianforum.com/t23-topic>)
7. Vaso guleuri - sabavshvo avtori da chveni tanamoqlaqe, 05.09.2014, <https://geocentre.wordpress.com/2014/09/05/>
8. Didebistvis ogzond cota uket..., 24 Noemberi, 2013 (www.radiotavisupleba.ge)
9. Guleuri V. Sabavshvo patriotizmi, 19 tebervali, 2018 (Liberali.ge (blogs)view)34429 sabavshvo-patriotizmi).

Medea Kvaratskhelia

POETRY FOR CHILDREN BY VASIL GULEURI

Summary

Foundation of Georgian Children's folklore and literature counts for centuries. The Georgian "Samotsianelebi" (Generation of 60s of the 19th century) took the greatest part in the development of Georgian literature for children.

Fortunately, there are a lot of young Georgian poets writing for children nowadays. One of them is Vasil Guleuri who is an architect by profession, a translator and a winner of different literary competitions. His children's poems are short, deep, delightful and sincere. The little readers who are interested in the wonderful world of children's poetry are inspired by the poet's verses that are important and are important for development of children.

Vasil Guleuri's collection of verses has been published since 2007. His wonderful verses are nice present for children as they have both literary and esthetic, and didactic value.

ისტორია HISTORY

ოთარ ჟორდანია

თბილისის უნივერსიტეტი 100 წლისაა რამდენიმე ფურცელი დედაუნივერსიტეტის ისტორიიდან

ქართველი ერი განსაკუთრებით ამაყობს დედაუნივერსიტეტით და იმ სახელოვანი ადამიანებით, რომლებმაც ივანე ჯავახიშვილის თავკაცობით შექმნეს ქართული მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დიდი კერა. უნივერსიტეტს, როგორც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეცნიერული და კულტურული ტრადიციების გამგრძელებელს, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თანამედროვე მეცნიერებისა და განათლების განვითარებაში და დღემდე ინარჩუნებს მონინავე პოზიციებს. უნივერსიტეტი დაარსების პირველი დღიდანვე იდგა საქართველოს ეროვნულ ინტერესების სადარაჯოზე და თავისი არსებობის განმავლობაში არაერთხელ თქვა გადამწყვეტი სიტყვა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში.

თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორია დიდი ხანია იწყობს ფართო საზოგადოების ყურადღებას. ჩვენი აზრით, ეს საკითხი მოითხოვს ფაქტების შემდგომ დაზუსტებასა და ახლებურ გააზრებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის უნივერსიტეტის სახელწოდება რამდენჯერმე შეიცვალა. თავდაპირველად იგი იწოდებოდა „ქართულ თავისუფალ უნივერსიტეტად“, მოგვიანებით დაერქვა „ქართული უნივერსიტეტი ტფილისში“, ხოლო 1918 წლის 3 სექტემბერს მას ოფიციალურად ეწოდა „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დაარსებული თბილისის უნივერსიტეტი იყო პირველი ეროვნული სასწავლებელი, რომელმაც ახალი ბიძგი მისცა ქვეყანაში ეროვნული უნივერსიტეტების შექმნისათვის მოძრაობას. რევოლუციის შემდეგ განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა, დროებითი მთავრობისა და ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის ჩამოყალიბებამ, ხელი შეუწყო ქართული ეროვნული ძალების პოლიტიკური საქმიანობის გააქტიურებას. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ განაპირობა საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების საკითხის წინა პლანზე წამოწევა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატი წარმოადგენდა საქართველოსთვის ფართო პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების ლეგიტიმურ საფუძველს, რადგან ეს დოკუმენტი იყო რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმებული საერთაშორისო მნიშვნელობის სამოკავშირეო ხელშეკრულება. ამ აზრს ივანე ჯავახიშვილი საჯაროდ იცავდა

პეტროგრადის ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა წინაშე.

განსაკუთრებით დიდი ენერგია შეაღია ივანე ჯავახიშვილმა ქართული ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის იდეის პოპულარიზაციასა და მის განხორციელებას. 1917 წლის მარტ-აპრილში ამ საკითხზე მან არაერთი თათბირი ჩაატარა თანამოაზრეებთან. თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების კონკრეტული გეგმა ივანე ჯავახიშვილმა პეტროგრადში მოღვაწე ქართველებს კინოთეატრ „ელიტში“ გამართულ შეხვედრაზე გააცნო. დამსწრეთა უმრავლესობამ მოიწონა ეს იდეა, თუმცა გამოიკვეთა განსხვავებული პოზიციაც – შეხვედრის მონაწილეთა ნაწილი უპირატესობას ანიჭებდა თბილისში ტექნიკური უნივერსიტეტის გახსნას.

საკითხის მეტი სიცხადისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხო ცარიზმის ზოგად დამოკიდებულებას უმაღლესი განათლებისადმი. მაგალითად, 1896 წელს მთავრობამ არ დააკმაყოფილა თხოვნა ქუთაისში სამთო ინსტიტუტის გახსნის შესახებ. მრავალწლიანი განხილვის შემდეგ რუსეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო თბილისში პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დაარსების გადაწყვეტილება. გაიმართა უნივერსიტეტის საძირკვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიაც, მაგრამ ეს პროექტიც ვერ განხორციელდა, რადგან 1914 წელს ძალაში შევიდა ნიკოლოზ II განკარგულება ახალი უნივერსიტეტების დაარსების აკრძალვის შესახებ.

1916 წლის ივნისისათვის ეს განკარგულება დაძლეულ იქნა, რითაც რუსეთის განათლების სამინისტროს მიეცა საშუალება დაენყო მუშაობა ქვეყანაში უმაღლესი განათლების ქსელის გაფართოებისათვის. სამინისტროს პროექტით, პირველ ეტაპზე ახალი უნივერსიტეტები უნდა დაარსებულიყო 9 ქალაქში: დონის როსტოვში, ეკატერინოსლავში (სიმფეროპოლში ან ქერჩში), ვილნოში (ან მოგილოვში, ან სმოლენსკში, ან მინსკში), ვლადივასტოკში, ვორონეჟში (ან ტამბოვში), პერმში, სამარაში, ტაშკენტში, იაროსლავში, ხოლო 11 ქალაქში – ბლაგოვეშენსკში, ეკატერინოსლავსში, ვილნოში, ვლადივასტოკში, ვორონეჟში, ვიატკაში, ირკუტსკში, კიშინიოვში, სარატოვში, სიმფეროპოლსა და ტაშკენტში – უნდა გაეხსნათ ახალი ტექნიკური უნივერსიტეტები. როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, ხელისუფლება არ აპირებდა უნივერსიტეტისა თუ სხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლის გახსნას სამხრეთ კავკასიაში, რადგანაც ემინოდა კავკასიის ფრონტის ხაზთან ახალი რევოლუციური კერების აღმოცენების.

1917 წლის მაისში ივანე ჯავახიშვილი საქართველოში ენერგიულად შეუდგა უნივერსიტეტის დაარსებისთვის მუშაობას. ქართული საზოგადოების პოლიტიკური, მორალური თუ ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად ის მართავდა შეხვედრებს, გამოდიოდა მოხსენებებით (17, 19 მაისს თბილისაა და ქუთაისში), სადაც ასაბუთებდა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობას. ამ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის დასაჩქარებლად შეიქმნა „თბილისის უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომელშიც შევიდნენ ცნობილი ქართველი საზოგადო

მოღვაწენი.

1917 წლის აგვისტოს დასაწყისისთვის მომზადდა უნივერსიტეტის იურიდიული გაფორმებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის (ოზაკომის) თავმჯდომარემ ვასილ ხარლამოვი მოიწონა ქართული ეროვნული უნივერსიტეტის წესდების ძირითადი პრინციპები. მან, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა, დოკუმენტები, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, გადაუგზავნა რუსეთის განათლების სამინისტროს. ვ. ხარლამოვი შუამდგომლობის წერილში ითხოვდა ქართული უნივერსიტეტის წესდების უმოკლეს ვადებში დამტკიცებას, ვინაიდან, მისი აზრით, ეს უნივერსიტეტი უცილობლად ითამაშებდა დიდ როლს კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნების, ხალხთა წარსულისა და თანამედროვეობის შესწავლაში. გარდა ამისა, მან თხოვნით მიმართა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს აკაკი ჩხენკელს, განათლების სამინისტროში მხარი დაეჭირა საკითხის დადებითად გადამწყვეტისათვის. როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ოზაკომის თავმჯდომარე ვასილ ხარლამოვი იყო პირველი რუსეთის სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელე, რომელმაც მოიწონა თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების პროექტი იმ სახით, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილს ჰქონდა ჩაფიქრებული.

1917 წლის 28 სექტემბერს რუსეთის განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების რეფორმების კომისიამ განიხილა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხი. სხდომას ესწრებოდნენ გამოჩენილი რუსი მეცნიერები, მათ შორის აკად. ნიკო მარი, რომელმაც მხარი დაუჭირა თბილისში კერძო ქართული უნივერსიტეტის დაარსებას. ამასთან ნიკო მარი და სხდომის სხვა მონაწილენი მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ თბილისში რუსულენოვანი კავკასიის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის აუცილებლობას. განხილვის შედეგები გაფორმდა 1917 წლის 3 ოქტომბერის დოკუმენტით, სამინისტროს კომისია „ვერ ხედავდა ქართული უნივერსიტეტის გახსნის სანინაალმდეგოს“. მეორე მხრივ, კომისიამ „არადროულად ცნო წესდების რეგლამენტაცია“. წესდების არ მქონე სასწავლებელს უნდა ეხელმძღვანელა 1914 წლის 1 ივნისის კანონით „კერძო სასწავლებლების გახსნისა და ფუნქციონირების შესახებ“. ამ კანონის ძალით, კერძო სასწავლებლებს ეკრძალებოდათ სადოქტორო პროგრამის განხორციელება და სამეცნიერო კვალიფიკაციის მინიჭება, მათზე არ ვრცელდებოდა შეღავათი სამხედრო ბეგარზე და ა. შ. ერთი სიტყვით, თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას მთავრობამ დაუპირისპირა კავკასიის რუსული უნივერსიტეტი და იმთავითვე მიიღო სათანადო ზომები ქართული უნივერსიტეტის სტატუსის შეზღუდვისა და მისთვის არათანაბარი კონკურენტული გარემოს შესაქმნელად. რუსეთის განათლების სამინისტროს მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართული უნივერსიტეტის შექმნა იქნებოდა მაგალითი სხვა ხალხებისათვის, რომლებიც ასევე მოითხოვდნენ თავიანთი ნაციონალური უმაღლესი სას-

ნავლებლების გახსნას. სახელმწიფო მოხელენი თვლიდნენ, რომ მოვლენების ასეთი განვითარება საგრძნობლად შეასუსტებდა რუსეთის გავლენას ეროვნულ რეგიონებში, ხელს შეუწყობდა ნაციონალური იდენტობის გაძლიერებას და გამოიწვევდა პოლიტიკური ვითარების გამწვავებას. მოსალოდნელი რისკების თავიდან ასაცილებლად სამინისტრომ, თავისი ინიციატივით, მოკლე ვადაში განიხილა თბილისში კავკასიის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საკითხი და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება. ამ დადგენილების შესახებ ტელეგრაფით ქ. თბილისის გამგეობას დაუყოვნებლივ აცნობა ახლადდანიშნულმა განათლების მინისტრმა სერგეი სალაზკინმა (1862-1932). თბილისის ხელმძღვანელებმა სრული მზაობა გამოთქვეს ხელი შეეწყოთ მთავრობის დადგენილების აღსრულებისათვის.

როგორც ჩანს, თბილისში რუსული უნივერსიტეტის დაფუძნება ნავარაუდები იყო 1909 წლიდან არსებული ტფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ბაზაზე. კურსებს საკმაოდ კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა. სასწავლებელში ცნობილი რუსი, ქართველი და სხვა ეროვნების პროფესორები მოღვაწეობდნენ. ფუნქციონირებდა სამი – ისტორია-ფილოლოგიის, საბუნებისმეტყველო და მედიცინის ფაკულტეტები. სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა საუნივერსიტეტო პროგრამით. მიუხედავად ამისა, ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებს არ ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი, ე. ი. მას არ ჰქონდა უფლება გაეცა უმაღლესი განათლების მიღების დამადასტურებელი დიპლომი.

ამასობაში მოვლენები რუსეთის რესპუბლიკაში დრამატულად განვითარდა. 1917 წლის 25-26 ოქტომბერს ბოლშევიკებმა დაამხეს დროებითი მთავრობა, რასაც მოჰყვა ქვეყანაში უნესრიგობა, სამოქალაქო ომი და სასტიკი ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. ამიერკავკასიის პოლიტიკური ლიდერები გაემიჯნენ რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. 1917 წლის 15 ნოემბერს ძალაუფლება სამხრეთ კავკასიაში გადავიდა ამიერკავკასიის კომისარიატის ხელში. ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ქართული უნივერსიტეტის საბჭომ მიიღო სწორი და პრინციპული გადაწყვეტილება. 1917 წლის 26 ნოემბერის სხდომაზე საბჭომ დაადგინა ამიერკავკასიის კომისარიატში წარედგინათ დასამტკიცებლად ქართული უნივერსიტეტის წესდება და სხვა საჭირო დოკუმენტები. ოქმის დადგენილებით ნაწილში ჩაინერა, რომ „უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი ხელახლად წარდგენილ იქმნეს დასამტკიცებლად ამიერკავკასიის კომისარიატში, ვინაიდან პეტროგრადის დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებულმა ქალაქებმა პოლიტიკური პირობების გამო ვერ ჩამოაღწიეს“. საბჭოს დადგენილების საფუძველზე, 1917 წლის 27 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილმა ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა ქართული უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თხოვნით. ამიერკავკასიის კომისარიატმა ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი უნივერსიტეტის წესდება და ძირითადი დებულებანი დასკვნისათვის გადაუგზავნა ამიერკავკასიის კომისარიატის სასწავლო ოლქის სამმართველოს. ამ უკანასკნელმა უწყებამ განიხილა აღნიშნული დოკუმენტაცია და 29 ნო-

ემბერს წარმოადგინა დადებითი დასკვნა. 1917 წლის 2 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოჩენილი ქართველი პოლიტიკოსის აკაკი ჩხენკელის მოხსენების საფუძველზე უცვლელად დაამტკიცა უნივერსიტეტის წესდება. ქართული უნივერსიტეტი გახდა იურიდიული პირი, რომელიც ამიერიდან სარგებლობდა ავტონომიით და თავის საქმიანობას ახორციელებდა წესდების ფარგლებში. „ქართული უნივერსიტეტი ტფილისში, უმაღლესი სამეცნიერო-სამოსწავლო ავტონომიური დაწესებულებაა, სამეცნიერო-სამოსწავლო სფეროშიც და საუნივერსიტეტო მართვა-გამგეობისა და შინაურ მეურნეობის მხრივ იგი სრულებით დამოუკიდებელია და ყველა ამ საკითხს თვითვე განაგებს“, – ვკითხულობთ უნივერსიტეტის პირველ წესდებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ: არ არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დედაუნივერსიტეტი დაარსდა 1918 წლის 26 იანვარს (ახ. სტ. 8 თებერვალს). ამასთან დაკავშირებით, მოვუსმინოთ თავად ივ. ჯავახიშვილს, თუ რას ამბობდა ის უნივერსიტეტის დაარსებისა და გახსნის შესახებ: „მიმდინარე წლის იანვარში (იგულისხმება 1918 წ. 26 იანვარი – ო. ჟ.) საქართველოს დედაქალაქში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. იგი ჯერ კიდევ წარსული წლის შემოდგომაზე (1917 წელი – ო. ჟ.) უნდა დაფუძნებულიყო, მაგრამ ვინაიდან რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროში წარდგენილსა და მთავრობის მიერ მოწონებულის უნივერსიტეტის „ძირითად დებულებათა“ გამოგზავნა „ბოლშევიკურ რევოლუციის“ გამო შეფერხდა, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის წესდება ამიერკავკასიის კომისარიატს წარედგინა და უკანასკნელმაც დაამტკიცა იგი წარსული 1917 წლის 2 დეკემბერს. 1918 წელს 26 იანვარს უნივერსიტეტი გაიხსნა კიდევ, რაც ქართველმა ერმა დიდი სიხარულით და ზეიმით იღლესასწაულა“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ო. ჟ.). როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილი ერთმანეთისაგან განსახვავებს უნივერსიტეტის დაარსებისა და გახსნის თარიღებს – 1917 წლის 2 დეკემბერსა და 1918 წლის 26 იანვარს. მას ეს აზრი არაერთხელ აქვს გატარებული სხვა ნაწერებში.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორ არის გაშუქებული თბილისის უნივერსიტეტის დაარსების თარიღი სპეციალურ და საცნობარო ლიტერატურაში. დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მე-2 და მე-3 გამოცემებში თბილისის უნივერსიტეტის დაარსების თარიღად დასახელებულია 1918 წელი. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და „თბილისის“ ენციკლოპედიურ ლექსიკონში მითითებულია მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის გახსნის თარიღი – 1918 წლის 26 იანვარი და არაფერია ნათქვამი მისი დაარსების შესახებ. ენციკლოპედიურ ლექსიკონ „თბილისში“ მნიშვნელოვან მოვლენათა ქრონოლოგიაში აღნიშნულია, რომ 1918 წლის 8 თებერვალს (ძვ. სტ. 26 იანვარი) დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასეთი არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. აქ მხოლოდ დავკონკრეტდები და ვიტყვი, რომ თბილისის უნივერსიტეტისადმი მიძღვნილ მრავალფეროვან პუბლიკაციებში მხოლოდ სამ-ოთხ ნაშრომში გაკვრითაა ნახსენები თბილისის უნივერსიტეტის დაარსების

თარიღი – 1917 წლის 2 (15) დეკემბერი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიტზე წლების განმავლობაში უნივერსიტეტის დაარსების თარიღად მითითებული იყო 1918 წელი. დღევანდელი მდგომარეობით, თბილისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უნივერსიტეტის ისტორიის ნაწილში ამოღებულია მსჯელობა დაარსების შესახებ და მითითებულია მხოლოდ მისი გახსნის თარიღი – 1918 წლის 8 თებერვალი (ახ. სტ. 26 იანვარი). თბილისის უნივერსიტეტისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებზე არ გაჟღერებულა უნივერსიტეტის დაარსების თარიღი, ანუ 1917 წლის 2 დეკემბერი.

ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო, თუ როგორ შუქდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. პროფ. ს. შილოვცევი მონოგრაფიაში „გ. ი. რაზუმოვსკი. 1857-1935 წწ.“ (კუიბიშევი), 1958, რუს. ენაზე) ამტკიცებს, რომ 1917 წელს თბილისში ცნობილი რუსი ქირურგის, სარატოვის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, პროფ. ვასილ რაზუმოვსკის ძალიანმევიტ გაიხსნა კავკასიის რუსული უნივერსიტეტი, ხოლო 1918 წელს – ქართული (თბილისის) უნივერსიტეტი. ამასთან დაკავშირებით პროფ. ს. შილოვცევი წერს: 1918 წელს საქართველო ჩამოშორდა რსფსრ-ის. იგი იყო მენშევიკების ძალაუფლების ქვეშ. იმავე წელს აღმოცენდა მეორე ქართული უნივერსიტეტი, რომლის პირველი რექტორი პ. ბ. მელიქოვი იყო“. ამრიგად, მოტანილი ამონარიდიდან აშკარად ჩანს პროფ. ს. შილოვცევის სურვილი დაარწმუნოს მკითხველი, რომ საუნივერსიტეტო განათლება საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში უშუალოდ იყო დაკავშირებული ამიერკავკასიის რუსულ უნივერსიტეტთან.

ქვემოთ შევეცდები მოკლედ განვიხილო პროფ. ს. შილოვცევის მოსაზრებების სისწორე ჩვენთვის საინტერესო საკითხზე. მისი მტკიცებით, 1914 წლიდან თბილისში ფუნქციონირებდა უმაღლესი ქალთა კურსები (ავტორს მხედველობაში აქვს 1908 წელს დაარსებული ტფილისის უმაღლესი ქალთა კურსები – ო. ჟ.), რომელიც 1917 წელს ვ. ი. რაზუმოვსკის ინიციატივით გარდაიქმნა ამიერკავკასიის რუსულ უნივერსიტეტად. პროფ. ს. შილოვცევის ეს დებულება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რადგან თავად ვ. რაზუმოვსკი ამიერკავკასიის (ასე ეწოდა ტფილისის უმაღლეს ქალთა კურსებს 1917 წელს – ო. ჟ.) უმაღლესი ქალთა კურსების სამედიცინო ფაკულტეტზე რიგით პროფესორად აირჩიეს მხოლოდ 1918 წლის იანვარში ანატომიის სასწავლო კურსის ნასაკითხად. 1918 წლის მაისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, ამ სასწავლებლის სტატუსი არ შეცვლილა და მას კვლავ ეწოდებოდა ამიერკავკასიის უმაღლესი ქალთა კურსები. მოგვიანებით, სახელდობრ, 1918 წლის 2 ივნისს, აღნიშნული კურსების საბჭომ მიიღო წესდება, რომლის მიხედვით, სასწავლებელი ტფილისის უნივერსიტეტად გამოცხადდა. რექტორის მოვალეობის შემსრულებლად, არჩევნებამდე, დაინიშნა სასწავლებლის ყოფილი დირექტორი, ისტორიკოსი, პროფ. ფ. ბლაგოვიდოვი. ამ უკანასკნელმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად

ნარუდგინა წესდება. სამინისტრომ ნაადრევად მიიჩნია ამიერკავკასიის უმაღლესი ქალთა კურსების ტფილისის უნივერსიტეტად გარდაქმნა, რაც სათანადო წესით ეცნობა სასწავლებლის გამგეობას. უარის მიღების შემდეგ, სასწავლებელში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა განათლების სამინისტროსათვის ამიერკავკასიის ქალთა კურსებისათვის უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების აუცილებლობა. ამ მიზნით სასწავლებელში შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ პროფ. ფ. ბლაგოვიდოვი, პროფ. ვ. რაზუმოვსკი და დოც. ნ. ა. დუბროვსკი. კომისიამ თავისი მოსაზრებები ნარუდგინა განათლების სამინისტროს, რომელმაც დააკმაყოფილა სასწავლებლის შუამდგომლობა. 1918 წლის 14 აგვისტოს პროფ. თ. ბლაგოვიდოვმა გამგეობას აუწყა განათლების სამინისტროს დადგენილება უმაღლესი ქალთა კურსების ბაზაზე „ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის“ დაფუძნების შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ, 1918 წლის ოქტომბერში, პროფ. ვ. რაზუმოვსკი აირჩიეს დასახელებული უნივერსიტეტის რექტორად.

ამრიგად, მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ 1917 წელს ამიერკავკასიაში არ არსებობდა რუსული უნივერსიტეტი, და, მაშასადამე, პროფ. ვ. რაზუმოვსკი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დამაარსებელი. ასი წლის განმავლობაში ჩვენ ვერ შევძელით, სამწუხაროდ, დედაუნივერსიტეტის დაარსების თარიღი – 1917 წლის 2 (15) დეკემბერი – ასახულიყო მსოფლიო უნივერსიტეტების ქრონოლოგიაში, რადგან ქართველ მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა უნივერსიტეტის დაარსების თარიღს მისი გახსნის თარიღთან აიგივებდა. თბილისის უნივერსიტეტის ისტორიისადმი ასეთი მიდგომა, რბილად რომ ვთქვათ, გაუმართლებელია.

უმაღლესი სასწავლებლების ისტორიაში უნივერსიტეტების დაარსებისა და გახსნის თარიღები ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების ისტორიიდან. მოსკოვის უნივერსიტეტი, მაგალითად, დაარსდა 1755 წლის იანვარში, ხოლო გაიხსნა 1755 წლის აპრილში; კიევის უნივერსიტეტი დაარსდა 1833 წლის 28 ნოემბერს, ხოლო გაიხსნა 1834 წლის 15 ივნისს; პეტროგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების თარიღად მიიჩნევენ 1898 წელს, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაიხსნა 1902 წელს, ტომსკის უნივერსიტეტი დაარსდა 1878 წელს, მაგრამ გაიხსნა 10 წლის შემდეგ – 1888 წელს და ა. შ.

წინამდებარე წერილის მოკრძალებული მიზანია საზოგადოების ყურადღება კიდევ ერთხელ მიაპყროს იმ ფაქტზე, რომ თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა 1917 წლის 2 (15) დეკემბერს. ეს თარიღი ჩვენი სახელოვანი დედაუნივერსიტეტის ისტორიის დასაბამისია.

ამრიგად, 2017 წლის 15 (2) დეკემბერს თბილისის უნივერსიტეტს 100 წელი შეუსრულდა. ჩვენ ისლა დაგვრჩენია უღრმესი მადლობა გადავუხადოთ დედაუნივერსიტეტს ჩვენი მრავალტანჯული მამულის საკეთილდღეოდ განეული ასწლოვანი დაუღალავი შრომისა და ბრძოლისათვის.

ლიტერატურა:

1. Brzhovskiy A. G. Vasiliy Ivanovich Razumovskiy (Istoriko-biograficheskiy ocherk). Khirurgia, 1945, #8.
2. Chkhikvishvili D. I. Tbilisskiy universitet. Bolshaya Sovetskaya entsiklopediya. 3-e isdanie. T. 25, Moskva, 1976.
3. Gamkrelidze G. Tbilisis Sakhelmtsifo Universiteti 1918-1948 (masalebi universitetis istoriisatvis), Tbilisi, 1948.
4. Jorbenadze S. Tbilisis Sakhelmtsifo Universiteti. Saqartvelos SSR entsiklopediuri leqsikoni. Tbilisi, 1981.
5. Jorbenadze S. Tskhovreba da Ghvatsli Ivane Javakhishvilisa. Tbilisi, 1981.
6. Jorbenadze S. Tbilisis Universitetis mokle istoria. Tbilisi, 1988.
7. Javakhishvili I. A. Kak sozdavalsya universitet. Zarya Vostoka, #122, 30 Maya, 1938.
8. Iyakobson S. A. Professor Vasili Ivanovich Razumovskiy (1857-1935 gg.). Khirurgia, 1952, #7.
9. Ivanov A. E. Vysshaya shkola Rossii v kontse XIX - nachale XX veka. Moskva, 1991.
10. Keckhoveli N. Tbilisis universitetis daarsebis istoriis erti ukhamso damakhinjobis gamo. Gaz. Komunisti, 1952, #238.
11. Marr N. Ya. O Kavkazskom universitete v Tiflise (v svyazi s obsuzhdeniem v Komissii po reforme visshey shkoly voprosom o Gruzinskom Universitete v Tiflise). Ivestiya Rossiyskoy Akademii nauk. VI Seriya7 Petrograd, 1918, #14.
12. Metreveli R. Ivane Javakhishvili da Tbilisis Universiteti. Tbilisi, 1996.
13. Metreveli R. Iv. Javakhishvili. Entsiklopediuri leqsikoni. Tbilisi, 2002.
14. Mnishvelovan movlenata qronologia. Tbilisi. Entsiklopediuri leqsikoni. Tbilisi, 2002.
15. Nutsbidze Sh. Sae daarsda, ase davitsket. Skola da tskhovreba. #10, 1968.
16. Qartuli universitetis gakhnsa. Gaz. Saqartvelo, 1917, #269.
17. Qartuli universitetis gakhnsa. Gaz. Saqartvelo, 1917, #277.
18. Saqartvelos centraluri saistorio arqivi, fondi 435, aghtsera 1, saqme 10.
19. Saqartvelos centraluri saistorio arqivi, fondi 435, aghtsera 1, saqme 1327.
20. Saqartvelos centraluri saistorio arqivi, fondi 435, aghtsera 1, saqme 1331.
21. Saqartvelos centraluri saistorio arqivi, fondi 435, aghtsera 1, saqme 1332.
22. Saqartvelos centraluri saistorio arqivi, fondi 1818, aghtsera 1, saqme 281.
23. Saqartvelos centraluri saistorio arqivi, fondi 2081, aghtsera 1, saqme 191.
24. Shilovtsev S. P. V. I. Razumovskiy. 1857-1935 gg. Kuybishev, 1958.
25. Tabliashvili T. Akademikosi Iv. Javakhishvili da Tbilisis Sakhelmtsifo Universiteti. Dokumentebi da masalebi. Saistorio momabe. T. 21-22. Tbilisi, 1967.
26. Tbilisis Sakhelmtsifo Universiteti. 1918-1998 ts. Saiubileo krebuli. Mt. red. Roin Metrebveli. Tbilisi, 1998.
27. Tbilisis sakhelmtsifo universiteti. Profesorta sabchos oqmebi (1917-

- 1926). Gamosacemad moamzades M. Liluashvilma da Z. Gaiparashvilma. Tbilisi, 2006.
28. Zhordania O. Tbilisis Sakhelmtsifo Universitetis daarsebis istoriisatvis. Sametsniero paradigmebi. Tbilisi, 2003, gv. 508-520.
29. Zhordania O. Ivane Javakhishvilis sazogadoebrivi mogzvatseobidan Petrogradshi. Tsignshi: Tamar Gamsakhurdia 70, Tbilisi, 2007.

Otar Zhordania

TBILISI STATE UNIVERSITY IS 100 YEARS OLD Few pages from University history

Summary

The paper discusses the history of the establishment of Tbilisi State University (Georgian University). According to the author's opinion, the Tbilisi State University was established not on January 26, 1918 (February 8), but on 2 (15) December 1917. As for the version of Russian researchers regarding that the first university in the Caucasus was Russian (Tbilisi) university has been rejected.

ქეთევან მანია

რელიგიური იდენტობა აფხაზეთში ქართული გეოგრაფიული მემკვიდრის რეკონსტრუქციით („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“)

წარმოადგინა ცხუმ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას
სახელობის ისტორიისა და კულტურის ინსტიტუტმა

ქრისტიანული სარწმუნოება, საუკუნეების მანძილზე ქართული იდენტობის განმსაზღვრელ მახასიათებელს წარმოადგენდა. ქართველებში, როგორც ამას მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ გამოკვლევაში აღვნიშნავდით, ძალიან მძლავრი იყო ისტორიული გამოცდილების ხსოვნა, იმის გაცნობიერება, რომ ქართულმა ერთობამ თავი დიდწილად ქრისტიანობით შეინახა და ქართველობა და ქრისტიანობა ერთმანეთს შეედულა ერთობის წევრთა ცნობიერებაში. საუკუნეების განმავლობაში ქართული კულტურის მანიფესტაციის ერთადერთი სივრცე იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული სივრცე. ქრისტიანობაზე, როგორც საჯარო იდეოლოგიაზე, უარის თქმა, ყველა კულტურულ საყრდენს გამოაცლიდა ქართულ იდენტობას (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 330). ამგვარი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა XIX ს-ის მეორე ნახევარში მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიცია. აფხაზეთის ოსმალთაგან დაკავების შემდეგ, დაიწყო ამ მხარის გამაჰმადიანება. მაგრამ რუსეთთან შეერთების შემდეგ, აქტიური მუშაობა გაჩაღდა ხალხის კვლავ ქრისტიანობაზე მოქცევის მიმართულებით. მართალია, მართლმადიდებელ რუსეთთან ქრისტიანულ იდეოლოგიას საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ იმპერიული მმართველობა კულტურულ საყრდენს აცლიდა ქართულ იდენტობას, რაც გამოვლინდა რელიგიური ისტორიული მემკვიდრეების ადგილებისა და ისტორიული მემკვიდრეების კვალის ნაშლის ინტენსიურ მცდელობა-განხორციელებაში.

აფხაზეთში რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა, რომელთა შორის აღსანიშნავია ჯ. გამახარიას (Gamakharia, 2005), ი. გელენავას (Gelenava, 2011: 35-61), ნ. პაპუაშვილის (Papuashvili, 2005), თ. ბიბილურის (Bibiluri, 2007: 146-169), ს. ვარდოსანიძის გამოკვლევები. პრესის მასალებზე დაყრდნობით რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა გაანალიზებულია ნ. ნაჭყებიასა (Nachkebia, 2006) და ნ. გულუას (Gulua, 2012) ნაშრომებში. კვლევებში წარმოდგენილია თუ როგორ უწევდნენ წინააღმდეგობას რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას „მწყემსნი კეთილნი“. შესწავლილ იქნა სასულიერო განათლების საკითხი XIX ს. II ნახევრის აფხაზეთში ი. ბასილაძე, თ. მაჭავარიანის მიერ (Basiladze, Machavariani, 2012: 56-61). ცალკეული სასულიერო პირების მოღვაწეობას აფხაზეთში მიეძღვნა ჯ. გამახარიას მონოგრაფიული ნაშრომე-

ბი: წმიდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) (Gamakharia, 2006), წმიდა მღვდელმონაქე კირიონ II (საძაგლიშვილი) (Gamakharia, 2006), წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) (Gamakharia, 2006), წმიდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) (Gamakharia, 2007). ამბროსი ხელაიას სასულიერო ღვაწლი და დამსახურება წარმოჩენილი აქვს აგრეთვე ს. ვარდოსანიძეს თავის ნაშრომში (ვარდოსანიძე 2009). დასახელებულ შრომებში (რომელთა ჩამონათვალი რა თქმა უნდა არასრულია, რადგანაც ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ისტორიოგრაფიული ხასიათის გამოკვლევის დაწერა. ამიტომაც თვალსაჩინოებისთვის მოვიხმე მათი გარკვეული ნაწილი) ბეჭდური მედიის მასალები ნაკლებად არის გამოყენებული. შედარებით ფართოდ არის გამოყენებული პრესის მასალები ნ. ნაჭყეიასა და ნ. გულუას ნაშრომებში. მე შევეცდები განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომით გავანალიზო ბეჭდური მედიის (დროება, ივერია, ცნობის ფურცელის) პუბლიკაციები. მასალებზე დაყრდნობით დავაკვირდები რელიგიური იდენტობის მდგომარეობას აფხაზეთში. გამოკვლევაში, ძირითადად, აქცენტს გავაკეთებ საზოგადოებრივ აღქმებზე, მახსოვრობაზე, სიმბოლოებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, აქტიური მუშაობა დაიწყო ოსმალთაგან გამაჰმადიანებული აფხაზეთის კვლავ ქრისტიანობაზე მოსაქცევად. ამ მხრივ, „დროების“ ინფორმაციით გამორჩეულია ეპისკოპოს ალექსანდრეს აქტიური ქადაგება ქართველთათვის ქრისტიანული სარწმუნოების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე (დროება 1875, №88). ამავე მიზნით აფხაზეთში იგზავნება მღვდლები. ბეჭდური მედია არც მათი მუშაობის შედეგებს ტოვებს უყურადღებოდ. სინოდის ობერ-პროკურორის მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების 1867 წ. ანგარიშში აღნიშნული ყოფილა, რომ აფხაზეთში 846 ქალი და მამაკაცი გაქრისტიანებულა (დროება 1869. №5). მღვდლების აქტიურ საქმიანობაზე მიუთითებს, აგრეთვე „ცნობის ფურცელის“ მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც დაბა გუდაუთში მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანი ყოფილა (ცნობის ფურცელი, 1898, №501). ამავდროულად აქტიურად მუშაობდნენ მოლებიც აფხაზეთში. იყო შემთხვევა, როდესაც ქრისტიანული წესით დასაფლავებული მიცვალებულისთვის თათრული წესი შეუსრულებიათ. მიუხედავად აკრძალვისა, მოლა ოსმან ჩიმაგუა ეწეოდა ს. აჭანდარის მოსახლეობაში მაჰმადიანობის განმტკიცებას. მამა დიმიტრი ხოჭოლავას მონდომებით დაუპატიმრებიათ მოლა ოსმან ჩიმაგუა (ცნობის ფურცელი, 1897, №331). აფხაზეთში სარწმუნოების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის გამოსწორებას მიეძღვნა 1898 წ. 1 მაისს ოჩამჩირეში ჩატარებული სამღვდლოების კრება (ცნობის ფურცელი, 1898, №528).

მართალია, შემცირდა ქრისტიანობის, როგორც საჯარო იდეოლოგიის მიმართ საფრთხე სხვა/უცხო რელიგიური იდენტობის მხრიდან, მაგრამ მართლმადიდებელი რუსეთის მიერ ქართული რელიგიური იდენტობისათვის კულტურული საყრდენის გამოცლის არაერთ მაგალითს ვხვდებით ბეჭდურ მედიაში. მათ შორის აღსანიშნავია, გამოგზავნილი

მისიონერი ბერების საქმიანობა, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი-მოვალეობა განემტკიცებინათ ქრისტიანული მრწამსი ხალხში (დროება, 1883, №212). „დროება“ იუნყება, რომ მისიონერი ბერების გამოგზავნას აპირებდა ხელისუფლება ფიჭვის მთის (პიცუნდა) მონასტერშიც მონასტრის განსაახლებლად.

„ფიჭვის მთის მონასტერი ეკუთვნის იმ გუნდსა ძველის მონასტრებისას საქართველოში, რომელთ შემწეობით განათლებული მხილველი აღადგენს ხოლმე წარსულ ცხოვრებას ხალხისას, ნაშთნი ძველის მხატვრობისა კედლებზედ (ფრესკები) და არქიტექტურა განაცხოველებენ საუკუნეებში ჩამარხულს კულტურას ქვეყნისას, ამ საშუალებით დაწინაურებულ ქვეყნებში ხალხურ ზღაპრებიდამ გამოიკვლევენ ხოლმე სიმართლეს, ლეგენდას ხდიან ისტორიად და ხალხს გააცნობენ მის წარსულს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველს მონასტრებში ამ ნაირს ხელობას ვერ გამოიჩინენ რუსის ბერები და „განახლება“ მონასტრისა ის იქნება მხოლოდ, რომ ნანგრევს ალაგს აგურს დაუმატებენ და კედლებს კირით შელესვენ. დიად თეთრი და სუფთა გამოვა, მაგრამ იმ კირის ქვეშ დაიფლება უკანასკნელი ნაშთი ძველის ხელოვნობისა და კულტურისა და ამ სახით, შეიძლება, წინამორბედი მისიონერნი ქრისტიანობისა გამოდგნენ ცივილიზაციის შემბლაღველად, როგორც მოხდა ეს მცხეთის ტაძარში“ (დროება, 1883, №215).

როგორც ამონარიდიდან ჩანს, რუსული მმართველობა განადგურებით ემუქრება ქართველთათვის წმინდა ნაშთებს (ძველ მხატვრობას და არქიტექტურას) რელიგიური მესხიერების ადგილებისას, იმ ადგილებისას, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შეწყვეტილი რელიგიური მესხიერების აღდგენაში, ვინაიდან მათში დაცულია უძვირფასესი ინფორმაციები უწყვეტობის ხაზის გასავლებად. ასეთი ნაშთებისადმი ბარბაროსული დამოკიდებულების და მისიონერი მამების საქმიანობის აღმამფოთებელი კორესპონდენციით მივიქცევ მკითხველის ყურადღებას. საგანგებოდ გამოგზავნილ მისიონერ მამებს გადაუთეთრებიათ ისტორიული წარსულის ცოცხალი, მეტყველი ფრესკები და არქიტექტურა ათონის და ბიჭვინთის მონასტერში. აღნიშნულ ვანდალიზმს აღუშფოთებია რუსი ბატალისტი მხატვარი ვერეშაგინი, რომელსაც ამ ადგილების დათვალიერება ჰქონია გადაწყვეტილი, მაგრამ რომ შეუტყვია მათი გადაკეთების ამბავი, გადაუფიქრებია.

„მე ძალიან მოწადინებული ვიყავი დამეთვალიერებია სახელგანთქმულ ბიჭვინთის ტაძარი, სოხუმის ახლოს მდებარე. ეს მართლა დიდებული და ღირსშესანიშნავი ნაშთი; უნდა გავიხსენოთ, რომ იქ ექსორიან იქმნა განდევნილი წმ. იოანე ოქროპირი და იმ ტაძრის კედლები, როგორც მარწმუნებენ, იმ დროიდან შემკული იყვნენ ფრესკებით გასაკვირველიც არ არის, რომ იმ დროინდელ ტაძრის გარეგან კედლებზე დიდრონი ხეები გაზრდილან“ (ცნობის ფურცელი, 1901, №1586).

საქართველოში განხორციელებული ვანდალიზმით აღშფოთებულა რუსი მწერალი და ღვთისმეტყველი ბ.ნ. დურნოვოც, რომელიც თავის წერილებში მიუთითებდა საქართველოში ძველი ტაძრების დაქცე-

ვის, მათი მშვენიერი ხუროთმოძღვრების და ქანდაკების ნიმუშების განადგურება-აოხრების შესახებ და განცვიფრებულს უკითხავს: „რას მივანეროთ, რომ ამ მამაცმა ერმა (ქართველმა), რომელმაც ათას ხუთასი წლის განმავლობაში მტკიცეთ და შეურყევლად დაიცვა თავისი ენა, სარწმუნოება და ტერიტორია, და მიიტანა ყოველივე ეს შეუბღალველად მე-XIX საუკუნის დასაწყისამდე, ჩვენს დროში ასე დაკნინდა და დაძაბუნდა და თავისს დიდებულ ძველ ნაშთებსაც ვეღარ უვლის?“ (ცნობის ფურცელი, 1901, №1586).

ყველა ქვეყანა კრძალვით და მონინებით ეპყრობა წარსულ დროის ნაშთებს. ყველგან მოიპოვება მუზეუმები და არქეოლოგიური ნაშთების დამცავი შენობები. „ჩვენ ვერც ის დაგვიცავს, რაც გადარჩა მურმან ყრუს, ჩინგიზყაენის, თემურლენგის და შაჰაბასის შემოსევას და დარბევას! – ნეტავ, რას უყურებს მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების ტფილისის აგენტი და ან ახლად შემდგარი ტფილისის განყოფილება იმავე საზოგადოებისა? – კითხულობს აღშფოთებული კორესპონდენციის ავტორი და იქვე დასძენს, – ჩვენ გვავინყდება ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ადამიანი განირჩევა პირუტყვისაგან მისდამი მინიჭებულ მესხიერებით თავისს წარსულის სვე-ბედისა, რომლის ნაშთებს ის მედგრად იცავს. ხოლო როცა ადამიანი ჰკარგავს ამ თვისებას, მაშინ მან ხელი უნდა აიღოს, არამც თუ ბუნების მეფობაზე, არამედ თვით კულტურით შეჭურვილ არსებობაზე“ (ცნობის ფურცელი, 1901. №1586).

როგორც ვხედავთ, კორესპონდენციით ავტორი მკითხველებში ცდილობს გააღვივოს ეროვნული სენტიმენტები იდენტობის შენარჩუნებისათვის, ვინაიდან ისტორიული მესხიერების ადგილების გაქრობით ქრება ამ კულტურის შემქმნელი ერის არსებობა. ამიტომაც ისტორიული მესხიერების მნიშვნელოვნობაზე საუბრების გამართვით თავის მკითხველებს მოუწოდებს კულტურული ძეგლების დაცვისაკენ.

თ. ჟორდანიას წერილი „მოქვის (აფხაზეთი) ეკლესიის ომოფორი ისტორიული წარწერებით“, კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა თუ როგორ საგანგებოდ ზრუნავდა რუსეთის მთავრობა ქართული კვალის გაქრობაზე აფხაზეთში. მოქვის დიდებული ტაძარი, რომელიც აღუშენებია აფხაზეთ-საქართველოს მეფე ლევანს 957 წლის ახლო დროებში, 1865 წ. უკანასკნელ აფხაზეთა მთავრის დროს განუახლებიათ,

„ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გააფუჭეს ეს ტაძარი; ფერად-ფერადი მარმარილოსაგან გაკეთებული მისი იატაკი სრულიად შეიმუსრა; ძვირფასი მარმარილოს სვეტები დაამსხვრიეს, ხოლო ფასდაუდებელი მოზაიკით (სოფიოს კენჭით) მხატვრობა მისი საუკუნოდ გაჰქრა.. უჩინო იქმნენ აგრეთვე ქართულნი წარწერანი. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ქართულის მოძულე მეცნიერთა (უკეთ რომ ვსთქვათ უმეცართა) წრეს საბაბი მისცა ბუკი ნაღარით გამოეცხადებინათ, ვითომ მოქვის ტაძარი ქართული ხელოვნება არ იყოს, ვითომ აფხაზეთში ქართული კულტურის გავლენა არ ყოფილიყო. ამისთანა გვამნი ქართულ წარწერას თუ სადმე მოახელებდნენ, ჰშლიდნენ, რყვნიდნენ და კედლებზე ჯღაბნიდნენ ბერძნულ წარწერათა...“

ავტორი იძლევა ინფორმაციას სამეგრელოში მიმოფანტული მოქვის ტაძრის სინმიწდების შესახებ იმის დასტურად რომ მოქვში და მთელს აფხაზეთში ქართული კულტურა ყოფილა გავრცელებული და ქართული ენა გამეფებული. 1890 წელს ავტორს გულდაგულ დათვალიერებისას აღმოუჩენია სამრეკლოდან ჩამოქცეული ქვის ნატეხი ასომთავრული წარწერით, რომელიც იუწყებოდა სამრეკლოს მოქველი მთავარებისკოპოს გრიგოლ მაგძინძეს მიერ აშენებას. სამეგრელოს ტაძრებში თვითონ ავტორს უნახია მოქვის ტაძრის კუთვნილი ხატები და ჯვრები ქართული წარწერებით. მარტვილში აღმოჩნდა 1300 წ. დანერილ-დახატული ქართული სახარება მოქვის კუთვნილი, აგრეთვე სხვა წიგნებიც დავითნი, გულანი და სხვა. ეს ყველაფერი დასტურია იმისა, რომ მოქვში და მთლიანად აფხაზეთში ქართული კულტურა ყოფილა გავრცელებული და ქართული ენა გამეფებული. აქვე აქვეყნებს ილორის ტაძრის კუთვნილი სინმიწდის, ომოფორის შესახებ ინფორმაციას და მასზე მოთავსებულ ასომთავრულ წარწერებს (ივერია, 1902, №92).

ამგვარი პუბლიკაციების გამოქვეყნება აუცილებლობით იყო განპირობებული. თ. ჟორდანიას ქართული კულტურის მონაპოვრების რეპრეზენტაციით კულტურული კავშირის უწყვეტობას ადასტურებს აფხაზეთში. ამით ამსხვრევს უცხო იდენტობის მიზნებს და ხელს უწყობს მოსახლეობის გაერთიანებას ქართული კულტურის გარშემო, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს გარედან ემუქრება საფრთხე.

რელიგიური საკითხებისადმი იმპერიული მიდგომა დასახელებული „დროების“ კორესპონდენციაში ოსმალეთის გავლენით გამაჰმადიანებული აფხაზების კვლავ ძველს სარწმუნოებაზე მოქცევის სირთულედ. გარდა ამისა, ხალხში სახარების ნათელის გავრცელების ნაცვლად, ლოცვათა რუსულად იძულებით დაზეპირების მცდელობა უარყოფით ემოციას იწვევდა ხალხში (დროება, 1883, №215). ყოველივე ამას ხალხის ეკლესიისგან განრიდება მოჰყვა. ამის ნათელი მაგალითია კორესპონდენცია გუდაუთიდან. როგორც კორესპონდენციიდან ვიგებთ, საეკლესიო დღეობაზე, რომელსაც აქაურები პირველ ღვინობისთვის მართავდნენ, აქ მცხოვრებ 50 ქართველთაგან არავინ დასწრებია (ცნობის ფურცელი 1897. № 333). ხალხის ეკლესიისგან განრიდებას განსაკუთრებული მასშტაბები მიუღია სამურზაყანოშიც, რასაც საგონებელში ჩაუგდია სამურზაყანოს მოსახლეობა და გადაუწყვეტიათ მთავრობისთვის მიემართათ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღვლენის ნაბართვის მოთხოვნით (ცნობის ფურცელი, 1898, №479).

ასეთ ვითარებაში, როდესაც სარწმუნოებრივი თვალსაზრისით განსაცდელშია აფხაზეთი (სარწმუნოება იმდენად არის დაცემული, რომ წელიწადში ერთხელ ძლივს შედიოდნენ აქაური მცხოვრებლები), ათონის მონასტრის არქიმანდრიტ მამა იერონს, იმის ნაცვლად სწავლავანათლების ამაღლებაზე და დაცემული სარწმუნოების განმტკიცება-გაძლიერებაზე ეზრუნა, ახალი ტაძრის აგებაზე დაუწყია ფიქრი, რაც უთუოდ კარგი საქმე იყო, თუმცა,

„ხალხში სწავლისა და სინათლის მოფენა და მართლ-მადიდებელის

სარწმუნოების გამტკიცება უფრო უკეთესი ძეგლი იქმნებოდა და უფრო უკეთესი დამსახურება ღვთისა და კაცობრიობის წინაშე“ (ივერია, 1894. №66).

აღნიშნული კორესპონდენცია რელიგიური საკითხებისადმი მისიონერი მამების დამოკიდებულების თვალსაჩინო დადასტურებაა. ამგვარმა დამოკიდებულებამ საბოლოო ჯამში უფუნქციოდ აქცია ქართული ეკლესია-მონასტრები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი კორესპონდენციაც „ცნობის ფურცელიდან“, რომელიც აღწერს XX ს. დასაწყისში ათონის მონასტრის მისიონერი მამების (800-მდე რუსი ბერი დამკვიდრებულა) მოღვაწეობის შედეგად შექმნილ ვითარებას. მისიონერმა ბერებმა არათუ ვერ შეასრულეს თავიანთი მისია განემტკიცებინათ ქრისტიანული სწავლება ხალხში, არამედ პირიქით მათი აქ დამკვიდრებით ნელ-ნელა ისპობოდა ქრისტიანობა ამ მხარეში. ბოლო 8-10 წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს ათასობით აფხაზი იცვლიდა სარწმუნოებას (ცნობის ფურცელი 1904, №2708).

რელიგიური ისტორიული მეხსიერების თვალსაზრისით საინტერესოა დაბა გუდაუთის ს. აჭანდარას შესახებ ცნობები, სადაც 250 კომლიდან მხოლოდ 15 კომლი ყოფილა ქრისტიანი დანარჩენი მაჰმადიანი იყო. აღსანიშნავია, რომ მათაც მიუღიათ ქრისტიანობა, მაგრამ შემდეგ მაინც გამაჰმადიანებულან და ქრისტიანობას სიძულვილის თვალთ უყურებდნენ. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წმინდად შეუნახავთ „დიუდურუბშის ძეგლის“ ხსოვნა. დიუდურუბშის ძეგლი მდებარეობდა რამდენიმე ასეული წლის წინათ ამავე სახელწოდების მთაზე, რომლის ძირში განფენილი ყოფილა ს. აჭანდარა. „მას შემდეგ, რაც ის დაინგრა, მისი ნანგრევები ძეგლად დარჩენილა, რომელსაც აფხაზები ეხლაც თაყვანს სცემენ. თვით ის ადგილი, სადაც არის ნანგრევი ძეგლის ეკლესიისა, აფხაზებს წმიდა ადგილად მიაჩნიათ, და არც ერთი აფხაზი იქ ასვლას არ გაბედავს“. რადგან აფხაზები ვერ ბედავდნენ წმინდა ნანგრევის მოლოცვას, დაბლა მოუნყვიათ მსხვერპლშენიერვის ადგილი, სადაც დიდი მუხა და ქვა იდო. ქვაზე ღვთისმშობელი ყოფილა გამოსახული, რომელზეც იღებდნენ ფიცს აფხაზები. იმ ადგილს, სადაც ძეგლის ეკლესიის ნანგრევები იყო, აფხაზურად ეძახდნენ „ანიბს ნახო დიუდურუბშ“, რაც ქართულად ნიშნავს „აფხაზეთის ძლიერი ხატი დიუდურუბში“. ძეგლის მეთვალყურეობა ძეგლი დროიდან ჩიჩბების გვარს ჰქონია. მთელი წლის განმავლობაში აფხაზები, როგორც მაჰმადიანები ისე ქრისტიანები, დღესასწაულობენ მხოლოდ ახალ წელს და აღდგომას. აღდგომას წითელი კვერცხით და პასქით ეგებებიან. ეს ქრისტიანობის ნაშთი შერჩენიათ აფხაზებს (ანნა ნოდია, ივერია, 1902, №68).

აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პოლიტიკურ ვითარებას არ ძალუძს წაშალოს იდენტობის რელიგიური ისტორიული მეხსიერების და მეხსიერების ადგილების ხსოვნა.

იმპერიული მმართველობა, თუ ერთი მხრივ, ქართული ოდენტობისათვის კულტურული საყდენის გამოცლას ისტორიული მეხსიერების ადგილების ნაშლით ცდილობდა, მეორე მხრივ, ენობრივი იდენტობის

მომლით ცდილობდა რელიგიური იდენტობის განადგურებას. დაიწყო საგანმანათლებლო სივრცის შეურიგებელი რუსიფიკაცია, რამაც უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო ქართული სასწავლებლები. გამონაკლისს არც სასულიერო სასწავლებლები წარმოადგენდა. რეჟიმმა ქართული ენის სწავლება ამოიღო სასულიერო სასწავლებლებიდან, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებდა მშობლიურ ენაზე სწავლებას, ვინაიდან სასწავლებელს უნდა აღეზარდა ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრები. შედეგად საზოგადოებას უბრუნდებოდა ეროვნულ ცოდნას მოკლებული მოძღვარი, რომელიც თავის მოვალეობას ვერ ასრულებდა. ასეთი დამლუპველი შედეგი მოგვცა ჩვენში კათალიკოსობის გაუქმებამ და ეგზარქოსობის შემოღებამ. ამ დროიდან დაარსდა ჩვენში სასულიერო სასწავლებლების ნაცვლად, სქოლასტიკური (ანუ ფორმალური) – ბერძნულ-ლათინური სემინარიები. ჩვენი ქვეყნის სასულიერო საქმეების წარმართველად დაინიშნა უმაღლესი სინოდი, რომელმაც რუსულ ყაიდაზე გარდაქმნა ჩვენი სემინარიები და სასულიერო ახალგაზრდობა დააყენა გადაბირების გზაზე.

XIX ს-ის 60-იან წლებში ეგზარქოს ევსევის შეუნიშნავს ის გარემოება, რომ ქართველი მღვდლები არამცთუ ვერ აღავლენდნენ ქადაგებას ქართულ ენაზე, არამედ საეკლესიო წიგნებს ბორძიკით კითხულობდნენ და წინადადება წამოუყენებია თბილისის სასულიერო სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერების თაობაზე, თუმცა მთავრობისაგან უარი მიუღია (ივერია, 1882, №2). შემდგომში, აფხაზეთის ახლად დანიშნულ ეპისკოპოს გენადის დაუსვამს ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადების საკითხი, რომელთაც თავიანთ წვლილი უნდა შეეტანათ ხალხის განათლების ამალგებაში (ივერია, 1887, №94). თუმცა ეს საკითხიც იმპერიულ პოლიტიკას იქნა დაქვემდებარებული. გადაწყდა აფხაზეთი კადრების რუსულ სასწავლებლებში მომზადება, იმ განზრახვით, თითქოსდა ამით მთავრობა ხელს უწყობდა აფხაზეთის ზნეობრივ და ეკონომიკურ დაწინაურებას – დაეხმარონ აფხაზებს სასოფლო მეურნეობის და ბაღოსნობის შესწავლაში (ივერია 1894 №149). სინამდვილეში, გაძლიერებული მისიონერული საქმიანობა ჰქონიათ განზრახული რუსული ენის გასავრცელებლად. შედეგი ფრიად სავალალო აღმოჩნდა იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სტავროპოლის გიმნაზიაში გაუგზავნია განათლების მისაღებად რუსეთის მთავრობას (ივერია, 1900, №223).

ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ აქტივობებს, რასაც უნდა გაერღვია საზოგადო საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ერთ-ერთი ასეთი გულგრილი დამოკიდებულების მაგალითს წარმოადგენდა ქართველებით დასახლებულ სოხუმში ნინოობის დღესასწაულზე წირვა-ლოცვის მშობლიურ ენაზე აღვლენის¹ უფლების არქონა. მაშინ როდესაც ყაზანის

¹ როგორც ჩანს, არაერთგზის არაერთგზი მიმართვას სედეგი გამოუღია და წლის ბოლოსთვის (1898 წ.) უკვე გაზეთი სასიხარულო ინფორმაციას აწვდის თავის მკითხველებს – სოხუმის ოლქის მაცხოვრებლებმა მიიღეს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენის ნებართვა (ივერია, 1898, №273).

ორიოდე ქართველისთვის ქართულად შეუსრულებია წირვა-ლოცვა მღ. ბ. ხელაიას. „საზოგადოდ ჩვენ, სოხუმელებს, საერთო, არა საპირადო, საქმეებისთვის არა გვცალიან, მაშინ გვძინავს, გვძინავს საღათას ძილით“ (ივერია, 1898, №48).

ეს იყო იდენტობრივი მახასიათებლების გადარჩენისათვის ბრძოლის იშვიათი ნიმუში. ბეჭდური მედია ამგვარი სამაგალითო მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდებით ცდილობდა ინდიფერენტული მოსახლეობის გამოფხიზლებას. ამ მხრივ საყურადღებო კიდეც სხვა მაგალითებს წარმოვადგენ. მათ შორისაა ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორის არქიმანდრიტ ამბროსის¹ (საუბარია არქიმანდრიტამბროსი კავკასიძეზე²) მოღვაწეობა (ივერია, 1890. №91, №103, №114), რომელიც აფხაზეთის სკოლების დათვალიერებისას ხალხში ქრისტიანულ მოძღვრება-ქადაგებას ეწეოდა და არიგებდა მათ სწავლა-განათლების აუცილებლობის შესახებ. ასევე, ქრისტიანულ მოძღვრება-ქადაგებას ეწეოდა დეკანოზი დავით მაჭავარიანი სამურზაყანოსა და აბჟუვის (კოდორის განყოფილება) საეკლესიო სამრევლო სკოლების დათვალიერებისას (ივერია, 1894, №253). აღსანიშნავია, აგრეთვე, ოჩამჩირის ბლალორჩინ მამა იოანე კერესელიძის საქმიანობა (ოჩამჩირის ბლალორჩინად უმსახურია 1882 წლიდან). მამა იოანე კერესელიძესაც ღირსეული სამსახურისთვის დიდი სიტბო და სიყვარული დაუმსახურებია ოჩამჩირის მოსახლეობაში (ივერია 1898. №200). მამა იოანე კერესელიძის ოჩამჩირიდან გაცილების (სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად მოსახლეობას გამოსათხოვარი სადილიც კი გაუმართავს) შემდეგ, აქ ბლალორჩინად დაუნიშნავთ მამა დიმიტრი მარლანია. აფხაზეთიდან კორესპონდენტ ნ. ჯანაშიას დახასიათებით „მამა დიმიტრი მარლანია წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა აფხაზთა ჯგუფისა, რომელნიც სულითა და გულით მონადინებულნი არიანარ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შორის“ (ივერია, 1898., №218).

სარწმუნოების დაქვეითებაზე და აფხაზეთში სარწმუნოების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით მღვდლის როლზეა საუბარი ახალი ამბების რუბრიკაში ს. აკვასქეს მაგალითზე. ამ სოფელში სარწმუნოების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილა სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულ მამა ბ. გობეჩიას გადმოყვანის შემდეგ. კეთილისმყოფელი გავლენა მოუხდენია ახალგაზრდა მღვდლის ქადაგება-დარიგებას მრევლზე: განშირებულა ნათლობა, ჯვრისწერა, სარწმუნოებაზე მობრუნება დაუწყია სოფლის მოსახლეობას, მომრავლებულა მლოცველები (ცნობის

¹ არქიმანდრიტი ამბროსი კავკასიძე მთავრობას 1890 წლის 1 მარტს დაუნიშნავს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორად და მისიონერად გურიის, აფხაზეთის, სამურზაყანოს, სვანეთის და ახალციხის მაზრაში (იხ. ივერია, 1890, №114).

² არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძისადმი მიძღვნილი წერილების თაობაზე იხ. Mania, 2016: 97-130.

ფურცელი, 1899, №899).

რუსული ფაქტორი თავისი იმპერიული მიზნებისთვის იყენებდა სარწმუნოების მხრივ აფხაზეთში არსებულ ვითარებას. გამაჰმადიანებელი აფხაზების გაქრისტიანებაში დიდი წვლილი მიუძღვით სასულიერო პირებს, რომლებიც აქტიურ ქადაგებასა და მოძღვრებას ეწეოდნენ მათ მოსაქცევად. იმერეთის მთავარეპისკოპოს გაბრიელს თავის მღვდელმთავრობაში 18 ათასზე მეტი აფხაზი მოუნათლავს. მაგრამ მონათვლაზე მათი მობრუნება იმდენად რთული არ ყოფილა, რამდენადაც მათი ქრისტიანობა იყო საჭირო, რათა ისინი კეთილ კვალზე დამდგარიყვნენ. კორესპონდენციაში საუბარია აფხაზთა გაქრისტიანების შემაფერხებელ გარემოებაზეც: გავრცელებულა ინფორმაცია, რომ ყველა სრულწლოვანი, ქრისტიანი აფხაზი უნდა გაენვიათ ჯარში, მაჰმადიანი აფხაზები კი თავისუფლდებოდნენ სამხედრო ბეგარისგან. ამ ინფორმაციას არეულობა გამოუწვევია ახალმონათლულ აფხაზებში და ისევ მაჰმადიანობაზე მოქცევა მოუთხოვიათ (ივერია, 1889, №95)¹.

აღნიშნული თვალსაზრისით, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ წნეხს განიცდიდა სამურზაყანო. მთავრობა სარწმუნოებას აქ ვითარების სამართავად იყენებდა. ამჯერად საუბარია სამხედრო ბეგარის ფულის სახით გადახდის თაობაზე. მთავრობის გადანყვეტილებით, სოხუმის ოლქსა და სამურზაყანოში მაჰმადიან-აფხაზებს ჯარში გასვლის ნაცვლად ფული უნდა გადაეხადათ. ამ ფაქტს დიდი გავლენა მოუხდენია ხალხზე: არათუ ქრისტიანობა მიუღია ვინმეს, არამედ ახლად მონათლული ქრისტიანები კვლავ მაჰმადის სჯულზე მოქცეულან. აღნიშნულ პრობლემაზე გაუმახვილებია ყურადღება 1890 წელს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების ინსპექტორად დანიშნულ არქიმანდრიტ ამბროსი კავკასიძეს და განუმარტავს და დაურწმუნებია ხალხი, რომ მთავრობას ქრისტიანების სიკეთე უნდა და არა ის, რომ ასეთის განკარგულებით უპირატესობას აძლევდეს მუსულმანებს, როგორც თქვენ გიფიქრიათო. აქედგან ის უნდა დაასკვნას, რომ მთავრობა ქრისტიანებს უფრო მეტად ენდობა, სახელმწიფოს შვილებად მიაჩნია და მაჰმადიანებს-კი მხოლოდ ხარკსა სთხოვს ფულადო... რადგან თქვენ მთავრობის ნამდვილი აზრი ვერ გაგიგიათ, მთავრობამ შესცვალა ეს განკარგულება, და შემდეგში თქვენც და მუსულმანებსაც „საღდათად“ აღარ გაგიყვანენ და გადასახადს ყველასგან ფულად აიღებენო (ივერია, 1890, №91).

სამხედრო ბეგარის² საკითხში გაუგებრობას ინვევდა სიტყვა „ქრის-

¹ „ივერიის“ რამდენიმე კორესპონდენტის ანალიზი წარმოდგენილი გვქონდა ჩვენს წინა პუბლიკაციაში, რომელიც შეეხებოდა ქართული იდენტობის საკითხს აფხაზეთში. მაგრამ ვინაიდან, თემატური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია წინამდებარე გამოკვლევისათვის, საჭიროდ ჩავთვალე აქაც ჩამერთო (Mania, 2015: 97-129).

² ჯარში განწვევის ახალი წესი ძალაში დარჩა გასაბჭოებამდე. იგი უკვე აღარ იყო ხელისშემშლელი ფაქტორი მართლმადიდებლობისათვის, მაგრამ ქართველების დიდი ნაწილის გააფხაზების საფუძველი გახდა. სამხედრო ბეგარისათვის თა-
128

ტიანი-აფხაზები“, როგორც აქაურს საზოგადოებაში, ისე თვით აქაურ ადმინისტრაციაშიც. სოხუმის ოლქის ერთ ნაწილს წარმოადგენს სამურზაყანო. გაუგებარი დარჩა სამურზაყანოელები „ქრისტიან-აფხაზებად“ ითვლებოდნენ თუ მეგრელებად. ნამდვილად-კი მეგრელები, და მაშასადამე, ქართველები არიან. ყველგან მთელს სამურზაყანოში მეგრულად ლაპარაკობენ და არიან ისეთივე ქრისტიანები, როგორც მათი თანამოძმე მეგრელები. მხოლოდ გაკვირვებას იწვევდა ის გარემოება, რომ როცა საქმე სწავლა-განათლებას შეეხებოდა სამურზაყანოში, სამურზაყანოელები აფხაზები იყვნენ და სწავლა-განათლება სამურზაყანოში იმავე წესსა და რიგს უნდა დაქვემდებარებოდა, როგორსაც აფხაზეთში. მაგრამ, როცა სამხედრო სამსახურის ფულით გადახდაზე მიდგა საქმე, სამურზაყანოელები ქრისტიანები, მეგრელები არიან და არა აფხაზებიო (ივერია 1890. №134).

რელიგიური თვალსაზრისით სამწუხარო ვითარებას ასახავს წერილი „მდგომარეობა მართლ-მადიდებლობისა საქართველოს საეგზარქოსოში“. ამ სათაურით დაბეჭდილია ჟურნალ „Церковный Ведомост“-ში უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის (საუბარია კონსტანტინ პობედონოსცევზე¹ – ქ.მ.) 1894 და 1895 წლების ანგარიშიდან საქართველოს ეპარქიებში მართლ-მადიდებელთა სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობები. საქართველოს ოთხ ეპარქიაში – ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოს და სოხუმის ეპარქიაში „სცხოვრობენ სხვადასხვა ხალხოსნობის ერნი: რუსები, ქართველები, ოსები, მეგრელები, აზხაზები, ფშავლები, ხევსურები, თუშები და სხვადასხვა წვრილმანნი ერნი...“ (კურსივი ჩემია – ქ. მ.). შემდგომ მოცემულია თითოეული მათგანის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი დახასიათება. წარმოვადგენ ჩემი მიზნიდან გამომდინარე აფხაზებთან მიმართებაში მოცემულ ცნობებს:

„აზხაზები და მეგრელები. სარწმუნოებას ძალიან გულ-ცივად ეპყრობიან და არც ერთმა მათგანმა პირველ-დანწყებითი ჭეშმარიტებანიც სარწმუნოებისა არ იცის, ეკკლესიებში იშვიათად დადიან, აღსარებისა და ზიარების მოვალეობას გულ-მოდგინედ არ ასრულებენ... ამის გარდა აზხაზებს არეული აქვთ მაჰმადის და წარმართთა სწავლა სარწმუნოებაში, თაყვანის-ცემა მუხის ხეებისა, მათ მიმართ მსხვერპლის შეწირვა... მართლ-მადიდებელნი აფხაზნი ქორწინებასაც ძალიან სუბუქად ექცევიან. ქალწულთა ქალთა ყმანვილის კაცებისაგან გატაცებას და მასთან უკანონოდ ცხოვრებას, ხშირად ახლო ნათესავეებთანაც-კი, აფხაზთა შორის შეადგენს მკვიდრს ჩვეულებასა. ველურის და უზნეო ჩვევათაგან

ვის არიდების მიზნით, ბევრი ქართველი ნებაყოფლობით აფხაზად ეწერებოდა. რუსები თვალს ხუჭავდნენ სამხედრო ვალდებულებათა რაოდენობის ხელოვნურ შემცირებაზე; მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანი იყო ქართული გავლენის შესუსტება აფხაზეთში (Gamakharia, 2006: 566). ამის შემდეგ გვხვდება დღეს ერთი და იგივე გვარ-სახელის მქონე ქართველებიც და აფხაზებიც (აფსუები) (Lortqifanidze, 2012: 60).

¹ კონსტანტინე პობედონოსცევს სინოდის ობერ-პროკურორის თანამდებობა დაუკავებია 1880 წელს (მწყემსი, 1889 №11, გვ.2).

აფხაზეთა შორის უნდა ჩაითვალოს სისხლის ძიება და ცხენის ქურდობა, რომელიც დანაშაულად არ მიაჩნიათ, ეს ჩვეულება ვაჟკაცობად აქვთ მიჩნეული, სისხლის ძიება საღმთო ვალად“ (ივერია, 1898, №225).

ამონარიდი რელიგიური ვითარების ასახვასთან ერთად, იძლევა პირდაპირ მინიშნებას თუ როგორ შეიძლება განვითარდეს შემდგომში მოვლენები. ანგარიშებში აშკარად ვლინდება რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის მიზნები, რაც ჩანს ქართული რეგიონალური იდენტობების – იმერლების, მეგრელების, აფხაზების, ოსების, ფშავლების, თუშების სხვადასხვა ხალხოსნობის ერებად დასახელებაში.

ეკლესია გარდა იმისა, რომ არის რელიგიური საქმიანობის აღსრულების ადგილი, ამასთან აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობაც, რაც სხვა იდენტობრივ მახასიათებლებთან ერთად აქცევს ქართული იდენტობის გადარჩენის ადგილად. საამისოდ იმართებოდა სხვადასხვა აქტივობები. ერთ-ერთი ასეთია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სათანადო მოგონება. ვინაიდან ყველა ცნობიერი ერის მოვალეობაა ქვეყნისათვის გამორჩეული შვილების ღვანლის პატივისცემით მოხსენიება და მათი ღირსეულად მოგონება. სოხუმის ერთ-ერთ ტაძარში ქართველი მწერლის ეგნატე ნინოშვილის სულის მოსახსენიებელი საორმოცო პანაშვიდის გადახდის შესახებ. ინფორმაცია საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ პანაშვიდი ქართულად გადაუხდია დეკანოზ მაჭავარიანს (დავით მაჭავარიანს – ქ.მ.). ამ ფაქტით დიდად ნასიამოვნები დარჩენილა საზოგადოება – ერთხელ მაინც გვეღირსა ქართულის გაგონება ქართველებს აქაურ ეკლესიაში (ივერია, 1894, №128).

ეს ეპიზოდი მრავალმხრივ საინტერესოა. როგორც აღვნიშნე, საზოგადო მოღვაწეების სამაგალითო ცხოვრების მოგონება, ერთი მხრივ, ეროვნული ერთობის გააქტიურება-გამთლიანებას უწყობს ხელს; მეორე მხრივ, ზემოთ ხსენებული პანაშვიდის ქართულად გადახდას რეაქციის მძვინვარების ხანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. სწორედ ქართულად პანაშვიდის აღვლენამ გააღვივა, როგორც ვნახეთ, ეროვნული სენტიმენტები. ამით აღფრთოვანებული კორესპონდენტიც ხომ სიხარულით აღნიშნავს „საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა“.

ამრიგად, იდენტობისათვის რელიგიური მახასიათებლის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ქართული ინტელიგენცია ბეჭდური მედიის საშუალებით აქტიურ საუბრებს მართავდა მკითხველებთან არა მარტო რელიგიური ისტორიული მეხსიერების ადგილების, ან ზოგადად, ისტორიული მეხსიერების საკითხებზე, არამედ სხვა იდენტობრივ მახასიათებლებზეც – ენაზე, მამულზე. ამ მიზნით ბეჭდური მედიის საშუალებით ქართული ინტელიგენცია ეწეოდა ქართული კულტურის ძეგლების აქტიურ რეპრეზენტაციას, რითაც ადასტურებდა საერთო ქართული კულტურის ისტორიულ არსებობას აფხაზეთში. ამით ამსხვრევდა უცხო იდენტობის მიზნებს და ხელს უწყობდა მოსახლეობის გაერთიანებას ქართული კულტურის გარშემო, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს გარედან ემუქრებოდა საფრთხე. დაიწყო ასევე, შეურიგე-

ბელი ბრძოლა წირვა-ლოცვის ქართულად აღვლენის უფლების მოპოვებისათვის. ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამაგალითო მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდების აქტივაციას ხალხში.

ამგვარი აქტივობებით ბეჭდური მედია ცდილობდა ინდიფერენტული მოსახლეობის გამოფხიზლებას და საერთო დარაზმულობას რელიგიური იდენტობის დასაცავად.

ლიტერატურა:

1. Basiladze I., Machavariani T. Sasuliero ganatleba XIX saukunis meore nakhevis afkhazetshi. Saqartvelos ganatlebis mecnierebata akademiis moambe. N12, Tbilisi, 2012.
2. Bibiluri T. Afkhazetis problemebi da qartuli presa (1870-1900-iani tslebis "Gazetlebis", "droebisa" da "Iveriis" mikhedvit). Agmashenebeli, 2, Tbilisi, 2007.
3. Chkhartishvili M., Mania K. Qartvelta nacionaluri konsolidaciis procesis asakhva bechdur mediashi. iveria da misi mkitkhveli saqartvelo. Universali, Tbilisi, 2011.
4. Gamakharia J. Afkhazeti da martlmadidebloba (I s. – 1921 ts.), Tbilisi, 2005.
5. Gamakharia J. Tsminda agmsarebeli Ambrosi (Khelaia) da Afkhazeti. Krebuli sheadgina, gamokvleva da komentarebi daurto J. Gamakhariam, Tbilisi, 2006.
6. Gamakharia J. Tsmida Agmsarebeli Ambrosi (Khelaia) da Afkhazeti. Krebuli sheadgina, gamokvleva da komentarebi daurto Jemal Gamakhariam, Tbilisi, 2006.
7. Gamakharia J. Tsmida Mgvdelmotsame Kirion II (Sadzaglishvili) da Afkhazeti. Krebuli sheadgina, gamokvleva da komentarebi daurto Jemal Gamakhariam. Tbilisi, 2006.
8. Gamakharia J. Tsmida Mgvdelmtavari Aleqsandre (Oqropiridze) da Afkhazeti. krebuli sheadgina, gamokvleva da komentarebi daurto Jemal Gamakhariam. Tbilisi, 2006.
9. Gamakharia J. Tsmida Mgvdelmtavari Gabrieli (Qiqodze) da Afkhazeti. krebuli sheadgina, gamokvleva da komentarebi daurto Jemal Gamakhariam. Tbilisi, 2007.
10. Gelenava I. Afkhazetshi rusifikatoruli politikis istoriisatvis. Krebulshi: Rusifikatoruli politika da Etnolingvisturi vitareba Afkhazetshi XIX – XXI ss. Tbilisi:Universali, 2011.
11. Lortqifanidze M. Afkhazebi da Afkhazeti. Tbilisi: Meridiani, 2012.
12. Nachkebia N. Afkhazetis problematika XIX saukunis qartul presashi. Tbilisi, 2006.
13. Rogava G. Religia da eklesia Afkhazetshi; Afkhazetis mecn. akad. Tbilisi, 2004.
14. Papuashvili N. Ambrosi (Khelaia) rusetis saeklesio politikis shesakheb Afkhazetshi. "Statiis gamo khma Sokhumidan". Gamosacemad moamzada,

targmna, gamokvleva da shenishvnebi daurto Nugzar Papuashvilma. Tbilisi: Konfliqtebisa da molaparakebebis saertashoriso kvleviti centri. 2005.

15. Vardosanidze S. Sruliad Saqartvelos Katolikos-Patriarqi, Utsmidesi da Untaresi Ambrosi (1921-1927 ts.). Tbilisi: Natlismcemel,. 2009.

Ketevan Mania

RELIGIOUS IDENTITY BY REPRESENTATION OF GEORGIAN PRINTED MEDIA IN ABKHAZIA ("Droebe", "Iveria", "Tsnobis Purtseli")

Presented by D. Gulia Institute of History and Culture at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

In the second part of the XIX century, Christian centuries-old tradition faced a big threat in Abkhazia. After liberation of this region from Ottoman Empire, it is true that Christian ideology wasn't in danger with Orthodox Russian, but Imperial governance was ruining fundamentals of Georgian identity, which resulted on one hand in intensive attempt-implement to erase religious historic memory places and paths of historic memory and on the other hand in destroying religious identity by ruining lingual identity.

According to the situation, Georgian Intelligentsia conducted active conversations with the readers by printed media about importance of places of religious memory, in order to raise national sentiments and called them for protecting cultural monuments. Because by vanishing places of historic memories (among which are religious places) existence of the creator nation of this culture also ends up.

Printed media also conducted active representation of the monuments of Georgian culture. That proved a historic existence of common Georgian culture in Abkhazia. It was ruining the purposes of foreign identity and was supporting unifying process of population around Georgian culture, whereas it had a real threat from outside.

Using these types of examples, printed media was trying to wake up indifferent population and gather them to protect common religious identity.

საარქივო დოკუმენტები გამოჩენილი
ეთნოგრაფის ალექსი რობაქიძის ბიოგრაფიისთვის

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნევრ-კორესპონდენტმა (1983), საქართველოს მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ (1966), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ალექსი რობაქიძემ (1907-1990) დიდი კვალი დატოვა საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის საკვანძო საკითხების კვლევის საქმეში.

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ არაერთი სამეცნიერო სესია თუ სხდომა მიუძღვნა პროფესორ ალექსი რობაქიძის მოღვაწეობის შეფასება-ანალიზს. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში აღინიშნა სწავლულის დაბადების 100 (2007 წ.) და 110 წლისთავი (2017 წ.). მის ხსოვნას მიუძღვნა არაერთი ნაშრომი (კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, 2008; 2017; მგელაძე, 2007; მგელაძე, შამილაძე, 2007; მელიქიშვილი, 2017).

უკანასკნელ დროს გამოვლენილ იქნა ა. რობაქიძის ცხოვრების ასპირანტურაში სწავლის პერიოდის შესახებ ახალი საარქივო დოკუმენტური მასალა. დოკუმენტები საშუალებას გვაძლევენ შევავსოთ ალექსი რობაქიძის ბიოგრაფია, თვალი მივადევნოთ, თუ როგორი ყურადღებით აკვირდებოდნენ მისი პედაგოგები ახალგაზრდა ასპირანტის დამოკიდებულებას სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევებისადმი.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბებისა და წარმატებით ფუნქციონირებისთვის აუცილებელი **საბაზისო და დამატებითი** ფაქტორები. რაც გამოიხატება პოლიტიკური სტაბილურობით, მაკროეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების დონით, ენერგორესურსების ღირებულებით, წარმოებული პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციის შესაძლებლობით, სამართლებრივი ბაზის განვითარების დონითა და ა.შ.ამასთან, მნიშვნელოვანია, რამდენად კარგი პირობებია ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაქმნელად. დღეს, როცა მთელ რიგ აზიურ ქვეყანაში კონცენტრირებულია მსხვილი ბიზნეს-რესურსები, განვითარებულია ინფრასტრუქტურა, იაფია მუშახელი, ენერგორესურსები და, ასევე, არსებობს სხვა უპირატესობები უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების პოლიტიკის შემუშავება ქვეყნის ხელისუფლებისათვის ურთულესი საკითხია. აღნიშნული გარემოებები გადამწყვეტია საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაქმნელად. განვიხილოთ რამდენიმე ფაქტორი. პირველ რიგში, პოლიტიკური არასტაბილურობა, რომელიც გადამწყვეტია ნებისმიერი ქვეყნის თავისუფალი ზონების და მთლიანად ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია, ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების დონე, წარმოებული პროდუქციის მსხვილ გასაღების ბაზრებზე გატანის შეს-

აძლებლობა, განვითარებული ინფრასტრუქტურა და გეოპოლიტიკური მდებარეობა. თავისუფალი ეკონომიკური ზონის წარმატებით განვითარებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის უმნიშვნელოვანესია ისეთი ფაქტორები როგორცაა: ტრანსპორტირების სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გადაზიდვების მრავალფეროვანი შესაძლებლობები; ტრანსპორტირების დაბალი ღირებულება — კონკურენტუნარიანი ფასი ყველა სახის გადაზიდვაზე; უწყვეტი ტრანსპორტირება — საქონლის ხშირი პარტიებით გაგზავნა, იაფი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშახელი და სხვა. ვინაიდან, ქვეყნებს შორის საკმაოდ მძაფრია კონკურენცია უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით. აუცილებელია ქვეყანა აკმაყოფილებდეს, როგორც საბაზისო, ისე დამატებითი ფაქტორებს.

ერთი შეხედვით, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესაქმნელად, საქართველოში ყველა პირობაა, მაგრამ არსებობენ გარემოებები, რომლებიც გამოიხატებიან ტერიტორიულ კონფლიქტებსა და უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზების არსებობაში, რაც, არა მარტო თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და, განსაკუთრებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის არადადამაკმაყოფილებელია და საქართველოს უკიდურესად სუსტ კონკურენტულ მდგომარეობაში აყენებს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში. ქვეყანას კარგი პირობები აქვს გასაღების ბაზრებზე მნიშვნელოვანი სეგმენტის დაკავებისათვის. საქართველო აბრეშუმის გზის ნაწილია და მას აქვს გასასვლელი შავ ზღვაზე. ეს კი, სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვების პარალელურად, ხელსაყრელ გარემოს ქმნის საზღვაო ტრანსპორტირებისთვისაც. უნდა აღინიშნოს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის მნიშვნელობა, რომელიც ხელს შეუწყობს ტრანსპორტირების გაიაფებას და საექსპორტო საქონლის ხშირი პარტიებით გაგზავნას.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული. მას აქტიურად იყენებენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა აშშ, სამხრეთ კორეა, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, გაერთიანებული სამეფო, ირანი, ინდოეთი, რუსეთი, ჩინეთი, მალაიზია, ფილიპინები და სხვა. ასეთი ზონები განსაკუთრებით მომრავლდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. დღეისთვის მათი რაოდენობა, სხვადასხვა წყაროების მიხედვით, დაახლოებით 3000 მეტი ერთეულით განისაზღვრება (თავისუფალი ეკონომიკური ზონა).

თეზ-ების შექმნას თავისი ისტორია აქვს საქართველოშიც, რომელიც 1878 წელს ბერლინის კონგრესიდან იწყება, სადაც თურქეთის მიერ რუსეთისთვის ბათუმის გადაცემის საკითხი წყდებოდა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოთხოვნით, რუსეთმა აიღო ვალდებულება ბათუმი „პორტო ფრანკოთ“ ანუ საბაჟო გადასახადებისაგან თავისუფალ ტერიტორიად გამოეცხადებინა. ეს რეჟიმი 8 წელს გაგრძელდა და ამ პერიოდში ბათუმი ამიერკავკასიაში სავაჭრო საქონლებისთვის მესამე ადგილზე გავიდა, თბილისისა და ბაქოს შემდეგ, ხოლო შავ ზღ-

ვაზე ტვიტბრუნვით მეორე გახდა. „პორტო-ფრანკო“-ს წყალობით, ბათუმის თავისუფალი ეკონომიკური ზონით ინტერესდებიან ცნობილი ინვესტორები, ნობელის, როთშილდისა და მანთაშევის კომპანიები, ხოლო პირველი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადიდოდა, ყველაზე გრძელი იყო მაშინდელ მსოფლიოში (თავისუფალი ეკონომიკური ზონა).

საქართველოში, აქტიური მსჯელობა თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაარსების შესახებ, 1995 წლიდან დაიწყო, ხოლო 1989 წელს მომზადდა კონცეფცია ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემ ამ იდეის სერიოზული ლობირება დაიწყო, მაგრამ მას ოპონენტები გამოუჩნდნენ და პროექტიც ვერ განხორციელდა.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს თავისუფალი ეკონომიკური ზონები სხვადასხვა ფორმა. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სადაც, ჩვეულებრივი სავაჭრო პირობებისგან განსხვავებით, დანესებულია განსხვავებული შეღავათები და პირობები, მათ შორის, საგადასახადო და საბაჟო კონტროლი. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქონლის შეტანა/გატანა, ასევე ფიზიკური პირები და მათ მიერ გადაადგილებული ბარგი ან ხელბარგი ექვემდებარება საბაჟო კონტროლს. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში პირები ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს და მათზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა მიზნად ისახავს შემოსავლების გაზრდას ქვეყნის ექსპორტის წახალისებით, ინვესტიციების მოზიდვას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. 2007 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების“ შესახებ. ამ კანონის საფუძველზე, ხელისუფლების თავდაპირველი გეგმით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა საქართველოს ოთხ ქალაქში - ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, კერძოდ, ხელვაჩაურის რაიონში და თბილისში უნდა შექმნილიყო. განვიხილოთ საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები თბილისის, ქუთაისის და ფოთის, მაგალითზე.

თბილისის თავისუფალი ზონა ერთადერთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონაა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც მდებარეობს დედაქალაქის ცენტრიდან 17 კმ-ში და თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს, ცენტრალური სატრანზიტო გზის პირას. ზონის ფართობი 17 ჰექტარია, რომელიც პირობითად დაყოფილია მცირე, 3-4 ათას კვ.მ. -იან 28 ინდივიდუალურ მიწის ნაკვეთად, რომელთაც პირდაპირი წვდომა აქვს ყველა ტიპის საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურასთან. განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით, ნაკვეთების განლაგება რამდენიმე მათგანის მარტივად გაერთიანების საშუალებასაც იძლევა. კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ზონა უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვითა და საბაჟო კონტროლით. ამ დროისთვის თბილისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში 28 მილიონი დოლარის ინვესტიციაა

განხორციელებული. 2030 წლამდე შპს **ჯორჯია ტექნოლოჯი პარკს** კიდევ 20 მილიონი დოლარის, ხოლო 2055 წლამდე კი დამატებით 10 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აქვს (Tbilisi Free Zone).

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გააჩნია მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნესგარემო, სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, მარტივად ხელმისაწვდომია რეგიონული და ევროპული ბაზრები, „ჰუალინგ ჯგუფმა“ გადაწყვიტა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა საქართველოს მეორე ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და სამრეწველო ქალაქ **ქუთაისში** დაეარსებინა. პროექტმა საქართველოს მთავრობის დიდი მონონება დაიმსახურა და 2009 წელს კომპანია „ჰუალინგ ჯგუფსა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ. 2015 წელს კი საქართველოს მთავრობის დადგენილებით, „ჰუალინგ ქუთაისის ინდუსტრიულმა ზონამ“ მიიღო „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსი“.

ქუთაისის ჰუალინგის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ განლაგებულია ქუთაისში, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე და 36 ჰა-ს მოიცავს. თიზ-ში 70-მდე სამრეწველო და სავაჭრო კომპანიაა რეგისტრირებული. პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ მაგისტრალს თბილისსა და შავი ზღვის ქალაქებს შორის (ფოთი, ბათუმი). მისი მოსახერხებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და გამომდინარე (სარკინიგზო, სახმელეთო, საჰაერო ტრანსპორტი და საზღვაოპორტები) ქუთაისის თიზ-ი წარმოადგენს ინდუსტრიულ, ლოგისტიკურ და სავაჭრო ცენტრს შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნებში. თიზ-ის ტერიტორიაზე ოპერირებენ როგორც ხის გადამამუშავებელი და სამშენებლო ქვის დამამუშავებელი, ასევე ავეჯის, მატრასების, ლითონკონსტრუქციების საწარმოები, მანქანა-დანადგარების ფილტრების მწარმოებელი ქარხანა, სილიციუმის მწარმოებელი ქარხანა, და სხვა. იგეგმება მზის პანელების საწარმოს გახსნაც. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე დღეს 37 საწარმო ფუნქციონირებს. მაგალითად, Fresh Georgia, ეგვიპტური კომპანიის შვილობილი საწარმო, რომელიც აწარმოებს საოჯახო ტექნიკას, ძირითადად, გაზქურებს, წყლის ელექტროგამაცხელებლებს, სარეცხ მანქანებს; Atlantic Georgia, რომელიც დენის გამათბობლებსა და წყლის გამაცხელებელ ავზებს აწარმოებს. აღსანიშნავია, რომ მარტო ამ ორმა კომპანიამ და თიზ-ის ადმინისტრაციამ ერთობლივად დაახლოებით 100 მლნ დოლარის ინვესტიცია განახორციელეს (Qutaisi tavisufali industriuli zona).

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა 2008 წლის ივნისში შეიქმნა, ხოლო 2009 წელს შპს „რაკიას“ („Ras Al khaimah Investment Authority Georgia“) გადაეცა ფოთის ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონის ტერიტორიაზე არსებული 3 046 037 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ეს შენაძენი, საერთო ჯამში კომპანიას 155 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა.

ნინა მთავრობა დიდ იმედს ამყარებდა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებაზე, სადაც 50 თვის განმავლობაში მოზიდული იქნებოდა 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია, დასაქმდებოდა ათობით ათასი ადამიანი და შეიქმნებოდა 400-მდე სანარმო. ოპტიმისტური განცხადებების მიუხედავად, ფოთის ინდუსტრიულმა ზონამ დიდი შედეგები ვერ მოიტანა. ექსპერტთა ნაწილი მიუთითებდა, რომ არსებობდა, როგორც ობიექტური ისე სუბიექტური მიზეზები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებაზე. პირველ რიგში, 2008 წლის აგვისტოს ომი და რუსი სამხედროების შემოსვლა ფოთის ტერიტორიაზე, რის გამოც მსხვილი ინვესტორები თავს იკავებდნენ სერიოზული ინვესტიციების ჩადებისაგან. მეორე, 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებში. კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც უკავშირდება არასწორ მენეჯმენტს. კერძოდ, პრობლემა ოპერატორ კომპანიაშია, რომელმაც ვერ მოახერხა ამ ზონის სათანადო მართვა.

2016 წელს არაბულმა ინვესტორმა, „რაკიამ“ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 85%-იანი წილი სახელმწიფოს გადასცა, რადგან ვერ შეასრულა თიზ-ის განვითარებისთვის ნაკისრი ვალდებულებები. მაგრამ გასული წლის სექტემბერში ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის 75%-იანი წილი ჩინურ კომპანია CFFC-ს (China Energy Company Limited) გადაეცა. CFFC ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კონგლომერატია, რომელიც ენერჯეტიკის, საფინანსო, სავაჭრო სფეროში საქმიანობს. კომპანიამ ფოთის თიზ-ში 150 მლნ დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისგან განსხვავებით, გაცილებით უფრო პროგრესულია **თავისუფალი ტურისტული ზონები**. თავისუფალი ზონის ეს ნაირსახეობა მძლავრი მექანიზმია ქვეყნის რეგიონებში კონკრეტული დარგების განვითარებისათვის. საქართველოში თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების პოლიტიკა მიზანმიმართულია ტურიზმის განვითარებისთვის. საქართველოში თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარება დაიწყო 2010 წელს „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით, რომელმაც განსაზღვრა ტურისტული ზონის არსი და სხვადასხვა შეღავათები დაანესა ზონაში მოქმედი კომპანიებისათვის. მოცემული კანონის მიზანია საქართველოში ტურიზმის განვითარება და მენარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც კანონი ადგენს პირობებსა და შეღავათებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის. აღსანიშნავია, რომ კანონით განსაზღვრული შეღავათები არ მოქმედებს, თუ ინვესტორი არ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას (Saqartvelos kanoni...). ზემოხსენებული კანონით საქართველოში შექმნილია სამი: ქობულეთის, ანაკლიისა და განმუხურის თავისუფალი ტურისტული ზონები. სასტუმროს მშენებლობისა და ფუნქციონირების ხელშეწყობასთან დაკავშირე-

ბით, ინვესტორებისთვის განისაზღვრა როგორც შეღავათები, ისე ვალდებულებები.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ტურისტული ზონის საქმიანობაში საკმაოდ მაღალია სახელმწიფოს მონაწილეობის როლი. საქართველოს მთავრობამ, ზონის ფუნქციონირებისა და ზონაში ინვესტიციების მოზიდვის მაქსიმალურად ხელშეწყობის მიზნით, შემოხსენებული კანონის შესაბამისად, აიღო ვალდებულება უზრუნველყოს სასტუმროს შენობამდე შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გაზი, წყალი, ელექტროენერჯია) მიყვანა, ან არსებულის მოწესრიგება, ასევე, უზრუნველყოს ზონამდე და სასტუმროებამდე მისასვლელი გზების მშენებლობა, ან არსებულის შეკეთება, ზონის მთელი ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება. ასევე კანონით გათვალისწინებულია სასტუმროების სამშენებლო პროექტების ინვესტორისთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს კანონი პროგრესულია, შეიძლება ითქვას ზედმეტად ლიბერალურიც. კანონით ნამდვილად დაწესებულია რეალური შეღავათები და შექმნილია მიმზიდველი გარემო ინვესტიციების მოსაზიდად. თუმცა, სერიოზული პრობლემები დაფიქსირდა მის აღსრულებასთან დაკავშირებით, რაც ნათლად დაადასტურა **ანაკლიის ტურისტული ზონის** განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ 2010-2011 წლებში ჩატარებულმა საინვესტიციო პროექტების და ინვესტორების შესარჩევმა კონკურსმა. სულ წარდგენილი იყო 22 განაცხადი. ანაკლიის კონკურსის ფარგლებში გაიმარჯვა სამმა კომპანიამ მაშინ, როდესაც იყო შესაძლებლობა გაცილებით მეტ კომპანიას მიეღო მონაწილეობა ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონის მშენებლობაში. ამით გაიზრდებოდა კონკურენცია სასტუმროებს შორის, შემცირდებოდა სასტუმროში დასვენების ღირებულება, რაც უზრუნველყოფდა გაცილებით მეტი დამსვენებლის მიღების შესაძლებლობას და, საბოლოო ჯამში, რეგიონის მასშტაბით, უფრო მეტი ფინანსური რესურსის შემოღინებას.

საერთო ჯამში უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის რამდენიმე სახეობის შექმნა მიზნად ისახავს კერძო ინვესტიციების გზით, ქვეყნის მასშტაბით, კონკრეტული რეგიონების განვითარებას. საქართველოს ევროკავშირთან არსებული თანამედროვე ურთიერთობები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უცხო, განსაკუთრებით, აზიის ქვეყნების ბიზნესმენებმა დააბანდონ კაპიტალი საქართველოში და აქ წარმოებული პროდუქცია გაიტანონ ევროპაში. ასევე, საქართველო, საშუალო ვადიან პერსპექტივაში, გახდება ევროპის კომპანიებისათვის, იაფი მუშახელით და სხვა რესურსებით თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში იაფი პროდუქციის წარმოების ადგილი, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ცალკეული რეგიონის განვითარებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს კარგი პირობები აქვს გასაღების ბაზრებზე მნიშვნელოვანი სეგმენტის დაკავებისათვის. თუმცა, სიტუაციას უკიდურესად ართულებს მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და ამ ბაზრებზე ტვირთის ტრანსპორტირების სუსტი

შესაძლებლობები. დღესდღეობით ქვეყანას უკიდურესად მძიმე სიტუაციას უქმნის ტრანსპორტირების სიძვირე და სირთულეები. ძვირია საჰაერო, საავტომობილო და საზღვაო გადაზიდვები. არანაკლებ მძიმე სიტუაციაა საქართველოდან ევროპაში ტვირთის ტრანსპორტირების საკითხთან დაკავშირებით. საავტომობილო მიმოსვლა საერთოდ არ არის, ხოლო საჰაერო გადაზიდვები იმდენად ძვირია, რომ საერთოდ აზრს უკარგავს საქართველოს სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ ადგილმდებარეობასა და მის ისტორიულ სატრანზიტო ფუნქციას. ასევე, მეტად პრობლემატურია უწყვეტი ტრანსპორტირების შესაძლებლობა. ეს განსაკუთრებით ეხება საზღვარგარეთ პატარა ტვირთების ხშირ-ხშირად გაგზავნას. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, საქართველო კონკურენტუნარიან მდგომარეობაშია იაფი მუშახელის კუთხით, რაც ქმნის კარგ წინაპირობებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, მუშახელის კვალიფიკაციის დაბალი დონე და ქვეყნის შრომითი კანონმდებლობა, რომელიც ამძიმებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას (Bureau of Labor Statistics).

უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა მხოლოდ რამდენიმე წელს მოიცავს, რაც ართულებს სრულყოფილ ანალიზს და არგუმენტირებული დასკვნის გაკეთებას, თუ რამდენად წარმატებულია მათი პრაქტიკული საქმიანობა. ამდენად, მნიშვნელოვანია მოხდეს უცხოეთის ქვეყნებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის ფუნქციონირების წარმატებული და წარუმატებელი მაგალითების, არსებული პოლიტიკური და საინვესტიციო მდგომარეობის ხელახალი შესწავლა და ანალიზი. მხოლოდ აღნიშნული პროცესის შემდეგ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის საქმიანობის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია შესაბამისი მიმართულებებით ცვლილებების გატარება: ქვეყანაში უნდა მოწესრიგდეს პრობლემები ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კი საერთაშორისო გადაზიდვების სირთულე და სიძვირე, ადგილობრივი ნედლეულის ხელმისაწვდომობა და სხვა. მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის ხელსაყრელი საკანონმდებლო ბაზის არსებობა. აუცილებელია შესაბამისი ცვლილებები შევიდეს საქართველოს კანონში „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“; განისაზღვროს საქართველოს პირობებისათვის მისაღები ეკონომიკური ზონების ნაირსახეობები. სწორედ მსგავსი კომპლექსური ღონისძიებების გატარების გზით იქნება შესაძლებელი საქართველოში წარმატებული თავისუფალი ეკონომიკური ზონის სხვადასხვა სახეობის შექმნა, რაც სერიოზული წინაპირობა გახდება ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარების სტიმულირების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის.

ლიტერატურა:

1. Bureau of Labor Statistics (<http://www.bls.gov/fls>).
2. Papava I. Tavisufali ekonomikuri zonis sheqmna - ukvdavi idea. Gaz. “24 saati”. 12.02.2007. № 29 (1473).
3. Saqartveloskanoni Tavisufalitურისტული zone bisganvitare bisshesakheb, mukhli 5, punqti 3;
4. Tavisufali ekonomikuri zona (<https://ka.wikipedia.org/wiki>).
5. Tbilisi Free Zone (<http://www.tfz.ge>).

Jandri Zarandia

**CURRENT CONDITION OF FREE ECONOMIC ZONES
AND DEVELOPMENT PROSPECTS IN GEORGIA**

Summary

In early of the 20th century a new trend emerged in the world economy. Different countries created in their territories the special economic zones. Initially, the economic zones did not play any insignificant role in the world economy. Since then numerous models of special economic zones were developed and their significance increased significantly in global economy.

Special economic zones (SEZ) are basically mentioned as free economic zones (FEZ) as no substantial difference exists between mentioned two types of zones. In world practice there are various forms of free economic zones. Let us consider the issues related to creation and development of free economic zones in Georgia, on the example of Tbilisi, Kutaisi, Poti industrial zone and Anaklia free tourist zone. Georgian has good conditions for occupying significant segment at the markets. Though poorly arranged transport infrastructure, high costs and weak capacities of cargo transportation complicate the situation extremely.

Regarding all above, it is necessary to deal with the issues related to infrastructure in the country and especially solve the problems of weak international cargo carriage capacities, high costs, low qualification of labor etc. It is especially significant to have the legislative basis favorable for attraction of the foreign investments and in this respect, it is necessary to make relevant changes to Georgian Law on Free Industrial Zones”, determine the types of economic zones acceptable for Georgian context and this would provide serious preconditions for stimulation of FEZ development in Georgia and attraction of foreign investments.

ირმა მოლაშხია

მართვის ლიბერალური სტილის გამოყენების ეფექტიანობა

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ინსტიტუტმა

სიტყვა „სტილი“ ბერძნული წარმოშობისაა და თავდაპირველად სანერი კალმის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, მოგვიანებით კი მან „ხელნაწერის“ მნიშვნელობა შეიძინა. აქედან გამომდინარე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მართვის სტილი – მენეჯერის ქმედებების ერთგვარ „ხელნაწერას“ წარმოადგენს. (Dvorskov, 2005: 6).

მართვის სტილი – ეს არის სოციალური მოვლენა, ვინაიდან მასში აისახება ხელმძღვანელის მსოფლმხედველობა და მრწამსი, ასევე მასზე მნიშველოვნად დამოკიდებულია მთელი სისტემის საქმიანობის შედეგები. ისევე როგორც არ არსებობს ხელის თითების ორი ერთნაირი ანაბეჭდი, ასევე არ არსებობს ორი მსგავსი მენეჯერი, რომელებსაც შეიძლება ერთნაირი მართვის სტილი ჰქონდეთ. მართვის სტილის შერჩევა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ ამოცანას ისახავს მენეჯერი:

- **მართვას** – ხელმძღვანელი აძლევს ზუსტ მითითებებს თავის ხელქვეითებს და აკვირდება მის მიერ მიცემული დავალებების შესრულებას;
- **მიმართულების მიცემას** – მენეჯერი მართავს და აკვირდება დავალების შესრულებას, მაგრამ გადანყვეტილებებს იღებს თანამშრომლებთან ერთად, სთხოვს მათ შემოვიდნენ წინადადებით და მხარს უჭერს მათ ინიციატივას;
- **ხელშეწყობას** – მენეჯერი ეხმარება თანამშრომლებს დავალების შესრულებაში, ნაწილობრივ იღებს პასუხისმგებლობას სწორი გადანყვეტილების მიღებაზე.
- **უფლებამოსილების დელეგირებას** – მენეჯერი ნაწილობრივ გადასცემს თავის უფლებამოსილებებს შემსრულებლებს, აკისრებს მათ პასუხისმგებლობას პირადად მიღებულ გადანყვეტილებებზე და სანარმოს მიზნების განხორციელებაზე.

მართვის სტილის შესწავლა და თვით ამ მცნების წარმოშობა ცნობილი ფსიქოლოგის კ. ლევინის სახელთანაა დაკავშირებული. მან XX ს. 30-იან წლებში თანამშრომლებთან ერთად რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა, რის შემდეგაც მართვის სამი კლასიკური სტილი გამოყო: ავტორიტარული, დემოკრატიული, ნეიტრალური (ანარქიული). მოგვიანებით კი შეიმჩნეოდა მცდელობა ტერმინოლოგიაში ცვლილებების შეტანის და იგივე სტილი შესაბამისად აღინიშნა, როგორც დირექტიული, კოლეგიალური და ნებაზე მიშვებული (ლიბერალური). მართვის სტილის შედარებითი დახასიათება წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 1.).

მართვის სტილი

მართვის სტილი	ავტორიტარული (დირექტიული)	დემოკრატიული (კოლეგიალური)	ლიბერალური (ნებაზე მიშვებული)
სტილის ბუნება	მთელი ძალაუფლება და პასუხისმგებლობა ლიდერის ხელშია, იგი თავად ისახავს მიზნებს და თვითონ ირჩევს მათი მიღწევის საშუალებებს; კომუნიკაციური ნაკადები უპირატესად ზემოდან მოდის.	უფლებამოსილებათა დელეგირება ლიდერის ძირითადი პოზიციის შენარჩუნებით; თანამონაწილეობის საფუძველზე მართვის სხვადასხვა დონეზე ცალ-ცალკე გადანყვეტილებათა მიღება; კომუნიკაცია აქტიურად ორი მიმართულებით მიმდინარეობს.	ლიდერის მიერ თავიდან საკუთარი პასუხისმგებლობის მოხსნა და გადადგომა გუნდის ან ორგანიზაციის სასარგებლოდ ; გუნდისათვის თვითმმართველობის შესაძლებლობების მიცემა სასურველ რეჟიმში მუშაობით; კომუნიკაციის აგება ძირითადად ჰორიზონტალურად
ძლიერი მხარეები	ყურადღება გამახვილებულია ვადებზე და წესრიგის დაცვაზე; ხდება შედეგების წინასწარ განჭვრეტა	მართვაში მონაწილეობით ემატება პირადი მოვალეობები სამუშაოს შესრულებლად	აქვს შესაძლებლობა დაინყოს საქმიანობა ისე, როგორც მას ეს ესახება ლიდერის ჩარევის გარეშე
სუსტი მხარეები	ინდივიდუალური ინიციატივა შეჩერებულია	გადაწყვეტილების მიღებას დიდი დრო სჭირდება	ლიდერის ჩარევის გარეშე გუნდმა შეიძლება დაკარგოს მოძრაობის მიმართულება და შეანელოს ტემპი

იქ, სადაც საუბარია დასახული ამოცანის გადასაჭრელად შემსრულებელთა შემოქმედებითი მიდგომის სტიმულირების აუცილებლობაზე, ყველაზე მეტი უპირატესობა მართვის ლიბერალურ სტილს ენიჭება. მართვის ლიბერალური სტილის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელი შემსრულებლების წინაშე აყენებს პრობლემას, უქმნის აუცილებელ სამუშაო პირობებს, განსაზღვრავს მის წესებს, ადგენს გადაჭრის გზებს, თავად კი დგება მეორე პლანზე, იტოვებს რა კონსულტანტის, არბიტრის, ექსპერტის, მიღებული შედეგების შემფასებლის ფუნქციას. გუნდს აქვს სრული თავისუფლება მიიღოს გადაწყვეტილება და აკონტროლოს საკუთარი მუშაობა. ხელქვეითები თავისუფლდებიან მომზაზრებელი კონტროლსაგან, ერთად განხილავენ და დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს, მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ეძებენ გზებს მათი რეალიზაციისათვის. ასეთი სამუშაო

იძლევა თვითგამოხატვის საშუალებას, მოაქვს კმაყოფილება და ქმნის სასურველ მორალურ – ფსიქოლოგიურ კლიმატს კოლექტივში, წარმოქმნის ნდობას ადამიანებს შორის, ხელს უწყობს ნებაყოფლობით აიღონ უფლებამოსილებები და მოვალეობები. ხელმძღვანელი კი უზრუნველყოფს თანამშრომლებს ინფორმაციით, ახორციელებს მათი საქმიანობის შეფასებას, წახალისებას, სწავლებას, ასევე იტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

მართვის ლიბერალური სტილი ყველაზე მეტად გავრცელებას პოულობს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა მასშტაბების ზრდასთან დაკავშირებით, რომელიც მაღალი კლასის სპეციალისტების ძალისმეხვეთ ხორციელდება, ყოველგვარი ზეწოლის, მზრუნველობისა და სხვ. ზომების გარეშე. მისი ეფექტიანობა განპირობებულია ხელქვეითთა რეალური სწრაფვით დამოუკიდებლობისადმი, ხელმძღვანელის მხრიდან ამოცანებისა და სამუშაო პირობების მკაფიო ფორმირებით, სამართლიანი მიდგომით შეფასებებისა და შრომის ანაზღაურების საკითხებთან მიმართებაში.

მოწინავე ფირმებში იძულება ადგილს უთმობს რწმენას, მკაცრი კონტროლი – ნდობას, დაქვემდებარება – თანამშრომლობას, კოოპერაციას. მათთვის დამახასიათებელია კოლექტიური მმართველობა, ახალი იდეების ღიად დაფიქსირება, სასურველი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა.

მმართველობის ეს სტილი ეყრდნობა მაღალ ცნობიერებას, საერთო საქმისადმი ერთგულებას და კოლექტივის ყველა წევრის შემოქმედებით ინიციატივას, თუმცა ასეთი კოლექტივის მართვა არც თუ ისე ადვილია. კოლექტივის საქმეებში მინიმალური ჩარევა (ინტერვენცია) ხელმძღვანელისგან მოითხოვს ტაქტიკას, მაღალ ერუდიციას და მართვის ხელოვნებას.

ხელმძღვანელი-ლიბერალი უნდა მუშაობდეს უფლებამოსილებათა დელეგირების პრინციპით, ინარჩუნებდეს კეთილ ურთიერთობას არაფორმალურ ლიდერებთან, უნდა შეეძლოს კორექტულად საკითხის დასმა და სამუშაოს ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, საერთო მიზნის მისაღწევად გაუწიოს კოორდინირება თანამშრომელთა ურთიერთმოქმედებას. ყველაზე საშიში გამოცდა მართვის ლიბერალური სტილისათვის – კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნაა, ამბიციათა თავისებური ბრძოლა, რომლის ალბათობა ძალზედ დიდია კოლექტივში, რომელიც შედგება ნიჭიერი, არაორდინალური პიროვნებებისაგან. ასეთ შემთხვევაში ლიბერალობა შეიძლება ანარქიაში გადავიდეს, ხოლო კოლექტივის ამ შემთხვევაში მტრულ დაჯგუფებებად დაყოფა ემუქრება. ახლანდელ დროში საწარმოო კოლექტივის უმრავლესობა მზად არ არის თვითმმართველობის ასეთი ფორმისადმი, მითუმეტეს როცა ჩვენს ქვეყანაში ლიბერალიზმის იდეები დამახინჯებულია და არაფერი აქვს საერთო ცნობილ დევიზთან – „რაც უნდა ის აკეთონ“. ასე, მაგალითად, სამშენებლო ფირმამ აიღო ვალდებულება 4 თვეში დაემთავრებინა მუნიციპალიტეტის შენობის მშენებლობა, მაგრამ იმის გამო, რომ ფირ-

მის ხელმძღვანელობამ მშენებლებს მისცა თავისუფლად მოქმედების უფლება, მშენებლობა 7 თვეზე მეტ ხანს გაინელა. მოცემული მაგალითი გვიჩვენებს, რომ მართვის ლიბერალური სტილის გამოყენება სამშენებლო კომპანიაში არაეფექტური იქნება. ამ მაგალითისათვის გამოდგება ავტორიტარული სტილი დემოკრატიული სტილის ელემენტებით (რომელიც პრობლემის, ამოცანების ხელქვეითებთან განხილვა).

მართვის ლიბერალური სტილის უარყოფითი თვისებებია: უნიციატივობა, ჩაურევლობა ამა თუ იმ სამუშაო პროცესში. ორგანიზაციაში, სადაც ხელმძღვანელი ლიბერალია, ხშირად მნიშვნელოვანი საკითხები მისი მონაწილეობის გარეშე წყდება. უამრავი მიზეზი არსებობს ხელმძღვანელ-ლიბერალად ჩამოალიბების. მეტი წილი ასეთი ხელმძღვანელებსა ბუნებით გაუბედავი და კეთილი ადამიანები არიან, როგორც ცეცხლის ისე ეშინით ჩხუბის და კონფლიქტების, ძირითადად ეთანხმებიან ხელქვეითების აზრს. არსებობს სხვა მიზეზიც – ის სათანადოდ ვერ აფასებს კოლექტივის შესაძლებლობებს და ვერ აცნობიერებს მის მოვალეობებს მათ წინაშე. ხშირად ასეთი ხელმძღვანელი საერთოდ არ მიისწრაფვის სამსახურეობრივი კარიერის შექმნისკენ და მზად არის თავისი ადგილი სხვას დაუთმოს, უფრო კომპეტენტურს.

ხელმძღვანელი-ლიბერალი მზად არის იმისათვის, რომ აიმაღლოს თავისი ავტორიტეტი, ხელქვეითებს სხვადასხვა სახის შელავათები გაუწიოს, გასცეს დაუმსახურებელი პრემიები და ა.შ., დაუსრულებლად შეიძლება გადადოს უვარგისი თანამშრომლის სამსახურიდან გაშვება.

მართვის სტილის სრულყოფა რეალურ აუცილებლობას წარმოადგენს თითოეული ხელმძღვანელისათვის, რომლის რეალიზებას იგი მხოლოდ საკუთარი თავისადმი მოთხოვნების წაყენებით, თვითკრიტიკით, პროფესიონალიზმითა და პიროვნული თვისებების სრულყოფისათვის ძალისხმევის გამოვლენით შეძლებს (Utkin, 2005: .34).

სტილი – ეს ყოველთვის ერთგვარად დაბალანსებული შეხამებაა ისეთი თვისებებისა და მეთოდების, როგორიცაა: დარწმუნება, იძულება, ნდობა, კონტროლი, დამოუკიდებლობა და ცენტრალიზაცია, შემსრულებლობა და შემოქმედება.

ჩემი აზრით, კოლექტივის მართვის იდეალურ ფორმას მართვის კომპლექსური ფორმა წარმოადგენს. ასე, მაგალითად, საჭიროა ერთ-ერთი თანამშრომლის მიმართ ხშირად გამოვიყენოთ ახსნა-განმარტების მეთოდი, მეორის მიმართ – ჩვენების, მესამის მიმართ კი – იძულების მეთოდი. ერთს უნდა მივცეთ მეტი თავისუფლება, მეორეს – ნაკლები. ნიჭიერი, აქტიური, დამოუკიდებელი, შემოქმედი მუშაკები განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებენ – მათი აქტივობის ტაქტიკური მიმართულებით, სასარგებლო იდეების მხარდაჭერით. აუცილებელია ხელქვეითებში განვავითაროთ დამოუკიდებლობა, აქტივობა, სიახლის შეგრძნება, ვინაიდან ისინი შეჩვეული არიან იყვნენ უბრალო შემსრულებლები.

ამრიგად, ცვალებად სამყაროში აუცილებელია დროულად მოხდეს ფირმის (კომპანიების, ორგანიზაციების) მართვის კონცეფციის გადახედვა, ვინაიდან გამოყენებულ სტილზეა დამოკიდებული კოლექტივის გან-

ნყოფა, თანამშრომელთა მოტივაცია კი – შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ლიტერატურა:

1. Dvorskoy K. P. Shiryaev S. A. O stile I culture rukovodstva. Novosibirsk, 2005.
2. Kaznachevskaya G. B. Menedjment. Rostov, 2008.
3. Utkin E. A. Stili upravleniya: printsipi i pravila. Problemy teorii I praktiki upravleniya. 2005. - №7. P. 34.

Irma Molashkhia

EFFECTIVE USE OF LIBERAL STYLE OF MANEAGEMENT

Presented by Institute of Economics and Business Administration at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The paper is dedicated to reviewing the characteristics of liberal style of management, its advantages and disadvantages. It shows that the use of liberal style of management is appropriate only if the collective performs creative or individual work and is composed of the highest qualification specialists who have great ambitions. The paper notes that whatever the manager's management style should not be used, its effectiveness greatly depends on the motivation of employees, which is one of the most important factors in increasing labor productivity.

მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება
MATHEMATICAL AND COMPUTER MODELING

ციალა ძიიგური

ლესლის კლასიკური და განზოგადებული
მათემატიკური მოდელი

პოპულაციის დინამიკის მოდელები დისკრეტული ასაკობრივი სტრუქტურითა და დისკრეტული დროით ისტორიულად დაკაშირებულია პ.ლესლის სახელთან, რომელიც შეისწავლიდა ანალოგიური მოდელების უმარტივეს ვარიანტებს (Lesli, 1945, 1948). ლესლის ფორმალიზმი მდგომარეობს იმაში, რომ პოპულაცია დაყოფილია ერთნაირი სიგრძის სასრული რაოდენობის ასაკობრივ კლასებად, ხოლო კლასების რაოდენობა რეგისტრირებულია დროის დისკრეტულ მომენტებში.

ლესლის კლასიკური მოდელის მათემატიკა შესწავლილია (მაგ. Свирежев, Логофет, 1978; Hansen, 1986; Logofet, 1993). კერძოდ, განსაზღვრულია პოპულაციის რეპროდუქციული პოტენციალის ცნება, ე.ი. ისეთი R სიდიდის, რომელიც ადვილად გამოითვლება დემოგრაფიული პარამეტრებით და იძლევა პროგნოზირების საშუალებას. ცნობილია ასაკობრივი კლასების რაოდენობების ზღვრული განაწილების ფორმულები და სხვა.

სამწუხაროდ, ლესლის კლასიკური მოდელის პოსტულატები საგრძნობლად ზღუდავს მისი გამოყენების სფეროს. ამიტომ შემდგომში მოხდა ლესლის მოდელის განზოგადება, ლესლის მატრიცას ჩაენაცვლა ლეფკოვიჩის მატრიცა (Lefkovitch 1965; Hansen 1986).

ზოგადად პოპულაციის რაოდენობის დადგენა და პროგნოზირება მისი ასაკობრივი დაყოფის გათვალისწინებით, არის აქტუალური და ძნელად გადაჭრადი ამოცანა.

ლესლის კლასიკურ მოდელს, რომელიც აღწერს პოპულაციის (პოპულაციაში გამოყოფილია n ასაკობრივი ჯგუფი) ასაკობრივი სტრუქტურის დინამიკას, აქვს შემდეგი სახე:

$$X(t+1)=LX(t) \quad (1)$$

სადაც ვექტორ-სვეტი

$$X(t)=(x_1(t), x_2(t), \dots, x_n(t))'$$

ახასიათებს პოპულაციის ასაკობრივ სტრუქტურას დროის დისკრეტულ $t=0, 1, 2, \dots$ მომენტებში. ფუნქცია $x_i(t)$ განსაზღვრავს i ($i = \overline{1, n}$)-ური ასაკის ინდივიდთა რაოდენობას დროის t მომენტში;

ლესლის L – მატრიცას აქვს შემდეგი სტრუქტურა:

$$L = \begin{pmatrix} b_1 & b_2 & \dots & b_{n-1} & b_n \\ s_1 & 0 & \dots & 0 & 0 \\ 0 & s_2 & \dots & 0 & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & \dots & s_{n-1} & 0 \end{pmatrix}, \quad (2)$$

ხოლო L მატრიცის ელემენტების შინაარსია:

b_i – არის i -ური ასაკობრივი ჯგუფის შობადობის კოეფიციენტი,
 $b_i \geq 0, i = \overline{1, n};$

s_i – არის i -ური ასაკობრივი ჯგუფის გადარჩენის კოეფიციენტი,

$0 < s_i \leq 1 \quad i = \overline{1, n-1}; \quad s_n = 0$

თუ ვექტორი $X(0)$ – პოპულაციის საწყისი ასაკობრივი განაწილებაა, მაშინ დროის ნებისმიერ t მომენტში პოპულაციის ასაკობრივი ჯგუფი განისაზღვრება ტოლობით

$$X(t) = L^t X(0). \quad (3)$$

განტოლება (1) გამლილად არის მუდმივკოეფიციენტებიანი ერთ-გვაროვანი სხვაობიან განტოლებათა სისტემა

$$x_1(t+1) = \sum_{k=1}^n b_k x_k(t), \quad b_k \geq 0;$$

$$x_2(t+1) = s_1 x_1(t); \quad 0 < s_k \leq 1;$$

.....

$$x_n(t+1) = s_{n-1} x_{n-1}(t). \quad (4)$$

ამიტომ ლესლის კლასიკურ მოდელს ხშირად **ლესლის ერთგვაროვან მოდელს** უწოდებენ.

ამგვარად, ვიცით რა L მატრიცის სტრუქტურა და პოპულაციის საწყისი პირობები შეიძლება პოპულაციის მდგომარეობის პროგნოზირება დროის ნებისმიერი მომენტისათვის. (1) განტოლების ამონახსნის ასიმპტოტური ქცევა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული **ლესლის მატრიცის სპექტრალურ** თვისებებთან.

ძირითადი მათგანი დგინდება **პერონ-ფრობენიუსის** ცნობილი თეორემის საფუძველზე. ამ თეორემის გამოყენებამდე უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ ლესლის არაუარყოფითი მატრიცა არაგანშლადია, ე.ი. სტრიქონებისა და სვეტების არანაირი გადაადგილებით ვერ დაიყვანება

შემდეგ სახემდე $\begin{pmatrix} A & O \\ C & B \end{pmatrix}$, სადაც A და B — კვადრატული ბლოკებია. მატრიცის არაგანშლადობისათვის აუცილებელია და საკმარისი, რომ $b_n \neq 0$.

ეს პირობა შეესაბამება იმას, რომ n -ის როლში გამოდის არა მაქსიმალურად შესაძლებელი, არამედ ინდივიდთა უდიდესი რეპროდუქტიული ასაკი.

თუ დაგვჭირდა პოსტრეპროდუქციული ჯგუფების რაოდენობა, მათი განსაზღვრა ადვილად შეიძლება ნებისმიერი მომენტისათვის $x_n(t)$ -ით:

$$\begin{aligned} x_{n+1}(t+1) &= s_n x_n(t); \\ x_{n+2}(t+1) &= s_{n+1} x_{n+1}(t); \\ &\dots\dots\dots \end{aligned} \tag{5}$$

ლესლის მატრიცა არის არაუარყოფითი, $b_n \neq 0$, არაგადაგვარებულა და არაგანშლადი.

ლესლის მატრიცის მახასიათებელ განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\lambda^n - b_2 \lambda^{n-1} - b_2 s_1 \lambda^{n-2} - \dots - b_n s_1 s_2 \dots s_{n-1} = 0 \tag{6}$$

თუ L - მატრიცას აქვს **მარტივი სტრუქტურა** (აქვს ზუსტად n წრფივად დამოუკიდებელი საკუთარი ვექტორი) და n განსხვავებული საკუთარი მნიშვნელობები, მაშინ (1)-ის ზოგადი ამონახსნი შეიძლება ჩაინეროს შემდეგი სახით:

$$X(t) = \sum_{i=1}^n c_i \lambda_i^t a^i, \tag{7}$$

სადაც λ_i - L მატრიცის საკუთარი მნიშვნელობებია; a^i საკუთარი ვექტორ-სვეტი, რომელიც შეესაბამება λ_i საკუთარ მნიშვნელობებს; C_i ნებისმიერი მუდმივები, რომელთა მნიშვნელობები დამოკიდებულია სანყის $X(0)$ განაწილებაზე:

$$\begin{aligned} c &= (c_1, c_2, \dots, c_n)' = A^{-1} X(0), \\ c_i &= y^i X(0), \end{aligned} \tag{8}$$

სადაც A^{-1} - არის $A=(a^1, a^2, \dots, a^n)$ მატრიცის შებრუნებული მატრიცა (A -ს სვეტებია L -ის საკუთარი ვექტორები), y^i - L მატრიცის საკუთარი ვექტორ-სტრიქონია, რომელიც შეესაბამება საკუთარ მნიშვნელობას λ_i , და ისეთია, რომ სკალარული ნამრავლი $y^i a^i=1$.

პერონ-ფრობენიუსის თეორემა. არაგანშლად, არაუარყოფით A -

მატრიცას ყოველთვის გააჩნია r დადებითი მახასიათებელი რიცხვი, რომელიც არის მახასიათებელი განტოლების მარტივი ფესვი. სხვა დანარჩენი მახასიათებელი რიცხვების მოდულები არ აღემატება r რიცხვს. „მაქსიმალურ“ მახასიათებელ რიცხვს r შეესაბამება საკუთარი ვექტორი დადებითი კოორდინატებით.

თუ A -ს აქვს h მახასიათებელი რიცხვი

$$\lambda_1 = r, \lambda_2, \dots, \lambda_h$$

მოდულით r -ის ტოლი, მაშინ ყველა ეს რიცხვი განსხვავებულია ერთმანეთისგან და არის

$$\lambda^h - r^h = 0$$

განტოლების ფესვები.

თუ მატრიცა L -ს აქვს ერთადერთი დადებითი საკუთარი რიცხვი $\lambda_1 = \lambda_{max}$, ხოლო დანარჩენი საკუთარი რიცხვები აკმაყოფილებს მკაცრ უტოლობას

$$|\lambda_i| < \lambda_{max}, \forall i = \overline{2, n}, \quad (9)$$

მაშინ L მატრიცა არის პრიმიტიული.

განტოლების ამონახსნს, რომელიც აკმაყოფილებს საწყის პირობებს $X(0) = X_0$

შეესაბამება **ზღვრული ასაკობრივი ფუნქცია**, რომელსაც ლესლის L მატრიცის პრიმიტიულობის შემთხვევაში აქვს შემდეგი სახე:

$$\mathcal{L}(t, X_0) = c_1 \lambda_{max}^t a^1 = y^1 X_0 \lambda_{max}^t a^1 \quad (10)$$

ხოლო არაპრიმიტიულობის შემთხვევაში კი ასეთი:

$$\mathcal{L}(t, X_0) = \sum_{i=1}^k c_i \lambda_i^t a^i = \sum_{i=1}^k y_i X_0 \lambda_i^t a^i \quad (11)$$

სადაც

$$|\lambda_i| = \lambda_{max}, i = \overline{1, k}$$

ლესლის მატრიცის პრიმიტიულობისათვის **საკმარისია**, რომ $b_1 > 0$.

t -ს დიდი მნიშვნელობებისათვის ადგილი აქვს შემდეგ მიახლოებას:

$$X(t) \approx L(t, X_0) \quad (12)$$

(1) განტოლების ასიმპტოტური ქცევა დამოკიდებულია λ_{max} -ზე:

$$X(t) \xrightarrow{t \rightarrow \infty} \begin{cases} +\infty, & \text{თუ } \lambda_{max} > 1, \\ 0, & \text{თუ } \lambda_{max} < 1. \end{cases} \quad (13)$$

თუ L მატრიცა პრიმიტიულია და $\lambda_{max} = 1$, მაშინ

$$X(t) \xrightarrow{t \rightarrow +\infty} c_1 a^1 \quad (14)$$

$$X^* = c_1 a^1 = y^1 X(0) a^1. \quad (15)$$

თუ L - არაპრიმიტიულია და $\lambda_{max} = 1$, მაშინ (1) განტოლებას აქვს

პერიოდული ამონახსნი k -ს ტოლი პერიოდით.

თუ $\lambda_{\max} = 1$, მაშინ (1) აქვს არანულოვანი სტაციონარული ამონახსნი



$$X^* = c_1 a^1 = y^1 X(0) a^1 \quad (16)$$

რომელიც აღწერს წონასწორულ ასაკობრივ გადანაწილებას.

ლესლის მოდელის მოთხოვნების შესრულება ყოველთვის არ არის გამოსაყენებლად ადვილი და შესაძლებელი. უფრო ხშირად ინდივიდთა დაყოფა შეიძლება არა ასაკის მიხედვით, არამედ სხვა რაიმე ზომადი თვისებების მიხედვით, მაგალითად, ან წრფივი ზომით ან განვითარების სტადიით. ასეთი მიდგომა დღის წესრიგში დადგა ლესლის მოდელის პუბლიკაციიდან 20 წლის შემდეგ. ლეფკოვიჩის (1965) შემოთავაზება იყო გამოყენებინათ ორგანიზმის განვითარების მომდევნო სტადიები (ზოგადად, ხანგრძლივობით განსხვავებული), როგორც ძირითადი ინდივიდთა კლასიფიკაციისათვის.

თუ დავუშვებთ, რომ დროის ერთ ბიჯზე ინდივიდთა რაიმე ნაწილი $r_i \geq 0$ t -ურ სტადიაში არ გადადის შემდეგ სტადიაში, არამედ რჩება იგივე სტადიაში, მაშინ გრაფში ლესლის საწყის მოდელში ემატება რკალები, რომლებიც შეესაბამებიან სტადიის შეფერხებას. შესაბამისად **ლეფკოვიჩის მატრიცას აქვს შემდეგი სახე:**

$$L = \begin{pmatrix} r_1 + b_1 & b_2 & \dots & b_{n-1} & b_n \\ s_1 & r_2 & \dots & 0 & 0 \\ 0 & s_2 & \dots & 0 & 0 \\ \vdots & \vdots & \ddots & r_{n-1} & 0 \\ 0 & 0 & 0 & s_{n-1} & r_n \end{pmatrix} \quad (17)$$



ნახ.1. ორიენტირებული გრაფები ლესლის (პირველი) და ლეფკოვიჩის (მეორე) მატრიცებთან. ნაჩვენებია შემთხვევა $b_j=0, b_j>0 (j=2,\dots,n), r_k>0 (k=1,\dots,n)$.

მიუხედავად ამ მოდელის ხარვეზებისა, მისი გამოჩენიდან დაიწყო განვითარების დისკრეტული სტადიის მქონე პოპულაციების დინამიკის მატრიცული მოდელების ფართოდ გამოყენება. კანონზომიერად წარმოიშვა ინტერესი (1) განტოლების ამონახსნთა მათემატიკური თვისებების მიმართ და მასთან კავშირში მყოფი ამოცანების მიმართ, რომელთაც პრაქტიკული დატვირთვა აქვთ.

ლესლის განზოგადებული მოდელის მატრიცული სახეა:

$$X(t+1)=L(X(t))X(t) \quad (18)$$

სადაც L მატრიცის ელემენტები არიან რაოდენობის ვექტორის ფუნქციები

$$X(t) = (x_1(t), x_2(t), \dots, x_n(t))'$$

$$L(X) = \begin{pmatrix} b_1(X) & b_2(X) & \dots & b_{n-1}(X) & b_n(X) \\ s_1(X) & 0 & \dots & 0 & 0 \\ 0 & s_2(X) & \dots & 0 & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & \dots & s_{n-}(X) & 0 \end{pmatrix} \quad (19)$$

მოდელს (18) სხვანაირად ლესლის არაერთგვაროვან მოდელს უწოდებენ, და $X(t+1)=L^{(t)}(X)X(t)$ -ში $L^{(t)}=L_1 \cdot L_2 \cdots L_t, t=1,2,\dots$, სადაც L_t - t -ურ ნაბიჯზე ლესლის მატრიცაა.

ეს მოდელი უდავოდ უფრო რეალისტურია, თუმცა ის დღეისთვის შესწავლილია სუსტად.

ლესლის მოდელის მოდიფიკაცია უარყოფითი შობადობის კოეფიციენტის შემთხვევაში

გარკვეულ პერიოდში აქტუალური გახდა ისეთი მოდელების დამუშავება, როდესაც ლესლის მოდელში შობადობის კოეფიციენტი არადადებითია. უარყოფითი კოეფიციენტი აქვს პოპულაციას რომელიმე ასაკობრივ პერიოდში თუ ხდება ზემოქმედება „ანტი—რეპროდუქციური“ (კვერცხების, ან ახალი თაობის განადგურება). ამ ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ კონკურენცია რესურსებისათვის ახალშობილებსა და სხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია კითხვა იმის შესახებ, შენარჩუნდება თუ არა ერგოდულობის თვისება, რომელიც სამართლიანია ლესლის მოდელისთვის არაუარყოფითი კოეფიციენტებით?

ერგოდულობა – (მათემატიკური განმარტება) – დინამიური სისტემის სპეციალური თვისებაა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სისტემის ევოლუციის პროცესში მისი თითქმის ყველა წერტილი განსაზღვრული სიზუსტით გადის სისტემის ნებისმიერი სხვა წერტილის სიახლოვეს.

ერგოდულობის თვისება დემოგრაფიაში ნიშნავს, რომ მოსახლეო-

ბის წინა ასაკობრივი სტრუქტურის ზემოქმედება შემდგომზე დროთა განმავლობაში თანდათან სუსტდება და ასაკობრივი სტრუქტურა ხდება დამოკიდებული მხოლოდ წინა პერიოდის (კვლავნარმოების) რეპროდუქციის რეჟიმზე.

განასხვავებენ სუსტი ერგოდულობისა და ძლიერი ერგოდულობის თვისებას. ძლიერი ერგოდულობის თვისება მდგომარეობს იმაში, რომ თუ რომელიმე მოსახლეობის შობადობა და სიკვდილიანობა ხდება უცვლელი დროში, მაშინ ამ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და მასზე დამოკიდებული ყველა პარამეტრი (მაგ., საერთო კოეფიციენტები), დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორები იყვნენ ისინი მანამდე, თანდათან უახლოვდებიან რაიმე ზღვრულ მნიშვნელობებს, რომლებიც ცალსახად არიან დამოკიდებული შობადობისა და სიკვდილიანობის ასაკობრივ ინტენსივობაზე. ამ შემთხვევაში მოსახლეობას ეწოდება ასიმპტოტურად სტაბილური მოსახლეობა, ხოლო ასაკობრივი სტრუქტურის მიახლოებას ზღვრულ მნიშვნელობებთან – მოსახლეობის სტაბილიზაცია.

ზოგად შემთხვევაში, სუსტი ერგოდულობის თვისება არ უშვებს შობადობისა და სიკვდილიანობის ინტენსივობის მუდმივობას და უშვებს ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებას დროში. ერგოდულობის თვისება მნიშვნელოვანია მოსახლეობის რეპროდუქციის რეჟიმის მისსავე სტრუქტურაზე ზემოქმედების სწორად გასაგებად. კერძოდ, ის ხსნის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზე ამა თუ იმ ხდომილობის ზემოქმედების შესუსტებას დროში.

დასმულ კითხვაზე პასუხს გაცემს შემდეგი თეორემა.

თეორემა (დემოგრაფიული პოტენციალის მოდელის ინსტაბილურობის წრის შესახებ) ვთქვათ, მოცემულია მოსახლეობის რაოდენობა და დემოგრაფიული პოტენციალის ასაკობრივი სტრუქტურა. მაშინ არსებობს წრე

$$\Lambda = \{ \mu : |\mu| \leq \mu_{\min} \}, \quad (20)$$

ისეთი, რომ კვლავნარმოების (რეპროდუქციის) რეჟიმს, მოცემული მაჩვენებლების გათვალისწინებით, აქვს ერგოდულობის თვისება მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ კვლავნარმოების ჭეშმარიტი კოეფიციენტი არ ეკუთვნის ამ წრეს.

აღნიშნულ წრეს ვუნოდოთ ინსტაბილურობის წრე, ხოლო მის რადიუსს – ინსტაბილურობის რადიუსი.

შენიშვნა. თეორემიდან გამომდინარეობს, რომ როგორც არ უნდა იყოს დემოგრაფიული პოტენციალის სტრუქტურა, განსაზღვრული გამრავლების ჭეშმარიტი კოეფიციენტის შემთხვევაში, ერგოდულობის თვისება შეიმჩნეოდეს იქნება. კერძოდ, ეს თვისება შეიძლება ჰქონდეს ისეთ მოდელს, რომელსაც პირველ სტრიქონში აქვს უარყოფითი კოეფიციენტი.

ლიტერატურა:

1. Chilachava T., Dzidziguri Ts. Matematikuri modelireba. Tbilisi, "Inovatsia", 2008.
2. Dzidziguri Ts., Chilachava T. Matematikuri modelebi ekologiassa da medicinashi. Tbilisi, "Inovatsia", 2011.
3. V.K.Romanko. Raznostnye uravneniya. Uchebnoe posobyе. Moskva, Binom, Laboratoriya znanyi. 2006. 110 str.
4. L.A.Mironovskiy. Modelirovanie raznostnix uravneniy. Uchebnoe posobyе. Sankt-Peterburg. 2004, 108 str.
5. MacArthur R. Graphical analysis of ecological systems// Division of biology report Perinceton University. 1971
6. Leslie P.H. On the use of matrices in certain population mathematics.// Biometrika, 1945, v.33, p. 183 - 212.
7. Leslie P.H. Some further notes on the use of matrices in population mathematics.// Biometrika, 1948, v.33, p. 213 - 245.
8. Logofet D.O., Belova I.N., Nonnegative matrices as a tool to model population dynamics: Classical models and contemporary expansions, Fundamentalnaya i prikladnaya matematika, vol. 13 920070, no. 4, pp. 145-164.

Tsiala Dzidziguri

CLASSICAL AND GENERALIZED MATHEMATICAL LESLIE MODELS

Summary

In this paper we consider the classical and generalized population Leslie models of the spectral properties of the Leslie operator are described.

Matrix models of age- or/and stage-structured populations rest upon the Perron–Frobenius theorem for nonnegative matrices, and the life cycle graph for individuals of a given biological species plays a major role in model construction and analysis.

A modification of the Leslie model is introduced to the case of negative birth rates. A theorem on the ergodicity of the regime of population reproduction is given.

A summary of classical results in the theory of matrix models for population dynamics is presented, and generalizations are proposed, which have been motivated by a need to account for an additional structure, i.e., to classify individuals not only by age, but also by an additional (discrete) characteristic: size, physiological status, stage of development, etc.

A modification of the Leslie model is introduced to the case of negative birth rates. A theorem on the ergodicity of the regime of population reproduction is given.

MATHEMATICAL AND COMPUTER MODELING OF ELECTIONS

Abstract

In this paper, the dynamics of the election process in the case of the transformation of bipartisan elections (the ruling party and one opposition party) into three-party (ruling and two opposition parties) in the inter-election period is considered.

In the case, with the zero demographic factor of all three political parties, and also with some relation between the variable coefficients of the model in the segment $[0, T_1]$ and the constancy of the model coefficients in the interval (T_1, T) , exact analytic solutions are found.

For computer modeling of the transformation process of bipartisan elections into three-party, in general, the model coefficients are taken as variable time functions. Also, the process of the appearance of a new party in the period between two elections (in many countries this period is $T = 4$ years = 1460 days) is considered after 400, 800 and 1200 days from the date of previous elections. To analyze the results obtained, the case $T_1 = 400$ days is taken. It should be specially noted that with some selection of the variable coefficients of the model (for example, when the coefficient of attracting supporters for the emerging second opposition party significantly exceeds the coefficients of attracting the other two parties), in the time interval (T_1, T) there is an effect of an increase and a subsequent decrease in the number of supporters of the first opposition and the ruling party, i.e. the functions have a stationary point.

Classification (2010)UDC 97M10, 97M70

Introduction

Mathematical and computer modeling has been widely recognized in such disciplines as sociology, economics, history, political science and others (Chilachava, Dzidziguri, 2008).

In (Chilachava, Kereselidze, 2009a; Chilachava, Kereselidze, 2009b) quantities of information streams by means of new mathematical models of information warfare are studied. By information warfare the authors mean an antagonism by means of mass media between the two states purposeful misinformation, propagation against each other. It was shown that in case of high aggression of the contradictory countries, not preventive image the operating peacekeeping organizations won't be able to extinguish the expanding information warfare.

In (Chilachava, Chakhvadze, 2014)] the nonlinear mathematical and computer model of information warfare with participation of interstate authoritative institutes is offered. Confronting sides in extend of provocative statements, the third side extends of soothing statements, interstate authoritative institutes the peacekeeping statements call the sides for the termination of information warfare. For the general model computer modeling is carried out and shown that irrespective of high aggression of confronting sides, interstate authoritative institutes will be able to extinguish information warfare and when for this purpose efforts of only the international organizations insufficiently.

Of great interest is mathematical modeling of political elections. Many scientists deal with this topic. In most cases, stochastic models of political elections are proposed, which involve an analysis of the statistics of elections already held (Belenky A., King, 2007; Boccara, 2010).

The method adopted in (Shofield, Sened, 2005) of combining empirical analyses with model building, may lead to a better understanding of the nature of representative government under different institutional arrangements and electoral rules.

In (Aldrich, McGinnis, 1989) propose a generalized version of the spatial model of electoral competition. A model of political parties is developed and a general theorem about the existence of distinct Nash equilibrium distributions of party activists is proven. Candidates are assumed to acquire resources from the party and its activists and through the candidate's own campaign organization to assist in their campaign efforts, and they are assumed to value both winning and policy outcomes. Also studied the formal properties of this more general model, especially the impact of party-based resources and of candidate policy preferences on the optimal location of candidates.

In (Fieldhouse, Shryane, Pickles, 2007) examined the role of strategic motivations in mediating the relationship between underlying political preferences and vote choice, in a multiparty, single member, simple plurality system, and examine the role of constituency context in determining the scope for strategic voting. Political preference data from the British Election Panel Survey, 1997–2001, were modelled with mixed multinomial logit models. Latent variables were used to model the stable party political traits underlying observed preferences, allowing correlation between choices and so avoiding the restrictive assumption of independence from irrelevant alternatives. Ranked approval ratings were used to characterize the underlying political preferences in the presence of insincere voting. From these models we estimate that approximately 9% of votes cast may have been affected by strategic factors. In keeping with 'Duvergers law', the smallest of the three main parties, the Liberal Democrats, were found to be most affected by strategic voting.

Extremely important is the creation of a mathematical model, which would give an opportunity to define the dynamics of change in the number of supporters of different political subjects during the election period and a possible forecast of the election results.

In (Chilachava, 2013) considered a two or three-party (one pro-government and two opposition parties) nonlinear mathematical model of elections when coefficients are constant. The assumption was made that the number of voters remain the same between two consecutive elections (zero demographic factor of voters). The exact analytical solutions were received. The conditions under which opposition party can win the upcoming elections were established.

In (Chilachava, Sulava, 2015) considered a two-party (pro-government and opposition parties) nonlinear mathematical model of elections with variable coefficients.

In work (Chilachava, Sulava, 2016a) proposed the nonlinear mathematical model with variable coefficients in the case

of three-party elections, that describes the dynamics of the quantitative change of the votes of the pro-government and two opposition parties from election to election. The model takes into account the change in the total number of voters in the period from election to election, i.e. the so-called demographic factor during the elections is taken into account. The model considered the cases with variable coefficients. In the particular case obtained exact analytical solutions.

In (Chilachava, Sulava, 2016b) is proposed the nonlinear mathematical model with variable coefficients in the case of three-party elections, that describes the dynamics of the quantitative change of the votes of the progovernment and two opposition parties from election to election. In particular, we assume that in the period between elections coefficients of “attracting” voters are exponentially increasing function of time. In the particular case we obtain exact analytical solutions.

Of particular interest is the change in the number of political actors between the next election (Chilachava, 2017).

1. General mathematical model of transformation of two-party elections to three-party elections

We will consider the general mathematical model of transformation of two-party elections to three-party elections, from the accounting of demographic factor of elections which we have an appearance:

$$\left\{ \begin{array}{l} \frac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_1(t) - \alpha_2(t))N_1(t)N_2(t) + (\alpha_1(t) - \alpha_3(t))N_1(t)N_3(t) - F_1(N_1(t), t) + \gamma_1(t)N_1(t) \\ \frac{dN_2(t)}{dt} = (\alpha_2(t) - \alpha_1(t))N_1(t)N_2(t) + (\alpha_2(t) - \alpha_3(t))N_2(t)N_3(t) - F_2(N_2(t), t) + \gamma_2(t)N_2(t) \\ \frac{dN_3(t)}{dt} = (\alpha_3(t) - \alpha_1(t))N_1(t)N_3(t) + (\alpha_3(t) - \alpha_2(t))N_2(t)N_3(t) + F_1(N_1, t) + F_2(N_2, t) + \gamma_3(t)N_3(t) \end{array} \right. \quad (1.1)$$

$$t \in (0, T],$$

$$\begin{aligned} N_1(0) = N_{10}, N_2(0) = 0, N_3(0) = N_{30}, N_{30} > N_{10} \\ N_2(t) \equiv 0, F_2(N_2(t), t) \equiv 0, t \in [0, T_1), T_1 < T \\ N_2(T_1) = N_{20} > 0 \end{aligned} \quad (1.2)$$

In this nonlinear mathematical model(1.1), (1.2) all coefficients are variables and demographic factors are taken into consideration.

Equations (1.1) is defined in the interval $t \in (0, T]$, and initial conditions (of Cauchy) $t=0$ moment of time.

We look for the solution of the Cauchy problem on the segment $t \in [0, T]$ in the class of continuous differentiable functions

$$N_i(t), N_2(t), N_3(t) \in C^1[0, T] \quad (1.3)$$

In a nonlinear system of differential equations (1.1):

$N_1(t), N_2(t), N_3(t)$ – are the numbers of supports of two opposition and one ruling party $N_3(t)$, at time t ;

$t=0$ - is the time of previous elections, when one of the parties $N_3(t)$ won the elections and became the ruling party;

$t=T$ - is the time of the following elections (in many cases $T=4$ years or 1460 days);

$t=T_1(0 < T_1 < T)$ - time-point, when to political arena there is the second opposition party $N_2(t)$;

$\alpha_1(t), \alpha_2(t), \alpha_3(t)$ - are the coefficients of attracting votes by the first and second opposition party and the ruling party at time t . They largely depend on the action programs, as well as financial, technological and informational capacities of the political parties.

$F_1(N_1(t), t), F_2(N_2(t), t)$, - are the continuous positive functions, that define the scale of used administrative resources.

$\gamma_1(t), \gamma_2(t), \gamma_3(t)$, - are the coefficients that describe demographic changes of the parties.

2. A special case with zero demographic factor and variable coefficient of elections

We will consider a special case when the functions characterizing use of administrative resources are linear concerning the first variables, demographic factors of elections of all three parties are equal to zero

$$F_1(N_1(t), t) = \beta_1(t)N_1(t), F_2(N_2(t), t) = \beta_2(t)N_2(t), \quad (2.1)$$

Taking into account (2.1), (1.1) and (1.2) will correspond in the following look

$$\left\{ \begin{array}{l} \frac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_1(t) - \alpha_3(t))N_1(t)N_3(t) - \beta_1(t)N_1(t) + \gamma_1(t)N_1(t) \\ \frac{dN_3(t)}{dt} = (\alpha_3(t) - \alpha_1(t))N_1(t)N_3(t) + \beta_1(t)N_1(t) + \gamma_3(t)N_3(t) \end{array} \right. \quad (2.2)$$

$t \in (0, T_1]$

$$N_1(0) = N_{10}, N_3(0) = N_{30}, N_{30} > N_{10}$$

$$\left\{ \begin{array}{l} \frac{dN_1(t)}{dt} = (\alpha_{11}(t) - \alpha_{31}(t))N_1(t)N_3(t) + (\alpha_{11}(t) - \alpha_2(t))N_1(t)N_2(t) - \beta_{11}(t)N_1(t) + \gamma_1(t)N_1(t) \\ \frac{dN_2(t)}{dt} = (-\alpha_{11}(t) + \alpha_2(t))N_1(t)N_2(t) + (\alpha_2(t) - \alpha_{31}(t))N_3(t)N_2(t) - \beta_2(t)N_2(t) + \gamma_2(t)N_2(t) \\ \frac{dN_3(t)}{dt} = (-\alpha_{11}(t) + \alpha_{31}(t))N_1(t)N_3(t) + (-\alpha_2(t) + \alpha_{31}(t))N_3(t)N_2(t) + \beta_{11}(t)N_1(t) + \beta_2(t)N_2(t) + \gamma_3(t)N_3(t) \end{array} \right. \quad (2.3)$$

$t \in (T_1, T]$

$N_1(T_1) = N_{11}, N_2(T_1) = N_{20} > 0, N_3(T_1) = N_{31}$

Thus, we get the two Cauchy problem (2.2), (2.3).
Consider the case, when

$$\gamma_1(t) = \gamma_2(t) = \gamma_3(t) \equiv 0 \quad t \in [0_1, T] \quad (2.4)$$

The first integral of Cauchy problem (2.2) has the form

$$t \in [0, T_1] \quad N_1(t) + N_3(t) = N_{10} + N_{30} = a$$

Consider the case, when

$$a(\alpha_1(t) - \alpha_3(t)) = \beta_1(t) \quad (2.5)$$

The solution of Cauchy problem (2.2) has the form

$$N_1(t) = \frac{N_{10}}{1 + N_{10} \int_0^t (\alpha_1(\tau) - \alpha_3(\tau)) d\tau} \quad (2.6)$$

$$N_3(t) = \frac{aN_{10} \int_0^t (\alpha_1(\tau) - \alpha_3(\tau)) d\tau + N_{30}}{1 + N_{10} \int_0^t (\alpha_1(\tau) - \alpha_3(\tau)) d\tau}$$

Therefore, it agrees (2.5), (2.6), we will receive initial values for Cauchy's task (2.3)

$$N_1(T_1) = N_{11} = \frac{N_{10}}{1 + N_{10} \int_0^{T_1} (\alpha_1(\tau) - \alpha_3(\tau)) d\tau} \quad (2.7)$$

$$N_3(T_1) = N_{31} = \frac{aN_{10} \int_0^{T_1} (\alpha_1(\tau) - \alpha_3(\tau)) d\tau + N_{30}}{1 + N_{10} \int_0^{T_1} (\alpha_1(\tau) - \alpha_3(\tau)) d\tau} \quad (2.8)$$

Now, consider the case, when

$$\alpha_{11}(t) = \alpha_{11} = \text{const}, \alpha_2(t) = \alpha_2 = \text{const}, \alpha_{31}(t) = \alpha_{31} = \text{const}$$

$$\beta_{11}(t) = \beta_{11} = \text{const}, \beta_2(t) = \beta_2 = \text{const} \quad t \in [T_1, T]$$

From (2.3) it is easy to receive the first integral of system

$$N_1(t) + N_2(t) + N_3(t) = N_{11} + N_{20} + N_{31} = c, \quad t \in [T_1, T] \quad (2.9)$$

If takes place

$$c(\alpha_{11} - \alpha_2) = \beta_{11} - \beta_2,$$

then

$$N_1(t) = \frac{N_{11}}{N_{20}} N_2(t), t \in [T_1, T]$$

$$p = \frac{N_{20}}{N_{11}}$$

Then the exact solution of the Cauchy problem (2.3) has the form

$$\left\{ \begin{array}{l} N_1(t) = \frac{\frac{(\alpha_{11} - \alpha_{31})c - \beta_{11}}{\alpha_{11} - \alpha_{31} + p(\alpha_2 - \alpha_{31})} N_{11} \exp\{[(\alpha_{11} - \alpha_{31})c - \beta_{11}](t - T_1)\}}{\frac{(\alpha_{11} - \alpha_{31})c - \beta_{11}}{\alpha_{11} - \alpha_{31} + p(\alpha_2 - \alpha_{31})} + N_{11} \exp\{[(\alpha_{11} - \alpha_{31})c - \beta_{11}](t - T_1)\} - N_{11}} \\ N_2(t) = pN_1(t) \\ N_3(t) = c - (p+1)N_1(t) \end{array} \right. \quad (2.10)$$

$$t \in [T_1, T]$$

3. Computer modeling

For the computer simulation of the process of transforming bipartisan elections into three-party elections in the general case (1.1), the model coefficients are taken as variable time functions. The process of entering the new opposition party's political arena in the period between the two elections for definiteness was considered after 400, 800 and 1200 days from the date of the previous elections. To analyze the results obtained, the case $T_1 = 400$ days is taken.

For a specific numerical count, the coefficients of the model are taken as exponentially increasing functions, although in the sequel can be considered other cases (for example, as exponential functions, periodic functions, e.t.) .

For clarity, with a numerical calculation, the number of voters was chosen by the example of two countries - Georgia and Australia. As a rule, on election day, the percentage of voters turnout is approximately the same for all parties, so this figure hardly affects the results of elections. The results of the numerical account

are conditionally divided into 8 cases.

Case 1:

And up to the moment $T_1 = 400$ days (when only two parties compete for the involvement of supporters), and after that moment (the third party is on the political arena) until the next election $T=1460$ days, the number of supporters of all three parties increases. At the same time, depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. By the election day, the number of supporters of both opposition parties in total exceeds the number of supporters of the pro-government party, i.e. the ruling party loses the elections (ex. figure 1);
2. By the election day, the number of supporters of the pro-government party exceeds the number of supporters of both opposition parties in the amount, i.e. the ruling party again wins the elections.

Case 2:

Until $T_1 = 400$ days, the number of supporters of the opposition party is decreasing, while the number of supporters of the ruling party is increasing. After this moment until the next election $T = 1460$ days, the number of supporters of all three parties increases. Similarly, depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. By the election day, the number of supporters of both opposition parties in total exceeds the number of supporters of the pro-government party, i.e. the ruling party loses the election;
2. By the election day, the number of supporters of the pro-government party exceeds the sum of the supporters of both opposition parties, i.e. The ruling party again wins the elections (ex. figure 2).

Case 3:

Until the time $T_1 = 400$ days the number of supporters of the opposition party is increasing, while the number of supporters of the ruling party is decreasing. After this moment until the next election $T = 1460$ days, the number of supporters of all three parties increases. Similarly, depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. By the election day, the number of supporters of both opposition parties in total exceeds the number of supporters of the pro-government party, i.e. the ruling party loses the election (ex. figure 3);
2. By the election day, the number of supporters of the pro-government party exceeds the number of supporters of both opposition parties in the amount, i.e. the ruling party again wins the elections.

Case 4:

Until the time $T_1 = 400$ days the number of supporters of both parties increases. After this moment until the next election $T = 1460$ days, the number of

supporters of the first opposition party decreases, whereas the number of supporters of the second opposition party and the ruling party increases. Depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. The ruling party loses the election;
2. The ruling party wins the election(ex. figure 4).

Case 5:

Until the time $T_1 = 400$ days the number of supporters of both parties increases. After this moment until the next election $T = 1460$ days, the number of supporters of the first and second opposition parties increases, whereas the number of supporters of the ruling party decreases. Depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. The ruling party loses the election (ex. figure 5);
2. The ruling party wins the election.

Case 6:

Until the time $T_1 = 400$ days the number of supporters of the opposition party is increasing, while the number of supporters of the ruling party is decreasing. After this moment until the next election $T = 1460$ days, the number of supporters of the first and second opposition parties increases, whereas the number of supporters of the ruling party decreases. Depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. The ruling party loses the election (ex. figure 6);
2. The ruling party wins the election.

Case 7:

Until the time $T_1 = 400$ days the number of supporters of the opposition party is increasing, while the number of supporters of the ruling party is decreasing. After this moment until the next election $T = 1460$ days, the number of supporters of the first opposition party decreases, whereas the number of supporters of the second opposition party and the ruling party increases. Depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. The ruling party loses the election (ex. figure 7);
2. The ruling party wins the elections.

Case 8:

Until the time $T_1 = 400$ days, the number of supporters of the opposition party is decreasing, while the number of supporters of the ruling party is increasing. After this moment until the next election $T = 1460$ days, the number of supporters of the first and second opposition parties increases, whereas the number of supporters of the ruling party decreases. Depending on the selection of the model coefficients, two election results were obtained:

1. The ruling party loses the election;
2. The ruling party wins elections (ex. figure 8).

It should be specially noted that with some selection of the variable coefficients of the model (for example, when the coefficient of attracting supporters for the emerging second opposition party significantly exceeds the coefficients of attracting the other two parties), in the time interval (T_1, T) there is an effect of an increase and a subsequent decrease in the number of supporters of the first opposition and the ruling party, i.e. the functions $N_1(t)$ and $N_3(t)$, $t \in (T_1, T)$, have a stationary point $t^* \in (T_1, T)$, where $N_1'(t^*) = 0$ and stationary point $t^{**} \in (T_1, T)$, where $N_3'(t^{**}) = 0$ (figure 9).

Conclusions

The paper considers a nonlinear mathematical model of the transition of bipartisan elections to three-party elections, when in the period between elections to the political arena the second opposition party stands. In the case, with the zero demographic factor of all three batches, and also with some relation between the variable coefficients of the model in the segment $[0, T_1]$ and the constancy of the model coefficients in the interval (T_1, T) , exact solutions are found.

In the case of variability of all coefficients of the model, numerous computer calculations are performed, in which, depending on the choice of variable coefficients and initial data, different election results are obtained.

The results of the numerical account can be used by both the ruling and opposition parties to achieve their goals.

References:

1. Aldrich J., McGinnis M. Party constraints on optimal candidate positions. *Math/ Cornput. Modelling*, 1989, Vol. 12, No. 415, pp. 437-450.
2. Belenky A., King D. A mathematical model for estimating the potential margin of state undecided voters for a candidate in a US Federal election, *Mathematical Computer Modeling*, 2007, 45, pp. 585-593.
3. Boccara N. Voters' Fickleness: A Mathematical Model. *Int. J. Modern Phys. C*, 2010, 21(2), pp.149-158.
4. Chilachava T.I., Dzidziguri Ts. D. *Mathematical modeling*. Tbilisi, Inovacia, 2008.
5. Chilachava T. I., Kereselidze N. G. Non-preventive continuous linear mathematical model of information warfare. *Sokhumi State University Proceedings, Mathematics and Computer Sciences*, 2009a, №VII, pp. 91-112.
6. Chilachava T. I., Kereselidze N. G. Continuous linear mathematical model of preventive information warfare. *Sokhumi State University Proceedings, Mathematics and Computer Sciences*, 2009b, №VII, pp.113-141.
7. Chilachava, T.I. Chakhvadze A. Continuous nonlinear mathematical and computer Model of information warfare with participation of authoritative

- interstate institutes. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications, 2014, № 4(44), pp. 53-74.
8. Chilachava T.I. Nonlinear mathematical model of dynamics of voters of two political subjects. Seminar of the Institute of Applied Mathematics named I.Vekua Reports,2013, vol.39, pp. 13-22.
 9. Chilachava T.I., Sulava L.O. Mathematical and computer modeling of non-linear processes of elections with two selective subjects. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications,2015, № 2(46), pp. 61-78.
 10. Chilachava T.I.,Sulava L.O. Mathematical and computer modeling of three-party elections. Georgian Electronic Scientific Journal: Computer Science and Telecommunications2016a, № 2 (48), pp. 59-72.
 11. Chilachava T.I.,Sulava L.O. Mathematical and computer modeling of three-party elections.Georgian Electronic ScientificJournal: Computer Science and Telecommunications, 2016, № 2(46), pp. 59-72.
 12. Chilachava T. I. Mathematical model of transformation of two-party elections to three-party elections. ScientificJournal: Computer Science and Telecommunications, 2017, № 2(52), pp. 21 - 29.
 13. Fieldhouse E., Shryane N., Pickles A. Strategic voting and constituency context: Modelling party preference and vote in multiparty elections. Political Geography, 2007, Volume 26, Issue 2, pp. 159-178.
 14. Shofield N., Sened I. Modeling the interaction of parties, activists and voters: Why is the political center so empty? European Journal of Political Research, 2005, 44: 355-390.

Fig 1.




Fig 2.




Fig 3.




Fig 4.




Fig 5.




Fig 6.




Fig 7.




Fig 8.





Fig 9.



თემურ ჩილაჩავა, ლეილა სულავა

არჩევნების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ორპარტიული (სახელისუფლებო და ერთი ოპოზიციური პარტიები) არჩევნების სამპარტიული (სახელისუფლებო და ორი ოპოზიციური პარტიები) არჩევნებებზე ტრანსფორმაციის მათემატიკური და კომპიუტერული მოდელები.

კერძო შემთხვევაში, როცა სამივე პოლიტიკური პარტიის საარჩევნო დემოგრაფიული ფაქტორი ნულის ტოლია და მოდელის ცვლად კოეფიციენტებს შორის გარკვეულ თანაფარდობას აქვს ადგილი, მიღებულია ზუსტი ანალიზური ამოხსნა.

კომპიუტერული მოდელირება ჩატარებულია მათემატიკური მოდელის ცვლადი პარამეტრების, მათ შორის საარჩევნო დემოგრაფიული ფაქტორების, ზოგად შემთხვევაში.

კომპიუტერული მოდელირებისას, განხილულია შემთხვევები, როცა წინა არჩევნების 400, 800 და 1200 დღის შემდეგ პოლიტიკურ არენაზე გამოდის მეორე ოპოზიციური პარტია (წინა და მორიგი არჩევნების შორის პერიოდი შეადგენს 1460 დღეს, 4 წელს). პირველ შემთხვევაში (როცა $T_1 = 400$ დღეა) ნაჩვენებია, რომ სახელისუფლებო და პირველი ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა რაოდენობების დროზე დამოკიდებულ ფუნქციებს (400, 1460) ინტერვალში გააჩნიათ სტაციონარული წერტილები. ამრიგად (T_1, T) შუალედში ($T_1 = 400, T = 1460$) სახელისუფლებო და პირველი ოპოზიციური პარტიების მხარდამჭერთა რაოდენობების ამსახველი ფუნქციები ჯერ ზრდადია სტაციონარულ წერტილებამდე და მერე კლებადია მორიგ არჩევნებამდე, ხოლო მეორე ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობის ამსახველი ფუნქცია ზრდადია (T_1, T) ინტერვალში.

პედაგოგია
PEDAGOGY

ჯემალ ჯინჯიხაძე

მეთოდოლოგია და მისი სტრუქტურა

მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მუშაობის სწორად წარმართვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მკვლევარი მასწავლებელი კარგად ერკვევა პედაგოგიკის მეთოდოლოგიის არსში, რადგანაც მეთოდოლოგია პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური კვლევის მყარი ფუნდამენტია.

მოკლედ გავეცნოთ მეთოდოლოგიასა და მის სტრუქტურას.

მეთოდოლოგიის (< ბერძ. *μηθιδος* მეთოდი, *λογος* სწავლება) თანამედროვე ენციკლოპედიური განსაზღვრა მრავალი არსებობს, მაგალითად:

- მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ;
- მოძღვრება შემეცნების მეცნიერული მეთოდის შესახებ;
- ერთობლიობა კვლევის მეთოდებისა, ხერხებისა, რომელსაც ამა თუ იმ მეცნიერებაში იყენებენ;
- მოძღვრება საქმიანობის სტრუქტურის, ლოგიკური ორგანიზაციის, მეთოდებისა და საშუალებების შესახებ;
- თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ორგანიზაციისა და აგების პრინციპებისა და ხერხების სისტემა;
- და სხვ.

თუ ამ განსაზღვრებს განვაზოგადებთ და მივანიჭებთ მეტ სიმკაცრეს, მაშინ შეგვიძლია მივიღოთ შემდეგი განზოგადებული განსაზღვრა:

მეთოდოლოგია არის მოძღვრება საქმიანობის ორგანიზაციის შესახებ.

ამ განსაზღვრაში ცალსახადაა დეტერმინირებული მეთოდოლოგიის საგანიც: *საქმიანობის ორგანიზაცია*. ამასთან, ამ ვითარებაში მეთოდოლოგია შეგვიძლია განვიხილოთ ძალიან ფართოდ, ერთის მხრივ, როგორც მოძღვრება ადამიანის ნებისმიერი საქმიანობის შესახებ: იგულისხმება მეცნიერულიც და ნებისმიერი პრაქტიკული პროფესიულიც, მხატვრულიც, თამაშობითიც და სხვ. მეორეს მხრივ, როგორც მოძღვრება ინდივიდუალური და კოლექტიური საქმიანობის შესახებ.

მეთოდოლოგია შეიძლება განვიხილოთ როგორც თეორიული (ყალიბდება ფილოსოფიის დარგად: **გნოსეოლოგია**), ისე პრაქტიკული, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული პრობლემების ამოხსნასა და სამყაროს მიზანმიმართულ გარდაქმნაზე. თეორიული მიისწრაფვის იდეალური ცოდნის მოდელისაკენ, პრაქტიკული კი – ეს არის სასურველი მიზნის მიღწევის პროგრამა (ალგორითმი), საამისო მეთოდ-ხერხების ნაკრები, იმ მკაცრი პირობით, რომ ცდომილებაში არ მოვიდეთ იმ ცოდ-

ნასთან, რომელსაც ჩვენ ვთვლით ჭეშმარიტ ცოდნად.

თუ საფუძვლად ავიღებთ საქმიანობათა იმ კლასიფიკაციას, რომელიც შედგენილია **თამაში-სწავლა-შრომა** მიზნობრივი მიმართულების მიხედვით, მაშინ შეგვიძლია გამოვყოთ მეთოდოლოგიის შემდეგი სახეები:

- **თამაშობითი** საქმიანობის მეთოდოლოგია,
- **სასწავლო** საქმიანობის მეთოდოლოგია,
- **პროფესიული** საქმიანობის მეთოდოლოგია.

თავის მხრივ, პროფესიული საქმიანობა იყოფა ორ გვარობით ჯგუფად:

- **პრაქტიკული** საქმიანობის ფორმები,
- **სპეციფიკური** საქმიანობის ფორმები.

თანამედროვე პირობებში შესაძლებელია, აქტიურად განიხილებოდეს:

- **მეცნიერული** საქმიანობის (კვლევის) მეთოდოლოგია,
- **პრაქტიკული** საქმიანობის მეთოდოლოგია,
- **სასწავლო** საქმიანობის მეთოდოლოგია,
- **მხატვრული** საქმიანობის (ხელოვნების) მეთოდოლოგია,
- **თამაშობითი** საქმიანობის მეთოდოლოგია.

ამგვარად, მეთოდოლოგია განიხილავს საქმიანობის ორგანიზაციას. საქმიანობის ორგანიზება ნიშნავს საქმიანობის მონესრიგებას და მის მოყვანას ერთიან სისტემაში, რომელშიც მკაფიოდ იქნება გამოხატული და გამოკვეთილი საქმიანობის მახასიათებლები, ლოგიკური და დროითი სტრუქტურები.

საქმიანობის განხორციელების პროცესი განიხილება პროექტის ჩარჩოებში; პროექტის რეალიზება ხდება დროითი თანამიმდევრობით ფაზების, სტადიებისა და ეტაპების მიხედვით.

საქმიანობის ციკლის დასრულება განისაზღვრება სამი ფაზით:

- **პროექტების ფაზა**, რომლის მიზანია, ააგოს შესაქმნელი სისტემის მოდელი და დაგეგმოს ამ სისტემის რეალიზაციის გზები;
- **ტექნიკური ფაზა**, რომლის მიზანია სისტემის რეალიზაცია;
- **რეფლექსიური ფაზა**, რომლის მიზანია, შეაფასოს რეალიზებული სისტემა და განსაზღვროს, ეს სისტემა კორექციას საჭიროებს თუ შეიძლება ახალი პროექტის განხორციელება.

ამგვარად, შეიძლება მივიღოთ მეთოდოლოგიის **სტრუქტურის** შემდეგი სქემა:

- **მეთოდოლოგიის საფუძვლები**: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სისტემური ანალიზი, მეცნიერებათმცოდნეობა, ეთიკა, ესთეტიკა.
- **საქმიანობის მახასიათებლები**: საქმიანობის თავისებურებანი, პრინციპები, პირობები, ნორმები.
- **საქმიანობის ლოგიკური სტრუქტურა**: საქმიანობის სუბიექტი, ობიექტი, საშუალებები, მეთოდები, შედეგები.
- **საქმიანობის დროითი სტრუქტურა**: ფაზები, სტადიები, ეტაპები.

➤ **სამუშაოს შესრულებისა და ამოცანების ამოხსნის ტექნოლოგია:**
საშუალებები, მეთოდები, ხერხები.

მეთოდოლოგია ადამიანის საქმიანობის ლოგიკური ორგანიზაციაა და მდგომარეობს კვლევის მიზნისა და საგნის განსაზღვრაში, მის წარმართვაში, მიდგომებისა და ორიენტირების შერჩევაში, იმ საშუალებებისა და მეთოდების შერჩევაში, რომლებიც განაპირობებს საუკეთესო შედეგებს. ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა ხასიათდება მეთოდოლოგიით, მაგრამ კვლევითი საქმიანობის წარმატებაში მეთოდოლოგიას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

კვლევის მეთოდოლოგიის შინაარსის განსაკუთრებული მდგენელია **მიდგომები**. მიდგომა – ეს არის კვლევის რაკურსი, ამოსავალი პოზიცია, ათვლის წერტილი, რომლიდანაც იწყება კვლევა და რომელიც განსაზღვრავს მის ორიენტაციას.

მიდგომები შეიძლება იყოს *ასპექტური, სისტემური და კონცეპტუალური*.

- **ასპექტური** მიდგომა გარკვეული მიზნით პრობლემის რომელიმე ერთი ნახნაგის შერჩევას წარმოადგენს. მაგალითად, პერსონალის განვითარების პრობლემას შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკური ასპექტი, ან კიდევ, სოციალური, ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო და ა. შ.
- **სისტემური** მიდგომა კვლევის მეთოდოლოგიის უფრო მაღალ დონეს ასახავს. იგი თხოულობს პრობლემის ყველა ასპექტის მაქსიმალურად შესაძლებელ გათვალისწინებას, მათ ერთიანობაში ურთიერთკავშირების შესწავლას; მთავარისა და არსებითის გამოყოფას; ასპექტებს, თვისებებსა და მახასიათებლებს შორის კავშირების განსაზღვრას.
- **კონცეპტუალური** მიდგომა გულისხმობს კვლევის კონცეფციის წინასწარ დამუშავებას.

მიდგომები შეიძლება იყოს *ემპირიული, პრაგმატული და მეცნიერული*.

- **ემპირიული** მიდგომები ძირითადად ემყარება ცდას.
- **პრაგმატული** მიდგომები ემყარება უახლოესი შედეგის მიღების ამოცანებს.
- **მეცნიერული** მიდგომები უფრო ეფექტურია. იგი ხასიათდება კვლევის მიზნების მეცნიერული დაყენებით და კვლევის წარმართვაში მეცნიერული აპარატის გამოყენებით.

კვლევის მეთოდოლოგია უნდა მოიცავდეს ორიენტირებისა და შეზღუდვების განსაზღვრასა და ფორმულირებას. მათი სწორი განსაზღვრა უზრუნველყოფს კვლევის ჩატარების თანამიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას.

მეთოდოლოგიაში მთავარ როლს თამაშობს კვლევის საშუალებები და მეთოდები, რომლებიც შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: *ფორმალურ-ლოგიკური, ზოგადმეცნიერული და სპეციფიკური*.

- **ფორმალურ-ლოგიკური** მეთოდები – ეს არის ადამიანის ინტელექტუალური საქმიანობის მეთოდები.
- **ზოგადმეცნიერული** მეთოდები ასახავს კვლევის მეცნიერულ აპარატს.
- **სპეციფიკური** მეთოდები – ეს ის მეთოდებია, რომლებიც კვლევის სპეციფიკითაა განპირობებული.

რისთვისაა საჭირო ვიცოდეთ მეთოდოლოგია? შეიძლება თუ არა პედაგოგიკურ კვლევაში გვერდი ავუაროთ მეთოდოლოგიას?

შევეცადოთ პასუხი გავცეთ ამ საკმაოდ რთულ კითხვებს!

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ პედაგოგიური საქმიანობა თავისი ბუნებით უჩვეულოდ რთულია და მრავალნაზნაგოვანი:

ჯერ ერთი, ეს განისაზღვრება პედაგოგიურ პროცესზე ზემოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების, მართვადი და არამართვადი პირობების, მათი განუმეორებელი შეხამებების სიმრავლითა და მისგან გამომდინარე აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ამოცანების დასმისა და ამოხსნის სრულიად თავისებური მექანიზმით, ასევე, ამ ამოცანების ამოხსნის საშუალებებისა და პირობების მრავალფეროვნებით.

მეორე, პედაგოგიური პროცესი ექვემდებარება ობიექტურ კანონებს, რომელთა გაუთვალისწინებლობა და გამოუყენებლობა მასწავლებელს კარგს ვერაფერს მოუტანს, იგი ვერ მიაღწევს მნიშვნელოვან შედეგს. ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია იცოდეს აღზრდისა და სწავლების უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებები, მან უნდა განავითაროს თავისი პედაგოგიური აზროვნება.

მესამე, პედაგოგიური პროცესი იმდენად მოძრავი, დინამიკური და დიალექტიკურია, რომ არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ დავეუფლოთ პედაგოგიკის ყველა „საიდუმლოს“. ეს „საიდუმლოებები“ ყოველთვის თავიდანაა აღმოსაჩენი, პედაგოგიური პრობლემები მარადიული პრობლემებია, რადგან დროსა და სივრცეში თაობათა ცვლა მარადიული პროცესია.

ურთულესი სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების წარმატებით ამოხსნა შეუძლია მხოლოდ შემოქმედებითად მოაზროვნე მკვლევარ მასწავლებელს, რომელიც მუდმივ ძიებაშია და რომელმაც კარგად იცის პედაგოგიკის მეთოდოლოგია. და კიდევ: მასწავლებელი ვერ შეძლებს ჯეროვნად გააანალიზოს თავისი შრომის შედეგები, ღირსებები და ნაკლოვანებები, თუ არ დაემყარება პედაგოგიკური კვლევის მეცნიერულ მეთოდებს. ამასთან, მოპოვებული ახალი ცოდნის ობიექტურობა უპირველეს ყოვლისა განპირობებულია კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევით.

პედაგოგიკაში მეთოდოლოგიას განსაზღვრავენ როგორც:

- მოძღვრებას პედაგოგიური სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის პრინციპების, მეთოდების, ფორმებისა და პროცედურების შესახებ.
- ცოდნის სისტემას პედაგოგიური თეორიის საფუძვლებისა და

სტრუქტურის შესახებ, პედაგოგიური მოვლენებისა და პროცესების კვლევებისადმი მიდგომების შესახებ, განმავითარებელი სწავლების პირობებში მუდმივად ცვალებადი პედაგოგიური სინამდვილის ამსახველი ცოდნის მოპოვების ხერხების შესახებ.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ პედაგოგიკის მეთოდოლოგია არის მეცნიერული ცოდნის ის სფერო, რომელიც საშუალებას გვაძლევს მეთოდოლოგიური პოზიციებიდან მკაფიოდ გავარკვიოთ კონკრეტული მეცნიერული კვლევის მიმართულება, დავადგინოთ პედაგოგიური საქმიანობის (მოღვაწეობის) სპეციფიკური თავისებურებები და კანონზომიერებები. მკვლევარმა მასწავლებელმა ზუსტად უნდა იცოდეს, რას ემსახურება მისი კვლევა, როგორი შედეგები უნდა მიიღოს და რისი შეცვლა სურს თეორიაში, მეთოდიკაში, პრაქტიკაში.

პედაგოგიკის მეთოდოლოგია – ეს არის **ცოდნის სისტემა**:

- პედაგოგიკური თეორიის საფუძვლებისა და სტრუქტურის შესახებ,
- პედაგოგიური სინამდვილის ამსახველი ცოდნის მოპოვებისადმი მიდგომის პრინციპების შესახებ,
- პედაგოგიური სინამდვილის ამსახველი ცოდნის მოპოვების ხერხების შესახებ,

ეს არის **საქმიანობათა სისტემა**:

- პედაგოგიური სინამდვილის ამსახველი ცოდნის მოპოვების თაობაზე,
- კვლევის პროგრამების, ლოგიკისა და მეთოდების მეცნიერული დასაბუთების თაობაზე,
- კვლევითი მუშაობის ხარისხის შეფასების თაობაზე.

მიღებულია პედაგოგიკის მეთოდოლოგიის **ოთხი დონის** გამოყოფა:

პირველი – ფილოსოფიური დონე (ეგზისტენციალიზმი, ნეოტომიზმი, პოზიტივიზმი, ნეოპოზიტივიზმი, პრაგმატიზმი, დიალექტიკური მატერიალიზმი და სხვ.). ეს დონე ქმნის პირობებს, მკაფიოდ ჩამოყალიბდეს პედაგოგიური პრაქტიკის ზოგადმეცნიერული საფუძვლები.

მეორე – ზოგადმეცნიერული დონე (კონცეფციები, რომლებიც გამოიყენება მრავალ მეცნიერებაში. სისტემური მიდგომა, საქმიანობრივი მიდგომა, მეცნიერული კვლევების სხვადასხვა ტიპის დახასიათება, მათი ეტაპები და ელემენტები: კვლევის ჰიპოთეზა, ობიექტი, საგანი, მიზანი, ამოცანები და ა. შ.). ეს დონე მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების ოპტიმალური სასწავლო-აღმზრდელობითი პირობების შექმნას.

მესამე – კონკრეტულ-მეცნიერული დონე (ამოსავალი თეორიული კონცეფციები. ამა თუ იმ სპეციალურ მეცნიერულ დისციპლინაში, მაგალითად, პედაგოგიკაში, გამოყენებადი კვლევის მეთოდებისა და პრინციპების ერთობლიობა). სპეციალური მეცნიერების მეთოდოლოგია მოიცავს ამოსავალ თეორიულ კონცეფციებს. ეს დონე უზრუნველყოფს პედაგოგიკურ მეცნიერებათა მიერ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კანონებისა და კანონზომიერებების გამოვლენისა და ჩამოყალიბების

პირობებს და მის საფუძველზე სწავლებისა და აღზრდის პროცესების სწორად წარმართვას.

მეოთხე – *ტექნოლოგიური დონე* (კვლევის მეთოდოლოგია და ტექნიკა). ეს დონე უზრუნველყოფს ისეთი პირობების შექმნას, სადაც ადვილად შეგვეძლება სწორად გავიაზროთ პედაგოგიკის საგანი და ობიექტი, მეცნიერებათა კატეგორიები განვსაზღვროთ თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთშესაბამისობის ფონზე, ეფექტურად გამოვიყენოთ პედაგოგიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან, ვიკვლიოთ ფუნდამენტალური პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური პრობლემები პედაგოგიკური მეცნიერების შემდგომი განვითარების მიზნით.

პედაგოგიკის ზოგადი მეთოდოლოგია ითვალისწინებს:

- მატერიალისტური დიალექტიკის ძირითად დებულებებსა და პრინციპებს.
- წინააღმდეგობრიობათა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს, რომლის თანახმადაც ადამიანთა სწავლებისა და აღზრდის პროცესი არის რთული, წინააღმდეგობრივი და თვითგანვითარებადი.
- რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლის კანონს, რომლის თანახმადაც პედაგოგიური ზემოქმედების გაზრდა მიგვიყვანს მათი ხარისხის გაუმჯობესებამდე.
- უარყოფის უარყოფის კანონს, რომლის გამოვლინების შესაბამისად სწავლებისა და აღზრდის პროცესში დადებითი თვისებების, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფორმირება აძნელებს უარყოფითი მახასიათებლების ფუნქციონირებას, თუ ადამიანს ახასიათებს იგი.
- მატერიალისტური დიალექტიკის ძირითად კატეგორიებს.
- წარმოდგენებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისაგან, ხალხის კულტურული და ეთნიკური თავისებურებებისაგან პედაგოგიური პროცესის დამოკიდებულების შესახებ.
- წარმოდგენებს ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკური აზრის განვითარების დონისაგან, საზოგადოებაში და მის საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციისაგან პედაგოგიური პროცესის დამოკიდებულების შესახებ.
- იდეალისტური ფილოსოფიის დებულებებს, სადაც პირველად ითვლება ადამიანის ცნობიერებისა და გრძნობების, მისი მიმართებების სფერო, ხოლო მატერიალური საქმიანობა მეორადია (მაგალითად, ეგზისტენციალიზმი – პიროვნულ-ორიენტირებული განათლების ფილოსოფიური საფუძველი).

პედაგოგიკის სპეციალური მეთოდოლოგია ითვალისწინებს:

- წარმოდგენებს ადამიანის ცნობიერებისა და ფსიქიკის შესახებ, აგრეთვე, მასზე პედაგოგიური ზემოქმედების შესაძლებლობებს.
- საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის პროცესში საზოგადოებაში და ჯგუფში პიროვნების განვითარების თავისებურებებს.

- პიროვნების აღზრდისა და თვითაღზრდის ერთმთლიანობას.

პედაგოგიკის კერძო მეთოდოლოგია ითვალისწინებს:

- სწავლებისა და აღზრდის კანონზომიერებებს.
- სწავლებისა და აღზრდის პრინციპებს.
- სწავლებისა და აღზრდის მეთოდებს.

ყოველი მეცნიერების მეთოდოლოგია მყლავნდება, აშკარავდება მისთვის სპეციფიკური და ფარდობითი დამოუკიდებლობის მექონე მიდგომების მეშვეობით. თანამედროვე პედაგოგიკასა და პედაგოგიკურ კვლევებში რეალიზდება: *სისტემური, პიროვნული, საქმიანობრივი, პოლისუბიექტური, კომპლექსური, ბუნებისშესაბამისი, კულტუროლოგიური, ეთნოპედაგოგიური, ანთროპოლოგიური და კომპეტენციური მიდგომები*, და სწორედ ეს მიდგომები წარმოადგენენ ასეთი კვლევების **მეთოდოლოგიურ პრინციპებს**.

მოკლედ მიმოვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

1. სისტემური მიდგომა (კუზმინა, იაკუნინი და სხვ.), რომლის არსი ასეთია: შედარებით დამოუკიდებელი კომპონენტები განიხილება როგორც ერთობლიობა ისეთი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისა, როგორცაა: განათლების მიზნები, პედაგოგიური პროცესის სუბიექტები – მასწავლებელი და მოსწავლე, განათლების შინაარსი, პედაგოგიური პროცესის მეთოდები, ფორმები, საშუალებები. *აღმზრდელის ამოცანაა* კომპონენტების ურთიერთკავშირის გათვალისწინება.

ასეთი მიდგომის დროს:

- ნებისმიერი პედაგოგიკური მოვლენა განიხილება როგორც ერთმთლიანი სისტემა.
- განისაზღვრება პედაგოგიური პროცესის ის მხარეები, რომლებიც ექვემდებარება დიაგნოსტიკას.
- ანალიზირდება სადიაგნოსტიკო ობიექტის ძირითადი შიგადაკავშირებები.
- განისაზღვრება სადიაგნოსტიკო ობიექტის სტრუქტურა და ორგანიზაცია.

სისტემური მიდგომა მკვლევარს აძლევს საშუალებას, ორიენტირება აიღოს ობიექტის ერთმთლიანობის გამომჟღავნებაზე, მისი რთული შიგა და გარე კავშირების მკაფიოდ გამოვლენაზე, სადაც ამ კავშირებს შორის გამოსაყოფია ის კავშირები, რომლებიც ამ ობიექტისათვის არსებითია და მისთვის მახასიათებელ სისტემას ქმნიან; გამოყოს ცალკეული კომპონენტების ზოგადი თვისებები და მახასიათებლები.

2. პიროვნული მიდგომა (ამონაშვილი, როჯერსი და სხვ.) პიროვნებას აღიარებს როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების პროდუქტს და კულტურის მატარებელს. ეს მიდგომა არ უშვებს პიროვნების დაყვანას ნატურამდე. პიროვნება არის პედაგოგიური პროცესის მიზანი, სუბიექტი, შედეგი და მისი ეფექტურობის მთავარი კრიტერიუმი. *აღმზრდელის ამოცანაა* პიროვნების მონაცემებისა და შემოქმედებითი პოტენციალის თვითგანვითარებისათვის პირობების შექმნა.

პიროვნული მიდგომა მკვლევარს ავალებს იმის გათვალისწინებას,

რომ:

- ეს მიდგომა ნიშნავს პედაგოგიური პროცესის კონსტრუირებისა და განხორციელებისას მოსწავლის პიროვნებაზე განუხრელად ორიენტირებას.
- ეს მიდგომა მკვლევარისაგან დაჟინებით მოითხოვს, გაითვალისწინოს პიროვნების უნიკალურობა, მისი ინტელექტუალური და სულიერი პოტენციალი.
- ამ მიდგომის ჩარჩოებში მკვლევარი სწავლებისა და აღზრდის პროცესში ეყრდნობა მოსწავლის თანდაყოლილი მონაცემების თვითგანვითარების ბუნებრივ პროცესს და მოსწავლეს ღებულობს აღმზრდელობითი ურთიერთქმედების სუბიექტად.

3. საქმიანობრივი მიდგომა (ლეონტიევი, რუბინშტეინი და სხვ.).

საქმიანობა არის პიროვნების განვითარების საფუძველი. საშუალება და პირობა, ეს არის გარესინამდვილის მოდელის მიზანშეწონილი გარდაქმნა ხალხის მიერ. ასეთი გარდაქმნის ამოსავალი ფორმაა შრომა. ადამიანის მატერიალური და სულიერი საქმიანობის ყველა სახე არის შრომისაგან წარმოებული და თავის თავში ატარებს მის მთავარ მახასიათებელს – გარესამყაროს შემოქმედებითი გარდაქმნა. ბუნების გარდაქმნისას ადამიანი გარდაქმნის საკუთარ თავსაც, და გვევლინება საკუთარი განვითარების (თვითგანვითარების) სუბიექტად. აღმზრდელის ამოცანაა ბავშვის საქმიანობის შერჩევა და ორგანიზაცია შრომისა და ურთიერთობების სუბიექტის პოზიციებიდან. ეს გულისხმობს საქმიანობის გაცნობიერებას, მიზანდასახულობას, დაგეგმარებას, მის ორგანიზაციას, შედეგების შეფასებასა და თვითანალიზს (რეფლექსიას).

საქმიანობრივი მიდგომა:

- მკვლევარს აძლევს საშუალებას, ორიენტირება აიღოს მოსწავლეთა სასწავლო, სასარგებლო შრომითი, სულიერი და საქმიანობის სხვა სახეების სტრუქტურის ანალიზზე. ამასთან, იგულისხმება ორიენტირება ამ საქმიანობათა მდგენელების შესწავლაზე (საგნობრივი შინაარსი, მოტივაციები, მიზნები, საშუალებები და შედეგები).
- მკვლევარისაგან მოითხოვს საგანგებო მუშაობას, რომლის მკაფიო მიზანია მოსწავლის საქმიანობის შერჩევა და ორგანიზება, მოსწავლის აქტივიზაცია და მისი გადაყვანა შემეცნების სუბიექტის პოზიციამდე. ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს მოსწავლეებში საქმიანობის მიზნის, დასაბუთებული დაგეგმარების, მისი ორგანიზაციისა და რეგულირების, კონტროლის, თვითანალიზისა და საქმიანობის შედეგების შეფასების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.
- მკვლევარს აძლევს სტიმულს იმისას, რომ აღიაროს მოსწავლის საქმიანობისა და ფსიქიკის ერთიანობა, მის შინაგან და გარეგან საქმიანობათა აგებულების ერთმთლიანობა.

4. პოლისუბიექტური (დიალოგიური) **მიდგომა** (ბიბლერი, ბახტინი

და სხვ.). ადამიანის არსი უფრო მდიდარია, ვიდრე მისი საქმიანობა. პიროვნება არის ადამიანებთან ურთიერთობებისა და მისთვის მახასიათებელი მიმართებების პროდუქტი და შედეგი, ე. ი. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქმიანობის საგნობრივი შედეგი, არამედ – მიმართებების შედეგიც. ამიტომ გასათვალისწინებელია ადამიანის შინაგანი სამყაროს „დიალოგური“ შინაარსის ფაქტიც. *ალმზრდელის ამოცანაა*: თვალყური ადევნოს ურთიერთმიმართებებს, ხელი შეუწყოს ჰუმანურ მიმართებებს, შექმნას კარგი ფსიქოლოგიური კლიმატი კოლექტივში. **პოლისუბიექტური მიდგომა**, პიროვნულ და საქმიანობრივ მიდგომებთან ერთად, ჰუმანისტური პედაგოგიკის მეთოდოლოგიის არსს გამოხატავს. ამ მიდგომის გამოყენება მკვლევარს აძლევს საშუალებას, შექმნას მასწავლებლისა და მოსწავლის, როგორც შემეცნებითი საქმიანობის სუბიექტების, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ერთმთლიანობა, რომლის წყალობითაც „ობიექტური“ ზემოქმედება ადგილს უთმობს ურთიერთგანვითარებისა და თვითგანვითარების, ურთიერთგანათლებისა და თვითგანათლების, ურთიერთაღზრდისა და თვითაღზრდის შემოქმედებით პროცესებს.

5. კომპლექსური მიდგომა მკვლევარს აძლევს საშუალებას, ორიენტირება აიღოს მოვლენათა ჯგუფის განხილვაზე მათ ერთობლიობაში, ერთმთლიანობაში (მაგალითად, თუ საკვლევი თემაა „სასკოლო სოციალური აღზრდის სისტემა“, მაშინ მკვლევარი ითვალისწინებს:

- ობიექტურ და სუბიექტურ პირობებსა და ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებს მოსწავლეთა სოციალური აღზრდის ეფექტურობაზე.
- სამოქალაქო, ზნეობრივი, შრომითი, ეკონომიკური, ფიზიკური, ემოციური და აღზრდის სხვა ტიპების ურთიერთკავშირებს.
- მოსწავლეთა აღზრდაზე სკოლის, ოჯახისა და სოციალური გავლენათა ერთიანობასა და კოორდინაციას.

6. ბუნებისშესაბამისი მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას ბუნებისა და ადამიანის განვითარების ზოგადკანონზომიერებათა შესაბამისად. **ბუნებისშესაბამისი მიდგომა** მკვლევარს ავალებს ამ კანონზომიერებათა გამოყენებას.

7. კულტუროლოგიური მიდგომა (ბიმ-ბადი, კაგანი და სხვ.). ამ მიდგომის საფუძველია **აქსიოლოგია** – მოძღვრება ფასეულობებისა და სამყაროს ფასეულობითი სტრუქტურის შესახებ. იგი განპირობებულია ადამიანის ობიექტური კავშირით კულტურასთან როგორც ფასეულობათა სისტემასთან, რომელიც გამოიმუშავა კაცობრიობამ. ადამიანის მიერ კულტურის ათვისება წარმოადგენს თვით ადამიანის განვითარებას და მის ქმნადობას შემოქმედებით პიროვნებად. ათვისებული კულტურის საფუძველზე იგი უკვე თვითონ ქმნის პრინციპიალურად ახალს, იგი კულტურის ახალი ელემენტების შემოქმედია. *ალმზრდელის ამოცანაა*, ბავშვები ჩართოს კულტურულ დინებაში, მოახდინოს მათი შემოქმედების აქტივიზაცია, აზიაროს ისინი კულტურის სხვადასხვა პლასტებს, როგორც ფასეულობათა სისტემას. კულტუროლოგიური მიდგომა ავალებს

მკვლევარს, გამოიყენოს ეს ყოველივე პედაგოგიკურ კვლევებში, განიხილოს პრობლემები თანამედროვე კულტურაში მიმდინარე ცვლილებების პოზიციებიდან, პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილ ანალოგიურ პროცესებთან შედარებაში, აილოს ორიენტაცია იმ სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილებებზე, რომლებიც ნაყენებულია პიროვნების ფორმირებისა და განვითარების მიმართ.

8. ეთნოპედაგოგიური მიდგომა გულისხმობს აღზრდის დაფუძნებას ეროვნულ ტრადიციებზე, კულტურაზე, წეს-ჩვეულებებზე. ბავშვი გარკვეულ ეთნოსში ცხოვრობს და ამ ეთნოსში უამრავ მშობლიურ ფასეულობას ეზიარება. ეროვნული კულტურა სპეციფიკურ და განუმეორებელ კოლორიტს აძლევს იმ გარემოს, რომელშიც ფუნქციონირებს საგანმანათლებლო დაწესებულება და, რომელშიც მიმდინარეობს პედაგოგიური პროცესი. *აღმზრდელის ამოცანაა*, ერთის მხრივ, შეისწავლოს ეთნოსი, შექმნას შესაბამისი სასწავლო გარემო, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ ფასეულობებზე, და, მეორეს მხრივ, მაქსიმალურად გამოიყენოს მისი აღმზრდელობითი შესაძლებლობები. **ეთნოპედაგოგიური მიდგომა** მკვლევარს ავალებს სწორედ ასეთ შესაძლებლობათა გამოყენებას კვლევის პროცესში.

9. ანთროპოლოგიური მიდგომა (უშინსკი, ბიმ-ბადი და სხვ.) გულისხმობს ადამიანის შემსწავლელი ყველა მეცნიერების მონაცემების სისტემურ გამოყენებას და მათ გათვალისწინებას პედაგოგიური პროცესის აგებისა და განხორციელებისას. სწორედ ამის გათვალისწინებას ავალებს მკვლევარს ასეთი მიდგომა.

10. კომპეტენტურობითი მიდგომა (ხუტორსკი, ლებედევი და სხვ.) ორიენტირებულია პიროვნების მზაობაზე სხვადასხვა გვარის პრობლემის ამოხსნისათვის, საქმიანობისათვის. ეს მიდგომა ქმნის საგანმანათლებლო შედეგების ახალ ტიპს, რომელიც არ დაიყვანება უნარ-ჩვევების კომბინაციებზე. ეს საგანმანათლებლო შედეგები, რომლებსაც კომპეტენტურობები ეწოდება, განიხილება როგორც რთული რეალური ამოცანების ამოხსნის უნარები. ეს ამოცანები შეიძლება იყოს პროფესიული, სოციალური, მსოფლმხედველობითი, კომუნიკაციური, პიროვნული. მკვლევარს **კომპეტენტურობითი მიდგომა** სწორედ ამის გათვალისწინებას ავალებს.

პედაგოგიკის მეთოდოლოგიური პრინციპები (მიდგომები), რომლებიც განვიხილეთ ზემოთ, საშუალებას გვაძლევს, **ჯერ ერთი**, გამოვყოთ, გამოვანაწევროთ მისი ნამდვილი პრობლემები და განვსაზღვროთ მათი ამოხსნის (გადანყვეტის) ძირითადი ხერხები და სტრატეგიები; **მეორე**, გავანალიზოთ საგანმანათლებლო პრობლემების მთელი ჯამი და დავადგინოთ მათი იერარქია (მნიშვნელოვნობის რიგი); **მესამე**, – პროგნოზირება განვასხორციელოთ ყველაზე ზოგადი სახით; **მეოთხე** – განვასხორციელოთ განათლების ჰუმანისტური პარადიგმის რეალიზება, **მეხუთე** – გამოვავლინოთ საკუთარი პიროვნული პოზიცია.

ამასთან, მეცნიერულ-პედაგოგიკური კვლევის ჩატარებისას **აუცილებელია**:

- ამოვიდეთ პედაგოგიკური მოვლენების ობიექტურობიდან და

მათი დეტერმინირებულობიდან – ისინი არსებობენ და ვითარდებიან შინაგანი ობიექტური კანონების, წინააღმდეგობრიობებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოქმედების ძალით.

- პედაგოგიკური მოვლენებისა და პროცესების შესწავლაში უზრუნველვყოთ ერთიანი (ერთმთლიანი) მიდგომა.
- მოვლენები და პროცესები შევისწავლოთ მათ განვითარებაში, დინამიკაში.
- მოცემული მოვლენა თუ პროცესი შევისწავლოთ სხვა მოვლენებთან თუ პროცესებთან მის კავშირებსა და ურთიერთქმედებებში.
- განვითარების პროცესი განვიხილოთ როგორც თვითმოდრაობა და თვითგანვითარება, რაც განპირობებულია მისთვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობრიობებით, რომლებიც მამოძრავებელ ძალასა და განვითარების წყაროს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. Chkuaseli Q., Chkuaseli I. Pedagogikis zogadi safudzvebi. Tbilisi, 2012.
2. Davidov V. P., Obrazcov P. I., Uman A. I. Metodologia i metodika psikhologo-pedagogicheskikh issledivaniy. Moskva, 2006.
3. Jinjikhadze J. Pedagogikuri kvleva (Metodologia, metodebi, metodika), Tbilisi, 2016.
4. Koheni L., Lourens Manioni L., Morisoni K. Kvlevis metodebi ganatlebash (https://docs.google.com/viewer?a=v&pid=sites&srcid).
5. Kraevski, V. V., Berezhnova E.V. Metodologia pedagogiki: noviy etap. Moskva, 2008.
6. Kushner Yu. Z. Metodologia i metodi pedagogicheskikh issledivaniy. Mogilev, 2001.
7. Malazonia Sh. Pedagogika, Tbilisi, 2001.
8. Pedagogika: teorii, sistemi, tekhnologii. Pod red. S. A. Smirnova. Moskva, 2006.
9. Valeev G. Kh. Metodologia i metodi psihologo-pedagogichesk ihissledivaniy. Sterlimatak, 2002.
10. Vasadze N. Pedagogika, Tbilisi, 2000.
11. Zagviazinski V. I., Atahanov R. Metodologia i metodika psikhologo-pedagogicheskikh issledivaniy. Moskva, 2008.

Jemal Jinjikhadze

METHODOLOGY AND ITS STRUCTURE

Summary

Methodology is a logic organization of man's activity and its aim is to define the research target and subject, its management, selection of approaches and orientation and the means and methods which condition the best results. Any activity of human being is characterized by methodology, but in successful result of research activity methodology plays the crucial role. The approach is a plan of research and its starting position and point from which research starts and determines its orientation. In this paper methodology of pedagogic research and its structure has been studied from this viewpoint.

რუსუდან ფიფია

დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში განათლების მიზანია იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისება, რომელიც ეხმარება თითოეულ ადამიანს დაიმკვიდროს თავი საზოგადოებაში და მიაღწიოს წარმატებას. ცოდნის ათვისება ყველას ერთნაირად არ შეუძლია, ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში (სკოლაში) იყენებენ სხვადასხვა სახის მიდგომებს, მეთოდებს, სტრატეგიებს, რათა მოსწავლეებმა დაძლიონ ის ბარიერი, რაც მათ ხვდებათ სწავლაში და სასწავლო პროცესში გამოყენებული მეთოდები მათ საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე იყოს მორგებული.

ბოლო ხანებში საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებულმა რეფორმებმა მოითხოვა ახლებურად განსაზღვრულიყო მასწავლებელთა განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, შესაბამისად შეიცვალა და განვითარდა მასწავლებლების მიმართ ნაყენებული მოთხოვნები, გამრავალფეროვნდა მეთოდები და ხერხები, სასკოლო გარემოში დიფერენცირებული მიდგომის მიმართულებითაც შეიქმნა ახალი მეთოდური ლიტერატურა (Mastsavleblis saqmianobis..., 2016) ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შეიქმნა საგნობრივი გზამკვლევები მასწავლებელთათვის, სადაც განხილულია ამა თუ იმ საგნის სწავლებისას გამოსაყენებელი ინტერაქტიური მეთოდები.

ახალი, 2017-2023 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, პირველ რიგში, გულისხმობს წლიურის ნაცვლად საფეხურებრივი სტანდარტების დანერგვას, რომლებიც ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და მათი მიღწევის გზებსა და საშუალებებზე. გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის სასწავლო პროცესის დაგეგმვას მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რაც ეხმარება მოსწავლეს ფუნდამენტური, მყარი, დინამიკური ცოდნის კონსტრუირებაში. სტანდარტის საფეხურებრივი შედეგების შემოტანა მეტ თავისუფლებას იძლევა და პირდაპირ პასუხობს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას, რაც არის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მთავარი ღერძი. პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი.

საფეხურებრივი სტანდარტი მასწავლებელს მეტ საშუალებას აძლევს, სწორად შეუწყოს ხელი ბავშვზე მორგებული სისტემის ამოქ-

მედებს, საგანმანათლებლო პროცესი მოარგოს ცალკეული მოსწავლის განვითარების ტემპს, გაითვალისწინოს თითოეული მათგანის ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, სწავლის სტილი, პირადი გამოცდილება და აკადემიური საჭიროებები. ასევე, ყოველ კონკრეტულ სკოლას საშუალება ეძლევა, თავად დაგეგმოს დროის გარკვეული მონაკვეთისათვის საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეების შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დიფერენცირებასა და თითოეულ მოსწავლეზე მისადაგებული სწავლების დანერგვას. დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. ესაა ერთ კლასში მყოფი განსხვავებული მიღწევების მქონე მოსწავლეთა განსხვავებულად სწავლება. სწავლის დიფერენცირებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთსა და იმავე კლასში მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფთან განსხვავებული მეთოდების და/ან რესურსების გამოყენება. იგი ითვალისწინებს ერთი კლასის მოსწავლეების დაჯგუფებას/დაყოფას დონეების მიხედვით.

დიფერენცირებული სწავლების მთავარი მიზანია, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით დიფერენცირებული სწავლება ცალსახად არ გულისხმობს განსხვავებული მონაცემების მქონე მოსწავლეების მიერ თანაბარი შედეგების მიღწევას. შესაძლებელია, სუსტი მოსწავლე ყოველთვის ვერ დაენიოს წარმატებულს, თუმცა, ზოგჯერ სუსტი მოსწავლე ისეთივე შედეგს აღწევს, როგორც წარმატებული. დიფერენცირებულ მიდგომით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაძლიონ სწავლის პროცესში წარმოქმნილი ბარიერები და მკვეთრად გააუმჯობესონ შედეგები.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დიფერენცირებული სწავლება – ეს არის სასწავლო პროცესის იმგვარი ორგანიზება, რომელიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის საჭიროებებზე. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოლოდინების გაცნობიერება;
2. მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა;
3. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იგებენ მოსწავლეები დავალებას;
4. სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით შედეგების შემოწმება და ანალიზი.

დიფერენცირებული სწავლების ეფექტური გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას და უნიკალურ გამოცდილებას (Sastsavlo-metoduri..., 2015: 19).

დიფერენცირებული სწავლება ემყარება მასწავლებლის რწმენას, რომ

ყველა მოსწავლეს შეუძლია სწავლა. დიფერენცირებულ გაკვეთილზე სხვადასხვა სახის სტრატეგია გამოიყენება, მათ შორისაა: დამოუკიდებელი კითხვა, ასევე მცირე ჯგუფური და საერთო საკლასო დისკუსიები. დიფერენცირებული სწავლება თავიდან რთული შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ პრაქტიკაში ის სულ უფრო და უფრო ბუნებრივი ხდება. ამ ტიპის სწავლებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი სირთულე ისაა, რომ მისი არასათანადოდ განხორციელება მოსწავლეთა სტიგმატიზაციამდე მიგვიყვანს.

მკვლევარები სწავლებისადმი მიდგომისას განასხვავებენ დიფერენცირებას **მზაობის და ინტერესის** მიხედვით: მზაობის მიხედვით დიფერენცირება ხდება იმის მიხედვით, თუ რამდენად დაძლიეს მოსწავლეებმა სასწავლო მიზნები. ამ ინფორმაციას მასწავლებელი იღებს განმავითარებელ შეფასებაზე დაყრდნობით. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელმა შეიძლება დაადგინოს, რომ, მაგალითად, მომდევნო სასწავლო თემის სიღრმისეულად განხილვაზე გადასასვლელად მოსწავლეთა 75%-ს სჭირდება რამდენიმე ცნების განმარტება და კარგად გააზრება. ამიტომ, მომდევნო გაკვეთილისთვის მან უნდა დაგეგმოს ისეთი აქტივობა, რომელიც მოსწავლეებს როგორც ბაზისური ცნებების, ისე ამ ცნებებთან დაკავშირებული უფრო რთული საკითხების შესწავლის შესაძლებლობას მისცემს.

ინტერესის მიხედვით დიფერენცირება ყველაზე ეფექტური მიდგომაა, რადგანაც ალბათ სადავო არ არის, რომ რაც უფრო მეტად აინტერესებს მოსწავლეს საკითხი, მით უფრო მეტად ერთვება ის სასწავლო პროცესში. ასევე იზრდება მისი მოტივაცია, მიაღწიოს სასწავლო მიზანს. მასწავლებელს შეუძლია გარკვეულ შემთხვევებში მოსწავლეს მისცეს შესაძლებლობა, აირჩიოს სასწავლო თემასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს. მაგალითად, თუ მათემატიკის მასწავლებელს სურს, ასწავლოს მოსწავლეებს მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მას შეუძლია მოსწავლეების ინტერესების მიხედვით შეარჩიოს თემა, რომელიც მონაცემების შეგროვებას უკავშირდება. ბიოლოგიის მასწავლებელმა კი იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ თავიანთი ცოდნის დემონსტრირება, შეიძლება მათ რეფერატის დაწერა, ლაბორატორიული ცდის ჩატარება ან სოციალური რეკლამის შექმნა შესთავაზოს. მოსწავლეებს შეიძლება ერთი და იგივე სასწავლო მიზანი ჰქონდეთ, მაგრამ მიეცეთ შესაძლებლობა, აირჩიონ სხვადასხვა სახის სტრატეგია ამ მიზნის მისაღწევად (Khundzakashvili, biveri, 2018: 35-36).

ინდივიდუალურ სწავლებაზე ორიენტირებული მეთოდი გულისხმობს შემთხვევას, როცა პედაგოგები და სკოლა ფიქრობენ „ვასწავლოთ ყველას ერთნაირად“, რაც ნიშნავს სწავლებისადმი უნიფიცირებულ მიდგომას და არასწორია. დიფერენცირებული მეთოდის გამოყენება მაქსიმალურად ითვალისწინებს ბავშვების თავისებურებებს, შესაძლებლობებს ინტერესებს. დიფერენცირებული მიდგომა სწავლების სხვა ფორმებთან შედარებით ყველაზე უკეთ უწყობს ხელს მოსწავლის ინდივიდუალობასა და პიროვნული თვისებების განვითარებას. აღსანიშნავია, რომ დიფერენცირებული სწავლების აგება შეუძლებელია ყოველი მოსწავლის,

როგორც პიროვნებისა და ინდივიდის თითოეული მოსწავლისათვის დამახასიათებელი პიროვნული და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. სწავლებაში დიფერენცირებული მიდგომა ითვალისწინებს მოსწავლეთა, როგორც გონებრივ განვითარებას ასევე ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.

მასწავლებლის პროფესიულ ეთიკაზე დაფუძნებული მაღალი პროფესიონალიზმი, მისი მუდმივი დაკვირვება მოსწავლეებზე, პრაქტიკული კვლევით გამყარებული შეხედულებები საკლასო აუდიტორიაზე, უფრო მოქნილს და მაღალეფექტურს ხდის დიფერენცირებული სწავლების ნიუანსებს ყველა საფეხურის მოსწავლეებთან. სასკოლო გარემოს და მოსწავლის ინდივიდუალურ მდგომარეობას, მის მუდმივ მცდელობას აღმოაჩინოს საკუთარი თავი, შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა ხელს უწყობს მასწავლებლის მიდგომა და დიფერენცირება, სხვა შემთხვევაში დიფერენცირება სწავლებაში შეიძლება გახდეს მოსწავლეთა დემოტივაციის მიზეზი.

ლიტერატურა:

1. Mastsavleblis saqmianobis datskebis, profesiuli gabvitarebisa da karieruli tsinsvlis sqemis gzamkvlevi, natsili I-II. Tbilisi, 2016.
2. Sastsavlo-metodologiuri resursta krebuli, kithkhvisa da tseris stsavleba datskebit safekhurebze, I-IV klasi. Tbilisi, 2015.
3. Khundzakashvili M. Biveri S. Ganmavitarebeli shefaseba da diferencirebuli stavleba. Tbilisi, 2018.

Rusudan Pipia

USE OF DIFFERENTIAL APPROACH IN THE LEARNING PROCESS

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The third generation of national curriculum facilitates differentiation of pupils' individual needs and introduction of suitable teaching to each student. The main objective of differential process is that each student has to reach the best result within his/her capabilities. The third generation national curriculum facilitates the differentiating of individual needs of pupils and the introduction of suitable teaching on each student. School environment and the pupils' individual state, his/her constant attempts to discover herself/himself, revelation of own capabilities facilitate teacher's highly professional approach and differentiation. In other cases, differentiation in teaching may be the reason of pupil's demotivating.

თეიმურაზ ორმოცაძე

განათლების სფეროში არსებული ზოგიერთი პრობლემის შესახებ

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ნოსტალგია და გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ:

- „ჩვენს დროშის სწავლა სხვანაირად კარგი იყო“,
- „იმდროინდელი სტუდენტები დღესაც წარმატებული ადამიანები არიან“,

რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება დღევანდელ დღეს და განათლებისადმი წაყენებულ საგრძნობლად გაზრდილ მოთხოვნებს.

სწავლა-სწავლების პროცესი მიმზიდველი და წარმატებული იყო მაშინ, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებებს მუხლჩაუხრელი მუშაობა უწევდათ. წარმატებული იყო მაშინაც, როცა სახელმწიფოს დაკვეთა იყო ამა თუ იმ სპეციალობის მიმართ, მაგალითად, ტექნიკური დარგებისადმი გასული საუკუნის 80-იან წლებში. მაშინ საჭირო იყო ბევრი ნიჭიერი ადამიანი, რომლებიც კარგად ისწავლიდნენ ფიზიკას, მათემატიკას, ქიმიას და შექმნიდნენ ახალ, მძლავრ იარაღს. სწორედ ეს საქმიანობა ფინანსდებოდა გულუხვად და გულუხვობის ნამცეცხები სხვა მეცნიერებებსაც გადაუნაწილდებოდათ ხოლმე. ბევრ თქვენგანს ძალიან კარგად ემახსოვრება ან გაგონილი მაინც ექნება იმდროინდელი მოსწავლეები და სტუდენტები ერთმანეთს მათემატიკური შინაარსის წერილებს რომ წერდნენ, რაც გამოწვეული იყო ტექნიკური დარგებისადმი საყოველთაო ყურადღებით.

რა ხდება ახლა?

ახლა მოსწავლეების მიერ ამა თუ იმ საგნის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ხმამაღლა ნათქვამ შეკითხვაზე:

- „რაში გამომადგება?“
- „რისთვის ვსწავლობ, ეს ხომ არ მჭირდება?“

„მათემატიკას ვერასოდეს ვისწავლი, იმიტომ, რომ არ მესმის“, – მასწავლებლებს ერთმნიშვნელოვანი დამაჯერებელი პასუხი არა აქვთ, გარდა იმისა, რომ

- „ზოგადი განათლება ხომ უნდა მიიღო“;
- „სკოლა ხომ უნდა დაამთავრო“;
- „ამით შეიქმნა ცივილიზაცია“;
- „ამის გარეშე არაფერი არ იქნებოდა“;
- „გამოგადგება ცხოვრებაში“

და უამრავი ამგვარი გაუაზრებელი წინადადებების ნიაღვარი.

წლების წინ თუ მოსწავლე რეპეტიტორთან ფარულად ემზადებოდა და მისი მიღწევები პირდაპირ თუ ირიბად სკოლის დამსახურებად ითვლე-

ბოდა, დღეს ამას არავინ მალავს, არც მოსწავლე და არც რეპეტიტორი. ამიტომაცაა, რომ სკოლაში გარკვეულწილად იმძლავრა ზემოთ აღნიშნულმა არაფრისმთქმელმა ფრაზებმა, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ (მოგეხსენებათ რასაც) მიზანს „ემსახურება“ (Ormotsadze, 2014).

თანამედროვეობისათვის საჭირო ზოგად განათლებას მოსწავლე მასწავლებლისაგან დამოუკიდებლად ლეზულობს, ოჯახიდან, სოციალური ქსელებიდან, სხვადასხვა საგანმანათლებლო საიტებიდან და უამრავი ამგვარი საშუალებებიდან. მაგრამ, კოლეგებო, არ მიწყინოთ და ბევრი ჩვენგანი იტყვის „აბა სკოლა და მასწავლებელი საჭირო არ არისო?!“ – დიახ, მეგობრებო, ამ ფორმით, ახლა რომ არის, ვფიქრობ, რომ არა – არ არის საჭირო.

მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი ზემოთ თქმულის განსამტკიცებლად და არა დასამტკიცებლად.

მაგალითად, ელემენტარული მათემატიკის ერთ-ერთი საკითხი, რომელიც არც თუ უსაფუძვლოდ ითვლება მათემატიკის, როგორც მეცნიერების „ხერხემლად“ – კვადრატული ფუნქცია და მასთან დაკავშირებული საკითხები. მოცემული თემის შესწავლა არა მარტო უვითარებს გონებას მოსწავლეებს, არამედ აძლევს სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნის საშუალებას.

კვადრატული ფუნქცია და მასთან დაკავშირებული საკითხები:

1. უვითარებს გონებას – აქ მართლაც შეუცვლელია მათემატიკის სწავლების მეთოდიკა და მისგან გამომდინარე დადებითი შედეგები, თუმცა, გონების განვითარება, შეიძლება სხვა მიდგომებითაც. მხედველობაში გვაქვს მათემატიკისა და, საერთოდ, საჯარო სკოლის ყველა საგანში პროგრამების გამარტივება, საიტკენაც უკვე დაინყო მზერა განათლების პოლიტიკის მესვეურებმა. თუმცა, ვფიქრობთ, ცოტათი დააგვიანდებათ, რადგან რადიკალური ზომების მიღების დრო დადგა, ხოლო ამისათვის მზაობა ჯერ არ იგრძნობა.

2. მისცემს სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნის საშუალებას – რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები, რამეთუ არსებობს ე.წ. მზამზარეული კომპიუტერული პროგრამები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეები შეძლებენ ნებისმიერი ტიპის და სირთულის ამოცანების ამოხსნას. დიახ, ამოხსნას და არა მხოლოდ სწორი პასუხის მიღებას. მაგალითად, $f(x)$ – Matematics-ი წარმატებით ართმევს თავს ელემენტარული მათემატიკის კურსში მოცემულ უამრავ ამოცანას. Photomatih-ი კი სასწაულებს ახდენს, მას შეუძლია დეტალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ გამოთვალოს მრუდწირული ტრაპეციის ფართობიც კი.

იმის მტკიცება, რომ მათემატიკის საფუძვლების გარკვეული მინიმუმის შესწავლა არა თუ შესაძლებელი, არამედ, პრაქტიკულად, სავალდებულოცაა ყველა მოსწავლისათვის, სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ყველასთვის მათემატიკის საფუძვლების საშუალო ან მაღალ დონეზე მოთხოვნას აბსურდამდე მივყავართ. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სკოლაში მათემატიკის საფუძვლების სწავლების მთავარი ამოცანა სწორედ ლოგიკური აზროვნებისთვის საჭირო უნარების დაუფლება

და მისი გავრცობაა (გამოყენების შესაძლებლობამდე). ლოგიკური აზროვნებისათვის საჭირო უნარები კი სჭირდება ყველას, განურჩევლად სქესისა, რასისა, რელიგიური აღმსარებლობისა თუ მომავალის სპეციალობისა.

უფრო მეტიც, ელემენტარული მათემატიკის საფუძვლიანი შესწავლა ყველა მოსწავლის ინტერესის სფერო არ არის და მათემატიკის საუკეთესოდ შესწავლას, მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვები ახერხებენ, რომლებიც ამის მისაღწევად სხვადასხვა სპეციფიკურ საშუალებებს იყენებენ, იქნება ეს სპეციალური სკოლები თუ „ნორმალური“ რეპეტიტორები, რომლებიც კი არ წვრთნიან ამოცანების ამოხსნაში, არამედ ასწავლიან აზროვნებას.

ვფიქრობთ, მეტნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა და პრობლემებია სხვა საგნებში, რადგან კვლევებით, კერძოდ, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA 2015) ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მათემატიკაში, ისევე როგორც კითხვასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, წინა ციკლთან შედარებით მოსწავლეთა მიღწევებში თვალსაჩინო გაუმჯობესება შეიმჩნევა. ამის შესახებ ნათქვამია PISA–ს უახლეს კვლევის ნაციონალურ ანგარიშშიც, რომლის მომზადებაზეც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მუშაობდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაინც ბოლო ან ბოლოს წინა საფეხურზე ვიმყოფებით.

გამოვთქვამთ სურვილს, რომ ეს უმნიშვნელო მატების ტენდენცია, რომელიც შესამჩნევია მათემატიკის სწავლებაში, შენარჩუნებული იქნება მომდევნო წლებში და სხვა მეცნიერებებიც, შესაბამისად, აუბამენ მას ფეხს.

განათლების სფეროში არსებული პრობლემების დარეგულირებისა და დალაგებისთვის გამზადებული რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ იქნებ ერთხელ მაინც დაისვას საკითხი, რომ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ ბავშვებს სათანადო ყურადღება მიექცეთ. იქცეს ეს ჩვენი ქვეყნისთვის და, კერძოდ, განათლების სისტემისათვის სერიოზულ პრიორიტეტად. რამეთუ გამორჩეული ბავშვებისგან გამორჩეული ადამიანები დგებიან, რომლებსაც არასტანდარტული, ორიგინალური აზროვნება შეუძლიათ. ასეთი ადამიანები კი უაღრესად საჭირონი არიან ქვეყნის გაძლიერებისათვის. თუ არ მივაქცევთ სათანადო, დროულ ყურადღებას, სავარაუდოდ, მომავალში მათი ქვეყნიდან გადინება მოხდება (Jaliashvili, 2014 : 31-32).

შეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების მიდგომები, რბილად რომ ვთქვათ, ძირეულად შესაცვლელია გამარტივებისაკენ. თუმცა, მოსწავლეებს საფუძვლიანად უნდა ვასწავლოთ დასმული მიზნის მისაღწევად საჭირო გზების აღმოჩენა და ამ გზაზე არსებული ყველა დაბრკოლების წარმატებით გადალახვა, რაც საკმაოდ სენსიტიურია და მოითხოვს ძალიან დიდ გამოცდილებას და დიდ ცოდნას თითოეული მასწავლებლისაგან.

ლიტერატურა:

1. Ormotsadze T. Mosalodneli saganmanatleblo krizisi. Sokhumis sakhelmtsifo universitetis akademiuri personalis konferenciis masalebi. Maisi, 2014 (Predictable Educational Crisis. The Conference Material of Academic Personal of Sokhumi University, May, 2014).
2. Jaliashvili M. Mastsavlebloba–mudmivi dziebis gzebi. Zhurn. Mastsavlebeli, #5, 2014, (Duties of Teacher–Ways of Constant Searching. Newspaper Teacher, #5, 2014).
3. <https://serc.carleton.edu/sp/library/pedagogies.html>
4. <https://www.ed.ac.uk/institute-academic-development>

Teimuraz Ormotsadze

ON SOME PROBLEMS IN THE FIELD OF EDUCATION

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

A lot of people feel nostalgia about old-time education. They feel that only then was chance to become successful. To be honest, in my opinion, that point of issue doesn't fit in with nowadays high demand.

what is happening now? If you ask majority of pupils, they will definitely answer that there is no real need to know mathematics. Regrettably, teachers have no exact answers on them, except:

”You need do get general education”

“Don't you want to finish the school?”

“Civilization was created by this subject”

“Nothing would have ever been without mathematics”

“You will find it useful at one time in future”

And lots of similar thoughtless sentences. In our time, the majority things child studies independently (from family, social network, various educational sites). This may doubt you “Are you saying that school and teachers aren't necessary?” – Yes, I think that contemporary schools have reached to the point where they are no longer useful.

To reinforce my idea, I will try to give you some examples and support my point of view with several arguments.

Let's consider one of the most simple mathematics' matters (which is reckoned and truly is fundamental for science). Quadratic function really develops child's ability to think and enables him/her to solve other problems easily.

Develops child's ability to think – results of studying mathematics is truly unchangeable. But it's possible to develop mind in many other ways.

Enables him/her to solve other problems easily – I disagree with this opinion, there are lots of programs, that help you solve mathematical problems. For instance, $f(x)$ – Mathematics can easily solve problems from elementary stage. Photomath is absolutely amazing, it can step by step calculate area of curved trapeze.

It's not new that every child should know basics of mathematics, but it's pointless to demand that every one of them MUST know mathematics more than average knowledge needs. Not every child is interested to study this subject, only special ones can truly learn mathematics.

All in all, I wanted to say that in methods of studying something should be changed to encourage children that mathematics is not very difficult. But we must teach them not only subjects, but also how to reach their goals and find ways to overcome obstacles related to it.

გიორგი ჯინჯიხაძე

**იმიტაციური თამაშები როგორც თამაშებისა
და იმიტაციების ერთიანობა**

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

„იმიტაცია“ ლათინური სიტყვაა და ნაბაძვას, მიბაძვას ნიშნავს.

თამაში ბავშვის საქმიანობის ძირითადი სახეა. ს. რუბინშტეინი (1956) (Rubinshtein, 2000) აღნიშნავდა, რომ თამაში ინახავს და ანვითარებს ბავშვებში ბავშვურს, რომ ის მათი ცხოვრების სკოლაა და განვითარების პრაქტიკა. დ. ელკონინის (1978) (Elkonin, 2008) აზრით, თამაშში არა მხოლოდ ვითარდება ან თავიდან ყალიბდება ცალკეული ინტელექტუალური ოპერაციები, არამედ ძირეულად იცვლება ბავშვის პოზიცია გარესამყაროს მიმართ და ბავშვს უყალიბდება თავისი შეხედულების პოზიციისა და კოორდინაციის სხვა შესაძლო შეხედულებებით შესაძლო შეცვლის მექანიზმი.

საქმიანი თამაში თანამედროვე უმაღლესი და პოსტუმაღლესი განათლების ფორმას წარმოადგენს. თამაშის დღეს არსებულ სახეებს შორის აღსანიშნავია: ინოვაციური, პოზიციური; ორგანიზაციულ-მსწავლებლური, მსწავლებლური, ორგანიზაციულ-აზროვნებითი, ორგანიზაციულ-საქმიანობრივი და სხვ. თამაშების თეორიისა და მათემატიკური თეორიის ჩარჩოებში თამაში ეტოლება კონფლიქტურ სიტუაციას, სადაც მინიმუმ ორი მოთამაშე, თამაშის წესების გათვალისწინებით, მიისწრაფვის მაქსიმალური მოგების მიღებისკენ.

თამაში, მათ შორის კომპიუტერულიც, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას როგორც ფსიქოდიანოსტიკური ინსტრუმენტი; სხვადასხვა პირობებში, შესაბამისი ატმოსფეროს შექმნით, იგი დიანოსტიკურ და თერაპიულ საშუალებადაც შეიძლება მოგვევლინოს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის თამაშები, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი განმავითარებელი და თერაპიული მიზნებისათვის.

თამაშებში ბავშვები თავიანთ თავზე იღებენ სოციალურ როლებს და ამიტომ სწორედ ამ თამაშებში ვლინდება მათი ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებანი. 2-3 წლის ასაკიდან იწყებენ სინამდვილის ლოგიკურ-ხატოვანი წარმოდგენების შეთვისებას, საგნებს ანიჭებენ კონტექსტუალურად განპირობებულ წარმოსახვით თვისებებს, რეალურ ობიექტებს ცვლიან ამ ობიექტებით.

თამაშების განვითარებაში ორი სტადია გამოიყოფა: პირველ სტადიაზე (3-5 წელი) მახასიათებელია ადამიანთა რეალური ქმედებების კვლავწარმოება; თამაშის შინაარსია საგნობრივი მოქმედებები. მეორე

სტადიაზე (5-7 წელი) ზოგადი ლოგიკის კვლავწარმოების ნაცვლად მიმდინარეობს ადამიანთა შორის რეალური მიმართებების მოდელირება. მაშასადამე, ამ სტადიაზე თამაშის შინაარსია სოციალური მიმართებები.

დიდია თამაშის პედაგოგიური მნიშვნელობა. იგი უძველესი დროიდან წარმოადგენდა სწავლების გარკვეულ ფორმას, რეალური პრაქტიკული სიტუაციების, მათი ათვისების მიზნით, კვლავწარმოების პირველად სკოლას. ისტორიულად თამაშის ერთ-ერთი მიზანი იყო აუცილებელი ადამიანური თვისებებისა და ჩვევების გამომუშავება, უნარების განვითარება. ჯერ კიდევ პლატონი (427-347 ძვ. წ.) წერდა: „მე ვამბობ და ვამტკიცებ, რომ ადამიანი, რომელსაც სურს გახდეს გამოჩენილი რომელიმე საქმეში, ადრეული წლებიდან უნდა ვარჯიშობდეს... მაგალითად, ვისაც სურს გახდეს კარგი მინათმოქმედი ან სახლთმშენებელი, ის ჯერ კიდევ თამაშებში უნდა ამუშავებდეს მინას ან აშენებდეს სახლებს“ (Bi-Jova, 2012).

ლ. ვიგოდსკი (Vigotski, 1933) შენიშნავს, რომ ბავშვი, როცა თამაშობს, თავისთვის რეალურის ნაცვლად იქმნის წარმოსახვით სიტუაციას და მოქმედებს მასში, თავისუფლდება სიტუაციური მიჯაჭვულობისგან და ასრულებს გარკვეულ როლს იმის შესაბამისად, თუ რა გადატანით მნიშვნელობასაც ანიჭებს იგი გარესამყაროს საგნებს.

დიმიტრი უზნაძე [UznaZe, 2005] განსაკუთრებით ინტერესდება თამაშის მოტივაციით და შენიშნავს: თამაშში აკმაყოფილებს ფუნქციონალურ მოთხოვნილებას, გამოყენებულ იქნას განმავითარებლობითი ფუნქციები, რომლებიც ჯერ კიდევ არაა ჩართული რეალურ სანამდვილეში; და ასევე განსაზღვრავს თამაშის შინაარსსაც.

იმიტაციური თამაში შეიძლება განისაზღვროს, როგორც თამაშობითი პროცესი, რომლის წარმოქმნაში მონაწილეობას ღებულობს თამაშობითი იმიტაცია. მაშასადამე, თამაშობითი პროცესის როგორცაა თუ რაგვარობა დამოკიდებულია უპირველესად იმაზე, თუ რას წარმოადგენს თამაშობითი იმიტაცია.

აქ გასარკვევია საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს როლური თამაშები და იმიტაციური თამაშები.

საქმიანი თამაში ასახავს არსებული სისტემა-პროტოტიპის ფუნქციონირებას.

იმიტაციური თამაშები იმით განსხვავდება როლური თამაშებისაგან, რომ:

- უპირველესად, მათში მკაცრად არ გამოიყოფა კონკრეტული ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების როლები, მხოლოდ იმიტირდება მეურნეობის გაძლოლა.
- მეორედ, იმიტირდება ზოგიერთი კონსტრუქციები, ტექნოლოგიები, პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ქცევებსა და ურთიერთქმედებებს.
- მესამედ, ზოგიერთ თამაშში არ არის ალტერნატივები.

როლური თამაშის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშეები თავიანთ თავზე ღებულობენ გარკვეული როლების შესრულებას. ელკო-

ნინის მიხედვით როლური თამაში არის თამაშის ყველაზე უფრო განვითარებული ფორმა. ამასთან დაკავშირებით, როლის ცნება უფლებას გვაძლევს, ერთის მხრივ, თვალ-ყური მივადევნოთ თამაშის განვითარებას, მეორეს მხრივ, ვიფიქროთ როლური თამაშის წარმოშობის თეორიულ კვლევაზე.

თამაშების სახეთა სიმრავლიდან ყველაზე უფრო განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდაქტიკურ თამაშს, რადგანაც იგი გამოიყენება, როგორც სწავლების ერთ-ერთი სახე. ეს თამაში საქმიანობის ისეთი სახეა, რომლის მეშვეობითაც ბავშვები სწავლობენ. დიდაქტიკური თამაშის ორობითი ბუნება: სასწავლო მიმართულობა და თამაშობითი ფორმა – იძლევა კონკრეტული სასწავლო მასალის ნებაყოფლობითი დაუფლების სტიმულირების საშუალებას.

სწავლების პროცესში მათემატიკურ-დიდაქტიკური თამაშების როლი და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შექმნილია სასწავლო მიზნით, ემსახურება მოსწავლეთა სწავლებას, აღზრდასა და განვითარებას. დაწყებითი მათემატიკის სწავლების პროცესში მათემატიკურ-დიდაქტიკური თამაშების წყალობით შეიძლება მტკიცე შეგნებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღწევა. ბავშვის ყურადღება მიჯაჭვულია თამაშთან, იგი აინტერესებს მას, ამავე დროს, მოსწავლეს უხდება დიდი რაოდენობის მათემატიკურ მოქმედებათა შესრულება, მათემატიკური ხასიათის დაბრკოლებათა გადალახვა, ადრე მიღებული ცოდნის გადატანა მისთვის ახალ გარემოში, ახალ სიტუაციაში. თამაშის დროს მოსწავლეებში წარმოშობილი დადებითი ემოციები ააქტიურებს სასწავლო პროცესს, მოსწავლეთა შემეცნებით მოქმედებას. ეს კი დაკავშირებულია ნებისმიერი ყურადღების, მეხსიერების განვითარებასთან; შედარების, შეპირისპირების, დასკვნის გამოტანისა და განზოგადების ჩვევების ფორმირებასთან (Jinjikhadze, 2011).

დიდაქტიკურ თამაშს გააჩნია თავისი მტკიცე სტრუქტურა, რომელიც მას განასხვავებს სხვა სახის საქმიანობისგან. მისი ძირითადი სტრუქტურული კომპონენტებია: თამაშის ჩანაფიქრი, წესები, თამაშობითი ქმედებები, შემეცნებითი შინაარსი, ან რაც იგივეა, დიდაქტიკური ამოცანები, მონყობილობა, თამაშის შედეგები.

ზოგადად თამაშისაგან განსხვავებით, დიდაქტიკური თამაში ხასიათდება არსებითი ნიშნით – სწავლების მკაფიოდ დასახული მიზნის არსებობით და მისი შესაბამისი პედაგოგიური შედეგით, რომლებიც დასაბუთებულია, ცხადი სახითაა გამოყოფილი და ხასიათდება სასწავლო-შემეცნებითი მიმართულობით.

თამაშობითი ჩანაფიქრი, თამაშის პირველი სტრუქტურული ელემენტი, როგორც წესი, თამაშის სახელწოდებაშია გამოხატული. იგი იმ დიდაქტიკურ ამოცანაშია ჩადებული, რომელიც სასწავლო პროცესში უნდა ამოიხსნას. თამაშობითი ჩანაფიქრი ხშირად იმ კითხვის სახითაა მოცემული, რომელი როგორღაც აპროექტებს თამაშის მსვლელობას. იგი თამაშს აძლევს შემეცნებითი ხასიათის შეფერილობას და თამაშის მონაწილეების ცოდნას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს.

ყოველ დიდაქტიკურ თამაშს თავისი **ნესები** გააჩნია. ეს ნესები განსაზღვრავენ თამაშის პროცესში ქმედებათა თანამიმდევრობას და მოთამაშეთა ქცევას, ხელს უწყობენ გაკვეთილზე სამუშაო პირობების შექმნასა და შენარჩუნებას. სწორედ ამიტომ ამ ნესების შემუშავებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული გაკვეთილის მიზანი და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები. ამით შეიქმნება პირობები იმისათვის, რომ გამოვლინდეს მოსწავლეთა დამოუკიდებლობა, ინტერესი, აზროვნებითი აქტიურობა, წარმატების განცდა. გარდა ამისა, თამაშის ნესები ამზადებს მოსწავლეს კოლექტივში თავისი ქცევის მართვისათვის.

დიდაქტიკური თამაშის არსებითი კომპონენტია **თამაშობითი ქმედებები**, რომლებიც თამაშის ნესებითაა რეგლამენტირებული. ეს ქმედებები, თუ სწორადაა ორგანიზებული, განაპირობებს მოსწავლეთა შემეცნებით აქტიურობას, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, მიზნის მიღწევისათვის გამოიყენონ თავიანთი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

დიდაქტიკური თამაშის საფუძველია **შემეცნებითი შინაარსი**, რომელიც გააქვს თამაშის ყველა სტრუქტურული ელემენტი. შემეცნებითი შინაარსი მდგომარეობს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეთვისებაში, რომელიც გამოიყენება თამაშის მიერ დასმული სასწავლო პრობლემის გადაწყვეტაში.

იმისათვის, რომ დიდაქტიკურმა თამაშმა მიზანს მიაღწიოს, გაკვეთილი უნდა იყოს სათანადოდ ორგანიზებული, წინასწარ უნდა მომზადდეს მოწყობილობა თამაშისათვის. ეს არის სწავლების ტექნიკურ საშუალებათა არსებობა: კომპიუტერი (თუ საჭიროა), კოდოპოზიტივები, დიაპოზიტივები და სხვ. მასვე მიეკუთვნება: ცხრილები, მოდელები, ასევე: დასარიგებელი დიდაქტიკური მასალა და სხვ.

დიდაქტიკურ თამაშს აქვს გარკვეული **შედეგი**, რომელიც თამაშის ფინალს წარმოადგენს. ეს შედეგი წინასწარ დასმული სასწავლო ამოცანის ამოხსნის გარკვეული ფორმის სახითაა წარმოდგენილი და მოსწავლეთა ზნეობრივ თუ გონებრივ კმაყოფილებას იწვევს. მასწავლებლისთვის კი თამაშის შედეგი ყოველთვის ცოდნის შეძენაში ან შეძენილი ცოდნის გამოყენებაში მოსწავლეთა მიღწევების დონის მაჩვენებელია.

დიდაქტიკური თამაშის ყველა სტრუქტურული ელემენტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და რომელიმე მათგანის უქონლობა თამაშს ანგრევს. სათანაშო ჩანაფიქრისა და თამაშობით ქმედებათა გარეშე, თამაშის მაორგანიზებელი ნესების გარეშე დიდაქტიკური თამაში ან შეუძლებელია ან კარგავს თავის სპეციფიკურ ფორმას, მითითებათა შესრულებად ან ჩვეულებრივ სავარჯიშოებად იქცევა. ამიტომ, დიდაქტიკური თამაშის შემცველი გაკვეთილისათვის მომზადებისას მასწავლებელმა უნდა შეადგინოს თამაშის მსვლელობის მოკლე დახასიათება (სცენარი), უჩვენოს თამაშის დროითი ჩარჩოები, გაითვალისწინოს მოსწავლეთა ცოდნის დონე და ასაკობრივი თავისებურებანი, საგანთაშორისი კავშირების რეალიზაციის შესაძლებლობები. თამაშის ელემენტების ურთიერთშეხამება განაპირობებს მის ეფექტურობას, სასურველ შედეგს.

დიდაქტიკური თამაშების ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ

თამაშის პროცესში ბავშვები მნიშვნელოვანწილად დამოუკიდებლად იძენენ ახალ ცოდნას, და ამაში აქტიურად ეხმარებიან ერთმანეთს.

თამაშის პროცესში აუცილებელია, რომ მასწავლებელი თვალ-ყურს ადევნებდეს ბავშვების ინტერესს თამაშისადმი: როგორ ნარჩუნდება ეს ინტერესი, ვითარდება თუ არა იგი თამაშის პროცესში და ა. შ. როცა ეს ინტერესი არ არის ან ქრება, მაშინ თამაში კარგავს თავის დიდაქტიკურ ელფერს და სასწავლო მიზნებისათვის აზრსაც კი. ინტერესის დაკარგვისას კატეგორიულად არ შეიძლება ძალდატანება, რადგანაც ასეთ შემთხვევაში თამაში საერთოდ კარგავს სასწავლო-საგანმავითარებლო დანიშნულებას. აქ საჭიროა მხოლოდ მოსწავლეთა ემოციების გაღვიძება, და საამისო გზები მასწავლებელმა უნდა მონახოს.

თამაშის ჩატარებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ემოციებს, გამომხატველობას, მისი მეტყველების ენერგეტიკას, ჟესტებს, მიმიკას და ყველაფერს, რაც ბავშვების ინტერესს გააცხოველებს. ის საშუალებები და ხერხები, რომლებიც თამაშის მიმართ ბავშვების ინტერესს ამაღლებს, უნდა განიხილებოდეს არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც დიდაქტიკური ამოცანების შესრულებისაკენ წამყვანი გზა.

თამაშის შინაარსის მათემატიკური მხარე ყოველთვის წინა პლანზე ცხადად უნდა იყოს წამოწეული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ მათემატიკურ-დიდაქტიკური თამაში გამოყენებულ იქნას ბავშვების მათემატიკური განვითარებისა და მათში მათემატიკისადმი ინტერესის აღძვრის საშუალებად.

V-VI კლასებში მათემატიკურ-დიდაქტიკური თამაშები თითქმის ყოველთვის გარკვეულ სიუჟეტებთანაა დაკავშირებული. ეს სიუჟეტი არ შეიძლება რთული იყოს, იგი მარტივია, ორიენტირებულია ბავშვების წარმოსახვაზე და ზოგჯერ ისინი თვით მათემატიკური თამაშის სახელწოდებითაა ნაკარნახევი: „მათემატიკური ორთაბრძოლა“, „მათემატიკური ვიქტორინა“ და სხვ.

მათემატიკური შინაარსის დიდაქტიკური თამაშების ორგანიზებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაიაზროს მეთოდის შემდეგი საკითხები:

- **თამაშის მიზანი.** რომელ მათემატიკურ ცოდნას დაეუფლებიან, რომელ მათემატიკურ უნარ-ჩვევებს შეიძენენ და რომელს განვითარებენ მოსწავლეები თამაშის პროცესში? თამაშის რომელ მომენტებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება? რომელ სხვა აღმზრდელობით მიზნებს ისახავს თამაშის ჩატარება?
- **მოთამაშეთა რაოდენობა.** თამაშის ორგანიზებისას გასათვალისწინებელია, რომ ყოველი თამაში მოითხოვს მონაწილეთა გარკვეულ რაოდენობას, როგორია ამ რაოდენობის მინიმუმი და მაქსიმუმი.
- რომელი დიდაქტიკური მასალები და დამხმარე საშუალებები იქნება საჭირო თამაშის ორგანიზებისათვის?
- როგორ გავაცნოთ მოსწავლეებს თამაშის წესები ისე, რომ დრო

მინიმალური დაიხარჯოს?

- რა დრო დასჭირდება თამაშს? იქნება თუ არა იგი სახალისო, საინტერესო? მოისურვებენ თუ არა მოსწავლეები ასეთ თამაშს დაუბრუნდნენ მეორეჯერ? მესამეჯერ?
- როგორ შეიძლება თამაშში ყველა მოსწავლის ჩაბმის უზრუნველყოფა?
- როგორი ხერხით შეიძლება მოვახდინოთ დაკვირვება მოსწავლეებზე იმის გამოსარკვევად, ყველა არის თუ არა ჩართული თამაშში?
- როგორი ცვლილებები შეიძლება შევიტანოთ თამაშში, რომ ავამაღლოთ ბავშვების ინტერესი და აქტიურობა?
- რომელი დასკვნები უნდა გავაცნოთ მოსწავლეებს თამაშის შემდეგ (თამაშის საუკეთესო მომენტები, თამაშის ხარვეზები, მათემატიკური ცოდნის შეთვისების შედეგი, ცალკეული მოსწავლის მონაწილეობის შეფასება, შენიშვნები დისციპლინის თაობაზე და სხვ.).

ლიტერატურა:

1. Uznadze D. Bavshvis fsiqologia. Tbilisi, 2005.
2. Jinjikhadze J. Matematikis datsyebiti kursis stsavlebis metodika da teqno-
logia. Tbilisi, 2011.
3. Bizhova G. V. Rol didakticheskoy igry na urokah matematiki I vo vneuroch-
noy deyatelnosti kak odnoy iz pedagogicheskikh tekhnologii na osnove ak-
tivizatsii I intensivatsii deyatelnosti uchashchikhsya: Teoriya I praktika ob-
razovaniya v sovremennom mire (Materialy mezhdunarodnoy nauch. Konf.,
Sankt-Peterburg. Renome, 2012, pp.149-154.
4. Danilov I. K. Ob igrovikh momentakh na urokah matematiki/ Matematika v
Shkole, 2005, №1.
5. Kalt E. A. Didakticheskie igry na urokah matematiki v klassakh povyshen-
nogo pegadogicheskogo vnimaniya. Elektronniyzhurnal “Vestnik gosudarst-
vennogo pedagogicheskogo universiteta, 2006 ([http:// www.eduhmao.ru ›
var/db/files/16209.matem-osh4.doc](http://www.eduhmao.ru/var/db/files/16209.matem-osh4.doc)).
6. ElkoninD. B. Psikhologiyaigry. Moskva, 2008.
7. KovalenkoV. G. Didakticheskie igry na urokakh matematiki. Moskva, 1990.
8. RubinshteinS. L. Osnovy obshchey psikhologii/ Piter, 2000.
9. Vorontsov A. B. Chudinova E. V. Uchebnaya deyatelnost: vvedenie v sistemu
D. Elkonina- V. V. Davidova. Moskva, 2004.
10. VigotskiyL. S. Igra i eyo rol v psikhicheskom razvitii rebiyonka. Stenograma
lektsii, pročitanniy v 1933 g. v LGPI im. Gertsena.

Giorgi Jinjikhadze

IMITATIVE GAMES AS UNITY OF GAMES AND IMITATIONS

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

Development of plays is divided into two stages: on the first stage (3-5years) reproduction of real acts of human beings are characterized, where the content of the game are subject actions. On the second stage (5-7years) instead of reproduction of general logics modeling of real relations between human beings takes place. Therefore, the content of plays on this stage is social relations. Imitative games could be determined as the process of playing in creating of which the playing imitation participates. Therefore, the manner and character of the playing process depends on what a play imitation means. In this paper the structure of imitative (imaginary) game has been investigated and justified that the imitation game is a systemic unity of both – a game and an imitation.

In the paper structure of an imitating game has been justified and substantiated that imitation game is a systemic unity of the game and initiative.

ბროლისა წულაია

ბუნებისმეტყველების საკითხები იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის დაფუძნება მისი მრავალფეროვანი დარგებით მეცნიერულ ნიადაგზე დაიწყო XIX საუკუნიდან.

ბუნება ადამიანის შემეცნებისა და სილამაზის აღქმის ძირითადი წყაროა. ბავშვები ბუნების წიაღსა და მის გარემომცველ სამყაროში ეძებენ სიახლეებს, უვითარდებათ სიღრმისეული კვლევა-ძიების სურვილი.

მოზარდი თაობა რომ აღვზარდოთ ბუნების სიყვარულით, უდიდეს საშუალებას გვაძლევს სახელმძღვანელოებში მოცემული ნაწარმოებები. ქართული სახალხო სკოლის მესაძირკვლის – ი. გოგებაშვილის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბუნებისმეტყველო განათლების ახლებური ჩამოყალიბება, რისი დასტურიცაა „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ბუნებას იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში თავისებური ადგილი უჭირავს. ეს პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ პედაგოგიური საქმიანობის ასპარეზზე იაკობის გამოსვლის დროს ხალხის ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ყოფაში მომხდარ არსებითი ცვლილებების შესაბამისად, ბუნების გაგებისა, ბუნებათმეცნიერული ცოდნისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების საქმეში დიდ ძვრებს ჰქონდა ადგილი და ცხადია, ამასთან დაკავშირებით, სკოლის წინაშეც მკაფიოდ დაისვა საკითხი ბუნების შესწავლისადმი, დამოკიდებულების პრინციპულად ახალ ნიადაგზე დაფუძნების შესახებ.

სახალხო სკოლაში საპატიო ადგილს უთმობდა ბუნებას, ი. გოგებაშვილი მოვალე იყო სათანადო სიღრმით შეესწავლა ყველა ის სიახლე, რაც ბუნებათმეცნიერული დარგების განვითარებისათვის იყო დამახასიათებელი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, XX საუკუნის 20-იან წლებამდე შეეჯერებინა. იგი კიევში სტუდენტობის წლებში შესწავლილ ბუნებისმეტყველურ დებულებებთან და ყოველივე ეს ჩამოეყალიბებინა, როგორც ძირითადი სამოქმედო პრინციპი სახალხო სკოლის მუშაობის შინაარსის განსაზღვრისათვის.

იაკობი თამამად იბრძვის რათა სახალხო სკოლა უკუაგდოს უსარგებლო, გახევებული დოგმატებით, უშინაარსო მნიგნობრიობა და მთელი საქმიანობა მკვიდრად დაუქვემდებაროს ხვალისდელი დღის ამოცანებს, ბუნებაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ცოცხლად, საგნობრივად, თვალსაჩინოდ ჩვენებასა და სწავლებას, სამოციანელების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად იაკობი სახალხო მასწავლებლის

მხარდაჭერით გოლიათურ მუშაობას ეწევა, რათა არსებული დაბრკოლებანი გადალახოს და სწავლა აღზრდის მთელი საქმე სახალხო სკოლებში შემდეგი პრინციპული სქემით წარმართოს.

დედა ენის სწავლება, მისი შინაარსი მკვეთრად დაუფუძნოს გარემომცველ ბუნების თემატიკიდან ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით სათუთად შესრულებული, მარტივი სიუჟეტის ლექსების, მოთხრობების, სტატიების, მისაწვდომი და მიმზიდველი, კონკრეტული სახით გაცნობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემომცველი ბუნება გოგებაშვილისთვის ღრმა შინაარსის მომცველი ცნებაა. იგი მოიცავს ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებს, მახლობელი გარემოს ფლორასა და ფაუნას, ხალხის შრომა-საქმიანობას, ყოფა-ცხოვრებას, სულიერ კულტურას და იმ მემკვიდრეობას, რაც ამ კულტურას განაპირობებდა. ისტორიულად და რაც ხალხმა შეისისხლორცა, შეიტკბო და გაითავისა.

ი. გოგებაშვილი სამართლიანად თვლის, რომ დაწყებითი სკოლის ასაკი მსჯელობებისა და ცნებითი აზროვნების წლებია, იგი შესასწავლი მასალის უშუალო აღქმით, ათვისების ასაკია და ამდენად, დაწყებით სკოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ შესასწავლად შერჩეული მასალა საგანმანათლებლო თვალსაზრისით იყოს საღი ფასეულობის, ამასთან არა გაუბრალოებული, არამედ მარტივი და თვითინ მეტყველებდეს თავის თავსა და ღირსებაზე.

ი. გოგებაშვილი ბუნების შესწავლას პრაქტიკულ-გამოყენებითი კუთხით უდგება. მაგრამ, ამ დროს ის არასდროს ივინყებს იმ საგანმანათლებლო მინიმუმს, რაც სავალდებულო წესით უნდა მისცეს ბავშვს სახალხო სკოლაში დედა ბუნებისა და ბუნებასთან ადამიანის გონივრული დამოკიდებულების სფეროდან ბავშვს. ამ მიზნით, იგი შესანიშნავი ოსტატობით იყენებს სასაუბროს თვალსაჩინოებით. ეს გზა ბუნების გაცნობისა, ისე ფართო გავრცელებად პოულობს, „დედა ენაში“, რომ აქ აუცილებელია ეს ნიმუში მოვიყვანოთ მაგალითად.

1901 წელს გამოცემული ამ სახელმძღვანელოს 98-ე გვერდზე ორ მწკრივად არის დახატული 8 სხვადასხვა ბალახი: სურათებს თან ახლავს შემდეგი ტექსტი, „მინდორში საქონელი რას სძოვს? აქ დახატულ ჯგუფში პირველად რა ბალახსა ჰხედავთ? პიტნის შემდეგ რა არის დახატული? ნაცარქათამას შემდეგ? იონჯას რა მოსდევს? სამყურას მერე მეორე რიგში პირველი ადგილი რა ბალახს უჭირავს?“

„დედა ენაში“ დიდი რაოდენობით არის მოხდენილი სასაუბრო წელიწადის დროთა, ბუნების მოვლენათა და სხვა საინტერესო საბუნებისმეტყველო თემაზე, ამ სასაუბროში უცნობთან ნაცნობის შეთანაბრების ნიადაგზე ბავშვთა აქტიურობის უნარიანად სტიმულირების შედეგად ხდება ყმანვილების გათვითცნობიერება ბუნების უმთავრეს მოვლენებებში, მცენარეულ საფრისა და ცხოველთა სამყაროში არსებულ კანონზომიერებებში და ყოველივე ეს ეფუძნება ხელშესახებ საგნობრივ საწყისებს, ამ მაგალითებიდან რად ღირს თუნდაც ის, რომ ყმანვილი გზას იგნებს ჩვენში გავრცელებული ბალახეულის სამყაროში. დაწყებითი კლასის სახელმძღვანელოთა ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ

სწავლებაში ბუნების სიყვარულის აღზრდას. ბუნებასთან კავშირში მასალის შესწავლა უზრუნველყოფს მოსწავლეების ესთეტიკურ აღზრდას. იზრდება ბავშვებში ჰუმანური დამოკიდებულება ცხოველებისადმი და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კეთილშობილი ადამიანური თვისებების ჩამოყალიბებისათვის. აი, მაგალითად, როგორ მიგნებულად არის შერჩეული ამ თვალსაზრისით ლექსი „კატა“. სახლში, რომლის მკვიდრია დედა კატა, ბიჭუნა კოტემ ყველი მოიპარა. მაგრამ კოტეს მაგიერ კატა დასაჯეს. უდანაშაულოდ დასჯილი კუდამოძუებული დედა კატა ნაღვლიანად უყვება ამბავს სხვას, რომელიც დედა კატას თანაგრძნობით შეჰკრუტუნებს:

„კოტემ თევი მოიპარა, შეშინდა და გადაჰფიცა;
მე ქურდობა შემომნამა, ურცხვად ღმერთი დაიფიცა.
ის გადარჩა, მე გამცოცხეს, ის მტყუანი, მე მართალი,
ამისთანა სიმართლეს კი დაუდგება ორთავ თვალი“.

მსგავსი მრავალმხატვრული ნიმუშები მრავლად არის წარმოდგენილი „დედა ენისა“ და „ბუნების კარში“.

იაკობ გოგებაშვილი მონოდებულია ბიოლოგიური თემები შესაძლებლობისამებრ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებას დაუკავშიროს და ამით უფრო მეტი ინტერესი გამოიწვიოს მისადმი. კარგად ხედავს, რომ საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური ჩამორჩენლობის ერთ-ერთი მიზეზი ბუნების ძალების უცოდინრობა იყო. ამიტომაც დიდი პედაგოგი მოითხოვდა ქართველი ახალგაზრდობის იდეალური განათლების საფუძველზე აღზრდას, ბუნების კანონების შესწავლას. „ბუნება ემორჩილება-ამბობს ი. გოგებაშვილი,- მხოლოდ იმას, ვინც მისი კანონების ცოდნით აღჭურვილია, მისთვის აზრის სიმდიდრის წყაროა, ვისაც მისი ძალთა გამოყენება შეუძლია.“ იგი სავსებით მართებულად აღნიშნავდა: „უმეცარი კაცი შეიძლება შიმშილით მოკვდეს თვით მდიდარ ბუნებაში, თუ მას ამ ბუნების არაფერი გაეგება. თვით ლატაკი ბუნება შეიძლება ადამიანმა შექმნას სიმდიდრის წყაროდ, თუ მან ზედმინევნით იცის, საიდან უნდა მოუაროს ამ ბუნებასა და როგორ გაიხადოს იგი თავისი მოთხოვნილების მოსამსახურედ.“ იაკობ გოგებაშვილის მრავალი ლექსი და მოთხრობა, ბუნების სიყვარულისა და მისადმი მზრუნველური დამოკიდებულების მასალას წარმოადგენს, აქ საკმარისია აღინიშნოს მისი ნაწარმოებები: „ვანო და ჩიტი“, ორი სახნისი, „ალექსი და აქლემი“ და სხვა.

იაკობ გოგებაშვილი თავის სახელმძღვანელოებსა და სტატიებში მოითხოვდა საგნებისა და ბუნების მოვლენების შესწავლას, რაც თავის მხრივ, სანინდარია ხალხის განათლებისა და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა. მას მთელი შეგნებით უყვარდა მისი ბუნება და იბრძოდა იმისათვის, რომ ყველას ასე ჰყვარებოდა იგი. ამასთან ერთად იგი ახალგაზრდობას ასწავლიდა, როგორ შეეცნო და დაეცვათ თავისი ქვეყნის მშვენიერი ბუნება.“ ჩვენ ამ მდიდარი ბუნების, არაფერი გაგვეგება, უკუღმართი აღზრდის წყალობით. მის გამო ჩვენ ბუნებას ეპატრონებიან უცხოელები, შეიარაღებული რეალური ცოდნით.უმეცრება ჩვენი ამ მხრივ კიდევ უფრო შორს მიდის, მთავარნი მტერნი ყოველგვარი მოსაგ-

ლისა არის სხვადასხვა ჭია-მატლები, რომლებიც უღრღნიან, აფუჭებენ საჭირნახულო მცენარეულობას ფესვებს, ფოთლებსა და ნაყოფს და დიდ ზიანს აყენებენ მხვენელ-მთესველთ“ და იქვე განაგრძობს: „ნადირთა და ფრინველთა შორის მოიპოვებიან იმისთანანი, რომლებიც ემატებიან ამ მავნე ჭია - მატლებს, სდევნიან მათ და აუარებელს მათ რიცხვს ჟლეტენ დღე და ღამე, მაგრამ ეს ჩვენი უვიცმა ხალხმა არ იცის, მტრულად ეკიდებიან ამ თავის დაუფასებელ მეგობარს და უმონყალოდ ჟლეტს მათ თავის საზარლოდ“ (Gogebashvili, 1912: 342).

თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში იზრდებოდა ჩვენი ახალგაზრდები ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებსა და მოთხრობებზე, მარტო „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ კმარა იაკობის სამარადისო ძეგლად ქართველი ხალხის ისტორიაში.

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი მგოსანია, რომელმაც თავის შემოქმედებაში აალაპარაკა ბუნება. მის შემოქმედებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დანყებითი კლასების სახელმძღვანელოებშიც, იგი მთელი შთაგონებით ხატავს ბუნების პანორამას თავის ნაწარმოებებში.

ვაჟა-ფშაველას პოეზია, სწორედ ბუნების შინაგანი ჰარმონიაა, ეკოლოგიური ეთიკა, როგორც უმაღლესი სათნოების პრინციპი. ვაჟა-ფშაველა ფასდაუდებელ მოსაზრებებს გამოთქვამს ბუნების შესახებ, იგი დიდ როლს ანიჭებს აღსაზრდელებში ბუნებასთან გონივრული დამოკიდებულების ჩვევების გამომუშავებასა და იმის გააზრებას, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და როგორც არ უნდა მოიხმაროს იგი საკუთარი მიზნებისათვის, მაინც იძულებულია თავისი ყოფა შეაგუოს მის კანონებს, არა ბუნების უხეში მოპყრობა, არამედ ბუნებისა და საზოგადოების ერთობლივი ჰარმონიული თანაარსებობა და განვითარება, — აი, ხსნის ერთ-ერთი გზა, სხვანაირად კაცობრიობას გადაარჩენა არ უნერია. ვაჟა-ფშაველა ჩააგონებს ადამიანებს, რომ მათი ურთიერთობა ბუნებასთან ეთნიკურ საწყისებზე უნდა იყოს დამოკიდებული, რადგან ბუნება თვით სათნოებაა, ხოლო ადამიანი მისი ნაწილი. ბუნებას უნდა შევხედოთ და მასთან ურთიერთობა დავამყაროთ არა დღევანდელი მთხროვნელებისა, არამედ მომავლის ინტერესებიდან გამომდინარე.

დღევანდელი სამსახურით დაადასტურა ვაჟას ამ მოთხრობათა შესრულების აუცილებლობა. ბუნებასთან არაგონივრულმა დამოკიდებულებამ მსოფლიოს სერიოზული სიძნელეები შეუქმნა. ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა ადრე ლოკალური ხასიათი ჰქონდა, დღეს კი საერთაშორისო რიგის გლობალურ პრობლემად იქცა. ვაჟა-ფშაველა თვლის, რომ ადამიანი ბუნების ღვიძლი შვილია, ბუნების თანაზიარია და ადამიანის ადამიანობის, მის კაცურკაცობამდე ამაღლების გზა იმაზე გადის, რომ მან, ადამიანმა, ბუნების ორგანულ ნაწილად იგრძნოს თავი ადამიანმა უნდა გააცნობიეროს ის რეალური სინამდვილე რომ ბუნებას — მცენარეს, ცხოველს, ფრინველს, დანყებული ერთუჯრედიანი არსებიდან გონიერ ადამიანებამდე ერთი მშობელი ჰყავს და ეს მშობელი დედამინაა. ეს ღვთისაგან კურთხეული ყველას დედაა, ყველასთვის ის ზრუნავს, ყველა იმის ზურგსა ჰკიდია, იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენი

დედავ, ჩვენო გამზრდელი, ჩვენო ძუძუს მანოვებელი ხომ ასე გულუხვია დედამინა, ხომ გულუხვი წყაროა სიცოცხლისა, მაგრამ ამავე დროს, მეტად ფაქიზი და უმნეოა მისი მკერდი. თანამედროვე ადამიანს, თუ მას ბუნებისადმი, დედა-მშობლისადმი უსაზღვრო სიყვარული არ ამოძრავებს, სულ მალე შეიძლება დაადუმოს ორგანული სამყაროს მაჯისცემა. ვაჟა არა მარტო აღიარებს სამყაროში ჰარმონიის არსებობას, არამედ ითხოვს, რომ ადამიანები გაუფრთხილდნენ მას.

ბუნებაში არსებულ კანონზომიერებასა და წონასწორობას ვაჟა-ფშაველამ თავის ცნობილ ლექსში „ღამე მთაში“ შემდეგი შეფასება მისცა:

„ბუნება მბრძანებელია;
იგი მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მთქმელია ავისა.
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა,
საცა პირიმზეს ახარებს
იქვე მთხრელია ზვავისა,
მანც კი ლამაზი არის
მანც სიტურფით ჰყვავისა.“

რა ბრძნულად და ორიგინალურად არის ამ სტრიქონებში ასახული ბუნების შიგნით ერთმანეთში შენიღბული დაპირისპირებანი და მრავალფეროვნებანი, რაც გვეჩმარება ღრმად ჩავწვდეთ ბუნების საიდუმლოს და დავინახოთ, რომ ბუნებაში არაფერია უაზრო, უმიზნო და შემთხვევითი. იქ ყველა არსებას, თვით ჩრდილსაც კი თავისი ადგილი აქვს. ბუნებაში თავისთავად ადამიანისათვის თვალსაჩინოდ ხდება ისეთი მოვლენები, რომლებმაც ადამიანი უნდა დააფიქროს, დაკვირვება სჭირდება იმას, რომ დაინახო ბუნებაში ერთის სიკვდილი ან დასუსტება მეორის სიკვდილისა და დასუსტებას იწვევს და ყველა არსება ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

ბუნების ორგანიზმი ერთიანია. ბუნებაში არ არსებობს დიდი და პატარა. აქ განსაზღვრული რაოდენობით ყველა არსებაა საჭირო. ვაჟას მიხედვით, „არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვლენა დავასხელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს.“

„დღეს ბედნიერები იყვნენ იქ მყოფნი, მხოლოდ ტყე, ბუნება არ იყო ბედნიერი; ტყე ტიროდა, ტიროდა დიდი ფერდა, კალთა მთისა, რომელიც მდელს, საცა ირემს ატყავებდნენ თავს დაჰყურებდა. ტყე არის ირმის დედა, ძუძუს აწოვებდა, აკვანს ტყე არწევდა, საბნადაც ტყე ესურებოდა“. ყოველივე ზემოთქმული მრავალ კითხვას აღძრავს ბავშვებში. თვალცრემლიანი ბავშვები კითხულობენ: რა ქნას ადამიანმა ხე არ მოჭრას? ხარ-ირემი ან ჯიხვი არ მოკლას? მტაცებლები არ გაანადგუროს? კითხვა უამრავია და სწორ, გამართლებულ პასუხს მოითხოვს. პასუხი კი ასეთია: ბუნებაში ყველა არსებას თავისი ადგილი აქვს. ბუნებაში არაფერია უაზრო, უმიზნო და შემთხვევითი. მართალია, ადამიანი გვერდს ვერ უვლის ამა თუ იმ მცენარის ან ნადირის შემცირებას, მაგრამ ეს ისე უნდა

მოხდეს, რომ ბუნებრივი წონასწორობა არ დაირღვეს.

დანწყებითი კლასის სახელმძღვანელოში ნამდვილი მარგალიტია ვაჟა-ფშაველას „შვილი ნუკრის ნაამბობი“ ბუნებისადმი გასაოცარი სიყვარულით გამთბარი ეს პატარა მოთხრობა პირველი სტრიქონიდანვე მთლიანად იპყრობს მკითხველის ყურადღებას.

„პანანა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრწყვა, ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლე ბენვიანი, თეთრი თვლებით მონინკლული თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩიქლებიც არ გამმაგრებია.... ნუკრის ქვითინი“-ვარ ობოლი, და ვინ იცის, ვინ დაეპატრონება, ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ხელებს? – მძაფრ ზეგავლენას ახდენს ბავშვის სულზე და განა მარტო ბავშვის სულზე!“

ერთი გონიერი პედაგოგი „შვილის ნუკრის“ ემოციური ზეგავლენის ძალაზე, აღნიშნავდა, რომ ბავშვებს სუნთქვა ეკვრით, ცრემლი ახრჩობთ, ნამდვილად ცოდონი არიანო... მაგრამ ი. გოგებაშვილი აღნიშნავს... რას ვიზამთ ჟან-ჟაკ რუსოსი არ იყოს, თუ ბავშვი სიყმანვილის პერიოდში გაჭირვებას არ გამოცდის, ცხოვრებას იგი თვალს ვერ გაუსწორებს.

რამდენად ღრმად უნდა ყოფილიყო ჩანერგილი ვაჟას გულში, მის მთელ არსებაში ბუნებისადმი სიყვარული, რომ ასე თამამად, ასე ლაღად ეთქვა-ნისლი ფიქრია მთების“, ასე გასაოცრად გულწრფელი ნატვრით მიემართა მათთვის“-რატომ არ იმღერეთ, მთებო! “მოესმინა და შეესმინა მთების გულის ცემა და ნისლების სიმღერა:

„რა ყურმა უნდა გაუძლოს
იმ მთების გულის ძგერასა,
ხევზე მოდიან ნისლები,
გაჩქარებული მრეერთა“.

– მე ვარ, ნუ გეშინია შავბნელო!... ვაჟას ვედრება: მინავ, შენ გეზარებოდეს ეს ჩემი ტურფა იაო, შენ უპატრონე ემშობლე, როგორც შენი ზნეაო! რამდენი სიყვარული, სევდა, მზრუნველობა არის ჩაქსოვილი ამ სტრიქონებში.

ბუნების სიყვარული საფუძველია სამშობლოს სიყვარულისა. რამეთუ არ უვლი, არ გიყვარს შენი გარემომცველი ბუნება, არ გეყვარება შენი სამშობლო, შენი ეროვნული ფასეულობანი, შენი მინა, შენი კუთვნილი ჰაერი, რომლებიც დასაბამითგან ღვთისა და ერის წინაშე შენია.

ცხადია, დღევანდელ პირობებში ბუნებისმეტყველების სფეროში იაკობ გოგებაშვილის მიერ XIX საუკუნის ბოლოს შემუშავებული მემკვიდრეობა საკმარისი აღარაა ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის, ამიტომ არის, რომ ამჟამად ჩვენს წინაშე მთელი სიმწვავეთ დგას ბუნების დაცვის ღონისძიებათა ქმედითი სისტემის შემუშავების ამოცანა, მაგრამ ეს ფაქტი როდი ნიშნავს იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას მემკვიდრეობისა და გამოცდილებაზე უარის თქმას, ან ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი თხუზულებების გვერდზე გადადებას, ჩვენ უნდა შევძლოთ და ამ მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით სიახლეები დავწეროთ ბუნებისმეტყველების სასკოლო სახელმძღვანელოებში. როგორც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა „ოსტატობითა და სიადვილით“ გა-
228

ვამდიდროთ მოსწავლეთა გონება, ვასწავლოთ, „ზედმინვეით ბუნების ძალთა მოხმარება“ და ავაგსოთ ბავშვების გულები „მაღალი ადამიანური გრძნობებით“ (გოგებაშვილი, 1990: 229; ინასარიძე, 2009: 6). დღევანდელი სკოლის უმთავრესი ფუნქციაც ხომ ის არის, რომ ჩამოაყალიბოს მოსწავლე სამოქალაქო ღირებულებების მატარებელ პიროვნებად, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მოვალეობები კაცობრიობისა და ბუნებრივი გარემოს მიმართ.

ლიტერატურა:

1. Donovani S., Brensfordi k. Rogor vastsablott: istoria, matematika da sabunebismetkvelo mecnierebani. Tsignshi: Statiebi ganatlebis sakitkhebze. Mastsavlebelta profesiuli ganvitarebis centri, Tbilisi, 2010.
2. Elbaqidze N. Sagnis stsavlebis metodebi datskebit safekhurze bunebismetkvelebis stsavlebisatvis. Mastsavlebelta profesiuli centris gamocema. Mastsavlebeli 4 (10) Tbilisi, 2010.
3. Inasaridze M., Lobzhanidze S., Mamukadze S., Maswavleblis etikuri sakhel-mzgvanelo, situaciebi saskolo ckhovrebidan. Mastsavlebelta profesiuli ganvitarebis centri. Tbilisi, 2009.
4. Gakhokidze R., Gza khsnisa. Tbilisi, 1991.
5. GogebaSvili I., Deda ena. Tfilisi, 1912.
6. Gogebashvili I. Rcheuli tkhuzulebani, t. 2. Tbilisi, 1990.
7. Ratiani M., Sekhniashvili M., Bliadz E. Ekologiuri tsigniereba. Mastsavleblis tsigni. Tbilisi, 2016.
8. Oboladze U., Qajaia G., Buneba da adamiani Iakob Gogebashvilis literaturul memkvidreobashi, Tbilisi, 1999.
9. Vazha-Fshavela, Qartuli proza, 12. Tbilisi, 1986.

Brolisa Tsulaia

THE ISSUES OF NATURAL SCIENCES IN IAKOB GOGEBASHVILI
AND VAZHA PSHAVELA'S CREATIVE WORKS

*Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Summary

Iakob Gogebashvili and Vazha-Pshavela have been engaged in vigorous activities in order to enhance the love of nature in the young and the wide groups of people, to awaken consciousness of their care and protection. In the preface to "Nature's Door" Gogebashvili wrote: "The nature of Georgia is so rich and diverse that the nature of Europe will not come closer to it. But we are not aware of this wealthy nature due to the improper upbringing". Gogebashvili said "Enrich the minds of the students by mastery and simplicity, teach them how to use the powers of nature, and fill the hearts of children with high human feelings.

Iakob Gogebashvili and Vazha Pshavela's pedagogical or creative works provide great material to analyze the principles of modern teaching methods. Their works are based on a combination of knowledge and education, aimed at educating and distributing of the living creatures, understanding the conditions of the relationship and balance with the surrounding world.

გულნაზ ხუხუა

ემოციონალური ინტელექტის პედაგოგიური შესაძლებლობები მოსწავლეთა არასრულწლოვანების კომპლექსის დაქვეყნებაში

ინკლუზიური განათლების შემოღება განათლების სისტემაში, სპეციალური საგანმანათლებლო დახმარების საჭიროების მქონე და არმქონე მოსწავლეთა ერთად სწავლება ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თანაბარ პირობებში, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის უმაღლესი გამოვლინებაა. ნებისმიერი ადამიანის ბუნებრივი, კანონიერი უფლებაა იყოს სრულფასოვანი მოქალაქე, საზოგადოების ღირსეული წევრი, ჰქონდეს გონივრული არჩევანის თავისუფლება, მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება უსაფრთხო გარემოში. ამისთვის მას სჭირდება ზოგადი და პროფესიული განათლება, კომუნიკაციური და შრომითი უნარ-ჩვევები. მაგრამ სხვადასხვა ფაქტორთა და მიზეზთა გამო ყველას არა აქვს ამისთვის საჭირო ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები.

სწავლის უნარშეზღუდულობა ახალი პრობლემა არ არის, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო ფართო მასშტაბები მიიღო ჩვენს დროში. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, ცივილიზაციამ ვერ მოიტანა ზნეობა, ჯანმრთელობა და ბედნიერება. სამედიცინო გამოკვლევების მიხედვით, დადგენილია სწავლის უნარშეზღუდულობის სხვადასხვა სახეობები ანუ მოდალობები, როგორიცაა:

- გონებრივი განვითარების შეფერხებულობა;
- მხედველობითი და სმენითი შეგრძნებების დაქვეითება;
- მეტყველების მოშლილობა;
- ვესტიბულარული აპარატის დაზიანება;
- ემოციური ინტელექტის განუვითარებლობა;
- მორალური დევიანტურობა და სხვ.

თითოეულ მათგანს განსხვავებული თავისებურებები ახასიათებს და შესაბამისად სჭირდება სპეციალურ-ინდივიდუალური საგანმანათლებლო მიდგომა. მაგრამ მათ აერთიანებთ ერთი საერთო პრობლემა და ეს არის არასრულწლოვანების კომპლექსი. როდესაც ჩვენ ვიკვლევდით ინკლუზიური განათლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, შეიძლება ითქვას, რომ სათანადო პედაგოგიკურ ლიტერატურაში, საკმაოდ სიღრმისეულად, მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაშუქებული სწავლის უნარშეზღუდულობის პრობლემები მოდალობების მიხედვით. მაგალითად: ვ. კაშენკო, ნ. მუდრიგი, ე. გრაჩევა; ვ. ერმაკოვი და გ. იაკუნინი, ვ. კატორი, ე. სტერნიჩა, მ. გუსევეა და სხვათა ფუნდამენტურ ნაშრომებში. დადგენილია თითოეული მათგანის პათოლოგიები, სიმპტომები, გამომწვევი ფაქტორები, მიზეზები, დამუშავებულია საკორექციო პედაგოგიური და ტექნიკური საშუალებები, მაგრამ ამას ვერ ვი-

ტყვით განსაკუთრებული დახმარების საჭიროების მქონე მოსწავლეთა არასრულფასოვნების კომპლექსის შესახებ, რომელიც ბორკილებივით ადევთ და ზღუდავს ისედაც შეჭირვებულ ბავშვებს. და, ეს კარგად ჩანს ინკლუზიური კლასების პრაქტიკაში. სათანადო კვლევითი მეთოდის: ბუნებრივ, თავისფალ და საგანგებო რეგლამენტირებულ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებზე დაკვირვების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებთან საუბრისა და ანკეტური გამოკითხვის გზით მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ის სიპტომები, რაც ახასიათებს ე. წ. არასრულფასოვნების კომპლექსს, რომელიც ზღუდავს და ხელს უშლის თანატოლებთან, მასწავლებლებთან ბუნებრივ ურთიერთობას, შემეცნებით, შრომით და გართობით აქტიურობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია თვით ბავშვის დამოკიდებულება საკუთარი ნაკლის მიმართ, ტიპიურ ბავშვებთან ურთიერთობაში მკვეთრად აღიქვამს განსხვავებულობას, საზოგადოების ნეგატიურ რეაქციას, სოციალური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და მატერიალური გარემოპირობების არაადეკვატურობას, რაც უარყოფითად მოქმედებს გრძნობით-ემოციურ სფეროზე, გუნება-განწყობაზე და გამოიხატება ქცევაში, მიმიკაში, ფესტიკულაციაში და მიხვრა-მოხვრაში, მოძრაობაში, ჯდომასა და სიარულში, ხმაში, ტონში და ა. შ. დაბალი თვითშეფასება, არასრულფასოვნების განცდა, სიმორცხვე, გაუბედავობა, ზედმეტად მორიდებულობა, არაკომუნიკაბელურობა, ეჭვიანობა და სხვა, რაც ახლავს კომპლექსურობას, ამუხრუჭებს შემეცნებით შესაძლებლობებს, ნარჩენი უნარების, შიგა და გარე დამხმარე საკორექციო საშუალებების ეფექტურ გამოყენებას და იწვევს ხასიათის უარყოფითი თვისებების განვითარებას. როგორცაა: აგრესიულობა, დაუმორჩილებლობა, სიჯიუტე, გაბუტვა, ინერტულობა, გულგრილობა, უხეშობა, ეგოიზმი, შურიანობა, სიძულვილი და ეს ყველაფერი ხდება არა მარტო იმიტომ, რომ მას რაღაც ნაკლი აქვს, არამედ მან თავიდანვე ვერ მიიღო ის ურთიერთობები და დამოკიდებულებები, ადამიანური გარემო პირობები, რაც ნაკლებად შეახსენებდა თავის პრობლემას და დადებითი თვითშეფასების, თანასწორუფლებიანობის შეგრძნებას მისცემდა.

დაბალი თვითშეფასების გრძნობას მოსწავლეს უნვითარებს პირველ რიგში თავისი განსხვავებულობა, არასასურველი გარემო ფაქტორები კი ამწვავებს მას, რაც გარიყულად აგრძნობინებს თავს. ამიტომ ურჩევნია ან განრიდება, ან კიდევ დაუმორჩილებლობა მეტი ყურადღების მისაქცევად. ნებისმიერ ბავშვს აქვს სოციოგენური მოთხოვნები, როგორცაა: სწრაფვა თავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ, დიდობისაკენ, უნდა ამჩნევდნენ, აფასებდნენ, პატივსცემდნენ, ენდობოდნენ, ეკითხებოდნენ, ანგარიშს უწევდნენ და ა. შ. ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ყველა იბრძვის თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციისათვის. ეს კი ბუნებრივი, სრულიად ნორმალური მდგომარეობაა, უფრო მეტიც, ეს თვითგანვითარების ბუნებრივი ტენდენციის ნათელი გამოხატულებაა.

აქ ჩამოთვლილი კომპლექსურობის სიპტომები და ხასიათის თვისებები იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ერთად ერთ სუბიექტს ახასიათებდეს.

აქ მოქმედებს ასაკობრივი, სქესობრივი, ინდივიდუალური თავისებურებები, პრობლემის ხანგრძლივობა და სირთულე, სოციალური წრე, ოჯახური და ეკონომიური მდგომარეობა და ა.შ. ბავშვს მიაკუთვნებენ იმ კატეგორიას, რომელი სიპტომები და ხასიათის თვისებები უფრო ჭარბობს. იშვიათი გამონაკლისის გარდა არ არსებობს ბავშვი, რომელზედაც დადებითად არ მოქმედებდეს პრობლემის ადეკვატური პედაგოგიკური კანონები, პრინციპები, მეთოდები, კეთილგანწყობილი და კეთილმონყობილი გარემო პირობები. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსალური, მარადიული და შეუცვლელია ადამიანური, გრძნობით-ემოციური ურთიერთობები, მათ მიმართ გამოვლენილი ზნეობრივი და სულიერი ღირებულებები: სიკეთე და სიყვარული.

მართალია, რომ ბავშვის განვითარების ხელშემშლელი არასრულფასოვნების კომპლექსურობის განვითარების უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს, მაგრამ შემუშავებულია საკორექციო პედაგოგიური რეკომენდაციები, რომელთა არსენალიდან ადვილი შესაძლებელია ისეთი მაკორექტირებელი პედაგოგიური სისტემის მოდერნიზება, რომელიც პოზიტიურ შედეგამდე მიგვიყვანს. მასწავლებლები და განსაკუთრებით დამრიგებელ – მასწავლებლები დასაწყისიდანვე მუდმივად კვლევით რეჟიმში უნდა იყონ. სანყის ეტაპზე კლასის დამრიგებელი ეცნობა საგანმანათლებლო დახმარების საჭიროების მქონე ბავშვთა სამედიცინო დასკვნებს, პედაგოგიურ დახასიათებასა და სხვა პირად საქმეებს, ე. წ. პორტფოლიოს, ანარმოებს ბავშვზე უშუალო დაკვირვებებს, საუბრებს, იყენებს პროფესიული ეთიკის ჩარჩოებში ახლობლობისა და სიყვარულის გამომხატველ ისეთ ვიზუალურ, სიტყვიერ და შეხებით კონტაქტებს, რომელიც მოაპოვნებინებს მოსწავლის ნდობას, კეთილ-მეგობრულ განწყობას, რაც ხელსშეწყობს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რენტაბელურობას, საკორექციო მუშაობის ეფექტურობას. ფსიქიკური და ფიზიკური ხარვეზებით გამონვეული კომპლექსის მოხსნაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გულწრფელი ემოციურ-მეგობრული ურთიერთობის აწყობა, საერთო ენის პოვნა, საუბარი, მოსმენა, გაგება, იდენტიფიკაცია, აყოლიება ადამიანურ და პედაგოგიურ აქტივობებში ისე, რომ თავი იგრძნოს ჩვეულებრივ თანაბარ მდგომარეობაში, კეთილგანწყობილ გარემოში, სადაც მიეცემა საშუალება გამოავლინოს თავისი დადებითი მხარეები, ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები და ბუნებრივად ჩაერთოს მისთვის მისაწვდომ პედაგოგიურ და სოციალურ აქტივობებში.

მოსწავლეებს კლასებისა და გაკვეთილთა რაოდენობის მიხედვით სხვადასხვა საგნის სხვადასხვა მასწავლებლებთან უწევთ ურთიერთობა და ამდენად ურთიერთობის სტილიც განსხვავებულია. კლასის დამრიგებელ-მასწავლებელი რა დიდოსტატიც არ უნდა იყოს, მისი ძალისხმევა ვერ მოიტანს პოზიტიურ შედეგს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის, ადმინისტრაციის, ოჯახის, საზოგადოებისა და სხვა დამხმარე ძალთა სრული კოორდინაციის, სოლიდარობის, კონსოლიდაციის, შეთანხმებულობისა და ჰარმონიის გარეშე. მოსწავლე თუ ერთ ვინმეს გაუწაყენდა,

თავისი ბავშვური ბუნებიდან გამომდინარე, წყენას განაზოგადებს მთელ სკოლაზე და ნიშნად პროტესტისა მიმართავს უხეშობას, აგრესიულობას, გაცდენა-დაგვიანებას და შეიძლება სხვა სკოლაში გადასვლით დამთავრდეს კონფლიქტი. და, ეს არ არის ერთეული შემთხვევა, სამწუხაროდ.

სწავლის უნარშეზღუდულ მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს დარწმუნების მეთოდი, რომ არსებული პრობლემა არ არის განაჩენი. ამისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინფორმირება:

- თანამედროვე სამედიცინო, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური მიღწევების შესახებ, რომ ხშირ შემთხვევაში სრულად და ყველა შემთხვევაში კი მდგომარეობის გაუმჯობესება მიღწევადია;
- შიგა და გარე საკომპენსაციო რეზერვების შესახებ;
- დარწმუნება საკუთარ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებში;
- კომპლექსის დაძლევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია პირადი, ცოცხალი მაგალითების მოყვანა, თუ როგორ მიაღწიეს არნახულ წარმატებას მსგავსი პრობლემების მქონე ადამიანებმა, მაგალითად: ეზოპე, ქსენოფონტე, რეპინი, ბახი, ბეთხოვენი, მოცარტი, ბრაილი, პონტრიიაგინი და მრავალი სხვა;
- საკომპენსაციო საკორექციო პედაგოგიური და ტექნიკური საშუალებების გაცნობა;
- იმის აღიარება, რომ უნაკლო და სრულყოფილი არავინ არ არის ქვეყნიერებაში. ყველას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ყველას სჭირდება გარკვეული დახმარება, თანადგომა და თანამშრომლობა, იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით;
- მთავარია რწმენა, იმედი, სიყვარული, მიზანსწრაფულობა, შემეცნებითი აქტიურობა, ხელებდაკაპინებული შრომა;
- „განათლება ყველასათვის თანაბარ პირობებში!“

მოსწავლეთა არასრულფასოვნების კომპლექსისგან განთავისუფლებაში ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია მასწავლებლის ემოციონალურ ინტელექტს. მეცნიერები ემოციურ სრულფასოვნებას ემოციონალურ ინტელექტს მიაწერენ. ამ ტერმინოლოგიის პირველი მეცნიერული დეფინიცია გააკეთეს მეცნიერებმა: ს.ჯ. სტეინმა და გავარდა ბუკამ. „ემოციონალური ინტელექტი, – წერენ ავტორები, – წარმოადგენს ვითარების სწორად გამოყენების, მასზე გავლენის მოხდენის, სხვა ადამიანების ჩანაფიქრის, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების, საჭიროებების ამოცნობისა და ყოველგვარი პანიკისა და სტრესის გარეშე, სიმხნევის შენარჩუნების უნარს“ (Stein, 1978: 41).

ა. ლეშინისა და ს. შაბაევის 2014 წელს გამოცემული მონოგრაფიიდან „ემოციონალური ინტელექტი“ ავიღეთ მოცემულ საკითხთან ყველაზე უფრო მორგებული ემოციონალური ინტელექტის მოდელი, როგორცაა:

- ემოციური აღქმა – ემოციის ამოცნობა მიმიკით, ჟესტებით, გარეგნობით, სიარულით, ქცევით, ხმით, დუმილით, ბავშვის სუ-

- ლიერი მდგომარეობით;
- ემოციის გაგება – ემოციის მიზეზს, აზრსა და ემოციას შორის კავშირის ამოცნობა;
- ემოციის მართვა – სიმშვიდის შენარჩუნება, საკუთარი ემოციების გაკონტროლება, იმპულსების შეკავება, სხვისი გრძნობის გათვალისწინება, სიტუაციის ობიექტური შეფასება, კეთილგანწყობა;
- მოტივაცია – რისი მიღწევა სურს ადამიანს;
- გამოსავალი – პრობლემის ერთობლივი გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზების პოვნა და კონსენსუსის მიღწევა.

სხვისი ემოციის ამოცნობა და ადეკვატური რეაგირება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია მასწავლებლის ემოციონალური ინტელექტით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი პრობლემის გადასაწყვეტად. ამოცნობილს სჭირდება გაგება, მის არსში წვდომა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროულად განისაზღვროს მოცემულობა, კერძოდ, ემოციის გამომწვევი მიზეზი და მიზეზის შინაარსსა და ემოციას შორის არსებული კავშირის პროპორციულობა თუ რამდენად არის მიზეზი გამოხატული ემოციის საპირწონე. წყენის გამომწვევი მიზეზი თავისი შინაარსით, ფორმით, ზომით, წონით, სიხშირით, სირთულით და ა. შ. რაც შეიძლება იყოს განსხვავებული ტიპის, კატეგორიის თუ ხარისხისა. აღნიშნული პარამეტრების მიხედვით განისაზღვრება ემოციასა და მიზეზს შორის შესაბამისობა. ცდომილების შემთხვევაში საქმე გვაქვს ან მიზეზის გაურკვევლობაში, ან კიდევ ემოციის მართვის კულტურაში. ერთიც და მეორეც საკმაოდ ხელისშემშლელი ფაქტორია სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. ამიტომ ფსიქოლოგები და პედაგოგიკოსები თანხმდებიან იმაში, რომ „პედაგოგიური პრაქტიკა პედაგოგიკური თეორიის გარეშე იგივეა. რაც ექიმბაშობა მედიცინაში“ (კ. უშინსკი). ცნობილია, რომ ემოციონალური ინტელექტის სრულფასოვნების მიღწევა არა მხოლოდ ცალკე, იზოლირებულად, არამედ სათანადო მეცნიერების მწყობრ, სისტემურ კონტექსტში გაცნობიერებითაა შესაძლებელი.

ემოციისა და ემოციონალური ინტელექტის ცნებების თეორიული გაგება და პრაქტიკაში შემოქმედებითად, პედაგოგიური სიტუაციის შესატყვისად გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება მასწავლებლის პროფესიული მოვალეობაცაა და კომპეტენციაც (Khukhua, 2017: 131-151). მასწავლებელს ემოციური ინტელექტი აძლევს საშუალებას შეიცნოს მოსწავლის სულიერი სამყარო, მისი გრძნობით-ემოციური მდგომარეობა, არასრულფასოვნების კომპლექსის მიზეზი, სიმწვავე, მოძებნოს გამოსავალი და დაგეგმოს პროცესის მართვის სტრატეგიები და აქტივობები, სწორად შეარჩიოს ადეკვატური პედაგოგიური პრინციპები და მეთოდები და სხვა რესურსები. ეს ყველაფერი მხოლოდ პრობლემის თეორიული ნაწილი – მოქმედების კანონები და წესებია. ეს არის პედაგოგიური მეცნიერება. თეორია კი პრაქტიკას უკავშირდება კონკრეტული პროცედურების მეშვეობით, ამგვარ პედაგოგიურ პრაქტიკას პედაგოგიკის კლასიკოსებმა პედაგოგიური ხელოვნება, პედაგოგიური ოსტატობა

უნოდეს.

არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევა არ არის ერთჯერადი პროცესი. მას განაპირობებს მთელი რიგი ფაქტორებისა: კომპლექსის სირთულე, სოციალური გარემო, პრობლემაზე ორიენტირებული, კოორდინირებული პედაგოგიური პროცესი, მასწავლებლის ემოციონალური ინტელექტი და კრეატიულობა, ადეკვატური კომუნიკაცია და სხვა.

კომპლექსის სირთულე გულისხმობს მის გამომწვევ მიზეზთან არა-ადეკვატურობას, სუბიექტის მიერ ვითარების გაზვიადებას, ემოციის სიჭარბეს, ზედმეტად გალიზიანებას, რაც ხელს უშლის სიტუაციის სწორად შეფასებასა და თავშეკავებაში. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია:

- მასწავლებლის ემოციონალური ინტელექტი. რომელიც დაეხმარება მოსწავლის ემოციის, მიზეზის, აზრსა და მიზეზს შორის კავშირის ამოცნობაში, საკუთარი ემოციების გაკონტროლებასა და სიტუაციის ობიექტურად შეაფასებაში, კომუნიკაციის ადეკვატურობაში;
- ადაპტირებული სოციალური გარემო, სადაც მოსწავლე თავს იგრძნობს შინაურულად, დაცულად, თანასწორ მდგომარეობაში, კოლექტივის ნაწილად, თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის ადგილად, სადაც გათვალისწინებულია მისი სამართლიანი სოციოგენური მოთხოვნები, პატივსცემენ, აფასებენ და ენდობიან;
- პედაგოგიკური თეორია და პრაქტიკა მორგებულია მის ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებთან, ასაკობრივ და ინივიდუალურ თავისებურებებთან;
- სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მონოლითურობა, სრული კონსოლიდაცია გენერალურ პედაგოგიური მიზნისაკენ.

ამრიგად, არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და სასწავლო მოტივაციების ამაღლება; ინფორმირება იმის შესახებ, რომ დღეს ფსიქიკური და ფიზიკური ნაკლი არ არის განაჩენი. სამედიცინო, პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მიღწევები, შიგა და გარე საკომპენსაციო რეზერვები, რწმენა, იმედი, მიზანსწრაფულობა, შემეცნებითი აქტიურობა და შრომა უზრუნველყოფს ხშირად, ხოლო ყველა შემთხვევაში პრობლემის გაუმჯობესებას;

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსები, განსაკუთრებით, მასწავლებლის ემოციონალური ინტელექტი, რაც გულისხმობს ემოციის აღქმას, გაგებას, მართვას, მოტივაციის ამოცნობას და შესაბამისი გამოსავლის პოვნას.

ლიტერატურა:

1. Khukhua G. Inkluziuri ganatleba, specialuri pedagogika. Tbilisi, 2017.
2. Kobakhidze T., Nozadze G., Inasaridze M., Bochorishvili M. Mastsavleblis tsigni. Mastsavleblis profesiurli ganvitarebis erovnuli centri, Tbilisi, 2016.
3. Leshini A., Bashaevi S., Emocionaluri inteleqti. Moskovi, 2014.

4. Unarshezugduli bavshvebis socialuri integraciis pedagogiuri, fsiqologiuri da samedicino aspeqtebi. Redaqtori: N. Vasadze, Tim Hobsi. Tbilisi, 2002.
5. Sastsavlo da profesiuli garemo. Mastsavleblis profesiuli ganviTarebi erovnuli centri, Tbilisi, 2008.
6. Steini J., Buka G. Gadakhrebi emociur-nebiskofit sferoshi. moskovi, 1978.
7. Tkemaldze R., Dalaqishvili N., TofaZe Q. Stsavleba da shefaseba. Mastsavleblis profesiuli ganviTarebi erovnuli centri, Tbilisi, 2008.
8. Vistsavlot ertad inkluziuri ganatleba. Mastsavleblis profesiuli ganvitarebis erovnuli centri, Tbilisi, 2008.

Gulnazi Khukhua

PEDAGOGICAL OPPORTUNITIES FOR EMOTIONAL INTELLECT
IN OVERCOMING THE COMPLEXITY OF PUPILS'
INCOMPATIBILITY

Summary

In this paper discusses the issue of the problem of overcoming pupils' inferiority complex in inclusive classes. Inferiority complex hinders development and socialization of children. It is within the competences of teachers to take pedagogical measures. Emotional intellect is important for teachers in overcoming this problem, that will help teachers in recognizing others' emotions, inferiority complex symptoms, causes and understand connections between an idea and a cause, control own emotions and evaluate situation objectively. They also define and apply adequate pedagogical strategies and activities.

Giving information to children on current medical, psychological and pedagogical achievements, on internal and external reserves of correction, compensation, and technical means, has good results. The examples of outstanding people, such as Esopé, Xenophonte, Repin, Bach, Beethoven, Mozart, Braille and others having similar problems, which did not hinder them from success, played a significant role.

It is also important to create an adaptive environment, where pupils will feel safe and become able to achieve self-actualization and satisfy their fair socio-genic requirements.

სწავლების მეთოდოლოგია
TEACHING METHODOLOGY

ციალა ძიძიგური

სხვაობიანი განტოლებები დისკრეტულ
მათემატიკურ მოდელებში

რეალური სისტემების აღსაწერად გამოიყენება განსხვავებული ტიპის მათემატიკური მოდელები. მათ შორის კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სხვაობიანი განტოლებებს, ამასთან მათი როლი მუდმივად მზარდია და ფართოდ გამოიყენება მეცნიერებასა და ტექნიკაში სხვადასხვა პროცესებისა და სისტემების აღწერისას. მაგალითად, ეკონომიკაში, ფიზიკაში, ბალისტიკაში, ბიოლოგიაში, ეკოლოგიაში, მედიცინაში, დემოგრაფიაში და ა.შ. ამიტომ სხვაობიანი განტოლებათა თეორიის საკითხების კვლევა, მრავალი მათემატიკოსის ინტერესთა სფეროშია მოქცეული და რამდენიმე ათეული წელია ეს თეორია ინტენსიურად ვითარდება.

სხვაობიანი განტოლებები მიიღება ჩვეულებრივ მაშინ, როცა განსახილველი სიდიდე ფიქსირდება დროის ტოლ შუალედებში. დისკრეტული დინამიური სისტემების მართვის აღწერის, ანალიზის, და სინთეზის ამოცანების მათემატიკური მოდელები აღიწერება სხვადასხვა სახის სხვაობიანი განტოლებებით. მაგალითად, ბაზრის ერთი საქონლის ეგრედწოდებული ობობისქსელური მოდელი აღიწერება სხვაობიანი განტოლებით, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$P_{t+1} = aP_t + b$, სადაც P_t - არის საქონლის ფასი დროში t დროში, a და b გარკვეული მუდმივებია.

არსებობს ისეთი ბიოლოგიური პოპულაციები, რომელთა განვითარების პროცესი დისკრეტულია, ამიტომ მიზანშეწონილია ამ პოპულაციის ევოლუციის პროცესს აღწერდეს რეკურენტული დამოკიდებულება: $\mu_{t+1} = F(\mu_t)$, სადაც μ_t - პოპულაციის რაოდენობაა t წელიწადს, $t = 0, 1, 2, \dots$

ასევე მალთუსის მოდელის (პოპულაციის გამრავლების სიჩქარე მისი რაოდენობის პროპორციულია) დისკრეტული სახეა: $\mu_{t+1} = q \mu_t$, q - პოპულაციის ზრდის საკუთარი მუდმივაა.

პოპულაციის რაოდენობის შეზღუდული ზრდის საბაზო უწყვეტი (ფერხიულსტ-პერლის) მოდელის შესაბამის დისკრეტულ მოდელს კი აქვს შემდეგი სახე:

$$X_{n+1} = rX_n(1-X_n),$$

სადაც X_n - პოპულაციის რაოდენობაა დროის n მომენტში, r - პოპულაციის გამრავლების კოეფიციენტი. დროის გარკვეული მომენტისათვის X_n ცვლადის ქცევას შეიძლება ჰქონდეს არა მარტო შეზღუდული ზრდის ხასიათი, როგორც ეს იყო უწყვეტი მოდელისთვის, არამედ იყოს რბ-

ვითი, ან კვაზისტოქსტური.

არანრფივი რხევების თანამედროვე თეორიაში სხვაობიანი განტოლებები ჩნდებიან ან დამოუკიდებლად, ან დიფერენციალური განტოლებებიდან პუანკარეს წერტილოვან ასახვაზე გადასვლისას.

მათემატიკაში სხვაობიანი განტოლებების მთავარ წყაროდ გვევლინება დიფერენციალური განტოლებები. მხედველობაში გვაქვს სხვაობიანი სქემები, რომლებიც გამოიყენება დიფერენციალური განტოლებების მიახლოებით ამოსახსნელად, ანუ დიფერენციალური განტოლებების რიცხვითი ინტეგრირებისას.

ამგვარად, სხვაობიანი განტოლებების მრავალგვარი და წარმატებული გამოყენებისათვის ეკონომიკაში, ეკოლოგიაში, ბიოლოგიაში, მათემატიკურ კვლევებში, წრფივი რხევითი პროცესების თეორიასა და სხვა ამოცანებში აუცილებელია სხვაობიანი განტოლებათა ელემენტარული თეორიის ცოდნა. ამისათვის კი უნივერსიტეტის ნებისმიერი საფეხურის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადო ლიტერატურა. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა, ფაქტობრივად არ არსებობს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები სხვაობიანი განტოლებათა თეორიაში. თემის აქტუალობიდან გამომდინარე კი ამ პრობლემის მოგვარება საშური საქმეა.

სხვაობიანი განტოლებები (სხვა სახელები: სასრულ-სხვაობიანი განტოლებები, დაბრუნებადი მიმდევრობები) თავიანთი თვისებებით და გამოყენების სფეროებით ძალიან ახლოს არიან დიფერენციალურ განტოლებებთან. განსხვავება იმაშია, რომ დიფერენციალური განტოლებები აკავშირებენ ფუნქციებს და მათ წარმოებულებს დროის ერთსა და იმავე მომენტში, ხოლო სხვაობიანი განტოლებები - ფუნქციის მნიშვნელობებს დროის სხვადასხვა მომენტებში.

სხვაობიანი განტოლების ზოგიერთი წყაროა:

- დიფერენციალური განტოლებებისა და კერძონარმოებულებიანი განტოლებების დისკრეტიზაცია;
- ობიექტების მოდელი დისკრეტული დროითი;
- მათემატიკური მიმდევრობებისა და რეკურენტული დამოკიდებულებების ანალიზი.

ისევე როგორც დიფერენციალური, სხვაობიანი განტოლებებიც იყოფა წრფივ და არანრფივ, ერთგვაროვან და არაერთგვაროვან, მუდმივკოეფიციენტებიან და ცვლადკოეფიციენტებიან განტოლებებად.

ცნობილია წრფივი სხვაობიანი განტოლებების ამოხსნის ორი მეთოდი: მახასიათებელი პოლინომის გამოყენებით და Z — გარდაქმნის გამოყენებით, ლაპლასის გარდაქმნის ანალოგიურად. ჩვენ განვიხილავთ პირველს.

I. განვიხილოთ დაბრუნებადი მიმდევრობები. ტერმინი „დაბრუნებადი“ დამკვიდრებულია ფრანგული recurrente-დან (თარგმანში recurrente ნიშნავს დაბრუნებადი). მართლაც, დაბრუნებადი მიმდევრობის ყოველი მომდევნო წევრის გამოსათვლელად უნდა დავუბრუნდეთ წინა წევრებს.

მიმდევრობას $u_1, u_2, \dots, u_n, \dots$ ეწოდება k -ური რიგის დაბრუნებადი მიმდევრობა, თუ არსებობენ ისეთი a_1, a_2, \dots, a_k ($a_k \neq 0$) რიცხვები, რომ ადგილი აქვს ტოლობას

$$u_{n+k} = a_1 u_{n+k-1} + a_2 u_{n+k-2} + \dots + a_k u_n \quad (n \geq 1). \quad (1)$$

სხვაობიანი განტოლებების თვალთახედვით k -ური რიგის დაბრუნებადი მიმდევრობა არის წრფივი ერთგვაროვანი მუდმივკოეფიციენტებიანი k -ური რიგის სხვაობიანი განტოლების ამონახსნი. დაბრუნებადი მიმდევრობის პირველი წევრის მოცემა სხვაობიანი განტოლებისთვის კოშის ამოცანის საწყისი პირობების ტოლფასია. წრფივი ერთგვაროვანი მუდმივკოეფიციენტებიანი სხვაობიანი განტოლებების ამონახსნათა თეორია საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ დაბრუნებადი მიმდევრობის ზოგადი წევრის ფორმულა.

დაბრუნებადი მიმდევრობის მაგალეთებია გეომეტრიული და არითმეტიკული პროგრესიები, ფიბონაჩის რიცხვითი მიმდევრობა და სხვა.

1. **გეომეტრიული პროგრესიისთვის** (1) განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$u_{n+1} = qu_n, \quad q \neq 0. \quad (2)$$

გეომეტრიული პროგრესია არის პირველი რიგის დაბრუნებადი მიმდევრობა.

2. **არითმეტიკულ პროგრესიის** რეკურენტული დამოკიდებულება შეიძლება ჩაინეროს შემდეგი სახით

$$u_{n+2} = 2u_{n+1} - u_n, \quad (3)$$

ამიტომ არითმეტიკული პროგრესია მეორე რიგის დაბრუნებადი მიმდევრობაა.

პოპულაციის დინამიკის მათემატიკური მოდელი, რომელმაც პირველმა მოაღწია ჩვენამდე, არის დისკრეტული და მოყვანილია ალორძინების ეპოქის იტალიელი მათემატიკოსის ლეონარდო პიზანელის წიგნში „ნიგნი აბაკუსი“, რომელიც გამოვიდა 1202 წელს. ფიბონაჩის ამოცანას შეესაბამება რიცხვითი მიმდევრობა:

$$1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144, \dots \quad (4)$$

ამ რიცხვებს **ფიბონაჩის რიცხვებს** უწოდებენ და ყოველი წევრისთვის, დაწყებული მესამიდან, სამართლიანია შემდეგი რეკურენტული დამოკიდებულება:

$$u_{n+2} = u_{n+1} + u_n, \quad n=1,2,\dots \quad (5)$$

ე.ი. ფიბონაჩის მიმდევრობაც დაბრუნებადი მიმდევრობაა. (5) განტოლების ზოგადი ამონახსნია:

$$u_n = C_1 \left(\frac{1 - \sqrt{5}}{2} \right)^n + C_2 \left(\frac{1 + \sqrt{5}}{2} \right)^n$$

ხოლო $u_1 = u_2 = 1$ საწყისი პირობებისთვის ფიბონაჩის მიმდევრობის ზოგადი წევრის ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$u_n = \frac{1}{\sqrt{5}} \left(\left(\frac{1 - \sqrt{5}}{2} \right)^n - \left(\frac{1 + \sqrt{5}}{2} \right)^n \right). \quad (6)$$

(6) **-ბინეს** (ფრანგი მათემატიკოსი) ფორმულას უწოდებენ, სადაც

$$\tau = \frac{\sqrt{5}+1}{2}$$

ოქროს კვეთის შეფარდებაა.

II. აღსანიშნავია სხვაობიანი განტოლებების გამოყენება ზოგიერთი n -ური რიგის დეტერმინანტის გამოთვლისას.

კერძოდ, განიხილება $(n \times n)$ – ური რიგის სამდიაგონალიანი და $(n \times n)$ – ური რიგის ისეთი მატრიცები, რომელთა დაყვნა შეიძლება სამკუთხა ან სამდიაგონალიან მატრიცებზე. მიიღება ამ ტიპის მატრიცების შესაბამისი დეტერმინანტების მნიშვნელობები სხვაობიანი განტოლებების სახით.

ა) განვიხილოთ n - ური რიგის დეტერმინანტი

$$J_n = \begin{vmatrix} c & a & 0 & 0 & \dots & 0 \\ b & c & a & 0 & \dots & 0 \\ 0 & b & c & a & \dots & 0 \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ 0 & 0 & 0 & 0 & \dots & c \end{vmatrix} \quad (7)$$

თუ $ab = 0$, მაშინ დეტერმინანტი ტოლი იქნება: $J_n = c^n$.

თუ $ab \neq 0$, მაშინ მიიღება: $J_n = cJ_{n-1} - abJ_{n-2}$ (8)

ცხადია, $J_1 = c$ და $J_2 = c^2 - ab$ (9)

განტოლება (8)-ს სტანდარტული სახეა:

$$J_{n+2} - cJ_{n+1} + abJ_n = 0, \quad n = 1, 2, 3, \dots \quad (10)$$

ამგვარად, (7) დეტერმინანტის გამოთვლის ამოცანა დავიდა კოშის (10), (9) ამოცანის ამოხსნამდე.

(10) არის მეორე რიგის წრფივი მუდმივკოეფიციენტებიანი ერთ-გვაროვანი სხვაობიანი განტოლება. **ზოგადი ამონახსნი** დამოკიდებულია მისი მახასიათებელი $\lambda^2 - c\lambda + ab = 0$ განტოლების ფესვებზე.

თუ $D > 0$, მაშინ $J_n = C_1 \left(\frac{c - \sqrt{c^2 - 4ab}}{2} \right)^n + C_2 \left(\frac{c + \sqrt{c^2 - 4ab}}{2} \right)^n$;

$D = 0$ - ის შემთხვევაში $J_n = C_1 \left(\frac{c}{2} \right)^n + C_2 n \left(\frac{c}{2} \right)^n$;

ხოლო $D < 0$ - თვის $J_n = (ab)^{\frac{n}{2}} (C_1 \cos \varphi n + C_2 \sin \varphi n)$.

c_1 და c_2 მუდმივების მნიშვნელობები განისაზღვრება საწყისი (9) პირობებიდან.

ბ) თუ გამოსათვლელია დეტერმინანტი

$$J_n = \begin{vmatrix} a & b & b & \dots & b & b \\ -b & a & b & \dots & b & b \\ -b & -b & a & \dots & b & b \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ -b & -b & -b & \dots & -b & a \end{vmatrix} \quad (11)$$

და მას წარმოვადგენთ ორი დეტერმინანტის ჯამის სახით:

$$J_n = \begin{vmatrix} a-b & 0 & 0 & \dots & 0 & 0 \\ -b & a & b & \dots & b & b \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ -b & -b & -b & \dots & -b & a \end{vmatrix} + \begin{vmatrix} b & b & b & \dots & b & b \\ -b & a & b & \dots & b & b \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ -b & -b & -b & \dots & -b & a \end{vmatrix}$$

ადვილად მიიღება განტოლება:

$$J_n = A(a-b)J_{n-1} + b(a+b)^{n-1},$$

რომლის სტანდარტული ფორმაა:

$$J_{n+1} - (a-b)J_n = b(a+b)^n \quad (12)$$

(12) პირველი რიგის წრფივი არაერთგვაროვანი სხვაობიანი განტოლებაა სპეციალური მარჯვენა მხარით. მისი ზოგადი ამონახსნია:

$$J_n = A(a-b)^n + 1/2 (a+b)^n$$

ამ უკანასკნელიდან და საწყისი პირობის, $J_1=a$, გათვალისწინებით $A=1/2$. შედეგად

$$J_n = \frac{(a-b)^n + (a+b)^n}{2}$$

გ) თუ განვიხილავთ შემდეგი

$$J_n = \begin{vmatrix} x & y & y & \dots & y & y \\ z & x & y & \dots & y & y \\ z & z & x & \dots & y & y \\ \dots & \dots & \dots & \dots & \dots & \dots \\ z & z & z & \dots & x & y \\ z & z & z & \dots & z & x \end{vmatrix} \quad (13)$$

n -ური რიგის დეტერმინანტს და ვანარმოებთ წინა დეტერმინანტზე განხორციელებული გარდაქმნების ანალოგიურ გარდაქმნებს, მივიღებთ

$$J_n = (x-y)J_{n-1} + y(x-z)^{n-1},$$

ანუ მეორე რიგის არაერთგვაროვან სხვაობიან განტოლებას:

$$J_{n+2} - (x-y)J_n = y(x-z)^{n-1}. \quad (14)$$


III. სხვაობიანი განტოლებები და ჩებიშევის მრავალწევრი.

ჩებიშევის მრავალწევრს ხშირად იყენებენ ფუნქციათა აპროქსიმაციისათვის, როგორც n -ური რიგის მრავალწევრს, რომელიც $[-1; 1]$ შუალედში ყველაზე ნაკლებად გადაიხრება 0 -საგან. მრავალწევრები შეიძლება ჩაინეროს ტრიგონომეტრიულად:

$$T_n(x) = \cos(n \arccos(x)) \quad (15)$$

ჩებიშევის კლასიკური მრავალწევრები $T_n(x)$ განსაზღვრულია $[-1; 1]$ ინტერვალზე. მათ გააჩნია მთელი რიგი შესანიშნავი თვისება. კერძოდ, ყველა პოლინომს x -ის უმაღლესი ხარისხის წინ ფიქსირებული კოეფიციენტი, აქვს მინიმალური ამპლიტუდა $[-1; 1]$ ინტერვალზე. პირველ ოთხ

პოლინომს აქვს შემდეგი სახე (ნახ. 1.)



ნახ.1.

$$T_0(x)=1, \quad T_1(x)=x, \quad T_2(x)=2x^2-1, \quad T_3(x)=4x^3-3x.,$$

ჩებიშევის მრავალწევრების რეკურენტული დამოკიდებულებაა:

$$T_{n+1}(x) = 2x T_n(x) - T_{n-1}(x). \quad (16)$$

ეს უკანასკნელი წარმოადგენს მეორე რიგის წრფივ ერთგვაროვან განტოლებას. მას შეესაბამება მახასიათებელი განტოლება

$$\lambda^2 - 2x\lambda + 1 = 0,$$

სხვაობიანი განტოლების ზოგად ამონახსნს კი აქვს შემდეგი სახე:

$$T_n(x) = c_1 \lambda_1^n + c_2 \lambda_2^n.$$

საწყისი პირობებიდან $T_0(x)=1$, $T_1(x)=x$, ვპოულობთ $c_1=c_2=1/2$.

აქედან ვღებულობთ **ჩებიშევის მრავალწევრის ზოგად ფორმულას:**

$$T_n(x) = \frac{1}{2} \left[(x + \sqrt{x^2 - 1})^n + (x - \sqrt{x^2 - 1})^n \right]. \quad (17)$$

ამ ფორმულაში შემავალი რადიკალები ფრჩხილების გახსნის შემთხვევაში იკვეცებიან. უფროსი წევრის კოეფიციენტი არის 2^{n-1} . ჩებიშევის მრავალწევრის ყველა ნულები და ყველა მათი ექსტრემუმი თავს იყრიან $[-1; 1]$ ინტერვალში.

მაგალითად, როცა $n=2$ ვღებულობთ

$$T_2(x) = 2x^2 - 1.$$

ამ მრავალწევრს აქვს ორი ნული $\pm\sqrt{2}/2$, და მინიმუმი 0 წერტილში. მრავალწევრის მნიშვნელობა მინიმუმის წერტილში და ინტერვალის საზღვრებში აბსოლუტური სიდიდით ტოლნი არიან და უდრის ერთს.

IV. შემდეგი მარტივი ამოცანების გადანყვევების მაგალითზე შეიძლება ვაჩვენოთ სხვაობიანი განტოლებების სახეებისა და მათი ამოხსნის მეთოდების დემონსტრირება:

ა) ამოცანა ბაქტერიების გამრავლების შესახებ. ბაქტერიათა კოლონიაში, რომლის რაოდენობა ყოველ წამს ორმაგდება, ხვდება ვირუსი. ყოველ წამს ის ჭამს ერთ ბაქტერიას, რის შემდეგაც მრავლდება გაყოფით. რა ბედი ეწევა ბაქტერიათა კოლონიას, თუ მათი საწყისი რაოდენობაა N ?

ამგვარად, თავიდან იყო N ბაქტერია და ერთი ვირუსი. პირველ წამს ვირუსმა შეჭამა ერთი ბაქტერია და გამრავლდა, ბაქტერიათა რაოდენობა ასევე გაორმაგდა. შედეგად გახდა $2(N-1)$ ბაქტერია და 2 ვირუსი

და ა.შ.

ამოხსნა. აღვნიშნოთ ვირუსების და ბაქტერიების მიმდინარე რაოდენობა x და y -ით შესაბამისად და განვიხილოთ ვექტორი $X = \begin{bmatrix} x \\ y \end{bmatrix}$. ამ ამოცანის მატრიცული სახე იქნება

$$X(t+1) = AX(t), \quad (18)$$

სადაც

$$A = \begin{bmatrix} 2 & 0 \\ -2 & 2 \end{bmatrix}, \quad X(0) = \begin{bmatrix} x(0) \\ y(0) \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 \\ N \end{bmatrix}$$

(18) წრფივ ერთგვაროვან სხვაობიან განტოლებათა **სისტემის მატრიცული ფორმაა**, მისი ამონახსნი მატრიცულად ჩაინერება:

$$X(t) = A^t X_0$$

თანმიმდევრობით A მატრიცის $2, 3, 4, \dots, n$ ხარისხებში აყვანით მივიღებთ:

$$A^n = 2^n \begin{bmatrix} 1 & 0 \\ -n & 1 \end{bmatrix}, \quad X(t) = A^t X_0 = 2^t \begin{bmatrix} 1 & 0 \\ -t & 1 \end{bmatrix} \cdot \begin{bmatrix} 1 \\ N \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 1 \\ N - 1 \end{bmatrix} 2^t.$$

ჩანერის სკალარულ ფორმაზე გადასვლის შემდეგ მივიღებთ:

$$x = 2^t, \quad y = (N-1) 2^t.$$

y ცვლადი გახდება ნულის ტოლი, როდესაც $t=N$ შესაბამისად კოლონია გაქრება N წამის შემდეგ.

შენიშვნა. A^t მატრიცის ელემენტების ანალიზური განსაზღვრის პროცედურა მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნის. მარტივი სტრუქტურის მატრიცებისათვის არსებობს უფრო მარტივი მეთოდი.

ამოხსნის მეორე მეთოდი ეყრდნობა მატრიცის საკუთარი ვექტორების გამოთვლას. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ჯერადი საკუთარი რიცხვები $\lambda_1 = \lambda_2 = 2$, ($\det(A - \lambda E) = 0$ მახასიათებელი განტოლების ფესვები), ამიტომ ამონახსნს პოულობენ შემდეგი ფორმით:

$$X(t) = (c_1 H_1 + H_2) 2^t \quad (19)$$

სადაც $H_1 = \begin{bmatrix} 0 \\ 1 \end{bmatrix}$ - არის A მატრიცის ერთადერთი საკუთარი ვექტორი ($AH_1 = \lambda_1 H_1$ განტოლების ამონახსნი). მიკუთვნებული H_2 ვექტორის საპოვნელად კი (19)-ში ვსვამთ $t=0$ და ვიყენებთ სანყის პირობებს:

$$H_2 = X(0) = \begin{bmatrix} 1 \\ N \end{bmatrix}$$

კოეფიციენტს $c_1 = -1$ ვპოულობთ $(A - 2E) H_2 = 2c_1 H_1$ განტოლებიდან, რომელიც მიიღება (19) ფორმულის ჩასმით სანყის განტოლებათა სისტემაში. შესაბამისად, ამონახსნს აქვს შემდეგი სახე:

$$X(t) = \left(- \begin{bmatrix} 0 \\ 1 \end{bmatrix} t + \begin{bmatrix} 1 \\ N \end{bmatrix} \right) 2^t = \begin{bmatrix} 1 \\ N - 1 \end{bmatrix} 2^t$$

რაც ემთხვევა პირველი შემთხვევის შედეგს.

შეიძლება კიდევ ორი გზით ამოიხსნას ეს ამოცანა:


აქედან ერთი იქნება **სკალარული მეთოდი**, ანუ ორი სხვაობიან განტოლებათა სისტემიდან ერთი, (y -ის მიმართ), მეორე რიგის სხვაობიან

განტოლებაზე გადასვლა, რომელსაც ექნება შემდეგი სახე:

$$y(t+2)-4y(t+1)+4y(t)=0;$$

მეორე გზა კი, სხვაობიანი განტოლების შედგენა $z=y/x$ ცვლადის მიმართ. მას ექნება ძალიან მარტივი სახე: $z(t+1)-z(t)=-1$ და აქვს წრფივი ამონახსნი $z(t)=N-T$ რომელიც ნულის ტოლი ხდება $t=N$ -თვის.

ამ ამოცანის რიცხვითი ამოხსნისათვის შეიძლება რომელიმე მათემატიკური პაკეტის გამოყენება. მაგალითად, MATLAB-ის გამოყენებისას $N=10$ -თვის ნახ.2 -დან ჩანს, რომ მეცხრე წამის განმავლობაში ვირუსებისა და ბაქტერიების რაოდენობა გაუტოლდა ერთმანეთს (მრუდების გადაკვეთის წერტილი), და შედეგად მეთათე წამს ბაქტერიების რაოდენობა გახდა ნულის ტოლი.



ნახ. 2.

თუ ბაქტერიების საწყისი რაოდენობა იქნება მილიონი, მაშინ მილიონი ბაქტერია დაილუპება მილიონი წამის შემდეგ (მიახლოებით: 11 დღე-ღამე, 13 სთ. და 47 წთ.)

ბ) წარაიანის ამოცანა (ინდოეთი, XIV ს.). რამდენი იქნება ერთი ძროხის ნამატი 20 წლის განმავლობაში, თუ ერთი ძროხა ყოველი წლის ბოლოს შობს ერთ ხბოს, ხოლო ხბო იძლევა შთამომავლობას წლის დასაწყისში, მიაღწევს რა 3 წლის ასაკს.

ამოხსნა. ვთქვათ, x_n – ძროხების რაოდენობაა, რომლებმაც გააჩინეს შთამომავლობა n -ური წლის დასაწყისში (ახალდაბადებული ხბოების რაოდენობა ასევე არის x_n); y_n – ხბოების რაოდენობა, რომლებიც შობენ შთამომავლობას ერთი წლის შემდეგ; z_n – ხბოების რაოდენობა, რომლებიც შობენ შთამომავლობას ორი წლის შემდეგ.

მაშინ ჯამური სულადობა იქნება

$$v_n = 2x_n + y_n + z_n \quad (20)$$

ამოცანის პირობიდან გამომდინარე გვაქვს სხვაობიან განტოლებათა სისტემა საწყისი პირობებით:

$$x_1 = 1, \quad y_1 = 0, \quad z_1 = 0.$$

$$\begin{cases} x_{n+1} = x_n + y_n, \\ y_{n+1} = z_n, \\ z_{n+1} = x_n, \\ v_n = 2x_n + y_n + z_n. \end{cases}$$

ჩვენერთ ეს სისტემა მატრიცული ფორმით:

$$X_{n+1} = AX_n; \quad X = \begin{bmatrix} x \\ y \\ z \end{bmatrix}, \quad A = \begin{bmatrix} 1 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 \\ 1 & 0 & 0 \end{bmatrix}, \quad X_1 = \begin{bmatrix} 1 \\ 0 \\ 0 \end{bmatrix}.$$

$$v_n = CX_n; \quad C = [2 \quad 1 \quad 1].$$

ამოვხსნათ ეს სისტემა სამი მეთოდით: *სკალარულად, ვექტორულად და მატრიცულად.*

სკალარული მეთოდი. მოცემული სისტემიდან y_n, z_n გამორიცხვით გადავალთ მესამე რიგის ერთ სხვაობიან განტოლებაზე

$$x_{n+3} = x_{n+2} + x_n \quad (21)$$

საწყისი პირობებით: $x_1 = x_2 = x_3 = 1$.

გამოვთვლით x_n -ის მნიშვნელობებს ნაბიჯ-ნაბიჯ ჩასმით $n=1, 2, 3, \dots, 19$ მივიღებთ რიცხვთა მიმდევრობას: 1, 1, 1, 2, 3, 4, 6, 9, 13, 19, 28, 41, 60, 88, 129, 189, 277, 406, 595, 872.

შევნიშნოთ, რომ საქონლის რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$v_n = 2x_n + y_n + z_n.$$

ე.ი. 20 წლის შემდეგ საქონლის რაოდენობა იქნება:

$$n = 2 \cdot 872 + 595 + 406 = 2745$$

ამ მეთოდს ყველაზე სწრაფად მივყავართ მიზნამდე.

ვექტორული მეთოდი. წარმოვადგინოთ A მატრიცა საკუთარი λ_i რიცხვებისა და საკუთარი H_i ვექტორების გამოყენებით:

$$X_n = c_1 H_1 \lambda_1^n + c_2 H_2 \lambda_2^n + c_3 H_3 \lambda_3^n. \quad (22)$$

მახასიათებელ განტოლებას: $\lambda^3 - \lambda^2 - 1 = 0$ აქვს ერთი ნამდვილი და წყვილი კომპლექსური ფესვები

$$\lambda_1 = 1,4656; \quad \lambda_{2,3} = -0,2328 \pm 0,7926i.$$

A მატრიცის საკუთარი რიცხვები და საკუთარი ვექტორები შეიძლება გამოითვალოს MATLAB პაკეტის გამოყენებით:

$$H = \begin{bmatrix} 0,7710 & -0,3623 - 0,2924i & -0,3623 + 0,2924i \\ 0,3589 & 0,6784 + 0,0733i & 0,6784 - 0,0733i \\ 0,5261 & -0,2160 + 0,5206i & -0,2160 - 0,5206i \end{bmatrix},$$

$$L = [1,4656 \quad -0,2328 + 0,7926i \quad -0,2328 - 0,7926i].$$

ამ მნიშვნელობების (22) ფორმულაში ჩასმით და შემდეგ საწყისი პირობებით ვპოულობთ c_i კოეფიციენტებს.

თუ აუცილებელია გვექონდეს მახასიათებელი განტოლების ფესვების ზუსტი მნიშვნელობები, შეიძლება MATLAB პაკეტის SYMBOLIC ტულბოქსით ამ ფესვების გამოსათვლელი ფორმულების მიღება:

$$y_1 = \frac{s^2+2s+4}{6s}, \quad y_1 = -\frac{s^2-4s+4}{12s} \pm i\sqrt{3} \frac{s^2-4}{12s}.$$

$$s = \sqrt[3]{116 + 12\sqrt{93}}.$$

სადაც

ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია ანალიზური ამონახსნის მისაღებად მოცემული სანყისი პირობების პირობებში და ნებისმიერი წლისათვის.

გარდა ამისა ის იძლევა საშუალებას პასუხი გაეცეს კითხვებს ნახირის სტრუქტურაზე: ძროხების, ორწლიანი ხბოების და ერთწლიანი ხბოების რაოდენობებს შორის პროცენტულ თანაფარდობაზე დიდი n-თვის. კერძოდ მათი რაოდენობების თანაფარდობა იქნება ისეთი, როგორც A მატრიცის პირველი საკუთარი ვექტორის კომპონენტებისა, ე.ი. x:y:z=0,7710:0,3589:0,5261.. სხვა სიტყვებით (პროცენტულად), ძროხები იქნება დაახლოებით 46,6%, ორწლიანი ხბოები – დაახლოებით 21,6%, ერთწლიანი ხბოები – დაახლოებით 31,8%. ასეთი თანაფარდობით ხასიათდება ზემოთ მიღებული ამონახსნი [x,y,z]=[872,406,595], n=19-თვის.

მატრიცული მეთოდი. ეს მეთოდი ემყარება ხარისხოვანი ფორმულების გამოყენებას

$$X_n = A^{n-1} X_1; \quad v_n = CA^{n-1} X_1. \quad (23)$$

MATLAB პაკეტით მუშაობისას ეს მეთოდი ხელსაყრელია. შედეგად მიიღება პასუხი: v=2745 – ეს არის მე-20 წლისთვის ნახირში სულადობის რაოდენობა.

ლიტერატურა:

1. Chilachava T., Dzidziguri Ts. Matematikuri modelireba. Tbilisi, “Inovatsia”, 2008.
2. Dzidziguri Ts., Chilachava T. Matematikuri modelebi ekologiასა da medicinashi. Tbilisi, “Inovatsia”, 2011.
3. Dzidziguri Ts. Matematika sabunebismetkvelo specialobebisatvis. Tbilisi, “Inovatsia”, 2006.
4. MacArthur R. Graphical analysis of ecological systems// Division of biology report Perinceton University. 1971.
5. Mironovskiy L.A. Modelirovanie raznostnix yravneniy. Uchebnoe posobie. Sankt-Peterburg, 2004.
6. By Mustafa R.S. Kulenovic, Orlando Merino. Discrete Dynamical Systems and Difference Equations with Mathematica. Edition 1st Edition. eBook Published 27 February 2002. Pub. location New York. Imprint Chapman and Hall/CRC. Pages 360 pages. eBook ISBN 9781420035353.

7. Novak B, Tyson J.J. Modeling the cell division cycle: M-phase trigger, oscillation and size control, *J. Theor. Biol.* 165, 101-104, 1993.
8. Romanko V.K. *Raznostnie yravnenia. Uchebnoe posobie.* Moskva, Binom, Laboratoria znaniy. 2006.

Dzidziguri Tsiala

DIFFERENCES, EQUATIONS IN DISCRETE MATHEMATICAL MODELS

Summary

The role of difference equations in mathematical modeling is constantly growing and is widely used in describing various processes and systems in science and technology. Therefore, the study of the theory of difference equations is in the scientific interests of many mathematicians. For several decades, this theory has been developing intensively.

– The paper gives concrete examples of some sources of difference equations:

- Discrete models of objects;
- Analysis of mathematical sequences and repetitive dependencies;
- Use of difference equations to calculate (calculate) some types of determinants;
- Difference equations and classical Chebyshev polynomials, which are often used for function approximations. The recurrence relation of Chebyshev polynomials is a linear homogeneous equation of equality of the second degree.

Two discrete mathematical models are constructed. Based on their qualitative research, various methods for solving systems of differences, equations are shown. The priorities of specific methods are determined in the case of specific conditions.

შეზღუდვები და დამტკიცება მართკუთხა სამკუთხედი

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ყველასათვის ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათემატიკაში დებულებების (თეორემების) დამტკიცებას. სამწუხაროდ, დღეისათვის საჯარო სკოლების მათემატიკის სასკოლო კურსში ამას ნაკლები ყურადღება ექცევა. მოსწავლეებს ესა თუ ის დებულება (თეორემა) დამტკიცების გარეშე, ე. წ. ფაქტის სახით მიეწოდება. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ დებულებების დამტკიცება.

დებულებების დამოუკიდებლად დამტკიცება მოსწავლეებში ანვითარებს ანალიზის უნარს, ააქტიურებს წინარე ცოდნას. აიძულებს მათ მოიძიონ მოცემულ თემასთან დაკავშირებული მასალები, დაახარისხონ, გამოარჩიონ მათთვის საჭირო და მნიშვნელოვანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და სხვა ფაქტორები ხელს შეუწყობს მოსწავლეების მათემატიკით დაინტერესებას, აღძრავს მათში ახლის ძიების სურვილს (Ormotsadze, 2010).

მოცემულ სტატიაში ყურადღება გამახვილებული იქნება მართკუთხა სამკუთხედზე. კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილი თვისებების შებრუნებული დებულების დამტკიცებაზე.


საერთოდ, შებრუნებული თეორემების თემა ძალიან საინტერესოა. მოსწავლეებში უნდა აღვძრათ სურვილი შემდეგი კითხვის დასმისა: „მხოლოდ მოცემული პირობების შესრულების შემთხვევაში აქვს ადგილი აღნიშნულ დასკვნას“? მართკუთხა სამკუთხედის შემთხვევაში ეს კითხვა შეიძლება ზოგადი სახით შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: „მხოლოდ მართკუთხა სამკუთხედში აქვს ადგილი ამ თვისებას, თუ სხვა სახის სამკუთხედშიც“? (Beloshistaya, 2007).

გვინდა წინასწარ აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი თვისება სრულდება მხოლოდ მართკუთხა სამკუთხედში, ხოლო ზოგიერთს შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ტიპის სამკუთხედებშიც.

თეორემა 1. მართკუთხა სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის ცენტრი ჰიპოტენუზის შუა-წერტილია.

ჩამოვყალიბოთ და დავამტკიცოთ აღნიშნული თეორემის შებრუნებული თეორემა:

თეორემა 1'. თუ სამკუთხედზე შემოხაზული წრეწირის ცენტრი რომელიმე გვერდის შუაწერტილია, მაშინ ეს სამკუთხედი მართკუთხაა.



დამტკიცება: რადგან O ცენტრი AB გვერდზე მდებარეობს, ამიტომ AB მონაკვეთი დიამეტრია. ხოლო $\angle ACB$ დიამეტრზე დაყრდნობილი კუთხეა. დიამეტრზე დაყრდნობილი კუთხე კი მართია (Ormotsadze, 2002).


თეორემა 2. მართკუთხა სამკუთხედში ჩახაზული წრეწირის რადიუსი კათეტების სიგრძეთა ჯამისა და ჰიპოტენუზის სიგრძის სხვაობის

$$r = \frac{a + b - c}{2}$$

ნახევრის ტოლია.

შებრუნებულ თეორემას ექნება შემდეგი სახე:

თეორემა 2'. თუ სამკუთხედში ჩახაზული წრეწირის რადიუსი ორი გვერდის სიგრძეთა ჯამისა და მესამე გვერდის სიგრძის სხვაობის ნახევრის ტოლია, მაშინ ეს სამკუთხედი მართკუთხაა.



ნახაზის მიხედვით

$$OM = ON = r, r = \frac{AC + BC - AB}{2}$$

ცხადია, რომ $CM = CN$, $AM = AK$, $BN = BK$. ცხადია, რომ $AB = AK + BK$, $AC = AM + CM$, $BC = BN + CN$. ეს ფორმულები გავითვალწინოთ რადიუსის გამოსათვლელ ფორმულაში:

$$r = \frac{AM + CM + BN + CN - AK - BK}{2}$$

AM და AK, ასევე BN და BK ერთმანეთს აბათილებენ, ხოლო $CM = CN$, საიდანაც ვასკვნით, რომ $CM = CN = r$ აქედან კი გამომდინარეობს, რომ ოთკუთხედი რომბია, რომლის ორი კუთხე ($\angle M$ და $\angle N$) მართია.

ამიტომ OMCN აღნიშნული რომში კვადრატია. $\angle ACB=90^\circ$. საიდანაც ვასკვნით, რომ მოცემული სამკუთხედი მართია. ამით შებრუნებული თეორემის სამართლიანობა დამტკიცებულია.

ახლა განვიხილოთ მართკუთხა სამკუთხედის ძირითადი თეორემა, პითაგორას თეორემა და მისი შებრუნებული თეორემა:

თეორემა 3. მართკუთხა სამკუთხედის კათეტების სიგრძეთა კვადრატების ჯამი ჰიპოტენუზის სიგრძის კვადრატის ტოლია $a^2+b^2=c^2$.

შებრუნებული თეორემა ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახით:


თეორემა 3'. თუ სამკუთხედის რომელიმე ორი გვერდის სიგრძეთა კვადრატების ჯამი მესამე გვერდის სიგრძის კვადრატის ტოლია, მაშინ ეს სამკუთხედი მართკუთხაა.

პითაგორას თეორემის შებრუნებულ თეორემას, როგორც წესი, კოსინუსების თეორემის გამოყენებით ამტკიცებენ. მაგრამ პითაგორას თეორემა სასკოლო კურსის მე-8 და მე-9 კლასებში ისწავლება, ხოლო კოსინუსების თეორემა მე-11 კლასში, ამიტომ მე-9 კლასის მოსწავლეს სხვა გზით უნდა დაუმტკიცოთ აღნიშნული თეორემა.

ჩვენ გთავაზობთ დამტკიცების ისეთ მეთოდს, რომელიც ემყარება სამკუთხედთა მსგავსებასა და მარტივ ალგებრულ გარდაქმნებს. სანამ უშუალოდ დამტკიცებაზე გადავალთ, დავასაბუთოთ შემდეგი დებულების სამართლიანობა:

დებულება: თუ სამკუთხედის უდიდესი გვერდისადმი გავლებული სიმაღლე მას ჰყოფს მონაკვეთებად, რომელთა სიგრძეთა ნამრავლი სიმაღლის სიგრძის კვადრატის ტოლია, მაშინ სამკუთხედი მართკუთხაა.

დამტკიცება:



$CD \perp AB$ დებულების პირობის თანახმად $CD^2=AD \cdot DB$, რომელიც

$$\frac{CD}{AD} = \frac{DB}{CD}$$

შეიძლება შემდეგი სახით ჩავწეროთ: $\frac{CD}{AD} = \frac{DB}{CD}$. განვიხილოთ $\triangle ADC$ და $\triangle CDB$. ორივე მართკუთხა სამკუთხედი, რომელთა კათეტები პროპორციულია. ამიტომ სამკუთხედების მსგავსების II ნიშნის თანახმად ეს სამკუთხედები მსგავსია. მსგავსი სამკუთხედების შესაბამისი კუთხეები კი ტოლია. $\angle DAC = \angle BCD$, $\angle ACD = \angle CBD$ ამავე დროს $\angle ACB = \angle ACD + \angle BCD = \angle CBD + \angle BCD = 90^\circ$. დებულება დამტკიცებულია.

დავუბრუნდეთ პითაგორის თეორემის შებრუნებულ თეორემას, რომლის პირობიდანაც გამომდინარეობს, რომ მესამე გვერდის სიგრძე

უდიდესია. $AC^2+BC^2=AB^2$.

$\triangle ADC$ -ში $AC^2=AD^2+CD^2$ ხოლო $\triangle CDB$ -ში $BC^2=BD^2+CD^2$. $AB=AD+BD$.

$(AD+BD)^2=AD^2+CD^2+BD^2+CD^2$ მარტივი ალგებრული გარდაქმნით მივიღებთ, რომ $CD^2=AD\cdot DB$. ზემოთ მოყვანილი დებულების თანახმად $\triangle ABC$ მართკუთხაა.

ამრიგად, ჩვენი აზრით, მოყვანილი დებულებების და მათ შებრუნებულ დებულებაზე გაკეთებული აქცენტები სასარგებლო იქნება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და დამწყები მასწავლებლებისთვის.

ლიტერატურა:

1. Beloshistaya A. B. Methods of Teaching Mathematics in Grade School. Moscow, 2007.
2. Demidov I. V., Kaverin B. I. Logic. Questions and Answers. Moscow, 2002.
3. Ormotsadze T. Ssastsavlo mecadineobata formebis roli mostsavleta codnis amaglebashi. Saertashoriso perioduli gamocema "Ganatleba", 2010, №2 (Ormotsadze T. The Role of Forms of Studies in Improving Pupils Knowledge. Internacional periodical jurnal EDUCATION, 2010, №2).
4. Ormotsadze T. Martkutkha samkutkhedis ramdenime tvisebis shesakheb. Fizika-matematika skolashi, 2002 (Ormotsadze T. About Some Qualities of Right Triangle, Physics-Mathematics in school, 2002).

Teimuraz Ormotsadze, Alexandre Gumberidze

REVERSIBLE RULES IN THE RECTANGULAR TRIANGLE

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The present paper contains an interesting approach toward the connection between a statute and a reversed statute, which in our opinion will be a great help for those who are interested in mathematics, especially in geometry. The paper will provide teachers with opportunities to make teaching process easier, more understandable and diverse as well.

Ирма Гулордава

КОГНИТИВНЫЙ И ПЕДАГОГИЧЕСКИЙ АСПЕКТ ЦЕЛИ ОБУЧЕНИЯ ИНОСТРАННЫМ ЯЗЫКАМ

Когнитивный аспект цели обучения иностранным языкам связан с такими категориями, как знания, мышление и процессы понимания, задействованные в ходе приобщения учащегося к иностранному языку, к культуре народа – его носителя. При определении сущности когнитивного аспекта цели обучения иностранным языкам важно исходить из понимания, что язык отражает взаимодействие между психологическими, коммуникативными, функциональными и культурными факторами (Chenki, 1997: 340-369).

В эпистемологии (теория познания) и когнитивной науке различают два основных типа знаний: декларативные и процедурные. Под декларативными знаниями понимаются знания («что – знания»), приобретаемые индивидом в результате его социального опыта (эмпирические знания из профессиональной сферы или из повседневной общественной и личной жизни: например: еда, транспорт) и в процессе обучения (академические знания из области научного и технического образования). Данная категория знаний не обязательно напрямую связана с языком и культурой, но она имеет важное значение для осуществления речевого общения. Процедурные знания («как – знания») – это некая последовательность действий, которые следует выполнить. Иными словами, процедурные знания есть некоторая общая инструкция о действиях в некоторых ситуациях (например, инструкция по использованию бытового прибора). Если первую группу знаний можно поделить как истинные и ложные, то вторую можно оценить только по признаку успешности-неуспешности алгоритма действий.

Независимо от того, о каком типе знаний идет речь, их можно подразделить на три группы: 1) индивидуальное знание, являющееся достоянием активного субъекта, его речемыслительной и прочей деятельности; 2) совокупное коллективное знание-переживание, которое формируется и функционирует в определенной лингвокультурной общности по законам психической деятельности и взаимодействий в сверхбольших системах; 3) «зарегистрированное» в продуктах разнообразной деятельности людей коллективное знание, которое отображает лишь часть того, что входит в первое понятие знания (Zalevkaya, 1996: 26) Отсюда следует, что языковые знания человека существуют не сами по себе. Они, формируясь через его личностное переживание-преломление и находясь под контролем сложившихся в социуме норм и оценок, функционируют в контексте его многообразного опыта.

Процесс формирования базисных когнитивных структур сопровождается усложнением связей, устанавливаемых в сознании учащегося между элементами усваиваемых им лингвокультур. За счет этого осуществляется

его развитие, поскольку овладение иностранными языками и культурами приводит к изменению характера познавательной деятельности учащегося, языковое развитие которого оказывает модифицирующее воздействие на его когнитивное развитие, на формирование языкового сознания.

Первоначально представления об иноязычной реальности зарождаются под влиянием культуры родного языка и постигаются изучающим неродной язык единственно в результате инсценирования им собственного жизненного опыта. Собственный опыт, обобщенное впечатление, выработанные ассоциации создают основу для характерного мнения, поведения или установки. Способ восприятия, который образуется при столкновении с образами родной культуры, используется как категория познания действительности, т.е. как когнитивная категория.

შემდეგ შეკითხვაზე „რა ზემოქმედებას ახდენს კომპიუტერის გამოყენება თქვენს პიროვნულ თვისებებზე?“ 5, 3 %-მა უპასუხა, რომ გახდა კეთილი და სამართლიანი, 27,6 % თვლის, რომ მოემატა სითამამე და აგრესიულობა, ხოლო 67,1 % -მა აღნიშნა, რომ არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს კომპიუტერის გამოყენება მათ პიროვნულ თვისებებზე.

მიუხედავად იმისა, რომ დიდმა უმრავლესობამ არ აღიარა კომპიუტერის ზემოქმედება მათ პიროვნულ თვისებებზე, მიგვაჩნია, რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

ხშირია შემთხვევა, როცა თამაში ათასგვარი დემონური სურათებით არის გამდიდრებული, სადაც მოთამაშეს უნევს მოკლას, წაართვას, მოიტაცოს, ააფეთქოს, გაანადგუროს. ზოგიერთ ორთაბრძოლის ამსახველ თამაშში ბავშვი ერთ-ერთ მონინაალმდეგეს განასახიერებს. მაუსის ლილაკზე ყოველი თითის დაჭერა მონინაალმდეგის სულ უფრო მეტ დასახიჩრებასა თუ დაჭრას იწვევს. მოთამაშე ხედავს, თუ როგორ დგება სისხლის გუბე მისი ხელის მოძრაობის კვალობაზე. კომპიუტერის ილუზორულ სამყაროში შემოთავაზებული იოლად გადასატანი „დაჭრები“ თუ „დასახიჩრებები“ მის გონებაში ადაპტირებას განიცდიან (Beradze, 2012). ბავშვი ეჩვევა ამ აგრესიას ჯერ ვირტუალურ სამყაროში, შემდეგ კი გადააქვს რეალურ ქმედებებში, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მისი სულის დამახინჯებას.

აქედან გამომდინარე, სოციალური ქსელი, კინო და ვიდეო ფილმები, კომპიუტერული თამაშები უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მოზარდის პიროვნულ თვისებებზე, რადგან მათი მეშვეობით ხდება ბავშვში ზნეობრივსა და უზნეობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, კარგისა და ცუდის შესახებ ცოდნის სისტემატური ფორმირება. მშობლების ვალია დაეხმარონ მათ ზნეობრივი ღირებულებების ემოციონალურ განცდაში გა-

დატანაში, რათა ისინი აღსაზრდელისათვის პიროვნული მნიშვნელობის მქონენი გახდნენ.

ზნეობრივი აღზრდის ხერხები და სტრატეგიები მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც მიმართულია გამოავლინოს მოზარდის ფასეულობები, ჩამოაყალიბოს მოქმედების დადებითი მოტივაცია, მშობელი კი უნდა დაეხმაროს ბავშვს ცხოვრებისეული მიზნების განხორციელებაში, თავიანთი შესაძლებლობების, ინტერესების გამოვლენაში. ეს მოქმედებები იქნება უფრო ეფექტური, თუ მასწავლებელი ითანამშრომლებს მშობლებთან.

სასურველია, პედაგოგთან კონსულტაციების შემდეგ, მშობელმა შეურჩიოს ბავშვს ისეთი კომპიუტერული თამაშები, რომლებიც ნერვულ დაძაბულობას კი არ გამოიწვევს, არამედ, პირიქით, შემეცნება-განვითარებას შეუწყობს ხელს. ბავშვს უნდა შევთავაზოთ ის, რაც ემოციურ და ინტელექტუალურ პოტენციალს განუვითარებს.

კომპიუტერული თამაშებისა და პროგრამების შერჩევისას ინდივიდუალური თავისებურებებიც უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად, ჰიპერაქტიურობისაკენ მიდრეკილი ბავშვი უნდა თამაშობდეს აუჩქარებელ, შედარებით მშვიდ თამაშებს, ხოლო ზედმეტად აუღელვებელსა და მშვიდს უფრო დინამიური თამაშები სჭირდება. მნიშვნელოვანია თამაშის რიტმიც – თუ ბავშვი დაძაბულია, ხშირად უნდა შეისვენოს.

გაუმართლებელია კომპიუტერის გამოყენება ბავშვის დასასჯელად ან წასახალისებლად. მთავარია, ბავშვის ენერგია წარვმართოთ სწორად – შევურჩიოთ ხარისხიანი თამაშები და საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც შევძლებთ მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ პატარა მომხმარებლის გამოცდილება და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას. კომპიუტერთან ურთიერთობა მხოლოდ გართობა კი არ უნდა იყოს ბავშვისთვის, შემეცნებითი საქმიანობის ელემენტებსაც უნდა შეიცავდეს (Osiashvili, 2013).

მიგვაჩნია, რომ მშობლისა და შვილის ურთიერთობაში ქმედითი მეთოდია „ეთიკური საუბრები“, რომელიც შეიძლება წარიმართოს ერთობლივად ფილმის ყურების შემდეგ. ასეთი სახით ფილმების განხილვა ხელს უწყობს ეთიკური წარმოდგენების, და ცნებების გამომუშავებას, ზნეობრივი პრობლემებისადმი ინტერესის განვითარებას, შეფასებითი ზნეობრივი საქმიანობისადმი სწრაფვას. ეთიკური საუბრის მთავარი დანიშნულებაა – დაეხმაროს ბავშვს მორალის რთული საკითხების გარკვევაში. ახსნის გზით, ცნობიერად დავაშენოთ ის, რასაც ზნეობრიობას ვუწოდებთ.

მნიშვნელოვანია, მშობელმა იცოდეს, როგორ იქცევა მისი შვილი სოციალურ ქსელში, მაგრამ მეტისმეტმა ყურადღებამ შეიძლება ბავშვის გაუცხოვება გამოიწვიოს და ავნოს მშობელსა და შვილს შორის ნდობას, რაც რთული აღსადგენია. ამიტომ, არსებითია მშობლის მონაწილეობა ამ პროცესში იმგვარად, რომ შვილი აცნობიერებდეს: მშობელი პატივს სცემს მის პირად სივრცეს, მაგრამ სურს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

მედიცინის დოქტორი ლარისა ჰირში რეკომენდაციებს აძლევს მშობლებს შემდეგი რჩევები გაუზიარონ შვილებს:

- **იყავი ზრდილობიანი. უხამსი ქმედება ისევე მიუღებელია ვირტუალურ სამყაროში, როგორც რეალურში.**

გასაგებად აუხსენით შვილს, რომ მას მოეთხოვება, სხვებს მოექცეს პატივისცემითა და ზრდილობით; მან არასდროს არ უნდა გამოაქვეყნოს გულსატკეპნი ან სამარცხვინო ტექსტი სხვათა შესახებ. სთხოვეთ, ყოველთვის გიამბოთ სახიფათო ან დამამცირებელი ტექსტების შესახებ, რომელთაც სხვები აქვეყნებენ.

- **გამოიყენე კონფედენციალურობის დაცვის წესები.**

კონფედენციალურობის დაცვის წესები ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, შვილთან ერთად გაარჩიეთ ეს წესები, რომ ბავშვმა კარგად გაიაზროს ისინი.

- **არ დაუმეგობრდე უცნობებს.**

აუხსენით, რამდენად საშიშია უცნობებთან დამეგობრება ინტერნეტში. უცნობის პროფილი შეიძლება საშიშ დამნაშავეს მალავდეს, რომელსაც შეუძლია მოზარდის ნდობით ან მის პროფილზე მოპოვებული ინფორმაციით ბოროტად ისარგებლოს. თუკი არ იცნობ ადამიანს, ნუ დაუმეგობრდები სოციალურ ქსელში. ეს არის ყველაზე მარტივი, იოლი და უსაფრთხო წესი.

- **შვილთან შეთანხმება.**

როგორ შეიძლება ამ მიდგომის განხორციელება სახლში? მის ერთ-ერთი გზაა, შვილებთან დადოთ შეთანხმება „სოციალური მედიის გამოყენების შესახებ“ – შეიძლება ამას ჰქონდეს ნამდვილი კონტრაქტის სახე, რომელსაც მშობლები და შვილი ხელს მოაწერს. ამ შეთანხმებით მას დაეკისრება ვალდებულება, დაიცვას საკუთარი პირადი სივრცე და კონფიდენციალურობა. იზრუნოს საკუთარ რეპუტაციაზე და არ გასცეს პერსონალური ინფორმაცია. ასევე, მოზარდი დებს პირობას, არასოდეს გამოიყენოს ტექნოლოგია იმისთვის, რომ ვინმეს მიაყენოს ტკივილი (დამცირებით ან არასწორი ინფორმაციის გავრცელებით).

თავის მხრივ, მშობლები დებენ პირობას, პატივი სცენ მოზარდის პირად სივრცეს, როცა იგი ცდილობს გახდეს სოციალური მედიის სამყაროს ნაწილი (ეს ნიშნავს, რომ შეგიძლიათ შვილის „მეგობარი“ გახდეთ სოციალურ ქსელში და დააკვირდეთ მის ონლაინ-საქმიანობას, მაგრამ არ უნდა დაუნეროთ დამამცირებელი კომენტარები ან ამბები მოზარდის პირადი ცხოვრებიდან, მაგალითად მისი არეული ოთახის შესახებ)

მშობლებმა ასევე ხელი უნდა შეუწყონ მოზარდებს, რეალურ სამყაროში მეტად დაიმკვიდრონ თავი, სოციალური მედიის გარკვეული შეზღუდვით. ამის ერთ-ერთი მეთოდია, კომპიუტერები იდგეს საერთო, ვთქვათ სასადილო ან სასტუმრო ოთახში. ნუ შეიტანთ ლეპტოპს და სმარტფონებს საძინებელში, და ერთად შეიმუშავეთ ტექნოლოგიის გამოყენების გარკვეული წესები (მაგ. არავითარი სმარტფონი ერთად სადილობისას). მთავარია, მშობელს ახსოვდეს: საკუთარი ქცევით ვირტუალურ გარემოში ყველაზე ღირებულ მაგალითს თავად აძლევს შვი-

ლებს, როცა ასწავლის სოციალური მედიის უსაფრთხოდ გამოყენებას (Dikhaminjia, 2016).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზნეობრივი აღზრდის დანიშნულებაა პიროვნების მორალური სახის ფორმირება, მოცემულ საზოგადოებაში დადგენილი ქცევისა და მოქმედების ნესების დაუფლება, ზნეობრივი შეგნების, გრძნობებისა და ზნეობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავება.

უზნეო ადამიანი გონებრივ და სხვა შესაძლებლობებს (ძალაუფლება, სიმდიდრე) არაზნეობრივი მიზნების განსახორციელებლად იყენებს და ზიანს აყენებს ადამიანებსა და საზოგადოებას. კეთილი, მაღალი ზნეობის ადამიანის უნარები და ძალისხმევა კი დღენიადაგ მოყვასის კეთილდღეობისა და ბედნიერებისკენ არის მიმართული. ამიტომ სკოლისა და ოჯახის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს მორალური ადამიანის აღზრდა ყველა საშუალების გამოყენებით, მათ შორის კომპიუტერული ტექნოლოგიებისაც.

ლიტერატურა:

1. Beradze T. Kompiuteruli ziani. 7.06.2012 (<http://beradze.blogspot.com>).
2. Chavchavadze I. Pedagogiuri tkhuzlebani. Tbilisi, 1938.
3. Chavchavadze I. Tkhuzlebebi. t. VI. Tbilisi.
4. Dikhaminjia N. Vastsavlot bavshvebs socialuri mediis chkvianurad gamoyeneba. 22.02. 2016.
5. Kachakhidze D. Bavshvis zneobrivi agzrda umtavresad ojaxhs evaleba. Jur. "Ambioni", 03. 04. 2013 (<http://www.ambioni.ge/bavshvis-zneobrivi-arzrdam-tavresad-ojaxs-evaleba>).
6. Kakhurashvili I. Roca interneti sashishia. Journ. Mmaswavlebeli, 07.05.2012.
7. Kukava T. Aakhalgazrdobis zneobrivi agzrda. Tbilisi, 2004.
8. Margulis E. D. Kompiuternye igry v uchebnom protsesse. Sovetskaya pedagogika, №4, 1989.
9. Mogilev A. V. Titorenko S. A. Didakticheskie printsipi kompiuternogo obucheniya. Pedagogicheskaya informatika, №2. 1993.
10. Osiashvili Q. Bavshvi da kompiuteri. Mastsavlebeli, internetgazeti, 1.08. 2013 (<http://mastsavlebeli.ge/?p=2307>).
11. Osiashvili Q. Tipuri shecdomebi ojaxhur agzrdashi. Mastsavlebeli, internetgazeti, 22. 10. 2015 (<http://mastsavlebeli.ge/?p=1561>).
12. Qurkhuli L. Bavshvta agresia. Tbilisi, 2006.
13. Vazha-Phshavela Saubari bavshvebzed. (<http://elasevenia.blogspot.com/2014/01/blog-post-5379.html>)
14. Strelbitska Ya. Ispolzovanie IKT v protsesse formirovaniya dukhovno-nravstvennogo vospitaniya mladshih shkolnikov (<https://infourok.ru/vistupleni-na-pedagogicheskikh-chteniyahispolzovanie-ikt-v-processe-formirovaniya-duhovnonravstvennogo-vospitaniya-mladshih-shko-890347.html>).

15. Yakushina E. V. Podrostki v Internetе: Spetsifika infomatsionnogo vzaimodeystvia. Pedagogika, №4; 2001.
16. Vazha-Phshavela. Tkhzulebani, t. VI, Tbilisi, 1964.

Leila Rekhviashvili

IMPACT OF COMPUTER TECHNOLOGIES ON THE MORAL INTERESTS OF JUNIOR PUPILS

Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The formation of pupils' morality is a crucial task of school and family. While moving to moral ideology, adults are experiencing moral trials that are constantly given them moral choices between acceptable and unacceptable behavior.

Pedagogical computer support for moral education of low grade pupils is based on the use of a computer game complex that includes diagnostic methods, fairy tales and animated games to search moral choices in problem-solving situations. The child, through repeatedly moral mental behavior, acquires appropriate behavior in real life.

After a consultation with a pediatrician, the parent must choose such computer games for his/her children that will not cause nervous tension but will contribute to cognition and development. No recommendation should be made of violence, brutality and bloody scenes. The family should offer children such films and games that develop children's emotional and intellectual potential.

The pedagogical study conducted by the author of the paper has revealed the impact of the use of computer technologies on the moral and cognitive interests of low grades pupils.

მათემატიკისა და ინფორმატიკის საგანთაშორისი
კავშირების ამოცანა

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

უკვე საკმაოდ მრავალი წელია, რაც ჩვენი სკოლა გარდაქმნებს განიცდის. განათლების სრულყოფის პერიოდი სკოლის ცხოვრებაში ხშირად მტკივნეულად აისახება. ასეთ ვითარებაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს მათემატიკისა და ინფორმატიკის საგანთაშორისი კავშირების გზების ძიება, რადგანაც სკოლა დგება გადაუდებელი აუცილებლობის წინაშე, რომ მოსწავლეები მაღალგანვითარებულ ინფორმაციულ გარემოში მოამზადოს პროფესიული საქმიანობისათვის, მოამზადოს იმისათვის, რომ შემდგომში მათ შეძლონ მიიღონ ისეთი განათლება, რომელიც დაემყარება სწავლების თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.

კომპიუტერების გონივრული გამოყენება მოსწავლეებს მისცემს საშუალებას, ჩაატარონ კვლევა-ძიებითი მუშაობა მათემატიკური, ფიზიკური, ეკონომიკური და ა. შ. ამოცანების ამოხსნისას, ისწავლონ ამოცანის მკაფიო ფორმულირება, მისი ამოხსნა და მიღებული შედეგების შეფასება.

მათემატიკისა და ინფორმატიკის საგანთაშორისი კავშირები, ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებათა გამოყენება, პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს იმისათვის, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს ინფორმაციული კომპეტენტურობა, პრაქტიკაში ინფორმაციული ობიექტების გარდაქმნის უნარ-ჩვევები. ასეთ კავშირებს შეუძლიათ მოსწავლეებში საგანთა და მოვლენათა შორის კავშირების დანახვისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნართა განვითარება. ეს კავშირები ხელს უწყობს მოსწავლეთა გონებრივი საქმიანობის აქტივიზაციის, ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვების სტიმულირების, შემეცნებითი ინტერესების ამაღლებასა და განვითარებას.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება შესანიშნავი საშუალებაა იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეს მათემატიკური ამოცანების ამოხსნის არატრადიციული გზების ძიების უნარი. ამასთან, როგორც ვიცით, მათემატიკის სასკოლო კურსში განიხილება ისეთი განტოლებები, რომელთაც ზუსტი ამოხსნა გააჩნიათ, მაგრამ ცხოვრებაში გვხვდება ისეთი განტოლებებიც, რომელთა ამოხსნა სასკოლო მათემატიკური აპარატით ძნელდება. ელექტრონული ცხრილების გამოყენება კი, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, ხელს უწყობს განტოლებათა ამოხსნას მიახლოებითი მეთოდებით და მრავალი ცხოვრებისეული ამოცანის ოპტიმიზაციას. მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას მოსწავლეები

ასრულებენ კვლევით შემოქმედებით მუშაობას, ხოლო ამ მუშაობის რუტინულ ნაწილს ასრულებს კომპიუტერი.

ინფორმატიკა თავის თეორიულ ნაწილში მათემატიკიდანაა აღმოცენებული, იგი მათემატიკურ აპარატს აქტიურად იყენებს. ინფორმატიკის სასკოლო კურსის მრავალი თემა წმინდა მათემატიკური საკითხია. ასეთებია, მაგალითად:

- მათემატიკური ლოგიკის საფუძვლები,
- თვლის პოზიციური სისტემები,
- გრაფთა თეორია,
- ალგორითმების თეორია,
- ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები,

- მათემატიკური მოდელირების საფუძვლები
- და მრავალი სხვა.

მართალია, ეს თემები სასკოლო მათემატიკაში თავის მთლიანობაში სრულყოფილად არ ისწავლება, მაგრამ მათი ელემენტების გარეშე სკოლაში, სწავლების არც ერთ საფეხურზე, მათემატიკის სწავლება არ არსებობს. საგანთაშორის კავშირებში მათი შესწავლა მათემატიკის სწავლების მეთოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედი, რადგანაც მას უდიდესი წვლილი შეაქვს მოსწავლის მათემატიკურ განვითარებაში.

მათემატიკისა და ინფორმატიკის საგანთაშორისი კავშირების განხორციელება შესაძლებელია:

- ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გზით,
- ინფორმატიკული (განსაკუთრებით – ალგორითმიკული) ამოცანების ამოხსნით მათემატიკის გაკვეთილებზე და მათემატიკური ამოცანების ამოხსნით ინფორმატიკის გაკვეთილებზე, შედეგების გამოყენების გზების ჩვენებით,
- საერთო საკითხების (ალგორითმები, თვლის სისტემები და სხვ.) შესწავლით, შედეგების გამოყენების გზების ჩვენებით
- და სხვა.

ინტეგრირებული გაკვეთილი ჩვენს სკოლაში ახალი და მოულოდნელი მოვლენაა. ძალიან ძნელია, მისი ჯეროვნად ჩატარება და იმავდროულად საგნობრივი სტანდარტის შენარჩუნება. მაგრამ ასეთი გაკვეთილები მრავალი პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური მოსაზრებით სწავლების თანამედროვე პრაქტიკაში აუცილებლობას წარმოადგენს. ამიტომ აუცილებელია, მასწავლებელი სპეციალურად ემზადებოდეს ასეთი გაკვეთილებისათვის.

ინტეგრირებული გაკვეთილი – ეს არის სპეციალურად ორგანიზებული გაკვეთილი, რომლის მიზანი მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა:

- ერთიანდება **ცოდნა** სხვადასხვა სასწავლო საგნებიდან,
- **ეს ცოდნა** ორიენტირებულია ამ სასწავლო საგანთა სასაზღვრო პრობლემის განხილვაზე,
- **ეს განხილვა** ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ საკვლევი საკითხ-

- ის ერთმთლიან, სინთეზირებულ **ალქმას**,
- **ეს ალქმა** თავისთავში ჰარმონიულად **უხამებს** ერთმანეთს სხვადასხვა მეცნიერების მეთოდებს,
 - **ეს შეხამება** ორიენტირებულია პრაქტიკულ მიმართულებასა და პრაგმატიკულ შედეგებზე.

ძირითადი მოთხოვნები იმ გაკვეთილის მიმართ, რომელიც მიზნად ისახავს მათემატიკისა და ინფორმატიკის სწავლების საგანთაშორისი კავშირების განხორციელებას, შეიძლება ასეთი იყოს:

- გაკვეთილს უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ფორმულირებული სასწავლო-შემეცნებითი ამოცანა.
- უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოსწავლეთა სტიმულირება, მაღალი აქტიურობა და ინტერესი.
- საგანთაშორისი კავშირები ხელს უნდა უწყობდეს შესასწავლი ცნებების, მათ შორის კავშირების, პროცედურებისა და მოვლენების არსის გაგებას მოსწავლეთა მიერ.
- გაკვეთილის ბოლოს, საგანთაშორისი კავშირების საფუძველზე, აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი დასკვნები, უნდა გაცნობიერდეს მათი დასაბუთება.

საგანთაშორისი კავშირების პრინციპებზე აგებული მათემატიკის გაკვეთილი უნდა იყოს გამსჭვალული ინფორმატიკული (მათ შორის, ალგორითმიკული) ამოცანებით, ხოლო ინფორმატიკის გაკვეთილი – მათემატიკური ამოცანებით. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მათემატიკური ამოცანების ამოხსნის შემთხვევები ცხრილური Ms Excel პროცესორის დახმარებით:

- ფუნქციების გრაფიკებისა და დიაგრამების აგება;
- ობიექტების გეომეტრიული პარამეტრების გაანგარიშება;
- ფიგურის მაქსიმალური (მინიმალური) ფართობის განსაზღვრა;
- პროცენტებზე ამოცანების ამოხსნა;
- ეკონომიკური ამოცანების ამოხსნა;
- Ms Excel-ის გამოყენება გამოთვლებისათვის
- და სხვა.

ლიტერატურა:

1. Butsik A. V. Vliyanie informatiki na sodержanie I metodiku obucheniya matematiki v nachalnoy shkole. Moskva, 2001.
2. Jinjikhadze J., Jinjikhadze G. sakhaliso amotsanebi sitkhis gadaskhmebze. Tbilisi, 2007.
3. Jinjikhadze J., Jinjikhadze G. sakhaliso amotsanebi mdinaris gadalakhvaze da mati amokhsnis stsavlebis metodika. Tbilisi, 2008.
4. Jinjikhadze J., Jinjikhadze G. sakhaliso amotsanebi saganta tsonaze da mati amokhsnis stsavlebis metodika. Tbilisi, 2008.
5. Zakharova T. Profilnaya differentsiatsia obucheniya ainformatike na starshey stupeni shkoli. Moskva, 1997.

Giorgi Jinjikhadze

THE TASK OF INTERDISCIPLINARY COMMUNICATIONS
BETWEEN MATHEMATICS AND INFORMATICS

*Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Summary

Inter-disciplinary connections between Mathematics and Informatics, application of Informational Technologies, from the pedagogical and methodical point of view, creates favorable ground for formation of informational competence in pupils, development of their skills of objects transformation in practice. The paper argues that such links can allow the pupils to see the connections between the subjects and phenomena using skills their theoretical knowledge in practice. These links will also assist the pupils to activate their mental possibilities gain knowledge independently, increase and develop their cognitive interests as well.

მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის
საკითხებისათვის

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის (მოღვაწეობის) ერთ-ერთი ფორმის ისტორია ისეთივე ძველია, როგორც თვით საზოგადოების ისტორია. ფიზიკური აღზრდა და სპორტი სახელმწიფოსა და საზოგადოების მუდმივი ზრუნვის საგანი იყო და იქნება მომავალშიც.

ამ თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანაა მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოს მთელი მისი ისტორიის მანძილზე პერმანენტულად უხდებოდა ბრძოლა მტრებთან და ამ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკური მომზადება. ფიზიკური ვარჯიშები, ორგანიზმის განრთობა ახალგაზრდობის აღზრდის მთავარი საშუალება იყო. იქმნებოდა და ვითარდებოდა ფიზიკური აღზრდის ხალხური სისტემა, რომლის მრავალი სახეობა დღემდე შემორჩენილია. ქართველი ხალხის გენმა და ნიჭმა სპორტშიც იჩინა თავი. საქართველოს სპორტსმენებს ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული მედლების რაოდენობით 206 ქვეყნიდან 30-ე ადგილი უჭირავს. მედლების რაოდენობით უსწრებს 170 ქვეყანას, მათ შორის მრავალ მილიონიან ქვეყნებს, როგორცაა ინდოეთი, რუმინეთი, ეგვიპტე, ავსტრია, მექსიკა და სხვა. 2000-ზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი აქვს მოპოვებული ჩვენს სპორტსმენებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში. ეს უდიდესი წარმატებაა ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა.

ამ დიდ წარმატებაში ჩვენს პედაგოგიურ ინსტიტუტს და მის მემკვიდრე სოხუმის უნივერსიტეტს, პედაგოგიური ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს გარკვეული წვლილი მიუძღვით, ესენია: ლუკა კურტანიძე, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებული თავისუფალ ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის პრიზის მფლობელი, მსოფლიოს ორგზის, ხოლო ევროპის ხუთგზის ჩემპიონი; ვარლამ ლიპარტელიანი მსოფლიოსა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ჭიდაობა ძიუდოში; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია ა. ტერნავიხი ჭიდაობა სამბოში. ევროპის ჩემპიონები: ა. ჩარადიანკინი – ტყვიით სროლაში; რ. თარკილი – შტანგაში; რ. ხუტაბა – თავისუფალ ჭიდაობაში; კარლო დარასელია – სასტენდო სროლაში და სხვ.

სპორტული წარმატებები ქვეყნის სიამაყეა, ქვეყნის პრესტიჟია. ა.შ.შ. პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ განაცხადა, რომ ქვეყნის სიდიადის მაჩვენებელია რაკეტები და ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლებიო.

დღეს დიდი კონკურენციაა ქვეყნებს შორის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარების უფლებისა და ოქროს მედლების მოპოვებისათვის.

სპორტს მრავალი ფუნქცია აქვს, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, ესთეტიკური და სხვა. სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების შედეგად მოსკოვის 1980 წლის და ლოს-ანჯელეს (ა.შ.შ.) 1984 წლის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადეს. ბოიკოტი გამოუცხადეს რამდენიმე მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებს. ცნობილია, ე. წ. „საფეხბურთო ომი“ გონდურასსა და სალვადორს შორის. რუსეთში (სოჭში) ჩატარებულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა საქართველომ, როგორც ოკუპანტ ქვეყანას. სპორტში პოლიტიკა არ უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოება ამას ვერ აცდა.

სპორტმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო ეკონომიკაში, ბიზნესში. საერთაშორისო სპორტული ფედერაციების, სპორტული კლუბების შემოსავალი მილიარდებს ითვლის, ასევე მილიარდიან შემოსავალს იღებენ ოლიმპიური თამაშებიდან, მსოფლიოს ჩემპიონატებიდან. დიდია სპორტსმენთა წლიური შემოსავალი, რაც ორმოცდაათ მილიონ დოლარს აღემატება. ჩვენს ღარიბ ქვეყანაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს 200 000 ლარს უხდიან და მათი ყოველთვიური ხელფასი 6000 ლარზე მეტია. ცოტა ნაკლებს უხდიან მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გასულებს. სპორტის სფეროში დასაქმებულია ათასობით ადამიანი. სპორტის ეკონომიკური მნიშვნელობა გამოიხატება იმაშიც, რომ ფიზიკური აღზრდა, სპორტი როგორც ჯანმრთელობის, ორგანიზმის გაკაჟების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, იძლევა შრომის ნაყოფიერების გაზრდის შესაძლებლობას. ჯანმრთელი ადამიანი მეტი შრომისუნარიანია. მას არ დასჭირდება საავადმყოფო ბიულეტენები და მეტ სიკეთეს მოუტანს სახელმწიფოს, საკუთარ თავს, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას ხელს შეუწყობს. ამ თვალსაზრისითაც სპორტის ეკონომიკური ფუნქცია მეტად მნიშვნელოვანია. ერთი სიტყვით, სპორტს თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამოქალაქო ომისა და შემდეგ გარკვეულ პერიოდში, თითქმის ყველაფერი განადგურდა. დიდი ზიანი მიაღწა სპორტს, გაიძარცვა და დაინგრა სპორტული ინფრასტრუქტურა, ქაოსი იყო სპორტის მმართველობაში და ა.შ.

ბოლო პერიოდში საქართველოს მთავრობამ საკმაოდ დიდი ყურადღება მიაქცია სპორტის განვითარებას. აშენდა მრავალი საერთაშორისო კლასის სპორტული ნაგებობები-სტადიონები, საცურაო აუზები, სპორტული დარბაზები სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის, ჩოგბურთის კორტები, სპორტის ახალი სასახლეები და სხვა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტის დაფინანსება, სათანადო დონეზე ფუნქციონირებს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. ხელი ეწყობა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტული ფედერაციებისა და სპორტული კლუბების მუშაობას. ყოველივე ამან განაპირობა, რომ დღეს საქართ-

ველო აღიარებულია როგორც სპორტული ქვეყანა.

საქართველოში ჩატარდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. ხშირად ენყობა ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, საერთაშორისო შეჯიბრებები და ა.შ., რაც დიდად უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის აღიარებას და ცნობადობას მსოფლიოს მასშტაბით. ეს კი დიდი სიხარულისა და სიამაყის მომგვრელია ჩვენი მოსახლეობისთვის.

მაღალი მიღწევების სპორტს, დიდ სპორტს საფუძველი ეყრება საბავშვო ბაღიდან, სკოლიდან, დიდი სპორტის დონორი სკოლაა. პარადოქსია ქვეყანაში მაღალ დონეზე იყოს სპორტის განვითარება და ამ დროს უმდაბლეს დონეზე იყოს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმე. სანამ თემის ძირითად საკითხზე – მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე გადავიდოდე, მინდა მოკლე ექსკურსი გავაკეთო თუ რა მდგომარეობა იყო ადრე, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენამდე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში.

დღეს მოდაშია ყველაფრის კრიტიკა, ყველაფრის უარყოფა, რაც სსრკ-ს პერიოდში იყო. მინდა გონება დახშულ ადამიანს ვუთხრა, რომ იმ პერიოდში ბევრი იყო კარგი და ხალხის სასარგებლო. პირველყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა იყო ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემამ სასტიკად დაამარცხა აშშ ჰეგემონია ოლიმპიურ თამაშებზე და მსოფლიო ჩემპიონატებზე. საქართველომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, უდიდეს წარმატებებს მიაღწია სპორტის ყველა სახეობაში. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ჩვენი სპორტსმენების მიღწევები ბევრად ჩამორჩება იმ პერიოდის მაჩვენებლებს, რაც, ძირითადად, გამოწვეულია ადრე არსებული ფიზიკური აღზრდის სისტემის უარყოფით. მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში კი უფრო დაბალ საფეხურზე ჩამოვედით, პროცენტებში, ალბათ, 70-80 %-ით. საბჭოთა პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. შედარებისთვის მოვიყვან მაგალითს: ფიზიკური აღზრდის სწავლება ყოველდღიური კონტროლის ქვეშ იყო განათლების სამინისტროს მხრიდან, სადაც ფუნქციონირებდა ფიზიკური აღზრდის სამმართველო და მის საქმიანობაზე პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მინისტრის პირველ მოადგილეს. დიდი ყურადღება ექცეოდა სკოლების უზრუნველყოფას კვალიფიციური უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით. სისტემატურად ტარდებოდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლები უზრუნველყოფილი იყო თეორიული და მეთოდური ლიტერატურითა და სათანადო ინსტრუქციებით. არსებობდა დებულება სკოლაში ფიზიკური აღზრდის შესახებ, რომელშიც ზუსტად იყო განერილი სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის ფუნქცია და პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე სპორტული მუშაობის საკითხებში. არსებობდა დაწყებითი კლასების ფიზიკური აღზრდის სწავლების მეთოდიკის სახელმძღვანელო. რეგულარულად ტარდებოდა ფიზიკური აღზრ-

დის გაკვეთილების ხარისხის შემოწმება სამინისტროს მიერ. დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკური აღზრდისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. სისტემურად ტარდებოდა შიდასასკოლო, სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადები. საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს მოსწავლეები, მოსკოვისა და უკრაინის შემდეგ, წინა პოზიციაზე იყვნენ და ასობით ჩემპიონი და რეკორდსმენი გვყავდა. საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსის, უნიჭიერესი და შემოქმედი პიროვნების, გიორგი მერკვილაძის ინიციატივით, პირველად და სსრკ-ს მასშტაბით, საქართველოში გაიხსნა კომპლექსური და სპეციალიზირებული უფასო სპორტული სკოლები, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა სსრკ-ში და საზღვარგარეთ. სპორტული სკოლის მოსწავლეებს უფასოდ ეძლეოდათ სპორტული ტანსაცმელი და საჭირო ინვენტარი. სწორედ, ამ სპორტულ სკოლებში აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები. დღეს სპორტული სკოლები ფასიანია. სპორტული ტანსაცმელიც ძვირია, რაც მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მიუწვდომელია. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის იგნორირებისათვის თანამდებობიდან მოხსნილ იქნა სკოლის რამდენიმე დირექტორი, მათ შორის აფხაზეთშიც, ბევრს გამოეცხადა საყვედური. ეს მოკლე მიმოხილვა იმისა, რაც ადრე იყო.

რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მხრივ? რეფორმა კარგია თუ ის წინსვლასა და პროგრესს ემსახურება. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სასკოლო სისტემის პერმანენტულმა რეფორმებმა და განათლების სამინისტროს დამოკიდებულებამ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეში მხოლოდ უკუხვლამდე მიგვიყვანა, სკოლაში 24-25 სასწავლო საგანთა შორის ფიზიკური აღზრდა, როგორც სასწავლო საგანი, შეიძლება ითქვას, არ ისწავლება. თუმცა, ის როგორც სასწავლო საგანი ცხრილში შეტანილია. კვირაში 2 ან ზოგ სკოლაში 1 საათი, მაგრამ ამ გაკვეთილებზე საგნის სწავლება არ მიმდინარეობს. ეს გაკვეთილები უფრო გართობის ხასიათისაა. რა არის საჭირო საგნის სწავლებისათვის? კვალიფიცირებული მასწავლებელი, მეცადინეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა: საკლასო ოთახი, დაფა, რუკები, სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სასწავლო კაბინეტები (საგნობრივი) ხელსაწყოები, კომპიუტერი, სასწავლო გეგმა და ა.შ. ყველაფერი ეს არის ყველა სასწავლო საგანში.

ფიზიკურ აღზრდას განსაკუთრებული სპეციფიკა გააჩნია. ფიზიკური აღზრდისათვის, როგორც ყველა საგანში საჭიროა:

1. კვალიფიცირებული მასწავლებელი, მათი რიცხვი კი დღეისთვის დაახლოებით 30%-ია. ეს გამოიწვია სპორტის აკადემიის 10 წლით დახურვამ და ფიზიკური აღზრდის სპეციალისტების მომზადების გაუქმებამ ყოფილ პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ამჟამად უნივერსიტეტებში.
2. ფიზიკური აღზრდისათვის საჭიროა სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი – მძლეოსნობი-

- სა და სპორტული თამაშებისათვის (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი). არაფერს ვამბობ საცურაო აუზზე.
3. სკოლის დიდ უმრავლესობას აქვს ან მარტო სპორტული მოედანი და ისიც არა სტანდარტული. სკოლების დიდ უმრავლესობას გასახდელები არ აქვს, არაფერს ვლაპარაკობ სამხაპეებსა და სველ ნერტილებზე, რაც აუცილებელია.
 4. საგნის სათანადო დონეზე სწავლებისათვის საჭიროა სპორტული დარბაზის აღჭურვა სპორტული ინვენტარით: ღერძი, ორძელი, ჭაჭი, ხარისხა, რგოლები, დვირი, ლეიბები და სხვა, რომელთა კომპლექტი არც ერთ სკოლას არ გააჩნია.
 5. სპორტული თამაშების სწავლებისათვის საჭიროა ბურთები: ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის. დღეს სკოლაში 2-3 ბურთის მეტს ვერ იპოვით, არადა საგნის სწავლებისათვის იმდენი ბურთია საჭირო, რამდენი მოსწავლეა კლასში, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე იარაღით, ერთი ინვენტარით 30 ბავშვს ვასწავლოთ? უარეს შემთხვევაში ორ მოსწავლეზე უნდა იყოს ერთი ბურთი სპორტთამაშების თითოეულ სახეში. განა შეიძლება, ერთი რვეულით, ერთი წიგნით ვასწავლოთ საგანი კლასში და 30 მოსწავლეს? ასეა მძლეოსნობაში, ასეა ბირთვის კვრაში. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე მოსწავლეები, სპორტული ტექნიკის დაუფლებასთან ერთად, უნდა ღებულობდნენ სათანადო ფიზიკურ დატვირთვას კუნთებზე, სახსრებზე, მთლიანად ორგანიზმზე, რათა მოხდეს ფიზიკური თვისებების – სისწრაფის, ძალის, გამძლეობის, მოქნილობის – ოპტიმალური განვითარება და ფიზიკური სრულყოფა.
 6. ყველა სასწავლო საგანში არის სახელმძღვანელო გარდა ფიზიკური აღზრდისა. განვითარებულ ქვეყნებში შესანიშნავი სპორტული ინფრასტრუქტურასთან ერთად შექმნილია სახელმძღვანელო თითოეული კლასისთვის, მათ შორის რუსეთშიც. ჩვენს მოსწავლეებს, როგორც პრაქტიკულ-სპორტულ, ისე ფიზიკური აღზრდის თეორიულ საკითხებში არავითარი ცოდნა არ აქვთ.
 7. არ არის ფიზიკურ აღზრდაში ერთიანი სასწავლო პროგრამა, არის ე. წ. გზამკვლევი, რომელიც მასწავლებლებისთვის გაუგებარია, უთავოდაა შედგენილი.
 8. სკოლის ხელმძღვანელობისთვის მთავარია გაკვეთილი არ გაცდეს და არ აინტერესებთ თუ რას ასწავლიან, წარმოდგენა არ აქვთ ფიზიკური აღზრდის საკითხებზე და არც იციან მისი მნიშვნელობა.
 9. სკოლებში მთლიანად ჩაშლილია მასობრივი გამაჯანსაღებელი და კლასგარეშე სპორტული მუშაობა. არ მუშაობს თვითმოქმედი, მოსწავლეთა ინიციატივაზე აგებული ფიზკულტურის საბჭოები და სპორტული კლუბები, რომლებიც ადრე არსებობდნენ. დღეს, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი იგნორირებულია. ის არათანაბარ მდგომარეობაშია კატეგორიების მინიჭებისა და ხელფასების

თვალსაზრისითაც.

არსებობს საქართველოს კანონი სპორტის შესახებ. ამ კანონის მე-12 თავში აღნიშნულია „ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება, ფიზიკური აღზრდა და სრულყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება–ყველა ტიპის სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და სასწავლო დაწესებულების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა“. აქვე ნათქვამია, რომ „ფიზიკური აღზრდა, მეცადინეობის ჩატარება უნდა იყოს არა ნაკლები 4 საათისა კვირაში“. სამწუხაროდ, როგორც სხვა ბევრი კანონი, ეს კანონიც არ სრულდება. კვირაში 4 საათი კი არა 2 ან 1 საათი ეთმობა ფიზიკურ აღზრდას და ისიც როგორ ტარდება ამაზე უკვე ზემოთ აღვნიშნეთ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფიზიკური აღზრდა, როგორც საგანი არ ისწავლება, ის ფორმალურ ხასიათს ატარებს, ეს უფრო გართობის გაკვეთილია, ვიდრე სასწავლო საგანი. მოსწავლეები ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე არავითარ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას არ ღებულობენ, მაშინ, როდესაც სკოლაში მრავალ საგანთა შორის გეგმით ფიზიკური აღზრდა ისწავლება და ცხრილში შეტანილია პირველი კლასიდან სკოლის დამთავრებამდე და საათების რაოდენობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

ძალიან მნიშვნელოვანია ფიზიკური დატვირთვების რაციონალური გადანაწილება. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები კვირაში ორი საათია. გაკვეთილები უნდა დაიგეგმოს ერთი ან ორი დღის გამოშვებით, ორშაბათს და ოთხშაბათს, ან სამშაბათს და პარასკევს და ა.შ. ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები უნდა იყოს ბოლო ან ბოლოს წინა და არა პირველი და მეორე. თუ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი სათანადო დონეზე ჩატარდა, მოსწავლეები საკმაოდ დიდ ფიზიკურ დატვირთვას მიიღებენ, გაუორმაგდებათ მაჯისცემა და სუნთქვა, გაოფლიანდებიან და ამის შემდეგ რთული საგნების (მათემატიკის, ენის და ა.შ.) შესწავლა და ყურადღების კონცენტრაციის გამახვილება გაუჭირდებათ. ფიზიკური აღზრდის მასწავლებელიც ღებულობს საკმაოდ ფიზიკურ დატვირთვას, ამიტომ მას დღეში არ უნდა ჰქონდეს 4 საათზე მეტი. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები 1-2-3 საათიც არის ცხრილში და მასწავლებლებს დღეში 6 საათიანი დატვირთვაც აქვთ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ადრე დიდი ყურადღება ექცეოდა. ახლა კი ეს ყოველივე სრულიად იგნორირებულია.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა თვითდინებაზეა მიშვეებული.

სკოლაში მოსწავლემ უნდა მიიღოს სათანადო ფიზიკური მომზადება, ფიზიკური სრულყოფა, ცოდნა-განათლება ფიზიკური ვარჯიშების რაციონალური-დოზირებული გამოყენების საკითხებზე. უნდა იცოდეს როგორ გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, შრომის უნარიანობის შენარჩუნებისათვის, სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის და ა.შ.

ფიზიკური ვარჯიშები უნდა შევიდეს მის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მზად უნდა იყოს შრომისა და სამშობლოს დასაცავად. ეს არის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის, როგორც სასწავლო საგნის ძირითადი ამოცანა.

რა უნდა გაკეთდეს, რომ მოსწავლეთა ფიზიკურმა აღზრდამ, როგორც სასწავლო საგანმა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი სხვა სასწავლო საგნებს შორის, რომ ფიზიკური აღზრდის საგნის მასწავლებლობა ისეთი პრესტიჟული გახდეს, როგორც ე. წ. პრესტიჟული საგნების მასწავლებლობა.

ჩემი აზრით, ამისათვის საჭიროა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. უნდა შევიდეს ცვლილებები საქართველოს კანონში სპორტის შესახებ და მისი დასახელებაც შეიცვალოს. უნდა იყოს საქართველოს კანონი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ და არა საქართველოს კანონი სპორტის შესახებ. ამ კანონით და მისი დასახელებით იგნორირებულია ფიზიკური აღზრდა, როგორც სოციალური მოვლენა. კანონში კონკრეტულად უნდა აისახოს სასწავლო დაწესებულებაში ფიზიკური აღზრდის მიზანი, ამოცანები და მისი განხორციელების რეალური გზები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, ფიზიკური აღზრდისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნის აუცილებელი მინიმუმი. მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების ურთიერთკავშირი, მოვალეობა, ვალდებულება და პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე.
2. უნდა შეიქმნას დებულება მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ, სადაც ზუსტად იქნება განერილი ვალდებულებები და პასუხისმგებლობა სკოლის დირექტორისა და სხვა თანამშრომელთა, როგორც ეს ადრე იყო.
3. გეგმაზომიერად მომზადდეს ფიზიკური აღზრდის კვალიფიცირებული მასწავლებლები, რომელიც უნდა განხორციელდეს სპორტის უნივერსიტეტისა და ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტების, ამჟამად უნივერსიტეტებში ფიზიკური აღზრდის სპეციალობების (ფაკულტეტების) აღდგენის საფუძველზე.
4. უნდა აღდგეს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სრულყოფილი სისტემა.
5. უნდა შეიქმნას ფიზიკური აღზრდის სრულყოფილი პროგრამა.
6. უნდა გამოიცეს სახელმძღვანელოები ფიზიკურ აღზრდაში, როგორც ყველა სასწავლო საგანში.
7. უახლოეს დროში უნდა აღსდგეს მოსწავლეთა კლასგარეშე სპორტულ-მასობრივი ღონისძიებათა სისტემა სათანადო დებულების გამოცემით, როგორც ადრე იყო.
8. უნდა მოწესრიგდეს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა ხელფასის საქმე, ის უნდა გაუთანასწორდეს ე. წ. წამყვანი სპეციალობების მასწავლებლების ხელფასს, კატეგორიების მინიჭების საკითხში და ა. შ.

როგორც ხედავთ, იგნორირებულია ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი და დარღვეულია მისი უფლებები.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები და სრული მოხსენებითი ჩანაწერი გადაეცემა განათლების სამინისტროს, მაგრამ იმედი არ მაქვს, რომ ეს საკითხი სერიოზულად განიხილოს განათლების სამინისტრომ.

დღეს განათლების სამინისტროს, სკოლას სჭირდება ისეთი პიროვნება, როგორც იყო გიორგი მერკვილაძე, მაგრამ სად არის?

Otar Vakhania

ON THE SUBJECT OF THE PHYSICAL EDUCATION OF SCHOOLCHILDREN

*Presented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Summary

The article observes the importance of the schoolchildren's physical education with its main goals and tasks. The historical analysis of the this issue have been done during the Soviet period and after the independence of Georgia.

On the bases of investigation and analysis it is proved that after independence of Georgia the schoolchildren's physical training went to the wrong way.

We can say that the physical education as necessary subject isn't studied at schools nowadays, therefore the subject is fixed in the timetable and must be thought from the 1st class to 12th.

The schools aren't provided with the professional teachers and the schools have not got any kind of infrastructure for the physical training. In this article the recommendations to improve the physical education in schools are given to the Ministry of Education of Georgia.

ტრისტან გულბიანი, ზვიად მიქაძე, მერაბ მაისურაძე

უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ფიზიკური პრომისუნარიანობის ჩამოყალიბების ასაკობრივი თავისებურებანი

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის პრაქტიკული საქმიანობის მეცნიერებასთან შეკავშირება. უკანასკნელი წლების მიღწევები პედაგოგიკაში, ფიზიოლოგიაში, სპორტული მედიცინის დარგში, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენენ ფიზიკულტურასა და სპორტის განვითარებაზე, აფართოებენ ფიზიკური მომზადების დონეს სხვადასხვა საშუალებებით ასაკის, სქესის, პროფესიების მიხედვით, განამტკიცებენ საზოგადოების ჯამრთელობას, ხელს უწყობენ ავადმყოფობის შემცირებას.

მოსწავლეთა ფიზიკური თვისებების სრულყოფის, მათი ეფექტურობის შემდგომი ზრდისთვის მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს. სპეციალურად ორგანიზირებული მოძრაობითი აქტიურობის რეჟიმისა (კუნთოვანი დატვირთვების ინტენსივობა და ხანგრძლივობა, მეცადინეობის სიხშირე, დასვენების ხანგრძლივობა და ხასიათი) და ადრეული ონტოგენეზის დროს ფუნქციონალური მეტაბოლური სისტემების უზრუნველყოფი (ისეთი ფიზიკური თვისებების გამოვლინების, როგორცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა) ბიოლოგიურ კანონზომიერებათა ძირითადი პარამეტრების სრული შესაძლებლობაში მოყვანა ამ მიმართულებით გამძლეობას, ანუ უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეთა შიდა სტრუქტურის, სუბიექტური სიმძლავრისა და ხანგრძლივი მუშაობის აერობული მნიშვნელობის ადგილი უკავია, ვინაიდან მის საფუძველს კარდიორესპირატორული სისტემა წარმოადგენს.

ჟანგბადის მოხმარების მაქსიმალური სიჩქარე, როგორც კარდიორესპირატორული მწარმოებლობის ინტეგრალური გამოვლენა 6 წლის ასაკში შეადგენს რა $0,93 \pm 0,02$ ლ/წ., ბავშვის ასაკის ზრდასთან ერთად, მკვეთრად მატულობს, მაგალითად, თუ 7 წლის ასაკში იგი საშუალოდ, მხოლოდ 9%-ით იზარდება, 8 წლის ასაკში – 46%-ით, ხოლო 9 წლისასაკში – 95%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ჟმმ-ის აბსოლუტური სიდიდეების ცვლილებები სავსებით უტყუარია.

მაქსიმალური აერობული სიმძლავრის ხვედრითი სიდიდეები, ე.ი. ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარების სიდიდეები, ადრეული სხეულის მასასთან მთლიანად ასახავენ კარდიორესპირატორული მწარმოებლობის ასაკობრივ ზრდას. მასთან, ხვედრითი ჟმმ-ის ნამატის ოდენობა უმცროსი ასაკის მოსწავლეთა სიცოცხლის წლების მიხედვით, არსებითად დაბალია მის აბსოლუტურ სიდიდეზე. უფრო მეტიც, 7 წლიანთა ხვედრითი ჟმმ-ი რამდენადმე დაბალია 6 წლიანი ბავშვების საშუალო სიდიდეზე.

ეს აიხსნება სხეულის მასის უტყუარი განსხვავებით, ვინაიდან 7 წლის-ბავშვი 6 წლიანზე მძიმეა, საშუალოდ 7%-ით, მაგრამ უკვე 8 წლის ასაკში ხვედრითი აერობული სიმძლავრე აღებატება 6 წლიანთა საშუალო სიდიდეებს 26%-ით, 9 წლიანებში კი – 34%-ით.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა კარდიორესპირატოლური მწარმოებლობის, როგორც აბსოლუტური, ასევე ხვედრითი სიდიდეების ასაკობრივი ევოლუციის აღნიშნული ტემპები საშუალებას იძლევიან მთლიანად ავხსნათ ჩვენს მიერ მოყვანილი ენერგობარჯვების დინამიკა აერობული წყაროებიდან, კუნთის მუშაობის ინტენსიურობით. კუნთის ინტენსიური მუშაობა ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარების დონეზე დადგენილია, რომ 6 წლის ასაკში, ჟმმ-ს რეჟიმით კუნთის მუშაობისას, აერობული ენერგობარჯვები შეადგენენ 11,31+–0,52 კ.კალ. რხევის ზღვარი 7-დან 15კალ-მდე. 7 წლის ასაკში მათი სიდიდე 48%-მდე იზრდება, 8 წლისას უკვე –169%-მდე, ხოლო 9 წლისას – აერობული ენერგობარჯვები ჟმმ-ს დონეზე აჭარბებენ ექვსწლიანებისათვის დამახასიათებელ სიდიდეს 600%-ით, რაც შეეხება აერობული ენერგობარჯვების ხვედრით სიდიდეებს, კუნთური მუშაობისას ჟანგბადის მოხმარების მაქსიმალური სიჩქარის მიღწევის მომენტში, 6 წლის ასაკში იგი 49+– კალ./-ს აღწევს და 7 წლის ასაკში საშუალოდ 3%-ით მატულობს, 8 წლისას – 123%-ით და 9 წლის ასაკში აღწევს 395%-ს, რაც უმცროსი სასკოლო ასაკისთვის მაქსიმუმს წარმოადგენს.

იმის გამო, რომ უკანასკნელ დრომდე არ იყო ცნობილი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა მიერ ჟმმ-ს მიღწევის მომენტში რაოდენობისა ხვედრითი აერობული ენერგობარჯვები, მართებული იქნებოდა მოგვეყვანა მათი მაქსიმალური ოდენობები წლების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ 6 წლის ბავშვებთან (664კალ./კგ) შედარებით, ჟმმ-ის დროს აერობული წყაროებიდან 7 წლიანთა უმეტესი ენერგობარჯვაა 970კალ/კგ, 8 წლიანების – 2382 კალ/კგ, 9 წლიანებისა კი – 3580 კალ./კგ.

ცნობილია, რომ დაძაბული კუნთოვანი მუშაობის დროს ენერგოპროდუქციის აერობული სისტემის სიმძლავრის ფაქტორის ფორმირებაში მთავარ როლს სისხლის მიმოქცევის ინტენსიურობა ასრულებს. რაც უფრო მატულობს უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთა ჟანგბადის მოხმარება წლების მიხედვით, საფეხურებად მზარდ, ინტენსიურ ფიზიკურ დატვირთვასთან ერთად, მათ აღენიშნებათ გულის დებიტის გამოკვეთილი ზრდა მასში შემავალი მაჩვენებლების მიხედვით. პირველ რიგში, ეს ეხება გულის მწარმოებლობას, რომელიც აიხსნება გულისცემის მაქსიმალურ სიდიდეებში. თუ 6 წლის ბავშვის დაძაბული კუნთოვანი მუშაობისას მისმა მაქსიმალურმა ოდენობამ 6,6+ –0,25 ლ/წმ-ში მიაღწია მერყეობის ზღვართ 3,6-დან 8,8 ლ/წმ, 7 წლის ასაკში ეს მონაცემი 10%-ით გაიზარდა, 8 წლისას – 43%-ით, 9 წლისაში კი უკვე – 92%-ით, ამავე პირობებში 6 წლიანების საშუალო სიდიდეებთან შედარებით.

ხვედრითი სიდიდეების ასაკობრივი ევოლუციის განხილვისას, მაქსიმალური გულის ინდექსის სახით, ყურადღებას იპყრობს უმცროსი სასკოლო ასაკის ვაჟთა ასეთივე დინამიკა სიცოცხლის წლების მიხედვით,

თუმცა, გულის ინდექსის ნამატის დინამიკა არსებითად ჩამორჩება გულის წუთიერ მოცულობას, მაგ., 7 წლის ასაკში გულის ინდექსის მატება 6 წლიანებთან შედარებით მხოლოდ 4%-ს შეადგენს, 8 წლისას ეს მაჩვენებელი 27%-ია, ხოლო 9 წლის ასაკში 51%-ს აღწევს. ამასთან, უნდა აღინიშნოს გულის ინდექსის მაქსიმალურ-ინდივიდუალურ სიდიდეთა არსებითი ასაკობრივი სხვაობანი, წარმოქმნილი დაძაბული კუნთოვანი მუშაობისას. ჩვენი მონაცემების თანახმად, 6 წლის ასაკში მან შეიძლება მიაღწიოს 8,6 ლ/წთ.მ, 7 წლისას – 8,9 ლ/წთ.მ – 2, 8 წლიანებში გულის ინდექსის მაქსიმალიზაცია 12 ლ/ წთ.მ-2-ს აღწევს, ხოლო 9 წლიანებში – 13,5 ლ/წთ.მ-2.

პრინციპულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2-9 წლის ბავშვთა სისხლის მიმოქცევისას აკობრივი ინტენსიფიკაციის მექანიზმების ანალიზს სიმძლავრის მიხედვით მძლავრი კუნთოვანი მუშაობის დროს. შედარებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, ასაკთან ერთად გულის დებიტის ზრდა დაძაბული კუნთოვანი მუშაობის დროს უზრუნველყოფილია სისტოლური ცემისა და ქრონოტროპული რეზერვის არათანაბარი წვლილით. ასე, მაგალითად, ზემოთ აღნიშნულ 7 წლიანთა ზრდა 6 წლიანების გულისცემასთან და გულის ინდექსთან შედარებით უფრო მეტად დამოკიდებულია სისხლის დარტყმით მოცულობაზე, ვიდრე გულის შეკუმშვის სიხშირეზე. ეს კანონზომიერება უფრო მეტად გამოვლინდება, შესაბამისად 8 და, განსაკუთრებით, 9 წლის ასაკში. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ დადგენილი მათი სისხლის დარტყმითი მოცულობა, შესაბამისად, 42% და 82%-ს. ამავე დროს ამავე ასაკობრივი ჯგუფების ბავშვთა ქრონოტროპული რეზერვის მატება დაძაბული კუნთოვანი მუშაობის დროს შეადგენს მხოლოდ 14 და 18 %-ს.

რაც შეეხება სისტოლურცემის ხვედრითი სიდიდეების ან დარტყმითი ინდექსის ევოლუციას, 7 წლიანთა ან მათი მხოლოდ 2%-ს, 8 და 9 წლის ასაკში კი, შესაბამისად, 26% და 46%-ს აღწევს. დაძაბული კუნთოვანი მუშაობის მეტაბოლური უზრუნველყოფისათვის გულის მოქმედების დიდ მნიშვნელობასთან ერთად, პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს მარცხენა პარკუჭის ჟანგბადოვანი მოთხოვნილების ასაკობრივი დინამიკა მაქსიმალური სიჩქარით ჟანგბადის მოხმარებისას.

ლიტერატურა:

1. Afanasenko M. V. Fizicheskoe razvitie detey i podrostkov. Zdorovie, Moskva, 1985.
2. Arshavski I. A. Fiziologicheskie mekhanizmi i zakonomernosti individualnogo razvitiya: osnovy vegetropiynoy teorii ontogonizma. Nauka, Moskva, 1982.
3. Bakhrakhi I., Dorokhov R. N. Issledovaniya I otsenka biologicheskogo vozrasta detey I podrostkov. V knige: Detskaya sportivnaya meditsina, Moskva, 1980.

4. Bannister R. ytfith, Fitnes sand Sport” // Amer. J. Clin. Nutr. 1989. –49, #5, Suppl. – 669 p.

Tristan Gulbiani, Zviad Mikadze, Merab Maisuradze

AGE FEATURES OF PHYSICAL WORKING ABILITY FORMATION
OF YOUNGER AGE SCHOOL STUDENTS

*Represented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Summary

The paper considers the process of organism development in young children as a result of physical exercises. The paper uses the information based on the result of modern research. This information shows changes in psychological processes we have encountered in the development of certain physical properties.

ფსიქოლოგია
PSYCHOLOGY

ლია სვანიძე

ფსიქოლოგიური მეცნიერების
ცოდნის საბაზოს კარიბჭისათვის

ადამიანური ცოდნის ერთ-ერთი სფერო, სადაც სისტემური მიდგომა ორგანულად არის განპირობებული და ინტენსიურად განიცდის განვითარებას ადამიანთმცოდნეობაა, რომელშიც ერთმანეთთან განსაზღვრულ მიმართებაში და კავშირში მყოფი ელემენტების სიმრავლე ქმნის გარკვეულ ერთმთლიანობას, ერთობას. სისტემური მიდგომა ობიექტის აგებულებას, სტრუქტურას, ყოფაქცევას – ფუნქციას და განვითარებას (გენეზისს) განიხილავს არა იზოლირებულად, არამედ ციკლურ ურთიერთკავშირში.

სისტემურობის მეცნიერულ შემეცნებას, სისტემური მიდგომის კონცეფციას საუკუნეების სიღრმეებში მივყავართ.

ადამიანთმცოდნეობაში ხორციელდება ცოდნის სინთეზი, რომელიც თითქოსდა, განსხვავებულ სიბრტყეებში არის განფენილი, მაგრამ უდავოდ გადაიკვეთება ფსიქოლოგიური ცოდნის არეალში, რის შედეგადაც ფსიქოლოგიური ცოდნის კომპონენტები აღმოჩნდებიან ჩართულები განსხვავებულ ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და სხვა მეცნიერებების კვლევებში, ხოლო ფსიქოლოგიაში ახალი პერსპექტივები იკვეთება ფსიქიკის გააზრებაში.

თანამედროვე ფსიქოლოგია, სულ უფრო მეტად აქტიურად განიხილავს და მსჯელობის საგნად ხდის ადამიანს, როგორც სამყაროს სულიერი სანყისის პრობლემას. ჩვეულებრივ ყოფაში სულიერება გაიგება, როგორც მაღალზნეობრივი სანყისი ადამიანის ცხოვრებაში, როგორც სწრაფვა იდეალისკენ, როგორც ქცევების და განცდების თვითანალიზის უნარი, როგორც აზრებისა და საქციელების მაღალი კულტურა.

ადამიანის სულიერების საფუძვლის აღიარება და სამყაროს სისტემურობაში ჩართვა, აფართოვებს მის ფენომენს, შემეცნების საზღვრებს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანის სულიერების სფერო ღიაა არა მხოლოდ დედამიწის და კოსმოსის ენერგიისათვის, არამედ გაცილებით უფრო მაღალი წესრიგის მქონე სფეროსათვისაც, რაც შესაძლებლობას იძლევა გამოითქვას ვარაუდი ფსიქოსფეროს, როგორც დედამიწის და უფრო მაღალი სულიერების სფეროს ერთიანობაზე.

ცხადია, აღნიშნული პრობლემა ზედმიწევნით რთულია, იგი უმნიშვნელოვანესია უახლოესი მომავლის გადასაწყვეტ პრობლემათა შორის – წარმოვიდგინოთ შესამეცნებელი, როგორც სისტემა დამახასიათებელი ადამიანური შემეცნებისათვის.

დღეისათვის ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის გააზრების საკითხში.

ცნობილმა რუსმა ფსიქოლოგმა ბ.გ. ანანიევმა (Ananiev, 1977) თავის ნაშრომში „თანამედროვე ადამიანთმცოდნეობის პრობლემები“ (1980), ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ **ადამიანი არის შემეცნების საგანი – იგი არის homo-sapiens-ი, ცნობიერი არსება და მოიაზრება როგორც ერთი მთლიანი, რომელიც განპირობებულია მნიშვნელოვანი ურთიერთზემოქმედი ელემენტებით, ბიოლოგიურისა და სოციალურის ერთიანობით** (იხ. სქემა 1).

ბიოლოგიურს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ბუნებრივი და გენეტიკურად განპირობებული თავისებურებების ადამიანი (ინდივიდი), რომელიც ონტოგენეზში ყალიბდება. სოციალური კი, არსებითად, პიროვნებას წარმოადგენს და განპირობებულია, როგორც კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობით, ასევე საზოგადოებრივი ისტორიით.

ადამიანი გაივლის თავის ცხოვრების გზას, სადაც ხორციელდება ურთულესი სოციალიზაციის პროცესი, საერთო და აუციელებელი ყოველი ადამიანისათვის და თითოეული მათგანი ჰომო საპიენს-ს წარმოადგენს. მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი ცხოვრების გზა აქვს გასაველელი, გარკვეულ სოციუმში, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ონტოგენეზისა და სოციალიზაციის მისთვის სპეციფიკურ პროცესებთან ერთად.

გამოკვეთილ თავისებურებად გვევლინება ის, რომ სამყაროში თითოეულ ადამიანს საკუთარი პიროვნული თვისებები გააჩნია, რომლებიც განუმეორებელია და მის არსს, სუბსტანციას წარმოადგენს. ადამიანური ინდივიდულობა რეალიზდება, როგორც სუბიექტში, მის მოღვაწეობაში, ურთიერთობებში, შრომასა და შემეცნების პროცესში.

იგი წარმოადგენს ბუნების, კაცობრიობის და საზოგადოების მთლიან, ერთიან პროდუქტს. მაგრამ ადამიანის თავისებურებებში მხოლოდ მარტივად და უბრალოდ კი არ ხორციელდება მთელის, მთლიანის ზემოქმედება ასახვაზე, არამედ იგი ხდება თვისობრივად ახალი, განსხვავებული თვისებების მატარებელი, მაგალითად, როგორცაა ბუნებრივი, სოციალური და ისტორიული თავისებურებების ერთიანობის გამოვლენა – სწორედ ეს ადამიანის თავისებურება უზრუნველყოფს ბუნების, საზოგადოების და კაცობრიობის განვითარებას. მეტად საინტერესოდ წარმოადგენს ახალგაზრდა დიმიტრი უზნაძე განვითარების იდეას – განვითარება შემოქმედების გზით მიდის, შემოქმედება მოთხოვნილების იმპულსით გარკვეულ აქტივობას ემყარება, აქტივობა ისეთი პრინციპია, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ სულიერ მოვლენათა სფეროში აქვს ადგილი. დიმიტრი უზნაძის აზრით, აქტივობა მაშინაა მოქმედი, თუ ის გარე პირობებშია ჩაყენებული. შემოქმედება აქტიურის გაერთიანებაა გარემოსთან, ფიზიკურთან (Uznadze, 1986: 14-16).

როგორც ვხედავთ, დ. უზნაძემ აქტიურობის პრინციპს განვითა-

რებისა და შემოქმედების ემპირიული სარბიელი მიუჩინა, რომელიც ფსიქიკურისა და ფიზიკურის ერთიანობით იქმნება, რაც შემოქმედების და განვითარების აუცილებელ პირობას შეადგენს.

თანამედროვე ფსიქოლოგიის პრაქტიკული ამოცანები მიმართულია კაცობრიობის არსებობის ჰუმანიზაციისაკენ. ფსიქოლოგია წარმოადგენს მეცნიერებას ადამიანზე, მის სულიერ არსზე და ფსიქიკური ასახვის შესაძლებლობებზე, მისი მრავალფეროვანი გამოვლენის ფორმების განვითარებაზე. **ადამიანის ეს სულიერი შემოქმედებითი საქმიანობა და მისი შემოქმედებითი საქმიანობის რეალურად არსებული შედეგები განსაზღვრავენ მთელი კაცობრიობის სულიერების შესაძლებლობას, მის იერსახეს.**

ადამიანი გვევლინება ნოოსფეროს სისტემაშემქმნელ ფაქტორად, რომელიც ბიოსფეროში ყალიბდება.

ბიოსფერო¹ გვევლინება მრავალსახოვან ორგანიზმად, რომელშიც მთელი კაცობრიობა იმყოფება და რომელიც ბიოსფეროს რეპროდუქციული ნაწილია.

სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები „ნოოსფეროს“ შემეცნებაში უკიდურესად განსხვავებული პოზიციების მიმდევრები არიან.

„ნოოსფერო“² არის ადამიანის სულიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის სფერო და მისი შემოქმედებითი საქმიანობის განსაგნობრიობის შედეგები განაპირობებენ კაცობრიობის სულიერების იერსახეს.

ნოოსფეროს მეშვეობით ხდება განსაკუთრებული სულიერ-ფსიქიკური ენერგიის რეალიზაცია, რომელიც არ წარმოიქმნება არც რაიმეს ფორმის შეცვლით, არც ფიზიკური ძალის უშუალო შექმნით. ამ ენერგიის (გონების) წყალობით იქმნება მოაზროვნე ფენა, **არე. ნოოსფერო წარმოადგენს ფსიქიკური რეალობის ისეთ ფორმას, რომელიც წარმოიშობა ადამიანსა და გარემოში არსებულ ბუნებრივ ობიექტებს შორის ისეთი ურთიერთშემოქმედების ფუნქციონალური დიაპაზონის ფარგლებში, რომლის პროცესშიც იქმნება უშუალო განცდა (როგორც ფსიქიკური სამყაროს პირველი ფაქტი) და ამ ორ უმნიშვნელოვანეს ელემენტს: ადამიანს და ბუნებას ერთ მთლიან სისტემად აერთიანებს (Vernadskiy, 1965). მაშასადამე, წარმოშობილი განცდა ადამიანს აახლოვებს არსებულ ბუნებრივ ობიექტებთან და იქმნება სრული ჰარმონია მათ შორის (Vernadskiy, 1943).**

ნოოსფერო გვევლინება ბუნების – საზოგადოების და ადამიანური ინდივიდუალობის ისეთ ურთიერთშემოქმედებად, რომელშიც ადამიანის სულიერ ცხოვრებასა და კოსმოსს შორის მიიღწევა მხარეთა შინაგანი ტენდენციების ოპტიმალური რეალიზაცია მათს ურთიერთშემოქმედებაში, მათს კოევიოლუციურ განვითარებაში და წარმართება კოსმოსში მთლიანობისაკენ.

¹ ბიოსფერო – სიცოცხლის გავრცელების არეა დედამიწაზე და შესაძლოა მთელ სამყაროში.

² ნოოსფერო – ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს გონებას, საყოველთაო სგააზრებას, აზროვნებითი საქმიანობის უმაღლეს სფეროს.

ადამიანები, რომლებიც ბუნების, საზოგადოების და კაცობრიობის მთლიანობის მატარებლები არიან, დაკავშირებულია სისტემის ფორმირებასთან, სადაც უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი ბუნება-სა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა და რომელიც **ეთნოსფეროდ იწოდება.**

გარკვეული ეთნოსის გარეშე არც ერთი ადამიანი არ ცხოვრობს დედამიწაზე (Gulilev, 1990). ყოველი ეთნოსი, არსებითად გვევლინება ცოცხალ ბიოლოგიურ სისტემად და გაივლის თავის სასიცოცხლო გზას – ეთნოგენეზს დაბადებიდან არსებობის დასრულებამდე.

ეთნოსფეროს წარმოშობა და მასში მიმდინარე ცვლილებები დაკავშირებულია ბიოსფეროში ცოცხალი ნივთიერებების რეალიზაციასთან.

ეთნოგენეზის მთელი პროცესი განიხილება შინაგანი კანონ-ზომიერებებით; ადამიანთაშორის ურთიერთობებში ეთნოსფეროში დომინირებულ როლს ასრულებს არაცნობიერი ფსიქოლოგია. მერყევი პროცესები ეთნოსფეროში იწვევენ პრინციპულად მსგავს, თავისი ხასიათით თითქმის ყველა ეთნოსში, გარდუვალ ქცევებს ადამიანთა მოქმედებაში. ისინი მოქმედებენ არა მხოლოდ ორგანიზებულ, არამედ ცალკეული ადამიანის პირადულ მახასიათებლებზეც. ამას მივყავართ პოლიტიკურ, სამხედრო, ადმინისტრაციულ, კულტურულ, რელიგიურ, პირადული აქტიურობისაკენ მოცემული ეთნიკური სისტემის სოციუმში. გარკვეული ეთნიკური სისტემის პოპულაციაში ცვლილებების კომუტაციას, მისი მდგომარეობის შეცვლამდეც კი მივყავართ. როგორც აღინიშნა, ეთნოსფერო მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიოსფეროსთან და ყოველგვარი ცვლილებები ურთიერთზემოქმედებით მიმდინარეობს.

საზოგადოდ, ადამიანის ურთიერთობა ბიოსფეროსთან უაღრესად მრავალფეროვანია. იგი განიხილება არა მხოლოდ როგორც ფილოგენეზის შედეგი, როგორც ბიოსფეროს გაცვლა-გამოცვლის პროცესი, არამედ როგორც უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს ბიოსფეროს განვითარებაზე თავისი ქცევებით, მოქმედებით, შემოქმედებით, თავისი მდგომარეობით, ცნობიერებით, ქვეცნობიერებით.

ამავე დროს, ადამიანის ფსიქიკის ყველა გამოვლინება – სოციალური თუ ბუნებრივი პირობები აქტიურად არიან განპირობებული ნოოსფეროს და ეთნოსფეროს სამყაროში არსებული პროცესებით. უფრო მეტიც, ყველა ადამიანი (ასევე ყველა ცოცხალი არსება დედამიწაზე) სისტემურად არის დაკავშირებული თავისი ყველა მოლეკულით, თავისი სხეულის თითოეული ნაწილით კოსმოსთან, მის სხივებთან, მთელ მის არეალთან. იგი ზემოქმედებას ახდენს ადამიანის სასიცოცხლო ფუნქციებზე. ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა ისეთ ნეგატიურ პროცესებზე, როგორიც არის თვითმკვლელობა, მკვლელობა, დაუნდობლობა, ღალატი, კონფლიქტები. ფსიქოსფეროში დისონანსის გაჩენამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები მთელს სამყაროში და უკიდურესად დააზარალოს სისტემა. ეს თვალნათლივ ჩანს კვლევების გარეშეც, სრულიად ნათელია, რომ ურთულესი პრობლემებია გადასაწყვეტი მათ მოსაგვარებლად.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში, როგორც ადამიანთმცოდნეობის სფეროში სულ უფრო და უფრო აქტიურდება განსჯა სამყაროს სულიერი საფუძვლის შესახებ. სამყაროს სულიერი საფუძვლისა და მსოფლშემეცნების სისტემურობის აღიარება აფართოებს ადამიანის ფენომენის შემეცნების შესაძლებლობას.

საკვლევი პრობლემის წარმოჩენაში ხელი შეგვიწყო ცნობილი მოაზროვნის, ღირსეული აკადემიკოსის ვლადიმირ ივანეს ძე ვერნადსკის „გაცნობამ“, რომელიც მთელი სიცოცხლის (1863-1945) მანძილზე მოღვაწეობდა და სწავლობდა საკითხს – ადამიანის როლსა და ადგილზე სამყაროში და მათ ურთიერთკავშირზე. მას ახლახანს სანტ-პეტერბურგის მეცნიერებმა 150 წლის იუბილე გადაუხადეს.

იხილეთ რამდენიმე ფრაგმენტი ვლადიმირ ივანეს ძე ვერნადსკის ნააზრევებიდან, ხოლო შემდგომ, საჭიროებისამებრ შემოგთავაზებთ, ნაშრომში მის **შეხედულებებს**:

«Бог – понятие и образ, слишком полный несовершенства человеческого» (Париж, 1923);

«Соотношение человек ↔ ноосфера неразделимо» (1938);

«Для меня ноосфера – не мистика, несоздание веры – а эмпирическое обобщение»(1941).

ეს მხოლოდ მიზეზული ინფორმაციაა, რაზეც ფიქრობდა ვერნადსკი.

კაცობრიობამ თავისი განვითარების პროცესში უხეშად გადააბიჯა იმ კანონების ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს, რომელიც ბიოსფეროს მოცულობით განისაზღვრებოდა. დამთავრდა ხაგრძლივი პერიოდი უკანონო მოქმედების და ახლა ადამიანი ბიოსფეროში არსებულ კანონებზეა დამოკიდებული.

სამყარომ გაუცნოიერებლად უზარმაზარი ზარალი განიცადა, რაც სრულიად თვალჩინაა.

ნაშრომში წარმოდგენილ სქემა №1-ში ადამიანის ზოგადი სტრუქტურა ერთიანობაში ჯანსაღი ფსიქოსფეროს შექმნის აუცილებელი პირობაა, რაც ხელს შეუწყობს ბუნებასთან ადამიანის ადეკვატური ურთიერთობის წარმოშობას და შენარჩუნებას. სამყაროს ნათელი და სანდო სურათი გადაიშლება ჩვენს თვალწინ თუ ადამიანს ჩავრთავთ გლობალური სტრუქტურების სისტემაში და შესაფერის პირობებს მივცემთ ინდივიდუალური სულიერების სრულყოფისათვის.

თანამედროვე მსოფლიო სოციოჰუმანისტურ მეცნიერებებში ჩამოყალიბდა მიდგომა ადამიანის ბუნების თავისებურებათა შესახებ, რასაც არსებითად ორი მიმდინარეობა განსაზღვრავს. ერთი მხრივ, არსებობს ბუნება, როგორც ფიზიკური რეალობა, როგორც მოცემულობა დამოუკიდებლად ადამიანისა (მაგრამ მისი სულიერი არსებობის აუცილებელი პირობა). მეორე მხრივ, ადამიანი ქმნის თავის სამყაროს – „მეორე ბუნებას“, რასაც სრულყოფილად გამოხატავს კულტურა. კულტურაში გვესმის ადამიანური საქმიანობა მის ყველაზე ფართო და მრავალმხრივ გამოვლინებაში. ადამიანის თვით გამოხატვისა და თვით შემეცნების ყველა

ფორმისა და ხერხის, ადამიანისა და სოციალური მიერ მთლიანობაში დაგროვილი უნარ-ჩვევების ჩათვლით. კულტურა წარმოგვიდგება, აგრეთვე ადამიანური სუბიექტურობისა და ობიექტურობის გამოვლინებად (ხასიათი, კომპეტენტურობა, ჩვევები, უნარები, ცოდნა). კულტურა არის ადამიანური საქმიანობის მდგრადი ფორმების ერთობლიობა, რომლის გარეშეც, მას არსებობა არ შეუძლია. იგი იმ კოდების ნაკრებია, რომლებიც ადამიანს უწესებს განსაზღვრულ ქცევას, მისთვის მახასიათებელი განცდებით და აზრებით და ამით მასზე მმართველობით ზემოქმედებას ახდენს.

კულტურის წარმოშობისა და განვითარების წყარო ადამიანური საქმიანობაა, შემეცნება და შემოქმედება. კულტურაა – აღზრდა, განათლება, განვითარება, თაყვანისცემა, ღირსება. იგი არის ცნება, რომელსაც უამრავი მნიშვნელობა გააჩნია ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში.

განუზომელია კულტურის მრავალფეროვნება, რომელიც დედამიწაზე არსებობს. ადამიანმა, რომელმაც შექმნა კულტურა, როგორც მეორე გარემო, მთელი არსებით გამოავლინა თავისი მრავალნაზნაგოვანი პოტენციალი. ადამიანთა ყოფა-ქცევაზე დიდ ზეგავლენას ახდენენ ბუნებრივი პირობების თავისებურებები, მაგრამ ყოველდღიური ცხოვრება ნათლად გვიჩვენებს რომ თითოეულ მათგანში არსებობს განსხვავებული კულტურა. ამის მაჩვენებელია ის თუ როგორ ეპყრობიან ისინი საკუთარ თავს, გარე სამყაროს – ბუნებას, როგორ ურთიერთობაში არიან გარშემო მყოფებთან, რას ფიქრობენ, როგორ ლაპარაკობენ, როგორ იქცევიან.

კულტურა ორგანულად აკავშირებს და ერთ მთლიანობად კრავს ადამიანში მის ბუნებრივ და სოციალურ თავისებურებებს, ვინაიდან იგი თვით ამ ადამიანის შექმნილია. ეს იმ ხალხის წესია, სადაც ცხოვრობენ ეს ადამიანები, ურთიერთობენ ბუნებასთან, ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციებით, აზროვნების წესით, ადამიანებთან ურთიერთობის მიღებული წესებით, თავისებურებებით, ენით, მეტყველებით და ყველაფრით რაც ადამიანთა თანაცხოვრებისათვის არის საჭირო და აუცილებელი.

კულტურა წარმოადგენს ადაპტაციურ სისტემას, მას გააჩნია ადაპტაციის, შეგუების უნარი გარემოსთან, შეწყობის უნარი. ეს არის სუბიექტის უნარი სინქრონულად გარდაქმნას გარემო და შეეგუოს მას.

თითოეული ადამიანი გაივლის კულტურაციის პროცესს და შედის თავის მშობლიურ კულტურულ გარემოში, როგორც მთლიანი.

ნებისმიერი ადამიანთა ჯგუფი, ერთობა აყალიბებს თავის საკუთარ შეხედულებებს სისტემურ ხასიათზე – თავის სურათს სამყაროზე. ერთის მხრივ, ამ სისტემის ფორმირების პროცესში ადამიანი ემორჩილება ზოგად კანონზომიერებებს, ხოლო მეორეს მხრივ, იგი ასახავს თავისი საკუთარი ჯგუფის რეალური ცხოვრების სპეციფიკას. მაშასადამე, ადამიანი ცხოვრობს და არსებობს არა მხოლოდ ბუნებრივ ფიზიკურ სამყაროში, არამედ იმ სიმბოლურ სფეროშიც, რომელიც მან თვითონ შექმნა.

ადამიანი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ყოველთვის იმყოფება

სიტუაციაში, როდესაც მან უნდა შეასრულოს გარკვეული ქცევა, მოქმედება – მაგრამ უმეტესად ადამიანი იმყოფება ისეთ სიტუაციაში, როდესაც პრიორიტეტი არ არსებობს სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. თუ ასეა, მაშინ ნებისმიერი არჩევანი არ არის უკეთესი ან უარესი არჩეულ ქცევაში. შემთხვევითი არჩევის სტრატეგიას არ ძალუძს გაითვალისწინოს წარმატებული გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. როგორ მოვიქცეთ ამ დროს? როგორ უზრუნველვყოთ შეცდომების თავიდან აცილება? მიღებული შემთხვევითი გადაწყვეტილება შეიძლება არაშემთხვევითი მიზეზით გადავწყვიტოთ. ეს ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას შევაფასოთ ეფექტურობა ან არაეფექტურობა ჩადენილი ქცევისა. ამასთან, თუ არჩევანი აღმოჩნდა წარუმატებელი ჩვენ უნდა შეგვეძლოს მასზე უარის თქმა, მაგრამ მაინც არსებობს მიზეზი შანსი, რომ შემთხვევითი არჩევანის სტრატეგიამ გაამართლოს და ქცევამ სწორ გადაწყვეტილებამდე მიგვიყვანოს, მაშინ იგი უზრუნველყოფს დიდ წარმატებებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შემთხვევითი მოვლენები ადამიანის ცნობიერებაში ყოველთვის გამართლებულია არაშემთხვევითი მიზეზებით. ყველა შემთხვევას თავისი მისტიკური მიზეზი გააჩნია. სხვათაშორის, ყველა ბუმბერაზ სწავლულს დაწყებული ლაიბნიცით და აინშტეინით, დამთავრებული ფროიდით მიაჩნდათ, რომ ბუნებაში არ არსებობს არაფერი შემთხვევით და უმიზეზოდ: კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე თამაში არის, იყო და იქნება აზარტული.

ადამიანი მუდამ ფიქრობს, რომ ჩვენი მიზეზები მოვლენათა ურთიერთკავშირზე ყოველთვის შეიძლება არ იყოს სწორი და აუცილებლად მიაჩნია მათი შემონიშნება, მისი სიღრმისეული გაცნობიერება, გაგება, შესწავლა. სწორედ ამას ემსახურება შემეცნების პროცესი, რომლის შესაძლებლობასაც ცნობიერება იძლევა. ცნობიერება, როგორც შემეცნების მექანიზმი, ორგანიზებას უკეთებს შემეცნებითი შემოქმედებითი საქმიანობის ჰიპოთეზებს. იგი თვალყურს ადევნებს, თუ რამდენად შეესაბამებიან სიტუაციები მოლოდინებს.

ადამიანის ცნობიერება ისეა მოწყობილი, რომ იგი ყოველ ნამს ცდილობს გაერკვეს სიტუაციაში. იგი მუდმივ ძიებაშია, რა არის სიცოცხლე, მისი არსი, რადგან ცნობიერება მუდამ ეძებს აზრს. სწორედ ამ ძიებაში ეძებს სწორ პასუხს ადამიანის ცნობიერება და სიცოცხლის აზრიც ეს არის.

ადამიანი, როგორც ურთულესი ერთმთლიანი სისტემა, დაწყებული მისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური და სულიერი განვითარებით და დამთავრებული დამოკიდებულებებით გარემოსადმი, რომელიც ჩვენ გარს გვარტყია და ცხოვრების მოვლენებისადმი კავშირებით ურთულეს, უსერიოზულეს და სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

ადამიანის არსების სრულყოფილი შესწავლის აუცილებლობამ დღის ნესრიგში დააყენა იმ პრობლემების ღრმა განხილვა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულები ადამიანის ცხოვრებასა და არსებობასთან. ზემოთ უკვე შევეხეთ რიგ საკითხებს, მაგრამ კვლავ გვინდა დავუბრუნ-

დეთ მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამიტომ ჩვენი ინტერესების ფარგლებში კვლავ შემობრუნდა რიგი მომენტების, რაც ბიოსფეროსთან არის დაკავშირებული და მის ნორმალურ ფუნქციონირებას განაპირობებს. ყურადღებას შევაჩერებთ ბუნებრივი გარემოს დეგრადაციაზე, რაც კაცობრიობას ეკოლოგიურ კატასტროფებს უქადის. ადამიანების გულგრილობამ, გაუფრთხილებლობამ, ბუნებრივი სიმდიდრის ბოროტად გამოყენებამ ამ უახლოეს პერიოდში ხუთჯერ გაზარდა ის საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ემუქრება, ამას დაემატა ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების არნახული მატება (80%-ს მიაღწია). სახეზეა უზარმაზარი მატერიალური დანაკარგები. ბუნებრივმა კატასტროფებმა კალაპოტიდან ამოგდო მთელი რიგი ქვეყნის ეკონომიკა, რაც უკვე შველას მოითხოვს და საგანგებოდ შექმნილი პროგრამებით არის შესაძლებელი.

კატეგორიულად ყურადსაღებია, ისევ სიღრმისეულად გავიაზროთ, რომ ბიოსფერო გვევლინება მრავალფეროვან ორგანიზმად, რაშიც კაცობრიობის მხოლოდ გარკვეული ნაწილია მისი რეპროდუქციული სისტემის სფეროში მყოფი და მათ ევალებათ ბიოსფეროს შესაბამის მდგომარეობაში შენარჩუნება ფსიქოსფეროს მეშვეობით (იხ. სქემა 1).

თანამედროვე მეცნიერებაში, როგორც აღინიშნა, ნოოსფერო არსებითად განიხილება ეკოლოგიური პრობლემების კონტექსტში, კერძოდ, საზოგადოების განვითარების პროგრამასთან დაკავშირებით – მყარად განვითარებადი საზოგადოებაა, რომელსაც უნარი შესწევს შეძლოს ჰარმონიულად ააგოს ურთიერთობები „ადამიანი-საზოგადოება-ბუნება“, მიაღწიოს გაგების (კოლექტიური შეგნების, გაცნობიერების) კოევილუციურ აუცილებლობას, საზოგადოების და ბუნების თანაარსებობას (თანაგანვითარებას).

საზოგადოების ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალა გახლავთ ადამიანი, ხალხი, რომელთაც შესწევთ უნარი გენერირება მოახდინონ და ცხოვრებაში სრულად გაატარონ იდეები, რომლებიც შესაძლებლობების გამოყენებაზე იქნებიან მიმართული, არა მხოლოდ თანამედროვე პირობებში, არამედ მომავალშიც.

თუ საზოგადოება შეძლებს თითოეული ადამიანის განვითარების მიზნების განსაზღვრას, მაშინ, ცხადია, გაიზრდება ადამიანის პასუხისმგებლობის როლი აირჩიოს საკუთარი განვითარების სასურველი სცენარი – სწორედ ამ პლანშია საუბარი კაცობრიობის როლზე კოევილუციურ პროცესებში. კონცეფცია „ნოოსფერო“ თანამედროვე მეცნიერებაში არსებითად განიხილება საზოგადოების მდგრადი განვითარების პროგრამის შექმნასთან დაკავშირებით. ვიმეორებთ, მდგრადად განვითარებული საზოგადოება ისეთი საზოგადოებაა, რომელსაც შესწევს უნარი ჰარმონიულად და პოზიტიურად ააგოს ურთიერთობა „ადამიანი – საზოგადოება – ბუნება“ და მიაღწიოს კოლექტიური ცნობიერების გაგებას საზოგადოების და ბუნების თანაზიარ, ერთობლივ კოევილუციურ განვითარებაში.

„ნოოსფეროს“ ფსიქოლოგია განიხილება, როგორც სრულიად ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელიც თავის თავში შეიცავს იდეებს,

რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ფსიქოლოგიაში სრულიად ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბებაში.

„ნოოსფეროს“ შექმნის და ჩამოყალიბების ეტაპს უკავშირებენ კაცობრიობის გადარჩენის სტრატეგიას (Vernadskiy, 1965). აღნიშნული სტრატეგია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ინფორმაციულს, კოსმოსურს და ეკოლოგიურს. საზოგადოების განვითარების ინფორმაციული ეტაპის ძირითადი მახასიათებელია – ცოდნის განსხვავებული დარგების ინტეგრირება. სწორედ ამაში გამოიხატება თანამედროვე ბუნებათმცოდნეობის მიღწევები, რაშიც იკვეთება ცოდნის ახალი სინთეზები და რომელთა მეშვეობითაც იცვლება ამა თუ იმ მეცნიერების სტრუქტურა. დისციპლინათშორისი კვლევების შესაძლებლობა საშუალებას იძლევა ჩამოვყალიბოთ ერთიანი ტრანსდისციპლინარული შეხედულება სამყაროზე, ამასთან, მრავალრიცხოვან ადამიანთა გაცნობიერების დონეზე გლობალური პრობლემების და მათი გადაწყვეტის საშუალებების ადეკვატური გაგებაც იქნება უზრუნველყოფილი.

ნოოსფერული ცოდნა – არის პირობა გაგებულ იქნას თანამედროვე მეცნიერებაში ინტეგრაციული ტენდენციები, რომლებიც აუცილებელი და გადაუდებელია ზოგადად პრობლემებთან დაკავშირებით – პრობლემასთან „ადამიანი – ბუნება“.

თავდაპირველად, როგორც მოგახსენეთ, ამ ახალ ცოდნას სათავე დაედო აკადემიკოს ვ.ი. ვერნადსკის კონცეფციაში, რომელსაც ეწოდა „ნოოსფეროს“ კონცეფცია, როგორც სისტემა ევოლუციის და მისი გარემოს ერთიანობის შესახებ.

ვ.ი. ვერნადსკის ნოოსფერული კონცეფციის საგანს წარმოადგენს განვითარება, რომელიც გონებით მიმდინარეობს. მის მიერ ნოოსფერო განიხილება, როგორც „გონების სამეფო“ და როგორც ახლი მოვლენა პლანეტაზე. ნოოსფერულ ცოდნაში იცვლება არა მხოლოდ დამოკიდებულება ბუნებისადმი, არამედ თვით ადამიანიც, როგორც ბუნების თვითშემეცნებელი. ნოოსფეროს ჩამოყალიბების პროცესის ცენტრში იმყოფება, როგორც ახალი ინფორმაციული წყარო – პიროვნება.

პიროვნება, რომელიც სულიერი, ინტელექტუალური და სხეულებრივი გამოცდილების ინტეგრირებას ახდენს. იგი წარმოადგენს საკაცობრიო საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულს.

ნოოსფერული ცოდნა ემყარება სამყაროს ახალ სურათებს, რომელიც განისაზღვრება, როგორც სისტემური თეორიული ბაზისი და **გვევლინება სინერგეტიკულ პარადიგმად.**¹ ევოლუციურ-სინერგეტიკული მიდგომა ვრცელდება არა მხოლოდ ბუნებრივ გარემოზე, არამედ სოციალურ რეალობაზეც (სოციოსინერგეტიკა), კოგნიტურ სფეროებზეც.

სინერგეტიკული ხედვის შესაბამისად ადამიანი გაცილებით რთული არსებაა სოციალურ ჯგუფებთან და საზოგადოებასთან შედარებით (იხ. სქემა 1).

¹ სინერგეტიკა – იხ. ჯ. ჯინჯიხაძის „პედაგოგიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, თბ., 2017: 494.

ადამიანური ინდივიდუალობის მთლიანობის განსახიერებას წარმოადგენს მისი თავისუფალი შემოქმედებითი მოღვაწეობა.

ადამიანი გარდაქმნის რა სოციალურ გარემოს პიროვნების დონეზე, მას უნარი შესწევს შეცვალოს საზოგადოების თავისებურებებიც.

პიროვნების ევოლუცია სამყაროს ევოლუციის მნიშვნელოვან ნაწილად გვევლინება, რადგანაც ნოოსფეროს შემეცნებაში ჩნდება კაცობრიობის, როგორც სტრუქტურაშემქმნელი ძალის, კოსმოსური პასუხისმგებლობა, რომელიც აქტიურ ზემოქმედებას ახდენს კოსმოსის ევოლუციაზე.

პიროვნების ინტეგრაციული თეორიის არსებით დეფინიციად გვევლინება: სულიერება, თვითრეალიზაცია, ფსიქოლოგიური სიმყარე, მისი ინტეგრირებული პოტენციალი, მისი ფუნქცია, დანიშნულება, ცხოვრების პერსონალური წესი – ყოველივე ეს გახლავთ ნოოსფერული პროცესების ფსიქოლოგიური მოდელი.

ნოოსფერული მიდგომის ძირითადი იდეა იმაში გამოიხატება, რომ კაცობრიობის ევოლუცია და ადამიანის თვისებების გარდაქმნა სულიერებით, გამოდიან როგორც ერთიანი მთლიანი – პირდაპირი და უკუკავშირის სახით. და მხოლოდ მათი გადანყვეტის ლოგიკაში შეიძლება მიეცეს ერთმთლიანი ფსიქოლოგიური გაგების უნარი საზოგადოების და პიროვნების მყარ განვითარებას.

საზოგადოების არსებობის არსებით და ძირითად რესურსად გვევლინება მისი სულიერი განვითარების დონე, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ადამიანის და მთლიანად საზოგადოების მყარ ცხოვრებისეულ გზას. ცივილაზაციის დონის ამაღლებაც კი სულიერების ზრდის საფუძველზეა შესაძლებელი, რომელიც შეესაბამება არსებობის ცვალებად პირობებს.

სულიერების კატეგორიას შეესატყვისება სამყაროს, საკუთარი თავის, ცხოვრების არსი, ადამიანის დანიშნულების შემეცნების მოთხოვნილებების არსებობა.

კაცობრიობის ისტორიაში, მის ცხოვრებაში არსებობს ბევრი კონკურენტუნარიანი მიზნები, რომელთა მიღწევაც შესაძლებელია იდეების განხორციელების წყალობით, თუმცა ისიც ცნობილია, რომ იდეების შერჩევის დროს მკაცრი მოთხოვნები წაეყენებათ და შერჩევის ამ პროცესს გააჩნია მაღალორგანიზაციული იდეები ნოოსფეროში. მსოფლიო ჭეშმარიტება ხორციელდება თავის თავშივე კაცობრიობის გონების განსულიერების მეშვეობით.

ვ.ი. ვერნადსკი (Vernadskiy, 1991) განსახილველი პრობლემების აქტიური მკვლევარი, გონებით ასაბუთებს, რომ კაცობრიობის ისტორიულად ჩამოყალიბებული იდეები ქმნიან ზეინდივიდუალური ქცევის მოდელს.

ვ.ი. ვერნადსკი (Vernadskiy, 1996) დაბეჯითებით აღიარებს, რომ წმინდა, ფაქიზი, სულიერების, მისი არსის, მისი რაობის, შემოქმედების უნარის, ჭეშმარიტებაში წვდომა პერსონიფიცირებულია ღმერთში, რომელიც იმყოფება საზოგადოების არსებობის საზღვრებს იქეთ.

ნოოსფერო იმართება იმ პრინციპებით, რომლებიც არსებობენ ადამი-

ანური რეალობის ფარგლებს გარეთ, ხოლო განვითარების ყოველი მოდელი, რომელიც მართავს მთელ სამყაროს ერთ კონტინენტურ წყაროს ეკუთვნის. სულიერების სანყისია ის, რაც ასაზროებს, ამყარებს აზრს და მნიშვნელობას სძენს მთელი კაცობრიობის არსებობას.

ზნეობრივი კანონები გვევლინებიან არსებით კანონებად ადამიანის დინამიკურ სისტემაში, ხოლო მათი დარღვევა პირდაპირ აისახება უშუალოდ ადამიანის ცხოვრებაზე მისსავე სიცოცხლეში, ასევე საზოგადოებაზე, ბუნებაზე, რომელიც ჩვენ გარს გვარტყია.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარების რესურსი არის **მისი სულიერი განვითარება**, რაც განაპირობებს თითოეული ადამიანის ცალ-ცალკე და კაცობრიობის მთლიანობაში მყარი წარმატებული ცხოვრების ტრაექტორიას.

არსებული რესურსებისა და შესაძლებლობების გარეშე მსოფლიოს გაუჭირდება კრიზისების დაძლევა.

ადამიანი, როგორც სპეციფიკური არსება, არ დაიყვანება სხვა განზომილებაზე, მისი კონსტრუქცია არ გახლავთ თვითკმარი, თავის თავში ჩაკეტილი აზრით და მნიშვნელობით.

ადამიანის ორგანიზმი ისეთ სისტემას წარმოადგენს, რომლის სასიცოცხლო მარგანიზებული თვისება ორგანიზმის სტრუქტურის ბუნებიდან გამომდინარეობს (Nadirashvili, 2001: 197, 199).

იმისათვის, რომ ორგანიზმმა თავისი ნორმალური სასიცოცხლო მდგომარეობა შეინარჩუნოს, ინტენსიური სასიცოცხლო აქტივობა უნდა განახორციელოს. სწორედ ამ აქტივობაშია ჩართული მთელი ფსიქოსფერო (იხ. სქემა 1). ფსიქიკური მოვლენები ამარაგებენ ორგანიზმს მიზანშეწონილი ქცევისათვის საჭირო მრავალფეროვანი მონაცემებით.


ადამიანის თავისებურება, როგორც ცნობილია, სინამდვილის შემეცნებაში, გაცნობიერებულ ასახვებში გამოიხატება. მაგრამ როდესაც ადამიანის მიერ განხორციელებული ქცევა საკმარისი არ არის მიზანშეწონილი აქტივობისათვის, იგი სინამდვილის უფრო არსებით ასახვას მიმართავს. საგანს შემეცნების ობიექტად აქცევს, ანუ „გონებას მიმართავს“, თვითონ კი სუბიექტი ხდება. მომხმარებელი ადამიანი შემეცნებლ სუბიექტად გადაიქცევა. ცნობიერება თავისი განცდებით მოგვევლინება და ნოოსფეროს ძირითად ფუნქციას შეასრულებს. აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილის განწყობის ანტროპული თეორია (Nadirashvili, 2001: 200; 173-177), შესაძლებლობას იძლევა ადამიანში განხილულ იქნეს ცოცხალი ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნებისათვის დამახასიათებელი ფსიქიკური აქტივობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება ადამიანური ცხოვრება (სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან ერთად, იხ. სქემა 1).

ყურადღებას იმსახურებს აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის სიღრმისეული კვლევა ადამიანისა და ბუნების ურთიერთკავშირის შესახებ, სადაც მან თავისი გულისტკივილი მეცნიერულ აზროვნებაში ჩააქსოვა. ბუნების ძალების ბატონობის დაძლევის შემდეგ ადამიანმა თვითონ დაი-

წყო მასზე ბატონობა... ადამიანები აგრესიულ მოქმედებაზე გადავიდნენ. დაიმორჩილეს ბუნება და არასასურველი ზიანიც მიაყენეს... შოთა ნადირაშვილმა ნათლად წარმოაჩინა ადამიანსა და ბუნებას შორის არაადამიანური ურთიერთობის გამო, როგორი კრიზისები ემუქრება მთელს სამყაროს.

ადამიანებმა ბუნებასთან ურთიერთობის დამყარების დროს უნდა შეიმეცნონ და გაითვალისწინონ ბუნების თავისებურებები და კანონზომიერებები, რომლის მიხედვითაც ცნობილი უნდა იყოს სქემა №1-ში განხილული ყველა ის ელემენტი, რომლებიც ერთიანობაში წარმოადგენენ ფსიქოსფეროს და ადამიანის სიცოცხლეს განაპირობებენ....

სქემა №1



ადამიანის საერთო სტრუქტურა – გეშტალტი.

მისი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები და ურთიერთკავშირები: ფსიქოსფერო, მისი გავრცელების არეალი და მასზე ურთიერთ ზემოქმედი მოვლენები და ფაქტორები.

კვლავ გვინდა თქვენი ყურადღება მივიპყროთ ნოოსფეროს როგორც ბიოსფეროს ახალ მდგომარეობაზე. ბუმბერაზი მეცნიერი და მოაზროვნე, „ნოოსფეროს“ იდეის შემქმნელი ვ. ვერნადსკი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გონებით სამყაროს მართვას, საყოველთაოს გააზრებას, საზრიანობას, კრეატიული უნარების განვითარებას, მათ ანალიზს და სინთეზს, ახალი იდეების ძიებას და აღმოცენებას.

მან, სწავლულთა შორის პირველმა, შეიმეცნა, რომ ადამიანი ეკუთვნის ბიოსფეროს სულითა და სხეულით, წარსულით და მომავლით; სიღრმისეულად განიხილავდა კაცობრიობის როლს ბიოსფეროში, როგორც განსაკუთრებულ გეოლოგიურ სხეულს, რომლის აგებულება და ფუნქციები განისაზღვრება დედამიწის და კოსმოსის თავისებურებებით. ვ.ვერნადსკის მიაჩნდა, რომ ბიოსფეროს მთავარ ფაქტორს სიცოცხლე წარმოადგენს, ცოცხალ ორგანიზმსა და გარემოს შორის მეტად მჭიდრო კავშირი არსებობს. ამ მრავალმხრივი სწავლულის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან სიღრმისეულად დაასაბუთა ადამიანისა და ბიოსფეროს სასწაულებრივი ერთიანობა, როდესაც ადამიანის ქცევები და მოქმედებები, ზოგჯერ მისი ფიქრებიც კი, სარკისებურად აისახება ბუნებაზე და უკურეაქციებს იწვევს, ბუნებაზე მისტიურად რეაგირებს ადამიანი.

თანამედროვე ბუნებათმცოდნეობის პრობლემას წარმოადგენს სიცოცხლის წარმოშობა ბიოსფეროში და მის არეალში ნოოსფეროს აღმოჩენა, რომლის სუბსტანციასაც გონება წარმოადგენს. გონებრივი ქმედება მის გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება.

ვ. ვერნადსკის მიხედვით, ნოოსფერო საგანგებო მიდგომას მოითხოვს, კერძოდ, პლანეტური პროცესების გლობალურ მართვას გონიერი ადამიანების მიერ.

ნოოსფერო დედამიწაზე ჩამოყალიბდა ღვთიური გონების, სულიერების უმაღლესი დონის არსებობის პირობებში. კაცობრიობა, ალებული ერთ მთლიანობაში, უძლიერეს გეოლოგიურ ძალად იქცევა და მისი გონების წიაღში წარიმართება გონებით ბიოსფეროს გარდაქმნის პროცესი, ადამიანთა ინტერესების შესატყვისად.

ნოოსფერო ბიოსფეროს ახალი მდგომარეობაა. ბიოსფეროს კანონზომიერი განვითარების შემეცნებაში დევს იმის გასაღები, თუ როგორ გონივრულად იქნება გამოყენებული – ბუნების ძალები და მისი მონაპოვარი ადამიანის მიერ; სწორედ ადამიანი გახლავთ კოსმოსური ევოლუციის მწვერვალი (იხ. სქემა 1). ჩვენს პლანეტაზე გონებით დაჯილდოვებული არსებების გამოჩენამ გადაიყვანა იგი თავისი ისტორიის ახალ სტადიაში – ბიოსფერო გადადის ნოოსფეროში. ადამიანის, სამყაროს უმნიშვნელოვანესი ფიგურის ცხოველმოქმედების მაჩვენებელი, პირველ რიგში, არის მისი ბუნებასთან ურთიერთზემოქმედება.

სწავლება ნოოსფეროს შესახებ მიზნად ისახავს ბუნებრივი ძალების გამოყენების გზებისა და საშუალებების პოვნას ადამიანის ინტერესების შესაბამისად.

ვერნადსკისთვის სრულიად ნათელი იყო, რომ კაცობრიობის გა-

დასარჩენად აუცილებელია განსაკუთრებული ძალა და მიუთითებს, რომ ეს ძალა არის ადამიანის გონება და მიზანმიმართული ნებისყოფა. ნოოსფეროს ფუნქციონირების ერთ-ერთი არსებითი საშუალება მიზნის დასახვისა და მიღწევისათვის სიღრმისეული, გააზრებული განათლების სისტემის არსებობაა აუცილებელი და ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება; რეალური შესაძლებლობების შექმნა – არ დაუშვათ სილატაკე, ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე. ყოველივე ზემოთქმულის მიღწევაში უდიდეს როლს ფსიქოსფერო ასრულებს თავისი სრულყოფილებით.

ვერნადსკი არაერთხელ აღნიშნავდა იმის აუცილებლობას, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებაში ჩაერთოთ მეცნიერება ადამიანზე, როგორც ნოოსფეროს აგენტზე, მისი განვითარების მიზნებზე. ჰუმანიზმი დაფუძნებულია ღრმა ცოდნაზე, რომელიც გამომდინარეობს თვით ბუნების, კოსმოსურ ევოლუციაზე, მსოფლმხედველობის ოპტიმიზმზე, მიზნებსა და ამოცანებზე.

ვერნადსკი, თავისი ღირსშესანიშნავი იდეებით, წარმოდგენდა როგორც შესანიშნავი, ბრწყინვალე, უდიდესი კულტურის და უმაღლესი მორალის ადამიანი, ჩვენი ეპოქის უდიდესი სწავლული. თავისი მეცნიერული გამოკვლევების შედეგებით მან გაუსწრო არა მხოლოდ ჩვენს დროს, არამედ მომავალსაც. დიდი შემოქმედის აზრით, „მეცნიერება ასწავლის, აჩვენებს ადამიანს ობიექტურობას, მსჯელობის სიზუსტეს, მასში აღვიძებს კეთილსინდისიერებას, აზრთა სულიერ სიფაქიზეს“ (Antologiya, 2001: 83-88; 142-145).

«Я житель планеты Земли и обязан расширить свое сознание, должен мыслить в планетном масштабе. Ноосфера, сфера мысли, в создании которой участвую я, меняет облик Земли. Стало быть, я несу ответственность перед человечеством, планетой Земля, и, таким образом, перед Космосом за свои мысли и деяния» (Antologiya, 2001: 37).

კაცობრიობის განვითარების ისტორია არ არის განებივრებული უმაღლესი, უბადლო გონებრივი მონაცემების მქონე ადამიანების სიმრავლით, რომლებმაც საქმიანობით და მთელი ცხოვრების სტილით თავიანთი სახელი უკვდავყვეს. ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებაში ვინც დაიმკვიდრა ასეთი მდგომარეობა, ისინი ერთმანეთის გვერდით იდებენ ბინას ჩვენს მეხსიერებაში და აადვილებენ მათ გახსენებას. როდესაც ვლადიმირ ვერნადსკის დამსახურებაზეა მსჯელობა, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ბრწყინვალე მოაზროვნე დიმიტრი უზნაძე, თავის მრავალგანზომილებიანი ინტელექტით, რომლის მთელი სიცოცხლის აზრიც, ადამიანის ირგვლივ ტრიალდება.

დიმიტრი უზნაძემ, შესანიშნავმა მკვლევარმა, ახალგაზრდობის პერიოდშივე მოასწრო თავის ფილოსოფიურ თვალთა ხედვაში ადამიანის არსებობის მთელი სამყარო მოეცვა და აზროვნების საოცარი ხელოვნებით დაეკავშირებინა მოვლენები ერთმანეთთან. ამჯერად, მან აქტუალობის პრინციპით ახსნა სიცოცხლის აზრი და შინაარსი. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დ. უზნაძის კონცეფცია ასეთია: შემოქმედი და მოქმედი, აქტიური და მებრძოლი ადამიანი აწესრიგებს საგნობრივ

სამყაროს, დანიშნულებას და იდეას ანიჭებს მას.

უსულო საგნები ადამიანს შემოყავს ცხოვრების რკალში და აძლევს მას აზრსა და დანიშნულებას. ის სიცოცხლის შემომქმედია, ბუნების მომწესრიგებელი და მისთვის დანიშნულების მიმცემი. ადამიანის ეს მისწრაფება ზღვარდაუდებელია და მისი შემოქმედებაც უსასრულოა. ეს შემოქმედება მისი ცხოვრების აზრი და არსია.

დიმიტრი უზნაძის გენიალობა იქედან ჩანს, რომ მან თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის სიღრმის და აზროვნების მრავალფეროვნების სრულყოფის ნყალობით მიაკვლია იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანი მოიცავს პიროვნებისეულ არეს, რომელიც მთლიანის უბიექტის პოზიციას ასახავს. განწყობის თეორია ამ მთლიანი სუბიექტური სფეროს თეორიაა. იგი გარკვეულ ფილოსოფიურ პოზიციაზე აგებული ფსიქოლოგიური თეორიაა ადამიანის მოქმედების შესახებ.

ადამიანს, როგორც ღვთაებრივ არსებას, უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია სამყაროს გადარჩენასა და განვითარებაზე.

ლიტერატურა:

1. Ananov B. G. O problemakh sovremennogo chelovekznaniya, Moskva, Nauka, 1977.
2. Antologiyagumannoy pedagogiki, 2001.
3. Jinjikhadze J. Pedagogiur terminta ganmartebiti leqsikoni, Tbilisi, 2017.
4. Gumilev L. I. Etnogenez I Biosfera zeli. Leningrad, 1990.
5. Nadirashvili Sh. Gantskobis antropuli teoria. Tbilisi, 2001.
6. Uznadze D. Teorul-filosofiuri nashromebi. Tsigni: D. Uznadze, shromebi. T. IX, Tbilisi. 1986.
7. Vernadskiy V. I. Khimicheskoe stroenie biosfery zemli i ee okruzheniya. Moskva: Nauka, 1965.
8. Vernadskiy V. I. Stalinu "Chto I zachem nam nuzhno znat o noosfere", Moskva, 1943.
9. Vernadskiy V. I. Nauchnayamyslkakplanetnoeyavlenie, Moskva, 1991.
10. Vernadskiy V. I. Neskolko slov o noosfere. Zhr. Noosfera, 1996, #1.
11. Vernadskiy V. I. Biosfera I noosfera. Moskva: Nauka, 1989.
12. V. I. Vernadskiy i sovremennost, Moskva: Nauka, 1986.

Lia Svanidze

TO THE GATE OF DEPTH OF PSYCHOLOGICAL SCIENCE
KNOWLEDGE

Summary

The paper touches upon very complicated and still not fully studied problems: problems of modern humanology and human's mutual relationship with environment, when a man is represented as the whole product of nature. Mankind and society are selected as a research object by the author of the paper.

Special attention is focused on possibilities of solution of mentioned problem and the only way of system approach is offered, by great difficulties of problem research. The set of elements being in certain relationship and linkage to each other creates a certain unity which considers the structure, behavior and development (genesis) of the object not separately (isolatedly), but in cyclic relations. The paper presents comprehensive, visual chart with 16 constituent elements, which is very important and noteworthy.

The author offers interesting novelties at the level of ideas that makes us wonder – noosphere, biosphere, psychosphere, ethnosphere etc., with important explanations.

ზვიად მიქაძე, ტრისტან გულბიანი

დამწყებ ფრანგურთელთა ფსიქოლოგიური განვითარების ეტაპები წვრთნის პროცესში

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

მაღალი შედეგის მისაღწევად როგორც წვრთნის, ასევე შეჯიბრების პროცესში დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ფაქტორები. დღეს სპორტსმენთა სწავრთნელი პროცესი ფსიქოლოგიური მომზადების გარეშე წარმოუდგენელია. სპორტული შეჯიბრება არა მარტო სპორტსმენტა ფიზიკურ შესაძლებლობათა გამოცდა, არამედ პიროვნებათა შორის შეჯიბრებაცაა. სანამ სპორტსმენი შეჯიბრებაზე გავა, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდება პიროვნებად. რამდენად წარმატებული იქნება სპორტსმენის მცდელობა, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდა ის.

სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადება, როგორც ცნობილია, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პროცესია, სადაც მიმდინარეობს ფრენბურთელისათვის აუცილებელი ფიზიკური მონაცემების განვითარება და სპორტსმენში დადებითი პიროვნული თვისებების აღზრდა. ფსიქოლოგიური მომზადების შედეგია ფრენბურთელის სპორტული ხასიათის ჩამოყალიბება.

მწვრთნელი უშუალოდ ხელმძღვანელობს აღსაზრდელთა ფსიქოლოგიურ მომზადებას. თუ როგორი ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდება ფრენბურთელს, ყველაზე უკეთ მწვრთნელმა იცის.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ფრენბურთი ეხმარება ახალგაზრდა მოთამაშეებს შეიძინონ ისეთი ფსიქოლოგიური გამოცდილება, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის არამარტო ფრენბურთის თამაშისას, არამედ საერთოდ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

პირველ რიგში, ფრენბურთი ახალგაზრდა მოთამაშეებს, აქცევს სიტუაციაში, რომლის წყალობითაც ისინი იძენენ შემეცნების გარკვეულ უნარს, ფრენბურთის სხვადასხვა ინტენსივობის, ხანგრძლივობისა და რაოდენობის განსხვავებულ ფაქტორებზე (ეს შეიძლება იყოს ერთი ფაქტორი, ან რამდენიმე ერთად).

ახალგაზრდა ფრენბურთის მოთამაშეები, სიტუაციიდან გამომდინარე, ეჩვენებიან ყურადღების ინტენსივობის ცვლას, გარკვეულ მომენტში მის გაძლიერებას, ან პირიქით შესუსტებას. ჩვეულებრივ ცხოვრებაში არც ისე ბევრია ისეთი თამაში თუ მოქმედება, რაც ბავშვებს ყურადღების კონცენტრაციის ასეთ უნარს ჩამოუყალიბებს.

ფრენბურთი ასევე დიდად უწყობს ხელს ბავშვებს გარემოდან მიღებული ინფორმაციის შერჩევასა და გადამუშავებაში.

დიდი ინფორმაციული ნაკადიდან მათ უნდა აირჩიონ მხოლოდ ის,

რომელიც მათ იმ დროს სჭირდებათ და მათ მეხსიერებაში უკვე არსებული ინფორმაციის ანარეკლია.

ბავშვები ასევე ეჩვევიან გადანყვეტილებების სწრაფად მიღებას. შემეცნებითი პროცესები როგორცაა, ინფორმაციის მიღება, ასოციაციური დაკავშირება, მეხსიერების მარაგი, ამ მარაგის გამოყენება და სწრაფი გადანყვეტილების მიღების უნარი, განსაკუთრებით ვითარდება მაშინ, როდესაც მწვრთნელი მოთამაშეს უყენებს ისეთ მოთხოვნებს, რომელთა შესასრულებლადაც საჭირო ხდება ზემოთჩამოთვლილი თვისებების გამოყენება, რა თქმა უნდა, ბავშვების შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

თუ ფრენბურთის მწვრთნელმა ბავშვებისაგან მოითხოვა ყურადღების გამახვილება ერთდროულად რამდენიმე ფაქტორზე, ამან შეიძლება მათი ინფორმაციული დატვირთვა გამოიწვიოს. ეს კი შემდგომში გაართულებს ისეთი შემეცნებითი უნარის განვითარებას, როგორცაა სწრაფი გადანყვეტილების მიღება. ასევე, თუ მწვრთნელის მიერ დასახული ამოცანები ბავშვების შესაძლებლობებს აღემატება, ეს მათ შემეცნებით განვითარებას, პირიქით, შეაფერხებს.

ახალგაზრდა ფრენბურთელთა წვრთნის პროცესში მართვის უნარის გაუმჯობესება ხორციელდება. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ მართონ მათთან დაკავშირებული საგნები თუ სიტუაციები. სიტუაციის მართვის უნარი ადამიანს უყალიბებს საკუთარი თავის რწმენასა და პიროვნულ სიძლიერეს, ადამიანში ამ უნარის უქონლობა იწვევს უმწეობის შეგრძნებას, იმის განცდას, რომ მისი ყველა მცდელობა უშედეგოა და არაფრის შეცვლა შეუძლია.

უმწეობის შეგრძნება ხშირად ახასიათებთ ბავშვებსა და ყმანვილებს, რაც ერთგვარად აფერხებს ამ ასაკის ადამიანებში საკუთარი თავის რწმენასა და სიმტკიცის გამომუშავებას. ამის გამო, ისინი ხშირად გულს იცრუებენ სხვადასხვა საქმიანობაზე და ხანდახან საკუთარი თავის პატივისცემასაც კი კარგავენ.

ბავშვებთან მუშაობისას, ნებისმიერ სფეროში, ძლიერ მნიშვნელოვანია, განვუვითაროთ მათ საკუთარი თავის მართვის უნარი და არა უმწეობის შეგრძნება.

ბავშვისა და მოზარდისათვის დამახასიათებელი თავდაჯერებულობის ნაკლებობა შეიძლება დაძლეულ იქნეს მისთვის ისეთი სიტუაციების შექმნით, სადაც იგი გამოავლენს რაიმე მოვლენის ან ფრენბურთის საგნის მართვისა და კონტროლის უნარს, რაც, თავის მხრივ, გაუღვიძებს საკუთარი თავის რწმენას და მასზე დადებითად იმოქმედებს.

ფრენბურთი ბავშვსა და ყმანვილს მრავალ ასეთ სიტუაციას სთავაზობს, თუმცა მწვრთნელის მიერ მათი არასწორი გამოყენება მოზარდს კიდევ უფრო გაუმძაფრებს უმწეობის შეგრძნებას.

როდესაც მწვრთნელი მოთამაშეებს სთავაზობს მათი შესაძლებლობების ადეკვატურ ვარჯიშებს და მათ იციან, რა უნდა გააკეთონ, ისინი იგრძნობენ, რომ შეუძლიათ ამა თუ იმ ვარჯიშის შესრულება, ანუ სიტუაციის მართვა, ხოლო თუ ვარჯიშის მოთხოვნები აღემატება

მოთამაშეთა შესაძლებლობებს, მათ დაეუფლებათ უმწეობის შეგრძნება. სამწუხაროდ, მწვრთნელები არ ითვალისწინებენ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს და, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვები ანებებენ ვარჯიშს თავს (გარბიან ჯგუფიდან).

საუბედუროდ, ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე თავს უსუსურად გრძნობს, როდესაც ვერ ასრულებს მისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მან არც იცის ზუსტად, რა უნდა გააკეთოს.

ფრენბურთის წვრთნის პროცესში მართვის უნარის გაუმჯობესების მეთოდები. ყველა მწვრთნელმა და განსაკუთრებით კი იმან, ვინც ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობს, უნდა შეძლოს ჩაუნერგოს ბავშვებს საკუთარი თავის რწმენა და არა უმწეობის განცდა.

ამ მიზნის განხორციელებისათვის მწვრთნელმა უნდა მიმართოს შემდეგ მეთოდებს:

1. იმისათვის, რომ (ბავშვებმა) ახალგაზრდამ შეძლოს ფრენბურთის მოთხოვნათა შესრულება, მწვრთნელმა ისე უნდა ავარჯიშოს ბავშვები, რომ მათი მონაცემები თანმიმდევრულად გაუმჯობესდეს.

2. მწვრთნელის მიერ ბავშვების წინაშე დასახული მიზნები არ უნდა იყოს ძნელად მისაღწევი და უნდა შეესაბამებოდეს მათ ასაკობრივ თავისებურებებს და მომზადების დონეს.

3. მწვრთნელმა ისეთი ვარჯიშები უნდა შესთავაზოს ფრენბურთელებს, რომელთა შესრულებაც მათ შეუძლიათ.

4. მწვრთნელმა უნდა აუხსნას მოვარჯიშეებს ვარჯიშის მიზნები, რისი გაკეთება მოეთხოვებათ ამ ვარჯიშის დროს და ისიც, რომ უნდა იმუშაონ მხოლოდ მითითებული მიზნების გათვალისწინებით.

5. სასურველია ბავშვებმა, მეტწილად, ითამაშონ მათივე დონის მონიწილმდევსთან, რათა თამაშისას ისეთ სიტუაციაში არ აღმოჩნდნენ, რომელსაც თავს ვერ გაართმევენ. როდესაც გუნდს უწევს ბევრი თამაშის ჩატარება უფრო ძლიერ, ხან კი უფრო სუსტ გუნდთან, მწვრთნელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თამაშების უმეტესობა მაინც შეესაბამება მისი მოთამაშეების შესაძლებლობას.

6. თამაშის დროს მწვრთნელმა ყუარდლება უფრო მეტად უნდა გაამახვილოს მოთამაშეთა მოქმედებებზე, ვიდრე მიღწეულ შედეგებზე. მწვრთნელმა უნდა გაანალიზოს თამაშის დროს მოთამაშეთა მიერ შესრულებული ცალკეული მოქმედებები შეფასებით. ამგვარად, მწვრთნელი დაანახვებს ბავშვებს კავშირს მათ მიერ შესრულებულ მოქმედებებსა და მიღებულ შედეგებს შორის. ეს კი, თავის მხრივ, დაეხმარება ბავშვებს, გაერკვნენ საკუთარ ძალებში.

7. მნიშვნელოვანია, რომ მწვრთნელმა ყოველთვის გაუსვას ხაზი მოთამაშეთა ძალისხმევას მიზნის მისაღწევად. თუ მწვრთნელი თამაშის შემდეგ განიხილავს იმ მოქმედებებს, რომლებმაც განაპირობეს თამაშის მოგება (გადაადგილება, ბურთის მიღება, დახმარება დაცვაში, პასის მიცემა და სხვა), ეს საკმარისი იქნება იმისათვის რომ ბავშვებმა ისინი დაუკავშირონ მიღწეულ შედეგებს. თუ მწვრთნელის მიერ თამაშის შემ-

დეგ განხილული მოქმედებები მოითხოვს მეტ სიზუსტეს (პასი, მოგერიება, დარტყმა) ვარჯიშის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სწორედ მათ დახვენაზე, რათა მომავალში მიღწეულ იქნეს სასურველი შედეგი.

8. მწვრთნელმა, მიღწეული შედეგის მიუხედავად, უნდა აღნიშნოს მოთამაშეთა მიერ საჭირო დროს მიღებული სწორი გადანწყვეტილებები.

თუ მოთამაშე, რომელმაც იცის თავისი მწვრთნელისაგან, რომ თავდასხმითი დარტყმის ხელსაყრელი მომენტი დგება, როდესაც ის თავისუფალია, პასი კარგია და ურტყამს, მწვრთნელმა უნდა შეაქოს იგი, მიუხედავად იმისა, ჩავარდა თუ არა ბურთი. ამ გზით მოთამაშეს განუვითარდება კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადანწყვეტილების მიღების უნარი და მომავალშიც ეცოდინება, თუ რა უნდა გააკეთოს მსგავს ვითარებაში.

ბავშვებსა და მოზარდებს ფრენბურთის თამაშისას უვითარდებათ სიტუაციის მართვისა და სწორი გადანწყვეტილების მიღების უნარი, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. ისინი გრძნობენ, რომ დაულაღავი შრომის ფასად ყოველთვის მიიღწევა სასურველი შედეგი. ბავშვებისთვის ისეთი ფსიქოლოგიური ასპექტის განვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ თავი იგრძნონ დაცულად და ბრძოლის უნარიანად, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე გამოადგებათ.

თუ ფრენბურთის თამაშის ან ვარჯიშის დროს ბავშვი თავის თავში აღმოაჩენს სიტუაციის მართვის უნარს, ხდება თავდაჯერებული და გრძნობს საკუთარ ძალებს, მოსალოდნელია, რომ იგი შემდგომშიც გააგრძელებს ვარჯიშს სპორტის ამ სახეობაში. მწვრთნელი ვალდებულია შეადგინოს იმ მოქმედებათა სია, რომლებიც ბავშვებს უძლიერებს საკუთარი თავის რწმენას.

საკუთარი თავის რწმენა დაკავშირებულია საკუთარი ძალების შეგრძნების უნართან. საკუთარი თავის რწმენა არის შინაგანი ნდობა საკუთარი თავისადმი გარკვეული მიზნის მისაღწევად. საკუთარი თავის რწმენა არის შინაგანი პროცესი, როდესაც ადამიანს, ერთი მხრივ, აქვს მიზნის მიღწევის გზაზე არსებული სირთულეების რეალური შეგრძნება, მეორე მხრივ, იგი გრძნობს, რომ ძალუძს ამ სირთულეების გადალახვა. ამიტომ საკუთარი თავის რწმენა ყოველთვის დამყარებულია ადამიანის რეალურ შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, ადამიანს რომლებსაც აქვს საკუთარი თავის რწმენა, განსხვავებით იმისაგან, ვინც მოკლებულია ამას, იცის რა შესაძლებლობებს ფლობს და რა უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ეს შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს. იგი მწვრთნელის დახმარებით აცნობიერებს მიზნის მიღწევის პროცესში არსებულ სიძნელეებს და იცის, რა უნდა გააკეთოს ამ სიძნელეების გადასალახავად.

საკუთარი თავის რწმენა მატულობს, როდესაც მოთამაშე ვარჯიშისა თუ თამაშის დროს საკუთარ ძალას გრძნობს.

ახალგაზრდა მოთამაშეებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარი თავის რწმენა როგორც მათი ფრენბურთელებად, ისე სრულფასოვან ადამიანებად ჩამოყალიბების პროცესში.

– საკუთარი თავის რწმენა დიდად განსაზღვრავს ახალგაზრდა მოთამაშეების წინსვლას. იგი საშუალებას აძლევს ფრენბურთელს, გაუმკლავდეს თამაშის დროს ყველაზე რთულ და დაძაბულ სიტუაციებს ისე, რომ არ დაკარგოს გამარჯვების იმედი.

– საკუთარი თავის რწმენა ეხმარება ადამიანს გაუმკლავდეს რთულ სიტუაციებს ცხოვრებაში და ხელს უწყობს მის თვითშემეცნებისა და თვითშეფასების განვითარებას.

ფრენბურთელის თვითშემეცნება და თვითშეფასება. თვითშემეცნება ემყარება ადამიანის მიერ საკუთარი თავის აღქმასა და გააზრებას, თვითშეფასება კი ყოველივე იმის მოწონება-არმოწონებაა, რასაც ადამიანი შეიმეცნებს საკუთარ თავზე.

თვითშემეცნება და თვითშეფასება, როგორც წესი, არ არის დამოკიდებული რაიმე კონკრეტულ საქმიანობაზე და მათ ცხოვრებისეული გამოცდილება განაპირობებს. ბავშვებისა და მოზარდების თვითშემეცნება და თვითშეფასება არამდგრადია და ადვილად იცვლება სიტუაციის მიხედვით, მათი თვითშემეცნება და თვითშეფასება მეტწილად უკავშირდება გამარჯვებას და დამარცხებას, ამიტომ საკუთარი თავის შეფასება დიდად არის დამოკიდებული კონკრეტულ სიტუაციებზე. მაგალითად, თუ ახალგაზრდა თამაშობს ფრენბურთს მის თვითშემეცნებასა და თვითშეფასებას ფრენბურთის თამაშის დროს მიღწეული შედეგები განაპირობებს.

განვიხილოთ მოვარჯიშეთა პირობითი სამი ჯგუფი: პირველ ჯგუფში არიან ის ბავშვები, რომელთა თვითშემეცნება და თვითშეფასება დიდად არ არის დამოკიდებული მათ სპორტულ წარმატებაზე. ასეთ ჯგუფში შესაძლებელია შენარჩუნდეს და გაძლიერდეს კიდევ მოთამაშეთა თავდაჯერებულობა და სიტუაციის მართვის უნარი.

მწვრთნელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ მოზარდებზე, რომელთა ცხოვრებაშიც ფრენბურთი ძალიან დიდ როლს ასრულებს. ასეთ დროს, მათთვის შეიძლება აღარც კი არსებობდეს უფრო საინტერესო ან სიამოვნების მომგვრელი საქმიანობა, ვიდრე ფრენბურთია. ასეთი მოთამაშისათვის ფრენბურთი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა პრობლემების მიმართ იგი გულგრილი ხდება, რის გამოც ფრენბურთი მის ცხოვრებაში შეიძლება ზიანის მომტანიც კი აღმოჩნდეს.

მაგალითი: მარიამი 13 წლისაა და ახლახან დაიწყო თამაში ახალგაზრდა გუნდში. მისი ერთადერთი საზრუნავი და მიზანი წარმატებული თამაშია და როდესაც ამას ვერ ახერხებს, თავს უმწეოდ გრძნობს. იგი ძალიან ბევრს მოითხოვს საკუთარი თავისაგან და ამიტომ ყოველთვის დაძაბულია ვარჯიშისა და თამაშის დროს, მწვრთნელის უბრალო შენიშვნაც კი ძლიერ მოქმედებს მასზე. ამიტომ მარიამი ძალიან იტანჯება. ბოლო დროს მიღებულ ტრამვის გამო რამდენიმე თამაშიც გააცდინა. მარიამი დეპრესიას განიცდის და ფიქრობს, თავი დაანებოს ფრენბურთს.

ასეთ შემთხვევაში მარიამი არა მარტო თავს სპორტულ კარიერას აგდებს საფრთხეში, არამედ აკნინებს საკუთარი თვითშემეცნებისა და

თვითშეფასების უნარსაც. თუ ახალგაზრდა მოთამაშის თვითშემეცნება და თვითშეფასება გაიგივებულია მის მიერ სპორტში მიღწეულ შედეგებთან, ის მისთვის საშიში და საზიანოა.

მეორე ჯგუფის მოთამაშეები დაახლოებით იგივე სიტუაციაში იმყოფებიან. მათი თვითშემეცნება და თვითშეფასება მათივე ასაკის მდგომარეობა ძალიან ცუდად აისახება მათ თვითშემეცნებასა და თვითშეფასებაზე, რადგან თავიანთი სპორტული ცხოვრების მანძილზე ისინი აუცილებლად იწვნივენ როგორც გამარჯვებას, ისე დამარცხებას, მათ ექნებათ როგორც კარგი, ისე ცუდი პერიოდები.

ასეთ შემთხვევაში მწვრთნელმა ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა გამიჯნოს თავისი დამოკიდებულება მათი, როგორც სპროტსმენებისა და როგორც ადამიანების მიმართ. ამისათვის არსებობს ორი გზა:

1. მწვრთნელმა ყურადღება უნდა მიაქციოს მოთამაშეთა ცხოვრების იმ ასპექტებს, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება ფრენბურთს, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ბავშვებისათვის.
2. ვარჯიშების სწორი დაგეგმა და ჩატარება მოთამაშეებში ფრენბურთის სათამაშოდ აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს და კარგი ფსიქოლოგიური მომზადების ფონზე, მწვრთნელს შესაძლებლობა ეძლევა, განავითაროს ბავშვთა თვითშემეცნება და თვითშეფასება, მიუხედავად სხვადასხვა დროს მიღწეული შედეგებისა.

მესამე ჯგუფის მოთამაშეებს აქვთ მეტად სუსტი თვითშემეცნება და თვითშეფასება. ფრენბურთი მათთვის, პირიქით საუკეთესო საშუალებაა თვითშემეცნებისა და თვითშეფასების განვითარებისათვის, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ თვითშემეცნებასა და თვითშეფასებას განსაზღვრავს არა თამაშის შედეგი, არამედ ის ძალისხმევა და მონდომება, რომელსაც ისინი იჩენენ უშუალოდ თამაშის პროცესში.

მწვრთნელის როლი თვითშემეცნებისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. მოთამაშეებს შორის ურთიერთობას შეიძლება გადაამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მოთამაშის თვითშემეცნებისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებაში. მწვრთნელის საქციელი ასეთ შემთხვევაში ძალზე საპასუხისმგებლოა. ყოვლად დაუშვებელია მწვრთნელმა, განსაკუთრებით თანაგუნდელების თანდასწრებით, იხმაროს ისეთი გამოთქმები, როგორცაა მაგალითად, „იდიოტი ხომ არ ხარ?“ „როგორც ყოველთვის სულელივით იქცევი!“ ასევე დაუშვებელია გამოთქმები, რომლებიც ხაზს უსვამენ იმას, რომ ეს მოთამაშე არა მარტო ამ წუთში ცდება, არამედ საერთოდ არა აქვს კარგი თამაშის არანაირი პერსპექტივა, მაგალითად: „შენ ამას ვერასოდეს გააკეთებ, მარტო შეცდომების დაშვება შეგიძლია!“ და სხვა.

მწვრთნელის გავლენა ბავშვებზე ძლიერ პოზიტიურია, თუ იგი არ მიმართავს ზემოთ აღნიშნულ „სტრატეგიას“ და ამას ნაცვლად უსახავს მოთამაშეებს ზუსტ და გარკვეულ მიზნებს; - ეხმარება მათ ამ მიზნების მიღწევაში; - ერიდება ისეთი შენიშვნის მიცემას, რომელიც ხაზს უს-

ვამს ბავშვის ფიზიკურ მონაცემებს; - შეცდომების განხილვისას უხსნის მოთამაშეებს, თუ სად და როდის იყო დაშვებული შეცდომა და აძლევს მათი გამოსწორების საშუალებას.

ახალგაზრდა ფრენბურთელის თვითკონტროლის მნიშვნელობა: იმ-ისათვის, რომ ფრენბურთის მოთამაშემ აჩვენოს საუკეთესო თამაში და თავი აარიდოს იმპულსურ მოქმედებებს, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს თვითკონტროლს.

ფრენბურთის თამაშისას ხშირად იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებს, ისწავლონ საკუთარი თავის კონტროლი. მაგალითად: სალომე 12 წლისაა და თამაშობს სკოლის გუნდში. ის ვარჯიშობს კვირაში სამჯერ. სალომეს ძალიან უყვარს ფრენბურთი და ცდილობს, რაც შეიძლება კარგად ითამაშოს. ამასვე მოითხოვს იგი თავისი თანაგუნდელებისაგან. რამდენჯერმე, როდესაც თავისი თანაგუნდელი შეცდა, სალომე ძლიერ გაბრაზდა და შეურაცხყოფაც მიაყენა. მწვრთნელმა აუხსნა სალომეს, რომ მისი საქციელი არასწორია, რის შედეგადაც გოგონა ცდილობს გააკონტროლოს თავისი თავი და, როდესაც თანაგუნდელი თამაშის დროს შეცდომას უშვებს, იგი ამხნევეს მას, ან საერთოდ არ იმჩნევს არაფერს. იგი უფრო მეტად კონცენტრირებულია საკუთარ მოქმედებებზე და როგორც სალომეს დედა ამბობს, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ნაკლებ იმპულსური გახდა.

– გიორგი ასევე თამაშობს ფრენბურთს, ერთხელ, თამაშის დროს იგი შეეპასუხა მსაჯს, რადგან, მისი აზრით, გადაწყვეტილება გიორგის დაჯარიმების შესახებ მცდარი იყო. გიორგი მწვრთნელმა მეორე თამაშზე არ გამოიყვანა და აუხსნა, რომ ამის მიზეზი წინა თამაშისას მის მიერ გამოვლენილი თვითკონტროლის უკმარისობა იყო, ამის შემდეგ გიორგი ყოველთვის ცდილობს გააკონტროლოს საკუთარი თავი.

ეს მაგალითები მიუთითებს თუ როგორ შეიძლება გამოვუმუშაოთ ბავშვებს მეტი თვითკონტროლის უნარი. ნებისმიერი შესაძლებლობა, რომელიც სწორად იქნება გამოყენებული მწვრთნელის მიერ, მხოლოდ სასარგებლო იქნება პატარებისათვის. სალომეს და გიორგის შემთხვევაში მწვრთნელმა კარგად გამოიყენა შექმნილი ვითარება. ბევრი მწვრთნელი კი, ბავშვთა აღზრდის პროცესში, საერთოდ არა ქცევს ყურადღებას თამაშის დროს შექმნილ ამგვარ სიტუაციებს.

ზემოთ განხილული იყო ფრენბურთის შესაძლებლობები, რომლებიც განაპირობებენ ბავშვების უკეთესი პიროვნული, სოციალური და ფსიქოლოგიური უნარ-ჩვევების განვითარებას. ფრენბურთის თამაში მეტად ფასეულია ასევე ყოველდღიურად განცდილი დადებითი ემოციების გამო.

დადებითი ემოციები ყველასათვის სასარგებლოა. ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში კი ფრენბურთი შეიძლება იყოს ერთი იმ საქმიანობათაგანი, რომელიც დადებით ემოციებს იწვევს. თუ ფრენბურთის თამაშის დროს განცდილი დადებითი ემოციები აღემატება ბავშვის მიერ სხვა ცხოვრებისეული სიტუაციებში უარყოფით ემოციებს, იგი აუცილებლად გააგრძელებს თამაშს და შეიძენს იმ სასარგებლო გამოცდილებას,

რომელსაც ფრენბურთი იძლევა.

ფრენბურთი ბავშვისთვის უნდა იყოს: გართობა, სპორტული უნარ-ჩვევების ყოველდღიურად გაუმჯობესების საშუალება; გუნდი, რომელიც მას პატივს სცემეს; დადებითი ემოციების წყარო (პოზიტიური შეგრძნებები, კმაყოფილების შეგრძნება, სიამაყე); ადგილი, სადაც იგი გრძნობს მოთამაშეებისა და მწვრთნელის თანადგომას.

ლიტერატურა:

1. Guruli ? - Kalatburtis saertashoriso federacia (FIRA) Kalatburti akhalgazrda motamasheebisatvis. Sakhelmdzgvanelo mtsvrtnlebisatvis; Tbilisi, 2014.
2. Khukhua G. Pedagogiuri narkvevebi. Tbilisi, 2014.
3. Kakhidze G., Vakhania T. Sportis teoria. Mmesame natsili, Tbilisi 2007.
4. Muselidze-Javakhishvili T. Ganatlebis fsiqologiis sakitkhebi. Natsili 1, 2, Tbilisi 2013.
5. Matveevi L. Sportuli tsvrtnis safudzvlebi. Tbilisi , 1987.
6. Zaganian J, Gulbiani T. Khelburti“, Gamomcemloba „Alioni“, BaTumi, 2013.

Zviad Mikadze, Tristan Gulbiani

BEGINNER VOLLEYBALL PLAYERS' PSYCHOLOGICAL DEVELOPMENT STAGES IN THE TRAINING PROCESS

Represented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences

Summary

The role of the psychological factor in the preparation of volleyball players is significant in order to create an appropriate location, positive attitude and formation of future athletes which determines competence of the coach. The volley-ball players' main control and self-control, ability of self-knowledge and self-esteem cooperation, correct and quick decision ensure their psychological and professional training.

კომპიუტერთან გატარებული დროის გავლენა
უმცროსკლასელთა ემოციურ თავისებურებებზე

წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ჩვენს დროში, ინფორმაციის საოცარი მოზღვავეების ჟამს, კომპიუტერმა ფართოდ შემოაბიჯა ადამიანის ცხოვრებაში, ბევრს ველარც კი წარმოუდგენია ცხოვრება ტექნიკის, ამ საოცრების გარეშე. კომპიუტერიზაცია - ეს არის თანამედროვეობის ერთ-ერთი პრობლემა. ის შეიძლება გვიმსუბუქებდეს ცხოვრებას, მაგრამ ამავე დროს ინვესტს სერიოზულ დამოკიდებულებას. გასაკვირი არ არის, რომ კომპიუტერი უკვე ბავშვებისთვისაც ჩვეულებრივი მოხმარების საგნად იქცა.

კომპიუტერთან ურთიერთობას ბავშვი ადრე იწყებს, 2,5-3 წლისა უკვე ერთობა კომპიუტერული თამაშებით. ბევრი ბავშვისთვის კომპიუტერი ყვეალფერია, გონიერი მანქანა ავსებს მათ ცხოვრებას. უფროსი სასკოლო ასაკის მოზარდებზე რომ აღარეფერი ვთქვათ, ხშირად უმცროს კლასელები და სკოლამდელებიც კი საათობით სხედან მონიტორის წინ.

კომპიუტერთან ხშირმა და გრძელვადიანმა ჯდომამ კი შეიძლება ბავშვის ზრდა-განვითარებაში სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს. ეს ეხება, როგორც ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, ასევე ისეთ ფსიქოლოგიურ პრობლემებსაც როგორცაა ნერვიული დაძაბულობა, გაღიზიანებადობა, აგრესია გარშემო მყოფების მიმართ, უძილობა და სხვა (McGrath, H., & Van Vugt, J. 2009).

ბავშვებს, რომლებიც მიჯაჭვულნი არიან კომპიუტერზე, უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობა. მათ მეგობრებთან ვირტუალური საუბარი ურჩევნიათ პირისპირ კომუნიკაციას. ვირტუალურ სამყაროში კი ადამიანი თითქოს წყდება რეალობას, ივინყებს რეალურ გარემოს. ეს პრობლემა ყველაზე აქტუალური სწორედ მოზარდებსა და ბავშვებშია, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან, როგორც პიროვნებები და ადვილად ექცევიან ზემოქმედების ქვეშ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი კვლევის მიზნი უმცროსკლასელთა ემოციურ თავისებურებებზე კომპიუტერთან გატარებული დროის გავლენის ემპირიული შესწავლის მოკრძალაბული მცდელობაა.

კვლევა ჩატარდა თბილისის 3 საჯარო სკოლაში. სულ რესპოდენტთა რაოდენობა შეადგენდა 6-7 წლის ასაკის 108 უმცროსკლასელს, მათ შორის 59 გოგონა და 49 ბიჭი.

კომპიუტერთან გატარებული დროის გასაზომად გამოვიყენეთ ანკეტური გამოკითხვა და ფორმალიზებული ინტერვიუ. ემოციური მდგომარეობის გამოსავლენად გამოვიყენეთ ლუშერის ფერთი ტესტი. კვლევის შედეგად მიღებული მასალა დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის

შესაბამისი მეთოდებით, კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის -spss- გამოყენებით.

კვლევის პირველ ეტაპზე საჭირო იყო ემპირიული გზით დასაბუთება იმისა, რომ თითოეულ ლუშერის სტანდარტულ რვა ფერს (Iuscher, 1997) გააჩნია გარკვეული და მდგრადი ემოციური მნიშვნელობა, აგრეთვე ყოველი ფერის ემოციური მნიშვნელობის დადგენა.

მეორე ეტაპზე უნდა გაგვერკვია არსებობდა თუ არა ემოციურ მნიშვნელობებსა და კომპიუტერთან გატარებულ დროს შორის სტატისტიკური მნიშვნელობის კავშირი.

პირველ ეტაპზე ცდისპირებს დაევაღათ სტანდარტული რვა ფერიდან ყველაზე შესაფერისი ფერის შერჩევა სხვადასხვა ემოციისათვის. კერძოდ, ემოციათა ჩამონათვალში შეტანილ იქნა (კ. იზარდის დიფერენციალური ემოციათა სკალა) (Izard, 2000). 10 საბაზო ემოცია, სახეოდობრ: ინტერესი, სიხარული, გაკვირვება, სევდა, რისხვა, ზიზღი, სიძულვილი, შიში, სირცხვილი, დანაშაული.

ცდისპირებს მივანოდეთ ემოციათა ჩამონათვალი და ვთხოვეთ თითოეულისათვის ყველაზე შესაფერისი ფერის შერჩევა სტანდარტული რვა ფერიდან.

გარდა ამისა, დავუმატეთ კიდევ ერთი ემოციური პატერნი (ემოციური ტერმინი): შფოთვა.

მიღებული შედეგების ანალიზი

მიღებული შედეგი წარმოდგენილია 1 ცხრილში. სურათის უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენის მიზნით იგივე მონაცემები მოცემულია გრაფიკული სახითაც (იხ. ნახატი 1).

ცხრილი 1

ლუშერის სტანდარტული რვა ფერის ემოციური მნიშვნელობა უმცროსკლასელებთან (სიხშირეთა განაწილება)

ფერი	ინტერესი	სიხარული	გაკვირვება	სევდა	რისხვა	ზიზღი
რუხი	0%	1%	4%	61%	5%	6%
ლურჯი	19%	6%	21%	2%	2%	5%
მწვანე	5%	10%	6%	5%	2%	2%
წითელი	54%	63%	6%	1%	1%	0%
ყვითელი	17%	13%	55%	2%	2%	0%
იისფერი	2%	6%	5%	2%	1%	1%
ყავისფერი	3%	1%	3%	5%	13%	44%
შავი	0%	0%	0%	22%	74%	42%

(პირველი ცხრილის გაგრძელება)


ფერი	სიძულვილი	შიში	სირცხვილი	დანაშაული	შფოთვა
რუხი	49%	6%	6%	44%	11%
ლურჯი	0%	2%	2%	0%	4%
მწვანე	4%	0%	3%	2%	2%

კახი კობალიანი, თამარ ადგიშვილი

წითელი	3%	0%	7%	0%	0%
ყვითელი	0%	0%	7%	1%	9%
იისფერი	0%	5%	%	4%	7%
ყავისფერი	39%	6%	46%	4%	4%
შავი	5%	81%	17%	45%	63%

მასალის მათემატიკურ-სტატისტიკურმა დამუშავებამ დაადასტურა, რომ სიხშირეთა განაწილება თანაბარი არ არის (პირსონის კრიტერიუმის, χ^2 -ის, მნიშვნელობა ბევრად აღემატება კრიტიკულს). ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულ ლუმერის სტანდარტულ რვა ფერს გააჩნია გარკვეული ემოციური მნიშვნელობა.

ამრიგად, მიღებულმა შედეგმა დაადასტურა, რომ უმცროსკლასელებთან ლუმერის სტანდარტულ რვაფერიან ტესტში შემავალ ყველა ფერს გააჩნია მდგრადი ემოციური მნიშვნელობა.



ნახ. 1

მაშასადამე, მიღებული 11 სიხშირეთა განაწილების საშუალო მაჩვენებლები შეესაბამება თითოეული ფერის ემოციურ მნიშვნელობას. ეს ემოციური მნიშვნელობები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

ლუშერის სტანდარტული რვა ფერის ემოციური მნიშვნელობა

ემოცია	ფერი
ინტერესი	წითელი
სიხარული	წითელი
გაკვირვება	ყვითელი
სევდა	რუხი
რისხვა	შავი
ზიზღი	ყავისფერი და შავი
სიძულვილი	რუხი
შიში	შავი
სირცხვილი	ყავისფერი
დანაშაული	რუხი და შავი
შფოთვა	შავი

როგორც ვხედავთ, მიღებული სურათი შეესაბამება, ძირითადად, ლუშერის ფერების სტრუქტურას. ნეგატიური ემოციები ისევე ასოცირდება დამატებით ფერებთან, ხოლო დადებითი – ძირითადად.

როგორც ცნობილია, ლუშერის ტესტი იძლევა შფოთვის დონის განსაზღვრის საშუალებას. თუ დამატებითი ფერი აღმოჩნდა პირველ სამ ადგილზე, თითოეულს ენიჭება შესაბამისად 3, 2 და 1 ქულა. ზუსტად ასევე 3, 2 და 1 ქულა ენიჭება ძირითად ფერებს, თუ ისინი ბოლო სამ ადგილზე აღმოჩნდა. მიღებული ქულები ჯამდება. ამრიგად, შფოთვის ნორმას შეესაბამება 0 ქულა, ხოლო მაქსიმალური მაჩვენებელი 12-ის ტოლია.

როგორც მიღებულმა შედეგმა აჩვენა და რაც შემაშფოთებელია ისაა რომ, უმცროსკლასელებში მაჩვენებელი ნორმაზე ბევრად მაღალი აღმოჩნდა – 6.2.

საინტერესო აღმოჩნდა კომპიუტერთან გატარებული დროის კორელაციური ანალიზი ემოციურ მაჩვენებლებთან მიმართებაში (ცხრ. 3). ჩვენი კვლევების მონაცემებით ყველაზე მჭიდრო სტატისტიკურად სანდო კავშირი დადასტურდა კომპიუტერთან გატარებულ დროსა და შფოთვის დონეს შორის, ანუ რაც უფრო მეტ დროს ატარებს უმცროსკლასელი კომპიუტერთან, მით უფრო მაღალია მასთან შფოთვის დონე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ასევე სანდოა კავშირი ინტერესისა და სიხარულის ემოციებსა და კომპიუტერთან გატარებულ დროს შორის, ხოლო ამ უკანასკნელ ცვლადსა და სევდის ემოციას შორის კორელაცია საპირისპიროა. სხვა სიტყვებით, რაც უფრო მეტ დროს ატარებს უმ-

ცროსკლასელი კომპიუტერთან მით უფრო ნაკლებად ირჩევს იმ ფერს, რომელიც სევდის ემოციასთან არის დაკავშირებული.

ცხრილი 3

კომპიუტერთან გატარებულ დროსა და ემოციურ მაჩვენებლებს შორის მიღებული კორელაციური მონაცემები

ემოცია	ფერი	კომპიუტერთან გატარებული დრო
ინტერესი	წითელი	0.343**
სიხარული	წითელი	0,421*
გაკვირვება	ყვითელი	0,028
სევდა	რუხი	- 0,326*
რისხვა	შავი	0,132
ზიზლი	ყავისფერი და შავი	0,111
სიძულვილი	რუხი	0,114
შიში	შავი	0,201
სირცხვილი	ყავისფერი	0,032
დანაშაული	რუხი და შავი	0,008
შფოთვა	შავი	0,55*

დასკვნები

ამრიგად, ჩვენი კვლევების საფუძველზე მიღებული მონაცემების ემპირიული ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ:

1. ლუშერის სტანდარტულ რვაფერიან ტესტში შემავალ ფერებსა და ემოციებს შორის არსებობს მდგრადი კავშირი.
2. უმცროსკლასელებთან სტანდარტულ რვაფერიან ტესტში შემავალი ყოველი ფერი გამოხატავს გარკვეულ ემოციას.
3. რაც უფრო მეტ დროს ატარებს უმცროსკლასელი კომპიუტერთან, მით უფრო მაღალია მასთან შფოთვის დონე;
4. ინტერესისა და სიხარულის ემოციებსა და უმცროსკლასელთა მიერ კომპიუტერთან გატარებულ დროს შორის კავშირი სტატისტიკურად სანდოა;
5. რაც უფრო მეტ დროს ატარებს უმცროსკლასელი კომპიუტერთან, მით უფრო ნაკლებადაა მასთან გამოხატული სევდის ემოცია.

ლიტერატურა:

1. McGrath, H., & Van Vugt, J. (2009). Young people and technology: A review of the current literature (2nd edition). Melbourne: Alannah and Madeline Foundation, 2009.
2. Izard K. Psikhologiya Emotsiy. Moskva, 2000.
3. Lyusher M. Tsvet vashego kharaktera. oskva, 1997.

Kakhi Kopaliani, Tamar Adeishvili

THE INFLUENCE OF TIME SPENT AT COMPUTER ON
EMOTIONAL CHARACTERISTICS OF YOUNG CHILDREN

*Represented by Institute of Pedagogy and Psychology at Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Summery

The paper discusses influence of time spent in front of the computer on the emotional characteristics of younger age children. The research has been conducted in the three public schools in Tbilisi. 108 respondents of 6-7 years participated in the research. Based on the empirical analysis of the given data, the effects of the influence of time spent in front of computer on different basic emotions have been revealed.

მინედა ჭანტურია

ბამოჩენილი ქიმიკოსი და კვლავი

(აკადემიკოს გივი ცინცაძის დაბადების 85 წლისთავის გამო)

გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ახალგაზრდა სპეციალისტთა მრავალი თაობის ღირსეული აღმზრდელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი ცინცაძე თავისი ფუნდამენტური შრომებით ფართოდ არის ცნობილი არაორგანული, კოორდინაციული და სტრუქტურული ქიმიის დარგში – კრისტალოქიმია, სპექტროქიმია, კვანტური ქიმია.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე 786 ნაშრომის ავტორია, მათ შორის 12 მონოგრაფიაა, 40 სახელმძღვანელო, 7 საავტორო მონობა. ფართო და მასშტაბურია მისი სამეცნიერო მოღვაწეობის დიაპაზონი, რომლის შედეგები მსოფლიოს სპეციალურ ლიტერატურაშია შესული და ციტირებული როგორც სამამულო, ასევე საზღვარგარეთის გამოცემებში. უდიდესია პროფესორ გივი ცინცაძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადებაში. მისი მონაწილეობა – მეცნიერებათა 5 დოქტორი და 61 აკადემიური დოქტორი (მათ შორის, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატები) ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებში (საქართველო, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, კანადა, ახალი ზელანდია, თურქეთი).

გივი ცინცაძე დაიბადა 1933 წლის 18 აპრილს ქ. თბილისში პედაგოგების ოჯახში. საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. 1957 წელს მან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის სპექტრული და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის ლაბორატორიაში მეცნიერ-თანამშრომლად. ამავდროულად თანამშრომლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ფიზიკის კათედრასთან და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის კრისტალოქიმიის ლაბორატორიასთან, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართველ და აზერბაიჯანელ ქიმიკოსთა მჭიდრო პარტნიორულ ურთიერთობას, რაც დღემდე შენარჩუნებულია. ამჟამად, აზერბაიჯანში წარმატებით მუშაობს გივი ცინცაძის მონაწილეობის დიდი ჯგუფი.

1960 წელს გივი ცინცაძე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში და სწავლის გასაგრძელებლად გაიგზავნა მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნ. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის კრისტალოქიმიის ლაბორატორიაში, სადაც სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მ.

პორაი-კომიცის ხელმძღვანელობით დაასრულა მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე „კოორდინაციული ნაერთები კრისტალოქიმიის დარგში“, რომელიც დაიცვა 1965 წელს. იგი მონაწილეობდა დიდგაბარიტიანი ეგმის გამოყენებით ჩატარებულ კვლევებში, რაც მიზნად ისახავდა თანამედროვე მათემატიკური მეთოდების დანერგვას რენტგენოსტრუქტურულ ანალიზში. კრისტალური სტრუქტურების კვლევის პროგრესული მეთოდები დაინერგა თსუ-ის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ცენტრებში.

1968 წელს გივი ცინცაძე სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად მიავლინეს ტ. შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე, სადაც იწყება მისი აკადემიური მოღვაწეობის ახალი ეტაპი. 1971 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლითონების ციანატური, თიოციანატური და სელენოციანატური ნაერთების გამოკვლევა“. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა მ. პორაი-კომიცმა ნაშრომს შემდეგი შეფასება მისცა: „გ. ცინცაძის სადისერტაციო ნაშრომი პირველია საბჭოთა კავშირში, სადაც ავტორი გვევლინება როგორც ქიმიკოს-სინთეტიკოსი და როგორც რთული და განსხვავებული ორი ფიზიკური დისციპლინის – ინფრანითელი სპექტროსკოპიის და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის სპეციალისტი“.

პროფ. გივი ცინცაძისა და მისი თანამშრომლების მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ბაზაზე შეიქმნა თანამედროვე კოორდინაციული ქიმიის ახალი დარგი – ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების ქიმია. მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული ბიოარაორგანული ქიმიის დარგში. მიკროელემენტების და სამკურნალო ნივთიერებების (კორდიამინი, ლარუსანი, სალუზიდი, ტუბაზიდი, ფთივაზიდი, ვიტამინების...) საფუძველზე ახალი ბიოკომპლექსების სინთეზმა, მათი ფიზიკურ-ქიმიური, ელექტრონული სტრუქტურების შესწავლამ ფუნდამენტი შეუქმნა ბიოლოგიური აქტივობის მექანიზმის გაგებას.

კოორდინაციული ნაერთების კრისტალური სტრუქტურების რენტგენოსტრუქტურული მეთოდით შესწავლილია ინფრანითელი, კომბინაციური გაბნევის, გამარეზონანსული, ელექტროპარამაგნიტური რეზონანსის სპექტრები და მაგნეტოქიმია. რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მონაცემებზე დამყარებული ნაშრომების ციკლი დაედო საფუძვლად ბიოლოგიურად აქტიური ბიოარაორგანული კომპლექსების მიზანმიმართულ სინთეზს. მის ნაშრომებში ძირითადი ყურადღება ეთმობა კორელაციის დადგენას ატომურ, კრისტალურ, ელექტრონულ სტრუქტურებსა და ნაერთების თვისებებს შორის. ასეთი კორელაციების უმეტესი ნაწილი თეორიულად საბუთდება კვანტურ-ქიმიური გამოთვლებით. ბიოაქტიური სამკურნალო პრეპარატების საფუძველზე მიღებული ლითონების კომპლექსური ნაერთები გამოიყენება ტუბერკულოზის, გულ-სისხძარღვთა, სიმსივნური დაავადებების და სხვათა სამკურნალოდ.

გივი ცინცაძის შრომების შედეგებით, ხისტი და რბილი ფუძეების და მჟავების კონცეფცია გამოიყენება ზეკომპლექსების პროგნოზირებადი სინთეზის დარგში, რაც ამარტივებს ლარიბი მადნებიდან იშვიათი და კეთილშობილი ლითონების ამოღებას და ეკონომიკურად მიზანშეწონილია, ასევე პერსპექტიულია მედიცინაში ორგანიზმიდან ტოქსიკური ელემენტების მოსაცილებლად.

მან, როგორც ფართო დიაპაზონის მეცნიერმა და მკვლევარმა, დანერგა ახალი ტექნოლოგიები საქართველოს მრეწველობაში, დაამუშავა სტიბიუმის სულფიდის მიღების ტექნოლოგია ლუხუმის საბადოების მადნებიდან, რაც გამოყენებულ იქნა რაჭის სამთოქიმიურ ქარხანაში; დაამუშავა მადანში ოქროსა და პალადიუმის განსაზღვრის მოდიფიცირებული მეთოდიკა.

გივი ცინცაძე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკისა და ელექტრონიკის, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს წევრი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიის სამეცნიერო საბჭოს კოორდინაციული ნაერთების სექციის ბიუროს წევრი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ბიოარაორგანული ქიმიის სექციის წევრი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული რენტგენოსტრუქტურული ანალიზის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს ქიმიის სექციის თავმჯდომარე, ჟურნალის – „კოორდინაციული ნაერთების ქიმია“ რედაქტორი, ტ.შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

მეცნიერების განვითარების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის გ. ცინცაძე 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წელს – ნამდვილ წევრად. წლების მანძილზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების ბიუროს წევრი, 2008 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, 2007 წელს აირჩიეს რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს (ქიმიის სერია)“, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებულის“ და ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ სარედაქციო კოლეგიების წევრია.

პროფესორი გივი ცინცაძე ფართომასშტაბიან სასწავლო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. 1971 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ანალიზური

ქიმიის კათედრას, 1973 წელს სტუ-ს ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრას. 1992-1995 წლებში იყო სტუ-ს ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, 1997 წლამდე კი ამ ფაკულტეტის დეკანი. 1997-2004 წლებში სტუ-ს ქიმიური და ტექნოლოგიური ფაკულტეტის ზოგადი და ბიოარაორგანული ქიმიის კათედრის გამგე; 2004 წლიდან სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

პროფესორი გივი ცინცაძე ათ წელს მეტი ხნის განმავლობაში თავის მდიდარ მეცნიერულ გამოცდილებას უზიარებდა თსუ-ს სოხუმის ფილიალის აფხაზეთიდან დევნილ სპეციალისტებსა და სტუდენტებს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზეთის ქიმიკოსთა ახალი კადრების მომზადებაში, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, აღმშენებლობითი საქმიანობის წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვანი პირობაა.

დიდი ქართველი მეცნიერის თავდადებული მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილდღეოდ აღნიშნულია ორდენებითა და მედლებით. სტუ-ს დაარსებიდან 75-ე წლისთავთან დაკავშირებით პროფესორი გივი ცინცაძე დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“. 2003 წელს მას გადაეცა ივ. ჯავახიშვილის მედალი სამეცნიერო და სასწავლო პროცესის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და განსაკუთრებული ღვაწლისათვის, ასევე გიორგი ნიკოლაძის მედალი. პროფესორი გივი ცინცაძე 2008 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ქიმიური საზოგადოების საპატიო სიგელით კოორდინაციული ქიმიის განვითარებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ხოლო 2014 წელს – ჰეიდარ ალიევის სახელობის მედლით.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე არის 75 სამეცნიერო კონფერენციის, თათბირის, ყრილობის მონაწილე. იგი იყო მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, სიმპოზიუმის, სესიის და ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

აკადემიკოს გივი ცინცაძის მეუღლე, ქალბატონი ანნა ნარიმანიძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, იყო რ. აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ბიოლოგიურად აქტიური კოორდინაციული ნივთიერებების სინთეზსა და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებების და ბიოლოგიური აქტივობის კვლევაში. ამ დიდ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ამჟამად წარმატებით აგრძელებენ მათი შვილები – მაია ცინცაძე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და თამრიკო ცინცაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

აკადემიკოს გივი ცინცაძის სამეცნიერო მოღვაწეობისა და მემკვიდრეობის მცირე მიმოხილვა თვალნათლივ მონშობს მის დიდ დამსახურებაზე არა მარტო ქართული მეცნიერების განვითარების საკითხში, არამედ მსოფლიო მეცნიერების წინაშე.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელით ვულოცავთ

ღირსეულ მამულიშვილს, აკადემიკოს გივი ცინცაძეს იუბილეს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, რათა დიდხანს ემსახუროს საქართველოს აღმშენებლობისა და ქართული მეცნიერების განვითარების საპატიო საქმეს.

Mineda Chanturia

OUTSTANDING CHEMIST AND EDUCATOR

(Due to the 85th Anniversary of Academician Givi Tsintsadze's Birthday)

The work represents an outstanding scientist and public figure, academician of the Academy of Sciences of Georgia, a laureate of the state prizes of Georgia and Ukraine, Doctor of Chemistry, Professor Givi Tsintsadze, who is widely known in the field of inorganic, coordinating and structural chemistry - crystallochemistry, spectro chemistry, and Quantum chemistry. He is the author of 786 works, including 12 monographs, 40 manuals and 7 certificate of authorship. His Disciples - Doctor of PhD and 61 Doctoral Academic Doctor Professors are engaged in scientific and training centers of different countries (Georgia, Russia, Ukraine, Azerbaijan, USA, Germany, Canada, New Zealand, Turkey). He has contributed to the preparation of new staff of the Chemists of Abkhazia,

Prof. Givi Tsintsadze and his staff have done significant scientific research in the field of bioinorganic chemistry. The synthesis of new biomolecules based on microelectronics and medicinal substances (cordiamin, larsanum, salusidum, tubasidum, phthivazidum, vitamins ...) has been founded to study the physical-chemical and electronic structures of the biological activity mechanism. Complex compounds of metals obtained based on bioactive drugs are used for treating tuberculosis, cardiovascular, tumor diseases and others.

We congratulate the Honorable citizen of the country, Academician Givi Tsintsadze in the name of the Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, we wish long lasting service to honor the Georgian development and Georgian science.

ავტორთა შესახებ

ადეიშვილი თამარი, ფსიქოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი;

ბენდელიანი მედიკო, ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი;

ბოკელავაძე ეთერი, დოქტორანტი(ქრიტიანობის ისტორიის მიმართულედა), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

გაბედავა მერი, ისტორიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი სწავლული მდივანი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

გუმბერიძე ალექსანდრე, თბილისის 116-ე საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი;

გულბიანი ტრისტანი, პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი;

გულორდავა ირმა, ფილოლოგიის დოქტორი (რუსული ენა და ლიტერატურა), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ეთერია ნინო, ფილოლოგიის დოქტორი (რუსული ენა და ლიტერატურა).

ვახანია ოთარი, პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ზარანდია ჯანდრი, ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

კვარაცხელია მედეა, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

კოპალიანი კახი, ფსიქოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ლეონიძე ნანი, ფილოლოგიის დოქტორი (ფრანგული ენა და ლიტერატურა), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

მაისურაძე მერაბი, პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

მანია ქეთევანი, ისტორიის დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

მარლანია მაია, ფილოლოგიის დოქტორი (ინგლისური ენა და ლიტერატურა), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

მეუფე დანიელი (დათუაშვილი), ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი;

მიქაძე ზვიადი, პედაგოგიკის დოქტორი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მოლაშხია ირმა, ეკონომიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ორმოცაძე თეიმურაზი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

პავლიაშვილი ქეთევანი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი;

ჟორდანია ოთარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახელობის ისტორიის და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი;

რატინი ლალი, ფილოლოგიის დოქტორი (გერმანული ენა და ლიტერატურა), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

რეხვიაშვილი ლელა, პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

სვანიძე ლია, ფსიქოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი;

სულავა ლეილა, ინფორმატიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

სილაგაძე ეკა, ისტორიის დოქტორი, საპატრიარქოსთან არსებული თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

ფიფია რუსუდანი, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ქუნთელია სოფიკო, მაგისტრანტი მშენებლობის მენეჯმენტის მიმართულებით, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი;

შელია მანანა, განათლების დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჩილაჩავა თემური, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის პროფესორი, E-mail: temo_chilachava@yahoo.com;

ძიძიგური ციალა, პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

წერეთელი ავთანდილი, ისტორიის მაგისტრი;

წულაია ბროლისა, პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ხუხუა გულნაზი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორი;

ჯანაშია ლილიანა, ფილოლოგიის დოქტორი (რუსული ენა და ლიტერატურა), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ჯინჯიხაძე გიორგი, პედაგოგიკის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

ჯინჯიხაძე ჯემალ, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

AUTHORS

Adeishvili Tamar, *PhD (Psychology), Sokhumi State University; Assistand Professor*

Archbishop Daniel (Datuashvili), *Metropolitan of Chiatura and Sachkhere;*

Bendeliani Mediko, *PhD (History), Assistant Professor at Sokhumi State University, Leading Scientific Worker Religion Studies Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences;*

Bokelavadze Eteri, *Doctoral Student (History of Christianity), Iv. Javakhishvili Tbilisi State University;*

Chilachava Temur, *Doctor of Sciences (Physics - Mathematics), Vice-President of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Professor at Sokhumi State University, Tbilisi, Georgia;*

Dzidziguri Tsiala, *PhD (Pedagogy), Associate Professor of Sokhumi State University, leading scientific worker at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences;*

Eteria Nino, *PhD (Russian Language and Literature),*

Gabedava Meri, *PhD (History), Chief Scientific Secretary of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Associate Professor of Sokhumi State University;*

Gulbiani Tristan, *PhD (Pedagogy), Professor at Georgian State Teaching University of Physical Education and Sport;*

Gumberidze Aleksandre, *Senior Teacher at Tbilisi Public School # 116;*

Gulordava Irma, *PhD (Russian Language and Literature), Associate Professor of Sokhumi State University;*

Janashia Liliana, *PhD (Russian Language and Literature), Associate*

Professor of Sokhumi State University;

Jinjikhadze Giorgi, *PhD (Pedagogy), Sokhumi State University;*

Jinjikhadze Jemal, *Doctor of Sciences (Pedagogy), Professor of Sokhumi State University, Leading Scientist of Pedagogy and Psychology Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, Academician;*

Khukhua Gulnazi, *Doctor of Sciences (Pedagogy), Professor of Sokhumi State University, Director Institute of Pedagogy and Psychology Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences;*

Kopaliani Kakhi, *PhD (Psychology), Associate Professor Sokhumi State University;*

Kuntelia Sofioko, *MA student (Construction management), Technical University of Georgia;*

Kvaratskhelia Medea, *PhD (Philology), Sokhumi State University;*

Leonidze Nani, *PhD (Philology), Sokhumi State University;*

Maisuradze Merabi, *PhD (Pedagogy), Assistant Professor at Georgian State Teaching University of Physical Education and Sport;*

Mania Ketevan, *PhD (History), Researcher at Tskhum-Abkhazian Academy of Science;*

Marghania Maia, *Doctor of Philology (English Language), Assistant professor at Sokhumi State University;*

Mikadze Zviad, *Phd (Pedagogy), Associate Professor at Georgian State Teaching University of Physical Education and Sport;*

Molashkhia Irma, *PhD (Economics), Associate Professor at Sokhumi State University;*

Ormotadze Teimurazi, *PhD (Pedagogy), Associate Professor of Sokhumi State University;*

Pavliashvili Ketevan, *Doctor of Sciences (History), Professor, Director of Religion Studies Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences;*

Pipia Rusudani, *PhD (Philology), Associate Professor of Sokhumi State University;*

Ratiani Lali, *PhD (German Language and Literature), Sokhumi State University;*

Rekhviashvili Lela, *PhD (Pedagogy), Associate Professor of Sokhumi State University;*

Silagadze Eka, *PhD (History), Assistant Professor of Queen Tamar University at the Georgian Patriarchate;*

Shelia Manana, *Phd (Education), Associate Professor at Sokhum, state University;*

Svanidze Lia, *PhD (Psychology), Associate Professor of Sukhumi State University, Leading Research Worker of Pedagogy and Psychology Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences;*

Sulava Leila, *PhD (Inphormafics), Sokhumi State University;*

Tsereteli Avtandil, *Master of History;*

Tsulaia Brolisa, *PhD (Pedagogy), Associate Professor of Sokhumi State University;*

Vakhania Otari, *PhD (Pedagogy), Professor of Sokhumi State University;*

Zarandia Jandri, *PhD (Economics), Associate Professor of Sokhumi State University, Leading Research worker of Economics and Business Administration Institute at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences;*

Zhordania Otari, *Doctor of Sciences (History), Director of D. Gulia Institute of History, Language and Culture at Tskhum-Abkhazian Academy of Sciences.*

სარჩევი

მეუფე დანიელი (დათუაშვილი)

უნმიდესი და უნეტარესი ილია II – როგორც საქართველოს
სამოციქულო ავტოკეფალური მართმადიდებელი ეკლესიის
საჭეთმპყრობელი 6

Bishop Daniel (Datuashvili)

His Holiness and Beatitude Ilia II, The shepherd of Georgian Apostolic
Autocephalous Orthodox Church 13

ოთარ ჟორდანია

განათლებისა და მეცნიერების დიდი მოჭირნახულე (უნმიდესისა და
უნეტარესის, ილია II დაბადების 85 და აღსაყდრების 40 წლისთავის
გამო) 14

Otar Zhordania

Great protector of Education and Science (85th birthday of the Catholicos-
Patriarch of All Georgia, His Holiness and Beatitude Ilia II, and 40th
anniversary of the enthronement) 19

რელიგიათმცოდნეობა Religion Studies

ავთანდილ წერეთელი

რომის ეპისკოპოსის ძალაუფლების მოპოვება-გაზრდის მიზეზები
და შედეგები IV-V საუკუნეებში 20

Avtandil Tsereteli

The causes and consequences of the Roman bishop's gaining and increasing
authority in IV-V centuries 27

მედიკო ბენდელიანი

ეკლესიებისა და სამლოცველოების ამოქმედების საკითხი მეორე
მსოფლიო ომის შემდგომ საქართველოში 28

Mediko Bendeliani

Issue of Setting in Motion of Churches and Prayer Houses in Georgia After
World War II 33

ეთერ ბოკელავაძე

ფრაგმენტი საქართველოს და იერუსალიმის ეკლესიათა
ურთიერთობების ისტორიიდან XX საუკუნის 70–80-იან წლებში
(იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხისათვის) 34

Eter Bokelavadze

One fragment from the History of the Relations Between Orthodox
Churches of Georgia and Jerusalem in the 70-80s of the XX Century
(The issue of return of Jerusalem's Jvari Monastery) 41

ეკა სილაგაძე

რელიგიური ორგანიზაციები და რელიგიური ვითარება
ოკუპირებულ აფხაზეთში 42

Eka Silagadze

Religious Organizations and Religious Situation in Occupied Abkhazia 47

ქეთევან პავლიაშვილი

ბავშვის სულიერ-ზნეობრივი წვრთნის ისტორიული გამოცდილება და აღზრდის თანამედროვე პრობლემები (ორთოდოქსალური ეკლესიის მაგალითზე)..... 48

Ketevan Pavliashvili

Historical Experience of Child’s Spiritual-Moral Training and Modern Problems of Upbringing (on the Example of Orthodox Church) 53

ენათმეცნიერება
Linguistics

ჯემალ ჯინჯიხაძე

რამდენიმე ეტიმოლოგია 54

Jemal Jinjikhadze

Some Etymologies 59

მაია მარღანია, მანანა შელია

ინგლისური ტოპონიმიური ეპონიმების სემანტიკური ასპექტი 60

Maia Marghania, Manana Shelia

Semantic Aspect of English Toponymous Eponyms 64

ლალი რატიანი

უკუმნიშვნელობის მარეალიზებული გერმანულენოვანი და უცხოური სიტყვამანარმოებელი ელემენტების რაობა 65

Lali Ratiani

The Essence of German and Foreign Word- Formation Elements of Realizing Back Meaning 77

მანანა შელია, სოფიკო ქუნთელია

ნეოლოგიზმები, როგორც ახალი ცნებების გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება..... 79

Manana Shelia, Sopiko Kuntelia

Neologisms as One of the Means of Expressing New Concepts 88

ლიტერატურათმცოდნეობა
Literature Studies

ნანი ლეონიძე

ვოლტერის დრამატურგია 89

Nani Leonidze

Volter’s Dramaturgy 98

Лилиана Джанашия

Жанр экзистенциальной антиутопии в литературе постмодернизма 99

ლილიანა ჯანაშია

ეგზისტენციალური ანტიუტოპიის ჟანრი პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში 103

Liliana Janashia	
Genre of existential dystopia in postmodernist literature	104
მედეა კვარაცხელია	
„დავაცადოთ ბავშვებს ბავშვობა“ ვასილ გულეურის საბავშვო პოეზია	105
Medea Kvaratskhelia	
Poetry for Children by Vasil Guleuri	110

ისტორია
History

ოთარ ჟორდანია	
თბილისის უნივერსიტეტი 100 წლისაა. რამდენიმე ფურცელი დედაუნივერსიტეტის ისტორიიდან	111
Otar Zhordania	
Tbilisi University is 100 years old. Few pages from University history	119
ქეთევან მანია	
რელიგიური იდენტობა აფხაზეთში ქართული ბეჭდური მედიის რეპრეზენტაციით („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“).....	120
Ketevan Mania	
Religious Identity by Representation of Georgian Printed Media in Apkhazeti („Droeba“, „Iveria“, „Tsnobis Purtseli“).....	132
ოთარ ჟორდანია	
მასალები გამოჩენილი ქართველი ეთნოგრაფის ალექსი რობაკიძის ბიოგრაფიისთვის.....	133
Otar Zhordania	
Archival documents for the biography of the outstanding ethnographer, Alexy Robakidze.....	149

პოლიტიკური მეცნიერებები
Political Sciences

Meri Gbedava	
The Formation of European Idea in Georgia	150
მერი გაბედავა	
ევროპული იდეის ფორმირება საქართველოში	156

ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება
Economics and Business Administration

ჯანდრი ზარანდია	
თავისუფალი ეკონომიკური ზონების თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში	157
Jandri Zarandia	
Current Condition of Free Economic Zones and Development Prospects in	

Georgia.....	165
ირმა მოლაშხია	
მართვის ლიბერალური სტილის გამოყენების ეფექტიანობა	166
Irma Molashkhia	
Effective Use of Liberal Style of Management	170

მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება
Mathematical and Computer Modeling

ციალა ძიძიგური	
ლესლის კლასიკური და განზოგადებული მათემატიკური მოდელები	171
Tsiala Dzidziguri	
Classical and Generalized Matematical Leslie Models	178
Temur Chilachava, Leila Sulava	
Mathematical and Computer Modeling of Elections.....	179
თემურ ჩილაჩავა, ლეილა სულავა	
არჩევნების მათემატიკური და კომპიუტერული მოდელირება.....	194

პედაგოგია
Pedagogy and Methodology

ჯემალ ჯინჯიხაძე	
მეთოდოლოგია და მისი სტრუქტურა.....	195
Jemal Jinjikhadze	
Methodology and its structure	206
რუსუდან ფიფია	
დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში.....	207
Rusudan Pipia	
Use of Differential Approach in the learning Process	210
თეიმურაზ ორმოცაძე	
განათლების სფეროში არსებული ზოგიერთი პრობლემის შესახებ	211
Teimuraz Ormotsadze	
On Some Problems in the Field of Education	214
გიორგი ჯინჯიხაძე	
იმიტაციური თამაშები როგორც თამაშებისა და იმიტაციების ერთიანობა	216
Giorgi Jinjikhadze	
Imitative Games as Unity of Games and Imitations	222
ბროლისა წულაია	
ბუნებისმეტყველების საკითხები იაკობ გოგებაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში	223
Brolisa Tsulaia	

The Issues of Natural Sciences in Iakob Gogebashvili and Vazha Pshavela's Creative Works 230

გულნაზ ხუხუა

ემოციონალური ინტელექტის პედაგოგიური შესაძლებლობები მოსწავლეთა არასრულფასოვნების კომპლექსის დაძლევაში 231

Gulnaz Khukhua

Pedagogical Opportunities for Emotional Intellect in overcoming the Complexity of Pupils' Incompatibility 237

სწავლების მეთოდოლოგია
Teaching Methodology

ციალა ძიძიგური

სხვაობიანი განტოლებები დისკრეტულ მათემატიკურ მოდელებში 238

Tsiala Dzidziguri

Difference Equations in Discrete Mathematical Models 248

თეიმურაზ ორმოცაძე, ალექსანდრე გუმბერიძე

შებრუნებული დებულებები მართკუთხა სამკუთხედში 249

Teimuraz Ormotsadze, Alexandre Gumberidze

Reversible Rules in the Rectangular Triangle 252

Ирма Гулордава

Когнитивный и педагогический аспект цели обучения иностранным языкам 253

ირმა გულორდავა

უცხო ენების სწავლების კოგნიტური და პედაგოგიური ასპექტების მიზანი 259

Irma Gulordava

The pedagogical and cognitive aspects of teaching foreign languages 260

Нино Этерия

О преподавании русского языка как иностранного 261

ნინო ეთერია

რუსული ენის როგორც უცხო ენის სწავლება 266

Nino Eteria

On Teaching Russian as a Foreign Language 267

ლელა რეხვიაშვილი

კომპიუტერული ტექნოლოგიების ზემოქმედება უმცროსკლასელთა ზნეობრივ ინტერესებზე 268

Rekhviashvili Lela

Impact of Computer Technologies on the Moral Interests of Junior Pupils ... 278

გიორგი ჯინჯიხაძე

მათემატიკისა და ინფორმატიკის საგანთაშორისი კავშირების ამოცანა 279

Giorgi Jinjikhadze

The Task of Interdisciplinary Communications between Mathematics and

Informatics	282
ოთარ ვახანია	
მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საკითხებისათვის...	283
Otar Vakhania	
On the Subject of the Physical Education of schoolchildren	290
ტრისტან გულბიანი, ზვიად მიქაძე, მერაბ მაისურაძე	
უმცროსი ასაკის მოსწავლეთა ფიზიკური შრომისუნარიანობის ჩამოყალიბების ასაკობრივი თავისებურებანი.....	291
Tristan Gulbiani, Zviad Mikadze, Merab Maisuradze	
Age Features of Physical Ability Formation of Younger Age School Students	294

ფსიქოლოგია
Psychology

ლია სვანიძე	
ფსიქოლოგიური მეცნიერების ცოდნის საბადაოს კარიბჭესთან	295
Lia Svanidze	
To the gate of Depth of Psychological Sciences Knowledge	310
ზვიად მიქაძე, ტრისტან გულბიანი	
დამწყებ ფრენბურთელთა ფსიქოლოგიური განვითარების ეტაპები წვრთნის პროცესში	311
Zviad Mikadze, Tristan Gulbiani	
Beginner volleyball players' Psychological Development Stages in the Training Process	311
კახი კოპალიანი, თამარ ადეიშვილი	
კომპიუტერთან გატარებული დროის გავლენა უმცროსკლასელთა ემოციურ თავისებურებებზე.....	319
Kakhi Kopaliani, Tamar Adeishvili	
The Influence of Time Spent at Computer on the Emotional Characteristics of Young Children.....	324

იუბილე
Anniversary

მინედა ჭანტურია	
გამოჩენილი ქიმიკოსი და პედაგოგი (აკადემიკოს გივი ცინცაძის დაბადების 85 წლისთავის გამო).....	325
Mineda Chanturia	
Outstanding Chemist and Educator	329
ავტორთა შესახებ.....	330
Authors.....	332



გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47
 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

ISSN 2233-3363



9 772233 336003